

თინათინ ჯერეთლის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

თინათინ ჯერეთელი

# სისხლის სამართლის პრობლემები

II ტომი

გამომცემლობა „მერიდიანი“  
· თბილისი 2007


მკითხველს ვთავაზობთ პროფესორ თინათინ წერეთლის ექვსტომეულის მეორე ტომს. რედაქციის გადაწყვეტილებით ამ ტომში შედის მეცნიერის სამი მონოგრაფიული გამოკვლევა – „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1965), „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“ (1967), რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ, და „დანაშაულის შემხებლობა“. ეს უკანასკნელი ნაშრომი დღემდე მხოლოდ ხელნაწერის სახით იყო შემონახული და პირველად ქვეყნდება.

**სარედაქციო კოლეგია:** გიორგი ხუბუა (მთავარი რედაქტორი)  
ოთარ გამყრელიძე  
გიორგი თოდრია  
თამარ ებრაელიძე  
რუსუდან ბაქანიძე  
თემურ ცქიტიშვილი  
დავით გეგეჭკორი  
ელიშერ ფუტყარაძე  
გიორგი ღლონტი

© თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი  
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007

ISBN 99940-46-84-5





025/2025"



**თანამონაწილეობა  
დანაშაულებში**

ნაშრომის მიზანია გააშუქოს თანამონაწილეობის ცნება, გამოიჯნოს თანამონაწილეთა სახეები და გაარკვიოს მათი პასუხისმგებლობის თავისებურებანი. ნაშრომში გაანალიზებული და განზოგადოებულია საბჭოთა სასამართლოს პრაქტიკა. საბჭოთა სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასთან ერთად განხილულია სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა თანამონაწილეობის შესახებ. კრიტიკულად გადმოცემულია თანამედროვე ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი თეორიები.

## შესავალი

დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა, ისე რამდენიმე პირმა. იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული რამდენიმე პირმა ჩაიდინა, კავშირი მათ შორის შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს. ზოგჯერ იმ პირთა კავშირი, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, იმდენად სუსტია, რომ მათი მოქმედების შედეგად წარმოშობილი ვნება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ყველა მათგანის ერთი საერთო დანაშაულებრივი ქმედობა, ხოლო მოქმედი პირები – როგორც ერთი დანაშაულის თანამონაწილენი. ზოგიერთ შემთხვევაში ეს კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი ქმედობა განიხილება ერთი დანაშაულის სახით, რომლისთვისაც ყველა დამნაშავე პასუხს აგებს, როგორც ამ ერთიანი დანაშაულის თანამონაწილე. უკანასკნელ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მეტ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე იზოლირებული დამნაშავეის მიერ ჩადენილი დანაშაული.

დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა აადვილებს მისი ჩადენის ობიექტურ შესაძლებლობას. დაბრკოლება, რომელიც გადაულახავი იქნებოდა ინდივიდუალურად მოქმედი დამნაშავეისათვის, ადვილად შეიძლება დაძლიოს რამდენიმე კაცის გაერთიანებულმა ძალ-ღონემ. ასე, მაგალითად, თუ მოლარისათვის სახელმწიფო ფულის შეუმჩნევლად მითვისება შეუძლებელია, იგი უფრო მოსახერხებელი ხდება მაშინ, როდესაც მასთან ერთად მოქმედებენ მთავარი ბუღალტერი და მოანგარიშე.

თანამონაწილეობა იმ მხრივაც წარმოადგენს უფრო მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას, რომ ზოგჯერ სხვა, უფრო გამოცდილი და გაბედული დამნაშავეის ზეგავლენით მერყევედა და სუსტი ნებისყოფის პირებმა შეიძლება გადადგან ისეთი ნაბიჯი, რომლის გადადგმა, მარტო რომ ყოფილიყვნენ, შეიძლება ვერ გადაეწყვიტათ. წამქეზებისა და ფსიქიკური დამხმარის როლი დანაშაულის ჩადენაში სწორედ იმით გამოიხატება, რომ სხვა პირის ზეგავლენით ამსრულებელს ებადება

დანაშაულის ჩადენის განზრახვა, მის ცნობიერებაში ძლიერდება მოტივები, რომლებიც მოუწოდებენ მას დანაშაულისაკენ, და პირიქით, სუსტდება მოტივები, რომლებიც აფერხებენ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღებას.

თავისთავად ცხადია, რომ რაც უფრო მჭიდროა დანაშაულში მონაწილე პირთა კავშირი, რაც უფრო ორგანიზებულ ხასიათს ატარებს იგი, მით უფრო მეტია დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება. ასეთი დანაშაული უფრო გულმოდგინედ და საფუძვლიანად მზადდება და მიყენებული ზიანიც უფრო მნიშვნელოვანია. საკვირველი არ არის ამიტომ, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლებისა და სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ სწორედ ორგანიზებულ ფორმებში ვლინდებოდა – სხვადასხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციის, შეთქმულების, ბანდების მოწყობითა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობით.

დანაშაულში თანამონაწილეობის მომეტებული საშიშროება პოულობს თავის ასახვას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კანონმდებელი ზოგჯერ დამთავრებულ დანაშაულად თვლის თავისთავად დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც არსებითად მოსამზადებელ სტადიას ეკუთვნის. ამგვარ შემადგენლობას ითვალისწინებს, მაგალითად, „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი. ეს მუხლი დამთავრებულ დანაშაულად თვლის ორგანიზაციულ საქმიანობას, მიმართულს ისეთი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელსაც მიზნად აქვს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა. ამავე კანონის მე-14 მუხლის თანახმად დამთავრებულ დანაშაულად ითვლება შეიარაღებული ბანდების ორგანიზაცია სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ დაწესებულება-საწარმოებზე ან ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით. მე-14 მუხლი აწესებს მკაცრ სასჯელს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების მიმართ. თუ ეს პირები მოაწყობენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ადმინისტრაციაზე თავდასხმის მიზნით ბევრ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას პირთა ჯგუფის მიერ, როგორც პასუხისმგებლო-

ბის დამამძიმებელ გარემოებას და ამასთან დაკავშირებით ქმნის კვალ-ფიციურ შემაღვენლობებს. ასეთი შემაღვენლობები შეტანილია, მაგალითად, სამხედრო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გამოცემული კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში (უფროსისათვის დაუპირაჩილებლობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ), საქართველო სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილში (სოციალისტური ქონების ქურდობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით), 92-ე მუხლის მე-2 ნაწილში (სოციალისტური ქონების გაძარცვა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით) და ა.შ.

და ბოლოს, დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ გათვალისწინებული საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ზოგადი გარემოება (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ზემოხსენებულადან არ შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, თითქოს თანამონაწილეობა დანაშაულში ყოველთვის უფრო მძიმეა, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული. მით უმეტეს არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყოველი თანამონაწილე ყველა შემთხვევაში უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე ინდივიდუალურად მოქმედი დამნაშავე. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლი, რომელიც აწესრიგებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს, არ ითვალისწინებს თანამონაწილეთა გაძლიერებულ პასუხისმგებლობას, არამედ მიუთითებს, რომ მოსამართლემ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს თითოეული პირის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი.

არც ისეთი დასკვნის გამოტანა იქნებოდა სწორი, თითქოს თანამონაწილეობის ინსტიტუტის შექმნა თანამონაწილეობის მომეტებული საშიშროებით არის განპირობებული. თანამონაწილეობის ცნება შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას ზოგიერთი თავისებურებანი ახასიათებს. ეს თავისებურებანი თავს იჩენენ განსაკუთრებით ისეთი სახის თანამონაწილეობის დროს, რომელსაც უწოდებენ თანამონაწილეობას ვიწრო მნიშვნელობით. ეს ისეთი თანა-

მონაწილეობაა, როდესაც დამნაშავე უშუალოდ არ ასრულებს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, არამედ ისეთ მოქმედებას ასრულებს, რომელიც არსებითად დანაშაულის მომზადებას მიეკუთვნება: მაგალითად, აგულანებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად და აღუძრავს ამით დანაშაულის ჩადენის სურვილს (წამქეზებელი), აწოდებს უშუალო ამსრულებელს იარაღს ან სპობს დაბრკოლებებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენას წინ ეღობებოდნენ, რითაც შესაძლებელს ხდის ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას (დამხმარე), ასრულებს ორგანიზაციულ საქმიანობას, მიმართულს ჯგუფის შესაქმნელად ან ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩასადენად (ორგანიზატორი). სწორედ ის გარემოება, რომ თანამონაწილენი უშუალო მონაწილეობას არ იღებენ დანაშაულის ჩადენაში, განაპირობებს მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სპეციალურად მოწესრიგების საჭიროებას. ამასთან დაკავშირებით მრავალი საკითხი წარმოიშობება: ვინ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ დანაშაულში? განსხვავდება თუ არა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძვლები ინდივიდუალური ამსრულებლის პასუხისმგებლობის საფუძვლებისაგან? როგორი უნდა იყოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესი, ე.ი. სახელდობრ, რა გარემოებები უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში თითოეული თანამონაწილისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს? რა ფორმებში შეიძლება გამოიხატებოდეს თანამონაწილეობა? და ა. შ.

ყველა ეს საკითხი საჭიროებს განსაკუთრებულ შესწავლას, რათა თანამონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს სათვალავში იქნეს მიღებული როგორც თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის მომეტებული საშიშროება, ისე ცალკეულ თანამონაწილეთა ინდივიდუალური როლი ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში და მათი პირადი ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი.

დიდი ხნის განმავლობაში თანამონაწილეობის საკითხებს საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. გარდა პროფ. ა. ტრანინის მიერ 1941 წელს გამოქვეყნებული ნაშრომისა და რამდენიმე საყურნალო წერილისა, ამ საკითხზე თითქ-



მის არაფერი იყო დაწერილი. როგორც სამართლის თეორიაზე, ისე სასამართლო პრაქტიკაზე ზეგავლენას ახდენდა ა. ვიშინსკის მავნე კონცეპციები თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შესახებ. ეს კონცეპციები განსაკუთრებით თავს იჩენდნენ თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრებაში, თანამონაწილეთა, კერძოდ, დამხმარეთა წრის შემოფარგვლაში, დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენაში და ა.შ.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის დამუშავების დროიდან ინტერესი თანამონაწილეობის საკითხებისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია და მონოგრაფიული ხასიათის წერილები, რომლებშიც მხილებულ იქნა ა. ვიშინსკის მავნე კონცეპციები.

თანამონაწილეობის საკითხებისადმი ინტერესის გამოცოცხლებასთან ერთად ახალი სადავო საკითხები წარმოიშვა, კერძოდ: საჭიროა თუ არა თანამონაწილეობის არსებობისათვის შეთანხმება თანამონაწილეთა შორის, არის თუ არა თანამონაწილეთა მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა, აქცესორულ ხასიათს ატარებს თუ არა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა? და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გაარკვიოს დანაშაულში თანამონაწილეობის ძირითადი საკითხები და ამით ერთგვარი წვლილი შეიტანოს ამ დიდი და რთული პრობლემის დამუშავებაში.

თანამონაწილეობის ცნება

როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები აღწერენ დანაშაულის შემადგენლობას, მათ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში აქვთ დანაშაულის ცალკეული, ერთპიროვნული ამსრულებელი.

ერთპიროვნულ ამსრულებლად ითვლება პირი, რომელმაც განახორციელა დანაშაულის შემადგენლობა მარტოდ-მარტო, სხვა პირთა მონაწილეობის გარეშე. ასეთი პირი დანაშაულის შესასრულებლად იყენებს მექანიკურ თუ ქიმიურ კანონზომიერებას, ხოლო ზოგჯერ ცხოველთა მოქმედებასაც კი. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დამნაშავე დანაშაულს სხვა ადამიანის მეშვეობით ასრულებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც დამნაშავე თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად იყენებს მეორე ადამიანს როგორც ბრმა, უნებისყოფო იარაღს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე მაინც განიზილება და დაისჯება ისე, თითქოს დანაშაულის შემადგენლობა უშუალოდ მისი საკუთარი მოქმედებით იყო განხორციელებული. ასეთ დამნაშავეს შუალობითი ამსრულებელი ეწოდება.

წინააღმდეგ შუალობითი ამსრულებლობისა, თანამონაწილეობის ცნება გულისხმობს რამდენიმე შერაცხადი და ბრალეული პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედობის ერთობლივად შესრულებას. კავშირი თანამონაწილეთა შორის შეიძლება იყოს მეტად თუ ნაკლებად მჭიდრო, როლები მათ შორის შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს განაწილებული. ზოგჯერ თანამონაწილეობა ისეთი ფორმით გამოიხატება, რომ ყოველი თანამონაწილე გამოდის ამსრულებლის როლში. მაგალითად, რამდენიმე დამნაშავე ერთდროულად ჰკლავს ერთ პირს ან ვნებას აყენებს მის სხეულს ან შეურაცხყოფას აყენებს მას. ასეთი სახის თანამონაწილეობას თანაამსრულებლობა ეწოდება. მისგან განსხვავდება თანამონაწილეობა ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც თანამონაწილეთა შორის როლების განაწილებას გულისხმობს. ერთი თანამონაწილე, მაგალითად, შეიძლება აგულიანებდეს მეორე პირს დანაშაულის ჩასა-

დენად, გამოდიოდეს როგორც მთელი დანაშაულის სულისჩამდგმელი და ინიციატორი; მეორე თანამონაწილე შეიძლება მონაწილეობას იღებდეს უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში, ე.ი. გამოდიოდეს როგორც დანაშაულის ამსრულებელი; მესამე თანამონაწილე შეიძლება ხელს უწყობდეს დანაშაულის ჩადენას იარაღის მიწოდებით, რჩევა-დარიგებით და სხვ.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამსრულებლობასაც თანამონაწილეობის სახედ თვლის და ძირითადად ავრცელებს მასზე ნორმებს თანამონაწილეობის შესახებ. მაგრამ ამავე დროს თანამონაწილეობას ვიწრო მნიშვნელობით მრავალი თავისებურება ახასიათებს და ამ თავისებურებებს შემდგომ დავწვრილებით შევხებით.

საბჭოთა კანონმდებლობა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების მიღებამდე არ იძლეოდა თანამონაწილეობის ცნების ზოგად განსაზღვრებას. როგორც რსფსრ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობის სახელმძღვანელო საწყისებში, ისე მომდევნო საკანონმდებლო აქტებში მოცემული იყო მხოლოდ თანამონაწილეთა ცალკეული სახეების განსაზღვრება. 1958 წლის საფუძვლებმა შეავსეს ეს ხარევი და თანამონაწილეობის ზოგადი ცნების განსაზღვრება მოგვცეს. საფუძვლების მე-17 მუხლის თანახმად, „თანამონაწილეობად ითვლება ორი ან მეტი პირის განზრახვი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, თანამონაწილეობა მრავალ პირობას გულისხმობს.

უპირველეს ყოვლისა, იგი არის რამდენიმე პირის მონაწილეობა ერთი დანაშაულის ჩადენაში. მაგრამ მხოლოდ ეს ნიშანი არ არის საკმარისი თანამონაწილეობისათვის. იგი გულისხმობს რამდენიმე პირის ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, მაშასადამე, მათი მოქმედების ერთგვარ ერთიანობას. ეს ერთიანობა უნდა შეეხებოდეს დანაშაულის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მხარეს.

## §1. მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა თანამონაწილეობისათვის

1. თანამონაწილეთა მოქმედების ობიექტური მხარის ერთიანობა უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, ასე რომ ეს შედეგი მათი საერთო საქმიანობის პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს. საბჭოთა სისხლის სამართალში საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელსაც, ბრალთან ერთად, ეყარება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა, იმ ობიექტურ საზღვარს, რომლის გარეშე არ შეიძლება გავრცელდეს პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

ამ დებულების შესაბამისად, თანამონაწილედ დანაშაულში ითვლება მხოლოდ ის, ვინც ჩაიდინა მოქმედება, რომელიც წინ უსწრებს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას და მის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამ თეორიულად და პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვან დებულებას უარყოფს იმპერიალისტური ეპოქის მრავალი ბურჟუაზიული კრიმინალისტი, რომლებიც ცდილობენ მართლმსაჯულებაში თვითნებობა და სუბიექტივიზმი შეიტანონ.

ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი ბირლინგი, რომელიც საერთოდ მომხრე იყო „ლიტონი განზრახვის“ დასჯადობისა, შესაძლებლად თვლიდა დანაშაულში თანამონაწილეობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამხმარის მოქმედება მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დანაშაულებრივ შედეგთან. თანამონაწილის პასუხისმგებაში მისაცემად, ბირლინგის აზრით, საკმარისია, თუ ადამიანი ფიქრობს, რომ იგი თავისი მოქმედებით ქმნის პირობას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის, ხოლო სულაც არ არის საჭირო, რომ მან ნამდვილად, ობიექტურად შექმნას ასეთი პირობა. სასჯელის ღირსია ყველა, ვისაც კი აქვს ნება, სურვილი დანაშაულისათვის ხელის შეწყობისა, ვისაც ბრალეული კავშირი აქვს დანაშაულთან, თუნდაც ობიექტურად მას ხელი არ შეეწყოს ამ დანაშაულისათვის<sup>1</sup>. ამგვარად

<sup>1</sup> იხ. E. R. Bierling, Juristische Prinzipienlehre, B. III, Tübingen, 1905, S. 342-344.

თანამონაწილის პასუხისმგებლობის საფუძველი ბირლინგს მთლიანად სუბიექტურ სფეროში გადააქვს, ხოლო თანამონაწილეობის ობიექტური მხარე მის მიერ სრულიად უგულებელყოფილია.

თანამონაწილეობის არსის ეს რეაქციული გაგება, რომელიც დანაშაულის ცნების წმინდა სუბიექტივისტური განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, არსებითად საკვებით უარყოფს ობიექტური მომენტის ყოველგვარ მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის და აღიარებს მართლწესრიგისადმი მტრული ფსიქიკური განწყობის დასჯადობას. ბირლინგის მიერ წამოყენებული დებულება, რომ სასჯელის ღირსია ყველა, ვინც მხოლოდ თავის წარმოდგენაში და არა სინამდვილეში ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, მეტიმეტად აფართოებს თანამონაწილეობის ცნებას და იძლევა ისეთი პირის დასჯის შესაძლებლობას, ვინც მხოლოდ სიტყვით გამოხატა თავისი სურვილი დანაშაულის ჩადენისა.

მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას თანამონაწილეთა პასუხისგებაში მისაცემად უარყოფს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა. ჯერ კიდევ გერმანიის საიმპერიო სასამართლო (რაიხსგერიხტი) თანმიმდევრულად ატარებდა თავის პრაქტიკაში იმ შეხედულებას, რომ დამხმარის დასჯადობისათვის არ არის საჭირო, რათა მისი მოქმედება მიზეზობრივი ხასიათის იყოს დანაშაულებრივი შედეგისათვის. მას არაერთგზის მიუთითებია, რომ თუმცა ამსრულებელს არ უსარგებლია მიწოდებული იარაღით, მაგრამ დამხმარე მაინც უნდა დაისაჯოს როგორც დანაშაულის თანამონაწილე. ეს დებულება განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული საიმპერიო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში (58, 113), სადაც ნათქვამია: „არ არის საჭირო, რომ დამხმარის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს მთავარი მოქმედების შედეგთან, ხელს უწყობდეს ან აადვილებდეს მას. ამიტომ სამართლის თვალსაზრისით შეცდომაა, როდესაც მოითხოვენ მიზეზობრივ კავშირს დამხმარის მოქმედებასა და საბოლოოდ განხორციელებულ დანაშაულებრივ შედეგს შორის“<sup>1</sup>.

და ბოლოს, ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი უარყოფს მიზეზობრივი კავშირის არსებობას თანამონაწილეობის დროს ნებისყოფის თავისუფ-

<sup>1</sup> გერმანიის საიმპერიო სასამართლოს განჩინება ციტირებულია მეცკერის მიხედვით. იხ. E. Mezger, Strafrecht. Ein Lehrbuch, Berlin und München. 1949, S. 416.

ფლების პოსტულატის საფუძველზე. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული კრიმინალისტიები, რომლებიც ნებისყოფის თავისუფლებას აღიარებენ, იძულებული არიან უარყონ წამქეზებლისა და დამხმარის მოქმედების მიზეზობრივი ხასიათი. ბურჟუაზიული ინდეტერმინისტიები აიგივებენ მიზეზობრიობას და აუცილებლობას. თანაც აუცილებლობა მათ ესმით როგორც აბსოლუტური გარდაუვალობა, ხოლო ნებისყოფის თავისუფლება როგორც თავისუფლება მიზეზობრივი კავშირისგან, „როგორც თვითგანსაზღვრება, როგორც თავის დახსნა ნამდვილი სამყაროსაგან, როგორც — მხოლოდ მოჩვენებითი — თავისუფლება სულისა“<sup>1</sup>.

ამ შეხედულებიდან თანმიმდევრულად გამომდინარეობს, რომ ამსრულებელი, რომელიც „თავისუფლად“ გადაწყვეტს დანაშაულის ჩადენას, ყოველთვის იწყებს ახალი და დამოუკიდებელი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვს: მისი გადაწყვეტილება — ჩაიდინოს დანაშაული — არ არის განპირობებული თანამონაწილეთა ზემოქმედებით, ვინაიდან ადამიანის ნებისმიერი გადაწყვეტილება ყოველთვის წყვეტს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვს; რომელიც ამ გადაწყვეტილებით თავიდან იწყება. „ადამიანის მოქმედება, რომელიც თავისუფალი ნებისყოფიდან გამომდინარეობს... არ გულისხმობს არავითარ მიზეზს, რომლისგანაც თვით იგი წარმოიშვება როგორც შედეგი“, — წერს ცნობილი ბურჟუაზიული კრიმინალისტი-ინდეტერმინისტი ბირკმეიერი<sup>2</sup>. აქედან დასკვნა: წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება არ არის მიზეზობრივი კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, ვინაიდან ამსრულებლის მოქმედება ყოველთვის წყვეტს მიზეზობრივ კავშირს თანამონაწილის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის.

იმის აღიარება, რომ ამსრულებლის თავისუფალი ნებელობითი აქტი წყვეტს მიზეზობრივ კავშირს თანამონაწილეთა მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, მეტად დიდ უხერხულობას ჰქმნის ბურჟუაზიული კრიმინალისტიებისათვის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დასაბუთების საკითხში. თუ წამქეზებელი და დამხმარე მიზეზობრივ კავშირში არ არიან დანაშაულებრივ შედეგთან, მაშინ მათ პასუხი უნდა აგონ არა ამ შედეგისათვის, არამედ მისგან დამოუკიდებლად — თავისთავად

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, 292, примечание.

<sup>2</sup> K. Birkmeyer, Über Ursachenbegriff und Kausalzusammenhang im Strafrecht, Leipzig, 1885, S. 21.

ჩადენილი ქმედობისათვის. მაგრამ წაქეზება და დახმარება, თავისთავად აღებული, მოსაშხადებელი მოქმედების სფეროს ეკუთვნის, ხოლო, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობათა უმრავლესობა ზოგადი ფორმით არ ითვალისწინებს მოსაშხადებელი მოქმედების დასჯადობას. მაშასადამე, დანაშაულის წაქეზება და დახმარება დაუსჯელი უნდა დარჩენილიყო. ასეთი დასკვნის თავიდან ასაცილებლად ბურჟუაზიული კრიმინალისტიკი-ინდეტერმინისტიკები აცხადებენ, რომ თანამონაწილეობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც მონაწილეობა სხვის დანაშაულში. ამ შეხედულების თანახმად, თანამონაწილეობა „არ შეიცავს თავის თავში თავისი პასუხისმგებლობის დასაბუთებას; პირიქით, მისი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია სხვისი ქმედობის დასჯადობაზე“<sup>1</sup>.

მაგრამ მითითება თანამონაწილეობის არადამოუკიდებელ ბუნებაზე არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის. რაში მდგომარეობს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველი? როგორ შეიძლება ისინი დაისაჯონ დანაშაულებრივი შედეგისათვის, რომლის წარმოშობაშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ? და რაში გამოიხატება მონაწილეობა სხვის ქმედობაში, თუ ისინი ქმედობასთან მიზეზობრივად არ არიან დაკავშირებული?

2. ყველა ეს სიბნელე, რომელიც წინ ეღობება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრას მეტაფიზიკური ინდეტერმინიზმის თვალსაზრისით, საბჭოთა სისხლის სამართალში არ შეიძლება არსებობდეს. საბჭოთა სისხლის სამართალი აღიარებს ადამიანის მოქმედების დეტერმინირებულებას, რომელიც არ უარყოფს არც მოქმედების თავისუფლებას, და არც პასუხისმგებლობას საკუთარი ქმედობისათვის. დიალექტიკური დეტერმინიზმი შორს არის მეტაფიზიკური დეტერმინიზმისაგან, რომელიც უარყოფს ადამიანის უნარს ბატონობდეს საკუთარ თავზე და რომლის მიხედვით ადამიანის ყველა მოქმედება ფატალურ აუცილებლობას ემორჩილება. დიალექტიკური მატერიალიზმი აღიარებს ადამიანის შესაძლებლობას — ბატონობდეს გარემო ბუნებაზე და საკუთარ თავზე, შესაძლებლობას — თავი აარიდოს უშუალო სიტუაციის ზემოქმედებას და დაუმორჩილოს თავისი საქმიანობა შეგნებულად დასახულ მიზანს. ეს კი აუცილებელია პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაჭრისათვის.

<sup>1</sup> Ф. Лист, Учебник уголовного права, Общая часть, Москва, 1903, стр. 247.

„დეტერმინიზმის იდეა, — წერს ვი. ლენინი, — ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, სწორედ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება, და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის“.<sup>1</sup>

ფსიქიკური კანონზომიერების განსაკუთრებული ხასიათი შესაძლებლობას გვაძლევს დავასაბუთოთ არა მარტო ამსრულებლის, არამედ აგრეთვე წამქეზებლის და დამხმარის მოქმედებათა მიზეზობრივი ხასიათი. ადამიანს აქვს უნარი ნებელობითი მოქმედების მეშვეობით ზემოქმედება მოახდინოს გარეშე სამყაროზე, დაუმორჩილოს მისი კანონზომიერებანი შეგნებულად დასახულ მიზანს. მაგრამ ამავე დროს ადამიანის ნებისყოფა განპირობებულია არა თვით ნებისყოფის მიერ, არა სიცარიელიდან, არამედ ადამიანის გარემოს მიერ. რამდენადაც ადამიანის ნებისყოფა დეტერმინირებულია გარემომცველი სამყაროთი, იმდენად ადამიანი თავისი ნებისმიერი მოქმედებით როდი იწყებს მიზეზობრიობის ახალ ჯაჭვს, რომელიც წყვეტს მიზეზობრიობის მანამდე არსებულ ჯაჭვს, არამედ განაგრძობს მას, შემატებს ახალ რგოლებს.

ამ თვალსაზრისით ძნელი არ არის მიზეზობრივი კავშირის დასაბუთება თანამონაწილეთა მოქმედებასა და განხორციელებულ დანაშაულებრივ შედეგს შორის.

თანამონაწილეთა მოქმედებასა და მათზე შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ წარმოადგენს სიძნელეს იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილის მოქმედება გამოიხატება ფიზიკური მონაწილეობით დანაშაულის ჩადენაში: მაგალითად, პირმა მიაწოდა ამსრულებელს იარაღი მკვლელობის ჩასადენად, ან მიუტანა კიბე საწყობში შესაპარავად საწყობის გაქურდვის მიზნით ფიზიკური დამხმარე ქმნის აუცილებელ პირობას, რომლის გარეშე დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდებოდა.

უფრო რთული ხასიათი აქვს მიზეზობრივ კავშირს ფსიქიკურ თანამონაწილეს (წამქეზებელს, ფსიქიკურ დამხმარეს) და დანაშაულებრივ შედეგს შორის. ფსიქიკური თანამონაწილე არ იღებს ფიზიკურ მონაწილეობას არც დანაშაულის შესრულებაში და არც მის მომზადებაში. იგი

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გამ. მე-4, გვ. 176.



მხოლოდ ზემოქმედებას ახდენს ამსრულებლის ნებაზე. თანაც ამსრულებელი, რომლის ნებაზეც ზეგავლენას ახდენს ფსიქიკური თანამონაწილე, არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო იარაღად, უბრალო საშუალებად, როგორც ეს ხდება შუალობითი ამსრულებლობის დროს, როდესაც ფიზიკური ამსრულებლის მოქმედება გათანაბრებულია ბუნების ძალთა მოქმედებასთან. ფსიქიკური თანამონაწილის ზემოქმედება გაივლის ამსრულებლის ცნობიერებაში, გახდება მისი ნებელობითი მოქმედების მოტივი და ამგვარად ჩაერთვის მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში. ადამიანის მოქმედების დეტერმინირებული ხასიათის გამო ფსიქიკური თანამონაწილის მოქმედება არ რჩება ამგვარად მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის გარეშე, არამედ მის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს. წამქეზებელი ის პირია, ვინც მეორე პირში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას აღძრავს. ხშირად იგი დანაშაულის ინიციატორია, მისი იდეური სულის ჩამდგმელია. იგი უნერგავს მეორე პირს დანაშაულის ჩადენის იდეას, აღუძრავს ამსრულებელს ისეთ მოტივებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ამსრულებლის განზრახვის ჩამოყალიბებისათვის. რაც შეეხება ფსიქიკურ დამხმარეს, იგი თუმცა უშუალოდ არ აღუძრავს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, რომელიც მის გარეშეა აღძრული, მაგრამ განამტკიცებს ამსრულებლის განზრახვას, აძლიერებს დანაშაულის ჩადენის მოტივებს და, პირიქით, ასუსტებს მის შემაფერხებელ მოტივებს.

3. ის დებულება, რომ თანამონაწილეთა მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან, აღიარებულია საბჭოთა კრიმინალისტიკის უმრავლესობის მიერ<sup>1</sup>. მას განუხრელად ადგია საბ-

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად: А.А. Пшонтковский, Уголовное право. Общая часть, Москва., 1924, стр. 182, 188, 190, 196; მისივე, Советское уголовное право, т. I, М. Л. 1929, стр. 301, 307-308, 310-312, მისივე, Учение о преступлении, М., 1961, стр. 552-555. А.Н. Трайнин, Уголовное право, часть общая, М., 1929, стр. 338-339; მისივე, Учение о соучастии, М., 1941, стр. 64-68, 105, 130 и др. მისივე, Состав преступления по советскому уголовному праву, М., 1951, стр. 291-292; მისივე, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 275; А.А. Герцензон, Уголовное право. Часть общая, М., 1948, стр. 366, 377; М.Л. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, Л., 1955, стр. 150-151, 153-154; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении, М., 1958, стр. 10-15, 45-47; П.И. Гришасев, Г.А. Кригер. Соучастие по уголовному праву, М., 1959, стр. 20-23, И.И. Ковалев, Понятие соучастия, часть первая, Свердловск, 1960, стр. 230-234.

ჭოთა სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს შედეგთან.

ამაზე მითითებულია მაგალითად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1942 წლის 15 ივლისის განჩინებაში კოსენკოვისა და იაკუშინის საქმეზე. მათ ბრალდებოდნენ კოლმეურნეობის მიერ მათთვის გასაშრობად გადაცემული საკოლმეურნეო ხორბლეულის მითვისება, ხოლო მათი ცოლები მიცემულ იქნენ პასუხისმგებლობაში, როგორც მათი დამხმარენი. „ის გარემოება, — ნათქვამია სასამართლო კოლეგიის განჩინებაში, — რომ გაშრობილი ხორბლეული კოსენკოვამ და იაკუშინამ თავიანთი ქმრების დავალებით ტომარაში ჩაყარეს და საკუჭნაოში შეიტანეს, არ შეიძლება გამოდგეს იმის საფუძველად, რომ ცნობილ იქნეს კოსენკოვასა და იაკუშინას ბრალი თანამონაწილეობაში, ვინაიდან ამ მოქმედებებს არავითარ შემთხვევაში არ შეუწყვიათ ხელი კოსენკოვისა და იაკუშინის მიერ მიღებული ხორბლის არდაბრუნებისათვის. ეს ხორბალი მათ უნდა დაებრუნებინათ იმისდა მიუხედავად, ტომარაში ეყარა იგი, თუ ტარაში, სახლში იყო შენახული, თუ საკუჭნაოში“<sup>1</sup>.

ამ განჩინებაში ხაზგასმულია მიზეზობრივი კავშირის არსებობის აუცილებლობა თანამონაწილის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. კოსენკოვასა და იაკუშინას მოქმედება არ წარმოადგენდა მათი ქმრების მიერ ჩადენილი დანაშაულის აუცილებელ პირობას: მათ მოქმედებას ადგილიც რომ არ ჰქონებოდა, დანაშაულებრივი შედეგი მაინც განხორციელდებოდა. მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო კოსენკოვა და იაკუშინა ცნობილი არ იქნენ თანამონაწილეებად მათი ქმრების მიერ ჩადენილ დანაშაულში და განთავისუფლდნენ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

იგივე დებულება ხაზგასმული იყო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1944 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში ზეინალოვის საქმეზე. საქმის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: მოქ. პასანოვი, რომელმაც მოჰკლა მოქ. აბასოვი, მისმა ამხანაგებმა მკვლელობის შემდეგ მიიყვანეს ზეინალოვის

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1942, вып. II, стр. 2.

სახლში, სადაც პასანოვმა სისხლი მოიბანა და ტანისამოსი გაიწმინდა. სასამართლო კოლეგიამ სცნო, რომ ზეინალოვის მოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, არ არის მიზეზობრივ კავშირში აბასოვის მკვლელობასთან, და ამ საფუძველზე ზეინალოვის მიმართ აღძრული საქმის წარმოება მოსპო. ეს განჩინება გამოქვეყნებულია შემდეგი სათაურით: „დანაშაულის ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენის შემდეგ ამა თუ იმ მომსახურების გაწევა, რაც თუმცა ერთგვარ კავშირშია დანაშაულთან, მაგრამ დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვაში არ გამოიხატება, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დახმარება დანაშაულში“<sup>1</sup>.

მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა თანამონაწილის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 15 მარტის დადგენილებაში სერგეევის საქმეზე. დადგენილებაში მითითებულია: „...პირი რომ დამნაშავედ ვცნოთ თანამონაწილეობაში, აუცილებელია დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი ამ პირის მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის...“<sup>2</sup>.

სხვა შეხედულებას იზიარებდა ა. ვიშინსკი, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის არ თვლიდა აუცილებლად მიზეზობრივ კავშირს მათ მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. „ეჭვს იწვევს, – წერდა იგი, – სისწორე თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრისა, როგორც ისეთი მოქმედებისა, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან... თანამონაწილეობის ცნებისათვის აუცილებელია არა მიზეზობრივი კავშირი, არამედ საერთოდ პირის რაიმე კავშირი ჩადენილ დანაშაულთან“. ამ დებულების განსამტკიცებლად ვიშინსკი მიუთითებდა ინგლისის სისხლის სამართალზე, რომელიც, მისი აზრით, სწორ დებულებებს აყალიბებს თანამონაწილეობის საკითხში. თანაც ა. ვიშინსკის ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რამდენად აფართოებს ინგლისის სამართალი თანამონაწილეთა წრეს. იგი აღნიშნავდა: „ინგლისის სამართლის მიხედვით, თუ ვინმემ დამალა პირი, ვისაც ჩადენილი აქვს ფელონია (ჯაშუშობა)

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР 1944 г“. 1945 вып I, (XVII), стр. 10.

<sup>2</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1963 №3, стр. 11.

ან აღმოუჩინა მას რაიმე დახმარება ან მხარდაჭერა, ის განიხილება როგორც ამ დანაშაულის დამატებითი მონაწილე; დამატებით მონაწილედ ითვლება ისიც, ვინც იცის, რომ სხვა პირმა ჩაიდინა ფელონია და თავს არიდებს გამოვიდეს მოწმედ მის წინააღმდეგ, არ სურს ზელი შეუწყოს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, აგრეთვე ისიც, ვინც ფელონიისათვის მსჯავრდებულ პირს მიაწოდებს იარაღს საპატიმროს კარების, ან ბოქლომის გასატეხად და გასაქცევად. ბოლოს ისიც, ვინც მისცემს მსჯავრდებულს თანხას საპატიმროს დარაჯის მოსასყიდად საპატიმროდან გაქცევის მიზნით“..

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რა შორს მიდიოდა ვიშინსკი, როდესაც იგი გვთავაზობდა მიზეზობრივი კავშირის უარყოფას თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის და მის მაგივრად „რაიმე კავშირის“ შემოღებას. „რაიმე კავშირის“ ცნება იმდენად ფართო და განუსაზღვრელია, რომ ამას შეიძლებოდა შედეგად მოკპოლოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ისეთი პირების მიცემა, რომელთაც არათუ მონაწილეობა არ მიუღიათ დანაშაულის ჩადენაში, არამედ არც კი იცოდნენ მის შესახებ. როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. პინჩუკი, „ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ცნება „კავშირი საერთოდ“, როგორც თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის ობიექტური პირობა, ისეთი თვალსაჩინო გაურკვევლობით გამოირჩევა, რომ მის გაზიარებას შეეძლო დიდი ზიანი მიეყენებინა (და მიაყენა კიდევაც, როგორც გამოირკვა ბერიას და სხვათა დანაშაულებრივი საქმიანობის გამომჟღავნების შედეგად) სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის“<sup>1</sup>.

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ა. ვიშინსკი თავისი დებულების დასამტკიცებლად იმოწმებს ყველაზე უფრო ჩამორჩენილ საკანონმდებლო სისტემას დასავლეთ ევროპაში. ცნობილია, რომ ინგლისის სისხლის სამართალი არა მარტო თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში, არამედ მრავალ სხვა საკითხშიც განვითარების მეტად დაბალ დონეზე დგას. და მართლაც, დანაშაულის კვალის დამფარავთა და სხვა შემხე-

---

<sup>1</sup> В.И. Пинчук, Состав преступления и проблема ответственности за соучастие особого рода, „Вестник Ленинградского университета“ №17, 1959, стр. 132.

ბელთა გათანაბრება დანაშაულში თანამონაწილეებთან დამახასიათებელია საშუალო საუკუნეების ფეოდალური სამართლისათვის და დიდი ხანია უარყოფილია შედარებით უფრო დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ბურჟუაზიული სისხლის სამართლისათვის. მით უფრო მიღებულია იგი საბჭოთა სისხლის სამართლისათვის, რომელიც ტექნიკურად დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული და შეუძლებლად თვლის ადამიანის პასუხისმგებლობას სხვისი ბრალისათვის.

ვიშინსკის თეორიის მანვე ხასიათი განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრაში. ვიშინსკი ამტკიცებდა, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრს უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ ორგანიზაციის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედობისათვის, თუნდაც მას ამ დანაშაულებრივ ქმედობებთან არავითარი უშუალო კავშირი არ ჰქონდეს და მათ ჩადენაზე თანხმობა არ განეცხადებინოს. ვიშინსკის შეხედულება დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო როგორც თეორიული საფუძველი უდანაშაულო პირთა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. ვიშინსკის დებულება საკანონმდებლო წესით იქნა ფორმულირებული ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამია: „დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრი პასუხს აგებს არა მარტო იმ დანაშაულისათვის, რომელშიც ის უშუალო მონაწილეობას იღებდა, არამედ იმ დანაშაულისთვისაც, რომელიც დანაშაულებრივი ორგანიზაციის სხვა წევრებმა ჩაიდინეს, თუ მან იცოდა, რომ ამ დანაშაულთა ჩადენა შედის დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში“.

ვიშინსკის შეხედულება დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრთა პასუხისმგებლობის შესახებ სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. ეს შეხედულება ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის მიხედვით დანაშაულის ყოველმა მონაწილემ პასუხი უნდა აგოს იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი ბრალი და მისი მონაწილეობის ხარისხი დანაშაულის ჩადენაში. „პრაქტიკაში ამ დებულებას შეეძლო გამოეწვია დაუსაბუთებელი მსჯავრის დადება, დაუსაბუთებელი მკაცრი, უსამართლო სასჯე-

ლის დადება იმ პირებისადმი, ვისი ბრალიც უმნიშვნელო იყო“<sup>1</sup>.

დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრის დროს საბჭოთა სისხლის სამართალმა არ შეიძლება უგულებელყოს პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები, რომლებიც სოციალისტური დემოკრატიზმისა და ჰუმანიზრობის საწყისებიდან გამომდინარეობენ. ამ შემთხვევაშიც პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაშიც იგი მონაწილეობას იღებდა და რომელიც მისი ბრალითაა მოცული. რა თქმა უნდა, ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობის ფაქტი, თავისთავად, კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენის გარეშეც, დამოუკიდებელი დანაშაულია და ასეთ ორგანიზაციაში შესული პირი პასუხს აგებს ამ დანაშაულისათვის (სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-19 მუხლი). მაგრამ შეუძლებელია გავათანაბროთ იმ პირის მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ინდივიდუალური ბრალი, ვისი საქმიანობაც მხოლოდ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში შესვლით ამოიწურა, იმ პირის მოქმედების საშიშროებასთან და ბრალთან, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯამუშობის კონკრეტული აქტების ან ტერორისტული აქტების ჩადენაში. ცხადია, საბჭოთა სასამართლო ორგანოები აუცილებლად მხედველობაში მიიღებენ ამ განსხვავებას და არ მოსთხოვენ დამნაშავეს პასუხს ისეთი ქმედობისათვის, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიუღია და არც მისი ჩადენის თანხმობა მიუცია. რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი საბჭოთა სამართალი პირის მონაწილეობას კონკრეტულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებაში, თუნდაც იმ ფაქტიდან ჩანს, რომ იგი ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან საბჭოთა კავშირის მოქალაქეს, რომელიც ჩართია უცხოეთის დაზვერვამ სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრული

---

<sup>1</sup> „Коммунист“, 1956 г. №11, стр. 21-22; იხ. აგრეთვე, В.Н. Николаев, Преодоление неправильных теорий в уголовном праве – важное условие укрепления социалистической законности“, „Коммунист“, 1956 г. №14, стр. 54; А.А. Пионтковский и В.М. Чхиквадзе, Укрепление социалистической законности и некоторые вопросы теории советского уголовного права и процесса, „Советское государство и право“ 1956, №4, стр. 29-30; А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 581-582.

საქმიანობისათვის, თუ კი ამ მოქალაქეს არაფერი გაუკეთებია დანაშაულებრივი დავალების შესასრულებლად და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს, რომ კავშირი აქვს უცხოეთის დაზვერვასთან (სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მუხ. 1, პ. „ბ“).

4. დებულება, რომ თანამონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი პირი, ვისი ქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თანდათანობით ყალიბდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გამოცემული დეკრეტები არ განასხვავებენ თანამონაწილეობას შემხებლობისაგან, ე.ი. ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც თუმცა დაკავშირებულია ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, მაგრამ მიზეზობრივ კავშირში არ არის მასთან. ასეთია დანაშაულის კვალის დაფარვა, მიმნებებლობა და განუცხადებლობა. რსფსრ-ის სახკომსაბჭოს 1918 წლის 8 მაისის დეკრეტი მექრთამეობის შესახებ მიუთითებდა, რომ ქრთამის ამღებთან ერთად პასუხს აგებენ ქრთამის მიმცემი, წამქეზებელი, დამხმარე და შემხებელი. იმავე სახკომსაბჭოს 1918 წლის 22 ივლისის დეკრეტი სპეკულაციის შესახებ მიუთითებდა, რომ წამქეზებლები, დამხმარენი და შემხებლები ისჯებიან მთავარი დამნაშავის თანაბრად. 1918 წლის 30 ივლისის დეკრეტი „საგანგაშო ზარის შესახებ“ აგრეთვე ითვალისწინებდა შემხებლების დასჯადობას ამსრულებლის თანაბრად. აღნიშნული დეკრეტები არ თვლიან შემხებლობას დამოუკიდებელ დანაშაულად და მის დასჯადობას მთავარი დამნაშავის დასჯადობასთან აიგივებენ<sup>1</sup>.

1919 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისების“ თანახმად შემხებლობა თანამონაწილეობის სახედ ითვლებოდა. „სახელმძღვანელო საწყისების“ 24-ე მუხლში ნათქვამი იყო: „დამხმარედ ითვლება ის, ვინც უშუალო მონაწილეობას არ იღებდა დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენაში, მაგრამ ხელს უწყობდა მის შესრულებას სიტყვით ან საქმით, რჩევით, დაბრკოლების აცილებით, დამნაშავის

---

<sup>1</sup> სხვაგვარად არგულობენ ამ საკითხს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1918 წლის 25 დეკემბრის დადგენილება დეზერტირობის შესახებ, რომელიც განიხილავს დეზერტირის დაფარვას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს და მისთვის განსაკუთრებულ სასჯელს აწესებს. სახელდობრ, თუ დეზერტირის მეტად მძიმე სასჯელი მოელოდა, თვით სიკვდილით დასჯაც. დამფარავს შეიძლებოდა შეფარდებოდა მხოლოდ გამასწორებელი სამუშაო 5 წლამდე.

ან დანაშაულის კვალის დაფარვით ან მიმნებებლობით, ე.ი. დანაშაულის ჩადენისათვის ხელის არ შეშლით“.

ამ განმარტების თანახმად, დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვა, აგრეთვე დანაშაულის მიმნებებლობა იმისდა მიუხედავად, წინასწარ იყო თუ არა აღთქმული ეს დაფარვა ან მიმნებებლობა, თანამონაწილეობად ითვლებოდა.

შემხებელთა გათანაბრება დანაშაულის თანამონაწილეებთან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში იმით აიხსნებოდა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას საჭიროდ მიაჩნდა გადამწყვეტი ზომების მიღება ისეთ მძიმე დანაშაულთა აღმოსაფხვრელად, როგორც იყო კონტრრევოლუციური დანაშაული, მექრთამეობა, სპეკულაცია და სხვ. კერძოდ მიმნებებლობის მკაცრი დასჯადობით მას სურდა ფართოდ ჩაება თვით საზოგადოებრიობა დანაშაულთან ბრძოლაში. მართლაც, საზოგადოებრიობის აქტიურმა საქმიანობამ, მიმართულმა დანაშაულის ჩადენის წინასწარ ასაცდენად, სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციის პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დანაშაულობის შემცირების საქმეში.

1922 წლის კოდექსი უკვე აღარ ითვალისწინებს მიმნებებლობას როგორც თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახეს. რაც შეეხება დანაშაულის კვალის დაფარვას, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კერძოდ, 1958 წლის საფუძვლების მიღებამდე, თანამონაწილეობად ითვლებოდა.

1922 წლის კოდექსი დანაშაულის თანამონაწილეობა (დამხმარება) შორის ითვალისწინებდა იმას, „ვინც ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას რჩევით, მითითებით, დაბრკოლების აცილებით, დამნაშავის და დანაშაულის კვალის დაფარვით“ (მუხ. მე-16).

სახელმძღვანელო საწყისებისა და 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ზემოთ დასახელებული მუხლები საფუძველს იძლეოდნენ დანაშაულის დაფარვის ცნების სხვადასხვაგვარად გაგებისათვის. რამდენადაც დაფარვამ მხოლოდ მაშინ შეიძლება შეუწყოს ხელი დანაშაულის ჩადენას, როდესაც ეს დაფარვა წინასწარ არის აღთქმული, ამდენად საფუძველს მოკლებული არ იყო ის აზრი, რომ სახელმძღვანელო საწყისები და 1922 წლის კოდექსი თანამონაწილეობად (დამხმარებად) თვლიან არა ყოველგვარ დაფარვას, არამედ მარტო ისეთს, რომელიც წინასწარ იყო შეპირებული. მეორე მხრით, თუ 1922



წლის კოდექსი წინასწარ შეუპირებულ დაფარვას თანამონაწილეობად არ თვლიდა, მაშინ მას განსაკუთრებულ ნაწილში უნდა გაეთვალისწინებინა წინასწარ აღუთქმელი დაფარვა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, მიმართული მართლმსაჯულების წინააღმდეგ. ამიტომ გასაგებია, რომ ზემოაღნიშნულმა მუხლებმა საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პირიქით, სასამართლო პრაქტიკა ერთ გარკვეულ გზას დაადგა, სახელდობრ, მან უარყო რაიმე პრინციპული განსხვავება წინასწარ აღუთქმულ და წინასწარ აღუთქმელ დაფარვას შორის. ასე მაგალითად, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1926 წლის 20 დეკემბრის დადგენილებაში მიუთითა, რომ თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს ისეთი პირებიც, რომლებსაც თუმცა მონაწილეობა არ მიუღიათ მკვლელობაში, მაგრამ ხელი შეუწევს მკვლელობის დაფარვას ძირითადად დამნაშავეთა ბრალის თავის თავზე აღების მეშვეობით<sup>1</sup>.

ეს შეხედულება სავსებით გარკვევით გატარებული იყო რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, დამხმარედ ითვლებოდა ის, „ვინც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას რჩევით, მითითებით, საშუალების მიწოდებით და დაბრკოლების აცილებით ან დამნაშავეს და დანაშაულის კვალის დაფარვას“. ამგვარად, მე-17 მუხლის თანახმად დამხმარენი ორ კატეგორიად განიყოფებოდნენ: პირველ კატეგორიას ეკუთვნოდნენ ის პირები, რომელნიც ხელს უწყობდნენ დანაშაულის ჩადენას, ხოლო მეორე კატეგორიას – ის პირები, რომელნიც ხელს უწყობდნენ დამნაშავეს ან დანაშაულის კვალის დაფარვას.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის ამ პოზიციას ადგნენ დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებიც, გარდა უზბეკეთის სსრ 1926 წლის, უკრაინის სსრ 1927 წლის და საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსებისა. აღნიშნული კოდექსები მკვეთრად განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან დაფარვას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, და დაფარვას, რომელიც დანაშაულის ჩადენას ხელს არ უწყობს. პირველი სახის დაფარვად ითვლებოდა წინასწარ შეპირებული დაფარვა. იგი განიხილებოდა როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში. მეორე სახის დაფარვად ითვლებოდა ისეთი

<sup>1</sup> „Еженедельник советской юстиции“, 1927, №6.

დაფარვა, რომელიც წინასწარ შეპირებული არ იყო. ეს უკანასკნელი განიხილებოდა არა როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ როგორც დამოუკიდებელი ქმედობა, რომელიც იწვევდა პასუხისმგებლობას მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკითხი დანაშაულის დაფარვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ დავას იწვევდა საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაშიც. საბჭოთა კრიმინალისტიკის ერთი ნაწილი იზიარებდა რუსსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის შეხედულებას დაფარვაზე და თვლიდა, რომ პასუხისმგებლობა წინასწარ შეპირებული და წინასწარ შეუპირებელი დაფარვისათვის ერთნაირი უნდა იყოს. სახელდობრ, ყოველმა დამფარავმა პასუხი უნდა აგოს როგორც იმ დანაშაულის თანამონაწილემ, რომელსაც იგი ჰფარავს. მაშასადამე, მან, ვინც მკვლეელი დამალა, პასუხი უნდა აგოს როგორც ამ მკვლელობის მონაწილემ, თუნდაც მკვლელობის შესახებ მხოლოდ დანაშაულის დამთავრების შემდეგ შეიტყოს.

ამ შეხედულებას განსაკუთრებით დაჟინებით ა. ვიშინსკი იცავდა. აკრიტიკებდა რა ცნობილ საბჭოთა კრიმინალისტს ა. პიონტკოვსკის, ვიშინსკი ამბობდა: „პიონტკოვსკის აზრით, დაფარვა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დახმარებად, როდესაც იგი წინასწარ შეპირებული იყო ამსრულებლისათვის, მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე. ეს სწორი არ არის. დაპირება არ არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რათა დაფარვა დახმარებად ვალიაროთ“.

ვიშინსკის ასეთი შეხედულება დაფარვაზე ლოგიკურად გამოძინარეობს მისი დებულებიდან, რომ თანამონაწილეობისათვის არ არის საჭირო მიზეზობრივი კავშირის არსებობა თანამონაწილის მოქმედებასა და მანვე შედეგს შორის.

თუმცა ვიშინსკის შეხედულებას თანამონაწილეობაზე საბჭოთა კრიმინალისტიკის უმრავლესობა არ იზიარებდა, მაგრამ მაინც ზოგიერთი ავტორი უარყოფდა მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას თანამონაწილეობისათვის. ასე, მაგალითად, ი. ი. ბრაინინი წერდა: „მიზეზობრივ კავშირს საერთოდ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის“<sup>1</sup>. რ. ა. სრულინსკი-ბურბოც ამტკიცებდა: „მიზეზობრივი

<sup>1</sup> Юридический сборник Киевского госуниверситета им. Т. Шевченко, 1952, N 5, стр. 135.

კავშირი თანამონაწილის საქმიანობასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილ მოქმედებას შორის არ წარმოადგენს თანამონაწილეობის აუცილებელ, კონსტიტუციურ ელემენტს საბჭოთა სისხლის სამართალში<sup>1</sup>.

მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის უარყოფდა აგრეთვე პ. მიშუნინი. იგი წერილში შემხებლობის შესახებ აღნიშნავდა:

„ჩვენ ვიცით, რომ მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეთა მოქმედებასა და ამსრულებლის მოქმედებით განხორციელებულ დანაშაულებრივ შედეგს შორის არ წარმოადგენს თეორიულ საფუძველს საბჭოთა სისხლის სამართალში თანამონაწილეობის კონსტრუქციისათვის.

თანამონაწილეობის ცნებისათვის აუცილებელია მინიმალური სუბიექტური კავშირი თანამონაწილეთა შორის. ეს მინიმალური სუბიექტური კავშირი იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ წამქეზებელმა და დამხმარებელმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი თავისი მოქმედებით ხელს უწყობენ ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში საქმიანობისათვის მათ ყველამ ერთად უნდა აგონ პასუხი სისხლის სამართლის წესით თანამონაწილეობისათვის“<sup>2</sup>.

როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, მიშუნინს საკმარისად მიაჩნდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, თუ თანამონაწილენი ფიქრობენ, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობენ დანაშაულს. მაშასადამე ობიექტური მიზეზობრივი კავშირის მაგივრად მას შემოაქვს სუბიექტური მინიმალური კავშირი და ასეთ კავშირს საკმარისად თვლის პასუხისმგებლობისათვის. ეს შეხედულება მეტად უახლოვდება ბურჟუაზიული იურისტის ბირლინგის შეხედულებას, რომელსაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველი აგრეთვე მთლიანად სუბიექტურ სფეროში გადაჰქონდა.

კრიმინალისტები, რომლებიც უარყოფდნენ მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, ცდილობდნენ

---

<sup>1</sup> Р. А. Хрулинский-Бурбо, Против института прикосновенности в теории советского уголовного права. „Ученые записки Саратовского юридического института имени Д. И. Курского,“ вып. 3, 1952, стр. 168.

<sup>2</sup> П. Мишулин, Институт прикосновенности к преступлению в советском уголовном праве, „Социалистическая законность“, 1956, №11, стр. 10.

დაემტკიცებინათ, რომ იმ საკითხის გადასაწყვეტად, უნდა ჩაითვალოს თუ არა დანაშაულის დაფარვა თანამონაწილეობად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, წინასწარ იყო თუ არა შეპირებული დაფარვა დამფარავის მიერ. ასე, მაგალითად მ. მერკუშევი ასაბუთებდა, რომ დანაშაულის დაფარვის დაყოფა ორ სახედ – წინასწარ შეპირებულად და წინასწარ შეუპირებლად – მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და მან შეიძლება შეუქმნას პრაქტიკას დაუძლეველი დაბრკოლებები<sup>1</sup>.

ის სხვადასხვაობა, რომელიც არსებობდა დანაშაულის დაფარვის საკითხის გადაწყვეტისას მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში და სისხლის სამართლის თეორიაში, უარყოფით ზეგავლენას ახდენდა საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობაზე. იგი იწვევდა მკვეთრ სხვაობას დანაშაულის დაფარვის კვალიფიკაციაში, რაც ეწინააღმდეგებოდა ერთიანი სოციალისტური კანონიერების განხორციელების პრინციპს. საჭირო იყო დადგენა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში დაფარვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთგვაროვანი წესისა. ეს ერთგვაროვანი წესი მართლაც შეიმუშავა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც 1958 წლის დეკემბერში იქნა მიღებული. ახალი საფუძველების მიხედვით, „დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ დაჰპირდა, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულბრივი გზით ნაშოვნ საგნებს“ (საფუძველების მე-17 მუხლის მე-ნაწ). ამასთან ერთად საფუძველების მომდევნო (მე-18) მუხლში ნათქვამია: „დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულბრივი გზით ნაშოვნი საგნების დაფარვა, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული, იწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით“. ანალოგიური მუხლები უცვლელად იქნა გადატანილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში (საქ. სსრ სისხლის

<sup>1</sup> М. Меркушев, Ответственность за укрывательство, „Социалистическая законность“, 1955, №1, стр. 19.

სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-6 ნაწ., მე-20 მუხ). აღნიშნულის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში შეტანილია მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისათვის.

აღნიშნულ დებულებას იზიარებენ აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები. ასე, მაგალითად, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „დამხმარენი არიან ის პირები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დანაშაულის ჩადენას რჩევით, დარიგებით, საშუალებათა მიცემით და დაბრკოლების აცილებით ან დამნაშავისა და დანაშაულის კვალის დაფარვის დაპირებით“ (მუხ. მე-13). ამგვარადვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი დამხმარედ თვლის იმ პირს, ვინც „განზრახ აადვილებს დანაშაულის ჩადენას რჩევით, განმარტების მიცემით, დაპირებით, რომ აღმოუჩენს დახმარებას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დაბრკოლების აცილებით, საშუალების მიცემით ან სხვ გზით“ (მუხ. მე-16). დაბოლოს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მიუთითებს, რომ დამხმარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც „დახმარება გაუწვია სხვა პირს დანაშაულის ჩადენაში... დანაშაულის ჩადენის შემდეგ დახმარების აღმოჩენის დაპირებით“ (§10).

ამგვარად დღევანდელი საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობა, მკვეთრად განასხვავებს წინასწარ შეპირებულ დაფარვას როგორც დანაშაულში თანამონაწილეობას, წინასწარ შეუპირებელი დაფარვისაგან როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსების ასეთი პოზიცია სავსებით დასაბუთებულა.

წინასწარ შეპირებული დაფარვა დგას მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან. ეს დებულება ისე კი არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან თვით დაფარვის ფაქტია. დანაშაულის დაფარვას ადგილი აქვს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ და ამიტომ იგი არასდროს არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში ამ დანაშაულთან, ვინაიდან მიზეზი აუცილებლად უნდა უსწრებდეს შედეგს. სინამდვილეში მიზეზობრივ კავ-

შირში შედეგთან არის დამნაშავეისა და დანაშაულის დაფარვის დაპირება: თავისი დაპირებით, რომ დაფარავს ჩადენილ დანაშაულს, პირი განამტკიცებს ამსრულებლის განზრახვას; ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება შინაგანად უფრო თავისუფალი და გაბედული ხდება; სუსტდება ის მოტივები, რომელნიც ხელს უშლიდნენ დამნაშავეს ჩადენა დანაშაული. მაგალითად, დამნაშავეის შიშს, რომ მოპარული ნივთების კვალზე მას მიაგნებენ და დააპატიმრებენ, ასუსტებს ამ ნივთების გადამალვის დაპირება. ამრიგად დაფარვის დაპირება დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს: დაპირება რომ არ ყოფილიყო, დანაშაული ჩადენილი არ იქნებოდა. სწორედ ამიტომ ის, ვინც პირდება სხვას დანაშაულის დაფარვას, ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეა, მისი ფსიქიკური დამხმარეა.

სულ სხვაა დანაშაულისა და თვით დამნაშავეის დაფარვა, რომელიც წინასწარ აღთქმული არ იყო. იგი ხელს არ უწყობს დანაშაულის ჩადენას, არ აადვილებს მას, არ წარმოადგენს მის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. დამფარავი მოქმედებს მას შემდეგ, როდესაც დანაშაული უკვე ჩადენილია. ობიექტურად მისი მოქმედება ხელს უწყობს იმას, რომ დანაშაული არ იქნეს გახსნილი, ან დამნაშავემ თავი აარიდოს დამსახურებულ სასჯელს, ან ისარგებლოს დანაშაულით მოპოვებული ნივთებით.

დანაშაულის დაფარვის წინასწარ დაპირება განსხვავდება წინასწარ შეუპირებელი დაფარვისაგან თავისი სუბიექტური შემადგენლობის მხრივაც. პირველ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს, რომ თავისი დაპირებით ხელს უწყობს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას, სურს დანაშაულებრივი შედეგი ან შეგნებულად უშვებს მას. ხოლო დამფარავის განზრახვა სულ სხვა საგანზეა მიმართული: დამფარავი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობს დამნაშავეს თავიდან აიცილოს დამსახურებული სასჯელი, სურს ეს ამბავი ან შეგნებულად უშვებს მას.

ამავე პოზიციაზე დგას უკანასკნელი წლების საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1958 წლის 29 ნოემბრის განჩინებაში მიუთითა, რომ ი. არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ ოქროს საათის მოპარვაში, ვინაიდან დანაშაულის ჩადენამ-

დე მას არ მიუცია ხ-სთვის დაპირება, რომ დაეხმარებოდა მოპარული რვა ცალი საათის რეალიზაციაში, და ამიტომ საათების გაყიდვა არ არის მიზეზობრივ კავშირში საათების გატაცებასთან. განჩინებაში ნათქვამია: „სათის გატაცებას ადგილი ჰქონდა ქ. ტაშკენტში, მაშინ, როდესაც ი. ცხოვრობდა ქ. ყაზანში, და ამიტომ მას არც შეეძლო აღმოეჩინა დახმარება ხ-სთვის ამ დანაშაულის ჩადენაში. იგი დანაშაულის ჩადენამდე არც დაპირებია ხ-ს, რომ დახმარებას აღმოუჩენდა გატაცებულის რეალიზაციაში. მაშასადამე, რაიმე მიზეზობრივი კავშირი ი-ს მოქმედებასა და ხ-ს მიერ საათის გატაცებას შორის არ არსებობს“<sup>1</sup>.

მიუხედავად საბჭოთა კანონმდებლობის სავესებით ზუსტი მითითებისა, ზოგიერთი სასამართლო მანც უშვებდა შეცდომებს აღნიშნულ საკითხში. ასე, მაგალითად, სომხეთის სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის 5 იანვრის განჩინებით მსჯავრი დასდო ტ. მასუმიანს ქურდობაში თანამონაწილეობისათვის. საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ ტ. მასუმიანმა გადამალა თავისი ძმის – ა. მასუმიანის მიერ გატაცებული ქონება. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის 20 ნოემბრის განჩინებაში მიუთითა: „სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ტ. მასუმიანის მიერ ჩადენილი დანაშაული. საქმეში არ არის იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ ტ. მასუმიანმა იცოდა ა. მასუმიანის მიერ ჩადენილ ქურდობათა შესახებ, ხელს უწყობდა ქურდობაში ან წინასწარ დაპირდა მოტაცებული საქონლის დამალვას. ტ. მასუმიანის მიერ ჩადენილი მოქმედება კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო როგორც წინასწარ შეუპირებული დაფარვა სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლით“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> „Судебная юстиция“, 1959, №3, стр. 90. იხ. აგრეთვე: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წ. 29 მაისის განჩინება ტ-ს, ტ-ს და კ-ს საქმეზე („Вюллетень Верховного Суда СССР“ 1964 4, стр. 40-45); რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წ. 18 ოქტომბრის განჩინება ბ-ს საქმეზე („Вюллетень Верховного Суда РСФСР“ 1962, №3, стр. 9); იმავე კოლეგიის 1962 წ. 30 მარტის განჩინება პ-ს საქმეზე („Вюллетень Верховного Суда РСФСР“ 1963, №9, стр. 5-6).

<sup>2</sup> „Вюллетень Верховного Суда СССР“, 1963, №3, стр. 31-32.

ზოგიერთი პრაქტიკული მომუშავე დღესაც თვლის, რომ წინასწარ შეპირებული და წინასწარ შეუპირებელი დაფარვის გამიჯვნა ზედმეტად ართულებს მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობას, ვინაიდან ზოგჯერ შეუძლებელია იმის დადგენა, იყო თუ არა წინასწარ მიცემული დაპირება დაფარვის შესახებ. როგორც ჩანს, ეს მუშაკები იმ ძველ მცდარ შეხედულებას იზიარებენ, რომ დაფარვის ამ ორ სახეს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს<sup>1</sup>.

ზოგიერთი სასამართლო, ქონების გატაცების დამფარავის, როგორც ამ გატაცების თანამონაწილის, დასასჯელად ისეთ თვალსაზრისს ატარებს, თითქოს ქონების გატაცება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს არა იმ მომენტში, როდესაც მოხდა ქონების ამოღება მესაკუთრის მფლობელობიდან და გადასვლა დამნაშავეის მფლობელობაში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდა მოტაცებული ქონების რეალიზაცია. ამ შეხედულებას დაადგა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმიც ღ-ს საქმეზე. ღ-მ სხვა პირებთან ერთად მოიპარა ქ. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკიდან საქონელი (ქსოვილი). ამის შემდეგ ს. და მისი ამხანაგები, საქონლის გამტაცებლებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაეხმარნენ ბოროტმოქმედთა მოპარული საქონლის გადაძალვაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ ს-ს და სხვა დამფარველებს მსჯავრი დასდო როგორც სახელმწიფო ქონების გატაცების თანამონაწილებს (დამხმარეებს). საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სავსებით მართებულად გადააკვალიფიცირა ს.-ს და სხვათა მოქმედება როგორც დანაშაულის დაფარვა (წინასწარ შეუპირებელი) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის შესაბამისად, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1961 წლის 31 მაისს გააუქმა პრეზიდიუმის დადგენილება ს.-ისა და სხვა დამფარავთა მიმართ და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი; პლენუმი თავის დადგენილებას იმით ასაბუთებდა, რომ ს. და სხვ. დახმარებას უწევდნენ ქონების დამტაცებლებს

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. Г. Алашкин, Об ответственности за заранее не обещанное укрывательство преступлений, приобретенные и сбыт заведомо похищенного имущества. „Социалистическая законность“, 1962, №10. стр.9.



იმ მომენტში, როდესაც დანაშაული ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და ბოროტმოქმედნი ცდილობდნენ მოპარული საქონლის გადამალვას. ეს დადგენილება გააუქმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა იმავე წლის 31 ივლისს. ამ უკანასკნელმა სცნო, რომ ს.-ს და სხვათა მოქმედება კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო როგორც წინასწარ შეუპირებული დაფარვა. თანაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ სახელმწიფო ქონების გატაცება დამთავრებულია უკვე იმ მომენტში, როდესაც მოხდა მისი ამოღება სახელმწიფო ორგანოს მფლობელობიდან და გადასვლა დამნაშავის მფლობელობაში<sup>1</sup>.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები საწინააღმდეგო შეცდომას უშვებენ და გამოაქვთ დასკვნა თანამონაწილეობის არარსებობის შესახებ იმ საფუძველზე, რომ თვით დანაშაულის დაფარვის ფაქტს ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ხოლო უგულვებელყოფენ იმას, რომ დამფარავი წინასწარ დაპირდა ძირითად დამნაშავეს დანაშაულის დაფარვას. „ასეთ შეცდომებს, – ნათქვამია სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის №11 დადგენილებაში „დანაშაულის წინასწარ შეუპირებული დაფარვისა და გატაცებულად შეცნობილი ქონების შეძენისა და გასაღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, – შეიძლება თან მოჰყვეს პასუხისმგებლობის გაუმართლებელი შემსუბუქება იმ პირებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების ან სხვა საშიში დანაშაულის თანამონაწილენი არიან“<sup>2</sup>.

რადგანაც მოქმედების კვალიფიკაცია თანამონაწილეობად თუ დაფარვად დამოკიდებულია იმაზე, იყო თუ არა დაფარვა წინასწარ შეპირებული, აუცილებელია დადგენილ იქნეს, თუ რა უნდა ჩაითვალოს დაფარვის წინასწარ შეპირებად. ამ საკითხზე ამომწურავ პასუხს იძლევა სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის №11 დადგენილება. აღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამია: „დანაშაულის დაფარვა... შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილეობად, თუ პირი დაპირდა დამნაშავეს ამ მოქმედების შესრულებას

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“ 1963 №2, стр. 21-22.

<sup>2</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, №1, стр. 17.

დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის დროს ან თუ რაიმე სხვა მიზეზით (მაგალითად, მისი სისტემატურად ჩადენის გამო) დანაშაულის ამსრულებელს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ასეთ დახმარებას მას აღმოუჩენენ“<sup>1</sup>.

ამ დადგენილებიდან ჩანს, რომ დამფარავი ან პირდაპირ უნდა შეუთანხმდეს დამნაშავეს, რომ აღმოუჩენს დახმარებას, ანდა მას წინასწარ ისეთი ხასიათის მოქმედებანი უნდა ჰქონდეს ჩადენილი, რომლებიც არაპირდაპირ ადასტურებენ მის თანხმობას და საფუძველს აძლევენ დამნაშავეს ივარაუდოს, რომ მას შემდეგშიც აღმოუჩენენ დახმარებას დანაშაულის დაფარვის სახით. ასეთი არაპირდაპირი თანხმობის დამამტკიცებელ საბუთის შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, ის გარემოება, რომ პირი წინათ სისტემატურად ეხმარებოდა ქონების გამტაცებლებს გატაცებული ქონების დაფარვაში.

ამგვარად, ამჟამად საბჭოთა სისხლის სამართალში ურყევად არის გაბატონებული შეხედულება, რომ თანამონაწილეობისათვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ დანაშაულთან. მაგრამ ეს მომენტი, თავისთავად აღებული, საკმარისი არ არის თანამონაწილეობისათვის. გარდა ობიექტური მხარისა, თანამონაწილეობა გულისხმობს პირის გარკვეულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულთან. როგორი უნდა იყოს თანამონაწილეობა ფსიქიკური კავშირი დანაშაულებრივ ქმედობასთან?

## §2 ბრალი თანამონაწილეობის დროს

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძველს, როგორც ცნობილია, ბრალი წარმოადგენს. ბრალის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა — ეს დებულება საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი

---

<sup>1</sup> იხ. „Биulletень Верховного Суда СССР“ 1962, №5, стр. 18. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1962 წ. 1 მარტის განჩინება უ-ს საქმეზე, რომელშიც ნათქვამია: „იმ საკითხზე, დაფარავს თუ არა უ. გატაცებულ ნივთებს მალაზიიდან მოპარვის შემდეგ, უ-სთან მოლაპარაკება არ ყოფილა, ვინაიდან ეს თავისთავად იგულისხმებოდა“. და შემდეგ: „...უ-ს მოქმედება განხილული უნდა იქნეს, როგორც დაფარვის წინასწარი დაპირება, გამოხატული მდუმარე თანხმობის სახით და ამიტომ უნდა დაკვალიფიციროს მე-17 მუხლისა და 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით.“ („Биulletень Верховного Суда СССР“ 1962 № 6, стр. 43).

პრინციპია. თავის თავად ცხადია, აღნიშნული დებულება ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისთვისაც. თანამონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც არა მარტო ობიექტურად განაპირობა თავისი მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი, არამედ აგრეთვე ბრალეულად გამოიწვია იგი.

საბჭოთა სისხლის სამართალი იცნობს ბრალის ორ სახეს – განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა თანამონაწილეობა ბრალის ამ ორივე სახის დროს, თუ იგი აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს?

ამ საკითხის შესახებ რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ერთნაირად არ წყვეტენ მას აგრეთვე საბჭოთა კრიმინალისტიებიც.

რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას შესაძლებლად თვლიდნენ, თუმცა სხვადასხვა ფარგლებში, პროფ. გ. კოლოკოლოვი, პროფ. ნ. სერგეევსკი, პროფ. პ. პუსტოროსლევი, პროფ. ს. პოზნიშევი. ყველაზე უფრო ფართოდ გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას პროფ. კოლოკოლოვი და პროფ. პუსტოროსლევი უშვებდნენ. კერძოდ, პროფ. კოლოკოლოვი შემდეგნაირად განსაზღვრავდა თანამონაწილეობის ცნებას: „თანამონაწილეობა არის რამდენიმე პირის ისეთი დამოკიდებულება ერთი შედეგისადმი, რომლის დროსაც თითოეულმა მათგანმა ბრალეულად განაპირობა ეს შედეგი რაიმე დადებითი მოქმედებით“<sup>1</sup>. ამგვარად, კოლოკოლოვი შესაძლებლად თვლიდა გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას. იმავე შეხედულებას იზიარებდა პროფ. პუსტოროსლევიც, რომელიც უშვებდა თანამონაწილეობის არსებობას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სულ ცოტა, ორი პირი „მოქმედობს ბრალეულად, თანაც ან განზრახ ან გაუფრთხილებლობით, ან ერთი – განზრახ, ხოლო მეორე – გაუფრთხილებლად“<sup>2</sup>.

ამგვარად, ამ ავტორების აზრით, თანამონაწილეობა არსებობს არა მარტო მაშინ, როცა ყველა მოქმედებს განზრახ ან ყველა მოქმედებს გაუფრთხილებლობით, არამედ მაშინაც, როდესაც თანამონაწილეთა ბრალი სხვადასხვაგვარია, მაგალითად, ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, ხოლო წამქეზებელი ან დამხმარე – გაუფრთხილებლად, ან პირიქით –

<sup>1</sup> Г. Колоколов, О соучастии в преступлении. М., 1881, стр. 51.

<sup>2</sup> П. П. Пусторослев, Русское уголовное право. Общая часть, Юрьев, 1912, стр. 429.

ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, ხოლო წამქეზებელი ან დამხმარე — განზრახ. ყველა ამ შემთხვევაში თანამონაწილეობას შესაძლებლად თვლის პროფ. პოზნიშევიც იმ შეზღუდვით მხოლოდ, რომ გაუფრთხილებლობით მოქმედ თანამონაწილეებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ მათ შეუერთეს თავისი მოქმედება სხვის მოქმედებას, თუნდაც გათვალისწინებული არ ჰქონდეთ ამ მოქმედების დანაშაულებრივი შედეგები<sup>1</sup>. კიდევ უფრო ზღუდავს გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის სფეროს პროფ. ნ. სერგეევსკი. მისი აზრით, თანამონაწილეობა გამორიცხული არ არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილე მოქმედებს გაუფრთხილებლად, ე.ი. არ ითვალისწინებს შედეგს, თუმცა შეუძლია იგი გაითვალისწინოს. მაგალითად, რამდენიმე ხურო მუშაობს სახლის სახურავზე: უფროსი ხურო, ყოველივე გამაფრთხილებელი ღონისძიების გარეშე, უბრძანებს დანარჩენებს გადაადგონ ჯირკი სახლის სახურავიდან; მეორე ასრულებს ბრძანებას, ხოლო მესამე ეხმარება იმით, რომ მოაქვს მისთვის თოკი და ბერკეტი. ჯირკი გადმოვარდება და ჰკლავს კაცს. ნ. სერგეევსკის აზრით, პირველი ხურო წამქეზებელია, მეორე — ამსრულებელი, ხოლო მესამე — დამხმარე<sup>2</sup>.

ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობებიდან გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის შესაძლებლობას ცნობს დანიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. დანიელი კრიმინალისტი ფრანც მარკუსი მიუთითებს, რომ ამ კოდექსით „გაუფრთხილებელი მონაწილეობა განზრახ დანაშაულებრივ ქმედობაში გამორიცხული არ არის, რამდენადაც ამ ქმედობის გაუფრთხილებლობით ჩადენა საზოგადოდ დასჯა-

<sup>1</sup> С. В. Познышев, Основные начала науки уголовного права. Общая часть, М., 1912, стр. 377-378, 387-388, 395-396.

<sup>2</sup> И. Л. Сергеевский, Русское уголовное право, Пособие к лекциям, часть общая, Петроград, 1915, стр. 318.

<sup>3</sup> Современное зарубежное уголовное право, т. I. изд. иностр. лит., М., 1957, стр. 143. განზრახ თანამონაწილეობას გაუფრთხილებელ დანაშაულში უშვებს აგრეთვე შეცივის სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ შევდი კრიმინალისტის პროფ. ბ. ზონკასალოს აზრით, არ იქნებოდა მართებული განზრახ მოქმედი თანამონაწილისთვის გვემარებინა გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი. პროფ. ბ. ზონკასალოს აზრით, უფრო სწორი იქნებოდა ასეთი წამქეზებელი და დამხმარე დაგვესაჯა არა როგორც გაუფრთხილებელი დანაშაულის თანამონაწილენი, არამედ როგორც განზრახ დანაშაულის შუალობითი შემსრულებელი (იხ. Современное зарубежное уголовное право, т. II, ИЛ. 1958, стр. 95).

დია. შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე თანამონაწილეობა გაუფრთხილებელ დანაშაულებრივ ქმედობაში<sup>1</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა 1958 წლის საფუძვლების მიღებამდე არ იძლეოდა თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრებას და ამიტომ საკითხი თანამონაწილეთა ბრალის შესახებ საკანონმდებლო წესით პირდაპირ გადაწყვეტილი არ იყო, ხოლო თეორიაში ეს საკითხი ერთგვარ დავას იწვევდა.

საბჭოთა სისხლის სამართალში კრიმინალისტების დიდი უმრავლესობა უარყოფდა გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას რაიმე სახით. გამონაკლისს წარმოადგენდნენ პროფ. ა. ტრაინინი და პროფ. ბ. შარგოროდსკი, რომლებსაც განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებლად მიაჩნდათ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა<sup>1</sup>. პროფ. ა. ტრაინინი ზღუდავდა გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის სფეროს ისეთი შემთხვევებით, როდესაც ყველა თანამონაწილე გაუფრთხილებლად მოქმედებს. მისი აზრით, „თანამონაწილეობა არ არსებობს, როდესაც ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, ხოლო მისი დამხმარე პირები – გაუფრთხილებლად. თანამონაწილეობა არ არსებობს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც განზრახ მოქმედებენ მესამე პირები, ხოლო ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლად. მაგრამ თანამონაწილეობა არსებობს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პირი ერთად იღენს ერთსა და იმავე გაუფრთხილებელ დანაშაულს“<sup>2</sup>.

აღნიშნული საკითხის გასაშუქებლად, საჭიროა შევხვთ ყველა შემთხვევას, როდესაც რამდენიმე პირის მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობს გაუფრთხილებლად მოქმედი.

პირველ ყოვლისა, გამოსარკვევია, შეიძლება თუ არა გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა განზრახ ჩადენილ დანაშაულში, – ან, პირიქით, განზრახი თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში. ჩვენის აზრით, თანამონაწილეობა ბრალის სხვადასხვა ფორმების დროს დაუშვებელია.

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, учение о соучастии, М., 1941, стр. 111-118; მისივე, Некоторые вопросы учения о соучастии, „Социалистическая законность“, 1957 №2, стр. 26-29; М. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, изд. Ленинградского университета, 1955, стр. 142-143.

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 114.

თანამონაწილეობა წარმოადგენს რამდენიმე პირის მონაწილეობას ერთი საერთო დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთიანობისათვის არ არის საკმარისი, რომ ყოველი მათგანის მოქმედება წარმოადგენდეს საზოგადოებრივად საშიში შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. დანაშაულის ერთიანობისათვის სუბიექტური მხარის ერთიანობაცაა საჭირო. ეს ერთიანობა შეიძლება მხოლოდ მაშინ არსებობდეს, როდესაც ყველა პირის საქმიანობა შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ. პირიქით, მას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი თანამონაწილე შეგნებულად წარმართავს თავის ნებას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, ხოლო მეორე პირი არც კი ითვალისწინებს ამ შედეგს. საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსები, როგორც წესი, ცალ-ცალკე აყალიბებენ განზრახი დანაშაულისა და გაუფრთხილებელი დანაშაულის შემადგენლობებს, თანაც განზრახი დანაშაული ყოველთვის უფრო მძიმედ ისჯება, ვიდრე იგივე ქმედობა, ჩადენილი გაუფრთხილებლობით. მაგრამ იმ შემთხვევებშიც, როდესაც გაუფრთხილებელი დანაშაული არ არის გამოყოფილი ცალკე შემადგენლობად, იგი იმდენად მსუბუქია განზრახ დანაშაულზე, რომ ბრალის ამ ორი ფორმით ჩადენილი ქმედობა სხვადასხვა პირების მიერ არ შეიძლება ჩაითვალოს მათ ერთობლივ ქმედობად. მაშასადამე, ერთი და იმავე ობიექტური შემადგენლობის შესრულება ბრალის სხვადასხვა ფორმით არასოდეს არ მოგვცემს ერთი სიმძიმის დანაშაულს.

აეილოთ, მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როდესაც ვინმე განზრახ, ავადმყოფის მოკვლის მიზნით, შეაგულიანებს მეორე პირს, რათა ამ უკანასკნელმა ავადმყოფს გადასცეს „წამალი“, რომელიც სინამდვილეში საწამლაკია, ხოლო ეს მეორე პირი, რეცეპტის გაუსინჯავად, ე.ი. გაუფრთხილებლობით, მისცემს ავადმყოფს საწამლავს. შეიძლება თუ არა ასეთი „შეგულიანება“ განვიხილოთ, როგორც თანამონაწილეთა გაუფრთხილებელ მკვლელობაში? განზრახი „წაქეზება“ გაუფრთხილებელი დანაშაულისადმი არ არის წაქეზება და მისი ჩამდენი პირი დაისჯება არა როგორც გაუფრთხილებელი დანაშაულის წამქეზებელი, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი. ამ შეხედულებას ყოველთვის იზიარებდა ჩვენი სასამართლო პრაქტიკა. რსფსრ-ის უმაღლეს

სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის 1924 წლის 5 მაისის განჩინებაში პირდაპირ მითითებული იყო, რომ „თანამონაწილეობას გაუფრთხილებელ მკვლელობაში ლოგიკურად არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს“.

შეუძლებელია აგრეთვე საწინააღმდეგოც, ე.ი. გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა განზრახ დანაშაულში. მაგალითად, ვინმე უამბობს მეორე პირს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებულია ისეთი დანაშაული, როგორცაა ანგარებით სხვისი ბავშვის მოტაცება, თანაც, თუმცა არ ითვალისწინებდა, მაგრამ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ეს მეორე პირი თვით მოისურვებდა ამ დანაშაულის ჩადენას. თუ ეს უკანასკნელი მართლაც გაიტაცებს ანგარებით სხვის ბავშვს, გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის დაშვების შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებოდით „გაუფრთხილებელი წამქეზებელი“ პასუხისგებაში მიგვეცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით, მაშინ, როდესაც ეს მუხლი გულისხმობს პასუხისმგებლობას მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში არა ერთხელ ყოფილა მითითებული, რომ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა განზრახ დანაშაულში შეუძლებელია.

ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 15 მარტის დადგენილებაში ს.-ს საქმეზე ნათქვამია: „...პირი შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშაულის თანამონაწილედ, თუ დადგენილია...განზრახვა, მიმართული დანაშაულის ამსრულებლისათვის დახმარების აღმოსაჩენად“<sup>1</sup>.

ეს დებულება განსაკუთრებით ნათლად გამოხატულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 2 დეკემბრის დადგენილებაში ა.ო. პეტროსიანის საქმეზე. ა.ო. პეტროსიანი მიცემული იყო პასუხისგებაში როგორც თავისი რძლის – პეტროსიან-სმირნოვას მკვლელობის წამქეზებელი. მკვლელი იყო მისი შვილი ა.ლ. პეტროსიანი.

---

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“ 1963, №5, стр. 11. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წ. 25 მაისის განჩინება გ.-ს საქმეზე („Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, №4, стр. 36-37); იმავე კოლეგიის 1962 წ. 22 დეკემბრის განჩინება ს.-ს საქმეზე („Бюллетень Верховного Суда СССР“, 1963, №2, стр. 31-32).

როგორც საქმის მასალებით დადასტურდა, დედამთილი ცუდად ეყრობოდა რძალს, არ აჭმევდა, უკრძალავდა მეზობლებთან ურთიერთობას და ყოველდღე აბეზღებდა მას თავის შვილთან (მოკლულის ქმართან). რა თქმა უნდა, დედის ასეთმა საქციელმა შესაძლებელია ერთგვარი ზეგავლენა მოახდინა შვილზე, რომელიც ხშირად ეჩხუბებოდა თავის ცოლს, ხოლო ერთხელ დიდი ჩხუბის შემდეგ — ესროლა ტყვია და მოკლა. მაგრამ ამავე დროს სასამართლოში არ დადასტურდა, რომ პეტროსიანის ქალს წაექეზებინა თავისი შვილი ცოლის მოსაკლავად. ზემოაღნიშნულის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა: „თუმცა უდავოა, რომ ა.ო. პეტროსიანი სისტემატურად ლანძღავდა რძალს შვილთან და თავისი მოქმედებით შექმნა ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის მიერ დანაშაულის ჩადენას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამა თუ იმ პირის მოქმედება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წაქეზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებულია, რომ იგი ჩაღწეულია პირდაპირი განზრახვით დაიყოლიოს სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად. ასეთი დამამტკიცებელი საბუთი ა.ო. პეტროსიანის მიმართ საქმეში არ მოიპოვება, რის გამოც განაჩენი მის მიმართ უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო უნდა მოისპოს“<sup>1</sup>.

ამგვარად, გვრჩება განსახილველი მესამე კატეგორია შემთხვევებისა, რომელთა დროსაც პროფ. ა. ტრანინის დასაშვებად მიაჩნდა გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ყველა თანამონაწილე გაუფრთხილებლად მოქმედებს. გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის უარყოფა, პროფ. ა. ტრანინის აზრით, მთელ რიგ შემთხვევაში გამოიწვევდა ისეთი პირის დაუსჯელობას, რომლის მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. პროფ. ა. ტრანინის მოკყავდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1939 წლის 10 აგვისტოს განჩინება, რომელშიც ნათქვამი იყო: „კ.-მ სანადირო თოფი ათხოვა არასრულწლოვან გ.-ს; გ.-მ ამ თოფით ინადირა, ხოლო დასვენების შემდეგ გაუფრთხილე-

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1960, №3, стр. 36.



ბლად მოჰკიდა ხელი თოფს, თოფი გაეარდა და მოხვდა იქვე მდგომ ბიჭს, რომელიც გარდაიცვალა. როცა კ. თოფს აძლევდა გ.-ს, მან იცოდა, რომ გ.-მ სროლა არ იცის და აუხსნა კიდევაც, როგორ უნდა ეხმარა თოფი. კ.-ს მსჯავრი დაედო რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17-139-ე მუხლებით. ა. ტრაინინს სწორად მიაჩნდა ეს განჩინება, რომლითაც აღიარებულია თანამონაწილეობა გაუფრთხილებელ დანაშაულში. პირიქით, იგი არ ეთანხმებოდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1947 წლის განჩინებას ჩ.-სა და მ.-ს საქმეზე. საქმის გარემოებები შემდეგში მდგომარეობდა:

შოფერი ჩ. შევიდა სამორიგეო ჯიხურში, რომელიც ფეხით სავალი გზის ახლოს იმყოფებოდა, და წინადადება მისცა ჯიხურში მყოფ შოფერს მ.-ს გამოეცადათ დამბაჩები, რომლებიც მას თან ჰქონდა. შოფერმა ჩ.-მ ორჯერ გაისროლა. პირველი ტყვია ჯიხურის კედელში დარჩა, მეორემ კი კედელი გახვრიტა და გარეთ გამოვარდა. მ.-მ ერთხელ გაისროლა, მაგრამ მისი გასროლილი ტყვია ჯიხურის კედელს გასცდა და მიმავალ სტუდენტ ქალს პ.-ს მოხვდა. უკანასკნელი სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1947 წლის 19 ნოემბრის განჩინებაში ორივე შოფერის მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც გაუფრთხილებელი მკვლელობა. თანაც შოფერ ჩ.-ს შესახებ კოლეგიის განჩინებაში მითითებული იყო: ჩ.-ს მოქმედება, რომელმაც მოაწყო ჯიხურში დამბაჩებით სროლა, მიზეზობრივ კავშირშია პ.-ს სიკვდილთან. მაგრამ ვინაიდან ჩ. არ ითვალისწინებდა ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა იგი, კოლეგიამ დააკვალიფიცირა მ.-ს მოქმედება არა როგორც თანამონაწილეობა ჩ.-ს მიერ ჩადენილ გაუფრთხილებელ მკვლელობაში მე-17 მუხლზე მითითებით, არამედ მე-17 მუხლის გარეშე პირდაპირ 139-ე მუხლით, რომელსაც ითვალისწინებს გაუფრთხილებელ მკვლელობას<sup>1</sup>.

პროფ. ა. ტრაინინის აზრით, თუ ჩ.-ს მოქმედებას არ განვიხილავთ როგორც მ.-ს მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობას, მაშინ

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1948 вып. II, стр. 15-16.

უარყოფილ უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩ.-ს მოქმედებასა და პ.-ს სიკვდილს შორის, ვინაიდან პ.-ა მისი ტყვეით არ მომკვდარა. „სულ სხვაა თუ ჩ.-ს პ.-ას მკვლელობის თანამონაწილედ ჩავთვლით. ამ შემთხვევაში ჩ.-მ, რომელმაც მოაწყო მ.-თან ერთად სროლა, ამით შექმნა შედეგის – სტუდენტი ქალის სიკვდილის აუცილებელი პირობა, გამოიწვია იგი მ.-თან ერთად. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩ. ცნობილი იქნეს ბრალეულად დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაში, ე.ი. მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩ. ცნობილი იქნება თანამონაწილედ მ.-ს მიერ სტუდენტი ქალის პ.-ს მკვლელობაში“<sup>1</sup>.

პროფ. ა. ტრაინინის დასაბუთება ეჭვს იწვევს. მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაჭრა არასდროს არ შეიძლება იქნეს დამოკიდებული იმ წმინდა იურიდიულ საკითხზე, ჰქონდა თუ არა ადგილი თანამონაწილეობას. თუ ჩ.-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, ამაზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ის გარემოება, იყო თუ არა იგი თანამონაწილე, ე.ი. სხვასთან ერთად გამოიწვია თუ არა მან ეს შედეგი. მიზეზობრივი კავშირის საკითხის დადებითად გადაჭრისათვის საკმარისია, თუ მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ვერ დავეთანხმებით ა. ტრაინინს იმაში, თითქოს თანამონაწილეობის უარყოფის შემთხვევაში გაუფრთხილებლად მოქმედ პირთა პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელი იყოს. თუ იმ პირის მოქმედებაში, ვინც არასრულწლოვანს სანადირო თოფი მისცა, ან შოფრის მოქმედებაში, რომელმაც მეორე პირი წააქეზა, მიზეზობრივ კავშირთან ერთად არსებობს ბრალეული კავშირიც შედეგთან გაუფრთხილებლობის სახით, მაშინ ეს პირები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის. თუმცა მათზე ნორმები თანამონაწილეობის შესახებ არ გავრცელდება.

თუ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის წინანდელი კოდექსები არაფერს ამბობდნენ თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარეზე, რაც იძლეოდა ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობის არსებობის შესაძლებლობას, ამჟამად ეს საკითხი პირდაპირ გადაწყვეტილია მოქმედ კანონმდებლობაში. სისხლის სამართლის კანონმდებლობის

<sup>1</sup> А. Трайнин, Некоторые вопросы учения о соучастии, „Социалистическая законность“, 1957, №2, стр. 29.

საფუძვლების მე-17 მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში ნათქვამია: „თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან რამდენიმე პირის განზრახი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

მიუხედავად კანონის პირდაპირი მითითებისა, ზოგიერთი კრიმინალისტი მანც ცდილობს დაასაბუთოს გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის შესაძლებლობა. კერძოდ, პროფ. მ. შარგოროდსკის აზრით, თანამონაწილეობა შესაძლებელია „ისეთი გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს, როდესაც თვით მოქმედება ჩადენილია განზრახ, ხოლო შედეგი გაუფრთხილებლობით დადგა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეს შეგნებული აქვს ამსრულებლის ქმედობის ხასიათი“<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას ანვითარებს ი. ფილანოვსკი. მისი აზრით, ვინაიდან მატერიალური დანაშაული შედეგად ორი ელემენტისაგან – ქმედებისა და შედეგისაგან, ამიტომ სუბიექტური მხარის ანალიზი მოცემული უნდა იქნეს ამ ელემენტების მიმართ ცალ-ცალკე. ამისდა მიხედვით თანამონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, „როდესაც რამდენიმე პირის მოქმედება განზრახვითი იყო, ხოლო შედეგი – გაუფრთხილებლობით იყო გამოწვეული“<sup>2</sup>.

თავისი აზრის დასამტკიცებლად პროფ. მ. შარგოროდსკის მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

ა., ბ. და გ. ტყეში სეირნობენ. ა.-მ უთხრა თავის მეგობრებს, ცეცხლი გვაჩალოთო, ბ.-მ ფიჩხი შეაგროვა, ხოლო გ.-მ ცეცხლი გააჩლა. ცეცხლის გაჩაღების შედეგად ტყეს ცეცხლი მოედო. ამ კაზუსში, პროფ. მ. შარგოროდსკის აზრით, ადგილი აქვს ცეცხლის განზრახ დანთებას და ხანძრის გაუფრთხილებლობით გაჩენას, ე.ი. განზრახ მონაწილეობას გაუფრთხილებელ დანაშაულში<sup>3</sup>.

მეორე მაგალითი: ა., რომელიც მსუბუქი მანქანით მგზავრობს, წააქეზებს მძღოლს შ.-ს დაარღვიოს ქალაქის ქუჩაში მოძრაობის წესები და

---

<sup>1</sup> М. Шаргородский, некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, №1, стр. 91-94; ამ შეხედულებას პროფ. შარგოროდსკი უფრო ადრეც ავითარებდა, იხ. მისი Вопросы общей части уголовного права, 1955, стр. 142-143.

<sup>2</sup> Совесткое уголовное право. Часть общая, Изд. Ленингр. университета, 1960, стр. 419-420.

<sup>3</sup> მ. შარგოროდსკი, დასახ. წერილი, გვ. 93.

მანქანა 100 კმ სისწრაფით წაიყვანოს. ასეთი სწრაფი სვლის შედეგად მანქანა ქალს დაეჯახება და გასრესს. ა., პროფ. შარგოროდსკის აზრით, დანაშაულის წამქეზებელია, ხოლო შ.-ამსრულებელი. თუ ა.-ს წამქეზებლად არ ჩავთვლით, მაშინ იგი ხელიდან დაუსხლტება მართლმსაჯულებას. ამ თანამონაწილეებმა განზრახ დაარღვიეს მოძრაობის წესები, ხოლო გაუფრთხილებლობით მოჰკლეს კაცი<sup>1</sup>.

გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის ასეთ დასაბუთებას ვერ დავეთანხმებით. იგი ემყარება განზრახვითი და გაუფრთხილებლობითი ბრალის არასწორ კონსტრუქციას. არც 1958 წლის საფუძვლები და არც უფრო ადრინდელი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არ გვაძლევს საფუძვლს იმის მტკიცებისათვის, თითქოს მატერიალური დანაშაულის სუბიექტური მხარე უნდა დადგინდეს ცალ-ცალკე მოქმედებისა და შედეგის მიმართ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ყოველი მატერიალური დანაშაული ბრალის ორმაგი ფორმით ჩაღენილად უნდა ჩაგვეთვაღა. სინამდვილეში როგორც კანონმდებლობა, ისე თეორია ბრალის დაყოფას ორ ფორმად, ე.ი. განზრახვად და გაუფრთხილებლობად აფუძნებს იმ ნიშანზე, თუ როგორია პირის სუბიექტური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი. სახელდობრ, განზრახვას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, გათვალისწინებული აქვს მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგი და სურს ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებს მას (საფუძვლების მე-8 მუხლი). გაუფრთხილებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობას და მოუფიქრებლად იმედოვნებდა მის აცდენას, ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი (საფუძვლების მე-9 მუხლი).

პროფ. მ. შარგოროდსკი და მ. ფილანოვსკი ერთმანეთში ურევნენ განზრახვას, როგორც ბრალის ფორმას და თვით ქმედობის შეგნებულ ხასიათს. თავისთავად ქმედობა, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია, თუ იგი იზოლირებულად, საზოგადოებრივად საშიში შედეგისაგან დამოუკიდებლად იქნება აღებული, ნებელობითი, და ამიტომ

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 92.

შეგნებული მოქმედებაა. მაგრამ მოქმედების შეგნებული ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამავე დროს განზრახვითია სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით. ქმედობა ნებელობის აქტია და მამასადაძე შეგნებულია იმისდა დამოუკიდებლად, თუ როგორია პირის ბრალი, ე.ი. ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი – განზრახვითი თუ გაუფრთხილებლობითი. ის, ვინც ითვალისწინებს, რომ ტყეში ცეცხლს აჩალებს, არ მოქმედებს განზრახ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, ვინაიდან ტყეში ცეცხლის გაჩაღება თავისთავად არ წარმოადგენს დანაშაულს და არც ერთი შექადგენლობით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ იგი შეგნებულად მოქმედებს. ვინაიდან იცის, რომ ტყეში ცეცხლს ანთებს. თუ ამ შეგნებულ მოქმედებას რაიმე საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოჰყვა, რომელსაც პირი არ ითვალისწინებდა, მაგრამ შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, აქ გვექნება არა ბრალის ორი ფორმა – ე.ი. განზრახვა ცეცხლის გაჩაღების მიმართ და გაუფრთხილებლობა საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიმართ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ერთი დანაშაული, გაუფრთხილებლობითი ბრალით ჩაღწილი. ის, ვინც შეგნებულად არღვევს მოძრაობის წესებს, რასაც შედეგად კაცის სიკვდილი მოჰყვება, მოქმედებს არა ბრალის ორი ფორმით, არამედ ერთი ფორმით, ე.ი. გაუფრთხილებლად, თუ არ ითვალისწინებდა ამ მოქმედებით საზოგადოებრივად საშიში შედეგის განზორციელების შესაძლებლობას, ან თუმცა ითვალისწინებდა, მაგრამ ფუქსავატურად ვარაუდობდა მის აცდენას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასამართლო პრაქტიკაც ასეთ შემთხვევებში არ ცნობს თანამონაწილეობას დანაშაულში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კ.-ს და გ.-ს საქმე. ქ. ორჯონიკიძის მილიციის საქალაქო განყოფილების უბნის რწმუნებული კ. ჩაუჯდა მანქანაში შოფერ გ.-ს, მიიყვანა თავის ბინაში, სადაც ორივემ დალიეს, შემდეგ წინადადება მისცა გ.-ს მანქანაში ჩაესვა სამი უცნობი მოქალაქე და წაეყვანა მასთან ერთად ქ. ბესლანში. გ.-ს მიჰყავდა მანქანა 70 კმ-ის სისწრაფით, მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად დააჯახა მანქანა მოქალაქე ხ.-ს, რომელიც ველოსიპედით მიდიოდა, გაათრია იგი მანქანით 37 მ-ის მანძილზე და მხოლოდ ამის შემდეგ გაჩერდა. გ.-მ და კ.-მ დახმარება არ აღმოუჩინეს მძიმედ დაშავებულ ხ.-ს,

რომელიც მეორე დღეს ჭრილობებისაგან გარდაიცვალა. კ. მიცემული იყო პასუხისგებაში როგორც გ.-ს თანამონაწილე და მისი მოქმედება კვალიფიციურებულ იქნა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლით და 211-ე მუხლის მე-2 ნაწილით. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წ. 30 ნოემბრის დადგენილებაში მიუთითა:

„...საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა გ.-მ, რომელიც მთვრალი მართავდა მანქანას, დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინა და არ უზრუნველყო მოძრაობის უშიშროება, რის შედეგადაც ველოსიპედისტ ხ.-ს დაეჯახა.

ასეთ პირობებში კ.-მ არ შეიძლება პასუხი აგოს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლით და 211-ე მუხლის მე-2 ნაწილით, როგორც გ.-ს მიერ ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევის თანამონაწილემ, ვინაიდან ეს დანაშაული ჩადენილი იყო გაუფრთხილებლობით.“

ამავე დროს, უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ კ.-მ როგორც თანამდებობის პირმა, რომელმაც მთელი რიგი დარღვევები ჩაიდინა (ღვინო დაალევინა მძღოლს მანქანის მართვის დროს, წინადადება მისცა მას წაეყვანა მგზავრები ბესლანში, არ აღმოუჩინა დახმარება ხ.-ს და დაუშალა ავტოინსპექციას ავარიის შესახებ), პასუხი უნდა აგოს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის<sup>1</sup>.

საკვებით ანალოგიური განჩინება იყო გამოტანილი უფრო ადრე (1950 წ. 10 მაისს) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ვ.-ს საქმეზე. ვ.-ს აგრეთვე ბრალად ედებოდა თანამონაწილეობა მოძრაობის წესების დარღვევაში, რომელსაც შედეგად მოყვა ერთი კაცის სიკვდილი და რამდენიმე კაცის დაშავება.<sup>2</sup>

<sup>1</sup> „Вестник Верховного Суда СССР“ 1963, №2, стр. 20.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1950, №7, стр. 25-26. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 16 ივნისის დადგენილება ანისიზოვისა და გერასიზოვის საქმეზე. ამ დადგენილებაში ნათქვამია: „თანამონაწილეობა დახმარების სახით გულისხმობს დანაშაულის ამსრულებლისათვის განზრახ ხელის შეწყობას დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაში. („Вестник Верховного Суда СССР“, 1962, №2, стр. 18). იხ. ანალოგიური განჩინება გუსეინოვის საქმეზე („Вестник Верховного Суда СССР“) 1962 №4, стр. 36-37.

პროფ. შარგოროდსკის აზრით, გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობის დაშვება არ ეწინააღმდეგება ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ვინაიდან საფუძვლების თანახმად თუ-ცა თანამონაწილეობად ითვლება რამდენიმე პირის ერთობლივი განზრახი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ საფუძვლებში არ არის ნათქვამი, რომ აუცილებელია ეს იყოს განზრახი მონაწილეობა განზრახ დანაშაულში. „... დანაშაული ხომ შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლად“<sup>1</sup>.

შარგოროდსკი მიუთითებს, რომ „ამას მშვენივრად გრძნობდნენ გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობის მოწინააღმდეგენი, რომელნიც რეკომენდაციას იძლეოდნენ მიღებული ყოფილიყო ფორმულა: „თანამონაწილეობა არის ორი ან რამდენიმე პირის განზრახი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში“. ასეთი ფორმულა წამოყენებული იყო როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე სისხლის სამართლის კოდექსების პროექტების დამუშავებისას (მაგალითად, ესტონეთის სსრ სს კოდექსის პროექტში, 1958 წ. მუხ. მე-18), მაგრამ იგი არ მიიღეს. ხოლო ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, სავსებით მართებულად, დადებითად ჭრის საკითხს გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიერ მოწოდებული განსაზღვრება დანაშაულში თანამონაწილეობისა იმიტომ კი არ იყო დაწუნებული, რომ საფუძვლებს შესაძლებლად მიაჩნდათ გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ იმიტომ, რომ ამ მომენტის სპეციალურად აღნიშვნა ზედმეტად ჩათვალეს. საფუძვლების მე-17 მუხლის მითითება, რომ თანამონაწილეობა არის განზრახი მონაწილეობა, ამსრულებელსაც ეხება, ვინაიდან საფუძვლები ამსრულებელსაც თანამონაწილის ერთ-ერთ სახედ თვლიან. სახელდობრ, მე-17 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „დანაშაულის თანამონაწილეებად, ამსრულებლებთან ერთად, ჩაითვლებიან ორგანიზატორები, წამქეზებლები და დამხმარენი“. მაგრამ თუ ამსრულებელი განზრახ უნდა მოქმედებდეს, ეს გამორიცხავს თანამონაწილეობას გაუფრთხილებელ დანაშაულში.

<sup>1</sup> შ. შარგოროდსკი, დასახ. წერილი, გვ. 94.

<sup>2</sup> შ. შარგოროდსკი, დასახ. წერილი, იქვე.

შეხედულებას, რომ თანამონაწილეობა აუცილებლად გულისხმობს განზრახ ბრალს, იზიარებენ აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „თანამონაწილეობად ითვლება დანაშაულის განზრახ ერთობლივად ჩადენა რამდენიმე პირის მიერ ან ასეთი მიზნით დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნა“ (მუხლი მე-12). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვამს ამავე დებულებას. აქ პირდაპირ მითითებულია, რომ თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახი დანაშაულის განზრახ ერთობლივად ჩადენას. სახელდობრ, მე-18 მუხლის I ნაწილში ნათქვამია: „განზრახი დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებად ითვლებიან ამსრულებლები, წამქეზებლები და დამხმარენი“, ხოლო წამქეზებლისა და დამხმარის განსაზღვრებებში შეტანილია მითითება მათი მოქმედების განზრახ ხასიათზე. თანამონაწილეთა მოქმედების განზრახ ხასიათს აღნიშნავენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (§ 10) და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. მუხ. 120-ე და 121-ე). აღსანიშნავია, რომ რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი სპეციალურად აწესრიგებს რამდენიმე პირის მიერ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. სახელდობრ, 124-ე მუხლში მითითებულია: „გაუფრთხილებელ დანაშაულებრივ ქმედებებში, უკეთუ მატერიალური შედეგი რამდენიმე პირის ერთობლივი მოქმედების შედეგად განხორციელდება, თითოეული მათგანი დაისჯება როგორც ამ დანაშაულებრივი ქმედობის ამსრულებელი“.

### §3 დანაშაულის ერთიანობა თანამონაწილეობის დროს

წინა პარაგრაფებში აღნიშნული იყო, რომ თითოეული თანამონაწილის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში ჩადენილ დანაშაულთან. ამავე დროს დასაბუთებული იყო, რომ თანამონაწილეთა ბრალი შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ განზრახვაში დანაშაულებრივი შედეგის მიმართ. მაგრამ რამდენიმე პირის მოქმედებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამ ობიექტური



და სუბიექტური წანამძღვრების არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ეს პირები განხილულ იქნენ, როგორც ერთი დანაშაულის თანამონაწილენი. წარმოვიდგინოთ, რომ ვინმემ მალაზიის გაქურდვის მიზეზით შეამტვრია მალაზიის კარი, მაგრამ შიგ შესვლა ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს ფეხის ხმა მოესმა. მეორე ქურდმა, რომელმაც შემთხვევით ჩაუარა მალაზიას, შეამჩნია ღია კარი, ისარგებლა ამით და მალაზიიდან საქონელი მოიპარა. ეს პირები ვერ ჩაითვლებიან თანამონაწილეებად, თუმცა ორივე მათგანის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან და ორივე მოქმედებს ბრალის ერთი და იმავე ფორმით – განზრახვით. ან ვთქვათ, ორმა ბოროტმოქმედმა ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა მხრიდან ცეცხლი წაუკიდა კოლმეურნეობის საწყობს. აქაც ბოროტმოქმედნი პასუხს აგებენ არა როგორც თანამონაწილენი, არამედ როგორც ცალკეული ამსრულებლები. ეს დებულება ნათლად არის გამოხატული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ლებედკინის, კრიაჩევის და სნევირიოვის საქმეზე. განჩინებაში მითითებულია, რომ თუმცა ამ პირებმა ერთდროულად მოიპარეს თამბაქო საკოლმეურნეო საწყობიდან, მაგრამ ისინი მოქმედებდნენ განცალკევებით, ერთმანეთის დამოუკიდებლად და ამიტომ თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებლად უნდა აგოს პასუხი თავისი მოქმედებისათვის<sup>1</sup>.

ამგვარად თანამონაწილეობა გულისხმობს კიდევ რაღაც დამატებით ნიშანს, რომელმაც უნდა განსაზღვროს თანამონაწილეთა ორგანული ერთიანობა.

იმ საკითხზე, თუ რაში გამოიხატება და რა ხარისხს უნდა აღწევდეს თანამონაწილეთა ეს შინაგანი ერთიანობა, იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

1. რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული იყო შეხედულება, რომლის თანახმად თანამონაწილეობისათვის აუცილებელია შეთანხმება თანამონაწილეთა შორის. განსაკუთრებული თანმიმდევრობით ამ შეხედულებას ავითარებდა პროფ. ნ.ს. ტაგანცევი. ნ.ს. ტაგანცევის აზრით, „თანამონაწილეობის ნიშანს წარმოადგენს

---

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1950, г. №4, стр. 1.

სოლიდარული პასუხისმგებლობა ყველასი თითოეულისათვის და თითოეულის ყველასათვის<sup>1</sup>. პასუხისმგებლობის სოლიდარობის აუცილებელი პირობა კი, მისი აზრით, არის დამნაშავეთა ბრალის ერთიანობა, „როდესაც თითოეული თანამონაწილე არა მარტო ინდივიდუალურად ბრალეულია, არამედ აგრეთვე სხვა პირების ბრალის მოზიარეცაა, თანაც ბრალის ეს ერთიანობა გულისხმობს სხვისი ბრალის გაზიარებას, ხოლო ასეთი გაზიარების გარეგან ნიშანს წარმოადგენს შეთანხმება მისი თავისებური იურიდიული მნიშვნელობით<sup>2</sup>. „შეთანხმება თანამონაწილეობის ძირითადი ნიშანია. ვიდრე იგი დამტკიცებული არ იქნება თითოეული იმ პირის მიმართ, ვინც სხვასთან ერთად მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში, მანამდე შეუძლებელია ვილაპარაკოთ თანამონაწილეობაზე, როგორც ბრალეულობის სპეციალურ ტიპზე<sup>3</sup>.

ამავე შეხედულებას იზიარებდა პროფ. ბელოგრიც-კოტლიარევსკი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ნებათა ერთიანობა ანუ შეთანხმება ძირითადი პირობაა თანამონაწილეობისა, როგორც სოლიდარული ბრალეულობისა“<sup>4</sup>.

ამგვარად რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში შეთანხმების თეორია სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპთან იყო დაკავშირებული და მის ბუნებრივ დასკვნას წარმოადგენდა. ცხადია, სოლიდარული პასუხისმგებლობა, როდესაც თითოეული პასუხს აგებს ყველას მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის, ხოლო ყველა პასუხს აგებს თითოეულისათვის, შესაძლებელია დასაბუთდეს მხოლოდ შეთანხმებით, ვინაიდან მხოლოდ დამნაშავეთა წინასწარი შეთანხმება იძლევა ბრალის და პასუხისმგებლობის ასეთი ერთიანობის საფუძველს.

სოლიდარული პასუხისმგებლობა, ე.ი. პასუხისმგებლობა არა მარტო საკუთარი, არამედ აგრეთვე სხვისი ბრალისათვის, ეწინააღმდეგება საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად პრინციპს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ. საბჭოთა სისხლის სამართალში ერთხმად

---

<sup>1</sup> Н. С. Таганцев, Курс русского уголовного права. Часть общая, кн. I-я, отл. 3. С. Петербург, 1880, стр. 5; его же, Русское уголовное право, Лекции, С. Петербург, 1902, стр. 739.

<sup>2</sup> Н. С. Таганцев, лекции, 1902, стр. 739.

<sup>3</sup> Н. С. Таганцев, Курс, 1880, стр. 5.

<sup>4</sup> Ислюгрин-Котляревский, Учебник русского уголовного права, 1903, стр. 205.

აღიარებულია, რომ პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ ისეთი დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაშიც იგი ობიექტურად მონაწილეობას იღებდა და რომელიც მისი ბრალით მოცულია. სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელიც არსებითად წარმოადგენს კოლექტიურ პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობას სხვისი ბრალისათვის, უცხოა საბჭოთა სისხლის სამართლისათვის.

მეორე უკიდურესობაში ვარდებიან ის ბურჟუაზიული კრიმინალისტები, რომლებიც უარყოფენ თანამონაწილეობისათვის არა მარტო შეთანხმების აუცილებლობას, არამედ იმასაც კი, რომ თანამონაწილეებმა ე.ი. წამქეზებელმა და დამხმარებ იცოდნენ ამსრულებლის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ამ შეხედულებას არსებითად იზიარებენ ის კრიმინალისტები, რომლებიც შესაძლებლად თვლიან თანამონაწილეობას მაშინ, როდესაც ყველა პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით (პროფ. ნ. სერგეევსკი) ან როდესაც თანამონაწილენი ბრალის სხვადასხვა ფორმით მოქმედებენ (რევოლუციამდელ ლიტერატურაში – პროფ. გ. კოლოკოლოვი და პროფ. პ. პუსტოროსლევი). კიდევ უფრო შორს მიდიან ის თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტები, რომლებიც აღიარებენ თანამონაწილეობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს ამსრულებლის ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედობა, რომლებმაც ამგვარად დანაშაულში თანამონაწილეობის ცნების მაგივრად შექმნეს სხვის მოქმედებაში მონაწილეობის ცნება (მაგალითად, ზაუერი)<sup>1</sup>.

მაგრამ ამ შეხედულებიდან განსაკუთრებით თანმიმდევრული დასკვნები რევოლუციამდელმა რუსმა კრიმინალისტმა ფონინციკიმ გააკეთა.

ფონინციკის აზრით, თეორიას თანამონაწილეობის შესახებ „ახასიათებს კონსტრუქციის სქოლასტიკური ხასიათი და იგი საკსეა პრეზუმპციებით, რომელნიც საგნის ბუნებიდან არ გამომდინარეობენ და თანამედროვე სისხლის სამართლის საწყისებს ეწინააღმდეგებიან“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> W. Sauer, Allgemeine Strafrechtslehre, Berlin, 1955, S.S. 200 – 228.

<sup>2</sup> И. Я. Фойницкий, Уголовно-правовая доктрина о соучастии, „Юридический вестник“, кн. 7, 1891, стр. 8. ამავე აზრს იზიარებდა ი. მაკარევიჩი: „კონსტრუქციას თანამონაწილეობის შესახებ სურს კავშირი გაწყვიტოს წარსულთან, სურს გააძვეოს კოლექტიური პასუხისმგებლობის ელემენტი, მაგრამ ვერ აკეთებს ამას, ვერ ითავისუფლებს თავს ლაოკონის როლისაგან, რომელსაც პრეზუმპციები ახრჩობენ“ (I. Makarewicz, Einführung in die Philosophie des Strafrechts, Stuttgart, 1906, S. 377).

გაბატონებული სწავლება თანამონაწილეობის შესახებ, ფონიციკის აზრით, ერთი მხრივ, მეტად აფართოებს თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის სფეროს, ვინაიდან მთელ რიგ შემთხვევებში, როდესაც პირის მოქმედების მიზეზობრივი მნიშვნელობა დანაშაულებრივი შედეგისათვის შეუძლებელია დამტკიცდეს, იგი აღიარებს მიზეზობრივი კავშირის არსებობას იქ, სადაც ასეთი კავშირი სინამდვილეში არ არსებობს.. ასე, მაგალითად, გაბატონებული სწავლება თვლის თანამონაწილეობად წინასწარ დაპირებულ დაფარვას ან დაპირებას, რომ ამსრულებელს აღმოუჩენენ დახმარებას დანაშაულის გზით შეძენილი ქონების რეალიზაციაში და სხვ. მისთ. ეს საქმიანობა, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ სრულდება, ფონიციკის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივი შედეგის მიზეზად, ვინაიდან „მიზეზობრივი კავშირის საწყისების თანახმად, განსაზღვრული შედეგის გამომწვევე მიზეზთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომელიც მას წინ უსწრებდა“<sup>1</sup>. მეორე მხრივ, ფონიციკის აზრით, გაბატონებული სწავლება მეტად ზღუდავს თანამონაწილეობის ცნებას, რადგანაც არ თვლის თანამონაწილეობად ისეთ შემთხვევებს, როდესაც მკვნე შედეგი გამოწვეულია რამდენიმე პირის ერთობლივი გაუფრთხილებელი მოქმედებით ან თუნდაც განზრახვი, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოქმედებით.

მიზეზობრივი კავშირის გარეშე პასუხისმგებლობის დასაბუთების მიზნით გაბატონებული მოძღვრება, ფონიციკის აზრით, იძულებულია მიმართოს თანამონაწილეთა ბრალის ერთიანობის პრეზუმპციას, რომელიც ძველი, კოლექტიური პასუხისმგებლობის გადმონაშთს წარმოადგენს და თანამედროვე სამართლის საწყისებს არ შეესაბამება. მისივე აზრით, ერთიანი განზრახვა არ შეიძლება არსებობდეს. თანამონაწილეობის დროს ყოველი პირი თავისი საკუთარი, განსაკუთრებული მოტივის გამო უერთდება დანაშაულს, ხოლო მოტივის ხასიათი იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენს განზრახვის ბუნებაზე, მის ენერგიაზე და ფორმაზე, რომ რამდენიმე პირის ერთიანი განზრახვა წარმოუდგენელია. „პირიქით, თანამონაწილეობა ლოგიკურად გულისხმობს იმდენ განზრახვას, რამდენიც თანამონაწილეა; მათ შორის შეიძლება არსებობ-

---

<sup>1</sup> ი. ფონიციკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

დეს მსგავსება და დამთხვევა, მაგრამ არა ერთიანობა; ერთიანობა იქნებოდა თითოეული თანამონაწილის ნების შთანთქმა ყველას საერთო ნებით, ე.ი. ცალკეულ თანამონაწილეთა არათავისუფლება“<sup>1</sup>.

რამდენიმე პირის ერთობლივი მოქმედებით ჩადენილი დანაშაული-სათვის პასუხისმგებლობის საკითხი, ფონინცკის აზრით, შეიძლება სწორად იქნეს გადაჭრილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ სახელმწიფოს დასჯითი საქმიანობის საგანს წარმოადგენს არა მოქმედება, არამედ მოქმედი, თვით ადამიანის პიროვნება მისი ინდივიდუალურ-ფსიქიკური თვისებებით; რაც შეეხება მოქმედებას, მას მხოლოდ სიმპტომატური მნიშვნელობა აქვს, ე.ი. იგი არის მხოლოდ გარეგანი ნიშანი პიროვნების შინაგანი განწყობისა. აქედან ფონინცკი აკეთებს დასკვნას: „სისხლის სამართალი, რომელიც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს თავის ერთ-ერთ უაღრესად ძირითად დებულებად აცხადებს, მხოლოდ გაუგებრობისა და ტრადიციის გამო ასაბუთებს სისხლის-სამართლებრივი წესით დასჯად მონაწილეობას სხვის ბრალში. სინამდვილეში ყველა პასუხს უნდა აგებდეს, და მას შეუძლია პასუხი აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის“<sup>2</sup>.

იმ დებულებიდან, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს არა მოქმედება, არამედ მოქმედი, ე.ი. მისი პირადი დანაშაულებრივი განწყობა, ფონინცკი აკეთებს დასკვნას: „ერთ ქმედებაში არ შეიძლება მოთავსდეს რამდენიმე პირადი მდგომარეობა, და ყოველი ქმედობა არის მხოლოდ ერთი პირის პირადი მდგომარეობის გამოვლინება“<sup>3</sup>. მაშასადამე, რამდენი დამნაშავეც არის, იმდენივეა დანაშაული (quot delinquenti, tot delicti). ხოლო თანამონაწილეობის ცნება სრულიად უნდა იქნეს გაძევებული სისხლის სამართლის სფეროდან.

თანამონაწილეობის შესახებ ამ იდეების პრაქტიკულად განხორციელების ცდა მოცემულია ნორვეგიის 1902 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ეს კოდექსი არ განასხვავებს თანამონაწილეთა სხვადასხვა სახეს, არამედ დანაშაულში მონაწილეობის ყოველგვარ ფორმას იგი სრულფასოვანი ამსრულებლობის სახედ თვლის. ამის შესაბამისად ნორვეგიის

<sup>1</sup> ი. ფონინცკი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 18.

სისხლის სამართლის კოდექსი საერთოდ არაფერს ამბობს თანამონაწილეობაზე. მაგრამ სამაგიეროდ საჭირო შეიქმნა კოდექსის კერძო ნაწილის მუხლების ისე ფორმულირება, რომ ისინი მოიცავდნენ დანაშაულში მონაწილეობის ყველა ფორმას. მაგალითად, მუხლი მკვლელობის შესახებ ფორმულირებულია შემდეგი სახით: „ის, ვინც მოჰკლავს სხვას ან დაეხმარება ამაში სხვას, დაისჯება სიცოცხლის მოსპობისათვის...“ (§ 233). ასეთივე ხასიათი აქვს სხვა მუხლებს. მაგალითად: „ვინც გამოიწვევს ხანძარს, ჩამოანგრევს, ააფეთქებს, ან მიუშვებს წყალს ან გამოიწვევს ავარიას ზღვაზე ან კატასტროფას რკინიგზაზე, რასაც ადვილად შეიძლება მოყვეს ადამიანთა სიკვდილი ან სხვისი ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება, და აგრეთვე ვინც ამაში სხვას დაეხმარება, დაისჯება...“ (§ 148). უფრო ძნელი აღმოჩნდა ისეთ შემადგენლობათა ჩამოყალიბება, რომლებიც გარკვეულ მატერიალურ დანაშაულებრივ შედეგს არ ითვალისწინებენ. მაგალითად, ნორმა ფიცის გატეხის შესახებ ასეა ფორმულირებული: „ვინც სასამართლოში ფიცის ქვეშ ცრუ ჩვენებას იძლევა, დაისჯება...“ (§ 163) და შემდეგ: „163 §-ში გათვალისწინებული სასჯელით დაისჯება აგრეთვე ის, ვინც მიაღწევს იმას, რომ სხვამ მისცეს ფიცის ქვეშ ისეთი ჩვენება, რომლის ცრუ ხასიათი მისთვის ცნობილია, და აგრეთვე ვინც ამაში დახმარებას სხვას აღმოუჩენს...“ (§ 165).

როგორც აქ აღნიშნული მუხლების ტექსტიდან ჩანს, არსებითად ამ კოდექსმა ვერ შეძლო თანამონაწილეობის ცნების გაძეგება სისხლის სამართლიდან. მან მხოლოდ იმას მიაღწია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილიდან ეს ცნება განსაკუთრებულ ნაწილში გადაიტანა და ამით საკანონმდებლო-ტექნიკური თვალსაზრისით კოდექსი მნიშვნელოვნად გააუარესა.

შეხედულება, რომელიც აუქმებს, თანამონაწილეობის ცნებას და ცდილობს დაასაბუთოს საერთო დანაშაულში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობის სრული დამოუკიდებლობა, ყალბ მოსაზრებებზეა აგებული და ყალბი მეთოდოლოგიური საწყისებიდან გამომდინარეობს. ამ მეთოდოლოგიური საწყისების არამართებული ხასიათი განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ფოინიციკის მიერ წამოყენებულ დებულებებში. მიუხედავად იმისა, რომ ფოინიციკის ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება, მიმართული თანამონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის

თეორიის წინააღმდეგ, მოკლებული არ არის ინტერესს, მისი საკუთარი შეხედულება თანამონაწილეობის სავსებით გაუქმების შესახებ შეუძლებელია გაზიარებულ იქნეს.

არასწორია მტკიცება, თითქოს წინასწარ შეპირებული დაფარვა არ იდგეს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან. როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, აქ ადგილი აქვს ფსიქიკურ დახმარებას, ვინაიდან დაფარვის დაპირება განამტკიცებს ამსრულებლის დანაშაულებრივ განზრახვას, შემატებს მას გაბედულებას დანაშაულის ჩადენისათვის.

რაც შეეხება ფონიციკის მოსაზრებებს თანამონაწილეთა განზრახვის ერთიანობისა და სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, ისინი შეიძლება მართებულად იქნენ ცნობილი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიმართული არიან თანამონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის თეორიის წინააღმდეგ. მაგრამ ამ მოსაზრებებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს თანამონაწილეობის ცნების სავსებით გაუქმების საჭიროება, როგორც ამას ფონიციკი ამტკიცებს. სწორი მოძღვრება თანამონაწილეობის შესახებ სრულიადაც არ ემყარება თანამონაწილეთა სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობის იდეას და სრულიადაც არ მოითხოვს მათ სოლიდარულ პასუხისმგებლობას („ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“). თანამონაწილეობის ცნება გულისხმობს ერთ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას, რომელიც ჩადენილია რამდენიმე პირის ერთობლივი განზრახვი მოქმედებით, რაც არ გამორიცხავს ამ პირთა სხვადასხვა როლს დანაშაულის ჩადენაში და არც შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების სხვადასხვაგვარ ნიუანსებს.

„ეს ერთიანობა, — ლაპარაკობს პროფ. ა. ტრაინინი, — იმით გამოიხატება, რომ ყველა თანამონაწილე, რა თავისებურებაც არ უნდა ახასიათებდეს დანაშაულში თითოეული მათგანის მონაწილეობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს, პასუხს აგებს ერთი და იგივე დანაშაულისათვის: ა., რომელიც სადარაჯოზე იდგა, ბ., რომელმაც იარაღი იშოვნა, გ., რომელიც მანქანით ტყეში ელოდებოდა, დ., რომელმაც დანაშაული უშუალოდ ჩაიდინა, ყველა პასუხს აგებს მკვლელობისათვის“<sup>1</sup>.

და მართლაც, თანამონაწილეობის დროს არსებობს ერთი დანაშაული, რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი, სახელდობრ: ერთი საზოგადოე-

<sup>1</sup> А.Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 66.

ბრივად საშიში ქმედობა, ერთიანი თავისი მატერიალური შემადგენლობით. თითოეული თანამონაწილის ქმედობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, თითოეული მათგანის მოქმედება აუცილებელია ამ შედეგის განხორციელებისათვის. ამავე დროს თითოეული თანამონაწილე ბრალეულად დაკავშირებულია დამდგარ შედეგთან. თანამონაწილეობის ასეთი კონსტრუქციის დროს არ არსებობს სოლიდარული პასუხისმგებლობა ან პასუხისმგებლობა სხვისი ბრალისა და სხვისი დანაშაულისათვის. ის, ვინც იარაღი შეიძინა და ის, ვინც ტყეში მანქანით ელოდება, ისჯებიან არა იმიტომ, რომ ამსრულებელმა ჩაიდინა მკვლელობა და ამსრულებელია ამაში დამნაშავე, არამედ იმიტომ, რომ მათი საკუთარი მოქმედება იყო მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან და რომ ისინი თუმცა ითვალისწინებდნენ თავიანთ ქმედობათა მიზეზობრივ ხასიათს, მაგრამ მაინც შეგნებულად უწყობდნენ ხელს დანაშაულის ჩადენას.

ის გარემოება, რომ ცალკეულ თანამონაწილეთა სუბიექტურ ბრალეულობას ერთგვარი თავისებურებანი ახასიათებს, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაო საფუძვლად იმისათვის, რომ ეს მოქმედებანი განვიხილოთ როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იზოლირებული ქმედობანი. კერძოდ, ამისათვის ვერ გამოდგება მითითება თანამონაწილეთა მამოძრავებელი მოტივების ხასიათზე. დანაშაულის მოტივი — სუბიექტური მხარის ისეთი მომენტია, რომელიც, როგორც წესი, მითითებული არ არის დანაშაულის შემადგენლობაში და ამიტომ მოტივთა სხვადასხვაობა თანამონაწილეთა განზრახვის ერთიანობას ვერ გააბათილებს.

ი. ფონინციკის მტკიცება თითოეული თანამონაწილის მოქმედების სავსებით იზოლირებული და დამოუკიდებელი ხასიათის შესახებ ლოგიკური თანმიმდევრობით გამომდინარეობს მისი ძირითადი დებულებიდან, რომლის თანახმად დასჯის საგანი არის არა სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა, არამედ მისი პირადი დანაშაულებრივი მდგომარეობა („Личное состояние преступности“). როგორც ცნობილია, ი. ფონინციკი სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი იყო, ხოლო ამ სკოლისათვის გარეგან დანაშაულებრივ ქმედობას მარტოოდენ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი



პიროვნების საშიში მდგომარეობის მაუწყებელია, მისი დანაშაულებრივი განწყობის სიმპტომია. ამიტომ დანაშაულებრივი შედეგი ი. ფონიციკისათვის სულაც არ არის დანაშაულის არსებითი ელემენტი და არ შეიძლება გამოდგეს იმ ბირთვად, რომელიც აერთიანებს თანამონაწილეთა ქმედობებს. ამას არ მალავს თვით ფონიციკი, რომელიც თავის ზემოხსენებულ ნაშრომში თანამონაწილეობის შესახებ თვით მიუთითებს, რომ დებულება „*delinquenti, tot delicti*“ პირდაპირ გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ „დასჯითი საქმიანობის საგანს წარმოადგენს დამნაშავე, რომელმაც დანაშაულებრივი ფსიქიკური განწყობილება გარეგნულად გამოავლინა“<sup>1</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართალი დანაშაულის ობიექტურ მომენტს მარტოდენ სიმპტომატურ მნიშვნელობას როდი ანიჭებს. იგი დანაშაულად თელის არა ლიტონ ბრალს, ლიტონ „ანტისოციალურ ფსიქიკურ განწყობას“, არამედ ისეთ ბრალეულ ქმედობას, რომელიც ობიექტურ საშიშროებას წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის. ამიტომ მისთვის მიუღებელია სოციოლოგიური სკოლის რეაქციული დებულებანი ყველა მათგან გამომდინარე დასკვნითურთ. კერძოდ, მიუღებელია თანამონაწილეთა ქმედობის განხილვა საერთო ძალღონით მიღწეული დანაშაულებრივი ქმედობისა და მისი შედეგისაგან მოწყვეტით და იზოლირებულად.

2. საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს თანამონაწილეთა კავშირი ერთმანეთთან, სადავოა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც.

ბუნებრივია, რომ ის იურისტები, რომლებიც თანამონაწილეობისთვის აუცილებლად არ თვლიან ყველა თანამონაწილის (მათ შორის ამსრულებლის) განზრახ მოქმედებას, ლოგიკური აუცილებლობით უნდა მივიდნენ თანამონაწილეობის ცნების მეტისმეტ გაფართოებამდე და უნდა დაუშვან თანამონაწილეობა იქ, სადაც რამდენიმე პირის მოქმედება, ობიექტურად მიმართულია ერთ შედეგზე, თუნდაც იგი შინაგან ერთობლიობას არ წარმოადგენდეს. ეს შეხედულება ჩვენ უკვე წინა პარაგრაფში გავაკრიტიკეთ.

საბჭოთა იურისტების მეორე ჯგუფი იმ შეხედულებას იცავს, რომ თანამონაწილეობისათვის აუცილებელია თანამონაწილეთა შეთანხმება.

---

<sup>1</sup> ი. ფონიციკი, დასახ. ნაშრ. გვ. 3.

უფრო ადრინდელ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში შეთანხმების თეორიას ანვითარებდა პროფ. ა. ჟივილენკო. მისი აზრით, „შინაგანი კავშირი თანამონაწილეთა შორის გამოიხატება „თანამონაწილეთა შეთანხმებაში ანუ პირის შეკვრაში... თუ ერთად მოქმედ პირთა შორის შეთანხმება არ არსებობს, დანაშაულში თანამონაწილეობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს“<sup>1</sup>. შეთანხმებას მოითხოვდა აგრეთვე ა. ლაპტევი, რომელიც განსაზღვრავდა თანამონაწილეობას, როგორც „რამდენიმე პირის შეთანხმებაზე დაფუძნებულ მონაწილეობას ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში“<sup>2</sup>.

უკანასკნელ ხანებში შეთანხმების თეორიას თანმიმდევრულად ავითარებენ მ. შნეიდერი და პროფ. ა. პიონტოვსკი.

შნეიდერის აზრით, თანამონაწილეთა განზრახვას უნდა ახასიათებდეს ორი მხარე: ინტელექტუალური და ნებელობითი. თანამონაწილეთა განზრახვა გულისხმობს იმას, რომ თითოეულმა თანამონაწილემ უნდა იცოდეს სხვა თანამონაწილეთა დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ („взаимная осведомленность каждого из соучастников о преступном характере намерения и действий соучастников“)<sup>3</sup>. ხოლო ნებელობითი მხარე — ერთობლივად მოქმედების სურვილს, რომელიც შეთანხმებაში გამოიხატება. „ეს შეთანხმება წარმოადგენს დანაშაულის ერთობლივად ჩადენის სუბიექტურ გამოხატულებას. შეთანხმების გამო თანამონაწილეთა ბრალი საერთო ბრალად იქცევა და ამიტომ ერთობლივად მიყენებული დანაშაულებრივი შედეგისათვის მათი საერთო პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძველს წარმოადგენს“<sup>4</sup>.

ეს შეთანხმება, მ. შნეიდერის აზრით, არ გულისხმობს აუცილებლად წინასწარ შეთანხმებას. იგი შეიძლება მიღწეულ იქნეს დანაშაულის ჩადენის მომენტში თვით დანაშაულის ადგილას. შეთანხმება შეიძლება

---

<sup>1</sup> Уголовный кодекс, Комментарий под редакцией М.Н. Гернета и А.Н. Трайнина, М., 1927, стр. 22.

<sup>2</sup> А.А. Лаптев, Соучастие по советскому уголовному праву, „Советская юстиция“ 1938, №23-24, стр. 13.

<sup>3</sup> М.А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 16.

<sup>4</sup> მ. შნეიდერი, დასახ. ნაშრ., გვ. 17. იხ. აგრეთვე, А.А. Пионтковский, Учение о преступлении М., 1961, стр. 548-549.

წერილობით, სიტყვიერად და კონკლუდენტური მოქმედებით, ე.ი. ისეთი მოქმედებით, რომელიც სიტყვიერი შეთანხმების მაგივრობას სწევს<sup>1</sup>.

ამასთან შეთანხმების თეორიის მომხრენი არ მოითხოვენ, რომ თითოეულმა თანამონაწილემ იცოდეს ყველა დანარჩენი თანამონაწილის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. „თანამონაწილეობისათვის, — ლაპარაკობს მ. შნიდერი, — აუცილებელია თითოეული თანამონაწილის შეგნება, რომ იგი მოქმედობს არა განცალკევებით, არამედ სხვა პირებთან ერთად“<sup>2</sup>.

ასე ფართოდ გაგებული შეთანხმების თეორია არაფრით არ განსხვავდება იმ შეხედულებისაგან, რომელიც მოითხოვს, რომ თანამონაწილეებმა იცოდნენ ურთიერთსაქმიანობის შესახებ. უკანასკნელი შეხედულების წარმომადგენელია მ.ი. კოვალიოვი. მისი აზრით, „თანამონაწილეთა ყოველი მოქმედება აუცილებლად ამა თუ იმ სახით უნდა აისახოს ამსრულებლის შეგნებაში... თუ ამსრულებელს არა აქვს შეცნობილი, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ, მაშინ წამქეზებლის მიერ ნახმარი საშუალება მასზე არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს. ხოლო თუ ის წამქეზებელმა შეცდომაში შეიყვანა, იგი იქნება არა დანაშაულის დამოუკიდებელი მონაწილე, არამედ მხოლოდ იარაღი ვერაგი დანაშაულის ხელში. იგივე უნდა ითქვას დახმარებაზე. თუ ამსრულებელს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ მას ვინმე ეხმარება დანაშაულის ჩადენაში, არავითარი საფუძველი არა გვაქვს

---

<sup>1</sup> მ. შნიდერი, დასახ. ნაშრ., გვ. 20, ა. ჰონტკოვსკი, დასახ., ნაშრ., გვ. 549. ჩვენის აზრით, არ არის სწორი მ. კოვალიოვი, რომელიც ილაშქრებს შეთანხმების თეორიის წინააღმდეგ იმ საფუძველით, თითქოს შეთანხმება ყოველთვის წინასწარ შეთანხმებას ნიშნავდეს. მისი აზრით, შეთანხმება ნიშნავს მოლაპარაკებას ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ მომავალში. თუ ასეთი სახის მოლაპარაკებას ადგილი არ აქვს, მაშინ შეთანხმებაც არ არსებობს, არამედ რჩება მხოლოდ ერთი პირის შეგნებული შეერთება სხვა პირთა დანაშაულებრივ საქმიანობასთან (М.И. Ковалев, Соучастие в преступлении, т. I, Ученые труды Свердловского юридического института, Св., 1960, стр. 109).

სინამდვილეში შეთანხმება თანამონაწილეთა შორის შეიძლება მოხდეს არა მარტო დანაშაულის დაწყებამდე, არამედ დანაშაულის დაწყების შემდეგაც, ვიდრე იგი არ დამთავრებულა. დანაშაულის დამთავრებამდე ეს იქნება შეთანხმება მომავალში დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ, მაგრამ ეს „მომავალი“ დანაშაულის დამთავრების მომენტით ამოიწურება.

<sup>2</sup> მ. შნიდერი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

განვიხილოთ იგი და დამხმარე, როგორც ერთი და იმავე დანაშაულის მონაწილენი<sup>1</sup>. მეორე მხრით, კოვალიოვის აზრით, თანამონაწილეებმაც უნდა იცოდნენ, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში. თუ ვინმემ არ იცის, რომ იგი აქეზებს ან ხელს უწყობს სხვას დანაშაულის ჩადენაში, ასეთი პირი ცხადია არ შეიძლება იყოს ამსრულებლის მოქმედების თანამონაწილე.

3. წინა პარაგრაფში ჩვენ დავასაბუთეთ, რომ თანამონაწილის მოქმედება არა მარტო მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან, არამედ აგრეთვე სუბიექტურადაც უნდა უკავშირდებოდეს მას, თანაც ეს სუბიექტური კავშირი შეიძლება მხოლოდ განზრახ ბრალში გამოიხატებოდეს. განზრახვა გულისხმობს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას და ამ მოქმედების დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინებას. მოქმედების დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინება კი ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი ითვალისწინებს თავისი მოქმედების მიზეზობრივ ხასიათს კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიმართ. რამდენადაც თანამონაწილის მოქმედება არასდროს არ არის უშუალო მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, არამედ ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას ამსრულებლის მიერ და ამიტომ ამსრულებლის მოქმედება ყოველთვის ძირითადი შუალედი რგოლია თანამონაწილის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, ამდენად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამონაწილეობა დანაშაულში ისე, რომ თანამონაწილე არ ითვალისწინებდეს ამსრულებლის მოქმედებას, არ ითვალისწინებდეს იმას, რომ იგი თავისი შეგუღლიანებით იწვევს ამ მოქმედებას ან ხელს უწყობს მას.

მამასადამე, თანამონაწილეობა, ე.ი. წამქეზებლობა და დახმარება, აუცილებლად გულისხმობს ცოდნას ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ. მაგრამ აუცილებელია თუ არა თანამონაწილეობა, ე.ი. წამქეზებელთა და დამხმარეთა პასუხისმგებლობისათვის, რომ ამსრულებელმა იცოდეს მათი მოქმედების შესახებ.

პროფ. ა. ტრაინინის აზრით, წამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის შესაძლებელია იმ

---

<sup>1</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлениях, ч. 1-ая, Свердловск, 1960, стр. 112.

შემთხვევაშიც, როდესაც ამსრულებელმა არ იცის მათი მოქმედების შესახებ. „უფრო მოხერხებული და მამასადამე, უფრო საშიში წამქეზებული ნიღბავს თავის დანაშაულებრივ როლს; ასეთ შემთხვევაში ამსრულებელმა შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს, რომ წაქეზების მსხვერპლი გახდა. კულაკურ ტერორთან ბრძოლის პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც კულაკი, ფარავდა რა წამქეზებლის როლს, გადაკრული სიტყვით აგულიანებდა ღარიბ გლეხს ტერორისტული აქტის ჩასადენად“<sup>1</sup>. ა. ტრანინის აზრით, ასეთმა პირმა პასუხი უნდა აგოს ტერორისტული აქტის წაქეზებისათვის.

ასეთსავე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს დამხმარეც. ამ აზრის საილუსტრაციოდ ა. ტრანინის შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ა.-მ იცის, რომ ბ.-ს გადაწყვეტილი აქვს კაცის მოკვლა. ა.-ც დაინტერესებულია ამ პიროვნების მოკვლით და ა.-სთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით განზრახ ტოვებს ა.-სთან რევოლვერს, ვითომ დაავიწყდა ა. სარგებლობს ბ.-ს რევოლვერით და ჰკლავს თავის მოწინააღმდეგეს<sup>2</sup>.

ორივე შემთხვევაში, პროფ. ა. ტრანინის აზრით, უნდა დადგეს პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

ამ შეხედულების წინააღმდეგ ცხადია ილაშქრებენ ის ავტორები, რომლებიც თანამონაწილეობისათვის მოითხოვენ შეთანხმებას ან ყოველ შემთხვევაში ერთმანეთის მოქმედების ცოდნას. ასე, მაგალითად, მ. კოვალიოვის აზრით, თუ ამსრულებელს შეგნებული არა აქვს, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ, მაშინ წაქეზების მიზნით გამოყენებული საშუალება ვერც მოახდენს მასზე ვერავითარ ზეგავლენას. „ხოლო თუ წამქეზებელმა იგი შეცდომაში შეიყვანა, მაშინ იგი იქნება არა დანაშაულის დამოუკიდებლად მოქმედი მონაწილე, არამედ მხოლოდ იარაღი ანგარიშიანი და ვერავი დამნაშავის ხელში“<sup>3</sup>. ასეთ შემთხვევაში მ. კოვალიოვის აზრით, თანამონაწილეობას ადგილი არა აქვს და „წამქეზებელმა“ პასუხი უნდა აგოს როგორც შუალობითმა ამსრულებელმა. ასევე უნდა გადაწყდეს, მისი აზრით, იმ „დამხმარის“ პასუხისმგებლო-

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 75.

<sup>2</sup> იქვე. ამავე შეხედულებას იზიარებს მ. შარგოროდსკი (იხ. „Правоведение“ 1960, №1, стр. 89.)

<sup>3</sup> მ. ი. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 112.

ბის საკითხი, ვინც ვითომდა შემთხვევით „დაივიწყა“ ამსრულებლის მაგიდაზე რეკოლკერი: ასეთი „დამნაშავე“ პასუხს უნდა აგებდეს როგორც შუალობითი ამსრულებელი<sup>1</sup>.

მ. კოვალიოვის მოსაზრებანი მოკლებული არ არიან საფუძვლიანობას იმ ნაწილში, რომელიც წამქეზებლის საქმიანობას შეეხება. მართალია, აბსტრაქტულად შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი მოხერხებული და შენიღბული წაქეზება, როდესაც ამსრულებელი ვერც კი მიმხვდარა, რომ დანაშაულის ჩადენის განზრახვა მას თვითონ კი არ დაებადა, არამედ სხვა პირის ზემოქმედებით აღეძრა, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი შემთხვევა, ვფიქრობ, ანგარიშგასაწევი არ არის. რამდენადაც წამქეზებლის მოქმედება ინტელექტუალურ ხასიათს ატარებს და ამსრულებლის ცნობიერებაში უნდა აისახოს, ცხადია, ამსრულებელზე იგი მაშინ მოახდენს ზეგავლენას, როდესაც აღქმულია ამსრულებლის მიერ და არა — ქვეცნობიერი. პრაქტიკულად ასეთი ქვეცნობიერი შეგულიანება თითქმის არც კი შეიძლება შეგვხვდეს. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ. კოვალიოვს, როდესაც იგი თავის მსჯელობას ფიზიკურ დამხმარეზედაც ავრცელებს. აქ, რა თქმა უნდა, ა. ტრანიჩის მიერ მოტანილი მაგალითი არ არის უნიადგო და მოგონილი, არამედ ადვილად შეიძლება შეგვხვდეს პრაქტიკაში. თვით შეთანხმების თეორიის ისეთი თანამიმდევარი დამცველიც კი, როგორც იყო რეკოლუციამდელ რუსულ სისხლის სამართალში პროფ. ნ. ტაგანცევი, იძულებული იყო ელიარებინა დამხმარედ ისეთი პირიც, „ვინც იცის, რომ ვიღაც სხვას გადაწყვეტილი აქვს კაცის მოკვლა, და უთქმელად მიაწოდებს ამსრულებელს მკვლელობის იარაღს, თანაც ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ამსრულებელმა, დანაშაულის ჩადენის მომენტში არც კი იცოდეს, ვინ და როგორ მიაწოდა მას იარაღი“<sup>2</sup>. „შეთანხმების“ თეორიის პრინციპი რომ არ შეერყია, ნ. ტაგანცევი ასეთ შემთხვევაში „ცალმხრივ შეთანხმებას“ აღიარებდა, თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ ცალმხრივი შეთანხმება“ შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა.

ვერ დავეთანხმებით მ. კოვალიოვს, რომელიც ასეთ დამხმარეს

<sup>1</sup> იქვე. გვ. 252.

<sup>2</sup> Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, Петербург, 1902, стр. 747.

პასუხისგებაში აძლევს „შუალობითი ამსრულებლობისათვის“. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შუალობით ამსრულებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი წარმოადგენს იარაღს, რომელიც თავისი მოქმედებისათვის პასუხს არ აგებს. ამ შემთხვევაში კი ჩვენ გვყავს პასუხისმგებელი ამსრულებელი. რა გვიშლის ხელს, რომ იარაღის მიმწოდებელი დაესაჯოთ როგორც მისი დანაშაულის თანამონაწილე? ვფიქრობ, არაფერი. მისი მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. უფრო მეტიც: იგი მოქმედებს სხვა პირთან ერთად და შეგნებული აქვს, რომ დანაშაულს ერთობლივად ასრულებს, ეხმარება სხვა პირს დანაშაულის უშუალოდ განხორციელებაში.

არც ის იქნებოდა სწორი, რომ ასეთი დამხმარის მოქმედება, დამოუკიდებლად აღებული, შეგვეფასებინა როგორც დანაშაულის მომზადება და დამხმარე დაგვესაჯა როგორც მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენი, მაშინ როდესაც დანაშაული უკვე დამთავრებულია და დამხმარე როგორც მიზეზობრივად, ისე ბრალეულად დაკავშირებულია დანაშაულებრივ შედეგთან.

ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორედ უნდა ჩაითვალოს პროფ. ა. ტრაინინის შეხედულება, რომ თანამონაწილეობისათვის საკმარისია, თუ მონაწილეებმა, ე.ი. წამქეზებელმა და დამხმარემ იციან ამსრულებლის მოქმედების შესახებ, ხოლო საწინააღმდეგო აუცილებელი არ არის<sup>1</sup>.

სხვათა შორის, ჩინეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა პირდაპირ აღიარებს ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეობას. ჩინეთის 1935 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, „ის, ვინც დაეხმარება მეორე პირს დანაშაულის ჩადენაში, დამხმარეა, თუნდაც ამ პირმა არ იცოდეს მისთვის გაწეული დახმარების შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ ამავე შეხედულებას იზიარებს ჩვენი სასამართლო პრაქტიკა. იმ მრავალრიცხოვან დადგენილებათა შორის, რომლებიც თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარეს შეეხებიან, ვერ შეხვდებით ვერც ერთს, რომელშიც მითითებული იყოს, რომ თანამონაწილეობისათვის საჭიროა თანამონაწილეთა „ურთიერთცოდნა“. სამაგი-

<sup>1</sup> ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

ეროდ ხშირად შეხვედებით მითითებას, რომ თანამონაწილეებმა უნდა იცოდნენ ამსრულებლის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად თანამონაწილეობა შეიძლება განესაზღვროთ როგორც ორი ან რამდენიმე პირის განზრახი ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში, როდესაც თანამონაწილეებმა იციან ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ.

#### §4. თანამონაწილეობა და დანაშაულის შემადგენლობა

თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედობის ერთობლიობა თავის გამოხატულებას იმაშიც ჰპოულობს, რომ თანამონაწილენი დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას ასრულებენ.

ეს დებულება სადავოა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში.

ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, დანაშაულის შემადგენლობას ასრულებს მხოლოდ ამსრულებელი და არა თანამონაწილენი. ამ შეხედულების ავტორები თავის აზრს იმით ასაბუთებენ, რომ დანაშაულის შემადგენლობა მარტოოდენ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეული კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებს მოიცავს და არა აგრეთვე ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ ნიშნებსაც. რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები ისე არიან შედგენილი, რომ მხოლოდ დანაშაულის ამსრულებელს გულისხმობენ, ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში კანონმდებელი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც აფართოებენ სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას შემადგენლობის ფარგლებს გარეთ. ეს სპეციალური ნორმები გათვალისწინებულია მუხლებში თანამონაწილეობისა და დაუმთავრებელი დანაშაულის (მომზადების, მცდელობის) შესახებ.

ასე, მაგალითად, ზ. ვიშინსკაია და ა. კუზნეცოვი ამტკიცებენ, რომ დანაშაულის თანამონაწილეობით ჩადენის დროს დანაშაულის შემადგენლობა ფაქტიურად მოცემულია მარტოოდენ ამსრულებლის მოქმედებაში, ხოლო თანამონაწილეების – ორგანიზატორების, წამქეზებლების და სხვ. – მოქმედებანი მარტო იმაში გამოიხატება, რომ ისინი ჰქმნიან აუცილებელ პირობას, რომელიც ხელს უწყობს დანა-



შაულის ჩადენას, რაც საფუძველს არ გვაძლევს ვადიაროთ, რომ ამ შემთხვევებში არსებობს დანაშაულის შემადგენლობა<sup>1</sup>.

აღნიშნული შეხედულების მიმდევარი ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი ვ. სოლნარჟი თვლის, რომ საბჭოთა ავტორები, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ თანამონაწილეთა (წამქეზებელთა და დამხმარეთა) მოქმედებაშიც დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, წინააღმდეგობაში ვარდებიან; ერთის მხრივ, ისინი აღიარებენ, რომ ყოველი თანამონაწილე ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო მეორე მხრივ ახასიათებენ დამხმარებას და წაქეზებას, როგორც ისეთ მოქმედებებს, „რომლებიც დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებენ“<sup>2</sup>.

ანალოგიურ შეხედულებას იცავს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ვ. მაყაშვილი, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნია დანაშაულის შემადგენლობის ორი ცნების შექმნა, ერთისა – სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილისათვის, ხოლო მეორესი – ზოგადი ნაწილისათვის. „ამან, – წერს ვ. მაყაშვილი, – არ შეიძლება ბუნდოვნება და გაურკვეველობა არ შეიტანოს სისხლის სამართლის ცნებათა სისტემატიკაში“. ვ. მაყაშვილის აზრით, „მარტოოდენ ამსრულებელი ახორციელებს მთლიანად დანაშაულის შემადგენლობას. ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე მხოლოდ ქმნიან აუცილებელ პირობებს იმისათვის, რომ ამსრულებელმა განახორციელოს დანაშაულის შემადგენლობა. ამიტომ, თუ მაგალითად ამსრულებელი უარს ამბობს დანაშაულის ჩადენაზე, თანამონაწილეებმა არ შეიძლება პასუხი აგონ დამთავრებული დანაშაულისათვის, ვინაიდან მათ მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის ერთობლიობა, რასაც კანონი მოითხოვს“<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ დანაშაულის შემადგენლობა გულისხმობს მხოლოდ სისხლის სამართლის

<sup>1</sup> З. А. Вышинская, А. П. Кузнецов, Некоторые замечания к проекту Основных начал уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, „Советское государство и право“, 1958, №8, стр. 75.

<sup>2</sup> В. Солнарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики, ИЛ, М., 1962, стр. 36.

<sup>3</sup> ვ. მაყაშვილი, საბჭოთა კრიმინალისტიკის შრომა, გამოცემული ბულგარეთში, „საბჭოთა სამართალი“, 1961, №1, გვ. 89.

კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებიც. მოცემული ნიშნების ერთობლიობას, სწორად ვერ ასახავს დანაშაულის შემადგენლობის ცნების არსს. დანაშაულის შემადგენლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, მაგრამ იგი არ ემთხვევა ამ დისპოზიციას. საქმე ის არის, რომ კანონმდებელს, წმინდა საკანონმდებლო-ტექნიკური მოსაზრებებით, შემადგენლობის ისეთი ნიშნები, რომლებიც საერთოა ყველა დანაშაულისათვის, გამოტანილი აქვს ზოგადი ნაწილის მუხლებში<sup>1</sup>. ეს ნიშნები განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში თავისთავად იგულისხმებიან. ასე, მაგალითად, ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში სრულიად არ არის მითითებული ბრალზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს დანაშაულის შემადგენლობა ბრალის გარეშე. განსაკუთრებული ნაწილის ხარვეზს ასეთ შემთხვევაში ვავსებთ ზოგადი ნაწილის მუხლის მეშვეობით. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, თუ მან სიკვდილი გამოიწვია. 110-ე მუხლში არ არის მითითებული, რომ სიკვდილის მიმართ პირს ბრალი უნდა ჰქონდეს. ეს ხარვეზი ივსება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მეშვეობით, სადაც მითითებულია: „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“.

კიდევ მეტიც, ზოგჯერ შემადგენლობის რომელიმე ნიშნის შევსება გვიხდება კანონის განმარტების მეშვეობით, ვინაიდან ეს ნიშანი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით და ვერც ზოგადი ნაწილის მომარჯვებით შეივსება, მაგრამ განსაკუთრებული ნაწილის მუხლში მაინც მღუმარედ იგულისხმება. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მიხედვით

---

<sup>1</sup> სწორად მსჯელობს ამ საკითხზე ა. სანტალოვი. იხ. А. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, „Правоведение“, 1960, №1.

ქურდობა განმარტებულია როგორც მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება. მაგრამ სხვისი ნივთის „გატაცება“ შეიძლება როგორც მისი მისაკუთრების მიზნით, ისე დროებითი ხმარების მიზნითაც. ამიტომ სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა ავსებს 150-ე მუხლის დისპოზიციას იმ ნიშნით, რომ ქურდობის დროს ნივთის გატაცება უნდა მოხდეს ნივთის მისაკუთრების მიზნით.

თუ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შევსება შეიძლება მოხდეს ისეთი ნიშნებით, რომლებიც კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში პირდაპირ გათვალისწინებული არ არიან, მაგრამ ზოგადი ნაწილიდან მოიპოვებიან, მაშინ სადავო არ უნდა იყოს, რომ ასეთსავე შევსებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული თანამონაწილეობით არის ჩადენილი. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობაში შედიან არა მარტო ის ნიშნები, რომლებიც მოცემული არიან კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში, სადაც მართლაც უშუალოდ მხოლოდ ამსრულებელზეა ლაპარაკი, არამედ აგრეთვე ის ნიშნებიც, რომლებიც გათვალისწინებულია ზოგადი ნაწილის მუხლებში, სადაც ლაპარაკია ორგანიზატორთა, წამქეზებელთა და დამხმარეთა მოქმედებებზე.

აღნიშნულს სულაც არ ეწინააღმდეგება ის დებულება, რომ ამსრულებელი უშუალოდ ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო დანარჩენი თანამონაწილენი დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ასრულებენ, როგორც ამას ვ. სოლნარუი და ვ. მაყაშვილი ამტკიცებენ. აქ აქცენტი უნდა გავუკეთოთ არა იმას, თითქოს თანამონაწილენი საერთოდ არ ასრულებენ დანაშაულის შემადგენლობას, არამედ იმას, რომ თანამონაწილენი უშუალოდ არ ასრულებენ დანაშაულის შემადგენლობას.

როგორც უკვე დაწვრილებით იყო განხილული წინა პარაგრაფებში, თანამონაწილეთა მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. მართლაც, უშუალო მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან მხოლოდ ამსრულებლის ქმედობაა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმ დანარჩენ თანამონაწილეთა მიზეზობრივ კავშირსაც, რომელნიც ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით ებმებიან მიზეზობრიობის ჯაჭვში. დამდგარი დანაშაულებრივი შედეგი მათი ერთობლივი საქმიანობის პროდუქტია. ცხადია, თანამონაწილეთა ობიექტური როლი ამ შედეგის წარმოშობაში სხვადასხვაგვარია როგორც მიზეზობრიობის ხასიათის, ისე

მისი აქტიურობის მიხედვით. ამაზე აგებულია განსხვავება თანამონაწილეთა შორის. მაგრამ ეს სხვადასხვაობა არ გამოირიცხავს იმას, რომ თითოეული თანამონაწილე ობიექტურადაც და სუბიექტურადაც დაკავშირებული იმავე დანაშაულთან, რომელსაც ამსრულებელი იდენს, და მასთან ერთად ერთ ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს. ამ დებულების უგულვებელყოფა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ უშუალო მიზეზობრივ კავშირს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რას ემყარება თანამონაწილეთა, ე.ი. ორგანიზატორთა, წამქეზებელთა და დამხმარეთა პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი შედეგისათვის.

თავისებურ შეხედულებას თანამონაწილეთა მოქმედებისა და დანაშაულის შემადგენლობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გამოთქვამს მ. კოვალიოვი. ისიც არ ეთანხმება იმ საბჭოთა კრიმინალისტებს, რომელთა აზრით დანაშაულის შემადგენლობაში შედის როგორც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებით, ისე მისი ზოგადი ნაწილის მუხლებით გათვალისწინებული ნიშნები (პროფ. ნ. დურმანოვი, პროფ. ა. პიონტკოვსკი და სხვ.). მ. კოვალიოვის აზრით, დანაშაულის შემადგენლობა ორი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: როგორც დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა და როგორც დანაშაულის ზოგადი შემადგენლობა. დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა — ეს არის სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში აღწერილი შემადგენლობა. სწორედ ასეთი სპეციფიკური ნიშნებით განსხვავდება ერთი დანაშაულის შემადგენლობა მეორე დანაშაულის შემადგენლობისაგან. ამ შემადგენლობასთან ზოგადი ნაწილის მუხლებს კავშირი არა აქვთ. აქედან მ. კოვალიოვი აკეთებს დასკვნას, რომ თანამონაწილე (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას არ ახორციელებს<sup>1</sup>, მაგრამ, — განაგრძობს მ. კოვალიოვი, — არსებობს დანაშაულის ზოგადი შემადგენლობა. „ყოველი დანაშაულის შემადგენლობა... შედგება ოთხი ძირითადი მომენტისაგან: დანაშაულის ობიექტისა, ობიექტური მხარისა, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისაგან. დანაშაულის შემადგენლობის დამახასი-

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

ათბელი ყველა ეს ნიშანი მოცემულია თითოეული თანამონაწილის ქმედობაში და ისინი საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ. ზოლო საზოგადოებრივი საშიშროება — დანაშაულის ძირითადი მატერიალური ნიშანია<sup>1</sup>. აი, სწორედ ეს ზოგადი შემადგენლობა წარმოადგენს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ერთდერთ საფუძველს. „იგი გამოდის აქ როგორც ზოგადი შემადგენლობა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი შემადგენელი მოქმედებანი საზოგადოებრივად საშიში არიან და მათ აქვთ ყველა ის აუცილებელი ნიშანი, რაც დანაშაულის თითოეულ შემადგენლობას ახასიათებს“<sup>2</sup>.

მ. კოვალიოვის შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩათვალოს. არ არსებობს ზოგადი შემადგენლობა, არამედ არსებობს ზოგადი ცნება შემადგენლობის შესახებ, ისევე როგორც არ არსებობს ზოგადი დანაშაული, არამედ არსებობს ზოგადი ცნება დანაშაულის შესახებ. როგორც მართებულად მიუთითებს ვ. სოლნარეი, „აქაც მოქმედებს ლენინური დებულება, რომ ზოგადი არსებობს მხოლოდ განსაკუთრებულში (ცალკეულში). ქმედობის მარტოოდენ საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა რომ ყოფილიყო საკმარისი ამ ქმედობის დანაშაულად ჩათვლისათვის, მაშინ შემადგენლობა არ გამოდგებოდა სისხლის სამართალში ერთიანი სოციალისტური კანონიერების გარანტიად, ვინაიდან ინდივიდუალური შემადგენლობა სავსებით ზედმეტი იქნებოდა“<sup>3</sup>.

დაბოლოს, სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომელიც ასაბუთებს, რომ ამსრულეობის შემადგენლობასთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსებში დამოუკიდებლად არსებობენ სპეციალური შემადგენლობანი თანამონაწილეობისათვის, ე.ი. დანაშაულის წამქეზებლობის შემადგენლობა, დანაშაულის დახმარების შემადგენლობა, დანაშაულის ორგანიზაციის შემადგენლობა. ამ შეხედულებას საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში იზიარებენ პროფ. მდ. შარგოროდსკი<sup>4</sup>, ვ.ი. პინჩუკი<sup>5</sup>, ა.ი. სანტა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 165.

<sup>2</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 166.

<sup>3</sup> ვ. სოლნარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

<sup>4</sup> М.Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, №1.

<sup>5</sup> В.И. Пинчук, Состав преступления и проблема ответственности за соучастие особого рода, „Вестник ЛГУ“, 1959, №17.

ლოვი<sup>1</sup>, უ. კობიაშვილი<sup>2</sup>. და სხვა, ჩეხოსლოვაკიის ლიტერატურაში პროფ. ფ. პოლიაჩეკი<sup>3</sup>.

ზემოხსენებული კრიმინალისტები ილაშქრებენ იმ ავტორების წინააღმდეგ, ვისი აზრითაც თანამონაწილეობის დროს ადგილი აქვს ერთი საერთო შემაღვენლობის განხორციელებას. ეს შეხედულება მათ თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის გამოვლინებად მიაჩნიათ.

თანამონაწილეობის, უფრო სწორად, წამქეზებლობის, დახმარების და ორგანიზაციის სპეციალურ შემაღვენლობათა არსებობას, ამ შეხედულების დამცველთა აზრით, ამტკიცებს ის, რომ მთელ რიგ შემთხვევებში თანამონაწილეთა მოქმედების კვალიფიკაცია სხვა მუხლებით ხდება, ვიდრე ამსრულებლის მოქმედებისა<sup>4</sup>.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს მტკიცება, თითქოს არსებობენ ცალ-ცალკე, თანამონაწილეთა სახეების მიხედვით, დამოუკიდებელი სპეციალური შემაღვენლობანი. როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ვ. სოლნარეი, თანამონაწილეობის სპეციალურ შემაღვენლობათა არსებობას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ თანამონაწილეობა, მაგალითად, წაქეზება ან დახმარება არ წარმოადგენენ სპეციალურ დანაშაულს, არამედ დანაშაულებრივია თანამონაწილეობა დანაშაულში<sup>5</sup>.

თანამონაწილეთა მოქმედებების დამოუკიდებელ შემაღვენლობებად აღიარება მიგვიყვანდა თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრულ გაუქმებამდე და იმ კონცეფციამდე, რომელიც თეორიულად ფონინციკიმ დაასაბუთა, ხოლო პრაქტიკულად ნორვეგიის 1902 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა აღიარა<sup>6</sup>. მაგრამ ფონინციკის შეხედულება, რომელიც,

---

<sup>1</sup> А.И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права. „Правоведение“, 1960, №1.

<sup>2</sup> У.Л. Кобиашвили, К вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии. „Правоведение“, 1963, №3.

<sup>3</sup> Ф. Полячек, Состав преступления по чехословацкому уголовному праву. ИЛ., М., 1960.

<sup>4</sup> მ. დ. შარგოროდსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

<sup>5</sup> ვ. სოლნარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

<sup>6</sup> ამ დასკვნებს მართლაც აკეთებენ პროფ. მ. შარგოროდსკი და მისი მიმდევრები: მათზე დაწერილებით შეეჩერდებით მომდევნო პარაგრაფში „თანამონაწილეობის აქცესორული თუ დამოუკიდებელი ხასიათის შესახებ“, აგრეთვე სათანადო პარაგრაფებში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შესახებ.

როგორც დავინახეთ, უგულვებელყოფს დანაშაულის ობიექტურ მხარეს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად დანაშაულის დანაშაულებრივ განწყობას აღიარებს, მიუღებელია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: თანამონაწილეობა დანაშაულში არ დგას შემადგენლობის გარეშე. სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები თანამონაწილეობის შესახებ არ აფართოვებენ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების მოქმედების ფარგლებს და არ ქმნიან პასუხისმგებლობის ახალ, თავისებურ საფუძველს. მეორე მხრით დანაშაულის წამქეზებლობა, დამარება და ორგანიზაცია არ ქმნიან დანაშაულის დამოუკიდებელ სპეციფიკურ შემადგენლობებს. თანამონაწილენი იმავე შემადგენლობას ახორციელებენ, რომელსაც ახორციელებს ამსრულებელი, ხოლო, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებს თანამონაწილეობის შესახებ ის მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი მიგვიითებენ დანაშაულის მონაწილეთა სხვადასხვა ხასიათზე და სხვადასხვა როლზე, ვინაიდან დანაშაულში მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით ხდება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დიფერენციაცია.

იმ დებულებას, რომ თანამონაწილენი დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას ახორციელებენ, ვერ დაარღვევს პროფ. მ. შარგოროდსკის მოსაზრება, რომ ზოგჯერ თანამონაწილეთა მოქმედებების კვალიფიკაცია სხვადასხვა მუხლებით ხდება. ჯერ ერთი, როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. სოლნარჟი, „დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობად, თანამონაწილეობის თვალსაზრისით, ჩაითვლება კვალიფიციური შემადგენლობაც ძირითადის მიმართ და პირიქითაც“<sup>1</sup>, და მეორე: თანამონაწილეთა კვალიფიკაცია სხვადასხვა მუხლებით შეიძლება გამოწვეულ იქნეს განსაკუთრებული პირადი გარემოებებით, რომლებიც დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე ზეგავლენას ვერ მოახდენენ. ეს გამონაკლისები, ცხადია, ვერ შეარყევენ იმ ზოგად წესს, რომელიც მიღებულია საბჭოთა სისხლის სამართალში და რომლის თანახმად თანამონაწილის დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაცია იმავე მუხლით ხდება, რომლითაც ამსრულებლის დანაშაულისა.

<sup>1</sup> ვ. სოლნარჟი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

## §5. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თუ დამოუკიდებელი ხასიათი

რამდენადაც თანამონაწილეთა მოქმედების კვალიფიკაციას ძირითადად ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაცია განსაზღვრავს, ამდენად იბადება საკითხი: ზომ არა აქვს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას აქცესორული ხასიათი?

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა არ შეიძლება აქცესორულად ჩაითვალოს. თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათის აღიარებას ჩვეულებრივად თვლიან რეაქციულ და ფორმალურ-დოგმატიკურ დებულებად, რომელიც ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს<sup>1</sup>. ასეთ აზრს საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში იზიარებენ პროფ. გ. ი. ვოლკოვი, პროფ. ა. ტრაინინი, პროფ. ა. პიონტოვსკი, პროფ. მ. შარგოროდსკი და სხვ. უკანასკნელ ხანს მას მიემხრნენ მ. შნეიდერი, პ. გრიშაევი, გ. კრივერი, უ. კობიაშვილი.

ყველა ავტორი, რომელიც უარყოფს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორულ ხასიათს საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, აქცესორულობას განსაზღვრავს მეტად ვიწროდ, სახელდობრ, როგორც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან. ასე, მაგალითად, პროფ. ა. ტრაინინის აზრით, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება ნიშნავს იმას, რომ „თანამონაწილეთა ბედი დაუკავშირო ამსრულებლის ბედს“<sup>2</sup>. პროფ. მ. შარგოროდსკის აზრით, თანამონაწილეობის აქცესორულობა ნიშნავს იმას, რომ ა) თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ ამსრულებლის დასჯადი ქმედობის არსებობისას და ბ) თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით, რომელიც ამსრულებლის ქმედობას ითვალისწინებს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, Г. И. Волков, Классовая природа преступления и советское уголовное право, ОГИЗ, М., 1935, стр. 114.

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 124.

<sup>3</sup> М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, №1, стр. 87.



ასევე განსაზღვრავენ თანამონაწილეობის აქცესორულობას მ. შნეიდერი, პ. გრიშაევი და გ. კრიგერი. მ. ა. შნეიდერი მიუთითებს, რომ თანამონაწილეობის აქცესორული პრინციპის მიხედვით თანამონაწილეთა მოქმედება განიხილება როგორც ამსრულებლის მოქმედების დამატება და მოკლებულია დამოუკიდებელ ხასიათს. „თანაც ამ დამატებითი მონაწილეების პასუხისმგებლობა მთლიანად დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე და მით განისაზღვრება, ხოლო თუ რაიმე გარემოების გამო ამსრულებელი პასუხს არ აგებს, მაშინ აუცილებლად პასუხს არ აგებენ არც სხვა თანამონაწილენი“<sup>1</sup>. ასევე მსჯელობენ გრიშაევი და კრიგერი. ისინი ამტკიცებენ, რომ თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის თანახმად, „თანამონაწილეობის ცენტრალურ ფიგურას დანაშაულის ამსრულებელი წარმოადგენს, ხოლო დანარჩენ თანამონაწილეთა საქმიანობა დამხმარეა და დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებულია, ამიტომ თანამონაწილეთა მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, ისევე, როგორც მათი პასუხისმგებლობა, მთლიანად დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედების ხასიათსა და მის პასუხისმგებლობაზე“<sup>2</sup>. პ.ი. გრიშაევისა და გ.ა. კრიგერის აზრით, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის თანახმად, თანამონაწილეებმა ლოგიკურად პასუხი უნდა აგონ ამსრულებლის ექსცესისათვის, რაც ობიექტურ შერაცხვას წარმოადგენს. ხოლო, მეორე მხრით, თუ ამსრულებელმა რაიმე მიზეზით დანაშაული არ ჩაიდინა, თანამონაწილენი აუცილებლად უნდა განთავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან, თუნდაც მათი მოქმედება დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს<sup>3</sup>.

საბჭოთა ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ ამ ცოტა ხნის წინათ გაილაშქრა მ. ი. კოვალიოვმა. მისი აზრით, ჩვენს ლიტერატურაში სავსებით უსაფუძვლოდ უარყოფენ თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას, როგორც რეაქციულს და ფორმალურ-დოგმატიკურს. „პირიქით, თანამონაწილეობის აქცესორულობის აღი-

<sup>1</sup> М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 66.

<sup>2</sup> П. И. Гришасев, Г. А. Кригер, Соучастие по уголовному праву. м., 1959, стр. 172.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 172.

არება სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის პროგრესული ლოზუნგი იყო. აი, რატომ ილაშქრებდნენ ამ ლოზუნგის წინააღმდეგ ანტროპოლოგები და სოციოლოგები, რომლებიც ფონინციკის, კოლოკოლოვის, ლისტის და სხვ. მსგავსად, ამ პრინციპის უარყოფისას ფაქტიურად უარყოფდნენ თვით თანამონაწილეობასაც, როგორც სისხლის სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტს<sup>1</sup>.

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ზემოაღნიშნულ სადავო საკითხზე, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი და როგორია ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

სიტყვა აქცესორული ლათინური სიტყვაა (accessorius) და ნიშნავს დამატებითს, მიერთებულს. მაგალითად, აქცესორული ვალდებულება ნიშნავს დამატებით ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს მთავარი, ძირითადი ვალდებულების არსებობას (ასეთი აქცესორული ვალდებულება იქნება გირავნობის ვალდებულება, რომელიც დადებულია სესხის ხელშეკრულებასთან ერთად მის უზრუნველსაყოფად). აქცესორულობის შედეგს წარმოადგენს ის, რომ აქცესორული ვალდებულება ძირითად ვალდებულებაზეა დამოკიდებული.

თუ ამ ცნებას თანამონაწილეობას მიუვმარჯვებთ, მაშინ თანამონაწილეობა უნდა გავიგოთ, როგორც თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის ერთგვარი დამოკიდებულება ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებასთან<sup>2</sup>.

მაგრამ უშუალო ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან თანამონაწილეობის დამოკიდებულების ხარისხი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. სწორედ ამ გარემოებას არ იღებენ მხედველობაში ის კრიმინალისტები, რომლებიც ასე კატეგორიულად უარყოფენ საბჭოთა სისხლის სამართალში თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის აქცესორული პრინციპის არსებობას. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილე-

---

<sup>1</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть I, Ученые труды Свердловского юридического института, Свердловск, 1960, стр. 101.

<sup>2</sup> იხ. ვ. სოლნარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

თა პასუხისმგებლობა და მათი დასჯადობის ოდენობა მთლიანად და აუცილებლად არის დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე და მისი დასჯადობის ოდენობაზე<sup>1</sup>. პასუხისმგებლობის ასეთი, ე.წ. ჰიპერაქცესორული ფორმა გაერცელებული იყო ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ლიტერატურაში უფრო ადრინდელ პერიოდში და თანაც მას თანამონაწილეთა მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის მიმდევრები აღიარებდნენ. ასეთი აქცესორულობის მომხრენი მართლაც ამტკიცებდნენ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა არა მარტო იმ მხრით არის დამოკიდებული ამსრულებლის ქმედობაზე, რომ ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში არც თანამონაწილეობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, არამედ იმ მხრითაც, რომ ამსრულებლის პირადი თვისებები, რომლებიც ამძიებენ ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე, ამძიებენ ან ამსუბუქებენ მას<sup>2</sup>.

იმ საბჭოთა კრიმინალისტიკის კრიტიკა, რომლებიც თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათის წინააღმდეგ ილაშქრებენ, არსებითად მიმართულია სწორედ ამ ჰიპერაქცესორული თეორიის წინააღმდეგ. მაგრამ ისინი მხედველობაში არ იღებენ იმ გარემოებას, რომ უფრო გვიანდელ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ამ შეხედულებას თითქმის არაფერი აღარ იზიარებს. პირიქით, მოთხოვნა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათის შესახებ თანდათან სუსტდება, თანაც შესუსტება სხვადასხვა ავტორებთან სხვადასხვაგვარია. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიულ კრიმინალისტს ა. ვეგნერს, გარდა ჰიპერაქცესორული ფორმისა, მოჰყავს აქცესორულობის კიდევ 3 ფორმა: 1) უკიდურესი (extreme) აქცესორულობა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქმედობა შეიძლება ბრალად შეერაცხოს მთავარ დამნაშავეს, ე.ი. როდესაც მან მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად შეასრულა დანაშაულებრივი ქმედობა; 2) ლიმიტირებული აქცესორულობა, ე.ი. ისეთი ფორმა, რომლის დროსაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის

<sup>1</sup> ამ საკითხზე მართებულად მსჯელობენ მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 98-100; ვ. სოლნარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 73-74.

<sup>2</sup> ჰიპერაქცესორული თეორიის გადმოცემა იხ. A. Wegner, Strafrecht. Allgemeiner Teil, Göttingen, 1951, S. 239.

აუცილებელია მხოლოდ ის, რომ დამნაშავე მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ; 3) მინიმალური აქცესორული ფორმა, რომლისთვისაც საკმარისია, რომ ამსრულებელმა შეასრულოს კანონით გათვალისწინებული შემაღლებლობა, მაგრამ არ არის საჭირო მისი არც მართლსაწინააღმდეგოდ და არც ბრალეულად შესრულება<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, ამ სამი ფორმიდან ორი უკანასკნელი ფორმა კატეგორიულად არ შეიძლება მიღებულ იქნეს საბჭოთა სისხლის სამართლის მიერ. მეორე, ე.ი. ლიმიტირებული აქცესორული ფორმა გულისხმობს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი პირი მოქმედებდა განზრახ, ხოლო მეორე — გაუფრთხილებლობით ან ყოველგვარი ბრალის გარეშე. როგორც წინა თავებში დავინახეთ, ასეთ შემთხვევებში საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით თანამონაწილეობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. ის, ვინც განზრახ წააქეზებს სხვა პირს, რომელიც არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, პასუხს აგებს არა როგორც წამქეზებელი, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი.

მით უმეტეს შეუძლებელია ლაპარაკი თანამონაწილეობაზე, როდესაც ამსრულებელი არა თუ ბრალეულად, არამედ მართლსაწინააღმდეგოდაც არ მოქმედებს. აქ საერთოდ არა გვაქვს თანამონაწილეობა დანაშაულში, ვინაიდან, თვით დანაშაულს არა აქვს ადგილი (მაგალითად, ვინმე ეხმარება პირს, რომელიც აუცილებელი მოგერიების მართლზომიერ მდგომარეობაში იმყოფება).

მაგრამ ჩვენ სავსებით მართებულად უნდა ჩავთვალოთ ისეთი აქცესორულობა, რომლის დროსაც თანამონაწილის პასუხისმგებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამსრულებელმა დანაშაული ჩაიდინა, ე.ი. როდესაც იგი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად. რაში მდგომარეობს ეს აქცესორული ხასიათი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისა? ამ კითხვაზე სავსებით მართებულად უპასუხებს მ. ი. კოვალიოვი: „ამ თეორიის არსი იმ უცილობელ ფაქტში მდგომარეობს, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაკუთრებული პირობები და ფორმები შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

<sup>1</sup> ა. ვეგნერი, დასახ. ნაშრ., გვ. 239.

ამსრულებელმა შეასრულა თანამონაწილეთა მიერ მოფიქრებული დანაშაულის შემაღველობა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაიწყო მისი შესრულება. თანამონაწილეთა საერთო პასუხისმგებლობის საფუძველს დანაშაულში მონაწილე ყველა პირის მოქმედებათა ერთიანობა წარმოადგენს. ამ ერთიანობის ბერკეტი – ამსრულებელია. და თუ იგი არ არის, თანამონაწილობაც ინგრევა როგორც ხუხულა<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ შნეიდერი, გრიშაევი და კრიგერიც არ უარყოფენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობასთან, მხოლოდ რატომღაც ამ მოვლენას აქცესორულ პასუხისმგებლობასთან არ უწოდებენ. მაგალითად, მ. შნეიდერი წერს: „მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართალში აქცესორულობის პრინციპის უარყოფა არ ნიშნავს იმას, რომ ამსრულებლის მოქმედებას არ ენიჭება მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების განსაზღვრისათვის“<sup>2</sup>. ამგვარადვე პ. ი. გრიშაევი და გ. ა. კრიგერი აღნიშნავენ: „უარყოფთ – რა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის უცილობელ დამოკიდებულებას ამსრულებელთა პასუხისმგებლობასთან, ჩვენ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამსრულებელი სწორედ ისეთი პირია, რომელიც საერთო წესით რეალიზაციას უკეთებს ყველა თანამონაწილის დანაშაულებრივ განზრახვას. ამიტომ, თუ მან შესძლო დანაშაულის ჩადენა და ექსცესს ადგილი არ ჰქონია, დანარჩენმა თანამონაწილებმა, ბუნებრივია, პასუხი უნდა აგონ განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს“<sup>3</sup>. მოტანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა არ შეიძლება დასაბუთებულ იქნეს, თუ აღიარებულ არ იქნა მისი ერთგვარი დამოკიდებულება ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. მაგრამ ეს სხვა არა არის რა, თუ არა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება.

ზოგიერთ საბჭოთა კრიმინალისტს თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების წინააღმდეგ ის მოსაზრება მოჰყავს, რომ საბჭოთა სასამართ-

<sup>1</sup> მ. ი. კოვლიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 98-99.

<sup>2</sup> მ. შნეიდერი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

<sup>3</sup> პ. ი. გრიშაევი, გ. ა. კრიგერი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

ლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც თანამონაწილეთა მოქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლების მიხედვით ხდება<sup>1</sup>. მაგრამ ეს გარემოება სულაც არ გამორიცხავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორულ ხასიათს. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის კვალიფიკაცია სხვადასხვა მუხლით შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილებს ახასიათებს რაიმე ისეთი პირადი ინდივიდუალური თვისება, რომელიც სხვა თანამონაწილებს არ ახასიათებს. მაშასადამე, აქ საქმე შეიძლება შეეხებოდეს რაიმე დამამძიმებელ ან, პირიქით, შემამსუბუქებელ გარემოებას, რის გამოც შექმნილია შემადგენლობა, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას შემამსუბუქებელ, ან დამამძიმებელ გარემოებაში. მაგრამ ძირითადი დანაშაულის შემადგენლობა მაინც იგივე რჩება ყველა თანამონაწილისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამონაწილებას უკვე ადგილი არ ექნებოდა.

არ შეიძლება აგრეთვე დავეთანხმოთ პ. გრიშაევისა და გ. კრიგერის მოსაზრებას, რომ თანამონაწილების აქცესორული თეორია ანგარიშს არ უწევს ამსრულებლის ექსცესის შესაძლებლობას და ამით ქმნის ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას<sup>2</sup>. ამსრულებლის ექსცესის შერაცხვას დანარჩენი თანამონაწილებისათვის არ მოითხოვდა არც ერთი მიმდევარი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათისა, თვით პიპერაქცესორული თეორიაც კი.

ამგვარად, თანამონაწილების აქცესორული ბუნება გულისხმობს იმას, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის შესრულებაზე. თანამონაწილენი პასუხს აგებენ დამთავრებული დანაშაულისათვის, თუ ამსრულებელმა დამთავრებული დანაშაული ჩაიდინა. ისინი პასუხს აგებენ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, თუ ამსრულებლის ქმედობა მცდელობის ან მომზადების სტადიაზე შეჩერდა. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლს, გარდა მუხლისა თანამონაწილების შესახებ, ემატება მუხლი დაუმთავრებელი დანა-

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, М. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права в судебной практике, изд. ЛГУ, 1955, стр. 136-138.

<sup>2</sup> პ. გრიშაევი, გ. ა. კრიგერი, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

შაულის შესახებ. მაგალითად, მკვლევლობის მცდელობაში თანამონაწილეობა კვალიფიცირებული იქნება სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, მე-17-105-ე მუხლებით. ხოლო თუ ამსრულებელს არაკითარი დანაშაული არ ჩაუდენია, თანამონაწილეობას ადგილი არ ექნება.

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თანამიმდევარი წარმომადგენლები წინააღმდეგნი არიან ასეთი კვალიფიკაციისა. მაგალითად, პროფ. მ. შარგოროდსკის აზრით, იმ შემთხვევაშიც, როცა ამსრულებლის მოქმედებამ მომზადების სტადიას მიაღწია და იმ შემთხვევაშიც, როცა ამსრულებელს არაფერი ჩაუდენია, წამქეზებელმა და დამხმარემ გააკეთეს ყოველივე, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მთლიანად შეასრულეს შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია მუხლით თანამონაწილეობის შესახებ და განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლით<sup>1</sup>. უ.კობიაშვილის აზრით, თუ ა.-მ წააქეზა ბ. მოსაკლავად, მაგრამ ბ.-მ დაზარალებულს ტყვია ააცდინა, ა.-მ პასუხი უნდა აგოს არა როგორც მკვლევლობის მცდელობის თანამონაწილემ, არამედ როგორც მკვლევლობის თანამონაწილემ, ვინაიდან ა.-მ დაამთავრა თავისი განზრახვი მოქმედება. ბ.-ს მარცხმა არ შეიძლება შეცვალოს წამქეზებლის ქმედობის იურიდიული კვალიფიკაცია, — ვინაიდან მოვლენათა შემდგომი განვითარება წამქეზებლის ნებაზე უკვე აღარ არის დამოკიდებული<sup>2</sup>. ამგვარად, თუ ამსრულებელმა ჩაიდინა მკვლევლობის მცდელობა ან მომზადება, რისთვისაც იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 და 105-ე მუხლებით, წამქეზებლისა და დამხმარის ქმედობათა კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მე-17 მუხლის გარეშე, სახელდობრ მე-19-105-ე მუხლებით.

ასეთი დასკვნა არ შეესაბამება არც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას, არც საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიის დებულებებს პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები, ცალკე აღებული, გულისხმობენ დამთავრებულ დანაშაულებრივ ქმედობებს. როდესაც ადგილი აქვს პასუხისმგებლობას დაუთავრებელი დანაშაულისათვის, მათი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია მი-

<sup>1</sup> მ. შარგოროდსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

<sup>2</sup> უ. კობიაშვილი, დასახ. წერილი, გვ. 148-149.

თითება იმ მუხლებზე, რომელნიც მომზადებას და მცდელობას შეეხებიან. წამქეზებლის და დამხმარის მოქმედებათა კვალიფიკაცია მე-17 მუხლის გარეშე იმას ნიშნავს, რომ ისინი აღიარებული არიან დამთავრებული დანაშაულის თანამონაწილეებად. ხოლო, როგორც უკვე წინა პარაგრაფში იყო მითითებული, არ არსებობს წაქეზების ან დახმარების დამოუკიდებელი შემადგენლობა. თანამონაწილენი პასუხს აგებენ იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა და პასუხს აგებენ იმიტომ, რომ მათი მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია შედეგთან. ცხადია, თუ მიზეზობრივი კავშირიც კი არ არსებობს, და თანაც არ არსებობს იმის გამო, რომ შედეგი არ განხორციელებულა, წამქეზებელმა და დამხმარემ არ შეიძლება პასუხი აგონ დამთავრებული დანაშაულისათვის. ამ დებულებას არაფერს არ ვნებს ის გარემოება, რომ წაქეზებისა და დახმარების მოქმედებათა შესრულების შემდეგ თანამონაწილენი უკვე ზეგავლენას ვერ ახდენენ მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე. ამას ადგილი აქვს დამთავრებული მცდელობის დროსაც, როდესაც დანაშაულის დამთავრებას ხელი შეუშალა გარეშე გარემოებამ. თუ ვინმემ მოკვლის მიზნით თოფი ესროლა კაცს და ააცდინა, მან ყველაფერი გააკეთა, რაც საჭიროდ მიაჩნდა მკვლელობისათვის და კაცი მის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ მოკვდა. მაგრამ მცდელი პასუხს აგებს არა დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ მცდელობისათვის. იგივე პრინციპი მოქმედებს თანამონაწილის მიმართ, რომელიც მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით არის ჩაბმული.

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მოწინააღმდეგენი მიუთითებენ, რომ აქცესორულობის პრინციპის თანახმად გამორიცხულ უნდა იქნეს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, რაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს ეწინააღმდეგება. აქაც ისინი მოითხოვენ თანამონაწილეთა ქმედობის კვალიფიკაციას მე-17 მუხლისა და განსაკუთრებული ნაწილის სათანადო მუხლის მეშვეობით.

ჩვენი აზრით, თუ დანაშაული არ არსებობს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მასში თანამონაწილეობას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშ-



ნავს, რომ წამქეზებელი და დამხმარეც უნდა განთავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან. ისინი პასუხს არ აგებენ როგორც თანამონაწილენი; მაგრამ რამდენადაც მათი მოქმედება, თავისთავად, ე.ი. ამსრულებლის მოქმედებისაგან იზოლირებულად აღებული, დანაშაულის ჩადენის პირობების შექმნას შეიცავს და მამასადამე მოსამზადებელ მოქმედებას მიეკუთვნება, მათ შეიძლება პასუხი აგონ დანაშაულის მომზადებისათვის. ასეთი დასკვნა სწორედ თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს<sup>1</sup>.

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების თანამიმდევარი მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ აქცესორულ თეორიას არ შეუძლია დაასაბუთოს ეგრეთწოდებული უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების დასჯადობა. თუ წამქეზებელმა ვერ მიაღწია თავის მიზანს, ე.ი. ვერ შეაგულიანა სხვა პირი დანაშაული ჩადენა, ან თუ დამხმარემ ვერ მიაღწია თავის მიზანს, ვინაიდან ამსრულებელმა დანაშაული არ ჩაიდინა, ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედობა არ არსებობს. მამასადამე, თანამონაწილეც ვერ დაისჯება, მიუხედავად იმისა, რომ მან გააკეთა ყოველივე ის, რაც საჭიროდ მიაჩნდა თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად და შედეგი არ განხორციელდა მხოლოდ მასზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო. თანამონაწილეობის დამოუკიდებელი ბუნების მომხრენი წინადადებას იძლევიან დაკვალიფიკირდეს ასეთი შემთხვევები როგორც წაქეზების ან დახმარების მცდელობა<sup>2</sup>.

მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არ არსებობს წამქეზებლობის ან დახმარების დანაშაულთა დამოუკიდებელი შემადგენლობანი და ამიტომ არც შეიძლება არსებობდეს არც წამქეზებლობის ან დახმარების მცდელობა. როგორც მართებულად აღნიშნავს ა. ნ. ტრაინინი, „მცდელობა, ისევე როგორც მომზადება, დანაშაულის ჩადენის სტადიაა. ამიტომ იგი შესაძლებელია მარტოოდენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. თანამონაწილეობა – პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც თანამონაწილეთა

---

<sup>1</sup> ამიტომ არათანმიმდევრულად მსჯელობენ ის ავტორები, რომლებიც თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების წინააღმდეგ ილაშქრებენ და ამავე დროს ზემოთ მოტანილ შემთხვევებში მოითხოვენ პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის (იხ. მაგალითად, პ. ი. გრიშაევი, გ. ა. კრივერი, დასახ. ნაშრ., გვ. 248).

<sup>2</sup> იხ. უ. კობიაშვილი, დასახ. წერილი, გვ. 150-154.

საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმას შეესაბამება. მაგრამ თანამონაწილეობა დანაშაული არ არის: ამიტომ თანამონაწილეობის მცდელობა ისევე შეუძლებელია, როგორც მაგალითად, შეუძლებელია აუცილებელი მოგერიების მცდელობა<sup>1</sup>.

თუ ჩვენ აქცესორულობის მოწინააღმდეგეთა პოზიციას გავიზიარებთ, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ შეიძლება არსებობდეს მომზადების მომზადება ან მომზადების მცდელობა, ვინაიდან დამნაშავეის შეგულიანება ან დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა, რომლებშიც თანამონაწილეთა ქმედობანი გამოიხატება, თავისთავად, იზოლირებულად აღებულნი, დანაშაულის მომზადების სფეროს მიეკუთვნებიან.

ზემონათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია მნიშვნელოვნად აფართოებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას. უფრო მეტიც, ამ თეორიის თანამიმდევრულად განვითარება საბოლოოდ მიგვიყვანდა თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრულ მოსაზრებამდე, როგორც ამას ჰქადაგებდნენ ფოინიცი, გეტცი, ნიკოლადონი და სხვა სოციოლოგები.

დაბოლოს, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე შუალობითი ამსრულებლის პრობლემაშიც.

თანამონაწილეობის დამოუკიდებელი ბუნების მომხრენი მიუთითებენ, რომ აქცესორული თეორია იძულებულია შექმნას შუალობითი ბრალეულის ხელოვნური ცნება, რათა პასუხისმგებლობის გარეშე არ დატოვოს წამქეზებელი და დამხმარე იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალო ამსრულებელი მოკლებულია შერაცხვის უნარს, ან მცირეწლოვანია ან განზრახვის გარეშე მოქმედებს. მართლაც, ჩვეულებრივად ასეთი შემთხვევები განიხილება არა როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებლობა. ასეთი დასკვნა იქიდან გამომდინარეობს, რომ ფიზიკური შემსრულებელი ფაქტიურად დანაშაულს არ ჩადის, იგი წარმოადგენს მხოლოდ იარაღს მეორე პირის ხელში, რომლის მოქმედება როგორც მიზეზობრივ, ისე ბრალეულ კავშირშია განხორციელებულ დანაშაულებრივ შედეგთან. დანაშაულის ნამდვილი ამსრულებელი აქ ეს მეორე პირია, რომელიც სხვა პირის მოქმედებას ისევე იყენებს, როგორც უსულო საგანს.

---

<sup>1</sup> ა. ნ. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მოწინააღმდეგენი მოუთხოვენ, რომ შუალობითი ამსრულებლის ცნება ვერ შეავსებს ყველა იმ ხარვეზს, რასაც თანამონაწილეთა აქცესორული პასუხისმგებლობა იწვევს. მაგალითად, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ის სულიერად ჯანსაღს აგულიანებს დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ეს უკანასკნელი სულით ავადმყოფი აღმოჩნდა, აქცესორული თეორიის თანახმად ასეთი „წამქეზებელი“ ან დაუსჯელი დარჩება ან დაისჯება მხოლოდ დანაშაულის მომზადებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული უკვე დამთავრებულია, მაშინ როდესაც თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია სჯის მას, მისი ბრალის შესაბამისად, წაქეზებისათვის.

მაგრამ ცნობილია, რომ პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული დანაშაულის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარე.

როდესაც ვინმე ფიქრობს, რომ აქეზებს ან ეხმარება სულიერად ჯანსაღს, ხოლო ეს უკანასკნელი სულით ავადმყოფი აღმოჩნდა, ასეთი პირი ობიექტურად ამსრულებლის როლს ასრულებს, ხოლო სუბიექტურად ის წამქეზებელი ან დამხმარეა. ამიტომ იგი პასუხს ვერ აგებს როგორც ამსრულებელი, არამედ აღნიშნული სუბიექტური მომენტების გამო განხილულ უნდა იქნეს როგორც წამქეზებელი ან დამხმარე. როგორც მართებულად აღნიშნავს ბურჟუაზიული კრიმინალისტი ე. მეცგერი, „ეს არ ეწინააღმდეგება აქცესორულობის პრინციპს: ვინაიდან, თუმცა ასეთი პირი ისჯება ისე, როგორც ამას აქცესორულობის პრინციპი მოითხოვს, მაგრამ ეს იმიტომ როდი ხდება, რომ ეს პირი თანამონაწილეა, ის მხოლოდ ისჯება როგორც თანამონაწილე ბრალის სისხლისსამართლებრივ დებულებათა გამოყენების საფუძველზე“<sup>1</sup>.

დაბოლოს, რჩება უკანასკნელი მოსაზრება თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების წინააღმდეგ. ეს არის უშედეგო თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის დასაბუთების შეუძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც წაქეზება ან დახმარება მიმართული იყო ისეთი დანაშაულის ჩადენაზე, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი (თანამდებობის პირი, სამხედრო მსახური და ა.შ.)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Edmund Mezger, Strafrecht, Ein Lehrbuch, Berlin und München, 1949. S. 449.

<sup>2</sup> იხ. ა. ნ. სანტალოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 104; უ. კობაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 153-154.

უშედეგო მონაწილეობა ისეთ დანაშაულში, რომლის ამსრულებელი შეიძლება მხოლოდ სპეციალური სუბიექტი იყოს, ჩვენი აზრით, მართლაც არ შეიძლება იწვევდეს პასუხისმგებლობას. ამ დანაშაულთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალურ სუბიექტს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობა, რომლის დარღვევა უშუალოდ მხოლოდ მას შეუძლია, მაგალითად, თანამდებობის პირს – ის მოვალეობანი, რასაც მას გარკვეული თანამდებობის დაჭერა აკისრებს, სამხედრო პირს – ის მოვალეობანი, რაც მის სამხედრო ფიცთან არის დაკავშირებული და ა.შ. პირი, რომელსაც სპეციალური სუბიექტის თვისებები არა აქვს, შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც თანამონაწილე. ამსრულებლად იგი მაშინაც ვერ ჩაითვლება, თავისი ხელით რომ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას მიეკუთვნება. მაგალითად, თუ არასამხედრო პირმა სამხედრო პირის წაქეზებით დააზიანა ან გაანადგურა სამხედრო ქონება (მუხ. 269-ე), ამ დანაშაულის ამსრულებლად მაინც წამქეზებული სამხედრო პირი ჩაითვლება, ხოლო დანაშაულის ფაქტიური ამსრულებელი განიხილება როგორც მისი დამხმარე. ასეთ პირობებში არაბუნებრივი იქნებოდა, რომ უშედეგო წაქეზების დროს არასპეციალური სუბიექტი პასუხისმგებებაში მიგვეცა, თუ კი მისი მოქმედება რაიმე სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არ შეიცავს. ჩვენს მაგალითში არასამხედრო მსახური, თუ ის რაიმე განსაკუთრებული მიზნის გარეშე მოქმედებს, შეიძლებოდა პასუხისმგებებაში ყოფილიყო მიცემული სახელმწიფო ქონების დაზიანების მომზადებისათვის.

დაბოლოს, საჭიროა გავიხსენოთ ის, რაც ამ პარაგრაფის დასაწყისში ითქვა: თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოკიდებულება ამსრულებლის დანაშაულზე არ ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეებს აუცილებლად იგივე სასჯელი უნდა დაენიშნოს, რაც ამსრულებელს, და არც იმას, რომ ამსრულებლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი ან პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი გარემოებები აუცილებლად უნდა გავრცელდეს ყველა თანამონაწილეზე. აქცესორულობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ, როგორც საერთო წესი, თანამონაწილე პასუხს აგებს იმავე შემადგენლობის მიხედვით, რომლითაც პასუხისმგებელია ამსრულებელი და იმავე სანქციის ფარგლებში,

რომლითაც კანონი ამსრულებლის მოქმედებას ემუქრება. მაგრამ, ცალკეულ შემთხვევებში ორივე ამ ძირითადი დებულებიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი. სახელდობრ, შესაძლებელია ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევაში თანამონაწილის მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს სხვა მუხლითაც (მაგალითად, ამსრულებლის ექსცესის დროს) და თანამონაწილეს შეიძლება დაენიშნოს სხვა სასჯელი, ვიდრე ამსრულებელს, პასუხისმგებლობის ისეთი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოების არსებობის გამო, რომელიც სხვა თანამონაწილეებს არ შეეხება.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა კანონმდებლობა თანამონაწილეობის აქცესორულ ხასიათს არ უარყოფს.

ჯერ ერთი, იგი ლაპარაკობს თანამონაწილეობაზე „დანაშაულში“, მაშასადამე, მხედველობაში აქვს, რომ თანამონაწილეობა მარტო მაშინ არსებობს, როდესაც ამსრულებელიც ბრალეულად მოქმედებს და როდესაც ამსრულებლის მიერ ნამდვილად არის ჩადენილი დანაშაული (დამთავრებული ან დაუმთავრებელი). აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელს დანაშაული არ ჩაუდენია, თანამონაწილეობისათვის (უფრო სწორად თანამონაწილეობის მცდელობისათვის) პირი ვერ დაისჯება, არამედ იგი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ დანაშაულის მომზადებისათვის (თუ დანაშაულის ფაქტს საერთოდ არ ჰქონია ადგილი) ან შუალობითი ამსრულებლობისათვის (თუ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩადენილია შეურაცხი ან არაბრალეული პირის მიერ). კანონმდებლობას რომ პირველ შემთხვევაში სურდეს დასჯა წაქეზების ან დახმარების მცდელობისათვის, მას ეს დებულება პირდაპირ უნდა გამოეთქვა კანონში, როგორც ამას აკეთებდა, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მე-7 პარაგრაფის მე-4 პუნქტში მიუთითებდა: „დებულებანი მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გამოიყენება წაქეზებისა და დახმარების მცდელობის მიმართაც“<sup>1</sup>. ხოლო შუალობითი ამსრულებლის დასჯადობის მაგივრად კანონმდებელს შეურაცხი პირის და არაბრალეულის „წამქეზებელი“ უნდა დაესაჯა როგორც წამქეზებელი და არა როგორც დანაშაულის ამსრულებელი.

<sup>1</sup> ჩეხოსლოვაკიის ახალი, 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი უკვე აღარ იზიარებს ძველ შეხედულებას და უმედვეო თანამონაწილეობას სჯის არა როგორც წაქეზების მცდელობას, არამედ როგორც დანაშაულის მომზადებას.

თანამონაწილეთა სახეები

§ 1. თანამონაწილეთა კლასიფიკაცია

როგორც უკვე აღნიშნული იყო წინა თავში, თანამონაწილეთა მოქმედებას შეიძლება სრულიად სხვადასხვა ხასიათი ჰქონდეს. ზოგი შეიძლება საქმით მოქმედებდეს, ხოლო ზოგი — სიტყვით. ზოგი შეიძლება დანაშაულის შემადგენლობას ასრულებდეს, ხოლო ზოგი მონაწილეობას იღებდეს წინასწარ მოსამზადებელ მოქმედებაში და ა.შ. თანამონაწილეთა მოქმედებების სხვადასხვაობა არ გამორიცხავს მაინც თანამონაწილეთა ძირითადი სახეების ჩამოყალიბების საჭიროებას. ეს აუცილებელია არა მარტო საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაჭრისათვისაც. გასაგებია ამიტომ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცდილობენ დაყონ თანამონაწილეები სხვადასხვა კატეგორიებად.

1. თანამონაწილეთა ცალკეულ კატეგორიებს იცნობდა ჯერ კიდევ რომის სამართალი, რომელიც განასხვავებდა ბრალეულს (*rei principalis*) და დამხმარეს (*ministri, participes, conscili, satellites*). ამასთან ერთად რომის სამართალი იცნობდა აგრეთვე წამქეზებლის და ფიზიკური დამხმარის ცნებას<sup>1</sup>.

თანამონაწილეთა სახეების დიფერენციაცია უფრო ზუსტად მხოლოდ ბურჟუაზიულ სამართალში მოხდა. საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ამ საკითხში ძველ ფრანგულ სამართლებრივ სისტემას მისდევს, განასხვავებს თანამონაწილეთა ორ სახეს: 1) ბრალეულებს (*anteur*), რომელთაც ფიზიკურად შეასრულეს დანაშაული ან უშუალოდ და პირდაპირ ხელი შეუწყვეს მის შესრულებას, და 2) თანამონაწილეებს (*complices*). ამ უკა-

<sup>1</sup> Н. С. Таганцев, Курс русского уголовного права, ч. Общая кр. I-я отд. 3-е, С.-П. 1880 г. стр. 31. აღნიშნავია, რომ რომის სამართლისათვის ამ დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან საერთო წესით ყველა თანამონაწილეს ერთსა და იმავე სასჯელს უყენებდნენ.

ნასკნელ კატეგორიაში შედიან ინტელექტუალური მონაწილეები, ე.ი. წამქეზებლები და რჩევა-დარიგების მიმცემნი, ფიზიკური დამხმარენი, ე.ი. ის პირები, რომლებმაც მიაწოდეს ამსრულებელს იარაღი დანაშაულის ჩასადენად ან დაეხმარნენ დანაშაულის ამსრულებელს ისეთი მოქმედებით, რომელიც ამზადებს, ამსუბუქებს ან ახორციელებს დანაშაულს. გარდა ამისა, კანონი სჯის, როგორც თანამონაწილეებს, ზოგიერთი დანაშაულის დამფარავებსაც.

მეტად თავისებურად არის გადაწყვეტილი თანამონაწილეთა დიფერენციაციის საკითხი ინგლისის სამართალში. მასში მიღებულია დანაშაულთა დაყოფა სამ კატეგორიად: სახელმწიფო ღალატი (tracson), ფელონია (felony), და მისდინორი (misdencancer). პირველი და მესამე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის დროს კანონი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს დანაშაულში თანამონაწილეთა დაყოფას. „ითვლება, რომ სახელმწიფო ღალატის დანაშაულში ბრალის თვით უმცირესი ხარისხიც იმდენად მძიმეა, რომ უსარგებლო იქნებოდა რაიმე განსხვავების გატარება ამ ხარისხსა და ბრალის უფრო მძიმე ხარისხს შორის. მეორე მხრით, არავითარი საქმიანობა, დაკავშირებული მხოლოდ მისდინორის ჩადენასთან, არ ითვლება იმდენად მძიმედ, რომ გამართლებულ იქნეს ფორმალური განსხვავება ამ საქმიანობასა და დანაშაულში მონაწილეობის სხვა უფრო მძიმე ფორმებს შორის“<sup>1</sup> ამიტომ ყველა, ვინც მონაწილეობას იღებს ამ ორი მოპირისპირე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, ითვლება დანაშაულის ამსრულებლად (principals). პირიქით, შუალედი კატეგორიის, ე.ი. ფელონიის დროს კანონი ითვალისწინებს დამნაშავეთა დიფერენციაციის შესაძლებლობას იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით გამოვლინდა მონაწილეობა დანაშაულში. აქ განასხვავებენ ამსრულებლებს და თანამონაწილეებს. მაგრამ აღნიშნული ტერმინები სულ სხვა შინაარსის შემცველია, ვიდრე სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობაში.

ინგლისის კანონმდებლობა განასხვავებს პირველი და მეორე ხარისხის ამსრულებელს. პირველი ხარისხის ამსრულებლად ითვლება მთავარი დამნაშავე, ე.ი. ის პირი, „რომლის დანაშაულებრივ განზრახვაში მოცემულია უკანასკნელი, გასაკიცხი (blamcable) ფსიქიკური მიზეზი

<sup>1</sup> K. Kuntz, *Опыт истории права*, М., Изд. Юрид. Лич., 1989, стр. 91

დანაშაულებრივი ქმედობისა<sup>1</sup>. ამ ცნებაში იგულისხმება როგორც ის პირი, ვინც უშუალოდ განახორციელა დანაშაული, ისე ის პირი, ვინც დანაშაულის განსახორციელებლად გამოიყენა, როგორც ბრმა იარაღი, სხვა შეურაცხი ან ბრალის გარეშე მოქმედი პირი (შუალობითი ამსრულებელი). მეორე ხარისხის ამსრულებელთა ცნებაში იგულისხმება პირი, რომელიც ფელონიის ნამდვილ აღმასრულებელს „აღმოუჩინს დახმარებას ან აქეზებს მას“ თვით დანაშაულის ჩადენის მომენტში<sup>2</sup>. ამგვარად ამ სახის ამსრულებლად ფაქტიურად ითვლება არა ის პირი, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებდა დანაშაულის ჩადენაში, არამედ წამქეზებელი და დამხმარე. თანაც არ არის საჭირო დანაშაულის ადგილზე ყოფნა, საკმარისია, თუ ეს პირები იმ მომენტში მოქმედებენ, როდესაც მესამე პირი იღენს დანაშაულს.

დანაშაულში თანამონაწილენიც, ინგლისის სამართლის მიხედვით, ორ კატეგორიად განიყოფიან. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან პირები, რომლებიც დახმარებით ან რჩევით ხელს უწყობენ ერთ ან რამდენიმე მთავარ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენაში, თუკი ამ ხელისშემწყობ მოქმედებას ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენამდე, ხოლო მეორე კატეგორიის თანამონაწილეებად ითვლებიან ისეთი პირები, რომლებიც დანაშაულის ჩადენაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, არამედ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მოქმედებენ. „ამ სახის თანამონაწილედ ითვლება ის პირი, ვინც იცოდა, რომ ჩადენილია ფელონია და მისცა ერთ-ერთ დამნაშავეს (თუნდაც მხოლოდ დამხმარეს) თავშესაფარი ან აღმოუჩინა მას სხვაგვარი დახმარება, რითაც შესაძლებლობა მისცა მას დამალულიყო, ან დაეხმარა მსჯავრდებულ მკვლელს სატუსაღო-ოდან გაქცევაში“<sup>3</sup>. ამგვარად, უკანასკნელი კატეგორიის თანამონაწილეებად ინგლისის სამართალი თვლის ისეთ პირებს, რომლებიც კონტინენტური სამართლის მიხედვით ჩვეულებრივად ითვლებიან არა თანამონაწილეებად, არამედ დამფარავებად.

დამხმარეთა მოქცევა ამსრულებლის კატეგორიაში და, მაშასადამე, მათი დასჯადობის გათანაბრება, ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ თანამონაწილეთა წრის განუსაზღვრელი გაფართოება მიუთითებს ინგლი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>2</sup> კ. კენი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 96.



სური სისხლის სამართლის მეტად ჩამორჩენილ და რეაქციულ ხასიათზე. თანამონაწილეთა ანალოგიური დაყოფა მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში, ასე, მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის კოდექსის მიხედვით ამსრულებლად ითვლება ის, ვინც მონაწილეობას იღებს დანაშაულში, იმისდა მიუხედავად, ასრულებს თუ არა იგი უშუალოდ მოქმედებას, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში შედის, თუ მხოლოდ ხელს უწყობს დანაშაულს ან აქეზებს სხვას მის ჩასადენად<sup>1</sup>. ხოლო დამხმარედ ითვლება ის პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ აღმოუჩენს დამნაშავეს რაიმე დახმარებას, დამალავს მას, ან ხელს შეუწყობს, რათა დამნაშავემ თავიდან აიცილნოს დაპატიმრება, გასამართლება, სასჯელი და სხვ. მისთ.<sup>2</sup>

თანამონაწილეთა თავისებურ კლასიფიკაციას იძლევა არგენტინის 1921 წლის კოდექსი. იგი განასხვავებს: 1) ამსრულებლებს, 2) წამქეზებლებს, 3) დამხმარეებს ან დანაშაულის ჩადენისათვის სხვა აუცილებელ თანამონაწილეებს; 4) შორეულ თანამონაწილეებს და 5) შემდგომ თანამონაწილეებს, რომლებმაც დანაშაულის ჩადენამდე მისცეს დამნაშავეს თანხმობა დახმარების აღმოჩენაზე<sup>3</sup>.

ბურჟუაზიული ქვეყნების უმრავლესობა განასხვავებს ამსრულებელს და თანამონაწილეებს, თანაც თანამონაწილეთა რიცხვს აკუთვნებს წამქეზებელსა და დამხმარეს (იაპონიის 1907 წ. სისხლის სამართლის კოდექსი, ფინეთის 1894 წ. სისხლის სამართლის კოდექსი, შვეიცარიის 1937 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და სხვ.).

დაბოლოს, ზოგიერთი ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსი სრულიად არ იძლევა თანამონაწილეთა სახეების დიფერენციაციას. ამ კოდექსების რიცხვს ეკუთვნიან, მაგალითად, იტალიისა და დანიის სისხლის სამართლის კოდექსები. იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ზოგადი განსაზღვრება თანამონაწილეობის ცნებისა: „თუ რამდენიმე პირი მონაწილეობას იღებს ერთი და იმავე დანაშაულის ჩადენაში, თითოეული მათგანი დაისჯება მის-

<sup>1</sup> Уголовный кодекс Штата Нью-Йорк. Перевод с английского Б. Нишкифорова, М., 1946, стр. 10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 54.

<sup>3</sup> Современное зарубежное уголовное право, т. I, Изд. иностр. лит., М., 1957, стр. 53.

თვის დადგენილი სასჯელით, რამდენადაც შემდგომ მუხლებში სხვა რამ არ არის მითითებული“. ამგვარად კოდექსში სულ არ არის მოცემული თანამონაწილეობის ცალკეულ სახეთა განსაზღვრა და თანამონაწილეთა სახეებად დაყოფის საკითხი მთლიანად სასამართლოს თავისუფალ შეხედულებაზეა დამოკიდებული.

ამგვარადვე დანიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ ანსხვავებს პრინციპულად ამსრულებელს, წამქეზებელსა და დამხმარეს. იგი მხოლოდ ზოგადად განსაზღვრავს, რომ დანაშაულებრივი ქმედობისათვის გათვალისწინებული სასჯელი ვერცელდება ყველაზე, ვინც წაქეზებით, რჩევით ან საქმით იღებდა მასში მონაწილეობას, ხელს უწყობდა ქმედობას<sup>1</sup>.

2. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თანამონაწილეთა სახეების დაყოფა თანდათანობით ჩამოყალიბდა. უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტები იხსენიებდნენ თანამონაწილეთა ზოგიერთ სახეს, მაგრამ თანამონაწილეთა წრე ჯერჯერობით ზუსტად არ იყო განსაზღვრული. ასე, მაგალითად, რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წლის 8 მაისის დეკრეტში „მექრთამეობის შესახებ“ აღნიშნულია, რომ ქრთამის ამლების თანაბრად დაისჯებიან „წამქეზებლები, დამხმარენი და ქრთამის მიცემასთან დაკავშირებული (прикосновенные) ყველა მოსამსახურენი“<sup>2</sup>. რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წლის 22 ივლისის დეკრეტი სპეკულაციის შესახებ წამქეზებელთან, დამხმარესთან და შემხებელთან ერთად ასახელებს „მთავარ დამნაშავეს“ (მუხ. მე-11)<sup>3</sup>. 1918 წლის 30 ივლისის დეკრეტი „საგანგაშო ზარის შესახებ“, მიუთითებს, რომ „თანამონაწილენი, დამხმარენი, წამქეზებლები... და საერთოდ შემხებლები პასუხს აგებენ რევოლუციური ტრიბუნალის წინაშე მთავარ დამნაშავეებთან ერთად“<sup>4</sup>. 1918 წლის 19 სექტემბრის დეკრეტი „საფოსტო უწყების გარეშე წერილების, ფულის და მსუბუქი წონის ამანათების გადაზავნისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“

<sup>1</sup> იხ. Современное зарубежное уголовное право, т. I, изд. иностр. лит., М., 1957, стр. 142.

<sup>2</sup> Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР, Госюриздат, М., 1955, стр. 25.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 29.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 33.

მიუთითებს, რომ „დამხმარენი, თანამონაწილენი, წამქეზებლები და შემს-  
ბლები პასუხს აგებენ მთავარ დანაშაულებთან ერთად“<sup>1</sup>.

თანამონაწილეთა სახეების ზუსტი კლასიფიკაცია მოცემული იყო  
1919 წლის „რსფსრ-ის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებ-  
ში „სახელმძღვანელო საწყისები“ თავში „თანამონაწილეობის შესახებ“  
ასახელებენ და განსაზღვრავენ სამი კატეგორიის თანამონაწილეებს:  
ამსრულებელს, წამქეზებელს და დამხმარეს (მუხ. მუხ. 21-24-ეე).  
ასეთივე დაყოფა დარჩა რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის  
კოდექსში, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის  
სამართლის კანონმდებლობის ძირითად საწყისებში, 1924 წლისა და  
მის საფუძველზე გამოცემულ სისხლის სამართლის კოდექსებში, რომ-  
ლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებდნენ. მხოლოდ  
1958 წლიდან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის  
სამართლის კანონმდებლობის საფუძველებმა შეიტანეს სიახლე ამ კლას-  
იფიკაციაში. სახელდობრ, საფუძველების მე-17 მუხლში მითითებულია,  
რომ „დანაშაულის თანამონაწილეებად ჩაითვლებიან, ამსრულებლებთან  
ერთად, ორგანიზატორები, წამქეზებლები და დამხმარენი“. ამგვარად,  
თანამონაწილეთა ტრადიციულ სამ სახეს დაემატა ახალი სახე –  
ორგანიზატორი, რომლის მნიშვნელობა თანამონაწილეობისათვის მეტად  
დიდია. თითოეულ ამ სახეზე საჭიროა სპეციალურად შევჩერდეთ.

## §2. ამსრულებელი

ამსრულებელი თანამონაწილეობაში ძირითად ფიგურას წარმოად-  
გენს. როგორც მართებულად აღნიშნავს მ.ი. კოვალიოვი, „თუ არ არის  
ამსრულებელი, არც არის დანაშაული. მაგრამ თუ არ არის დანაშაუ-  
ლი, განა შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულში თანამონაწილეობაზე,  
ე.ი. მონაწილეობაზე იმაში, რაც სინამდვილეში არ არსებობს?“<sup>2</sup> ამი-  
ტომ თანამონაწილეთა დახასიათება სწორედ ამსრულებლის დახასი-  
ათებით უნდა დაიწყოს.

1. თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ერთმანეთს ებრძ-  
ვის ორი ძირითადი შეხედულება ამსრულებელზე. ერთი მათგანი განვრ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>2</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. I, 1960, стр. 99.

ცობით განმარტავს ამსრულებლის ცნებას, ხოლო მეორე – შეზღუდვით პირველი მათგანი (ცნობილია ლიტერატურაში როგორც ამსრულებლის ექსტენსიური ცნების მომხრე, ხოლო მეორე – რესტრიქციული ცნებისა.<sup>1</sup>

ამსრულებლის ექსტენსიური ცნების მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ამსრულებლად ფართო მნიშვნელობით უნდა ჩაითვალოს ყოველი პირი, ვისი მოქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, ე.ი. წარმოადგენს მის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. მაშასადამე, არსებითად ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში, არამედ ისიც, ვინც დაიყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად ან ხელს შეუწყობს მას დანაშაულის ჩადენაში. ამ შეხედულების თანახმად, წამქეზებელი და დამხმარეც არსებითად ამსრულებლები არიან. მაგრამ ამავე დროს კანონი გამოჰყოფს ასრულების ზოგიერთ სახეს, სახელდობრ, წაქეზებას და დამხმარებას, როგორც ასრულების განსაკუთრებულ სახეებს და მათთვის განსაკუთრებულ წესებს ქმნის. კანონი ხელოვნურად ზღუდავს ამსრულებლის ბუნებრივ ფართო ცნებას. რაც შეეხება ასრულების განსაკუთრებით გამოყოფილ სახეებს, კანონი ზოგჯერ ითვალისწინებს მათ უფრო მსუბუქ დასჯადობას (ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ კანონმდებლობათა უმრავლესობა სჯის დამხმარეს ამსრულებელთან შედარებით უფრო მსუბუქად). მაგრამ იბადება კითხვა: რა პრინციპის მიხედვით გამოჰყოფს კანონმდებელი ამსრულებლის ზოგადი ცნებიდან მის ზოგიერთ სახეს და სახელდობრ ვინ რჩება ამსრულებლის ვიწრო ცნებაში?

ამსრულებლის ექსტენსიური ცნება შემუშავდა პირობათა თანასწორფასიანების თეორიის საფუძველზე, რომლის ძირითადი დებულებანი მისმა დამაარსებელმა ბურიმ შემდგენიარად ჩამოაყალიბა:

„მიზეზობრივი კავშირი არის რაიმე მოვლენის წარმოშობის პროცესი. თუ გვსურს დავადგინოთ კონკრეტული მოვლენის მიზეზობრივი კავშირი, უნდა ჩამოვთვალოთ განსაზღვრული რიგით ყველა ის ძალა, რომლებმაც რაიმე მონაწილეობა მიიღეს ამ მოვლენის წარმოშობაში.

---

<sup>1</sup> იხ. A. Wegner, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, Gottingen, 1951, S. 235-236; R. Maurach, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, Ein Lehrbuch, Karlsruhe, 1954, S. 496-502.

ამ ძალთა მთელი ჯამი განხილულ უნდა იქნეს როგორც აღნიშნული მოვლენის მიზეზი.

მაგრამ ამავე უფლებით თითოეული აღნიშნული ძალთაგანი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოვლენის მიზეზი, ვინაიდან მოვლენის არსებობა იმდენადაა დამოკიდებული თითოეულ ცალკეულ ძალაზე, რომ თუ საერთო მიზეზობრივი კავშირიდან გამოვრიცხავთ თუნდაც ერთ-ერთ ამ ძალთაგანს, მოვლენა მთლიანად არ განხორციელდება. ამგვარად, თითოეული ცალკეული ძალა, რომელიც ანიჭებს დანარჩენი ცალკეული ძალების მკედარ მასას სასიცოცხლო ძალას, ამით კაუზალურად ხდის ყველა დანარჩენს<sup>1</sup>.

ამ დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული პირობა აუცილებელია იმისათვის, რათა კაუზალური გახდეს ყველა დანარჩენი, ვინაიდან შედეგი წარმოიშვება არა რომელიმე ცალკეული ძალის, არამედ ყველა მათგანის ერთობლივი მოქმედების შედეგად. ამავე დროს მიღებული ეფექტი (შედეგი) განუყოფელია ცალკეული ძალა, თავისთავად აღებული, არ წარმოადგენს შედეგის მხოლოდ ერთი ნაწილის ექვივალენტს. მიზეზობრიობის არსი ურთიერთზემოქმედებაშია, თანაც ეს ურთიერთზემოქმედება კავშირშია არა შედეგის ნაწილთან, არამედ მთელ, ერთობლივად აღებულ შედეგთან. „უნდა უარყოფთ შედეგის გაყოფადობის პრინციპი და ვადიაროთ, რომ თითოეული ძალა, რა სახითაც არ უნდა მოქმედებდეს იგი, წარმოშობს შედეგს მთლიანად. ამიტომ ის, ვინც ხმარობს თავის ძალას (მის მიერ ნასურვები) შედეგის წარმოსაშობად, პასუხს უნდა აგებდეს მთელი მოცულობით, თუ რა თქმა უნდა, დანარჩენი ხელშემწყობი ძალებიც მის ნებასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ“<sup>2</sup>.

თუზისიდან, რომ ყველა პირობა აუცილებელია შედეგისათვის, ბურიმ და მისმა მიმდევრებმა გამოიტანეს დასკვნა ყველა პირობის სრული თანასწორფასოვნების შესახებ. შედეგისათვის ყველა პირობის აუცილებლობა, ამ თეორიის მიმდევართა აზრით, „მეტად მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს და ამ თვისებით ეს პირობები ერთიმეორეს უთანაბრდებიან. ამიტომ ჩვენ არა თუ უფლება გვაქვს, არამედ ვალდებულიც ვართ განვიხილოთ ისინი როგორც თანასწორფასოვანი, ვი-

<sup>1</sup> M. Buri, Über Kausalität und deren Verantwortung, Leipzig, 1873, S. 1.

<sup>2</sup> M. Buri, Die Kausalität und ihre strafrechtlichen Beziehungen, Stuttgart, 1885, S. 18.

<sup>3</sup> E. Hartmann, Das Kausalproblem im strafrecht, 1900, S. 55

დრე წარმოდგენილი არ იქნება ზუსტი დამამტკიცებელი საბუთი, რომ რაღაც სხვა მიმართებით ისინი კაუზალურად განსხვავებული არიან<sup>1</sup>.

პირობათა კაუზალური თანასწორფასოვნობიდან ექვივალენტური თეორიის წარმომადგენლები აკეთებენ დასკვნას მათი იურიდიული თანასწორმნიშვნელობის შესახებ. და მართლაც: თუ დანაშაულებრივი შედეგის წარმომშობ პირობათა შორის შეუძლებელია რაიმე ობიექტური განსხვავების გატარება, მაშინ მიზეზობრივ კავშირს არ შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ამ დებულებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეთა გამოიჯანისა და მათი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის.

თუ ყველა აუცილებელი პირობა აბსოლუტურად თანასწორფასოვნია, მაშინ ცალკეული სახის თანამონაწილენი არ შეიძლება გაემიჯნოთ ერთმანეთისაგან ობიექტური ნიშნის მიხედვით. ამიტომ გასაგებია, რომ ექვივალენტური თეორიის წარმომადგენლები განმასხვავებულნი მანს ეძებენ თანამონაწილეთა ფსიქიკურ დამოკიდებულებაში დანაშაულებრივ შედეგთან.

სწორედ ასე იქცევა ექვივალენტური თეორიის წარმომადგენელი ბური, რომელიც თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიას ავითარებს. ბური საერთოდ ცნობს მხოლოდ თანამონაწილეობის ორ სახეს — ამსრულებელს და დამხმარეს. წამქეზებლის ფიგურა მის მიერ გამკვეებულია თანამონაწილეთა რიცხვიდან, ვინაიდან იგი მის ფორმულაში ვერ თავსდება. ეს ფორმულა კი მდგომარეობს შემდეგში: ამსრულებელი არის ის, ვინც მოქმედებს დამოუკიდებელი ნებით, ხოლო დამხმარე — ის, ვინც დამოუკიდებელი ნების გარეშე მოქმედებს. ბურის აზრით, „კანონმდებლობისათვის საესებით საკმარისი იქნებოდა, თუ იგი თანამონაწილეობას ასე განსაზღვრავდა: ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს დანაშაულებრივი შედეგის წარმოსაშობად დამოუკიდებელი ნებით, ხოლო დამხმარის საქმიანობა გამოწვეულია ამსრულებლის ნებისადმი დამორჩილებული ნებით“<sup>1</sup>.

ამ დებულებას ბური თვლიდა თავისი თეორიის ძირითად ლეიტმოტივად და თავის მრავალრიცხოვან შრომებში ცდილობდა ეს აზრი დაესაბუთებინა. განსაკუთრებით მკვეთრად მან თავისი შეხედულება შემდეგ დებულებაში ჩამოაყალიბა: „თუ დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე

<sup>1</sup> M. Buri, Zur lehre von der Teilnahme am verbrechen und der Begünstigung, 1860, S. 3.

თავისი მოქმედებით საკუთარ მიზანს მისდევს, ხოლო მეორე თანამონაწილე თავის მიზანს იმაში ზედავს, რომ პირველმა მიაღწიოს თავის მიზანს, ამ შემთხვევაში მეორე უმორჩილებს თავის მიზანს პირველს; ამიტომ მეორის ნება, აღნიშნული მატერიალური ხასიათის გამო დამოუკიდებელი არ არის...<sup>1</sup>. მას სურს შედეგი იმდენად, რამდენადაც იგი სურს ამსრულებელს, ხოლო თუ ამსრულებელმა შესცვალა თავისი ნება, დამხმარეც სცვლის თავის ნებას.

არანაკლებ გამოუსადეგარია თანამონაწილეთა ცალკეული სახეების გასამიჯნად სუბიექტური თეორიის ის ნაირსახეობა, რომელიც საკუთარი ინტერესის მაგივრად ხმარობს გამოთქმას – „სურდა ქმელობა როგორც საკუთარი“. ასეთი დასაბუთება გვხვდება თანამედროვე ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში. მაგალითად, დასავლეთ გერმანიის კრიმინალისტიკის ი. ბაუმანის მიხედვით, ამსრულებელია ის, ვისაც სურს დანაშაული როგორც საკუთარი, ვისი ნებაც მიმართულია იმაზე, რომ „იყოს ქმელობის ავტორი (animus auctoris), განსაზღვროს ქმელობის შესრულება და უხელმძღვანელოს მას“, ხოლო წამქეზებელი და დამხმარე, ბაუმანის აზრით, ისინი არიან, ვისი ნებაც იმაზეა მიმართული, რომ აღძრან სხვა პირი ქმელობის ჩასადენად ან მხარი დაუჭირონ მას (animus socii) ე.ი. ვისაც არ სურს უხელმძღვანელოს ქმელობას. აქედან ბაუმანი აკეთებს დასკვნას: „თანამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც მონაწილეობს ქმელობის შესრულებაში და აქვს ნება შეასრულოს საკუთარი დასჯადი ქმელობა, თუნდაც მისი მონაწილეობა მეორეხარისხოვანი იყოს. დამხმარე არის ის, ვინც მონაწილეობს ქმელობაში და აქვს ნება მხარი დაუჭიროს სხვის ქმელობას, თუნდაც იგი მნიშვნელოვან აღმასრულებელ მოქმედებას ახორციელებდეს“<sup>2</sup>.

ამავე შეხედულებას იზიარებენ კოლრაუში და ლანგე. მათი აზრით, თუ ვინმე მონაწილეობს დანაშაულის შესრულებაში ისეთი ნებით, რომ სურს გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი, როგორც საკუთარი და მზად არის პასუხი აგოს მისთვის, იგი უნდა ჩაითვალოს ამსრულებლად, თუნდაც მისი მოქმედება რჩევა-დარიგებით ამოიწურებოდეს და მოსამზადებელ მოქმედებას არ სცილდებოდეს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>2</sup> J. Baumann, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1961, S. 429.

<sup>3</sup> იხ. Kohlrausch-Lange, Strafgesetzbuch, 43, Aufl, Berlin, 1961, S. 173.

როგორც ცნობილია, რაიხსგერიხტის პრაქტიკა, ბურის ზეგავლენით, სუბიექტურ თეორიას იზიარებდა. სუბიექტური თვალსაზრისი მეტად ნათლად არის ფორმულირებული. მაგალითად, მის შემდეგ განჩინებაში (66.240): „თანამსრულებლობის ცნებისათვის აუცილებელია და საკმარისი, რომ ყოველ მონაწილეს სურდეს გამოიწვიოს დასასჯელი ქმედობის მთელი შედეგი როგორც საკუთარი, მაგრამ საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე და გაერთიანებული ძალ-ღონით; რომ ამგვარად თითოეულ მათგანს სურდეს შეავსოს თავისი საკუთარი მოქმედება — როგორც მეშვეობითი ამსრულებლისა — ერთი ან რამდენიმე ამხანაგის მოქმედებით და თანახმა იყოს, რომ ეს მოქმედება მას შეერაცხოს“<sup>1</sup>. მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრად სუბიექტური თეორია ჩამოყალიბებულია რაიხსგერიხტის განჩინებაში 74,85. საქმის გარემოება ასეთი იყო: უკანონოდ შობილი შვილის დეიდამ თავისი დის თხოვნით და მისი ინტერესებისათვის საკუთარი ხელით და სხვის დაუხმარებლად მოჰკლა ახალშობილი. პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლიანად დასაჯა იგი როგორც მკვლელობის ამსრულებელი, ხოლო ბავშვის დედა — როგორც წამქეზებელი. რაიხსგერიხტმა გააუქმა აღნიშნული განაჩენი და მიუთითა, რომ რამდენადაც შედეგით დაინტერესება დამახასიათებელია ამსრულებლის ნებისათვის, ხოლო ასეთი დაინტერესება სწორედ დედას ჰქონდა, საჭიროა გამოკვლეულ იქნეს, ხომ არ არის დედა ამსრულებელი (შუალობით ამსრულებელი), ხოლო მისი და — მხოლოდ დამხმარე“<sup>2</sup>.

თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია თავისი თანმიმდევრული განვითარებისას ლიტონი დანაშაულებრივი განზრახვის დასჯადობამდე მიგვიყვანდა. ამავე დროს ეს თეორია ლოგიკურ შეცდომას უშვებს. „საიმპერიო სასამართლოს *animus*-ის მთელი ფორმულა, — აღნიშნავდა ველცელი, — ხელოვნური ფორმულაა. დასაბუთების მაგივრად იგი დაუმტკიცებელ დებულებას აყენებს, შემდეგ კი ისევ ეს დებულება მოჰყავს როგორც დასაბუთება: ვინმე ამსრულებელია იმიტომ, რომ მას აქვს ამსრულებლის ნება, — მაგრამ რის გამო აქვს ამსრულებლის ნება და რა მტკიცდება ამით, — ეს უპასუხოდ რჩება“<sup>3</sup>. როგორც

<sup>1</sup> კოლრაუშ-ლანგი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

<sup>2</sup> იხ. რ. მაურახი, დასახ. ნაშრ., გვ. 524.

<sup>3</sup> ველცელი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.



მართებულად მიუთითებს იგივე ველ(კელი, იმ გარემოებას, რომ ვინმეს სურს ქმედობა როგორც საკუთარი, არ შეიძლება გადააქციოს ქმედობა საკუთარ ქმედობად, ისევე როგორც იმას, რომ ვინმეს არ სურს ქმედობა როგორც საკუთარი, ე.ი. აქვს დამხმარის ნება, არ შეუძლია გადააქციოს დამხმარის ქმედობა სხვის ქმედობად<sup>1</sup>.

თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია პრაქტიკულად სავსებით გამოუსადეგარია თანამონაწილეთა სახეების გასამიჯნავად. მიზნის ან ინტერესის ცნება არ ეკუთვნის დანაშაულის შემადგენლობას და ამიტომ არ შეიძლება გამოდგეს ამსრულებლის ცნების დახასიათების კრიტერიუმად.

ამასთან ერთად, საკუთარი და სხვისი ინტერესის ცნება მეტად გაურკვეველია. სამართლიანად მიუთითებდა რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ტაგანცევი, რომ ამ ცნებებს პირობითი ხასიათი აქვთ. „მოტივის, დამოუკიდებელი მამოძრავებელი გრძნობის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შეგნებული მონაწილეობა დანაშაულში. ამ მხრივ ის პირი, ვინც პირადი შურისძიების ან ეჭვის ზეგავლენით მოქმედებს, და დაქირავებული პირი, რომელმაც დანაშაული ანგარებით ჩაიდინა, არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ადამიანი, რომელმაც ფულისთვის იშოვა საწამლავი კაცის მოსაკლავად, უიჭვივლად ახორციელებს პირად ინტერესებს“<sup>2</sup>.

თანამონაწილეობის სუბიექტური გაგება სრულიად ზედმეტად ხდის წამქეზებლის ცნებას, ვინაიდან წამქეზებელი, რომელიც არის მთელი დანაშაულის ინიციატორი და რომელსაც მაშასადამე, ყოველთვის სურს იგი „როგორც საკუთარი“, აუცილებლად უნდა იქნეს განხილული როგორც ამსრულებელი. ცნობილია საიმპერიო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილება (44,148), როდესაც ქალი, რომელმაც დაიყოლია სხვა პირი თავისი ქმრის მოსაკლავად, დაისაჯა, როგორც მკვლელობის თანაამსრულებელი, ვინაიდან იგი დაინტერესებული იყო ამ მკვლელობით.

დაბოლოს, სუბიექტური თეორია მძიმე მდგომარეობაში ვარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის მიხედვით ამსრულებელს განსაკუთრებული პირადი თვისებები უნდა ახასიათებდეს. მაგალითად, ამ თეორიის თანახმად, სისხლის აღრევის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Н. С. Таганцев, Лекции, 1902, стр. 762.

პირი, ვინც ნათესაურ ურთიერთობაში არ არის სისხლის აღრევის უშუალო მონაწილეებთან, თუ იგი დაინტერესებულია ამ დანაშაულის შედეგით, ან კერძო პირი, რომელიც ხელს უწყობს თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენას, უნდა ჩაითვალოს მის ამსრულებლად, თუ მას ჰქონდა „ამსრულებლის ნება“.

ამგვარად, თეორია, რომელიც აღიარებს პირობათა თანასწორფასოვნებას შედეგისათვის, ერთი მხრით ლოგიკური თანამიმდევრობით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ობიექტურ სფეროში არ შეიძლება გამოიძებნოს თანამონაწილეთა განმასხვავებელი ნიშანი, ხოლო მეორე მხრივ, იგი ვერ იძლევა რაიმე სხვა ნიშანს, ვინაიდან ასეთი განმასხვავებელი ნიშნის აღმოჩენა სუბიექტურ სფეროში, დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებაში მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან შეუძლებელი აღმოჩნდა.

აქედან ერთი ნაბიჯია თანამონაწილეობის ცნების სრულ გაუქმებამდე და დანაშაულის ჩადენაში ერთობლივად მონაწილე პირთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარებამდე. არსებითად ამ დასკვნამდე მივიდა ექვივალენტური თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი გ. კოლოკოლოვი, რომელიც აღნიშნავდა: „თუ გაბატონებულ დოქტრინას გაეზიარებთ, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ პრინციპული განსხვავება თანამონაწილეთა შორის არ შეიძლება იქნეს დასაბუთებული“<sup>1</sup>.

როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ნ. ს. ტაგანცევი, პროფ. კოლოკოლოვმა „არსებითად ჯვარი გადაუსვა მთელ მოძღვრებას თანამონაწილეობაზე, როგორც ბრალეულობის დამოუკიდებელ ფორმაზე, თუმცა მას მთელი მონოგრაფია მიუძღვნა“<sup>2</sup>.

ექვივალენტური თეორიის მეორე წარმომადგენელი ფ. ლისტი მივიდა აგრეთვე იმ დასკვნამდე, რომ „შედეგის ყველა პირობის თანასწორფასოვნობის გამო ცალკეულ პირთა შორის, რომლებიც ხელს უწყობდნენ დანაშაულის ჩადენას, ლოგიკური განსხვავება არ არსებობს“<sup>3</sup>.

ამგვარადვე ნორვეგიის 1902 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შემდგენი გეცი თანამონაწილეობას იმ მოსაზრებებით უარყოფდა, რომ, ჯერ ერთი, ყველა თანამონაწილე ერთნაირად იწვევს შედეგს და

<sup>1</sup> Г. Колоколов, О соучастии в преступлении, 1881, стр. 104.

<sup>2</sup> Н. С. Таганцев, Лекции, 1902, стр. 740.

<sup>3</sup> Ф. Лист, Учебник уголовного права, Часть общая, М., 1903, стр. 235.

ამიტომ ობიექტურად თანამონაწილეთა შორის განსხვავება შეუძლებელია; და მეორე, ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთნაირი შინაარსის განზრახვით და ამ მხრივაც მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს<sup>1</sup>.

2. ბურჟუაზიული იურისტების მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილი უარყოფს ამსრულებლის ექსტენციურ ცნებას, რომელიც საბოლოოდ შლის ყოველგვარ ზღვარს ამსრულებელსა და სხვა თანამონაწილეთა შორის, და ცდილობს დაასაბუთოს ამსრულებლების რესტრიქციული ცნება.

ამსრულებლის რესტრიქციული ცნება ძირითადად დაკავშირებულია დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან. ამსრულებლის რესტრიქციული ცნების მომხრეთა აზრით, დანაშაულის შემადგენლობა აგებულია ისე, რომ იგი გულისხმობს ამ შემადგენლობის ამსრულებლის დასჯას, მაგრამ კანონი ამსრულებლის დასჯადობას, განსაკუთრებული მითითების საფუძველზე, ავრცელებს აგრეთვე იმ პირებზეც, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობას არ ანხორციელებენ, არამედ მხოლოდ ხელს უწყობენ ამსრულებელს. კანონის დადგენილებანი წაქეზებისა და დახმარების შესახებ არ ეკუთვნიან დანაშაულის შემადგენლობას, პირიქით, ისინი აფართოებენ პასუხისმგებლობას დანაშაულის შემადგენლობის გარეშე. „მაგრამ საფუძველი მაინც საფუძველი რჩება. ეს თავის გამოხატულებას პოულობს განაჩენებში: ვინც შეეცადა ჩაედინა ქურდობა, დაისჯება §§ 242, 43 მიხედვით, ვინც დაიყოლია სხვა ქურდობაზე — §§ 242, 48 მიხედვით; ვინც ხელი შეუწყო ქურდობას — §§ 242, 49 მიხედვით“<sup>2</sup>.

ამსრულებლის რესტრიქციული ცნების აგება ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ძირითადად სხვადასხვა მეთოდის მიხედვით ხდება. პირველი მეთოდი შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც ფორმალური ობიექტური, რომლის საფუძველზე ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში შემუშავდა თანამონაწილეობის ე.წ. ფორმალურ-ობიექტური თეორია.

ფორმალურ-ობიექტური თეორიის წარმოადგენლები ცდილობენ მოძებ-

<sup>1</sup> გეცის შეხედულება გადმოცემულია ბირკმეიერის ნაშრომის მიხედვით. იხ. K. Birkmeyer, Teilnahme am Verbrechen, „Vergleichende Darstellung...“ Allg. Teil, B. II, Stuttgart, 1908, S. 87.

<sup>2</sup> A. Wegner, Strafrecht, Allgemeiner Teil, Göttingen, 1951, S. 234.

ნონ თანამონაწილეთა განმასხვავებელი ნიშანი თვით სისხლის სამართლის კანონში, უფრო ზუსტად, სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სფეროში. და თუ ბურჟუაზიული კრიმინალისტიკების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ კანონი, რომელიც აწესრიგებს რამდენიმე პირის ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულებრივ ქმედებაში, ამით „არავითარ სპეციფიკურ სისხლისსამართლებრივ ცნებას არ ქმნის“<sup>1</sup>, მეორე ნაწილს, პირიქით მიაჩნია, რომ თანამონაწილეობის ცნება „მთლიანად კანონის პროდუქტია“<sup>2</sup>.

ამ ეგზეტივობებულ ფორმალურ-ობიექტურ თეორიათა წარმომადგენლები არიან ე. ბელინგი, მ. ე. მაიერი, ჰიპელი და მეცგერი. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ბელინგისა და მეცგერის თეორიები, რომლებზედაც უფრო დავწვრილებით შეგჩერდებით.

ბელინგი თავის თავს ექვივალენტური თეორიის მიმდევრად აცხადებს. ამის შესაბამისად იგი თვლის, რომ ყოველი აუცილებელი პირობა თავისი მიზეზობრივი მნიშვნელობით უთანაბრდება მეორე პირობას და ამიტომ ყოველი მოსამზადებელი მოქმედება, — ხოლო დამხმარის მოქმედებაც მოსამზადებელი მოქმედებაა, — შედეგისათვის ხელისშემწყობ მიზეზად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ თანამონაწილეთა დიფერენციაციას არ შეიძლება საფუძვლად დაედოს თანამონაწილეთა მოქმედების სხვადასხვა კაუზალური ძალა. თანამონაწილეთა გამიჯვნას თვით ბელინგი აწარმოებს დანაშაულის შემადგენლობის ცნების საფუძველზე. ბელინგი განასხვავებს ვიწრო და ფართო შემადგენლობის ცნებას. დანაშაულის ვიწრო შემადგენლობაში, მისი აზრით, აღმასრულებელი მოქმედება შედის. ასრულებად, მისი აზრით, უნდა ჩაითვალოს მოქმედება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ბირთვს ეკუთვნის, რომელიც მაშასადამე, ნიშნავს „მკვლელობას“, „გატაცებას“ და ა.შ.<sup>3</sup> პირიქით, მოსამზადებელი ან დახმარებითი მოქმედება ნიშნავს შედეგის ისეთი პირობის შექმნას, რომელიც დანაშაულის ვიწრო შემადგენლობის ფარგლებს გარეთ არის: „მსხვერპლის დაჭერა იმ დროს, როდესაც მკვლელობა ხდება, სადარაჯოზე დგომა ქურდულად ქონებ-

<sup>1</sup> Liepmann. Einleitung in das Strafrecht, Berlin, 1900, S. 58.

<sup>2</sup> M. E. Mayer, Der Allgemeine Teil des deutschen Strafrechts Berlin, 1915, S. 388.

<sup>3</sup> Beling, Die Lehre vom Verbrechen, Tübingen, 1906, S. 397.

ის გატაცების დროს, არ წარმოადგენს თავისთავად „მკვლევლობას“ ან „გატაცებას“, არამედ ხელისშემწყობი მიზეზის შექმნაა<sup>1</sup>. ის, ვინც ისეთ მოქმედებას ასრულებს, რომელიც ვიწრო შემადგენლობას, ე.ი. შემადგენლობის ბირთვს ეკუთვნის, ამსრულებელია. დამხმარე კი ასრულებს მხოლოდ მოსამზადებელ მოქმედებას ან თანამოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს სააღსრულებო მოქმედებას<sup>2</sup>.

ამგვარად, ამ შეხედულების მიხედვით ამსრულებლისა და სხვა თანამონაწილეთა გამიჯვნა წარმოებს წმინდა ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე სუბიექტურ ნიშნებზე მიუთითებლად: ამსრულებელი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, ვინც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის ნიშნები განახორციელა, თუნდაც მას „არ სურდეს მოქმედება როგორც საკუთარი“. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბელინგმა ვერ შესძლო თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნის ამოცანის გადაჭრა ფორმალურ-იურიდიულ საფუძველზე, ე.ი. დანაშაულის შემადგენლობის მოძღვრების საფუძველზე. საქმე ის არის, რომ თვით დანაშაულის შემადგენლობის დაყოფა შემადგენლობის ბირთვად და მის გარეშე ზონად, ვიწრო და ფართო შემადგენლობად საბოლოო ანგარიშში კაუზალური ფაქტორების იურიდიულად სხვადასხვაგვარ შეფასებას ემყარება. ეს აღნიშნული იყო ჯერ კიდევ ბურჟუაზიული კრიმინალისტიკების მიერ. მაგალითად, ბურჟუაზიული იურისტი ტარნოვსკი მიუთითებდა: „თუმცა თვით ბელინგი უარყოფს, რომ ამით მან მიზეზობრიობის ახალი თეორია შექმნა, მაგრამ მას არ შეუძლია ამ ფაქტის გაბათილება საწინააღმდეგოს მტკიცებით. იგი გამოპყოს კაუზალური ანტიცედენტების ერთობლიობიდან ცალკეულ ანტიცედენტებს, რომლებიც „დანაშაულის შემადგენლობის ბირთვს“ წარმოადგენენ. მაგრამ ეს სხვა არაფერია, თუ არა ცალკეულ პირობათა გამიჯვნა მათი იურიდიული რელევანტობის მიხედვით, როგორადაც არ უნდა უარყოს ეს ბელინგმა“<sup>3</sup>.

ამგვარად ბელინგის ცდა თავი გაენთავისუფლებინა მიზეზობრიობის ცნებისაგან, და მისგან დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინა თავისი სწავლება თანამონაწილეობაზე, უშედეგოდ დამთავრდა.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 397.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 249.

<sup>3</sup> H. Tarnowsky, Die systematische Bedeutung der adäquaten Kausalitätstheorie für den Aufbau des Verbrechensbegriffs, Berlin und Leipzig, 1927, S. 74-75.

ფორმალურ-ობიექტურმა თვალსაზრისმა თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მეცგერის მოძღვრებაში მიაღწია. მეცგერის აზრით, ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან და კაუზალობის თვალსაზრისით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. „მაგრამ იქ, სადაც კაუზალური იდეა გვაძიულებს ყველაფერი ერთ სიბრტყეში დაიყვანოთ, ემოციურ-შეფასებით იდეას შეუძლია აღიაროს განსხვავება“<sup>1</sup>. „მიზეზობრივი ჯაჭვის ყველა რგოლის კაუზალური თანასწორფასოვნობიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს მათი იურიდიულად ერთგვაროვანი შეფასება“<sup>2</sup>. ასეთი იურიდიულ-ნორმატიული შეფასების კრიტერიუმი, მეცგერის აზრით, შეიძლება გამოტანილ იქნეს თვით სისხლის სამართლის კანონის განმარტებებიდან. ამსრულებლის ცნების განსაზღვრის, ისევე, როგორც მცდელობის ცნების განსაზღვრისას კოდექსის დადგენილებანი ისეთი მოქმედების შესრულებაზე მიუთითებენ, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში შედის. ამის შესაბამისად, მეცგერის აზრით, ამსრულებლად ითვლება ის, ვინც თავისი მოქმედებით დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს, ხოლო დამხმარედ – ის, ვინც მხოლოდ ხელს უწყობს ამსრულებელს მის მიერ მთავარი მოქმედების ჩადენაში<sup>3</sup>.

მეცგერის ფორმალურ-ობიექტური თეორიის წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ იგი, როგორც ყველა ფორმალური თეორია, მხედველობიდან უშვებს საკითხის მატერიალურ არსს. იურიდიულ-ნორმატიული შეფასება აუცილებლობით გულისხმობს საგანს, რომელიც უნდა შეფასდეს და რომელიც ამიტომ დადგენილ უნდა იქნეს მანამდე, ვიდრე მის შეფასებაზე გადავალთ. რა წარმოადგენს შეფასების საგანს ცალკეული სახის თანამონაწილეთა გამიჯვნის დროს? როგორც თვით მეცგერი გვიპასუხებს – ეს საგანი, – დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეში უნდა ვუძებოთ, სახელდობრ იმ მოქმედების ხასიათში, რომელსაც თანამონაწილენი ახორციელებენ. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა სხვადასხვაგვარ იურიდიულ შეფასებას საფუძვლად უდევს მათი მოქმედების სხვადასხვაგვარი როლი დანაშაულის შესრულებაში, ე.ი. საბოლოო ჯამში ისევ კაუზალური იდეა.

<sup>1</sup> E. Mezger, Strafrecht, Ein Lehrbuch, München und Leipzig, 1931, გვ. 414.

<sup>2</sup> ე. მეცგერი, დასახ. ნაშრ., იქვე, გვ. 443.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 443-444.

ჩვენ არ ვვლავებით მეცგერს იმაში, რომ თანამონაწილეთა მოქმედება ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით ზუსტად უნდა იქნეს გამოიჯნული, მაგრამ ამ ფორმალურ-იურიდიულ განსხვავებას სინამდვილეში საფუძვლად უდევს თანამონაწილეთა მოქმედების კაუზალური არათანასწორობა, რომლის წინააღმდეგ გამოდის მეცგერი, ვინაიდან იდეალისტურ კაუზალურ თეორიას ემყარება. ამგვარად, როგორც ბელინგის, ისე მეცგერის თეორიაში, მიზეზობრიობის მომენტი, ვითომდა გაძევებულია თანამონაწილეობის მოძღვრებიდან, სინამდვილეში მაინც ასრულებს თავის როლს როგორც დანაშაულის შემადგენლობის ძირითადი ელემენტი.

3. რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში იმ შეხედულებას, რომ თანამონაწილეთა მოქმედების მიზეზობრივი თვალსაზრისით თანასწორფასოვნებამ არ შეიძლება გამორიცხოს მათი სხვადასხვაგვარი შეფასება იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ სისხლის სამართლის თვალსაზრისით, იზიარებდა პროფ. ნ. სერგეევსკი, მაგრამ ამავე დროს პროფ. სერგეევსკი მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებას არ შეუძლია დაადგინოს ზუსტი და ნათელი ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება თანამონაწილეთა ცალკეული სახეების განსხვავება და, კერძოდ, მთავარ და მეორეხარისხოვან დამნაშავეთა გამიჯვნა. ამიტომ პროფ. სერგეევსკი თვლიდა, რომ საკითხი მთლიანად მოსამართლის თავისუფალ მიხედულებას უნდა გადაეცეს. მოსამართლემ, თანამონაწილეთა მოქმედებების ყოველმხრივად შეფასებისა და აწონ-დაწონის შედეგად თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, თუ თანამონაწილეთა რომელ ტიპს უნდა მიეკუთვნოს ესა თუ ის ცალკეული თანამონაწილე<sup>1</sup>.

ამგვარად, იმის მაგივრად, რომ მიეწოდებია მოსამართლისათვის მეცნიერულად შემოწმებული კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა თანამონაწილეთა სხვადასხვა სახეების დადგენა, სერგეევსკის საკითხის მთელი სიმძიმე მოსამართლეზე გადაჰქონდა, რასაც არ შეეძლო არ გამოეწვია გაურკვეველობა და მერყეობა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში.

---

<sup>1</sup> Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право, Пособие к лекциям, Часть общая, Петроград, 1915, стр. 316.

როგორც ჩანს, სერგეევსკი თვითონაც გრძნობდა თავისი შეხედულების სუსტ მხარეს და ამიტომ იგი ცდილობდა წამოეყენებინა ზოგიერთი საორიენტაციო დებულებანი, რომლებსაც უნდა გაედვილებინათ მოსამართლისათვის თანამონაწილეთა გამიჯვნა. მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა სერგეევსკის დებულებათა არათანმიმდევრობა. ცალკეულ თანამონაწილეთა დახასიათებისას ნ. სერგეევსკი, თავისდა შეუქმნიველად, მათი მოქმედებების კაუზალურ არათანასწორფასოვნობას ეყარება. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „როგორც ფიზიკურმა, ისე ინტელექტუალურმა ბრალეულებმა ზიანის გამომწვევი საქმიანობა (причиняющая деятельность) შეიძლება არათანაბრად გაინაწილონ; აქედან – განსხვავება მთავარ და მეორეხარისხოვან, ფიზიკურ ბრალეულებსა და დამხმარეებს, წამქეზებლებსა და ინტელექტუალურ დამხმარეებს შორის მათი მოქმედების არათანასწორფასოვნებაში“<sup>1</sup>.

6. სერგეევსკის ამ სიტყვებში უეჭველად რაციონალური მარცვალაია, წინააღმდეგ თავისი კონსტრუქციის ამოსავალი დებულებისა. ნ. სერგეევსკი იძულებული იყო იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ თანამონაწილეთა სახეების განსხვავებას საფუძვლად უდევს ცალკეულ მონაწილეთა მოქმედებების კაუზალური არათანასწორობა.

4. ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი კარგად გრძნობს მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნისათვის და ცდილობს გამოიყენოს ეს მომენტი ამ მიჯნის გავლებისათვის, მაგრამ ვერ ახერხებს თავისი აზრის დასაბუთებას იმის გამო, რომ მცდარ, იდეალისტურ საფუძვლებს ეყარება. ამ იურისტთა რიცხვს ეკუთვნიან ბურჟუაზიული კრიმინალისტი ბირკმეიერი და მისი მიმდევარი ჰერგტი.

ბირკმეიერი და ჰერგტი იმ დებულებას იზიარებენ, რომ როგორც ამსრულებლის, ისე სხვა თანამონაწილეთა მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და ამიტომ თითოეული მათგანი პასუხს უნდა აგებდეს ერთობლივი შედეგისათვის. მაგრამ, ექვივალენტური თეორიის წარმომადგენელთა საწინააღმდეგოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ ამსრულებლის მოქმედება უფრო ქმედით ხასიათს ატარებს, ვიდრე დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედება და ამიტომ მათი საქმიანობა შეიძლება გამიჯნულ იქნეს

<sup>1</sup> ნ. სერგეევსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 315-316.



კაუზალური თვალსაზრისით. ამ დებულების დასამტკიცებლად ბირკმეიერი აყალიბებს მიზეზობრივი კავშირის თავისებურ თეორიას.

ბირკმეიერის თეორიის ამოსავალი პუნქტი მდგომარეობს იმაში, რომ მიზეზი სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მიზეზისაგან ფილოსოფიური თვალსაზრისით. ფილოსოფიური თვალსაზრისით მიზეზობრივი კავშირის ერთადერთ სწორ თეორიად ბირკმეიერი თვლის ექვივალენტურ თეორიას, რომელიც, მისი აზრით, იმდენად დასაბუთებულა, რომ „არავის აზრადაც არ მოსვლია შეერყნა იგი“<sup>1</sup>. მაგრამ სისხლის სამართლის პრაქტიკული მოთხოვნებიანი, განსაკუთრებით, თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნისა და მათი პასუხისმგებლობის სამართლიანად დასაბუთების აუცილებლობა აიძულებს კრიმინალისტს შეზღუდოს მიზეზის ფართო ფილოსოფიური გაგება და აუცილებელ პირობათა ურიცხვი რაოდენობიდან გამოკეოს ზოგიერთი პირობა, რომელთანაც შეიძლება დაკავშირებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ და მხოლოდ ამ პირობებს შეიძლება დაერქვას მიზეზი სისხლის სამართლის მნიშვნელობით.

„მიზეზად სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, ბირკმეიერის აზრით, უნდა ჩაითვალოს შედეგის მხოლოდ ის პირობა, რომელმაც მეტი მონაწილეობა მიიღო დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობაში, ვიდრე სხვა პირობებმა“<sup>2</sup>. ბირკმეიერი არ უარყოფს იმას, რომ სხვა პირობებმაც შეიტანეს თავისი წვლილი დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობაში, მაგრამ მისი აზრით, „პრაქტიკული მოთხოვნილება გვაიძულებს გამოვყოთ ზოგიერთი პირობა, როგორც მიზეზი, ხოლო საგანთა ბუნება გვიკარნახებს ჩავთვალოთ ეს პირობები ყველაზე უფრო ქმედით პირობებად“<sup>3</sup>.

ყველაზე უფრო ქმედითი პირობის გასამიჯნავად სხვა პირობებისაგან, ბირკმეიერის აზრით, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს ყოველდღიური ცხოვრების შეხედულებებით, ადამიანის საღი გონებით. თვითონ ბირკმეიერი მის მიერ შექმნილ მიზეზის ცნებას უწოდებს „ეულგარულ“ ცნებას, რომელსაც ყოველდღიური ცხოვრება იყენებს.

<sup>1</sup> K. Birkmeyer, Über Ursachenbegriff und Kausalzusammenhang im Strafrecht, Leipzig, 1885, S. 7.

<sup>2</sup> კ. ბირკმეიერი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 18.

მიზეზის ცნების ასეთი გაგების საფუძველზე ბირკმეიერს გამოაქვს დასკვნა: ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც იწვევს დანაშაულებრივ შედეგს ყოველდღიურ შეხედულებათა შესაბამისად, ხოლო დამხმარედ ან წამქეზებლად ის, ვინც ჰქმნის მხოლოდ პირობას შედეგისათვის<sup>1</sup>.

ბირკმეიერი კარგად გრძნობდა ექვივალენტური თეორიის ნაკლოვანებებს, განსაკუთრებით მის გამოუსადეგრობას თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნისათვის. მაგრამ საკუთარი შეხედულების დასაბუთებისას მან ვერ შეძლო მოეყვანა ვერავითარი დადებითი მოსაზრებანი „ყველაზე უფრო ქმედითი პირობის“ სასარგებლოდ. უფრო მეტიც, იგი ზედმეტად თვლის რაიმე საბუთების მოტანას და კმაყოფილდება განცხადებით: „მიზეზის ვულგარული ცნება, რომ იმ ცნებას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ყოველი სისხლის სამართლის კოდექსი უნდა ემყარებოდეს, ჩვენი აზრით, აღიარებულ უნდა იქნეს, როგორც პოსტულატი, ყოველგვარი მსჯელობის გარეშე“<sup>2</sup>. ამგვარად, ბირკმეიერმა, რომელიც მიზეზობრივი კავშირის იდეალისტურ გაგებას ემყარებოდა და უარყოფდა აუცილებელ პირობათა კაუზალურ არათანასწორობას ფილოსოფიური თვალსაზრისით, ვერ შესძლო გამოეძებნა ვერავითარი კრიტერიუმი ამ პირობათა გამიჯვნისათვის, გარდა მიზეზის, „ეულგარული ცნებისა“, რომლის არსის გამოსარკვევად ბირკმეიერი „ადამიანის საღი გონების“ უშინაარსო ცნებას მიმართავდა. იმის დასადგენად, თუ რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნას ეს ცნება მეცნიერული მიზნებისათვის, გავიხსენოთ ფ. ენგელსის ცნობილი სიტყვები: „მაგრამ საღი, ადამიანური განსჯა, რომელიც ესოდენ პატივსადები თანამგზავრია შინაურობაში ოთხ კედელ შუა, გასაოცარ თავგადასავალს განიცდის, როგორც კი გაბედავს კვლევა-ძიების ფართო ასპარეზზე გამოსვლას“<sup>3</sup>.

5. უკანასკნელ ხანს ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში მეტად გავრცელდა „მატერიალურ-ობიექტური თეორია“, რომელიც უარყოფს თანამონაწილეობის, როგორც სუბიექტურ, ისე ძველობიექტურ თეორიებს და ცდილობს შეათანხმოს ეს თეორიები ობიექტური და სუბიექტური

<sup>1</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>3</sup> ფრიდრიხ ენგელსი, ანტიდიურიზმი, სახელგამი, 1952, გვ. 27.

კრიტერიუმების“ საფუძველზე. ამ ახალ თეორიას საფუძველად უდევს ველცელის მიერ ჩამოყალიბებული ე.წ. ფინალური შეხედულება მოქმედებაზე; ამიტომ თანამონაწილეობის ე.წ. „მატერიალურ-ობიექტური თეორიის“ გასაგებად საჭირო იქნება პირველად ყოვლისა, დახასიათებულ იქნეს ფინალური თეორიის არსი.

ფინალური თეორია აკრიტიკებს შეხედულებას, რომელსაც მოქმედება ესმის, როგორც წმინდა კაუზალური პროცესი. მოქმედების კაუზალური თეორია ფინალური შეხედულების თანახმად, სრულიად ამახინჯებს ნებისა და სხეულებრივი მოძრაობის ფუნქციონალურ მიმართებას. მისთვის ნებისყოფა წარმოადგენს გარეგანი კაუზალური პროცესის უბრალო ასახვას მოქმედის ფსიქიკაში. სინამდვილეში მოქმედება წარმოადგენს არა უბრალო კაუზალურ, არამედ „ფინალურ“ ცნებას. „მოქმედების „ფინალურობა“, ე.ი. მიზნობრიობა იმას ემყარება, რომ „ადამიანს თავისი მოქმედების შესაძლებელ შედეგთა კაუზალური ცოდნის საფუძველზე, განსაზღვრული მოცულობით შეუძლია გაითვალისწინოს თავისი მოქმედების შესაძლებელი შედეგები, დასახოს სხვადასხვა მიზნები და გეგმაზომიერად წარმართოს თავისი საქმიანობა ამ მიზნების მისაღწევად“<sup>1</sup>. თავისი კაუზალური გათვალისწინების საფუძველზე პიროვნებას შეუძლია ისე წარმართოს თავისი საქმიანობის ცალკეული აქტები, რომ გარეგანი ხდომილება დასახულ მიზანს დაუმორჩილოს, ე.ი. მისი საბოლოო ზედეტერმინირება მოახდინოს. „ფინალური საქმიანობა მიზნისკენ შეგნებულად წარმართული მოქმედებაა, მაშინ როდესაც წმინდა კაუზალური ხდომილება არის არა მიზნისკენ მიმართული, არამედ შემთხვევითი შედეგი რაიმე მიზეზობრივი კომპონენტებისა. ამიტომ ფინალურობა – ხატოვნად რომ ვთქვათ – „თვალზილულია“, ხოლო კაუზალობა „ბრმა“<sup>2</sup>.

ამ ძირითადი დებულებიდან გამომდინარე ფინალური თეორია ილაშქრებს გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც მკვეთრად ყოფს ერთმანეთისაგან დანაშაულის გარეგან და შინაგან მხარეს. ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში მეტად გავრცელებული ე.წ. „კაუზალური“ თეორიის თანახმად, ობიექტურ უმართლობას ეკუთვნის მო-

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem. Eine Einführung in die finale Handlungslehre, Göttingen, 1957, S. 3.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 3.

ქმედების მხოლოდ ობიექტური ნიშნები, რომლებიც გარეშე სამყაროში მიმდინარეობენ. მოქმედებისაგან, როგორც წმინდა კაუზალური პროცესისაგან, ეს თეორია გამოყოფს ნების შინაარსს, მის სუბიექტურ-ფსიქიკურ ელემენტებს, რომლებიც ბრალს მიეკუთვნებიან. პირიქით, ფინალური შეხედულების თანახმად, ნებისყოფის სუბიექტური ელემენტები — განზრახვა, მიზანი და სხვა. არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს მოქმედების ცნებიდან. ყველა ეს სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ელემენტი მოქმედების ცნებაში შედის, თანაც ეს ელემენტები სულაც არ ეკუთვნიან ბრალის ცნებას. ბრალი არის არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან, არამედ წმინდა შეფასებითი მსჯელობა სუბიექტის გასაკიცხაობის შესახებ.

როგორც ამ გადმოცემიდან ჩანს, ფინალისტები ბრალის ნორმატიული თეორიის წარმომადგენლები არიან. მაგრამ ნორმატივისტული შეხედულების ძველი წარმომადგენლისაგან (ყუ ღონა, ბერგი, პოლ მერკელი და სხვ.) ისინი იმით განსხვავდებიან, რომ დანაშაულის მთელი ფსიქოლოგიური მხარე (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) მათ დანაშაულის შექმნის ობიექტურ მხარეში გადააქვთ და მოქმედების ცნებაში ათავსებენ<sup>1</sup>. „ბრალის კონსტიტუციური ელემენტი, რომელიც მოქმედებას და მოქმედების ნებას ბრალეულად გადააქცევს, მხოლოდ გასაკიცხობაა (Vorwerfbarkeit). ეს უკანასკნელი წარმოადგენს გადამწყვეტ ახალ მომენტს, რომელიც მოქმედებას ემატება და მას ბრალეულობის თვისებას ანიჭებს, მხოლოდ მის შინაარსზეა ლაპარაკი მოძღვრებაში ბრალის შესახებ, მაშინ როდესაც საგანი, რომელიც უნდა შეფასდეს როგორც ბრალეული — მოქმედება და მოქმედების ნება, — განიხილება უკვე მოძღვრებაში მოქმედებისა და უმართლობის შესახებ“<sup>2</sup>.

ასეთია ფინალური თეორიის ძირითადი წინამძღვრები, რომლებიდანაც მისი წარმომადგენლები აკეთებენ დასკვნებს თანამონაწილეობისა და მისი სახეების შესახებ. ფინალური შეხედულების მომხრენი აკრიტიკებენ წმინდა სუბიექტურ თეორიას, რომლის აზრით, ამსრულებლისთვის დამახასიათებელია მხოლოდ ის ნიშანი, რომ „მას სურს ქმედობა, როგორც საკუთარი“, ხოლო თანამონაწილეს ასეთი სურვილი არ

<sup>1</sup> იხ. ველცელი, დასახ. ნაშრ., გვ. 25-30.

<sup>2</sup> იხ. ველცელი, დასახ. ნაშრ., გვ. 39-40.

შეიძლება ჰქონდეს. თუ პირი ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, თუნდაც მას არ ჰქონდეს ე.წ. „ამსრულებლის განზრახვა“, ე.ი. არ სურდეს „ქმედობა, როგორც საკუთარი“, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ, არამედ უნდა ჩაითვალოს ამსრულებლად. „ვინც დანაშაულის შემადგენლობა განახორციელა, ის უცილობელი პრეზუმფციით მოქმედებს, როგორც ამსრულებელი: ქმედობა ჰკლავს ადამიანს. ამიტომ ბავშვის მოკვლის შემთხვევაში (I.74,85) ქალი, რომელმაც დაახრჩო ბავშვი, ვერ გაიმართლებს თავს, დამხმარის განზრახვა მაქვსო. იმავე საფუძველით ქურდი, რომელმაც სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო შემტყვევით ქურდობაში, მაშინაც ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს, როდესაც მთელი გატაცებული თანხა მან ამხანაგს დაუთმო“<sup>1</sup>.

მაგრამ ფინალური თეორიის მომხრენი არც ფორმალურ-ობიექტურ თეორიას ეთანხმებიან. თუ ამ თეორიის თანახმად ამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს ის და მხოლოდ ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში მიიღო მონაწილეობა, ფინალური თეორია ამ მხრივ უფრო შორს მიდის. მისი მიხედვით, ამსრულებლის ცნება აგებულ უნდა იქნეს არა შემადგენლობის, არამედ ფინალური მოქმედების, ე.ი. ადამიანის ნებით წარმართული და განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად ჩადენილი წინასწარგანჭვრეტილი ქმედობის საფუძველზე. მოქმედების ასეთი გაგების შესაბამისად, ამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობა შეასრულა, არამედ ისიც, ვინც „გარეგნულად მხოლოდ წმინდა ფსიქიკურ აქტს დასჯერდა (შეგულიანება) და ისიც, ვინც გარეგნულად მოსამზადებელი ან დამხმარე აქტი ჩაიდინა (დანაშაულში დახმარება). ამსრულებელი — მთავარი, გენერალური ბრალეულია „ქმედობის ბატონ-პატრონი, — ამტკიცებს ჰ. ველცელი, — ის არის, ვინც მიზანდასახულად ახორციელებს მას საკუთარი ნებელობითი გადაწყვეტილების საფუძველზე“<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, მოქმედების ფინალური ცნება გამოყენებულია ბოლოს და ბოლოს, ისევ სუბიექტური ელემენტების

<sup>1</sup> R. Maurach, Deutsches Strafrecht, Ein Lehrbuch, Karlsruhe, 1954, S. 528.

<sup>2</sup> H. Welzel, Das Deutsche Strafrecht, Berlin, 1960, S. 90.

შესატანად თანამონაწილეობის ცნებაში. მართალია, „მითითება დამხმარის ლიტონ განზრახვაზე არ გადააქცევს დამხმარედ იმას, ვინც შემადგენლობის წინაინი განახორციელა“<sup>1</sup>, მაგრამ სამაგიეროდ ის, ვინც მხოლოდ აქეხებს ან ეხმარება სხვა პირს დანაშაულის ჩადენაში, შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ამსრულებლად, თუკი მას ამსრულებლის განზრახვა ჰქონდა, ე.ი. თუ იგი „ფინალურად“ განაგება თავის მოქმედებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს თეორია კიდევ უფრო რეაქციულია, ვიდრე წმინდა სუბიექტური თეორია. როგორც საკსებით მართებულად აღნიშნავს საბჭოთა კრიმინალისტი მ. კოვალისკი „ფინალური მოქმედების თეორია თანამონაწილეობის ინსტიტუტის მიმართ წინაინი თანამონაწილეობის მოდერნიზებულ და გადაკეთებულ სუბიექტურ თეორიას, რომელიც „ფინალური მოქმედების“ უაღრესად ხელლოვნი კატეგორიის მეშვეობით სურთ გაასაღონ როგორც „მატერიალურ-ობიექტური“ თეორია. მისი საწინაინი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვითომდა იმ უკიდურესობათა შესწორებისა და შერიგების სახით, რომლებსაც სხვა კონცეპციები უშვებენ, პროპაგანდას უწევს რეაქციულ შეხედულებებს დანაშაულში თანამონაწილეობის არსის შესახებ“<sup>2</sup>.

ფინალურ თეორიას თავისი არსით მეტად უახლოვდება შვეიცარიის კრიმინალისტებს შორის ფართოდ გავრცელებული და ჰაფტერის მიერ დასაბუთებული შეხედულება ამსრულებელზე. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი ამსრულებელს ობიექტურად განსაზღვრავს, ჰაფტერის აზრით, თანამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც მონაწილეობდა დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში, არამედ ისიც, ვინც გადამჭრელი მონაწილეობა მიიღო დანაშაულებრივი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებაში. ხოლო დამხმარე, ჰაფტერის აზრით, დამორჩილებულ მდგომარეობაში იმყოფება და მარტოდენ ხელს უწყობს ამსრულებელს. როგორც შვეიცარიელი კრიმინალისტი, ფ. ფენინგერი მიუთითებს, ჰაფტერის შემდეგ „იმ აზრმა, რომლის მიხედვით თანამსრულებლის ცნება განსაზღვრულ

<sup>1</sup> რ. მაურახი, დასახ. ნაშრ., გვ. 528.

<sup>2</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. первая, Свердловск, 1960, стр. 145.

უნდა იქნეს არა იმდენად სააღსრულებო მოქმედებაში მისი მონაწილეობის, არამედ უფრო მისი ნების ინტენსივობის მიხედვით, მიმდევრები მოიპოვა საკავშირო სამხედრო საკასაციო სასამართლოში და საყოველთაოდ აღიარებულია მეცნიერებასა და პრაქტიკაში. იგი მეტად ფართო მოცულობით ანიჭებს საკითხის გადაწყვეტის უფლებას თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს მიხედულებას<sup>1</sup>.

ფინალური თეორიის შეხედულება ამსრულებელზე, ისევე როგორც ჰაფტერის თეორია, ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ არის ფესვგადგმული თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში (და არა მარტო მეცნიერებაში) რეაქციულ-სუბიექტივისტური იდეები, რომლებიც აძლევენ მოსამართლეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების შესაძლებლობას.

6. თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის შესახებ დიალექტიკური მატერიალიზმის სწავლების საფუძველზე<sup>2</sup>.

დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც აღიარებს გარეშე სამყაროს ობიექტურ კანონზომიერებას და მიზეზის აქტიურ, ქმედით ხასიათს შედეგის მიმართ, თანამიმდევრულად მიდის დასკვნამდე იმ ფაქტორების არათანასწორფასოვნების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოვლენის წარმოშობაში.

ეს გამომდინარეობს, პირველ ყოვლისა, იმ დებულებიდან, რომ შედეგი სხვა არაფერია, თუ არა მიზეზის გამოვლინება. ენგელსი მიუთითებდა, რომ შედეგი მიზეზით განიზომება და ზოგჯერ, განსაკუთრებით მექანიკური მიზეზობრივი კავშირის დროს, მიზეზისა და შედეგის თანაზომიერება მათემატიკურადაც კი შეიძლება დამტკიცდეს. „როდესაც რომელიმე მოძრაობა ერთი სხეულიდან მეორეზე გადადის, — აღნიშნავს ფ. ენგელსი, — მაშინ, რამდენადაც მოძრაობა გადადის, რამდენადაც იგი აქტიურია, შეიძლება განვიხილოთ როგორც მოძრაობის მიზეზი, რამდენადაც იგი გადაიტანება, ამდენად პასიურია და ამ

<sup>1</sup> Современное зарубежное уголовное право, т. II, Изд. иностр. лит., М., 1958, стр. 352.

<sup>2</sup> ამ საკითხზე დაწერილებით იხ. ჩენი ნაშრომი: Т.В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, изд. 2-ое, М., 1963.

შემთხვევაში ეს მიზეზი, ეს აქტიური მოძრაობა კლინდება როგორც ძალა, ხოლო პასიური მოძრაობა — როგორც მისი გამოვლენა<sup>1</sup>.

თუ მიზეზი შედეგში გადადის და ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა მიზეზის გამოვლინება, ცხადია რომ, რაც უფრო ქმედილია მიზეზი, მით უფრო ძლიერია მით წარმომშობილი ეფექტი. აქედან კი თანამიმდევრულად გამომდინარეობს, რომ თუ შედეგის წარმომშობაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ფაქტორი, მაშინ თითოეული მათგანის როლი განისაზღვრება შედეგის წარმომშობაში მისი აქტიურობის ხარისხის მიხედვით. მაშასადამე, ეს როლი შეუძლებელია აბსოლუტურად ისეთივე იყოს, როგორც სხვა ფაქტორთა როლი. პირიქით, თითოეული მიზეზი, რომელიც მონაწილეობას იღებს შედეგის წარმომშობ ფაქტორთა საერთო ჯაჭვში, ყოველთვის ინდივიდუალურ რილს ასრულებს და ამიტომ აბსოლუტურად თანასწორფასოვანი ფაქტორები არ არსებობს.

ამ დებულებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური ან სხვ. მისთ. მიზეზობრიობისათვის, არამედ აგრეთვე სოციალური ცხოვრების ფაქტების სფეროსთვისაც.

ჯერ კიდევ ჰეგელი განასხვავებდა ისტორიული განვითარების მთავარ, გადამწყვეტ და მეორეხარისხოვან, არაგადამწყვეტ ფაქტორებს. იგი წერდა: „ისტორიაში ხშირად ენამახვილურად ამბობენ ხოლმე, რომ პატარა მიზეზებიდან დიდი შედეგები გამომდინარეობენ, და ამიტომ ფართი და ღრმა მოვლენის ასახსნელად მოჰყავთ ხოლმე რაიმე ანეგდოტი, როგორც პირველი მიზეზი. ასეთი ეგრეთწოდებული მიზეზი განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც საბაბი, მხოლოდ როგორც გარეგანი ბიძგი, რომელსაც მოვლენის შინაგანი სული არც საჭიროებდა და რომლის მაგივრად მას შეეძლო ესარგებლა უამრავი სხვა საბაბით...“<sup>2</sup>. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ჰეგელის ამ სიტყვებს და ჰეგელის ლოგიკის მეცნიერების კონსპექტის შედგენის დროს შენიშნავდა: ეს „შინაგანი სული“... არის იდეალისტური, მისტიკური, მაგრამ მეტად ღრმა მიხითება მოვლენათა ისტორიულ მიზეზებზე. ჰეგელი ისტორიას მთლიანად უმორჩილებს კაუზალობას და

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, გვ. 290.

<sup>2</sup> Гегель, Наука логики, Москва, 1937, стр. 681.



1.000-ჯერ უფრო ღრმად და მდიდრულად ესმის კაუხალობა, ვიდრე დღეს „მეცნიერთა“ უმრავლესობას“<sup>1</sup>.

ამგვარად, დიალექტიკური მატერიალიზმი მოვლენის წარმომავალში მონაწილე ფაქტორთა შორის გამოიყოფს მთავარ, გადამწყვეტ, პირველხარისხოვან ფაქტორებს, რომელთაც განასხვავებს არამთავარი, არაგადამწყვეტი, მეორეხარისხოვანი ფაქტორებისაგან. დიალექტიკური მატერიალიზმის ამ დებულებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეობის საკითხისათვის, ვინაიდან შესაძლებლობას გვაძლევს მატერიალური ბაზა მოვუძებნოთ თანამონაწილეთა ტიპების იურიდიულ დაყოფას.

თანამონაწილეთა საქმიანობა მიზეზობრივი თვალსაზრისით შეიძლება დიდ მრავალგვარობას წარმოადგენდეს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი თანამონაწილის როლი დანაშაულის ჩადენაში თავისებურია და მიზეზობრივად სხვების როლისაგან განსხვავდება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამ მხრივ ორი ობიექტურად აბსოლუტურად თანასწორფასოვანი მოქმედება, მაგრამ სისხლის სამართლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვაგვაროვანი მოქმედებების უსასრულო ვარიაციებში გამოიყენოს ზოგიერთი ნიშანი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება თანამონაწილეთა განსაზღვრული ტიპების დადგენა. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა განვასხვავოთ დანაშაულებრივი ქმედობის ამსრულებლები და დამხმარენი.

ამსრულებლად, საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, ითვლება ის პირი, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს თვით დანაშაულის შესრულებაში. მაშასადამე, ამსრულებლის მოქმედებას გადამწყვეტი, არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის. იგი წარმოადგენს ძირითად რგოლს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია. ამსრულებლის მოქმედებაში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელება.

დამხმარედ, საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, ითვლება ის პირი, ვინც უშუალოდ მონაწილეობას არ იღებდა დანაშაულის შესრულებაში, არამედ ხელს უწყობდა მას ან აადვილებდა მის განხორციელებას. დამხმარეთა მოქმედება ჩვეულებრივად ისეთი ხასიათისაა,

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 135.

რომელიც, ერთპიროვნულად მოქმედს რომ შეესრულებინა, მოსამზადებელ მოქმედებად ჩაითვლებოდა. მაშასადამე, დამხმარეთა მოქმედებანი ნაკლებად მნიშვნელოვან ხასიათს ატარებენ ამსრულებლის მოქმედებასთან შედარებით, განხორციელებული დანაშაულებრივი შედეგის ნაკლებად მნიშვნელოვან პირობებს წარმოადგენენ.

ქმედობის ობიექტური ხასიათის მიხედვით განსხვავდება აგრეთვე წამქეზებლის მოქმედება ამსრულებლის მოქმედებისაგან. მაშინ როდესაც ამსრულებელი ფიზიკურად ასრულებს დანაშაულს, წამქეზებელი დანაშაულის ფსიქიკური მიზეზია. მისი როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძირითად პირობას კქმნის ამსრულებლის განზრახვის წარმოშობისათვის. კაუზალური არათანასწორობა თავს იჩენს აგრეთვე წამქეზებლისა და ფსიქიკური დამხმარის გამიჯვნისას. მაშინ, როდესაც წამქეზებელი ძირითად როლს ასრულებს ამსრულებლის განზრახვის წარმოშობაში, ფსიქიკური დამხმარე მხოლოდ განამტკიცებს უკვე არსებულ განზრახვას და ამგვარად უფრო მცირემნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

იმ დებულებას, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს თანამონაწილეთა კაუზალური არათანასწორობა, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა პროფ. ა. ნ. ტრაინინი. „მეტად საგულისხმოა, — აღნიშნავდა იგი, — რომ კანონი (რსფსრ 1926 წლის სს კოდექსის მე-17 მუხლი) წინადადებას იძლევა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს მხედველობაში იქნეს მიღებული დანაშაულის ჩადენაში მათი მონაწილეობის ხარისხი, ე.ი. ის როლი, რომელსაც თითოეული მათგანი ასრულებს დანაშაულის ჩადენაში. მიზეზობრიობის ხარისხი, ამგვარად, კანონის პირდაპირი მითითებით, წარმოადგენს ერთ-ერთ კრიტერიუმს, რომელიც განსაზღვრავს თანამონაწილეთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას“<sup>1</sup>.

თანამონაწილეთა სახეების ობიექტური გაგება ყოველთვის თანამიმდევრობით ტარდებოდა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ამსრულებლის ცნების განმარტება პირველად მოცემულ იქნა რსფსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1919 წლის „სახელმძღვანელო საწყისებში“. „სახელმძღვანელო საწყისების“ 22-ე მუხლის თანახმად,

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, Госюриздат, М., 1957, стр. 168.

ამსრულებლად ითვლებოდა ის, „ვინც მონაწილეობას იღებდა დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებაში, რაშიც უნდა გამოიხატულიყო იგი“. პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს მუხლი მეტად ფართოდ განმარტავდა ამსრულებლის ცნებას, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო ამსრულებლები, არამედ წამქეზებლები და დამხმარენიც. მაგრამ 22-ე მუხლის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 24-ე მუხლს, სადაც მითითებული იყო, რომ დამხმარედ ითვლება ის პირი, ვინც არ იღებს უშუალო მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. მაშასადამე, ამსრულებლისათვის აუცილებელი იყო უშუალო მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში.

„სახელმძღვანელო საწყისების“ რედაქციული ნაკლი გამოასწორა რსფსრ-ის 1921 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა, რომლის მე-16 მუხლი ამსრულებლად თვლის იმ პირს, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის ჩადენაში, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს ეს მონაწილეობა.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის „ძირითადი საფუძვლები“ სრულიად არ იძლეოდნენ თანამონაწილეთა სახეების განსაზღვრებებს, ხოლო მის შესაბამისად გამოსული მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები ამ ცნებათა ისევ ობიექტურ განსაზღვრებებს იძლეოდნენ.

არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს ამსრულებლის ის განმარტება, რომელიც რსფსრ-ის 1926 წლის კოდექსში იყო მოცემული, („პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა“), ვინაიდან დანაშაულს ყველა თანამონაწილე ჩადის, იმისდამიუხედავად, თუ როგორი იყო მისი როლი დანაშაულის ჩადენაში. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა, მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, განსაზღვრავდა ამსრულებელს რსფსრ 1922 წლის კოდექსის მსგავსად, როგორც იმ პირს, ვინც „უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენაში, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს ეს მონაწილეობა“.

ამსრულებლის ცნების სრულყოფილი განმარტება მოცემულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონ-

მდებლობის საფუძვლებში. საფუძვლების მე-14 მუხლის თანახმად, „ამსრულებლად ითვლება ის პირი, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული“. ამსრულებლის ანალოგიური განსაზღვრება შეტანილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. ამგვარად, ახალ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც ამსრულებელი ობიექტური ნიშნებით არის დახასიათებული.

ამსრულებლის ცნებას ობიექტური ნიშნების მიხედვით განსაზღვრავენ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებიც. ასე, მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად „ამსრულებლად ითვლება ის პირი, ვინც მონაწილეობას იღებს დანაშაულის უშუალო შესრულებაში“. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის კოდექსის თანახმად „ამსრულებელი არის ის, ვინც თვითონ ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედობა“ (§ 9). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით „ამსრულებლად ითვლება ის, ვინც უშუალო მონაწილეობა მიიღო დანაშაულის შესრულებაში“ (მუხ. მე-13). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსით „ამსრულებლად ითვლება ის პირი, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით როგორც დანაშაული“ (§ 28).

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს ობიექტურ თვალსაზრისს თანამონაწილეთა ცალკეული სახეების გამიჯვნისას; ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ჯუმაბეკოვას და ჩოტკორაევას საქმეზე. ამ საქმის გარემოებანი შემდეგში მდგომარეობდნენ: ჯუმაბეკოვამ თავისი ქმრის შინ არყოფნისას კავშირი დაიჭირა სხვა პირთან და მისგან ბავშვი ეყოლა. როგორც ორსულობა, ისე ბავშვის დაბადება ჯუმაბეკოვამ დამალა. მეორე დღესვე ჯუმაბეკოვას დედინაცვალმა – ჩოტკორაევამ, ბავშვის დედის თანხმობით, ცოცხალი ბავშვი მიწაში დამარხა. სახალხო სასამართლომ დააკვალიფიცირა ჯუმაბეკოვას მოქმედება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის „დ“ პუნქტით, ხოლო ჩოტკორაევას მოქმედება იმავე მუხლით, მე-17 მუხლის მეშვეობით. ამგვარად, სახ-

აღზო სასამართლომ ბავშვის დედა ჩათვალა ამსრულებლად, ხოლო ქალის დედინაცვალი, რომელმაც უშუალოდ შეასრულა მკვლელობა, — მისი დანაშაულის თანამონაწილედ. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ თავის 1943 წლის 6 იანვრის განჩინებაში მიუთითა ასეთი განაჩენის არასისწორეზე. კოლეგიის განჩინებაში ნათქვამია: „საეკიმო აქტისა და ბრალდებულთა ჩვენების შედარების საფუძველზე ისეთი დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი, რომ ჯუმაბეკოვა ბავშვის მკვლელობაში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ თანხმობა მისცა ბავშვის მკვლელობაზე მისი ცოცხლად მიწაში ჩამარხვის მეშვეობით. მკვლელობის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ჩოტკორაევა. ასეთ პირობებში ჩოტკორაევას მოქმედება კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო რსფსრ სს კოდექსის 136-ე მუხლის „დ“ პუნქტით, ხოლო ჯუმაბეკოვას მოქმედება — ამავე მუხლით რსფსრ სს კოდექსის მე-17 მუხლის მეშვეობით. და არა საწინააღმდეგოდ, როგორც ეს სახალხო სასამართლომ გააკეთა“<sup>1</sup>.

ამ დიდი პრინციპული მნიშვნელობის განჩინებიდან ნათლად ჩანს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო კატეგორიულად უარყოფს სუბიექტურ შეხედულებას თანამონაწილეობაზე: დედა, რომელიც დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდა, ითვლება თანამონაწილედ, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ჩადენილი იყო მისი ინტერესებისათვის, ხოლო ჩოტკორაევა, რომელიც სხვისი ინტერესებისთვის მოქმედებდა, ითვლება არა თანამონაწილედ, არამედ დანაშაულის უშუალო შემსრულებლად. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნებულია შემდეგი სათაურით: „დანაშაულის ჩადენაზე წინასწარი თანხმობა იმ პირის მიერ, რომელიც დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდა, როდესაც დანაშაული ამ პირის ინტერესებისათვისაა ჩადენილი სხვა პირის მიერ, საფუძველს გვაძლევს დავაკვალიფიციროთ პირველი პირი როგორც თანამონაწილე, ხოლო მეორე — როგორც დანაშაულის ამსრულებელი“<sup>2</sup>.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სასამართლო ორგანოები, როგორც წინა მაგალითიდანაც დავინახეთ, შეცდომას უშვებენ თანამონაწილეთა

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда Союза ССР“, 1943, М., 1948, стр. 76.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 76.

გამიჯვნისას, მაგრამ ზემდგომი სასამართლო ორგანოები ყოველთვის ასწორებენ ასეთ შეცდომებს. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა დაშვებული იყო თავით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ლუჩნიკოვის და სხვათა საქმეზე. საქმის გარემოებანი შემდეგში იყო: ლუჩნიკოვმა შეიტყო, რომ ავტობაზაში მოვიდა ავტომანქანები, დატვირთული მავთულით და მინით. მან დაავალა თავის ხელქვეითებს მოეტაცათ მისთვის ორი დახვევა მავთული და ერთი ყუთი ფანჯრის მინა. პისკლოვმა და მიტკომ შეასრულა ეს დავალება, საქონელი მოიპარეს და ლუჩნიკოვს ბინაზე მიუტანეს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააკვალიფიცირა ლუჩნიკოვის მოქმედება როგორც ქონების გატაცების ასრულება, ხოლო პისკლოვისა და მიტკოს მოქმედება -როგორც დახმარება ამ დანაშაულის ჩადენაში, თანაც ასეთ კვალიფიკაციას საფუძვლად ის მოსაზრება დაუდო, რომ პისკლოვი და მიტკო არ მოქმედებდნენ ანგარებით და საერთოდ პირადად არ იყვნენ დაინტერესებული, არამედ მოქმედებდნენ ლუჩნიკოვის ინტერესისათვის. ეს განჩინება სავსებით მართებულად გააუქმა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა, რომელმაც თავის 1950 წლის 5 მაისის დადგენილებაში მიუთითა: „იმ გარემოებას, რომ პისკლოვს და მიტკოს არ ჰქონდათ ანგარებითი დაინტერესება და ისინი ლუჩნიკოვის სასარგებლოდ მოქმედებდნენ, ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა მათი მოქმედების კვალიფიკაციაზე და არ უნდა გადაექცია ისინი დამხმარეებად, ვინაიდან ისინი შედიოდნენ ორგანიზებულ ჯგუფში და უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ქონების სხვისი მფლობელობიდან ამოღებაში, რათა უკანონოდ გადაექციათ ეს ქონება ერთ-ერთი თანამონაწილის საკუთრებად“<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილი იყო ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელიც შექმნილი იყო სოციალისტური ქონების გატაცებისათვის. როგორც ცნობილია, ორგანიზებული ჯგუფის წევრები ყველანი პასუხს აგებენ, როგორც ჯგუფის მონაწილენი რსფსრ სს კოდექსის მე-17 მუხლის მიუთითებლად.

მაგრამ ზემოთ მოტანილ დადგენილებას უფრო ზოგადი პრინციპუ-

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1950, №7, стр. 8.

ლი მნიშვნელობა აქვს. იგი მიუთითებს იმაზე, რომ თანამონაწილენი შეუძლებელია გამიჯნულ იქნენ სუბიექტური ნიშნის მიხედვით, ე.ი. იმის მიხედვით, პირადად იყვნენ დაინტერესებული ისინი დანაშაულის ჩადენაში, თუ სხვისი ინტერესისათვის მოქმედებდნენ. პლენუმი ნათლად მიუთითებს, რომ პირადი დაინტერესების არარსებობა არ გადააქცევს იმ პირს, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებდა დანაშაულის ჩადენაში, თანამონაწილედ, ისევე როგორც წამქეზებელი ან დამხმარე არ შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ამსრულებლები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოქმედებენ საკუთარი ინტერესებისათვის, თუკი დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ.

4. ამსრულებლის ცნება დაკავშირებულია თანამონაწილეობის ცნებასთან. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ ცნების დადგენისა და მისი დამახასიათებელი თვისებების გამორკვევის საჭიროება გამოწვეულია იმით, რათა ამსრულებლის ცნება გამიჯნულ იქნეს თანამონაწილის ცნებისაგან (ვიწრო მნიშვნელობით), ე.ი. წამქეზებლის, დამხმარის და ორგანიზატორის ცნებათაგან.

ამსრულებლის ცნებისაგან უნდა განვასხვავოთ შუალობითი ამსრულებლის ცნება. შუალობითი ამსრულებლობა არ წარმოადგენს თანამონაწილეობის სახეს. პირიქით, იგულისხმება, რომ იქ, სადაც შუალობით ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე, თანამონაწილეობა გამორიცხულია, თუმცა მიზეზობრიობის ჯაჭვში აქაც ჩაბმულია მეორე პირის მოქმედება, რომლის მეშვეობით შუალობითი ამსრულებელი ახორციელებს თავის ჩანაფიქრს. ეს მეორე პირი ჩვეულებრივად ან სრულიად არ აგებს პასუხს, ან პასუხს აგებს სხვა (გაუფრთხილებელი და არა განზრახი) დანაშაულისათვის.

ჩვეულებრივად დამნაშავე თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად რაიმე მექანიკურ იარაღს იყენებს, მაგრამ დამნაშავეს შეუძლია საკუთარი ფიზიკური ჩარევით კი არ მოახდინოს ზეგავლენა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე, არამედ გამოიყენოს ამისათვის სხვა ადამიანი, როგორც ისეთი იარაღი, რომელიც მას ბრმად ემორჩილება. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ფიზიკურ შემსრულებლად გამოდის სხვა ადამიანი („იარაღი“), ხოლო მის ნამდვილ, პასუხისმგებელ ამსრულებლად თვით დამნაშავე.

დამნაშავეს, რომელმაც შეასრულა დანაშაულის შემადგენლობა სხვა

ადამიანის („იარაღის“) მეშვეობით ეწოდება შუალობითი ამსრულებელი. ვინაიდან დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი სხვისი ნების ბრმა იარაღია, ამიტომ დანაშავე, რომელმაც იგი თავისი მიზნებისათვის გამოიყენა, არ ჩაითვლება წამქეზებლად ან დამხმარედ, არამედ თვითონ არის დანაშაულის შემსრულებელი.

ის კრიმინალისტები, რომლებიც უარყოფენ თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას და ამტკიცებენ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა საკსებით დამოუკიდებელია ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან, თანამიმდევრულად უარყოფენ შუალობით ამსრულებლობას. ამგვარად იქ, სადაც გაბატონებული დოქტრინა სჯის პიროვნებას, როგორც დანაშაულის ამსრულებელს, ისინი მოითხოვენ, რომ ასეთი პირი დაისაჯოს როგორც წამქეზებელი ან დამხმარე, თუნდაც „წამქეზებული“ ან ის, „ვისაც დახმარება აღმოუჩინეს“, შეურაცხი იყოს და თავისი მოქმედებისათვის პასუხს არ აგებდეს. ასე მაგალითად, ვ. ზაუერის აზრით, ამსრულებლის ცნების გაფართოება და „შუალობითი ამსრულებლის“ ხელოვნური ფიგურის შექმნა ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქციებს იწვევს და დიდ მეთოდურ შეცდომას წარმოადგენს<sup>1</sup>. „შუალობითი ამსრულებელი თავისი ბუნებითა და აგრეთვე იმითაც, თუ რა სასჯელს იმსახურებს იგი, გაცილებით უფრო ახლოა წამქეზებელსა და ფსიქიკურ დამხმარესთანაც კი, ვიდრე უშუალო ამსრულებელთან, რომელიც თვით ახორციელებს აღმასრულებელ მოქმედებას“<sup>2</sup>. ამიტომ ვ. ზაუერი მოითხოვს, რომ შუალობითი ამსრულებლობის ცნება საკსებით გაძევებულ იქნეს სისხლის სამართლის სფეროდან და თანამონაწილეობის ცნებაში გაითქვიფოს<sup>3</sup>.

ზემოთ ჩვენ უკვე დავასაბუთეთ თანამონაწილეთა აქცესორული პასუხისმგებლობისა და ამასთან დაკავშირებით შუალობითი ამსრულებლობის შენარჩუნების აუცილებლობა. ნათქვამს შეიძლება მხოლოდ ის დავუმატოთ, რომ სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით არ შეიძლება ერთნაირად იქნეს განსჯილი და ერთგვარ სასჯელს იმსახურებდეს ის, ვინც რჩევით ან იარაღით დახმარება აღმოუჩინა სრულწლოვან ან შერაცხად პირს დანაშაულის ჩადენაში და ის, ვინც

<sup>1</sup> W. Sauer, Allgemeine Strafrechtlehre, Berlin, 1955, S. 202.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 213.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 216.



ასეთივე რჩევა სულით ავადმყოფს მისცა ან ხელში ჩაუდო რევოლვერი პარანოიკს, რომელიც ფიქრობს, რომ მან აუცილებლად თავიდან უნდა მოიშოროს მოჩვენებითი მტერი. როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. სოლნარეი, „დანაშაულებრივი მიზნისათვის „ცოცხალი იარაღის“ გამოყენება არსებითად განსხვავდება იმავე მიზნით ისეთი უშუალო ამსრულებლის გამოყენებისაგან, რომელიც შერაცხვანარია და თვით მოქმედობს განზრახ. „ცოცხალი იარაღის“ გამოყენება თავისი ხასიათით უთანაბრდება უშუალო ასრულებას იმ პირის მიერ, ვინც ბოროტად იყენებს ამ „ცოცხალ იარაღს“ (განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ჩანს იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ჩასადენად ბავშვს იყენებენ)“<sup>1</sup>.

რა შემთხვევაში გვეჩვენა შუალობითი ამსრულებლობა?

1) „ცოცხალი იარაღი“ შეიძლება პასუხს არ აგებდეს იმის გამო, რომ მისი მოქმედება, რომლითაც დანაშაულებრივი შედეგა გამოწვეული, ნებელობის აქტს არ წარმოადგენს. ასეთია მაგალითად რაიმე ზიანის მიყენება ფიზიკური ძალადობის ზეგავლენით: ვინმე ჩაუდებს ხელში სხვა პირს რევოლვერს და ხელს მოუჭერს მის თითს, რომელიც რევოლვერის ჩახმახზეა დადებული, რათა გასროლილი ტყვიით მოკლას თავისი მტერი. ასეთივე შემთხვევა იქნება ქმედობა, ჩადენილი პიბნოზის მდგომარეობაში. ორივე შემთხვევაში „ცოცხალი იარაღის“ პასუხისმგებლობა გამორიცხულია ნებელობითი აქტის არარსებობის გამო. ერთადერთი დამნაშავე, რომელიც მთლიანად პასუხისმგებელია მკვლელობისათვის, იქნება მოძალადე. იგი პასუხს აგებს როგორც მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი. შუალობითი ამსრულებელი შეიძლება ახორციელებდეს თავის განზრახვას იმითაც, რომ აღუკვეთავს სუბიექტს თავისი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას, რასაც მოსდევს საზოგადოებრივად საშიში შედეგი. მაგალითად, ბოროტმოქმენდი, მატარებლის მარცხის გამოწვევის მიზნით, შეჰკრავენ რკინიგზის დარაჯს და არ აძლევენ მას საშუალებას აცნობოს მემანქანეს, რომ ლიანდაგი დაზიანებულია. დანაშაულებრივი შედეგისათვის ამ შემთხვევაშიც მთლიანად პასუხს აგებს შუალობითი ამსრულებელი.

2) „ცოცხალი იარაღი“ შეიძლება პასუხს არ აგებდეს იმის გამო,

<sup>1</sup> ვ. სოლნარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

რომ იგი შეურაცხია. მაგალითად, ვინმე შეაგულიანებს სულით ავად-  
მყოფს მოკლას კაცი. ამავე კატეგორიას ეკუთვნის ის შემთხვევები,  
როდესაც ვინმე აქეზებს მცირეწლოვანს, რომელიც პასუხისმგებელი  
არ არის დანაშაულის ჩადენისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სა-  
მართლის კოდექსი ითვალისწინებს, როგორც დანაშაულის სპეციალ-  
ურ შემადგენლობას, არასრულწლოვანთა წაქეზებას დანაშაულის  
ჩასადენად. სახელდობრ, 236-ე მუხლის მიხედვით, „არასრულწლო-  
ვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის  
ჩადენაში, თუ ეს ქმედობა არ იწვევს კანონით უფრო მძიმე სასჯელს...  
დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან გადასახლებით  
ამავე ვადით“.

აღნიშნული მუხლი გამოყენებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ  
არასრულწლოვანი შეაგულიანეს ან ჩააბეს ისეთი დანაშაულის ჩადენაში,  
რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვე-  
თა არა უმეტეს ხუთი წლისა. ხოლო თუ არასრულწლოვანი, რომ-  
ლის პასუხისმგებლობა კანონით გამორიცხულია, წააქეზეს ან ჩააბეს  
უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაში, 236-ე მუხლის პირდაპირი მი-  
თითების თანახმად, „წამქეზებელი“ პასუხს აგებს ამ უფრო მძიმე  
დანაშაულისათვის. აქაც „წამქეზებელი“ გამოდის როგორც შუალო-  
ბითი ამსრულებელი.

შუალობითი ამსრულებლობა არ ამოიწურება ცოცხალი იარაღის  
მხოლოდ „წაქეზებით“, არამედ იგი შეიძლება გამოიხატებოდეს აგრეთვე  
მისთვის დანაშაულის ჩადენაში „დახმარების აღმოჩენითაც“. ამიტომ,  
როგორც სწორად აღნიშნავს მ. კოვალიოვი, „შუალობითი ბრალეუ-  
ლობა არ წარმოადგენს მხოლოდ წაქეზების სუროგატს, არამედ იგი  
სავსებით დამოუკიდებელი მოვლენაა, რომელიც შეიძლება ისეთ მო-  
ქმედებაშიც გამოიხატებოდეს, რაც წაქეზებას ემსგავსება, და ისეთშიც,  
რომელიც დახმარებას მოგვაგონებს“<sup>1</sup>.

„ცოცხალი იარაღი“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შუალობითი  
ამსრულებლის მიერ არა მარტო მესამე პირისათვის ზიანის მისაყენე-

---

<sup>1</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, стр. 19.

ბლად, არამედ საკუთარი თავის წინააღმდეგაც. ასეთი შემთხვევა იქნება მცირეწლოვანის ან სულით ავადმყოფის შეგულიანება თვითდაზიანებისა ან თვითმკვლელობისათვის, ანდა ასეთი პირისათვის ხელის შეწყობა, როდესაც იგი თავს იკლავს ან თავს ისახიჩრებს. ამ შემთხვევაში დაზარალებული და „ცოცხალი იარაღი“ ერთ პიროვნებაშია შერწყმული<sup>1</sup>. დამნაშავე, რომელიც ისეთ პირს, ვისაც არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა, თვით ამავე პირის მკვლელობისათვის იყენებს, ცხადია, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წამქეზებელი ან დამხმარე. იგი თვით არის მკვლელი.

ამ საკითხში არასწორი პოზიცია ეჭირა საქართველოს სს რესპუბლიკის 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმდროინდელ კოდექსებს. აღნიშნული კოდექსის 150-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული იყო სპეციალური შემადგენლობა: არასრულწლოვანის ან ისეთი პირის თვითმკვლელობისათვის

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში არსებობს ისეთი აზრი, თითქოს ასეთი შემთხვევები არ წარმოადგენენ შუალობით ამსრულებლობას, არამედ უნდა დაკვალიფიცირდნენ როგორც უშუალო ამსრულებლობა. ამ შეხედულებას ანეთარებს დასავლეთ გერმანიის კრიმინალისტი იოჰანესი. მისი აზრით, შუალობითი ამსრულებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც არის სამი ფიგურა: შუალობითი ამსრულებელი, „ცოცხალი იარაღი“ და დაზარალებული. შეუძლებელია „ცოცხალი იარაღის“ და დაზარალებულის შერწყმა ერთ ადამიანში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იოჰანესის აზრით, შუალობითი ამსრულებლობა გვექნებოდა დანაშაულთა უმრავლესობის დროს, ვინაიდან თითქმის შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის მოქმედება ამა თუ იმ სახით არ არის ჩართული მიზეზობრიობის კავშირის ჯაჭვში (იხ. Hartmut Johannes, Mittelbare Täterschaft bei rechtmässigen Handeln des Werkzeuges ein Scheinproblem, Frankfurt am Main, 1963, S. S. 16-19).

იოჰანესის შეხედულება ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია. სულით ავადმყოფის თვითმკვლელობამდე მიყვანა ან მისთვის იარაღის მიწოდება თუ სხვაგვარი დახმარების აღმოჩენა იმიტომ კი არ წარმოადგენს შუალობით ბრალეულობას, რომ მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ჩაბმულია თვით დაზარალებულის ქმედობა, არამედ იმიტომ, რომ შეურაცხი პირი თვით ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების უშუალო განხორციელება იქნებოდა, იგი რომ მესამე შერაცხად პირს შესრულებინა. სხვათა შორის ბურჟუაზიული კრიმინალისტების უმრავლესობა ზემოთ მოტანილ შემთხვევებში შუალობით ამსრულებლობას აღიარებს. იხ. მაგალითად: F. Metzger, Strafrecht, 1949, S. 429-430, H. Welzel, Das Deutsche Strafrecht, 1960, S. 91. Liszt-Schmidt. Lehrbuch des Deutschen Strafrechts, 1922, S. 214.

ხელის შეწყობა ან შეგულიანება, ვისაც, როგორც დამნაშავემ წინასწარ იცოდა, არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა ან განეგო თავისი საქციელი, უკეთუ ამას თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა მოჰყვა. ეს დანაშაული ისჯებოდა თავისუფლების აღკვეით სამ წლამდე.

ამჟამად მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსებმა სავსებით მართებულად ამორიცხეს ასეთი შემადგენლობა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილიდან. ის, ვინც სულით ავადმყოფს აგულიანებს თავი მოიკლას ან ხელში ჩაუდებს საამისო იარაღს, არაფრით არ განსხვავდება იმ პირისაგან, ვინც ამავე განზრახვით თავისი ხელით ჰკლავს მას. ამიტომ ასეთი დანაშაული უნდა დაკვალიფიციროდეს როგორც განზრახი მკვლელობა (104-ე ან 105-ე მუხლის მიხედვით)<sup>1</sup>.

ცხადია, შუალობით ამსრულებლობად არ ჩაითვლება შერაცხადი და სრულწლოვანი პირის შეგულიანება თვითმკვლელობისთვის ან მისთვის ამაში ხელის შეწყობა. პირი, რომელსაც შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა და განაგოს თავისი საქციელი, არ წარმოადგენს ბრმა იარაღს დამნაშავეს ხელში და თუ მან თვითმკვლელობა გადაწყვიტა, ეს იქნება მისი საკუთარი ნებელობითი მოქმედება, რომელიც დანაშაულს არ წარმოადგენს. ამიტომ შეგულიანებელი არ შეიძლება დაისაჯოს არც როგორც შუალობითი ამსრულებელი და არც როგორც წამქეზებელი.

ამას ადასტურებს ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი, რომლის თანახმად დამნაშავესაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით განსაკუთრებულ დანაშაულს წარმოადგენს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. მაშასადამე, დამნაშავე ისჯება არა როგორც მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი, არამედ როგორც დანაშაულის სპეციალური შემადგენლობის – თვითმკვლელობამდე მიყვანის – სუბიექტი.

---

<sup>1</sup> გაუგებარია, რატომ მოითხოვს შ. კოვალიოვი ასეთი მკვლელობის კვალიფიციციას ყოველთვის, როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისას რსუსს სსკ 102-ე მუხლით (იხ. შ. ი. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ტ., II, გვ. 21).

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავემ ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის მეშვეობით განზრახ ისეთი მძიმე სასიცოცხლო პირობები შეუქმნა დაზარალებულს, რომ ფაქტიურად ამ უკანასკნელს დაკარგული აქვს თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა და თვითმკვლელობა ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ ხსნას წარმოადგენს. ასეთი შემთხვევები, როდესაც დაზარალებულს არა აქვს არჩევანის შესაძლებლობა და იგი სხვისი ნების ბრმა იარაღია, განხილულ უნდა იქნეს არა როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანა, არამედ როგორც მკვლელობა, ჩადენილი შუალობითი ამსრულებლის მიერ, თუ უკანასკნელს შესაბამისი განზრახვა ჰქონდა<sup>1</sup>.

3) შუალობითი ამსრულებლობა გვექნება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე შეცდომაში შეიყვანს „ცოცხალ იარაღს“ და ჩადენინებს მას დანაშაულს. მაგალითად, ექთანი, ავადმყოფის მოკვლის განზრახვით, გადასცემს მის მოძველულ საწამლავს, მაგრამ

---

<sup>1</sup> მეტად შორს მიდის პროფ. ა. ტრაინინი, რომელიც თვლის, რომ „თვითმკვლელობამდე მიყვანა უფრო ხშირად გაუფრთხილებლობით ხდება. ვინაიდან განზრახ მიყვანა თვითმკვლელობამდე ესაზღვრება მკვლელობას, თანაც განსაკუთრებით მზაკრულ მკვლელობას, რომელიც თვით მსხვერპლის ხელითაა ჩადენილი“. (А. Н. Трайнин, „Общие учение о составе преступления“, Госюриздат, М., 1957, стр. 210).

ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, თვითმკვლელობამდე მიყვანა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განსაკუთრებული დანაშაული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია გაუფრთხილებლობით ან ევენტუალური განზრახვით შედეგის მიმართ, ხოლო თუ დამნაშავეს ჰქონდა პირდაპირი განზრახვა დაზარალებული მკვლელობამდე მიყვანა, იგი პასუხს უნდა აგებდეს, როგორც მკვლელობის დანაშაულის ამსრულებელი. (იხ. მაგალითად, М.Т. Шаргородский, Преступления против жизни, Юриздат, М. 1948, стр. 68; А.А. Пионтковский, В.Д. Меньшагин, Курс советского уголовного права, Особенная часть, т. I, Госюриздат, 1955, стр. 566; Советское уголовное право, часть особенная, Изд. Моск. ун-та, 1964, стр. 144; Н.И. Загородников, Преступления против жизни, Госюриздат, 1961, стр. 234; მ. ი. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 21).

ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს იმისდა მიხედვით, პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა დამნაშავე, თუ ევენტუალური განზრახვით ან დაუდევრობით. აქ გადამწყვეტია სულ სხვა მომენტი: წარმოადგენდა თუ არა დაზარალებული ბრმა იარაღს დამნაშავის ხელში, თუ პირიქით, მას ჰქონდა შენარჩუნებული მოქმედების თავისუფლება. მხოლოდ პირველ შემთხვევაში ექნება ადგილი მკვლელობას, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში - "თვითმკვლელობამდე მიყვანის" შემადგენლობას, თუნდაც დამნაშავე პირდაპირი განზრახვით მოქმედებდეს.

დაარწმუნებს, რომ ეს წამალია. ექსანი დაისჯება როგორც მკვლელობის შუალობითი შემსრულებელი.

იმისათვის, რომ სუბიექტი შუალობით ამსრულებლად ვცნოთ, მნიშვნელობა არა აქვს, ისჯება თუ არა თვით „ცოცხალი იარაღი“. თუ, მაგალითად, ავადმყოფის მომვლელს საქმის გარემოებათა მიხედვით შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მას საწამლავს აწოდებენ, იგი პასუხისმგებამი მიეცემა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის. ეს გარემოება ხელს არ უშლის იმას, რომ ექსანის მოქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახი დანაშაული.

4) შუალობითი ამსრულებლობის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის შექმნა, როდესაც „ცოცხალი იარაღი“ იძულებულია ჩაიდინოს დანაშაული, რათა ამით თავიდან აირიდოს უფრო მძიმე ვნება<sup>1</sup>. მაგალითად, ვინმე მოკვლის მუქარით აიძულებს მეორე პირს მოიპაროს სხვისი ნივთი. ის ვინც აიძულა, თავისი მუქარით აყენებს მეორე პირს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ვინაიდან სხვისი ნივთის მოპარვა წარმოადგენს მისთვის ერთადერთ საშუალებას თავი იხსნას სიკვდილისაგან, თანაც გადარჩენილი სიკეთე (სიცოცხლე) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაზიანებული სიკეთე (ქონება). ასეთ შემთხვევაში „ცოცხალი იარაღი“ არ ისჯება, ვინაიდან უკიდურესი აუცილებლობა წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროების და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. ის გარემოება, რომ „ცოცხალი იარაღი“ რომლის მეოხებითაც დამნაშავე თავის დანაშაულებრივ განზრახვას ახორციელებს, მართლზომიერად მოქმედებს, სრულიადაც არ უნდა გვიშლიდეს ხელს, რომ დამნაშავე განვიხილოთ როგორც დანაშაულებრივი ქმედობის შუალობითი შემსრულებელი. არ შეიძლება ერთი პირის ქმედობის მართლზომიერი ხასიათის გამო მექანიკურად მართლ-

<sup>1</sup> არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ კრიმინალისტებს, რომელთა აზრით, ფსიქიკური ძალადობა გამორიცხავს თვით „მოქმედებას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით“ (იხ. მაგალითად, А. П. Троицкий, Общее учение о составе преступления, 1957, стр. 135). სინამდვილეში ფსიქიკური ძალადობის დროს ნებლობითი აქტი გამორიცხული არ არის, მაგრამ პირი შეიძლება განათვისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუ არსებობს უკიდურესი აუცილებლობის პირობები (ამ საკითხზე დაწერილებით იხ. Т. Черетели, Причинная связь в уголовном праве, Госюриздат, 1963, стр. 13-14).

ზომიერად ჩაეთვალოთ მეორე პირის მოქმედებაც და პირიქით ამიტომ, ჩვენი აზრით, შეცდომას უშვებენ ის ავტორები, რომლებიც მთავარი დამნაშავის დასჯადობის საკითხის გადაჭრისას იკვლევენ იმ საკითხს, მართლზომიერად მოქმედებდა თუ არა „იარაღი“<sup>1</sup>.

5) შეიძლება თუ არა უფროსი, რომელიც დანაშაულებრივი ხასიათის ბრძანებას გასცემს, განვიხილოთ როგორც დანაშაულის ამსრულებელი, თუ მისმა ხელქვეითმა ეს ბრძანება შეასრულა? ამ საკითხზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, სავალდებულო იყო თუ არა ბრძანების შესრულება ხელქვეითისათვის. თუ ბრძანების შესრულება მისთვის სავალდებულოა, ხელქვეითი განიხილება როგორც იარაღი, რომელიც თავისი ქმედობისათვის პასუხს არ აგებს, ხოლო უფროსი – როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება თანამონაწილეობა დანაშაულში, ე.ი. უფროსი განიხილება როგორც წამქეზებელი, ხოლო ხელქვეითი – როგორც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი.

ეს შემთხვევა არ უნდა გავუთანაბროთ ისეთს, როდესაც ხელქვეითს არა აქვს შეგნებული ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი. ასეთ შემთხვევაში ხელქვეითი განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ საფუძვლით, რომ მის მოქმედებაში არ არის ბრალი. თუ ხელქვეითს შეგნებული არ ჰქონდა, მაგრამ საქმის გარემოებების მიხედვით შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი, მან შეიძლება პასუხი აგოს გაუფრთხილებელი ბრალისათვის ან სამსახურებრივი დაუდევრობისათვის. დანაშაულებრივი ბრძანების გამცემი უფროსი კი პასუხს აგებს როგორც განზრახი დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი.

შუალობითი ამსრულებლობა გვექნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც უფროსი თავისი მოქმედებით უკიდურესი აუცილებლობის მდგომარე-

---

<sup>1</sup> ასეთ შეხედულებას იცავდა, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი ე. მეცგერი, რომელიც ამტკიცებდა, რომ თუ „იოცხალი იარაღი“ მართლზომიერად მოქმედებდა, მაშინ ისიც, ვინც იგი გამოიყენა მართლზომიერად მოქმედებს და ამიტომ არ შეიძლება ჩათვალოს დანაშაულის შუალობით ამსრულებლად. (იხ. E. Mezger. Mittelbare Täterschaft und Rechtswidrige Handeln, Zeitschrift für die gesaunte Strafrechtswissenschaft, Band 52, S. 529. f.f. შემდგომ ლეიპციგის კომენტარებში მეცგერი იძულებული იყო ეღიარებინა ასეთ შემთხვევებში დანაშაულის უშუალო ამსრულებლობა (იხ. იოჰანესი, დასახ. ნაშრ., გვ. 29); თვით იოჰანესი აღნიშნულ საკითხს სწორად წყვეტს.

ობაში აყენებს ხელქვეითს და იგი ამ საფუძვლით თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

მაგრამ ამჟამად ჩვენ სხვა საკითხი გვინტერესებს: აქვს თუ არა უფროსის ბრძანებას ხელქვეითის მიმართ სავალდებულო ხასიათი, თუ იგი დანაშაულებრივი მიზნითაა გაცემული და ხელქვეითს ეს შეგნებული აქვს?

საბჭოთა კანონმდებლობა ასეთ შემთხვევებს პირდაპირ არ არეგულირებს, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „კავშირგაბმულობის მუშაკთა დისციპლინის წესდება“, დამტკიცებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 28 სექტემბერს. ამ წესდების მე-6 პარაგრაფის მიხედვით, „თუ ხელქვეითმა მიიღო განკარგულება, რომელიც აშკარად უკანონო ან დანაშაულებრივი მიზნითაა გაცემული, აგრეთვე ისეთი განკარგულება, რომლის შესრულებას შეიძლება მოჰყვეს ავარია, კავშირგაბმულობის საშუალებათა დაზიანება, სოციალისტური საკუთრების ან კავშირგაბმულობის ორგანოებისათვის მიბარებული ქონებისა და ფასეულობის განადგურება, ხელქვეითი მოვალეა არ შეასრულოს ეს დადგენილება და დაუყოვნებლივ აცნობოს მის შესახებ უფროსს. ასეთი განკარგულების შესრულებისათვის ხელქვეითი პასუხს აგებს მის გამცემ უფროსთან ერთად“.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა ავრცელებენ ამ პრინციპს არა მარტო კავშირგაბმულობის მუშაკებზე, არამედ უკანონო ბრძანების გაცემაზე სხვა პირთა მხრიდანც. საბჭოთა სამართალში ერთხმად აღიარებულია, რომ ხელქვეითი ვალდებული არ არის შეასრულოს უფროსის დანაშაულებრივი ბრძანება და, თუ შეასრულა, მითითება უფროსის ავტორიტეტზე ვერ გაათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, არამედ შეიძლება გამოადგეს მხოლოდ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეობის წესის მიხედვით დადგება: დანაშაულის უშუალო შემსრულებელი ხელქვეითი პირი უნდა დაისაჯოს როგორც ამსრულებელი, ხოლო უკანონო ბრძანების გამცემი უფროსი – როგორც წამქეზებელი ან დანაშაულის ორგანიზატორი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. Советское уголовное право, Часть общая, Изд. Ленингр. ун-верс., 1960, стр. 362-363.



სხვაგვარად წყვეტს აღნიშნულ საკითხს მ. კოვალიოვი. მისი აზრით, ბრძანების გამცემმა უფროსმა პასუხი უნდა აგოს არა როგორც თანამონაწილემ, ეი. წამქეზებელმა ან ორგანიზატორმა, არამედ როგორც შუალობითმა ამსრულებელმა. თავის შეხედულებას მ. კოვალიოვი იმით ასაბუთებს, რომ ვინაიდან უფროსს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, უფლება აქვს გასცეს ხელქვეითისათვის სავალდებულო ბრძანებანი, ამით უფროსი ერთგვარ ხელისუფლებას იძენს, რომელიც უდავოდ იძულების ელემენტს შეიცავს; „ხოლო ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს განვიხილოთ ხელქვეითი, რომელიც უფროსის ბრძანებას ასრულებს, როგორც მისი ნების რეალიზაციის იარაღი, და თუ ეს ნება დანაშაულებრივია – როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი“<sup>2</sup>.

ამ შეხედულების წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ ხელქვეითისათვის სავალდებულოა უფროსის მხოლოდ კანონიერი ბრძანება, ხოლო უკანონო ბრძანება არათუ სავალდებულო არ არის, არამედ უფრო მეტიც: ხელქვეითი ვალდებულია არ შეასრულოს იგი. საბჭოთა სამართლისათვის უცხოა ხელქვეითის უსიტყვო და ბრმა დამორჩილება უფროსისადმი არა მარტო სამოქალაქო სამსახურში, არამედ როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვით სამხედრო სამსახურშიც კი.

გარდა ამისა, შუალობითი ამსრულებლის საჭიროება წარმოიშობა იქ, სადაც დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი თვითონ არ აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი ქმედობისათვის (ან პასუხს აგებს მხოლოდ გაუფრთხილებელი ქმედობისათვის). რამდენადაც მ. კოვალიოვი არ გამორიცხავს ხელქვეითის პასუხისმგებლობას, რომელიც უეჭველად გამოდის როგორც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, შეუძლებელია დაეუშვათ ისეთი კონსტრუქცია, როდესაც უშუალო პასუხისმგებელი ამსრულებელი მოქმედებს როგორც შუალობითი ამსრულებლის იარაღი.

უფროსის მოქმედება შეიძლება ჩაგვეთვალოთ ამსრულებლობად მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ თანამონაწილეთა სახეებს გავმიჯნავდით არა ობიექტური ნიშნების მიხედვით, როგორც ამას ობიექტური თეორია აკეთებს, რომელსაც მ. კოვალიოვიც ეთანხმება, არამედ წმინდა სუბ-

<sup>2</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. 2, გვ. 28.

იექტური ნიშნების მიხედვით, როგორც ამას აკეთებენ სუბიექტური თეორიისა და ფინალური თეორიის წარმომადგენლები<sup>1</sup>.

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ სამხედრო უფროსის ბრძანებაზე. „სამხედრო ფიცი და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა სადისციპლინო წესდება სამხედრო სამსახურისა და სამხედრო მსახურთა ურთიერთობის ძირითად პრინციპად თელიან ხელქვეითის უსიტყვო დამორჩილებას უფროსისადმი“<sup>2</sup> ხელქვეითის უფლება არა აქვს შეამოწმოს მისთვის მიცემული ბრძანების კანონიერება თუ მიზანშეწონილება. სამხედრო ძალების სადისციპლინო წესდების მე-7 მუხლის თანახმად, „უფროსის ბრძანება – ხელქვეითისათვის კანონია. ბრძანება უნდა შესრულდეს უსიტყვოდ, ზუსტად და ვადაზე“. სამხედრო ბრძანების შეუსრულებლობა თვით წარმოადგენს სამართალდარღვევას, რომელიც იღვენება დისციპლინური ან სისხლის სამართლის წესით.

ამიტომ თუ სამხედრო უფროსმა უკანონო ბრძანება გასცა, რომელსაც მოჰყვა ხელქვეითის მიერ სამართალდარღვევა, ამ უკანონო ბრძანების შუალობით ამსრულებლად ითვლება უფროსი, რომელიც თვით და მხოლოდ თვით აგებს მისთვის პასუხს.

მაგრამ აქაც კი საბჭოთა სისხლის სამართალი უშვებს მნიშვნელოვან გამონაკლისს. ხელქვეითმა არ უნდა შეასრულოს სამხედრო უფროსის აშკარა დანაშაულებრივი ბრძანება. „ხელქვეითის მიერ უფროსის აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების ასრულება არსებითად წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფას სამხედრო ძალების მიმართ. ამიტომ თუ ხელქვეითმა აშკარა დანაშაულებრივი ბრძანება შეასრულა, მაშინ ასეთი ბრძანების გამცემ უფროსთან ერთად სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს მისი შემსრულებელი ხელქვეითიც“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> ასე, მაგალითად, ველცელის აზრით, თუ სამხედრო უფროსი იძლევა უკანონო ბრძანებას, რომლის დანაშაულებრივი ხასიათი ხელქვეითმა იცის, სამხედრო უფროსი პასუხს აგებს არა როგორც წამქეზებელი, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი, ვინაიდან მას აქვს ფინალური ბატონობა ქმედებაზე, ხოლო ხელქვეითი პასუხს აგებს არა როგორც ამსრულებელი, არამედ როგორც დამხმარე (იხ. ველცელი, დასახ. ნაშრ., გვ. 92).

<sup>2</sup> В. М. Чхиквалдзе, Советское военно-уголовное право, Юриздат, М., 1948, стр. 198.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 199.

ხელქვეითი ამ შემთხვევაში პასუხს აგებს როგორც ამსრულებელი, ხოლო უფროსი როგორც – თანამონაწილე (წამქეზებული ან ორგანიზატორი), რაც არ გამოირიცხავს უფროსის უფრო მკაცრად დასჯის შესაძლებლობას.

სამხედრო მსახურის პასუხისმგებლობა აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებისათვის საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ ნორმას წარმოადგენს. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მოხსენებაში მითითებული იყო: „ვადასტურებთ, რომ ვერც სამოქალაქო და ვერც სამხედრო ხელისუფალნი ვერ გაინთავისუფლებენ თავს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმის გამო, რომ ამავე დანაშაულისათვის შეიძლება მსჯავრდებული იყო ზემდგომი ხელისუფლება“.

უფროსის ბრძანების შესრულებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცხადი იყო, რომ ადამიანობისა და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულთა შემსრულებლები შეეცდებოდნენ თავი გაენთავისუფლებინათ პასუხისმგებლობისაგან იმის მომიზეზებით, რომ ისინი სამხედრო უფროსის ბრძანებას ასრულებდნენ. ამიტომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა, რომელიც შექმნილი იყო მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებისათვის, მე-8 მუხლში პირდაპირ გაითვალისწინა: „ის ფაქტი, რომ განსასჯელი მოქმედებდა მთავრობის განკარგულებით ან უფროსის ბრძანებით, ვერ გაანთავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, არამედ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სასჯელის შემსუბუქების საფუძველი, თუ ტრიბუნალი სცნობს, რომ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“.

6) სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს ისეთ შემადგენლობებს, რომელთა უშუალო ამსრულებელიც შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი. ასეთია უპირველესად ყოვლისა თანამდებობის დანაშაული და სამხედრო დანაშაული. სუბიექტი, რომელიც ასეთ დანაშაულთათვის გათვალისწინებული თვისებებით არ არის აღჭურვილი, არ შეიძლება იყოს მათი უშუალო ამსრულებელი, თუმცა

მან შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დანაშაულში როგორც თანამონაწილემ ვიწრო მნიშვნელობით (ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და დამხმარემ). ეს წესი პირდაპირ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში მხოლოდ სამხედრო დანაშაულთა მიმართ (საქ. სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის მე-3 ნაწ.). მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა ავრცელებს მას თანამდებობის დანაშაულზეც და სხვა დანაშაულზე სპეციალური სუბიექტით. აღნიშნული დებულება უფრო ზოგადი ფორმით მოცემულია ჩეხოსლოვაკიის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის 90-ე §-ის 1-ლ და მე-2 პუნქტებში ნათქვამია: „თუ დანაშაულის ჩადენისათვის კოდექსი მოითხოვს ბრალეულის განსაკუთრებულ თვისებას, უნარს ან მდგომარეობას, დანაშაულებრივი ქმედობის ამსრულებელი ან თანამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც აღნიშნული თვისება, უნარი ან მდგომარეობა აქვს... პირველ პუნქტში გათვალისწინებული დანაშაულის ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე შეიძლება იყოს ის პირიც, ვისაც არა აქვს სათანადო თვისება, უნარი ან მდგომარეობა“.

იბადება კითხვა: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს, ერთი მხრივ, არასპეციალური სუბიექტის ქმედობა, თუ მან ისეთი მოქმედება შეასრულა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, ხოლო მეორე მხრივ სპეციალური სუბიექტის ქმედობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს, არამედ დანაშაულის ორგანიზაციის, წაქეზების ან დახმარების ფორმაში გამოიხატება? მაგალითად, სამხედრო მსახურმა წააქეზა არასამხედრო მსახური, რათა მას ბრძოლის ველზე გაეძარცვა მოკლულები და დაჭრილები (მარადიორობა, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლით).

ასეთი დანაშაულის ობიექტური მხარის შემსრულებელი, ბრალეულადაც რომ მოქმედებდეს, კანონის თანახმად, ამსრულებლად ვერ ჩაითვლება. იგი უშუალოდ ვერ შეასრულებს ამ დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან მოკლებულია ამ დანაშაულის შემადგენლობის დამახასიათებელ არსებით თვისებას: იგი არ არის სპეციალური სუბიექტი. ამიტომ ასეთი პირი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ დანაშაულის დამხ-

მარედ. თვით სპეციალური სუბიექტი კი, თუმცა იგი თანამონაწილის როლს ასრულებდა, ჩაითვლება არა თანამონაწილედ (ვიწრო მნიშვნელობით), არამედ დანაშაულის შუალობით ამსრულებლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შუალობით ამსრულებლობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ დანაშაულის დროს, რომელიც დამნაშავემ აუცილებლად საკუთარი ხელით უნდა განახორციელოს („совместно-ручное преступление“). შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება, მაგალითად, ისეთი დანაშაულის დროს, როგორცაა პატიმრობიდან გაქცევა (მუხ. 203-ე), მობილიზაციისათვის თავის არიდება (მუხ. 82-ე), უკანონო წასვლა საზღვარგარეთ და უკანონო შემოსვლა სსრ კავშირში (მუხ. 84-ე); დეზერტირობა (მუხ. 265-ე) და ა.შ. როგორც მ. კოვალიოვი აღნიშნავს, „შუალობითი ამსრულებლობის არარსებობა ასეთ შემთხვევებში იმით აიხსნება, რომ ნაკლი დანაშაულის შემადგენლობის დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ ელემენტში – დანაშაულის სუბიექტში, შეუძლებელია შევსებულ იქნეს. თანაც, რამდენადაც ასეთი ელემენტები, წინააღმდეგ დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტებისა, ატარებენ არა ზოგად, არამედ პიროვნულ ხასიათს, მათი გადატანა სხვა პირზე დაუშვებელია“<sup>1</sup>.

თუ „ცოცხალმა იარაღმა“ გადააჭარბა შუალობითი ამსრულებლის განზრახვას და უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, გვექნება ექსცესი. ექსცესის საკითხის განსჯა შუალობითი ამსრულებლობის დროს ისეთივე იქნება, როგორც თანამონაწილეობის დროს, ამიტომ აქ ამ საკითხზე სპეციალურად არ შევჩერდებით.

რამდენადაც შუალობითი ამსრულებელი – ამსრულებელია, იგი დაისჯება ისევე, როგორც ეს უკანასკნელი. მითითება სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლზე შუალობითი ამსრულებლობის დროს დაუშვებელია.

7. დანაშაულის შუალობითი შესრულება თანამონაწილეობის ფორმას არ წარმოადგენს. შუალობითი ამსრულებელი იგივე ერთპიროვნულად მოქმედი დამნაშავეა<sup>2</sup>. შუალობითი ამსრულებლობისაგან უნდა

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 17.

<sup>2</sup> ეს არ გამოირიყნავს ერთ დანაშაულში რამდენიმე შუალობითი ამსრულებლის მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში გვექნება აღნიშნულ პირთა თანამსრულებლობა.

განვასხვავოთ თანაამსრულებლობა<sup>1</sup>, რომელიც თანამონაწილეობას წარმოადგენს (ფართო მნიშვნელობით).

ვინ უნდა ჩაითვალოს თანაამსრულებლად? ამ კითხვაზე ჩვენი კოდექსი პირდაპირ პასუხს არ იძლევა. სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებიდან ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს იძლევა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად, „თანაამსრულებლად ითვლებიან ის პირები, რომლებიც ერთობლივად იღებენ დანაშაულს, იციან რა ერთმანეთის მოქმედების შესახებ“ (§ 13. პ. მე-2). თანაამსრულებლობის ცნების განსაზღვრებას იძლეოდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. იგი თვლიდა თანაამსრულებლობად „კანონით გათვალისწინებული შედეგების გამოწვევას რამდენიმე თანამონაწილის განზრახვი ერთობლივი მოქმედებით“ (§ 6). თანაც კანონი ითვალისწინებდა, რომ თითოეული თანაამსრულებელი პასუხს აგებს ამ შედეგისათვის ისე, თითქოს ეს შედეგი მის მიერ იყო გამოწვეული. ანალოგიური ნორმა შეტანილია ჩეხოსლოვაკიის 1961 წლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-9 პარაგრაფში ნათქვამია: „თუ დანაშაულებრივი ქმედობა ჩადენილია ორი ან რამდენიმე პირის მოქმედებით, თითოეული მათგანი პასუხს უნდა აგებდეს ისე, თითქოს თვით მას შეესრულებინოს დანაშაულებრივი ქმედობა (თანაამსრულებლები)“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად ამსრულებლად ითვლება ის პირი, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. აქედან ცხადია, რომ თანაამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის ჩადენაში.

ამგვარად, თანაამსრულებლობა, გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობას. ამიტომ თანაამსრულებლად არ ჩაითვლება ის, ვინც მონაწილეობას იღებდა წინასწარ მოსამზადებელ მოქმედებაში და ამით შექმნა პირობა დანაშაულის ჩასადენად, აგრეთვე

<sup>1</sup> რუსულ ლიტერატურაში თანაამსრულებლობის შესატყვის ტერმინად ჩვეულებრივად ხმარობენ ტერმინს, „совиниошнннчество“. ვფიქრობთ, ეს ტერმინი ზუსტად არ გამოხატავს ამ ცნების შინაარსს. სწორად იქცევიან ის ავტორები, რომელნიც ხმარობენ ტერმინს „соиниошнннтельство“ (იხ. მაგალითად, კოვალიოვი, დასახ. ნაშრ.).

ისიც, ვინც შემოუერთდა დამნაშავეს დანაშაულის დამთავრების შემდეგ. პირველი იქნება დამხმარე, ხოლო მეორე საერთოდ არ განიხილება როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც შემხებელი.

დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობა უნდა გავიგოთ როგორც მონაწილეობა ისეთ მოქმედებაში, რომლითაც ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობა. არ ჩაითვლება თანამსრულებლად ის პირი, ვინც თუმცა დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას არ ახორციელებს. ამიტომ თანამსრულებელთა წრიდან უნდა გამოვრიცხოთ ის, ვინც დანაშაულის ჩადენის მომენტში სადარაჯოზე დგას, ან ის, ვინც დანაშაულის ჩადენის მომენტში დაბრკოლებას აცილებს. უშუალო ამსრულებლებს და ამით აძლევს მათ შესაძლებლობას ბოლომდე მიიყვანონ დანაშაული.

სხვა შეხედულებას იზიარებენ ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტები. მაგალითად, ბირკმაიერის აზრით, მოქმედება დანაშაულის განხორციელების მომენტში უნდა გაუთანაბრდეს თანამსრულებლობას. ამგვარად ბირკმაიერი, რომელიც განასხვავებდა მიზეზს პირობისაგან და სწორედ ამ მომენტის მიხედვით აპირებდა ამსრულებლისა და დამხმარის ცნებათა გამიჯვნას, სწორედ იქ, სადაც მისი თეორიის გამოყენება იყო საჭირო, ძველ ფორმალურობიექტურ თეორიას შეუერთდა. თანაც თავის ასეთ პოზიციას ბირკმაიერი იმით ასაბუთებდა, რომ „მოქმედების დროისდა მიხედვით განსხვავების გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც წარმოიშვებიან თანამსრულებლობისა და დახმარების გამიჯვნისას“<sup>1</sup>.

დროის მიხედვით გამიჯნავს თანამსრულებლობას დახმარებისაგან მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, იაპონიის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში ნათქვამია: „დარაჯად დგომა ისეთი მოქმედებაა, რომელიც თავიდან ააცილებს დამნაშავეებს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების დაბრკოლებას და, ვინაიდან იგი, დანაშაულის აღმსრულებელ მოქმედებასთან ერთად, აუცილებელია დანაშაულებრივი ქმედობის რეალიზაციისათვის, — დარაჯად დგომის მოქმედება სხვა არა არის რა, თუ არა

<sup>1</sup> იხ. K. Birkmeyer, Teilnahme am Verbrechen, „Vergleichende Darstellung des deutschen und ausländischen Strafrechts“, Berlin, 1908, S. S. 20, 150.

თვით აღმასრულებელი მოქმედება<sup>1</sup>. საფრანგეთის და იტალიის პრაქტიკა უკვე დიდი ხანია დამხმარედ მხოლოდ იმას თვლის, ვინც დანაშაულის განხორციელების დაწყებამდე მოქმედებდა<sup>2</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც იყო გამოთქმული შეხედულება, რომ თანამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში, არამედ ყოველი ის პირი, ვინც მოქმედებდა დანაშაულის განხორციელების მომენტში. ასე, მაგალითად, პროფ. ე. ნემიროვსკის აზრით, თანამონაწილეა ისიც, ვინც დანაშაულის ჩადენის დროს სადარაჯოზე დგას ან ვინც ანათებს საწყობს, რომელსაც იმ მომენტში ჰქურდავენ. თავისი აზრის დასაბუთებისათვის ე. ნემიროვსკი მიუთითებდა უკრაინის სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლზე და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამის მუხლებზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც უშუალო მონაწილეობას მიიღებს დანაშაულებრივი მოქმედების განხორციელებაში, რაშიაც უნდა გამოიხატოს ეს მონაწილეობა“<sup>3</sup>.

ეს შეხედულება მართებულად არ იქნა გაზიარებული საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობის მიერ. მართლაც, თუმცა ძველი სისხლის სამართლის კოდექსები ამსრულებლის ცნების განსაზღვრების დროს ხმარობდნენ ამ გამოთქმას – „რაშიაც უნდა გამოიხატოს ეს მონაწილეობა“, მაგრამ მათ მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ უშუალო მონაწილეობა დანაშაულის შესრულებაში და არა რაგინდა რა მოქმედება, შესრულებული დანაშაულის ჩადენის მომენტში. კერძოდ, „დარაჯად დგომის“ შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ წარმოადგენს დანაშაულის უშუალოდ ჩადენის მოქმედებას, არც მის ნაწილს, ამიტომ აღმასრულებელ მოქმედებას ვერ მიეკუთვნება. „დარაჯად დგომა“ არსებითად დანაშაულის დაბრკოლების თავიდან აცილებას ნიშნავს, – ამაში იაპონიის უმაღლესი სასამართლო მართალია, მაგრამ დანაშაულის დაბრკოლების თავიდან აცილება, ჩვენი კანონმდებლობის პირდაპირი მითითების თანახმად, დახმარებას ეკუთვნის და არა ამსრულებლობას.

<sup>1</sup> იხ. Современное зарубежное уголовное право, т. I, 1957, стр. 372.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ Э. Я. Немировский, Советское уголовное право, Одесса, 1924, стр. 127.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 127.



საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაც განუხრელად ღვას იმ პოზიციაზე, რომ ყოველი მოქმედება, რომელიც არ გამოიხატება დანაშაულის უშუალო შესრულებაში, არამედ მიმართულია იმისაკენ, რომ გააადვილოს დანაშაულის ჩადენა, თავიდან მოაცილოს დამნაშავეებს დაბრკოლება, რათა მათ შესძლონ განზრახვის სისრულეში მოყვანა, ამსრულებლის მოქმედებას არ მიეკუთვნება. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1963 წ. 7 აგვისტოს განჩინებით დააკვალიფიცირა როგორც თანამონაწილეობა (დახმარება) გაუპატიურებაში ს.-ს მოქმედება, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ როდესაც მისი ამხანაგი ნ. არასრულწლოვან ბ.-ს აუპატიურებდა, იგი პირზე ხელს აფარებდა მეორე არასრულწლოვან ხ.-ს და არ აძლევდა ყვირილისა და ხალხის შეყრის საშუალებას<sup>1</sup>.

არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ასრულებად აგრეთვე დანაშაულის გეგმის შედგენა. იაპონიის უმაღლეს სასამართლოს პრაქტიკა ამ მოქმედებასაც ასრულებად თვლის. მის ერთ-ერთ განჩინებაში მითითებულია: „თანამსრულებლებად ითვლებიან არა მარტო ის ამსრულებლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დანაშაულის შემადგენლობაში შემავალი ყველა ან ერთ-ერთი მოქმედების განხორციელებაში, არამედ ისინიც, რომლებიც ერთობლივად ადგენენ დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელების გეგმას, ხოლო შემდეგ ამ გეგმის განხორციელებას ანდობენ ზოგიერთს თავისი წრიდან“<sup>2</sup>. გეგმის შედგენა მოსამზადებელ მოქმედებას ეკუთვნის და ცხადია, ასრულებას ვერ მიეკუთვნება. გეგმის შემდგენი, იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს იგი დანაშაულის განხორციელებაში, შეიძლება ჩაითვალოს ან ორგანიზატორად ან დამხმარედ.

თანამსრულებლობა შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ დანაშაულის ყოველი მონაწილის მოქმედება დანაშაულის მთელი შემადგენლობის განხორციელებას წარმოადგენდეს. მაგალითად, რამდენიმე ხულიგანი სცემს ერთ მოქალაქეს ან უძალიანდება ხელისუფლების წარმომადგენლებს, როდესაც ისინი ცდილობენ ალაგმონ მათი თავზე-

<sup>1</sup> „Биulletень Верховного Суда РСФСР“, 1964, №1, стр. 12.

<sup>2</sup> Современное зарубежное уголовное право, т. 3, М., 1957, стр. 372.

ღობა, ან ორი ბოროტმოქმედი, მესამე პირის მძიმე სხეულებრივი დაზიანების მიზნით, დანით დაჭრის ამ უკანასკნელს. აქ ყველა დამნაშავე ასრულებს ერთგვაროვან მოქმედებას, რომელიც დანაშაულის სრული შემადგენლობის განხორციელებას წარმოადგენს.

თანამსრულებლობა გვექნება არა მარტო მაშინ, როცა თანამსრულებელი დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის განხორციელებაში იღებს მონაწილეობას, არამედ მაშინაც, როცა იგი შემადგენლობის ნაწილს ასრულებს. ამიტომ, მაგალითად, სხეულის დაზიანების ან მკვლელობის დროს ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის პირი, ვინც დაჭრა დაზარალებული ან სასიკვდილო მახვილი ჩასცა მას, არამედ ისიც, ვინც ამ მომენტში ხელ-ფეხი გაუკავა დაზარალებულს და მისცა დანარჩენებს შესაძლებლობა ბოლომდე მიეყვანათ განაზრახი. აქ თუშცა როლების ერთგვარ განაწილებას აქვს ადგილი, მაგრამ მაინც თითოეული თანამსრულებელი შემადგენლობის ნაწილს ახორციელებს და შედეგი – სხეულის დაზიანება ან სიკვდილი ყველა მათგანის ერთობლივი მოქმედებით არის გამოწვეული. როგორც მართებულად აღნიშნავს მ. კოვალიოვი, „რამდენადაც აღნიშნულ ქმედობათა მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელების საერთო ნიშანი ძალმომრეობით მოქმედებაში გამოიხატება, ამდენად ყოველგვარი მონაწილეობა ძალადობაში, რამაც შესაბამისი დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია, თუნდაც ამ შედეგის უშუალო მიზეზი მხოლოდ ერთი თანამსრულებლის მოქმედება იყოს, ვერ გადააქცევს დანარჩენ თანამონაწილებს დამხმარეებად“<sup>1</sup>.

ჩვენი სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ უკიდურესობაში ვარდება და თანამსრულებლად ცნობს მხოლოდ იმ პირს, ვისი უშუალო მოქმედებითაც გამოწვეული იყო დანაშაულებრივი შედეგი, ხოლო დანარჩენ პირებს, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში იღებდნენ მონაწილეობას, თვლის მხოლოდ დამხმარეებად. ასეთი შემთხვევები მითითებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ და წერილში „განზრახი

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

მკვლევლობის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი<sup>1</sup>.

სვერდლოვის ოლქის სასამართლოს განაჩენით ოქტომბერი ცნობილი იქნა დამნაშავედ რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით, ხოლო ბელოვი მე-17 მუხლის მეშვიებით – 136-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით საქმის გარემოებანი შემდეგში მდგომარეობდა: ოქტომბერმა თავის ბინაში შურისძიების ნიადაგზე მოკლა ერთოლაველი თავში რამდენჯერმე გაზის ჩარტყმით. იმ მომენტში, როდესაც ოქტომბერი ერთოლავეს თავში გაზს ურტყამდა, მას ეხმარებოდა ბელოვი, რომელმაც ერთოლავეს ხელები გაუკავა. სასამართლომ ბელოვის მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც დახმარება იმ მოტივით, რომ ბელოვს თვითონ არ შეუძლებოდა მკვლევლობის აქტი, არამედ მან მხოლოდ მოსპო დანაშაულის ჩადენის დაბრკოლება. უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში მოთავსებულ წერილში სავსებით მართებულადაა მიითითებული ბელოვის მოქმედებათა არასწორ კვალიფიკაციაზე: „თუმცა ბელოვს თვითონ არ დაურტყამს ერთოლავეისათვის თავში გაზი, რამაც მსხვერპლის სიკვდილი გამოიწვია, მაგრამ მან უშუალო განზრახვი მონაწილეობა მიიღო თვით დანაშაულის შესრულების პროცესში. ბელოვი მკვლევლობის თანამსრულებელია“<sup>2</sup>.

ზოგჯერ სასამართლოები ასეთ თანამსრულებელთა მოქმედებას აკვალიფიცირებენ როგორც მცდელობას. ასეთი შეცდომა დაშვებული იყო, მაგალითად, გროდნენის საოლქო სასამართლოს მიერ ბობინების საქმეზე. ჩ. ბობინმა, მ. ბობინმა და ი. ბობინმა ხულიგნური მოტივით მოჰკლეს ს. ფურმანი, რომელსაც თავს დაესხნენ, გაერთიანებული ძაღლონით სცემეს და დაჭრეს. რამდენადაც დანა მხოლოდ ჩ. ბობინს აღმოაჩნდა, სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა. დანარჩენ თანამონაწილეთა ქმედობა სასამართლომ დააკვალიფიცირა, როგორც მცდელობა. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ დანაშაულის ყველა მონაწილე სცემდა და დანას ურტყამდა ფურმანს. ბელორუსიის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის განჩინებაში ამ საქმეზე სწორად იყო

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1960, №4, стр. 51-60.

<sup>2</sup> იხ. იქვე. გვ. 57.

მითითებული, რომ „ფურმანი მოკლული იყო მსჯავრდებულთა ერთობლივი მოქმედების შედეგად“<sup>1</sup>.

ასეთი შეცდომების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოები თანამსრულებელთა დანაშაულს განიხილავენ არა ერთობლივად, არამედ იზოლირებულად, რაც იწვევს მათ მოქმედებათა არასწორ კვალიფიკაციას.

დაბოლოს, სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ყველა თანამსრულებელი ერთგვაროვანი ხასიათის მოქმედებას ასრულებს, და მიუხედავად ამისა, ზოგი მათგანის მოქმედებას მანც აკვალიფიცირებენ როგორც დახმარებას. ასეთი შემთხვევა მითითებულია სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ აღნიშნულ 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში.

ძმებმა მაკარევიჩებმა და ნოვიკოვებმა სხვადასხვა საგნების (ჩაქურჩის, ქვის, კასტეტის, დანის) თავში ჩარტყმით მოკლეს კალენტიონოვი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით დადასტურდა, რომ ამ დარტყმებს შედეგად მოჰყვა თავის ქალის ძვლების დამსხვრევა, სისხლის ჩაქცევა და ტყინის ნივთიერების დაზიანება. ერთ-ერთი დაზიანება, რომელიც მიყენებული იყო კეფის ძვლის არეში, უცილობლად სასიკვდილო აღმოჩნდა. ეს დაზიანება დაზარალებულს პ. მაკარევიჩმა ჩაქურჩით მიაყენა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ სცნო, რომ მკვლელობის ამსრულებელი იყო მარტოოდენ პ. მაკარევიჩი, ხოლო დანარჩენ პირთა ქმედობა დააკვალიფიცირა როგორც დახმარება პ. მაკარევიჩის მიერ ჩადენილ ქმედებაში. უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის დადგენილებაში მიუთითა ამგვარი კვალიფიკაციის არასისწორეზე და აღნიშნა, რომ „ყველა განსასჯელის ქმედობა, რომელიც დანაშაულის შესრულებაში უშუალო მონაწილეობით გამოიხატებოდა, განხილულ უნდა იქნეს როგორც ამსრულებლის მოქმედება“<sup>2</sup>.

ანალოგიური ხასიათი აქვს რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 ივნისის განჩინებას. ოთხმა დამნაშავემ — სმირნოვმა, რიბკინმა, სოლოვიოვმა და ჩერნოვმა ჯოხებით და პალოებით სცემეს „კუხნიეკოვს, რის შედეგადაც უკანასკნელი მეორე დღეს

<sup>1</sup> იხ. „Изюллетень Верховного Суда СССР“, 1960, №4, стр. 57.

<sup>2</sup> იხ. „Изюллетень Верховного Суда СССР“, 1960, №4, стр. 49.

სავადმყოფოში გარდაიცვალა. სასამართლოში დადასტურდა, რომ კუზნეცოვის სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო თავში პალოს ჩარტყმა სპირნოვის მიერ. ამის საფუძველზე კალინინის საოლქო სასამართლომ სპირნოვის მოქმედება დააკვალიფიცირა დანაშაულის ერთობლიობის წესით როგორც მკვლელობა (1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის 1-ლი ნაწ. „ა“ პუნქტი) და კვალიფიციური ხულიგნობა (206-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო დანარჩენ ბოროტმოქმედთა დანაშაული – როგორც კვალიფიციური ხულიგნობა (206-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

პროკურორის პროტესტის საფუძველზე რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა ეს საქმე და თავის განჩინებაში მიუთითა: „თუმცა კუზნეცოვის სიკვდილი ამ პირების დარტყმას არ გამოუწვევია, მაგრამ მათ უშუალო მონაწილეობა მიიღეს თვით კუზნეცოვის მკვლელობის პროცესში და ამიტომ ისინი ცნობილი უნდა იქნენ ამ დანაშაულის თანამსრულებლებად“<sup>1</sup>.

თანამსრულებლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. ამ დებულებას უარყოფენ პ. ი. გრიშაევი და გ. ა. კრიგერი, რომლებიც თვლიან, რომ „თანამონაწილეობა ლოგიკურად წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილის მოქმედება უმოქმედობაში გამოიხატება“<sup>2</sup>. ამ დებულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თანამსრულებლობა, როგორც თანამონაწილეობის ფორმა ლოგიკურადაც წარმოსადგენია და პრაქტიკულადაც შეიძლება შეგვხვდეს როგორც წმინდა უმოქმედობის, ისე შერეული უმოქმედობის დროსაც. უმოქმედობით თანამონაწილეობა შესაძლებელია ყველა იმ დანაშაულში, რომელიც მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება. მაგრამ თუ კანონით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით განხორციელდეს, თანამსრულებლობასაც მარტოოდენ აქტიური ფორმით შეიძლება ჰქონდეს ადგილი<sup>3</sup>.

თუ დანაშაულის შემადგენლობა ორი აქტისაგან შედგება, თანამ-

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда РСФСР“, 1961, №4, стр. 7.

<sup>2</sup> იხ. П. И. Гришаси, Г. А. Кригер. Соучастие по уголовному праву, М., 1959, стр. 15.

<sup>3</sup> ამ საკითხზე სწორად მსჯელობს მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. 2, გვ. 38-39.

სრულელობა გვექნება არა მარტო მაშინ, როცა დამნაშავენი ორივე აქტის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას, არამედ მაშინაც, როცა ისინი სხვადასხვა აქტებს ასრულებენ, მაგალითად, სპეკულაციის დროს ერთი დამნაშავე შეიძლება მონაწილეობას იღებდეს საქონლის შესყიდვაში, ხოლო მეორე – მის რეალიზაციაში. ისინი განიხილებიან როგორც სპეკულაციის დანაშაულის ერთობლივი ამსრულებლები. თუ ამ პირთა ქმედობებს იზოლირებულად განვიხილავთ, სწორ კვალიფიკაციას მათ ვერ მივცემთ. სახელდობრ, საქონლის შესყიდვა შემდგომ გადაყიდვის მიზნით უნდა დაგვეკვალიფიცირებინა როგორც სპეკულაციის მცდელობა, ხალხის პირი, ვინც საქონელი გაყიდა, სრულიად განთავისუფლებოდა პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან თავისთავად საქონლის გაყიდვა დანაშაულს არ წარმოადგენს.

ზოგიერთი რთული დანაშაული შედგება რამდენიმე ნაწილისაგან, რომლებიც, იზოლირებულად აღებულნი, დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედობებს წარმოადგენენ. მაგალითად, კვალიფიციური გაძარცვა გულისხმობს ძალადობას, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (ან ასეთი ძალადობის გამოყენების მოქარას) და ქონების გატაცებას.

ვთქვათ, ერთმა დამნაშავემ ხელ-ფეხი შეუქრა დაზარალებულს, ხოლო მეორემ მისი ქონება გაიტაცა. თუ ამ ორ ქმედობას ცალ-ცალკე, იზოლირებულად განვიხილავთ, მაშინ გვექნება არა გაძარცვა, ჩადენილი ძალადობის შემდეგობით, არამედ, ერთი მხრით, 133-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა (უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა) და, მეორე მხრით, ქურდობა ან ძალადობის გარეშე ჩადენილი გაძარცვა. ასეთი კვალიფიკაცია, რა თქმა უნდა, არასწორი იქნებოდა. ამგვარადვე, თუ ყაჩაღობის დროს ერთი თანამონაწილე დანას ჩასცემს დაზარალებულს, ხოლო მეორე ააცლის მას ოქროს საათს, ამ მოქმედებათა იზოლირებული განხილვის შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებოდით იმ დასკვნამდე მივსულიყავით, რომ პირველი დამნაშავის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სხეულის დაზიანება, ხოლო მეორე პირის მოქმედება – როგორც ქურდობა. მხოლოდ ამ ორი მოქმედების ერთობლივად განხილვის შემთხვევაში გვეძლევა შესაძლებლობა დაკვალიფიციროთ ჩადენილი დანაშაული როგორც ყაჩაღობა.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდეს-

საც შენადგენი დანაშაულის დროს დანაშაულის პირველ ნაწილს, სხვებთან შეუთანხმებლად, ახორციელებს ერთი პირი, ხოლო შემდეგ მას შეუერთდება მეორე პირი, რომელიც პირველთან შეთანხმებით დაამთავრებს ამ დანაშაულს. მაგალითად, ერთმა დამნაშავემ გაძარცვის მიზნით უგრძნობ მღვთმარობაში მოიყვანა დაზარალებული. ამ დროს შემთხვევით გამოიარა პირველი დამნაშავეს ამხანაგმა, რომელიც მასთან შეთანხმებით იტაცებს დაზარალებულის ქონებას. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მეორე დამნაშავეს მოქმედება: როგორც თანამსრულებლობა გაძარცვაში თუ როგორც ქურდობა? ეს საკითხი ლიტერატურაში ერთგვაროვნად არ წყდება.

ბურჟუაზიული კრიმინალისტი ველცელი იმ შეხედულებას იზიარებს, რომ თუ პირველმა ამსრულებელმა უკვე განახორციელა შენადგენი დანაშაულის განსაზღვრული ნაწილი, ხოლო მეორე დამნაშავე შემდგომ შეუერთდა მას და მონაწილეობა მიიღო დანაშაულის დამთავრებაში, ეს მეორე პირი პასუხს აგებს მთელი შენადგენი დანაშაულისათვის, ვინაიდან მან იცის დამამძიმებელი გარემოების შესახებ (მხედველობაშია ქურდობა შემტვრევით) და იწონებს მას<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას ადგია ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, ამავე შეხედულებას იზიარებს მ. კოვალიოვი. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობს მისი მტკიცებიდან, რომ შეკვეცილი შემადგენლობის არსებობის დროს თანამონაწილეობა დასაშვებია დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგაც. მაგალითისათვის კოვალიოვს მოჰყავს ყაჩაღობა. იგი თვლის, რომ თუ ერთმა პირმა ჩაიდინა ძალადობა, ხოლო შემდგომ მისი ნაცნობი შემთხვევით აღმოჩნდება დანაშაულის ჩადენის ადგილას და აღმოუჩენს პირველს დაზარალებას დაზარალებულის ქონების გატაცებაში, ეს ამხანაგი განხილულ უნდა იქნეს როგორც ყაჩაღობის თანამონაწილე<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს. თითოეულმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმისათვის, რაც მან ობიექტურად გააკეთა და რისი

<sup>1</sup> იხ. Weizel, Das Deutsche Strafrecht, 1960, S. S. 95-96.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 96.

<sup>3</sup> იხ. მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. 2, გვ. 119.

განზრახვაც მას ჰქონდა. შემდგომი მონაწილეობა ვერ შეეცადა მიზეზობრივ კავშირს, რომელიც მეორე დამნაშავეს ქმედობასა და ძალადობის აქტს შორის არ არსებობს. იგი ვერ შეეცადა ბრალსაც, ვინაიდან განზრახვა არის ფსიქიკური დამოკიდებულება მიმართული მომავლისაკენ და არა წარსულისაკენ.

ამიტომ ზემოთ მოტანილ შემთხვევაში ყაჩაღობისათვის ან ძალმომრეობითი გაძარცვით გატაცებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ პირველი ამსრულებელი, ხოლო მეორე პირი პასუხს აგებს იმისათვის, რაც მან პირადად შეასრულა და რისი ბრალიც მას ჰქონდა, ე.ი. ქურდობისათვის.

სულ სხვაა, როდესაც თანამსრულებლები წინასწარ შეთანხმდებიან როლების განაწილების შესახებ. ასეთ შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი და ბრალეული კავშირი ერთობლივი შედეგის მიმართ. თითოეული ამსრულებელი, თუნდაც იგი შემადგენლობის მხოლოდ ერთ ნაწილს ასრულებდეს, განამტკიცებს მეორე თანამსრულებლის განზრახვას და ამით მიზეზობრივ კავშირშია არა მარტო იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც უშუალოდ ასრულებს, არამედ იმ ნაწილის მიმართაც, რომელსაც მეორე თანამონაწილე ასრულებს. მას აქვს აგრეთვე ბრალი, მიმართული მთლიანი დანაშაულის ერთობლივად განხორციელებაზე. როგორც მართებულად აღნიშნავს ბულგარელი კრიმინალისტი კ. ლიუტოვი, „მონაწილეობა ნივთის გატაცებაში თავისთავად არ ახდენს არავითარ ობიექტურ ზეგავლენას ძალადობის ან მუქარის გამოყენებაზე, არც აზიანებს და არც ამინებს დაზარალებულს. საჭიროა ცალკეული მოქმედება — იძულებისადმი შეგუდიანება და იძულებაში დახმარება, რათა არსებობდეს იმის ობიექტური საფუძველი, რომ დამნაშავე დაესჯათ იძულებისათვის და, ამასთან ერთად, მთლიანად შენადგენი დანაშაულისათვის“<sup>1</sup>.

თანამსრულებლობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ის, რომ თითოეული დამნაშავეს მოქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს შედეგთან და თითოეული მათგანი უშუალო მონაწილეობას იღებდეს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ ამასთან ერთად საჭიროა განსაზღვრული ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან.

თანამსრულებლობა, რამდენადაც იგი ფართო მნიშვნელობით გაგე-

<sup>1</sup> Костадин Лютов, За съучастието при съставни престъпления, „Правна мисъл“, 1964, кн. 1, стр. 37. ამავე შეხედულებას იზიარებს ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი კ. სოლნარეი, იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 103.



ბული თანამონაწილეობის ფორმას წარმოადგენს, აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს. ამიტომ თუ რამდენიმე პირის მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული, თითოეული დამნაშავე პასუხს აგებს როგორც დამოუკიდებელი დამნაშავე და არა როგორც თანაამსრულებელი. როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. სოლნარჟი, „გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს არ შეიძლება არსებობდეს თანაამსრულებლობა ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით; რამდენადაც თანაამსრულებლობის დროს თითოეული თანაამსრულებელი განიხილება ისე, თითქოს მან თვითონ გამოიწვია კანონით გათვალისწინებული შედეგი, ამიტომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს შეუძლებელია, რომ ეს შედეგი მთლიანად მოცული იყოს თანაამსრულებელთა განზრახვით“<sup>1</sup>.

მაგრამ თანაამსრულებლობისათვის არც ის არის საკმარისი, რომ თანაამსრულებლები განზრახი ბრალით მოქმედებდნენ; აუცილებელია მათ შეგნებული ჰქონდეთ, რომ დანაშაულებრივი შედეგი მათი საერთო მოქმედებით ხორციელდება. თანაამსრულებლობის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთმანეთის მეშვეობით ახორციელებენ დანაშაულებრივ შედეგს და ეს მათ შეგნებული აქვთ.

წინასწარი შეთანხმება თანაამსრულებელთა შორის სავალდებულო არ არის. საკმარისია, თუ მათ იციან ერთმანეთის მოქმედების შესახებ.

თანაამსრულებლობისათვის არ არის აუცილებელი პირდაპირი განზრახვა, საკმარისია ევენტუალური განზრახვაც. თუ, მაგალითად, ერთი საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრენი დაზღვევის თანხის მისაღებად გადაწყვეტენ სახლის დაწვას, თანაც ითვალისწინებენ, რომ ცეცხლის წაქიდების შედეგად შეიძლება დაიწვას ამ სახლში მცხოვრები რომელიმე მდგმური და შეგნებულად უშვებენ ასეთ შედეგს, ცეცხლის წამკიდებელნი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით და განიხილებიან როგორც მკვლელობის თანაამსრულებლები.

თანაამსრულებლობის შემთხვევაში თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს როგორც დანაშაულის ამსრულებელი. ამიტომ მისი მოქმედების კვალიფიკაციის დროს მითითება მუხლზე თანამონაწილეობის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19

<sup>1</sup> ვ. სოლნარჟი, დასახ. ნაშრ., გვ. 118-119.

მუხლი) საჭირო არ არის. რაც შეეხება თითოეული ამსრულებლისათვის სასჯელის კონკრეტული ღონისძიების არჩევას, თანამსრულებლისათვის დამახასიათებელი პირადი გარემოების ზეგავლენას დანარჩენ ამსრულებელთა პასუხისმგებლობაზე, თანამსრულებლის ექსცესს, დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებას და სხვ. ეს საკითხები თანამსრულებლობის დროს იმგვარადვე წყდება, როგორც თანამონაწილეობის დროს. ამიტომ მათ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის განხილვასთან ერთად განვიხილავთ.

### § 3. ორგანიზატორი

როგორც უკვე აღნიშნული იყო, „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ თანამონაწილეთა ტრადიციულ სამ სახეს (ამსრულებელს, წამქეზებელს და დამხმარეს) უმატებენ მე-4 სახეს — ორგანიზატორს. ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსები თანამონაწილეობის ასეთ სახეს არ იცნობენ. თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიები და ფინალური თეორია ორგანიზატორს ამსრულებელთა რიცხვს აკუთვნებენ, რამდენადაც დამნაშავეს სურდა ქმედობა როგორც „საკუთარი“ (სუბიექტური თეორია) ან რამდენადაც დამნაშავე ფინალურად ბატონობდა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე (ფინალური თეორია). უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან ფორმალურ-ობიექტური თეორიები, რომელნიც თანმიმდევრულად იძულებულნი არიან დასაჯონ ორგანიზატორი როგორც წამქეზებელი ან დამხმარე, რაც ორგანიზებული დანაშაულებრიობის დიდად გავრცელების პირობებში ვერ უზრუნველყოფს ასეთ დანაშაულთან ეფექტურ ბრძოლას. 1958 წლის საფუძვლების გამოცემაზე საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსები ორგანიზატორს როგორც თანამონაწილის ერთ-ერთ სახეს ზოგად ნაწილში არ იხსენიებდნენ. მაგრამ მითითებას ორგანიზატორის პასუხისმგებლობაზე ვხვდებით როგორც საბჭოთა ხელისუფლების ადრინდელ დეკრეტებში, ისე ძველი სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში. ასე, მაგალითად, რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1917 წლის 19 დეკემბრის ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ „რევოლუციურ ტრიბუნალს ექვემდებარება საქმეები იმ პირთა შესახებ, რომლებიც აწყობენ

(ორგანიზუიოტ) აჯანყებას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ ან არ ემორჩილებიან მას...”

საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის „ა“ პუნქტი და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები საკუთარად გამოყოფდნენ მასობრივი უწესობების ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს, რომლებსთვისაც უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდნენ. ასეთივე პასუხისმგებლობა ძველი კოდექსების ზოგიერთ სხვა მუხლშიც იყო გათვალისწინებული. ორგანიზატორის ფიგურა თავისთავად იგულისხმებოდა აგრეთვე იმ დანაშაულთა შემადგენლობებში, რომელნიც ითვალისწინებდნენ ორგანიზებული ჯგუფის, ბანდის და ა.შ. შექმნას, მაგრამ ორგანიზატორი არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად ნაწილში როგორც თანამონაწილის განსაკუთრებული სახე. ამავე დროს ორგანიზატორი შეიძლება შეგვეხედეს ყოველი დანაშაულის ჩადენისას. არ იყო გარკვეული, თუ როგორ უნდა იქნეს კვალიფიცირებული ასეთ შემთხვევებში ორგანიზატორის მოქმედება: როგორც დამხმარის, წამქეზებლის თუ ამსრულებლისა. პროფ. ნ. დურმანოვის მიერ გამოთქმული იყო შეხედულება, რომ „... ორგანიზატორი განხილულ უნდა იქნეს როგორც დანაშაულის თავისებური ამსრულებელი. იგი ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ სხვა ბრალეულთა ხელით, რომლებიც თავისი მხრით პასუხს უნდა აგებდნენ როგორც ფიზიკური ამსრულებელი“<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას იზიარებდა პროფ. მ. შარგოროდსკი, რომლის აზრით, „ორგანიზატორის მოქმედება გამოიხატება თვით დანაშაულის ორგანიზაციაში, რაც დანაშაულის შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ დანაშაულის ორგანიზატორი, თუნდაც იგი დანაშაულის შემადგენლობაში შემაკვალ მოქმედებას ფაქტიურად პირადად არც კი იდენდეს, განხილულ უნდა იქნეს არა როგორც თანამონაწილე სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით, არამედ როგორც დანაშაულის ამსრულებელი“<sup>2</sup>.

ეს შეხედულება ტარდებოდა საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში.

<sup>1</sup> Н. Дурманов, Вопросы соучастия в судебной практике Верховного Суда СССР, „Социалистическая законность“, 1947, №8, стр. 17.

<sup>2</sup> М. Д. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, Л., 1955, стр. 148.

მაგალითად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1946 წლის 29 ივნისის განჩინებით დააკვალიფიცირა როგორც ამსრულებლობა მოროზოვის მოქმედება, რომელმაც შექმნა შეიარაღებულ ყაჩაღთა ჯგუფი დაზარალებულ დობრიაკოვას გასამარცხავად და შეადგინა ამისათვის ბინის გაქურდვის გეგმა, თუმცა თვითონ გაძარცვაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, რადგან დაზარალებულის მეზობელი იყო და ემინოდა, რომ დაზარალებულნი იცნობდნენ<sup>1</sup>.

ცხადია, ორგანიზატორის ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დანაშაულის ამსრულებლის ცნებას, რომელიც საბჭოთა ლიტერატურაშიც და სასამართლო პრაქტიკაშიც ერთხმად აღიარებულია იმ პირად, ვინც უშუალოდ ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა იძულებული იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ ორგანიზატორის ფიგურის განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი საშიშროების გამო.

ამგვარად, ორგანიზატორის ფიგურის გამოყოფა თანამონაწილეობის ცალკეულ სახედ სასამართლო პრაქტიკის საჭიროებით იყო გამოწვეული. სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებში ორგანიზატორი მართლაც გამოყოფილი იქნა როგორც დამოუკიდებელი ფიგურა თანამონაწილეთა შორის.

საფუძვლები განსაზღვრავენ ორგანიზატორს როგორც იმ პირს, „ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას“ (მუხ. მე-17). ამ განსაზღვრების თანახმად, ორგანიზატორის საქმიანობა შეიძლება ორი სახისა იყოს: ა) დანაშაულის ორგანიზაცია, რომელსაც არსებითად ადგილი აქვს დანაშაულის უშუალო შესრულებამდე და ბ) დანაშაულის ხელმძღვანელობა მისი ჩადენის მომენტში.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში მართებულად არის მითითებული, რომ საფუძვლები ორგანიზატორის ცნებას მეტად ვიწროდ განსაზღვრავენ: სახელდობრ, აქ არ არის გათვალისწინებული, პირველ ყოვლისა, თვით დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემქმნელი და მისი საქმიანობის ხელმძღვანელი<sup>2</sup>. ამ ავტორების აზრით, ორგანიზა-

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“ 1946 вып. 6, стр. 14-17.

<sup>2</sup> ჯ. ი. გრიშავეი, გ. ა. კრივერი, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

ტორი უფრო ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული, სახელდობრ, როგორც ის პირი, „ვინც ჰქმნის დანაშაულებრივ გაერთიანებას, ან „მაიკას“ ან ხელმძღვანელობს მის საქმიანობას, აგრეთვე ის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ცალკეულ დანაშაულთა მომზადებას და ჩადენას“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ასე ფართოდ განმარტავდა ორგანიზატორის ცნებას სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1939 წლის პროექტი, რომელიც იურიდიულ მეცნიერებათა საერთოსაკავშირო ინსტიტუტმა დაამუშავა. ამ პროექტის 21-ე მუხლის მიხედვით, „დანაშაულის ორგანიზატორად ითვლება ის პირი, ვინც შექმნა დანაშაულებრივი საზოგადოება ან შეიმუშავა დანაშაულის ჩადენის გეგმა ან ვინც ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოებას ან დანაშაულის ჩადენას“.

ჩვენის აზრით, ის მოსაზრება, რომ ორგანიზატორის ცნების განსაზღვრებაში შეტანილ უნდა იქნეს აგრეთვე დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემქმნელი, მართებულად უნდა ჩაითვალოს. უფრო მეტიც, სწორედ ასეთი პირი უნდა იქნეს აღიარებული, პირველად ყოვლისა, ორგანიზატორის ყველაზე საშიშ და აქტიურ სახედ, ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1959 წლის პროექტში ეს მომენტი პირველ რიგშია მოხსენებული. სახელდობრ, პროექტის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავდა ორგანიზატორს, როგორც იმ პირს, „ვინც შექმნა დანაშაულებრივი გაერთიანება ან ხელმძღვანელობდა დანაშაულის მომზადებას ან ჩადენას“.

ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ საფუძვლების მიერ მოცემული განსაზღვრება დანაშაულის ორგანიზატორისა შეესებულებოდა ყოფილიყო ამგვარად: „დანაშაულის ორგანიზატორად ჩაითვლება ის პირი, ვინც შექმნის დანაშაულებრივ ორგანიზაციას ან ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას“.

როგორც საფუძვლების განსაზღვრებიდან ჩანს, ორგანიზატორად უნდა ჩაითვალოს ის პირი, ვინც დანაშაულის ჩადენას უშუალო ხელმძღვანელობას უწევს. მაგრამ, ამავე დროს, საფუძვლების მიხედვით ეს მომენტი აუცილებელი არ არის ორგანიზატორის საქმიანობისათვის. ამაზე მიუთითებს კანონის სიტყვები „ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადე-

<sup>1</sup> იქვე.

ნას“. ორგანიზატორი შეიძლება უშუალოდ არც ესწრებოდეს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ჩაატაროს დიდი ორგანიზაციული საქმიანობა მის ჩასადენად: შეიმუშავოს დანაშაულის ან დანაშაულთა ჩადენის გეგმა, ჩააბას თანამონაწილენი, გაანაწილოს მათ შორის შესრულების გეგმა, მისცეს თანამონაწილეებს დავალებანი და მითითებანი. ასეთი პირი, რომელიც წარმართავს მთელ დანაშაულებრივ საქმიანობას, მისი ინიციატორი და სულის ჩამდგმელია, არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე ის, ვინც უშუალოდ დანაშაულის შესრულების ადგილას თავზე ადგია თანამონაწილეებს და ხელმძღვანელობს მათ.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ორგანიზატორის საქმიანობა შეიძლება მეტად მრავალფეროვანი იყოს. ამ საქმიანობაში შედის ზოგჯერ ისეთი მოქმედებებიც, რომელთაც წამქეზებლები და დამხმარენი ასრულებენ. როგორც მართებულად მიუთითებენ გრიშაევი და კრიგერი, „შეუძლებელია დავადგინოთ რაიმე მინიმუმი კონკრეტული ნიშნებისა, რაც აუცილებელია, რათა ესა თუ ის პირი ცნობილ იქნეს ორგანიზატორად. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტი უნდა იყოს ის, რომ პირი არის დანაშაულის ხელმძღვანელი, ე.ი. რომ იგი აერთიანებს სხვა თანამონაწილეთა ძალებს, წარმართავს მათ ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობას დანაშაულის მომზადების ან უშუალო შესრულების სტადიაში“<sup>1</sup>. მაგრამ ამავე დროს ორგანიზატორთა საქმიანობა თავისი ინტენსივობით და აქტუალობით არ შეიძლება გათანაბრდეს სხვა თანამონაწილეთა საქმიანობასთან, არამედ გაცილებით აღემატება მას. ამ მომენტზე მითითებული იყო სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლის 8 იანვრის დადგენილებაში: „დანაშაულის ორგანიზატორის როლი სცილდება თანამონაწილეობას იმ ფორმებში, რაც მითითებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მუხლებში, ე.ი. წაქეზებისა და დახმარების ფორმებში ვინაიდან ორგანიზატორის მოქმედება არ ამოიწურება მარტო წაქეზებით ან დამხმარე მოქმედების ჩადენით, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას ან მის დაფარვას, არამედ გამოიხატება თვით დანაშაულის ორგანიზაციაში“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> პ. გრიშაევი, გ. კრიგერი, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

<sup>2</sup> „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда Союза ССР 1942 г.“, М., 1947, стр. 32.

ორგანიზატორის პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია იმ ობიექტური და სუბიექტური პირობების არსებობა, რაც საერთოდ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს. მაშასადამე, ორგანიზატორის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან. მიზეზობრივი კავშირის დადგენა რაიმე სპეციალურ საკითხებს არ წარმოშობს ორგანიზატორის მიმართ. რაც შეეხება ბრალის საკითხს, მასზე საჭიროა მოკლედ შეეჩერდეთ.

ჩვენს სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ორგანიზატორმა შეიძლება პასუხი აგოს ისეთი დანაშაულისთვისაც, რომლის ჩადენაში იგი არათუ მონაწილეობას არ იღებდა, არამედ მის შესახებ არც იცოდა. ასე, მაგალითად, საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ორგანიზატორის პასუხისმგებლობისათვის „სულაც არ არის საჭირო ორგანიზატორთა წინასწარი შეთანხმება ორგანიზაციის ყველა წევრთან და ორგანიზატორის მიერ იმის ცოდნა, რომ მოცემული პირი ეკუთვნის დანაშაულებრივ გაერთიანებას, საჭირო არ არის აგრეთვე მის მიერ კონკრეტულად მომზადებული ან ჩადენილი დანაშაულის ცოდნა“<sup>1</sup>.

სწორია ის, რომ ორგანიზატორი შეიძლება არ იცნობდეს ორგანიზაციის ამა თუ იმ წევრს და არაფერი იცოდეს მისი საქმიანობის შესახებ. მაგრამ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაშვებულ იქნეს ორგანიზატორის პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ ამ კონკრეტული დანაშაულის მიმართ ორგანიზატორს არა აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახი ბრალის სახით. ორგანიზატორის პასუხისმგებლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს გამონაკლისს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან და ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებულ წესს ემყარებოდეს.

ამავე დროს არ უნდა დაევიწყოთ შემდეგი: ორგანიზატორი იმუშავებს დანაშაულის შესრულების საერთო გეგმას, მაგრამ ამ გეგმის საბოლოო „დაზუსტება“ დანაშაულის ადგილზე ხდება. თუ ორგანიზატორს წინასწარ გათვალისწინებულ აქვს, რომ დანაშაულის ადგილზე

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, М., 1948, стр. 424; Советское уголовное право, Часть общая, М., 1952, стр. 307.

ამსრულებლებს შეიძლება მოუხდეთ გეგმიდან გადახვევა და უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, მაშინ ორგანიზატორი პასუხს უნდა აგებდეს ამ უფრო მძიმე დანაშაულისთვისაც, ვინაიდან ასეთი დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობა მას გათვალისწინებული ჰქონდა. მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზატორმა გადასცა უშუალო შემსრულებლებს დანაშაულის ჩასადენად იარაღი, თანაც უბრძანა ეს-არაგებლათ ამ იარაღით უკიდურეს შემთხვევაში, თუ ეს საჭირო იქნებოდა დაზარალებულისაგან თავდაცვისათვის. ამავე დროს ორგანიზატორი ითვალისწინებდა, რომ ამსრულებლებმა იარაღი შეიძლება გამოიყენონ არა მარტო თავდაცვისათვის, არამედ აგრეთვე ნივთის გატაცების გასაადვილებლად. როგორც მართებულად აღნიშნავს მ. კოვალიოვი, ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორმა პასუხი უნდა აგოს მისი დარიგების შეუსრულებლობის შემთხვევაში. „... ყველას, ვისაც სურს რაიმე შედეგს სხვისი ხელით მიაღწიოს, კარგად ესმის, რომ ფიზიკურმა ამსრულებელმა შეიძლება ისეთი რამ გააკეთოს, რასაც თვით იგი არ გააკეთებდა, საკუთარი ხელით რომ ჩაედინა დანაშაული“<sup>1</sup>.

ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ<sup>2</sup>. ცხადია, უშუალოდ იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც აწყობს, რომლის გეგმასაც ადგენს ორგანიზატორი, მას ყოველთვის პირდაპირი განზრახვა ექნება.

ორგანიზატორი ერთ-ერთი უაღრესად საშიში ფიგურაა თანამონაწილეთა შორის. იგი განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს მაშინაც კი, როდესაც უშუალო მონაწილეობას არ იღებს დანაშაულის ჩადენაში. პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ორგანიზატორი, რომელიც მთელი დანაშაულებრივი ორგანიზაციის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელია, გარეგნულად ისეთ მცირე როლს ასრულებს, რომ მართლმსაჯულების ორგანოებისათვის დიდხანს გამოუც-

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

<sup>2</sup> ამ აზრს არ ეთანხმება მ. კოვალიოვი. მისი აზრით, ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით (მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 129).



ნობი რჩება. დანაშაულის უშუალო ამსრულებლები, როდესაც ისინი ამოკყოფენ თავს საბრალდებო სკამზე, ცდილობენ დაფარონ ორგანიზატორის საქმიანობა ან იმიტომ, რომ ეშინიათ მისი, ან იმიტომ, რომ მომავალშიც აპირებენ მისი ხელმძღვანელობით „შეშაობას“. განსაკუთრებით დიდია ორგანიზატორის როლი ქონებრივ დანაშაულთა ჩადენაში. იგი აკავშირებს დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს, გვემავს დანაშაულებრივ ქმედობათა ჩადენას, მონაწილეობას იღებს ცალკეული დანაშაულის გეგმის შედგენაში, ანაწილებს როლებს ორგანიზაციის წევრთა შორის, ანაწილებს ნადაულს დამნაშავეთა შორის, თვითონ კი უფრო ხშირად ჩრდილში რჩება და მოხერხებულად უძვრება ხელიდან მართლმსაჯულებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ორგანიზატორი პროფესიულ დამნაშავეს წარმოადგენს. ამიტომ დანაშაულის ორგანიზატორის გამოვლინება და მისთვის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანაა.

როგორ უნდა მოხდეს ორგანიზატორის მოქმედების კვალიფიკაცია? საჭიროა თუ არა მისი ქმედობის კვალიფიკაციის დროს მითითება მუხლზე თანამონაწილეობის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდექსის მე-19 მუხლი), თუ ამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაციის მსგავსად, საკმარისია მითითება მხოლოდ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლზე?

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თავისთავად დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნისა და მასში მონაწილეობისათვის. ასეთია, მაგალითად, ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა (მუხ. 73-ე). შეიარაღებული ბანდების ორგანიზაცია (მუხ. 78-ე). ასეთ შემთხვევებში დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას თავისთავად ორგანიზატორული საქმიანობა წარმოადგენს. ამიტომ ცხადია, ვინც ამ საქმიანობაში მონაწილეობს, იგი უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას და განიხილება როგორც ამსრულებელი, რომლის ქმედობის კვალიფიკაცია მე-19 მუხლზე მითითებას არ საჭიროებს.

იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზატორული საქმიანობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს არ წარმოადგენს, მაგრამ ორგანიზატორმა,

ორგანიზაციულ საქმიანობასთან ერთად უშუალოდ განახორციელა ამსრულებლის მოქმედება, ორგანიზატორი განიხილება როგორც დანაშაულის ამსრულებელი, მე-19 მუხლზე მიუთითებლად. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 8 მაისის დადგენილებით დააკვალიფიცირა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით (არასრულწლოვანთა ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში) და 206-ე მუხლის მე-2 ნაწილით (კვალიფიციური ხულიგნობა), მე-17 მუხლის გარეშე, გუროვის და ზაიცევის მოქმედება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ ხულიგურ მოქმედებას და ამავე დროს თვითონაც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ამ დანაშაულთა შემადგენლობის შესრულებაში<sup>1</sup>.

როგორ უნდა მოხდეს ორგანიზატორის მოქმედების კვალიფიკაცია, როცა ორგანიზატორი წმინდა ორგანიზაციულ საქმიანობას ეწევა, ე.ი. ქმნის დანაშაულებრივ ორგანიზაციას, შეიმუშავებს მისი საქმიანობის გეგმას, ხელმძღვანელობს დანაშაულებრივ ქმედობებს და ა.შ.? მ. კოვალიოვის აზრით, ამ შემთხვევაშიც ორგანიზატორის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაულის ასრულება. თავის აზრს მ. კოვალიოვი იმით ასაბუთებს, რომ ორგანიზატორის საქმიანობა უახლოვდება შუალობითი ამსრულებლის საქმიანობას. „შუალობითი ამსრულებლის მსგავსად, – წერს მ. კოვალიოვი, – ორგანიზატორი ჩადის დანაშაულს, იყენებს რა დანაშაულის იარაღად სხვა პირთა ქმედობას, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ეს მისი მორჩილი პირები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით ორგანიზატორთან ერთად, მაშინ როდესაც წმინდა შუალობითი ამსრულებლობის დროს სისხლის სამართლის წესით ჩვეულებრივად პასუხს აგებს მხოლოდ შუალობითი ამსრულებელი. აქ ადგილი აქვს თავისებურ გადასვლას რაოდენობიდან ხარისხში. სუბიექტის დანაშაულებრივი აქტიურობა გადაიზრდება ახალ ხარისხში, დანაშაულის ასრულების მოქმედებაში“<sup>2</sup>.

მ. კოვალიოვის ასეთი მსჯელობა დიდად მახვილგონიერი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეთა შორის ორგანიზატორის ფიგურას სპეციალურად რომ არ ითვალისწინებდეს ანდა იმ შემთხვევაში ჩვენი კანონმდებლობა

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда РСФСР“, 1963, №8, стр. 5-6.

<sup>2</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას რომ ამსუბუქებდეს ამსრულებლის პასუხისმგებლობასთან შედარებით. მაგრამ რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი სპეციალურად ითვალისწინებს ორგანიზატორს, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთ სახეს, ბუნებრივია, რომ მისი მოქმედების კვალიფიკაციის დროს მითითებული იყოს მე-19 მუხლის სწორედ იმ ნაწილზე, რომელიც ორგანიზატორის ცნებას განსაზღვრავს. ასეთი მითითება სავსებით მიზანშეწონილია იმ მხრითაც, რომ ვინაიდან ორგანიზატორი, როგორც წესი, განსაკუთრებით საზოგადოებრივად საშიში ფიგურაა სხვა თანამონაწილეთა შორის, მოსამართლეს ამ მომენტს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს.

შუალობით ამსრულებელთან ორგანიზატორის გათანაბრება იმ მხრითაც არ არის სასურველი, რომ ამით სათანადოდ არ ფასდება უშუალო ამსრულებლის როლი. ვერ დავეთანხმებით მ. კოვალიოვს იმაში, რომ „ამსრულებელი ამგვარად გადაიქცევა თითქოს იარაღად, რომელსაც მეორე პირი გამოიყენებს, რის გამოც ეს პირი დანაშაულის მთავარ ამსრულებლად ხდება“<sup>1</sup>. წინააღმდეგ შუალობით ამსრულებლობისა, როდესაც დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი მართლაც ბრმა იარაღია სხვის ხელში, ორგანიზატორის საქმიანობა სულაც არ გადააქცევს დანაშაულის პასუხისმგებელ შემსრულებლებს ასეთ ბრმა იარაღად და არც გამოდგება საფუძვლად მათი პასუხისმგებლობის შემცირებისათვის. ამასთან ერთად, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ „თვითონ ორგანიზატორები უაღრესად მკაცრი დავაობის ღირსნი არიან“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკა აკვალიფიცირებს ორგანიზატორის მოქმედებას არა უშუალოდ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით, არამედ ზოგადი ნაწილიდან თანამონაწილეობის მუხლის მოშველიებით. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაში მითითებული იყო, რომ ზლატინმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ხულიგნური მოტივით მოქალაქე ბარსენიევზე თავდასხმას, პასუხი უნდა აგოს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლისა და 206-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „Дюллетень Верховного Суда РСФСР“, 1963, №4, стр. 8-9.

## § 4. წამქეზებელი

თანამონაწილეთა შორის შესამე, მეტად მნიშვნელოვან, ფიგურას წარმოადგენს წამქეზებელი, ე.ი. ის პირი, ვინც აღუძრავს სხვა პირს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები განსაზღვრავენ წამქეზებელს როგორც იმ პირს, „ვინც დანაშაულის ჩასადენად სხვას დაიყოლიებს“. ეს განსაზღვრება არ განსხვავდება წამქეზებლის ცნების იმ განსაზღვრებისაგან, რომლებიც უფრო ადრინდელ საკანონმდებლო აქტებში იყო მოცემული.

ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ გამოიყოფს წამქეზებელს როგორც თანამონაწილეს, არამედ აერთიანებს მას ამსრულებელთან. ძველი ბურჟუაზიული კოდექსებიდან ასე იქცეოდა ბელგიის 1867 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც თანამსრულებლებს ორ კატეგორიად ყოფდა: მატერიალურ თანამსრულებლად და მორალურ თანამსრულებლად (წამქეზებლად)<sup>1</sup>.

ამავე შეხედულებას იზიარებს ჩილეს 1874 წლის კოდექსი, რომელიც ამსრულებლად თვლის იმასაც, ვინც „უშუალოდ აიძულებს ან აგულიანებს სხვას ჩაიდინოს დანაშაული“<sup>2</sup>.

ასეთი შეხედულება სავსებით მართებულიად უარყოფილია ახალი დროის სისხლის სამართლის კოდექსების მიერ. იგი ვერ პოულობს მიმდევრებს ვერც თეორიაში და ვერც პრაქტიკაში. მართლაც: ამსრულებელი ის პირია, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის შემაღენლობის განხორციელებაში. წამქეზებელი კი დანაშაულის მონაწილე ხდება არა იმით, რომ მონაწილეობა მიიღო დანაშაულის უშუალო შესრულებაში, არამედ იმით, რომ აღუძრა სხვა პირს დანაშაულის ჩადენის განზრახვა და ამ მეორე პირის მეშვეობით განახორციელა თავისი ჩანაფიქრი. ამიტომ მისი მონაწილეობა დანაშაულში თვისობრივად სხვა ხასიათის არის, ვიდრე ამსრულებლისა. ეს განპირობებულია წამქეზებლის მოქმედების მიზეზობრივი კავშირის თავისებურებით. წამქეზებლის მოქმედების მიზეზობრიობა ფსიქიკურად

<sup>1</sup> იხ. A. Prins, Science penale et droit positif, Bruxelles, 1899, p. 337.

<sup>2</sup> Современное зарубежное уголовное право, т. III, М., 1961, стр. 67.

გაშუალებული მიზეზობრიობაა. წამქეზებლის ზემოქმედებამ ამსრულებლის ცნობიერებაში უნდა გაიაროს და მისი მოქმედების მოტივი გახდეს იმისათვის, რომ შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად გადაიქცეს, პირიქით ამსრულებელი „შეუცნობელ ბუნებრივ მიზეზობრიობას“ იყენებს და არა სხვა ადამიანის შეგნებულ და თავისუფალ მოქმედებას.

თუ უშუალო ამსრულებლისაგან წამქეზებელი იმით განსხვავდება, რომ პირველი საკუთარი ხელით ასრულებს დანაშაულის შეპაღვენლობას, ხოლო მეორე – სხვა ადამიანის მეშვეობით, შუალობითი ამსრულებლისაგან წამქეზებელი იმით განსხვავდება, რომ წამქეზებლის მიერ შეგულიანებული პირი შეგნებულად მოქმედებს და თვით არის თავისი მოქმედების ბატონ-პატრონი, ხოლო „ცოცხალი იარაღი“, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი იყენებს, მართლაც, რომ „ბრმა იარაღია“; მისი მოქმედება ზოგჯერ ფიზიკურ ძალთა მოქმედებას შეიძლება გაუთანაბრდეს; ამ მოქმედების ბატონ-პატრონი „იარაღი“ კი არ არის, არამედ „შემაგულიანებელია“, რომელიც სწორედ ამიტომ თვით ითვლება ამსრულებლად და პასუხისმგებელ პირად.

რამდენადაც უშუალო ამსრულებელი, რომელსაც წამქეზებელმა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება აღუძრა, შეგნებულად და თავისუფლად მოქმედებს, ამდენად იგი მთლიანად პასუხისმგებელია იმისათვის, რაც ჩაიდინა. იქ, სადაც ასეთი პასუხისმგებელი ამსრულებელი არ არის, არ შეიძლება საქმე გვექონდეს წამქეზებასთან როგორც თანამონაწილეობის ფორმასთან, მაშასადამე წამქეზებლის პასუხისმგებლობა აქცესორულ ხასიათს ატარებს. არ შეიძლება ვილაპარაკოთ წამქეზებლობაზე იქ, სადაც არა გვყავს თავისი ქმედობისათვის პასუხისმგებელი ამსრულებელი.

წამქეზების ობიექტური მხარე იმაში გამოიხატება, რომ იგი აღძრავს ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. მაგრამ როდის შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივი გადაწყვეტილება სხვა პირის ზეგავლენით იყო მიღებული? სხვა ადამიანზე ზემოქმედება შეიძლება სხვადასხვა ინტენსივობით ხდებოდეს, ამ ზემოქმედებას სხვადასხვა პერიოდში შეიძლება ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, სუბიექტი, შეიძლება იყოს მთელი დანაშაულის ინიციატორი, ე.ი. მან

შეიძლება ჩაუნერგოს დანაშაულის ჩადენის იდეა სხვა პირს, რომელსაც ამ ფსიქიკურ ზემოქმედებამდე სულაც არ უფიქრია დანაშაულის ჩადენაზე; მან შეიძლება კვლავ აღუძრას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება პირს, რომელსაც ჰქონდა ამის განზრახვა, მაგრამ შემდეგ თვით უარყო იგი; დაბოლოს, მან შეიძლება განამტკიცოს ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის განზრახვა, რომელიც მისგან დამოუკიდებლად დაებადა ამსრულებელს. იბადება კითხვა: ყველა ამ შემთხვევაში წაქეზებასთან გვექნება საქმე, თუ ფსიქიკური ზემოქმედების ზოგიერთი ფორმა ინტელექტუალურ დახმარებად უნდა ჩაითვალოს? და თუ საჭიროა წამქეზებლისა და ფსიქიკური დამხმარის განსხვავება, რაში უნდა ვეძებოთ ეს განმასხვავებელი ნიშანი?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებულა, რომ ფსიქიკური ზემოქმედების ყველა ფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს წაქეზებად. არსებობს ფსიქიკური ზემოქმედების სახეები, რომელნიც თუმცა არ აღძრავენ ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის განზრახვას, მაგრამ განამტკიცებენ მას. ასეთი ზემოქმედება ცნობილია ლიტერატურაში როგორც ფსიქიკური დახმარება. ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი წაქეზებისა და ფსიქიკური დახმარების ცნებათა გამიჯვნის შესახებ.

ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით წაქეზება და ფსიქიკური დახმარება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ ფორმალური ნიშნის მიხედვით, თუ რა მომენტში ჰქონდა ადგილი ფსიქიკურ ზემოქმედებას. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის ბირკმაიერის აზრით, „განსხვავება, წაქეზებასა და ინტელექტუალურ დახმარებას შორის, გერმანიის პოზიტიური სამართლის მიხედვით, უნდა ჩამოყალიბდეს ამგვარად: წაქეზება არის ზემოქმედება სხვის ნებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო ინტელექტუალური დახმარება — გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“<sup>1</sup>.

არსებობს მეორე შეხედულებაც, რომელიც ამტკიცებს, რომ არა ყოველი ინტელექტუალური ზემოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გადაწყვეტილების მიღებამდე, აღწევს ისეთ ინტენსივობას, რომ აღიარებულ იქნეს წაქეზებად, და პირიქით, არა ყოველი ზემოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უნდა ჩაითვალოს ფსიქიკურ დახმარებად.

<sup>1</sup> იხ. K. Birkmeyer, Die Lehre von der Teilnahme am Verbrechen und die Rechtssprechung des Reichsgerichts, 1890, S. 121.

ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის მ. ლიპმანის აზრით, წამქეზებლად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, ვინც გადაწყვეტი პირობა შექმნა ამსრულებლის გადაწყვეტილებისათვის<sup>1</sup>.

დაბოლოს, ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში არსებობს ისეთი შეხედულება, რომელსაც შეუძლებლად მიაჩნია რაიმე ზღვარის დადება წამქეზებელსა და ფსიქიკურ დამხმარეს შორის და რომელიც ამიტომ მოითხოვს მათ გაერთიანებას ინტელექტუალური თანამონაწილეობის ერთ სახედ<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, წამქეზებლისა და ფსიქიკური დამხმარის მოქმედებანი ერთმანეთისაგან ფსიქიკური ზემოქმედების სხვადასხვა ინტენსივობით განსხვავდებიან. წამქეზებელი ქმნის გადაწყვეტ მოტივს დანაშაულებრივი გადაწყვეტილების წარმოშობისათვის. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დანაშაულის ჩადენის იდეის შემქმნელი აუცილებლად ყოველთვის წამქეზებელია და რომ მისი ზემოქმედება მიმართულია ყოველთვის ინდიფერენტულად განწყობილ პირზე, ან ისეთ პირზე, ვინც თავდაპირველად წინააღმდეგობასაც კი უწევს ამ ზემოქმედებას. შეიძლება დანაშაულის ჩადენის სურვილი ამსრულებელს უფრო ადრე დაებადოს, მაგრამ მას საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდეს. ასეთი პირიც შეიძლება გამოდგეს წამქეზების ობიექტად, თუ წამქეზებელმა შეუქმნა მას დანაშაულის ჩადენის ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადაწყვეტილების მიღებისათვის. ფსიქიკური დამხმარის როლი ამ მხრივ ნაკლებად მნიშვნელოვანია. იგი გამოიხატება იმაში, რომ ფსიქიკური დამხმარე განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო ეს გადაწყვეტილება ამსრულებელმა დამოუკიდებლად მიიღო. ფსიქიკური დამხმარე აძლიერებს იმ მოტივებს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, და ასუსტებს იმ მოტივებს, რომლებიც მას აფერხებენ.

რა საშუალებებით შეიძლება აღძრას წამქეზებელმა სხვაში დანაშაულის ჩადენის განზრახვა? ძველი ბურჟუაზიული დოქტრინა, ისევე როგორც კანონმდებლობა, წამქეზებლობად თვლიდა არა სხვა პირის

<sup>1</sup> იხ. M. Liepmann, Einleitung in das Strafrecht, Berlin, 1900, S. 76.

<sup>2</sup> იხ. R. Hergt, Die Lehre von der Teilnahme am Verbrechen, Heidelberg, 1909, S. 98.

ყოველგვარ დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად, არამედ მხოლოდ დაყოლიებას განსაზღვრული საშუალებებით. ზოგიერთ კანონმდებლობაში ეს წესი დღესაც არის შემონახული. ასე, მაგალითად, საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, წაქეზების საშუალებაა — საჩუქარი, დაპირება, მუქარა, ზეგავლენის ან ხელისუფლების გამოყენება, დანაშაულებრივი ხრიკი ან მზაკვრობა (მუხ. მე-60). წაქეზებად ამიტომ არ ჩაითვლება ფსიქიკური ზემოქმედება დამნაშავეზე რაიმე სხვა საშუალებით. გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსში თუმცა მითითებულია წაქეზების საშუალებებზე (საჩუქარი ან დაპირება, მუქარა, ზეგავლენის ბოროტად გამოყენება, ძალადობის ან შეცდომის ბოროტგანზრახულად გამოყენება ან მისთვის ხელისშეწყობა (§ 48, აბზ. 1-ლი), მაგრამ კანონი უმატებს, რომ წაქეზება შეიძლება აგრეთვე „რაიმე სხვა საშუალებით“. მასასადამე, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში წამქეზებლობის ფორმების ჩამოთვლას აქვს არა ამომწურავი, არამედ სანიმუშო ხასიათი<sup>1</sup>. უფრო გვიანდელი ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობანი უკვე აღარ შეიცავენ წაქეზების საშუალებათა ამომწურავ ჩამოთვლას.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ მიუთითებს იმ ხერხებზე, რომელთა მეშვეობითაც წამქეზებელმა შეიძლება აღძრას მეორე პირში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. ამიტომ წაქეზების საშუალება შეიძლება იყოს ყოველგვარი ფსიქიკური ზემოქმედება, რომელიც გამოსადეგია იმისათვის, რომ დაიყოლიოს დანაშაულის ჩასადენად ისეთი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არა აქვს.

კერძოდ, წაქეზების საშუალება შეიძლება იყოს მუქარა, მოსყიდვა, თხოვნა, მოწოდება, დარწმუნება, საშსახურებრივი მდგომარეობის ან ავტორიტეტის გამოყენება, საჩუქარი, დაპირება და სხვა მისთ. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნულ საშუალებათა ხმარება ყველა პირობებში არ

---

<sup>1</sup> თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები ილაშქრებენ ასეთი სანიმუშო ჩამოთვლის წინააღმდეგაც კი. მაგალითად, მაურანის აზრით, ეს ჩამოთვლა იმ მხრივ არის უმართებულო, რომ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს აღნიშნული ხერხების გამოყენება აუცილებლად ასაბუთებს წამქეზებლობას, მაშინ, როდესაც მრავალ შემთხვევაში ამ საშუალებების გამოყენება შეიძლება ასაბუთებდეს არა წამქეზებლობას, არამედ შუალობით ამსრულებლობას (მაურანი, დასახ. ნაშრ., გვ. 548).



იქნება დანაშაულის წაქეზება. ეს შეეხება პირველ ყოვლისა მუქარას. თუ მუქარა ისეთ პირობებშია გამოყენებული, რომ შეიძლება დაისვას საკითხი უკიდურესი აუცილებლობის შესახებ, წაქეზება გამორიცხულია. ზოგჯერ მუქარა შეიძლება ისეთ ინტენსივობას აღწევდეს, რომ მან გამორიცხოს იმ პირის ნებისყოფის თავისუფლება, ვისაც აიძულებენ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ წაქეზებული მოქმედება როგორც დამმუქრებელის ნებისყოფის იარაღი, რომელიც სრულიად არ აგებს პასუხს, ხოლო დამმუქრებელი პასუხს აგებს არა როგორც წამქეზებელი, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი. ამგვარად მუქარა, როგორც წაქეზების საშუალება, არ უნდა გამორიცხავდეს ნებისყოფის თავისუფლებას და არ უნდა ჰქმნიდეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას. თავისთავად ცხადია, წაქეზება გამორიცხულია ფიზიკური ძალადობის დროს (*vis absoluta*), ვინაიდან ფიზიკური ძალადობა საერთოდ გამორიცხავს ნებელობითი მოქმედების არსებობას.

ზოგიერთი კანონმდებლობის, (მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის დებულების) მიხედვით წაქეზების საშუალებას შეიძლება წარმოადგენდეს სხვა პირის შეცდომაში შეყვანა. ჩვენი აზრით, თუ შეცდომა, რომელიც წამქეზებელმა გამოიწვია წაქეზებულში, დანაშაულის შემადგენლობას შეეხება, ასეთ შემთხვევაში წაქეზებაზე ლაპარაკი არ შეიძლება: უშუალოდ მოქმედი პირი განუზრახველად მოქმედებს და, მასასადამე, თანამონაწილეობას აქ ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს. ასეთმა შეცდომამ შეიძლება დაასაბუთოს მარტოოდენ შუალობითი ბრალეულობა. შეცდომაში შეყვანა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს წაქეზებად, როდესაც იგი დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს კი არ შეეხება, არამედ დანაშაულის მოტივებს, მის საბოლოო მიზნებს, ქმედობიდან გამორჩენის მილებას და ა.შ.<sup>1</sup>

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება წაქეზება შეგონების სახით. არსებობდა ეს იგივე თხოვნაა, მაგრამ მრავალგზის გამეორებული. „იგი წარმოადგენს ამსრულებლის სისტემატურ ფსიქოლოგიურ დამუშავებას იმ მიზნით, რომ უკანასკნელს აღეძრას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და მან დაძლიოს დანაშაულის კონტრმოტივები“<sup>2</sup>.

უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. 2, გვ. 84-85.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 79-80.

ასეთ შემთხვევას: ცეპა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩასციებოდა თავის ნათესავ ლეშჩენკოს, რათა ამ უკანასკნელს მოეკლა მისი საყვარელი ნ., რომელიც ცეპას ბინაში ცხოვრობდა და სისტემატურად აბუჩად იგდებდა მას. ლეშჩენკო დიდხანს უწევდა ცეპას წინააღმდეგობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მას შემდეგ, რაც ცეპა მას არაყით გაუმასპინძლდა, ლეშჩენკომ თანხმობა განაცხადა და სანადირო თოფით მოჰკლა ნ.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში ცეპამ წაქეზების ხერხად შეგონება აირჩია და ამით დაიყოლია ლეშჩენკო.

წაქეზება შეიძლება უფროსის ბრძანებაშიც გამოიხატებოდეს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, უფროსის აშკარა დანაშაულებრივი ბრძანება, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, არ ითვლება საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად, ამიტომ ასეთი ბრძანების გამცემი პირი განხილულ უნდა იქნეს როგორც წამქეზებელი<sup>2</sup>.

წაქეზება შეიძლება ზეპირად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით, ჟესტიით, მიმიკით და ა.შ.

წაქეზება, ისე როგორც თანამონაწილეობის ყველა სხვა სახე, შეიძლება მხოლოდ განზრახ. ამიტომ, როგორც მართებულად მიუთითებდა ჯერ კიდევ რევოლუციამდელი კრიმინალისტი ტაგანცევი, „თუ ვინმე გაუზიარებს სხვებს რაიმე არტისტული თაღლითობის გეგმას, მაგრამ განზრახვა არა აქვს აღძრას ამ მოთხრობით სხვა პირში დანაშაულის ჩადენის სურვილი, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს წამქეზებლად, თუნდაც ვინმემ დამსწრეთაგან ისარგებლოს ამ გეგმით და განახორციელოს იგი“<sup>3</sup>.

გაუფრთხილებელ წაქეზებას გადაჭრით უარყოფს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა, ამ მხრივ საინტერესოა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება გორდეევის საქმეზე. გორდეევი პასუხისმგებამი იყო მიცემული როგორც ყაჩაღური თავდასხმის წამქეზებელი. უმაღლეს სასამართლოს

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда РСФСР“, 1961, №2, стр. 9-10.

<sup>2</sup> მ. კოვალიოვი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, უკანონო ბრძანების გამცემ უფროსს თვლის არა წამქეზებლად. არამედ შუალობით ამსრულებლად, რაც ეწინააღმდეგება შუალობითი ამსრულებლობის ბუნებას.

<sup>3</sup> И. С. Таганцев, Лекции, 1902, стр. 765.

კოლეგიამ მიუთითა, რომ თუმცა გორდევემა თავისი მონაყოლით სახლის პატრონის ქონების შესახებ აღუძრა ზახაროვს და სხვებს გადარცვის განზრახვა, მაგრამ თვით გორდევეს, რომელიც ბინის პატრონის შეძლებაზე ლაპარაკობდა, არ მიუცია მათთვის დანაშაულის ჩადენის წინადადება, მას არც ჰქონდა მიზანი აღეძრა მათში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და თვით მსმენლებსაც არ აღუქამთ გორდევეის ნაამბობი როგორც წაქეზება დანაშაულისაკენ<sup>1</sup>. ამიტომ კოლეგიამ უარყო გორდევეის თანამონაწილეობა ყაჩაღურ თავდასხმაში.

წაქეზება არ გვექნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვინმე საერთოდ ამორალურ ზემოქმედებას ახდენს სხვა პირზე, მაგალითად, უნერგავს არასრულწლოვანს მიდრეკილებას მუქთახორა ცხოვრებისაკენ, აჩვევს მას მათხოვრობას, პროსტიტუციას და სხვ., რის შედეგადაც არასრულწლოვანი დაადგება დანაშაულის გზას. ასეთმა პირმა შეიძლება პასუხი აგოს არა როგორც იმ დანაშაულის წამქეზებელმა, რომელიც მისი განზრახვის გარეშე არასრულწლოვანმა ჩაიდინა, არამედ განსაკუთრებული დანაშაულისათვის, რომელიც ისჯება *su generis* კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანის დაყოლიება პროსტიტუციის, მათხოვრობის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენისათვის ისჯება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.

წაქეზება გულისხმობს, რომ ვინმე აღუძრავს განსაზღვრულ პირს ან პირებს განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას.

მასასადამე, წამქეზებლობა აუცილებლად გულისხმობს განსაზღვრულ ადრესატს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ წამქეზებელი პირადად უნდა იცნობდეს წაქეზებულს ან მისი წაქეზება უთუოდ მიმართული უნდა იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული პიროვნების მიმართ. საკმარისია, თუ წამქეზებელი მიმართავს განსაზღვრულ პირს ან პირებს, თუნდაც ზუსტად ინდივიდუალურად ისინი განსაზღვრული არც იყვნენ. მაგრამ, თუ წამქეზებელს თავისი ადრესატები სრულიად არა ჰყავს შემოფარგლული, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამოუკიდებელ დანაშაულს და არა წაქეზებას. ასე, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსი სჯის როგორც

<sup>1</sup> „Судебная практика“, 1950 г. №3, стр. 23-24.

დამოუკიდებელ დამნაშავეს იმ პირს, ვინც „საჯაროდ აქეზებს დანაშაულის ჩასადენად“ (მუხ. 165-ე).

გარდა ამისა, წაქეზება გულისხმობს ვინმეს დაყოლიებას კონკრეტულად განსაზღვრული ქმედობის ჩასადენად. რა თქმა უნდა, აუცილებელი არ არის, რომ წამქეზებელმა ზუსტად დააკვალიფიციროს ის ქმედობა, რომლის ჩადენაზეც იგი სხვას იყოლიებს. საკმარისია, თუ მასაც და წაქეზებულსაც შეგნებული აქვთ დანაშაულის შემადგენლობის ფაქტიური ნიშნები.

არც ის არის საჭირო, რომ წამქეზებელმა ზუსტად განსაზღვროს დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და მისი ყველა პირობა.

წაქეზება გულისხმობს განსაზღვრულ პირთა მოწოდებას განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენისაკენ, რითაც, იგი განსხვავდება აგიტაციისა და პროპაგანდისაგან, რომლებიც გათვალისწინებული არიან სისხლის სამართლის კოდექსში როგორც განსაკუთრებით მძიმე სახელმწიფო დანაშაული. სახელდობრ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლში მითითებულია, რომ ისჯება „აგიტაცია ან პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების ან ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით...“ როგორც საერთო წესი, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა არ გულისხმობენ განსაზღვრული დანაშაულისაკენ მოწოდებას, არ მოუთხოვენ დანაშაულის კონკრეტულ ობიექტზე და მიზნად არ ისახევენ აღძრან განსაზღვრულ პირში განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის განზრახვა. როგორც მიუთითებდა ა. ტრანინი, „პროპაგანდაც და აგიტაციაც, რომლებიც უნერგავენ იდეათ სისტემას ან ანვითარებენ მოქმედების გეგმას, მაშინაც კი, როდესაც მოუწოდებენ დანაშაულის ჩასადენად, მანც არ წარმოადგენენ მოწოდებას განსაზღვრული, კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ. პირიქით, წაქეზება ყოველთვის კონკრეტულია: არ შეიძლება წააქეზო დანაშაულის ჩასადენად „საერთოდ“, ხელყოფის რეალური ობიექტის მიუთითებლად“<sup>1</sup>.

წაქეზება შეიძლება არა მარტო პირდაპირი განზრახვით, არამედ ევენტუალური განზრახვითაც. ცხადია, როგორც წესი, წამქეზებელი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, ე.ი. ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედების

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 102.

ზეგავლენით სხვა პირს შეიძლება აღუქრას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და სურს დაიყოლიოს იგი დანაშაულის ჩასადენად. ამავ დროს გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც დამნაშავე პირდაპირ არ ისახავს ასეთ მიზანს, მაგრამ ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს დანაშაულის ჩადენა და გულგრილად ეკიდება ასეთ შედეგს. მაგალითად, ა. პიონტკოვსკის და ვ. მენშაგინს მოჰყავთ შემთხვევა, როდესაც მამაკაცი, რომელზედაც ქალი მატერიალურად არის დამოკიდებული, თავის მოპყრობით ისეთ მღვდმარეობაში აყენებს მას, რომ ქალი ჰკლავს თავის ბავშვს. თუ მამაკაცი ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, მან პასუხი უნდა აგოს როგორც წამქეზებელმა. ამიტომ, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 2 დეკემბრის დადგენილება პეტროსიანის საქმეზე იმ ნაწილში, სადაც იგი მიუთითებს, რომ „ამა თუ იმ პირის მოქმედება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წაქეზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებულია, რომ იგი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, დაიყოლიოს სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად“<sup>1</sup>.

ევენტუალური განზრახვით წამქეზებლობას კატეგორიულად უარყოფს მ. კოვალიოვი. „განა შეიძლება შეგნებულად და წინა გულზრახვით (преднамеренно) შეაგულიანო ვინმე დანაშაულის ჩასადენად და ამავ დროს არ გსურდეს, რომ დანაშაული ჩადენილ იქნეს! ასეთი რამის წარმოდგენა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ იმ პირს, ვინც დაჟინებით და ჯიუტად აჩეჩებს მეორეს საწამლავის სასიკვდილო დოზას და თანაც არწმუნებს, რომ ეს სასარგებლო წამალია, არ სურდეს თავისი მსხვერპლის სიკვდილი, მაგრამ შეგნებულად უშვებდეს ამას“<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, ასეთი შეხედულება სწორი არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, თუ ვინმე დაჟინებით და წინაგულზრახვით აგულიანებს სხვას დანაშაულის ჩასადენად, აქ ევენტუალური განზრახვა კი არ გვექნება, არამედ პირდაპირი განზრახვა. საერთოდ გულზრახვა (намерение) აუცილებლად პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მაგრამ განა წაქეზება

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1960, №3, стр. 36.

<sup>2</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 89.

უთუოდ დაჟინებითი თხოვნით და ჯიუტი დარწმუნებით უნდა ხდებოდეს! წაქეზების საშუალებანი ჩვენს კანონმდებლობაში ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობაც, როდესაც პირი ითვალისწინებს, რომ მის განსაზღვრულ საქციელს შეიძლება შედეგად მოჰყვეს დანაშაულის ჩადენა და შეგნებულად უშვებს ამას.

აგილოთ იგივე გორდევეის მაგალითი. თუ გორდევეს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მისი მსმენელი — ქურდი-რეციდივისტი აღიქვამს მის მონაყოლს, როგორც დანაშაულისაკენ შეგულიანებას, და უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ შეგულიანებული პირი დანაშაულს ჩაიდენს, იგი წამქეზებლად ჩაითვლება, თუნდაც ასეთი მიზანი მას არ ჰქონდეს. როგორც მართებულად აღნიშნავდა პროფ. ტაგანცევი, „თუ ვინმე, განსაზღვრული ქმედობის ჩადენისას ან განსაზღვრული ამბის მოყოლის დროს ითვალისწინებს, რომ მისი ნაამბობის შედეგად რომელიმე მსმენელმა შეიძლება მის მიერ აღწერილი დანაშაულებრივი ქმედობა ჩაიდინოს, და გულგრილად ეკიდება ამას, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია შევურაცხოთ მას სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული იმავე საფუძველით, რა საფუძველითაც უურაცხავთ ასეთი გულგრილობის შედეგს უშუალო ბრალეულს“<sup>1</sup>.

რა მოტივით და ვისი ინტერესისათვის მოქმედებდა წამქეზებელი, წამქეზებლის დასჯადობისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში სპეციალური განხილვის საგანს წარმოადგენს საკითხი, უნდა ჩაითვალოს თუ არა წამქეზებლად ის, ვინც შეაგულიანა სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად იმ განზრახვით, რომ ამის მეშვეობით წაქეზებული ემზილებინა და პასუხისგებაში მიეცა, ე.ი. საკითხი აგენტ-პროვოკატორის შესახებ (agent-provokateur).

საკითხი აგენტ-პროვოკატორის შესახებ რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში ფართო დისკუსიის საგანი გახდა განსაკუთრებით „ლოპუხინ-აზევის“ საქმესთან დაკავშირებით კრიმინალისტთა ერთი ნაწილი ასაბუთებდა, რომ აგენტი-პროვოკატორი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულის წამქეზებელი, ვინაიდან აგენტ-პროვოკატორს არა აქვს განზრახვა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. იგი დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ ამსრულებელმა მცდელობის სტადიას მიაღწიოს,

<sup>1</sup> И. С. Таганцев, Лекции, 1902, стр. 768.

რაც შესაძლებლობას მისცემს გამოავლინოს დამნაშავე და გადასცეს იგი მართლმსაჯულების ორგანოებს. ამ შეხედულებას იზიარებდა, მაგალითად, ნაბოკოვი თავის მოხსენებაში აგენტ-პროვოკატორის შესახებ, რომელიც მან 1909 წლის 7 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებული იურიდიული საზოგადოების სისხლის სამართლის განყოფილებაში გააკეთა<sup>1</sup>. ნაბოკოვი მიუთითებდა, რომ საერთოდ განზრახვა შეიძლება მიმართულ იქნეს მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. მცდელობის განზრახვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან დანაშაულის მცდელობის ელემენტს წარმოადგენს ის, რომ იგი ვერ დამთავრდა დანაშაულის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამიტომ შეუძლებელია წარმოვადგინოთ, რომ დანაშაულის განზრახვა მიმართული იყოს სწორედ მცდელობაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა, რომ ეს განზრახვა მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც დანაშაულის ნებაზე დამოკიდებული არ არის. თვით მცდელობის არსის გამო წაქეზება მცდელობისადმი იურიდიულად შეუძლებელია. ეს არის *contradictio in adjecto*<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> Труды юридического общества при императорском С.-Петербургском университете, том I, С. П., 1910, стр. 242 и др. ამავე დროს ნაბოკოვი არ უარყოფდა აგენტ-პროვოკატორის დასჯის შესაძლებლობას, თუ იგი მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით შედეგის მიმართ. გარდა ამისა, ნაბოკოვი გმობდა აგენტ-პროვოკატორის საქმიანობას, რომელშიც ხელადა არა მარტო „უდიდეს ზნობრივ ბოროტებას, არამედ აგრეთვე ინსტიტუტს, რომელიც სრულიად დაუშვებელია კულტურულ სამართლებრივ სახელმწიფოში“. პირიქით, მრავალი ბურჟუაზიული კრიმინალისტი, მაგალითად, კოლერი ამართლებს აგენტ-პროვოკატორის საქმიანობას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისათვის აუცილებელს.

<sup>2</sup> ასეთი შეხედულება გაბატონებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, მაურახი ამტკიცებს: "... ვითომდა „წაქეზების“ საქმიანობამ უკვე ობიექტურად არ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის დამთავრება მაშინაც კი, როდესაც ამსრულებელმა გარეგნულად შეასრულა დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი: თუ დეტექტივი აქეზებს ამსრულებელს და თანაც წინასწარ აფრთხილებს შესაკუთრეს, რომ მას გააქურდავენ, ამ ქმედობის დამთავრება, მიუხედავად საგნის „ნივთიერი“ გატაცებისა, შეუძლებელია... ამგვარად, მთავარმა დანაშავემ ყოველთვის შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ მცდელობა, რომლისთვისაც ის უშვებლად აგებს პასუხს, მაშინ, როდესაც აგენტ-პროვოკატორის პასუხისმგებლობა გაბატონებული სწავლების თანხმად უარყოფილ უნდა იქნეს, ვინაიდან მას არა აქვს განზრახვა მიიყვანოს ქმედობა მატერიალურ დამთავრებამდე" (მაურახი, დასახ. ნაშრ., გვ. 551). ამავე შეხედულებას იზიარებს შვეიცარიელი კრიმინალისტი ფენინგერი (იხ. Современное зарубежное уголовное право, т. II, М., 1958, стр. 355).

ამ შეხედულების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა რუსეთის რევოლუციამდელი კრიმინალისტიკის უმრავლესობა. ასე, მაგალითად, ნ. ტაგანცევის აზრით, მხოლოდ სურვილი, რომ წაქეზებული კანონიერ პასუხისმგებაში მიეცეს, ვერ გააუქმებს წამქეზებლის დასჯადობას არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც წამქეზებელი საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედებდა, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი თავისებურად გაგებული სამსახურებრივი მოვალებით ან საზოგადოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. ტაგანცევის აზრით, აგენტი-პროვოკატორი უნდა იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, როგორც წამქეზებელი, შემდეგი მოსაზრებების გამო: „იგი ითვალისწინებდა, რომ აქეზებდა სხვა პირს, მას შეგნებული ჰქონდა, რომ აქეზებდა დანაშაულის ჩასადენად, და წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მისი წაქეზების შედეგი იქნება ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იქნეს წაქეზებულის დანაშაულებრივი საქმიანობა. უფრო მეტიც, მას არა მარტო შეგნებული ჰქონდა უკანასკნელი პირობა, არამედ სურდა კიდევაც მისი შესრულება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გულგრილად ეკიდებოდა მას“<sup>1</sup>.

ნაბოკოვის შეხედულებათა მკაცრი კრიტიკით გამოვიდა პროფ. ლუბლინსკი, რომელიც მთლიანად მიემხრო ტაგანცევის აზრს აგენტ-პროვოკატორის დასჯადობის შესახებ. ლუბლინსკის აზრით, ნაბოკოვი ხელოვნურად თიშავს დამთავრებული ქმედობის განზრახვას და მცდელობის განზრახვას. სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ასეთი გათიშვა უცხოა, იგი იცნობს მხოლოდ „დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის განზრახვას“, ხოლო ეს ცნება ორივე სტადიას გულისხმობს. მცდელობის ჩადენის განზრახვა თავისი არსით ისეთივე დანაშაულებრივი განზრახვაა, როგორც დამთავრებული ქმედობის ჩადენის განზრახვა. „წამქეზებელი, რომელსაც სურს მცდელობა და რომელმაც იცის მის მიერ წაქეზებულ პირთა საქმიანობის შესახებ, სავსებით განასახიერებს თანამონაწილეობის სუბიექტურ შემადგენლობას და, მასმასადამე, უნდა დაისაჯოს...“<sup>2</sup>. „... პროვოკატორი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა, როდესაც აქეზებდა ვინმეს დანაშაულის ჩასადენად, თუნდაც ეს დანაშაული მხოლოდ მცდელობის სტადიამდე მი-

<sup>1</sup> Н. С. Таганцев, Лекции, 1902, стр. 770.

<sup>2</sup> Труды юридического общества, т.1, С.-П., 1910, стр. 272.



ვიდეს, უნდა დაისაჯოს მოქმედი კანონის ზუსტი აზრის შესაბამისად<sup>1</sup>. გარდა დოგმატიკური ხასიათის მოსაზრებებისა, ლიუბლინსკის მოკვაყ-და აგრეთვე პოლიტიკური მოსაზრებები აგენტ-პროვოკატორის დასჯა-დობის სასარგებლოდ. პროვოკატორობა, მისი აზრით, ხელოვნურად ჰქმნის დანაშაულს და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქე-თა უშიშროებისათვის. სახელმწიფოში, სადაც კანონიერება მეფობს, პროვოკაციას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია ყოველთვის გმობდა აგენტ-პროვოკატორის საქმიანობას და მოითხოვდა მის დასჯადობას. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, ისევე როგორც ცალკეული მოქალაქენი, ვალდებული არიან ყოველმხრივ ებრძოლონ დანაშაულს და ამხილონ დამნაშავენი. მაგრამ ეს ბრძოლა კანონიერ ფორმებში უნდა წარმოებ-დეს. საბჭოთა სახელმწიფოს თანამდებობის პირებისა და საბჭოთა მო-ქალაქეების ავტორიტეტს, კომუნისტური ზნეობის პრინციპებს არ შეე-საბამება დამნაშავეთა მხილება ისეთი საშუალებებით, რომლებიც თითონ ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას ცალკეული პირების მიერ. საბჭო-თა სამძებრო ორგანოების ხელშია დანაშაულთა გახსნის მეცნიერული ხერხები, ზემოქმედების ზნეობრივი საშუალებანი და მათ არ შეიძლება მიმართონ ამ მიზნის განსახორციელებლად ისეთ საზოგადოებრივად საშიშ და უკანონო მეთოდს, როგორიცაა ცალკეულ, თუნდაც ეჭვმიტა-ნილ პირთა პროვოკაცია დანაშაულის ჩასადენად<sup>2</sup>.

პროვოკაციულ საქმიანობას საზოგადოებრივად საშიშად თვლის საბ-ჭოთა სასამართლო პრაქტიკაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლე-სი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიის 1925 წლის 26 თებერვლის განჩინებაში შუბინას საქმეზე ნათქვამი იყო: „მოქალაქე კოზიუკოვა აქეზებდა შუბინას მოეკლა ზუევი, უნერგავდა მას აზრს, რომ სხვა გზით იგი ზუევს თავიდან ვერ მოიცილებდა, მოქ-სურგუჩევსკაიამ მიუტანა მას შინ ნახალი არაყი და წალდი, რომელიც

<sup>1</sup> იქვე, გვ. 272.

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 103; М. Д. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, Л., 1955, стр. 103; И. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, М., 1952, стр. 148-149; Советское уголовное право, Часть общая, Изд. Ленингр. универс., Л., 1960, стр. 416-417.

პირდაპირ ხელში ჩაუდო შუბინას, სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის აგენტები მივიდნენ მასთან, ვითომდა რეციდივისტები იყვნენ, მასთან ერთად არაყის სვამდნენ და წინადადებას აძლევდნენ, რომ ისინი მოჰკლავენ ზუევს, ხოლო როდესაც მათ დაათვრეს შუბინა და მან ამ პირთა ზეგავლენით თანხმობა განაცხადა ზუევის მოკვლაზე და გადასცა მათ წაღლი, იმავე აგენტებმა იგი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს მკვლელობის მტღელობისათვის. ეს გარემოებანი არც წინასწარი, არც სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული არ იყო, ამიტომ ვერ გაირკვა მთელი საქმის ნამდვილი გარემოება, რომლის გამორკვევას შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა ის, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ კოზიუკოვა და სურგუჩევსკაია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით<sup>1</sup>, ხოლო სამძებრო მილიციის აგენტები – თანამდებობრივი დანაშაულისათვის, ე.ი. სისხლ. სამ. კოდექსის 108-ე მუხლით<sup>2</sup> იმისათვის, რომ ისინი ამკარად არაკეთილსინდისიერად მოეკიდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, და 179-ე მუხლით, ვინაიდან ამ შემთხვევაში აღგილი ჰქონდა არა უკვე მომზადებული დანაშაულის აცდენას და აღკვეთას, არამედ მათ მიერვე დანაშაულის ჩადენის გარემოცვის შექმნას<sup>3</sup>.

ამ განჩინებაში სწორია ის, რომ პირები, რომლებიც აქეზებენ მეორე პირს დანაშაულის ჩასადენად, თუნდაც მისი მხილების მიზნით, საზოგადოებრივად საშიშ საქმიანობას ჩადიან და პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის წესით. მაგრამ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს მათი მოქმედების კვალიფიკაცია როგორც ტყუილი დასმენისა და თანამდებობრივი დაუდევრობისა. თანამდებობის პირები, რა თქმა უნდა, თანამდებობრივ დანაშაულს ჩადიან, როდესაც ხელოვნურად ქმნიან დანაშაულის ჩადენის გარემოცვას, მაგრამ ეს არის არა დაუდევრობა, არამედ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება. ამიტომ, გარდა იმისა, რომ მათ პასუხი უნდა მოეთხოვოს როგორც გარკვეული დანაშაულის წამქეზებელთ, ისინი უნდა დაისაჯონ აგრეთვე თანამდებობის ბოროტად გამოყ-

<sup>1</sup> წინასწარი შეცნობით ტყუილი დასმენა.

<sup>2</sup> სამსახურებრივი დაუდევრობა.

<sup>3</sup> „Сборник определений уголовной кассационной коллегии Верховного Суда РСФСР“, 1921 г. вып. I, М., стр. 153-154.

ენებისათვის. რაც შეეხება ტყუილ დასმენას, აგენტ-პროვოკატორის მოქმედების ასეთი კვალიფიკაცია საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1946 წლის 8 ივნისის განჩინებაში გაჯიუციის საქმეზე.

გაჯიუცი მუშაობდა დარაჯად კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის ყანიდან ხშირი იყო შემთხვევები სიმინდის მოპარვისა. გაჯიუცს ეჭვი ჰქონდა განსაზღვრულ პირებზე, მაგრამ ვერ წაასწრო მათ დანაშაულის ჩადენის ადგილას. მაშინ, დამნაშავეთა მხილების მიზნით, მან წინადადება მისცა ეჭვმიტანილ პირებს მოეპარათ სიმინდი, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელებმა გაჯიუცის თანდასწრებით მართლაც მოიპარეს სიმინდი კოლმეურნეობის ყანიდან, გაჯიუცმა ქურდები დააკავა და საგამომძიებლო ორგანოებს გადასცა. სასამართლომ დააკვალიფიცირა გაჯიუცის მოქმედება როგორც ყალბი დასმენა ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუთითა ამ კვალიფიკაციის მცდარობაზე. „როდესაც სასამართლომ დააკვალიფიცირა გაჯიუცის მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლის მეორე ნაწილით, — ნათქვამია კოლეგიის განჩინებაში, — მან მხედველობიდან გაუშვა, რომ დანაშაულის პროვოკაცია არსებითად განსხვავდება ყალბი დასმენისაგან ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნით. მათ შორის მხოლოდ ის არის საერთო, რომ ორივე შემთხვევაში პირის მიზანია ამხილოს მეორე პირი დანაშაულის ჩადენაში. მაგრამ ყალბი დასმენის დროს პირი მიზნად ისახავს ამხილოს მეორე პირი ისეთ დანაშაულში, რომელიც მას სინამდვილეში არ ჩაუდენია, რასაც აღწევს იმით, რომ ატყობინებს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს, თითქოს ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც სინამდვილეში ჩადენილი არ ყოფილა, ხოლო დანაშაულის პროვოკაციის მიზანია პირის მხილება დანაშაულში, რომელიც ნამდვილად იყო ჩადენილი, და ეს მიზანი მიიღწევა პირის წაქეზებით ამ დანაშაულის ჩადენისაკენ“<sup>1</sup>.

თვით სასამართლო კოლეგია სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ აგენტ-პროვოკატორის მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც იმ დანაშაულის წაქეზება, რომლისკენაც მოუწოდებდა პროვოკატორი.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1946, вып. IV, стр. 13.

აღნიშნავს რა აგენტ-პროვოკატორის საქმიანობის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მისი დასჯადობის აუცილებლობას, სასამართლო კოლეგია იძლევა ამ დასჯადობის მეტად საფუძვლიან იურიდიულ დასაბუთებას: „უნდა აღინიშნოს, რომ როგორც არ უნდა იყოს მოტივი, რითაც ხელმძღვანელობდა პირი, როდესაც მან დანაშაულის პროვოკაციას მიმართა, მისი ქმედობა დასასჯელია სისხლის სამართლის წესით, ვინაიდან მხილების ის საშუალება, რომელიც გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებაში, საზოგადოებრივად საშიშია და ამიტომ უნდა იწვევდეს იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინც მას მიმართა. ამის შესაბამისად პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის უნდა განისაზღვროს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის წესების მიხედვით<sup>1</sup>. ამგვარად უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ პროვოკაცია განსხვავდება წაქეზების სხვა სახეებისაგან მხოლოდ მოტივის განსაკუთრებული ხასიათით, მაგრამ მოტივის თავისებურება ვერ გაათავისუფლებს სუბიექტს პასუხისმგებლობისაგან, თუ მან თავისი მიზნის განსახორციელებლად საზოგადოებრივად საშიში საშუალება გამოიყენა.

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობდა დანაშაულის პროვოკაციის ერთ შემთხვევას, რომელიც ისჯებოდა როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. ეს იყო ქრთმის პროვოკაცია თანამდებობის პირის მიერ. (საქ. სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი). რამდენადაც ჩვენი სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დანაშაულის პროვოკაცია საზოგადოდ წაქეზების სახედ ითვლება, ამდენად ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა არ სცნო საჭიროდ ქრთმის პროვოკაციის გამოყოფა დამოუკიდებელ დანაშაულად. ასეთ შემთხვევაში პირი დაისჯება როგორც ქრთმის აღების ან ქრთმის მიცემის წაქეზებელი.

სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ როგორ უნდა იქნეს განხილული წაქეზება წაქეზებისაგან, ე.ი. ისეთი შემთხვევა, როდესაც ვინმე აქეზებს სხვას იმისაგან, რათა ამ უკა-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 13.

ნასკნელმა დაიყოლიოს მესამე პირი დანაშაულის ჩასადენად<sup>1</sup>. გაბატონებული შეხედულების თანახმად ასეთი პირი უნდა დაისაჯოს როგორც წამქეზებელი.

წაქეზება დახმარებისაკენ ისჯება როგორც დანაშაულის დახმარება. ამ მომენტზე სპეციალურად მიუთითებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის 121-ე მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ დამხმარედ ჩაითვლება ის პირი, ვინც განზრახ შეაგულიანებს სხვა პირს დანაშაულის დასახმარებელი მოქმედების ჩასადენად, თუ ეს მოქმედება მართლაც ჩადენილი იქნა.

ზოგიერთ შემთხვევაში წაქეზება წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელიც ისჯება როგორც დელიქტი sui generis. ასეთი ხასიათის დანაშაულს ითვალისწინებს, კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი; „არასრულწლოვანის წაქეზება რაიმე დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამ მოქმედებისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, აგრეთვე არასრულწლოვანის დაყოლიება პროსტიტუციისათვის, მათხოვრობისათვის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენისათვის“<sup>2</sup>. აღნიშნულ მუხლში მეტად თანამიმდევრულად არის მითითებული, რომ იგი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ დანაშაულისათვის, რომელშიც ჩაბმულია არასრულწლოვანი, ნაკლები სასჯელია გათვალისწინებული, ვიდრე 236-ე მუხლში (თავისუფლების აღკვეთა ან გადასახლება 5 წლამდე). როგორც უკვე აღნიშნული იყო, თუ არასრულწლოვანი ჩაბმულია უფრო მძიმე დანაშაულში, რომლისთვისაც კანონი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, წამქეზებელი პასუხს აგებს როგორც ამ უფრო მძიმე დანაშაულის თანამონაწილე.

<sup>1</sup> ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკაში. 1942 წელს გერმანული ანტისემიტისზმის ზეგავლენით პასტორმა ლუგრინმა წააქეზა შვეიცარიელი გლეხი იმი, დაყოლიებინა თავისი თანამოაზრენი ებრაელი ბლოხის მოსაკლავად. სასამართლოში საქმის განხილვის დროს ლუგრინი თავს იმით იმართლებდა, რომ იგი იყო მხოლოდ წამქეზებლის წამქეზებელი და ამიტომ კანონით არ უნდა დაისაჯოს. შვეიცარიის საკავშირო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სცნო, რომ ასეთი „შუალობითი წაქეზება“, ე.ი. მეორე ხარისხის“ წაქეზება აგრეთვე უნდა დაისაჯოს, ვინაიდან იგი წარმოადგენს ძირითადი დანაშაულებრივი ქმედობის თვდაპირველ მიზეზს“ (Современное зарубежное уголовное право. т. II, М., 1958, стр. 351). იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ არის მითითებული, რომ წაქეზების წაქეზება ისჯება როგორც დანაშაულის წაქეზება (§61, ნაწ. 2).

## §5. დამხმარე

თანამონაწილეობის მეოთხე სახეს დახმარება წარმოადგენს. საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად, „დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ დაჰპირდა, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ნივთებს“ (საფუძვლების მე-17 მუხ., საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდექსის მე-19 მუხ.).

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, საბჭოთა კანონმდებლობა იძლევა იმ მოქმედებათა ზუსტ ჩამოთვლას, რომლებიც განიხილებიან როგორც დახმარება დანაშაულში.

სხვაგვარად იქცევა სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა. ისინი ზოგადი ფორმით განსაზღვრავენ დახმარებას, ხოლო დახმარების კონკრეტული სახეების მითითება მოჰყავთ როგორც სანიმუშო და არა როგორც ამომწურავი. მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დამხმარედ ითვლება ის, „ვინც განზრახ გააადვილებს დანაშაულის ჩადენას რჩევით ან მითითების მიცემით, დაპირებით, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დახმარებას აღმოუჩენს, დაბრკოლების აცილებით, საშუალებათა მიწოდებით ან სხვა საშუალებით“ (მუხ. მე-18); ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დამხმარე ის არის, „ვინც დაეხმარა სხვას დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ საშუალებათა გამოძებნით, დაბრკოლებათა აცილებით, რჩევით, განზრახვის განმტკიცებით, დაპირებით, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ აღმოუჩენს დახმარებას“ (§10, პ. (1)გ.). სიტყვები „ან სხვა საშუალებით“ და „კერძოდ“ მიუთითებენ, რომ დახმარების საშუალებანი არ ამოიწურება კანონში ჩამოთვლილით, არამედ შეიძლება სხვაგვარ მოქმედებაშიც გამოიხატებოდეს. კიდევ უფრო ზოგადი ფორმით მოცემულია დამხმარის განსაზღვრება უნგრეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც თვლის დამხმარედ იმ პირს, „ვინც ხელს უწყობს სხვას დანაშაულის ჩადენაში“ (§14, პ. მე-2).

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ დახმარების ასეთი ზოგადი განსაზღვრება, მისი ამომწურავი ფორმების ჩამოთვლელად, მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. სახელდობრ, პ. გრიშაევი და გ. კრიგერი ამტკიცებენ, რომ „წინააღმდეგ წამქეზებლობისა, რომლის მეთოდები და საშუალებანი შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ან თუნდაც ზოგადი ფორმით მიუვითხოთ კანონში, დახმარების კონკრეტული სახეები და ფორმები, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, სავსებით შეიძლება ამომწურავად იქნეს განსაზღვრული“<sup>1</sup>. ზოგადი ფორმით დახმარების ცნების განსაზღვრება პ. ი. გრიშაევს და გ. კრიგერს იმ მხრითაც მიაჩნიათ შეუწყნარებლად, რომ „ეს ფართო გასაქანს იძლევა, რათა დახმარებას ნებისმიერად ისეთი ქმედობანი მიეკუთვნოს, რომლებიც თუმცა წინ უსწრებენ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მაგრამ სულაც არ განაპირობებენ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას, არამედ მხოლოდ გარეგნულად ან მეტად შორეულად არიან დაკავშირებული დანაშაულის მომზადებასთან ან ჩადენასთან“<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, პ. გრიშაევისა და გ. კრიგერის შიში, რომ დახმარების ზოგადი განსაზღვრებით იქმნება საშიშროება დახმარებისათვის ისეთი მოქმედების მიკუთვნებისა, რომელიც დანაშაულთან მიზეზობრივ კავშირში არ არის, მოკლებულია საფუძველს. დახმარების ცნების ყველა განსაზღვრებაში, იმისდა მიუხედავად, ზოგადი ფორმით არის იგი მოცემული, თუ ამომწურავი სახითაა ჩამოთვლილი, ხაზგასმულია მიზეზობრივი კავშირის მომენტი, ვინაიდან ყველგან მითითებულია, რომ დახმარება ხელს უნდა უწყობდეს დანაშაულის ჩადენას. მეორე მხრით, ამომწურავ ჩამოთვლას ის ნაკლი აქვს, რომ სასამართლოს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ყოველთვის, როდესაც ჩადენილია ერთ-ერთი მოქმედება, ამ ჩამოთვლაში მითითებული, დახმარებას აუცილებლად აქვს ადგილი. პირიქით, თუ კანონში სანიმუშო ჩამოთვლა იქნება მოცემული, აქ პირველ პლანზე მიზეზობრივი კავშირის საკითხი წამოიწევს. სახელდობრ, მოსამართლის ყურადღება კონცენტრირებული იქნება იმაზე, რომ ეს მოქმედება შედეგის აუცი-

<sup>1</sup> П. И. Гришасев, Г. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, 1959, стр. 155.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 154.

ლებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს. დამხმარე ისჯება არა იმისათვის, რომ მან რჩევა ან დარიგება მისცა ამსრულებელს, არამედ იმიტომ, რომ ეს რჩევა-დარიგება ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას და დამხმარეც სწორედ იმ მიზნით მოქმედებდა, რომ დანაშაულის ჩადენისათვის ხელი შეეწყო.

დაბოლოს, პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს მთელი რიგი შემთხვევები, რომლებიც საფუძვლების მე-17 მუხლში ჩამოთვლილ არც ერთ მოქმედებას არ შეესაბამებიან, მაგრამ ამავე დროს როგორც მიზეზობრივ, ისე ბრალეულ კავშირში არიან დანაშაულებრივ შედეგთან, ხელს უწყობენ მის განხორციელებას ან აადვილებენ მას. მაგალითად, ჩვენს კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული ზოგადი ფორმით ამსრულებლის განზრახვის განმტკიცება, მაშინ როდესაც საერთოდ ფსიქიკური დახმარების არსი სწორედ ამსრულებლის განზრახვის განმტკიცებაში გამოიხატება. მაგრამ განა ამსრულებლის განზრახვის განმტკიცება მარტო რჩევა-მითითებით და დაფარვის დაპირებით შეიძლება? განა არ შეიძლება განამტკიცო ამსრულებლის განზრახვა მოწონებით, დარწმუნებით, და ა.შ. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, თუ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემული იქნება დახმარების საშუალებათა არა ამომწურავი ჩამოთვლა, არამედ სანიმუშო, როგორც ამას აკეთებენ ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსები. კერძოდ, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამხმარის ასეთი განსაზღვრება: „დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას იარაღის ან საშუალების მიწოდებით, დაბრკოლების აცილებით, რჩევა-დარიგებით, განზრახვის განმტკიცებით, დაპირებით, რომ აღმოუჩენს დახმარებას დანაშაულის ჩადენის შემდეგ ან სხვა საშუალებით“.

ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამხმარის მოქმედებათა ზუსტად შემოფარგვლა ორი გარემოებით უნდა ხორციელდებოდეს: 1) იგი უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულთან და 2) ჩადენილი უნდა იქნეს განზრახვი ბრალით.

დახმარება უნდა განვასხვავოთ, პირველ ყოვლისა, ამსრულებლის მოქმედებისაგან. პარაგრაფში ამსრულებლის შესახებ ჩვენ ამ საკითხს უკვე შევეხეთ და აღვნიშნეთ, რომ ის, ვინც უშუალოდ მონაწილეობს



დანაშაულის შემადგენლობის ასრულებაში, თანაამსრულებლად ჩაითვლება, იმისდა მიუხედავად, საკუთარი ინტერესისათვის მოქმედებდა თუ სხვისი ინტერესისათვის, ან, როგორც სუბიექტური თეორიის თანამედროვე წარმომადგენლები ამბობენ, განიხილავდა თუ არა დანაშაულს, როგორც საკუთარს.

ისევე, როგორც წამქეზებლის მოქმედება, დამხმარის მოქმედებაც უშუალო მიზეზობრივ კავშირში არ არის დანაშაულთან. დამხმარე მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ებმება ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით. ამიტომ დამხმარედ არ შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნაწილის განხორციელებაში.

როგორც წესი, დამხმარე მოქმედებს დანაშაულის ჩადენამდე, თუმცა გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ იგი მოქმედებდეს დანაშაულის ჩადენის დროსაც. ამ უკანასკნელის მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი სასამართლო პრაქტიკიდან. კუზმინი, უსოვი და კოჩკინი ნასვამ მდგომარეობაში რკინიგზის ლიანდაგზე ხიდის ახლოს შეხვდებიან ტექნიკური სკოლის მოსწავლე ქალებს ვ.-ას და ნ.-ას. უსოვი და კოჩკინი გააუპატიურებენ ვ.-ს; კუზმინი ვ.-ს გაუპატიურებაში არ იღებს მონაწილეობას, მაგრამ იგი დააკავებს ნ.-ს და არ მისცემს მას შესაძლებლობას დახმარება აღმოუჩინოს თავის ამხანაგს. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 23 ივნისის განჩინებაში აღნიშნულ საქმეზე მიუთითა: კუზმინმა ხელი შეუწყო კოჩკინს და უსოვს ვ.-ს გაუპატიურებაში იმით, რომ დააკავა მისი ამხანაგი ნ. და მუქარის მეშვეობით აიძულა იგი არ ემოქმედნა, ამით კუზმინმა ხელი შეუშალა ნ.-ას თავის დროზე ეთხოვა დახმარება მოქალაქეებისათვის ან ეცნობებია მილიციის ორგანოებისათვის დანაშაულის შესახებ, რაც შეაფერხებდა ბოროტმოქმედების ჩადენას და მილიციის ორგანოებს საშუალებას მისცემდა სწრაფად დაეკავებინათ ბოროტმოქმედნი. რამდენადაც კუზმინის მოქმედება იმაში გამოიხატა, რომ თავიდან ააცილა უშუალო ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის დაბრკოლება, ამდენად კოლეგიამ სცნო, რომ კუზმინის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დახმარება მე-17 მუხლის მეშვეობით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. „Социалистическая законность“, 1959, №10, стр. 88.

წამქეზებლებისაგან, როგორც უკვე მითითებული იყო, ფსიქიკური დამხმარე ფსიქიკური ზემოქმედების ნაკლები აქტიურობით განირჩევა. მაშინ, როდესაც წამქეზებელი ჰქმნის გადამწყვეტ მოტივს ამსრულებლის გადაწყვეტილების მიღებისათვის, ასე რომ ამსრულებლის გადაწყვეტილება აღიძვრება სწორედ წამქეზებლის საქმიანობის გამო, ფსიქიკური დამხმარე მხოლოდ განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას, გაბედულებას მატებს მას ან ასუსტებს იმ მოტივებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების საბოლოოდ ჩამოყალიბებას და სიმტკიცეს.

დაბოლოს, დამხმარე უნდა განეხილავთ დანაშაულის ორგანიზატორისაგან, რომელიც ხშირად, დამხმარის მსგავსად, მოსამზადებელ მოქმედებაში იღებს მონაწილეობას. ორგანიზატორი დამხმარისაგან მონაწილეობის უფრო მეტი აქტიურობით განსხვავდება. ორგანიზატორი დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემქმნელია ან მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხელმძღვანელი. დამხმარის როლი კი მეორეხარისხოვანია. იგი არც დანაშაულის ინიციატორია, არც უშუალოდ მონაწილეობას იღებს დანაშაულის ჩადენაში, არამედ, როგორც დავინახეთ, ხელს უწყობს მას. ეს ნათლად გამოჩნდება დამხმარის მოქმედებათა უფრო დეტალურად განხილვის შემდეგ.

დამხმარის მოქმედება შეიძლება სხვადასხვა ფორმებში გამოიხატებოდეს, მაგრამ ძირითადად დახმარება ორი ფორმისა შეიძლება იყოს: ფიზიკური და ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური.

ფიზიკურ დახმარებას, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენს: ა) დანაშაულის ჩასადენად საშუალებათა მიცემა და 2) დაბრკოლების აცილება.

დანაშაულის ჩასადენად საშუალების მიცემა იქნება, მაგალითად, მკვლელობისათვის საწამლავის მიცემა, ქურდობისათვის — მორგებული გასაღების გადაცემა, მოპარული ნივთების გადასაზიდად მანქანის მიცემა, ერთის სიტყვით, რა გინდა რა საშუალების გამოყენება, რაც აუცილებელია დანაშაულის ჩასადენად ან მის გასაადვილებლად.

დანაშაულის ჩადენის დაბრკოლების თავიდან აცილებად ჩაითვლება საწყობის დარაჯის გართობა ქალაქის თამაშით ან მისი დათრობა, რომ ბოროტმოქმედმა შეუფერხებლად შეასრულოს თავისი განზრახვა,

საყარაულო ძალის მოკვლა, სახლის პატრონის გატყუება ბინიდან მის გასაქურდავად. დახმარებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე დარაჯად დგომა იმ მომენტში, როდესაც ბოროტმოქმედნი დანაშაულს სჩადიან; ესეც დაბრკოლების აცილების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. დაბრკოლების აცილება იქნება აგრეთვე ხელის შეშლა მესამე პირებისათვის, რომლებიც ცდილობენ მიეშველონ დაზარალებულს და ა.შ. დანაშაულის დაბრკოლების აცილებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა პირს თვითონ ევალეზოდა დანაშაულთან ბრძოლა, მაგალითად, მაღაზიის ყარაულობა და ამის მაგივრად იგი შეუთანხმდება ბოროტმოქმედს, რომ არ იმოქმედებს მათ წინააღმდეგ.

ფსიქიკური დახმარება შეიძლება გამოიხატებოდეს: 1) რჩევა-დარიგების ან მითითების მიცემაში და 2) წინასწარ დაპირებაში, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღსა და საშუალებას, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ნივთებს.

რჩევა-დარიგება, ან მითითება შეიძლება შეეხებოდეს იმას, თუ სად, როდის, როგორ, რა საშუალებით უფრო მოსახერხებელია დანაშაულის ჩადენა. რჩევის ან მითითების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი განამტკიცებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. რჩევა-დარიგებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც ვინმე გაანდობს სხვას თავის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას, ხოლო ეს უკანასკნელი მოუწონებს მას დანაშაულის ჩადენის განზრახვას და ამით განამტკიცებს უკვე არსებულ გადაწყვეტილებას. თუ ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება ჯერ არ ჰქონდა მიღებული და ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ აღებრა, როდესაც მეორე პირის თანხმობა და მოწონება მიიღო, ასეთ შემთხვევაში იქნება უკვე წაქეზება და არა ფსიქიკური დახმარება<sup>1</sup>. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა წამქეზებელსა და ამსრულებელს შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულებაა, რომ წამქეზებლის მიერ დანაშაულებრივი აზრის მოწონება საკმარისია იმისათვის, რათა ის, რაც არსებობდა მხოლოდ როგორც იდეა, მტკიცე გადაწყვეტილებად გადაიქცეს. დანაშაულის დაფარვის დაპირებაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და ამიტომ აქ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

<sup>1</sup> ეს საკითხი კარგად აქვს გაშუქებული მ. შნეიდერს. იხ. М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 48.

დანმარების აღმოჩენა შეიძლება როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დანმარებად და, მაშასადამე, თანამონაწილეობად, როდესაც იგი მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან. ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დანმარებად განუცხადებლობა, რომ მზადდება დანაშაული, ან მიმნებებლობა, ე.ი. ხელის არშეშლა დანაშაულისათვის იმ პირის მიერ, ვინც შემთხვევით გახდა დანაშაულის მოწმე.

საბჭოთა ლიტერატურაში გამოთქმული იყო შეხედულება, რომ მზადების პროცესში მყოფი დანაშაულის განუცხადებლობა და დანაშაულის მიმნებებლობა, თუმცა საბჭოთა კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ თანამონაწილეობად არ ითვლება, მაგრამ სინაქცოლეში თავისი ბუნებით თანამონაწილეობას წარმოადგენენ, ვინაიდან მიზეზობრივ კავშირში არიან სხვა პირთა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგთან<sup>1</sup>.

ეს შეხედულება სავსებით მართებულად იქნა გაკრიტიკებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში<sup>2</sup>. და მართლაც, არც დანაშაულის განუცხადებლობა და არც დანაშაულის მიმნებებლობა არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის სპეციფიკურობის გამო. უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი დადასტურება, რომ მოქმედების შესრულების შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდებოდა, არამედ საჭიროა აგრეთვე იმის გამორკვევა, იყო თუ არა პირი თავისი წინამორბედი საქმიანობით ჩართული გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში, იყო თუ არა ეს საქმიანობა აუცილებელი რგოლი ამ ურთიერთობათა განვითარებისა. ინდივიდის კონკრეტული მდგომარეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში აკისრებს მას განსაზღვრული

<sup>1</sup> В.Г. Смирнов, Понятие прикосновенности по советскому уголовному праву. изд. ЛГУ, 1957, стр. 18.

<sup>2</sup> იხ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 220-221; იხ. აგრეთვე: М. Блум, Ответственность за укрывательство и недонесение по уголовным кодексам союзных республик, „Ученые записки Латвийского государственного университета“, Рига, 1962, стр. 78-79.

ფუნქციების და ამოცანების შესრულებას, რის გამოც სოციალისტური საზოგადოება სრულიად დასაბუთებულად მოელის მისგან, რომ ეს პირი წარმართავს მისთვის დაქვემდებარებულ ძალებს სწორედ ამ ურთიერთობათა დაცვისა და განვითარების მიმართულებით. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების ეს დასაბუთებული ვარაუდი არ მართლდება, როდესაც პირი, გამორიცხავს რა თავის საქმიანობას ამ კანონზომიერებიდან, ათავისუფლებს მკენე შედეგის გამოძვევ აქტიურ ძალებს, მისი უმოქმედობა ხდება საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების აუცილებელ პირობად<sup>1</sup>.

საზოგადოებრივი ფუნქციები, რასაც სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეები ასრულებენ, თავის იურიდიულ გამოხატულებას მართლწესრიგის მიერ მათზე დაკისრებულ სპეციალურ მოვალეობებში ჰპოულობენ. ამიტომ საზოგადოება მოქალაქისაგან დასაბუთებულად სწორედ ისეთი მოქმედების შესრულებას მოელის, რომლის სპეციალური მოვალეობაც მას დაკისრებული ჰქონდა კანონით, ხელშეკრულებით ან სხვა სამართლებრივი საფუძვლით. როგორც მართებულად აღნიშნავს ი. რენებერგი, „ეს მოვალეობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც იმ მოქმედების შესრულება, რომელსაც შეეძლო ვნება ან საშიშროება აეცდინა, ისეთ სპეციფიკურ საზოგადოებრივ ამოცანათა და

---

<sup>1</sup> უფრო შორს მიდის გ. მატევევი, რომელიც თვლის, რომ პირის ყოველი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, თუკი პირს თავისი მოქმედებით შეეძლო აეცდინა დანაშაულებრივი შედეგი. ამ შეხედულების თანახმად, მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან არის არა მარტო სპეციალური მოვალეობის მქონე პირის მოქმედება, არამედ ყოველი მიმნებელის ან ყოველი არგანმცხადებლისა, რომელსაც თავისი მოქმედებით შეეძლოთ აეცდინათ მკენე შედეგი. ასეთი „უბრალო უმოქმედობაც“ — მატევევის გამოთქმა რომ ვიხმართ — კაუზალური ძალის მქონეა“ (იხ. I. K. Matveev, Теоретические вопросы причинности бездействия, „Сов. гос. и право“, 1962, №10, стр. 64-65).

ჩვენის აზრით, გ. მატევევი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ უმოქმედობის მიზეზობრივი ძალა მხოლოდ საზოგადოებრივ კანონზომიერებას ემყარება. უმოქმედობა, რომელიც სოციალური ცხოვრების ობიექტური ფაქტია. მხოლოდ იმით იღებს კაუზალურ ძალას, რომ პირი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო გარკვეულ დამოკიდებულებაშია განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან. მხოლოდ ეს გარემოება ააქტივებს პირის პასიურ ქცევას უმოქმედობის დროს. ანიჭებს მას ქმედით ძალას და უფლებას გვაძლევს განვიხილოთ უმოქმედობა, როგორც დამდგარი მკენე შედეგის ერთერთი აუცილებელი პირობა.

ფუნქციითაა წრეს ეკუთვნის, რისი განხორციელებაც აუცილებელია მოქალაქისათვის მისი კონკრეტული საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო... დანაშაულის ობიექტთან კონკრეტული კავშირის გამო<sup>1</sup>. ამიტომ მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ იმ მოქმედების შესრულება, რომელსაც შედეგის განხორციელება შეეძლო აეცდინა, სუბიექტის სპეციალურ იურიდიულ მოვალეობას წარმოადგენდა. აღნიშნულ შეხედულებას მრავალი მომხრე ჰყავს. ასე, მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით. „დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის შემთხვევაში თვით პირის დანაშაულებრივი ქცევა მის მიერ სპეციალური მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება. მხოლოდ აქტიური მოქმედების შესრულების მოვალეობის არსებობისას შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულებრივ უმოქმედობაზე და, კერძოდ, უმოქმედობის მეშვეობით მატერიალური დანაშაულის ჩადენაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის უმოქმედობასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის“<sup>2</sup>. ამავე აზრის არის ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი ვ. სოლნარჟი<sup>3</sup> და სხვ.

აქედან თანამიმდევრულად გამომდინარეობს, რომ დანაშაულის განუცხადებლობა ან დანაშაულის მიმნებებლობა თავისთავად არ შეიძლება განხილულ იქნენ როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში, ვინაიდან ასეთი უმოქმედობა არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში შედეგთან. რა დიდ საშიშროებასაც არ უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური სახელმწიფოსათვის მომზადების პროცესში მყოფი დანაშაულის განუცხადებლობა ან დანაშაულის ჩადენისათვის ხელის არშემწეობა, ასეთი უმოქმედობა არ შეიძლება გაეუთანაბროთ დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევას. პირველ ორ შემთხვევაში ზიანის განხორციელება არ არის დაკავშირებული სუბიექტის ნებელობით მოქმედებასთან, ზიანი წარმოიშევა მისი საქმიანობის სფეროს გარეშე. პირი, რომელიც არ აცხადებს, რომ მზადდება დანაშაული ან ხელს არ უშლის დანაშაულის ჩადენას, თუმცა შეეძლო ეს გაეკეთებინა, არ იყო

<sup>1</sup> I. Renneberg, Die objective Seite des Verbrechens, Berlin, 1956, S. 31.

<sup>2</sup> ა. პიონტკოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 228.

<sup>3</sup> В. Солнарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики. М., 1962, стр. 175.

წინასწარ ისეთ დამოკიდებულებაში საფრთხეში მყოფ ობიექტებთან, რომ თავისი უმოქმედობით შესძლებოდა ზეგავლენა მოეხდინა მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობაზე. ასეთი პირის უმოქმედობა არ აქმნის საშიშ მდგომარეობას და არ ათავისუფლებს ბუნებრივ, ფიზიკურ და სხვ ძალებს, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებას. მისი საქციელი არ სპობს ვნების განხორციელებისათვის ხელშემშლელ პირობას, რასაც ადგილი ექნებოდა, რომ ის საწინდარი ყოფილიყო განსაზღვრული შედეგის განუხორციელებლობისა. საშიშროება ჩნდება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს გარეშე, რომლებშიც თავისი მდგომარეობით ჩართულია პირი. დანაშაულის არგანმცხადებელი ან მიმნებებელი მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებლობა ეძლევა ხელი შეუშალოს დანაშაულებრივ ქმედობას.

ასეთი შეხედულება მტკიცედ ტარდება საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში კოჟეტოვის, ტოკბაევის და სხვ. საქმეზე ნათქვამია: „რაც შეეხება ტაშმულინს და ტოკბაევს, მათ მოქმედებაში საერთოდ არ არის დანაშაულის შემადგენლობა. ისინი ჩხუბში არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ; დანაშაულში თანამონაწილეებად მათი მიჩნევა მარტოოდენ იმის გამო, რომ მოჩხუბარნი არ გააშველეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაშვები, მათ რომ კადიკოვის მიმართ ზრუნვის განსაკუთრებული მოვალეობა ჰქონოდათ დაკისრებული. მაგრამ კადიკოვი მათთვის გარეშე პირი იყო და ისინი სულაც არ იყვნენ მოვალენი მასზე ეზრუნათ“<sup>1</sup>.

ამ დადგენილებაში კარგად არის დასაბუთებული მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა დამხმარის უმოქმედობასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. მსჯავრდებულ ტაშმულინს და ტოკბაევს რომ დანაშაულის თავიდან აცილების სპეციალური მოვალეობა ჰქონოდათ და ხელი არ შეეშალათ დანაშაულის ჩადენისათვის, მათი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში იქნებოდა დანაშაულებრივ შედეგთან და ისინი პასუხს აგებდნენ როგორც დამხმარენი. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1939, №1, стр. 71.

პირები შემთხვევით დაესწრნენ დანაშაულის ჩადენას და მისი გარეშე მაყურებლები არიან, მათი მოქმედება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დახმარება, არამედ მხოლოდ როგორც მიმნებლობა, რომელიც ჩვენი კანონმდებლობით არ ისჯება.

ანალოგიური დადგენილება გამოიტანა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა შ.-ს და დ.-ს საქმეზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ შ. და დ. სცნო თანამონაწილეებად მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვაში, რამდენადაც საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ შ.-სა და დ.-ს არავითარი წინასწარი მოლაპარაკება ქურდობის შესახებ არ ჰქონიათ და დ. მხოლოდ დაესწრო შ.-ს მიერ დანაშაულის ჩადენას, ხოლო თვით დანაშაულის ჩადენისათვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩინია, უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1951 წლის 29 ივნისის დადგენილებით განაჩინა დ.-ს მიმართ გააუქმა და მიუთითა: „ხეშოაღნიშნულ გარემოებებში დ.-ს მოქმედება შეიძლება შეფასებული ყოფილიყო მხოლოდ როგორც ხელისუფლების ორგანოებისათვის განუცხადებლობა იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც შ.-მ ჩაიდინა. მაგრამ რადგანაც პირადი ქონების მოპარვის განუცხადებლობა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობას არ წარმოადგენს, დ.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განუცხადებლობისათვის აგრეთვე გამორიცხულია“<sup>1</sup>.

დაბოლოს, იგივე დებულება გამოთქმულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 1 აგვისტოს განჩინებაში გ. რინგმიაეს და ხ. ნაგელის საქმეზე. საქმის გარემოება შემდეგში მდგომარეობდა: ხ. ნაგელს მუდმივი უსიამოვნება ჰქონდა თავის ქმართან — ა. ნაგელთან. ამის გამო ხ. ნაგელის დედამ ე. რინგმაიემ გადაწყვიტა თავისი სიძის მოკვლა. მან იშოვნა „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი და გადასცა იგი თავისი ვაჟის მეგობარს ხ. პიირიმას, რომელთანაც წინასწარ ჰქონდა მოლაპარაკება და რომელმაც აღუთქვა სიძის მოკვლა. ყოველივე ეს იცოდა მისმა ქალიშვილმა ხ. ნაგელმა. 1962 წლის 20 დეკემბერს რინგმაიემ სოფელში წაივია და თან მცირეწლოვანი შვილიშვილი წაიყვანა. იმავე დამეს პიირიმა მივიდა ნაგელთან მის მოსაკლავად, მაგრამ რადგან

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1951, №9, стр. 3-4.



ბინამი ცოლიც დაუხვდა, მკვლელობა გადადო. მეორე დღეს ხ. ნაგელიც სოფელში გაემგზავრა. იმავე საღამოს პიირიმა ისეე მივიდა ნაგელის ბინაზე და ისარგებლა რა იმით, რომ ა. ნაგელი მარტო იყო, მოკვლა იგი. ესტონეთის სსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააკვალიფიცირა რინგმიამეს მოქმედება როგორც მკვლელობის წამქეზებლობა, ხოლო ხ. ნაგელისა — როგორც დახმარება მკვლელობაში. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგია არ დაეთანხმა ხ. ნაგელის მოქმედების ასეთ კვალიფიკაციას. თავის განჩინებაში მან მიუთითა: „ხ. ნაგელის ბრალი, როგორც ეს დადასტურებულია საქმის გარემოებებით, იმაში მდგომარეობს, რომ მან იცოდა მისი ქმრის — ა. ნაგელის მკვლელობის მომზადების შესახებ, მაგრამ არ აცნობა ეს ხელისუფლების ორგანოებს. ამიტომ ხ. ნაგელის ქმედობა სასამართლოს უნდა დაეკვალიფიცირებინა არა ესტონეთის სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტითა და მე-100 მუხლით, არამედ იმავე კოდექსის 181-ე მუხლით, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამგვარი დანაშაულისათვის“<sup>1</sup>.

სხვაგვარად წყდება საქმე, როდესაც მოქმედებისაგან თავს იკავებს ისეთი პირი, ვისაც გარკვეული მდგომარეობა უჭირავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამა თუ იმ სფეროში და ვისაც ამის გამო სპეციალური მოვალეობა ეკისრება ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას ან დახმარება აღმოუჩინოს საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს. მილიციონერი, რომელსაც დაკისრებული აქვს ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების დაცვისა, საწყობის გამგე, რომელსაც სპეციალურად აქვს დავალებული სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა, თუ განზრახ, დაზნაშავესთან შეთანხმებით ხელს არ შეუშლიან ხულიგნურ მოქმედებას ან სახელმწიფო ქონების გატაცებას, პასუხს უნდა აგებდნენ როგორც სათანადო დანაშაულის თანამონაწილენი. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა მართლაც თანამიმდევრულად ცნობს ასეთ შემთხვევებში დანაშაულში თანამონაწილეობას, კერძოდ, დახმარებას.

კოლმეურნეობის საწყობის ყარაულებმა სინეგუბოვამ და მინკინამ წინასწარი შეთანხმებით შეუშვეს საწყობში პროკოფიევი, რომელმაც

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1965, №1, გვ. 27-28.

საწყობი გაქურდა. უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ სინეგუბოვა და მინკინა „ვალდებული იყვნენ არ დაეშვათ პროკოფიევი საწყობში, მათ კი პროკოფიევს ამისი ნებართვა მისცეს, რითაც მას ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენაში“<sup>1</sup>.

ანალოგიური ხასიათისაა სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება გლინიკოვის საქმეზე<sup>2</sup>. გლინიკოვი ცნობილი იყო დამნაშავედ იმაში, რომ როდესაც, როგორც გუშაგი, საწყობს ყარაულობდა, ფედოტოვი წინასწარი შეთანხმებით შეუშვა საწყობში, საიდანაც ამ უკანასკნელმა სამხედრო ტანსაცმელი გაიტაცა. უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1944 წლის 11 მაისის დადგენილებით გლინიკოვი სავსებით მართებულად ჩათვალა ფედოტოვის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამხმარედ, ვინაიდან მას დაკისრებული ჰქონდა სპეციალური მოვალეობა საწყობის დაცვისა.

სამართლებრივი საფუძველი, რომელიც აკისრებს სუბიექტს მოქმედების ვალდებულებას, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მოქმედების სპეციალური მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ კანონიდან ან იმ მდგომარეობიდან, რომელიც უკავია პირს ქვეყნის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო, შრომით და სხვ. ცხოვრებაში; იგი შეიძლება ეფუძნებოდეს აგრეთვე ხელშეკრულებას, წინასწარი მოქმედებით საშიშროების შექმნას და ა.შ.<sup>3</sup>.

როგორც დავინახეთ, არც დანაშაულის განუცხადებლობა და არც მიმნებებლობა, რომელიც სპეციალურად ვალდებულ სუბიექტს არ ჩაუდენია, არ დგას მიზეზობრივ კავშირში შედეგთან და ამიტომ არც შეიძლება ჩაითვალოს დახმარებად დანაშაულში. მაგრამ შეიძლება თუ არა დახმარებად ჩაითვალოს სპეციალური ვალდებულების არმქონე პირის წინასწარი დაპირება, რომ არ განაცხადებს დანაშაულის შესახებ ან ხელს არ შეუშლის დანაშაულის ჩადენას?

საბჭოთა კრიმინალისტიკის უმრავლესობა აღნიშნულ საკითხს წინასწარ შეპირებული დაფარვის ანალოგიურად წყვეტს. მაგალითად, პროფ. ა.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР, 1945, вып. III, стр. 7-9.

<sup>2</sup> „Сборник постановлений пленума и определенний коллегий Верховного Суда СССР 1944“, М., 1948, стр. 31.

<sup>3</sup> ამ საკითხზე დაწერილებით იხ. Т. Церетели, Причинная связь в уголовном праве, М., 1963, стр. 265-274.

პიონტკოვსკი წერს: „მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც განუცხადებლობა წინასწარ იყო აღთქმული ამსრულებლისათვის, იგი ებმება მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობასთან და განხილულ უნდა იქნეს, როგორც თანამონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში ინტელექტუალური დახმარების სახით“<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას გამოთქვამს პროფ. პიონტკოვსკი წინასწარ შეპირებული მიმნებებლობის შესახებ: „წინასწარ შეპირებული მიმნებებლობა კქმნის ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. ასეთი მიმნებებლობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ ქმედობასთან. იგი უნდა იწვევდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას როგორც თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“<sup>2</sup>.

ამ შეხედულების წინააღმდეგ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაილაშქრეს პ. გრიშაევმა და გ. კრიგერმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ განუცხადებლობა, თუნდაც წინასწარ შეპირებული, არასოდეს არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილეობად, ვინაიდან იგი არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. მათი აზრით, განუცხადებლობის დაპირება, რომელიც არსებითად მხოლოდ დანაშაულისადმი ლოიალური დამოკიდებულების დაპირებას ნიშნავს, არ შეიძლება ჩაითვალოს დახმარებად დანაშაულში. არგანმცხადებელი არ იღებს მონაწილეობას ერთობლივ საქმიანობაში დანაშაულის ამსრულებელთან ერთად, არამედ მარტო იმას პირდება ამსრულებელს, რომ ამა თუ იმ მოსაზრებით გულგრილობას გამოიჩენს იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც ამსრულებელი იდენს, და არ განუცხადებს მის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს. „მამასადამე, — დაასკვნიან გრიშაევი და კრიგერი, — აქ არ არის თანამონაწილეობის აუცილებელი ობიექტური ნიშნები. წინადადება, რათა თანა-

<sup>1</sup> А. А. Пюнтковскій, Учение о преступлении, М., 1961, гл. 600; იხ. აგრეთვე, В. Г. Смирнов, Понятие прикосновенности по советскому уголовному праву, М., 1957, гл. 18-19; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 88, 93; М. Блум, Ответственность за укрывательство и недовосещение по уголовным кодексам союзных республик, Ученые записки Латвийского государственного университета им. П. Стучки, Рига, 1962, стр. 78; მ. კოვლიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 98.

<sup>2</sup> პ. ა. პიონტკოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 604.

მონაწილეებად ჩაითვალოს ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ საერთო აზრით არიან გაერთიანებულნი, მიუღებელია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის. თანამონაწილეობად საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ერთობლივი საქმიანობა, რომელსაც სუბიექტურ ნიშნებთან ერთად ობიექტური ნიშნებიც ახასიათებს<sup>1</sup>.

ანალოგიურ შეხედულებას ანვითარებს გ. ტიმეიკო. იგი ფიქრობს, რომ განუცხადებლობა არ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან არა მარტო მაშინ, როდესაც იგი წინასწარ არ იყო შეპირებული, არამედ მაშინაც, როცა იგი წინასწარ აღუთქვეს ამსრულებელს. „დანაშაულის ჩადენის განზრახვა ამსრულებელს დამოუკიდებლად ებადება, დანაშაულებრივი მიზნებისა და ზრახვების განხორციელება არგანმცხადებლის ნების გარეშე ხდება. ამიტომ წინასწარი დაპირება, რომ არ გათქვამენ, რაც ზოგჯერ მიცემულია იმის შიშით, რომ ანგარიში არ გაუსწორონ, არ წარმოშობს მიზეზობრივ კავშირს იმ შედეგთან, რომლებიც დანაშაულის ამსრულებელმა გამოიწვია“<sup>2</sup>.

აღნიშნული შეხედულება, ჩვენი აზრით, სწორად ვერ აფასებს განუცხადებლობის ან დანაშაულისათვის ხელის არშემშლის წინასწარი შეპირების ობიექტურ მნიშვნელობას. მართალია, ასეთი პირის ქცევა მხოლოდ განუცხადებლობის ან ხელის არშემშლის დაპირებაში გამოიხატება, მაგრამ დაპირება ობიექტური ფაქტია და იგი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი გარემოებად, რომელიც ამაგრებს ამსრულებლის დანაშაულებრივ განზრახვას. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა. ვინმეს სურს გაქურდოს ბინა, მაგრამ ეშინია, რომ ხელს შეუშლის მეზობელი, რომელიც აუცილებლად გაიგებს ქურდის საერთო ბინაში შემოსვლას. მაშინ ქურდი შეუთანხმდება ამ მეზობელს (შეიძლება ამისათვის სათანადო გასამრჯელოც კი მისცეს) და სთხოვს, ნუ შეუშლის მას ხელს ბინის ქურდობაში ან ნუ განაცხადებს ქურდობის შესახებ სათანადო ორგანოებთან. მეზობელი აღუთქვამს, რომ ხელს არ შეუშლის ან არ გასცემს მას. ასეთი დაპირება უეჭველად დგას მიზეზო-

<sup>1</sup> პ. გრიშაევი, გ. კრივერი. დასახ. ნაშრ., გვ. 224.

<sup>2</sup> Г. Тимейко, Спорные вопросы соучастия при преступном бездействии, „Советская юстиция“, 1965, №6, стр. 10-11.

ბრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულთან. ამსრულებელი, რომელიც მერყეობდა, ემინოდა მეზობლის წინააღმდეგობისა ან გათქმისა, უფრო გაბედულად მიდის დანაშაულის ჩასადენად, ვინაიდან მოსპობილია დაბრკოლება, რომელიც მას წინ ეღობებოდა. თავისთავად ცხადია, წინასწარ შეპირებული მიმნებებლობა ან განუცხადებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში მანვე შედეგთან, როდესაც დაპირება ნამდვილად იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენისა, რომ, მაშასადამე, ასეთი დაპირების გარეშე ამსრულებელი ამ მომენტში ხელს აიღებდა აღნიშნული კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე. მაშასადამე, განუცხადებლობის დაპირება, ისევე, როგორც დაფარვის დაპირება, ინტელექტუალურ დახმარებას წარმოადგენს.

თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიმნებებლობის ან განუცხადებლობის წინასწარი დაპირება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვთვლით რომ საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით იგი არ უნდა დაისაჯოს. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენს კანონმდებლობაში, რომელიც დამხმარის მოქმედებათა ამომწურავ ჩამოთვლას იძლევა, განუცხადებლობის ან მიმნებებლობის წინასწარი დაპირება არ არის გათვალისწინებული, როგორც დახმარების სახე.

უმოქმედობის მეშვეობით ჩადენილი დახმარებისაგან უნდა განვასხვავოთ დახმარების აღმოჩენა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში. ასეთი დახმარება სავსებით შესაძლებელია, თუ ვინმე რჩევით ან მითითებით განამტკიცებს პირის განზრახვას არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებაც მას სპეციალურად ჰქონდა დაკისრებული და რომლის შეუსრულებლობასაც შეიძლება დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვეს. მაგალითად, ქალმა გადაწყვიტა ახლადშობილის მოკვლა, მაგრამ ვინაიდან არ იცის, როგორ შეასრულოს ეს განზრახვა, რჩევისათვის მიმართავს დედას; დედა მოუწონებს ქალიშვილს განზრახვას და რჩევასაც მისცემს — ნუ აწოვებს ბავშვს ძუძუს და ამ გზით მოჰკლას იგი. დედა არის დამხმარე უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში.

როგორც მართებულად აღნიშნავს მ. კოვალიოვი, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისათვის ხელის შეწყობა ყოველთვის აქტიური მოქმედებ-

ით უნდა გამოიხატებოდეს. დახმარება უმოქმედობის ფორმით, მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში იმიტომ არ შეიძლება, რომ „თუ დამხმარეს დაკისრებული არაა ჰქონდა სპეციალური მოვალეობა ხელი შეეშალა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის, მან საერთოდ არ შეიძლება პასუხი აგოს, ხოლო თუ ის ვალდებული იყო აქტიურად ემოქმედნა, მაშინ იგი დანაშაულის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს“<sup>1</sup>.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, დამხმარის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან.

ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი: შეიძლება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა მისცა ამსრულებელს იარაღი ან სხვა საშუალება, მაგრამ ამსრულებელმა რაიმე მიზეზის გამო ეს საშუალება არ გამოიყენა და დანაშაული სხვა გზით ჩაიდინა? ხომ არ უნდა იქნეს ამ შემთხვევაში უარყოფილი დანაშაულისათვის ხელის შეწყობა იმ მოტივით, რომ ეს მოქმედება არ არის მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან? ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: თუ იარაღის ან საშუალების მიცემამ ერთგვარად განამტკიცა ამსრულებლის განზრახვა, საქმე გვექნება ინტელექტუალურ ანუ ფსიქიკურ დახმარებასთან. ხოლო თუ ამ მოქმედებას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ამსრულებლის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებაზე, ასეთი არაკაუზალური დახმარება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულისათვის ხელის შეწყობად. ასეთი მოქმედება შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ როგორც დანაშაულის მომზადება, ვინაიდან საშუალების გამოძებნა და მომარჯვება თავისთავად მოსამზადებელ მოქმედებას შეადგენს<sup>2</sup>.

თუ დამხმარის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან, ცხადია, დახმარებად არ შეიძლება ჩაითვალოს მოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის დამთავრების შემდეგ. ასეთი მოქმედება არასდროს არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, ვინაიდან მიზეზი წინ უნდა უსწრებდეს შედეგს.

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 105.

<sup>2</sup> ცხადია, ის კრიმინალისტები, რომლებიც უარყოფენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, ასეთ შემთხვევაში დამთავრებულ თანამონაწილეთას აღიარებენ.

გარკვეულ თავისებურებას წარმოადგენს თანამონაწილეობა, კერძოდ, დახმარება განგრძობად, მყოვარ და შენადგენ დანაშაულში.

განგრძობადი დანაშაული გვაქვს მაშინ, „როდესაც ერთი პირის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედობა, რომელთაგან თითოეული, ცალკე აღებული, დამოუკიდებელ დანაშაულად მიიჩნევა, ერთმანეთთან ისეთ მჭიდრო სუბიექტურ და ობიექტურ კავშირში იმყოფებიან, რომ ერთიან დანაშაულს ქმნიან“<sup>1</sup>. განგრძობადი დანაშაულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მკვლელობა, თანამდებობრივი უყაირათობა და ა.შ.. განგრძობადი დანაშაული შეიძლება გვქონდეს ქონებრივი დანაშაულის დროსაც. თუ, მაგალითად, ვინმე ყალბი დოკუმენტის წარდგენის მეშვეობით სისტემატურად, პატარა-პატარა თანხებით, ითვისებს სახელმწიფო ქონებას, აქ გვექნება ერთი დანაშაული (განგრძობადი) და არა რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა<sup>2</sup>.

განგრძობადი დანაშაულის შემთხვევაში დახმარება შესაძლებელია არა მარტო წინასწარი მოსამზადებელი მოქმედების ან დანაშაულის პირველი აქტის განხორციელების დროს, არამედ მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ეს დანაშაული გრძელდება. თუ ამსრულებელმა უკვე განხორციელა განგრძობადი დანაშაულის რამდენიმე აქტი და დამხმარებ მას ხელი შეუწყო მხოლოდ მომდევნო აქტების განხორციელებაში, დამხმარე წინათ შესრულებული აქტებისათვის, რომლებთანაც იგი არც მიზნობრივად და არც ბრალეულად დაკავშირებული არ არის, პასუხს არ აგებს. იგი პასუხს აგებს მხოლოდ მომდევნო აქტებისათვის, რომელთა განხორციელებასაც ხელს უწყობდა<sup>3</sup>. წინა, უკვე განხორციელებული სტადიების მიმართ შეუძლებელია დახმარება, „ვინაიდან შეუძლებელია ხელი შევუწყოთ უკვე დამთავრებულ სტადიას“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გ. ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, გამ. „მეცნიერება“, თბილისი, 1965, გვ. 29.

<sup>2</sup> 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მოქმედების პერიოდში ასეთ მითვისებას განიხილავდნენ არა როგორც ერთ განგრძობად დანაშაულს, არამედ როგორც განმეორებით მითვისებას. ამ საკითხზე იხ. გ. ტყეშელიაძის დასახ. ნაშრ., გვ. 34-36.

<sup>3</sup> როგორც მართებულად მიუთითებს გ. ტყეშელიაძე, „ამის გამო ასეთ შემთხვევაში შეიძლება თანამონაწილის მოქმედება არ დაკვალიფიცირდეს იმავე დანაშაულის შემადგენლობით, რომელსაც ამსრულებლის მოქმედება შეიცავს“ (იხ. გ. ტყეშელიაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39).

<sup>4</sup> იხ. ვ. სოლნარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

განგრძობადი დანაშაულისაგან უნდა განვასხვავოთ მყოვარი დანაშაული. მყოვარ დანაშაულად ითვლება ისეთი დანაშაული, რომელიც დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში განუწყვეტლად ხორციელდება. მყოვარი დანაშაულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, დეზერტირობა, იარაღის უკანონოდ ტარება და ა.შ. ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი მის ჩადენისთანავე არ თავდება, არამედ განუწყვეტლად მიმდინარეობს განსაზღვრული დროის განმავლობაში. იგი მთავრდება მაშინ, როცა მოისპობა დანაშაულებრივი მდგომარეობა (უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი შეძლებს თავი გაითავისუფლოს ან მას სხვები გაათავისუფლებენ; დეზერტირი თვით გამოცხადდება სამხედრო ნაწილში ბრალის აღიარებით ან მას შეიპყრობენ და ა.შ.).

რამდენადაც მყოვარი დანაშაულის დროს აღგილი აქვს დანაშაულის შემადგენლობის განუწყვეტელ განხორციელებას, ამდენად თანამონაწილეობა მყოვარ დანაშაულში შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეწყდება. ამიტომ დეზერტირს შეიძლება დახმარება აღმოუჩინო არა მარტო წინასწარ მოსამზადებელ სტადიაში ან გაქცევის მომენტში, არამედ მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე დეზერტირობის მდგომარეობა გრძელდება.

შენადგენი დანაშაული — ისეთი დანაშაულია, რომლის დროსაც „ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედობა ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ სხვა, მესამე ერთიან დანაშაულს ქმნიან“<sup>1</sup>. შენადგენი დანაშაულია, მაგალითად, გაძარცვა ძალადობის გამოყენებით (მუხ. 92-ე, ნაწ. მე-2).

შენადგენ დანაშაულში დახმარების საკითხი ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც შენადგენ დანაშაულში თანაამსრულებლობის საკითხი. სახელდობრ, დახმარედ უნდა ჩაითვალოს ის პირი, ვისი მოქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შენადგენ დანაშაულთან მთლიანად. თუ შენადგენი დანაშაულის ცალკეული ნაწილები დროის მიხედვით ერთმანეთს მისდევენ, მაგალითად, ჯერ ძალადობა იხმარეს დაზარალებულზე და შემდეგ ქონება გაიტაცეს, აქ უნდა განვასხვავოთ რამდენიმე შემთხვევა: 1) დამხმარე მონაწილეობას იღებს მხოლოდ შენადგენი დანაშაულის

<sup>1</sup> გ. ტყემელიაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48.



პირველი აქტის (ძალადობის) შესრულების დროს, ხოლო ქონების გატაცებაში ის არ ეხმარება. აქ დამხმარის მოქმედება მაინც მიზეზობრივ კავშირშია მთლიანად გაძარცვასთან, ვინაიდან ძალადობა აუცილებელი პირობა იყო ქონების გატაცებისა. თუ სუბიექტთა განზრახვა ვრცელდებოდა არა მარტო ძალადობის აქტზე, არამედ ქონების გატაცებაზეც, იგი განიხილება, როგორც გაძარცვის თანამონაწილე.

2) დამხმარე ხელს უწყობს მეორე სტადიაზე, ე.ი. ეხმარება ამსრულებელს ქონების გატაცებაში. აქ, თავის მხრივ უნდა განვასხვაოთ ორი შემთხვევა: ა) თუ დამხმარე წინასწარ შეთანხმებული იყო ამსრულებელთან, რომ იგი დაეხმარებოდა მას სწორედ ამ სტადიაზე, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საფეხურზე უწყობს იგი ხელს დანაშაულის ასრულებას, ვინაიდან მისი მოქმედება როგორც მიზეზობრივ, ისე ბრალეულ კავშირშია მთლიანი შენადგენი დანაშაულის ასრულებასთან. მართალია, ფიზიკურ დახმარებას იგი მხოლოდ მეორე სტადიაზე უწევს, მაგრამ დახმარების წინასწარი აღთქმით იგი განამტკიცებს ამსრულებლის განზრახვას ძალადობის აქტის მიმართ; ბ) თუ წინასწარ შეპირებას ადგილი არ ჰქონია, დამხმარე შემთხვევით აღმოჩნდება დანაშაულის ადგილას მას შემდეგ, რაც ძალადობის აქტი უკვე შესრულებულია, და ხელს შეუწყობს ქონების გატაცებას, ასეთ შემთხვევაში დამხმარის მოქმედება არ არის მიზეზობრივ კავშირში ძალადობასთან. მას არ ჰქონია არც ბრალეული დამოკიდებულება, რადგან ძალადობა მანამდე იყო შესრულებული, ვიდრე იგი დანაშაულის შესახებ რამეს გაიგებდა. როგორც უკვე აღნიშნული იყო, მოწონებას დანაშაულის დამთავრების შემდეგ არ შეუძლია შეავსოს არარსებული მიზეზობრივი და ბრალეული კავშირი. ამიტომ ასეთი პირი, საქმის გარემოებების მიხედვით, პასუხს აგებს ქურდობისათვის ან ძალადობის გარეშე ჩადენილი გაძარცვისათვის.

დაბოლოს, საჭიროა განვიხილოთ თანამონაწილეობის საკითხი ეგრეთ წოდებული საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს<sup>1</sup>. საფრთხის შემქმნელ დელიქტებად ითვლებიან დანაშაულის ისეთი შემადგენლობანი, რომელთა დამთავრებისათვის არ არის საჭირო ზიანის მიყენება

<sup>1</sup> დაწვრილებით ამ დელიქტების შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომი — დანაშაულის მოზადება და მცდელობა, საქ. სსრ მეცნ. აკადემ. გამოც., თბ., 1961, გვ. 49-59.

ამა თუ იმ ობიექტებისათვის, არამედ საკმარისია ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა. ლიტერატურაში საფრთხის შემქმნელ დელიქტებს ხშირად „შეკვეცილ შემადგენლობებს“ უწოდებენ. „შეკვეცილი შემადგენლობის“ კონსტრუქციის მომხრენი განასხვავებენ ერთმანეთისაგან დანაშაულის „მატერიალურ“ ანუ „ბუნებრივ“ დამთავრებას დანაშაულის „იურიდიული“ დამთავრებისაგან. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი ბინდინგი დანაშაულს მატერიალურად დამთავრებულად თვლის მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე განახორციელებს ნორმით აკრძალული ქმედობის ყველა ნიშანს (თანაც, ბინდინგის აზრით, ნორმა მოცემულია არა სისხლის სამართლის კანონში, არამედ სისხლის სამართლის კანონის გარეშე).

დანაშაულის მატერიალური დამთავრება, ბინდინგის აზრით, შეიძლება ემთხვეოდეს მის ფორმალურ დამთავრებას, ე.ი. სისხლის სამართლის კანონის დისპოზიცია შეიძლება შეიცავდეს მითითებას დანაშაულებრივ შედეგზე როგორც შემადგენლობის აუცილებელ ნიშანზე. მაგრამ ზოგჯერ კანონის დისპოზიცია არ შეიცავს მითითებას ობიექტისათვის ზიანის მიყენებაზე, თუმცა დანაშაულის ბუნებრივი, მატერიალური არსი ამ შედეგს გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის მატერიალური და ფორმალური დამთავრება ერთმანეთს არ ემთხვევა, ფორმალურად იგი უფრო ადრე თავდება, ვიდრე ბუნებრივად უნდა დამთავრებულიყო<sup>1</sup>.

საბჭოთა ლიტერატურაში დანაშაულის „შეკვეცილი შემადგენლობის“ კონსტრუქციას მხარს უჭერენ პროფ. ა. პიონტოვსკი<sup>2</sup>, პროფ. ნ. დურმანოვი<sup>3</sup> და სხვ. უკანასკნელ ხანს მის დამცველად გამოვიდა აგრეთვე მ. კოვალიოვი<sup>4</sup>.

„შეკვეცილ შემადგენლობათ“ კონსტრუქციის აღიარებიდან თანამიმდევრულად გამომდინარეობს თანამონაწილეობის ცნების გაფართოება. სახელდობრ, ამ შეხედულების თანახმად, შეკვეცილ დანა-

<sup>1</sup> K. Binding, Die Normen und ihre Übertretungen, Leipzig, 1890, Bd. I. S. 9-13.

<sup>2</sup> იხ. А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 496-499.

<sup>3</sup> იხ. Н. Л. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 48-49.

<sup>4</sup> იხ. მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 115-120.

შაულში თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობდა ამსრულებელს დანაშაულის შემადგენლობის შესრულებამდე, არამედ ისეთიც, რომელიც შეუერთდა მას დანაშაულის შემადგენლობის ფორმალურად დამთავრების შეძლევა. მაგრამ მის მატერიალურ დამთავრებამდე. მაგალითად, ქონების გატაცება, „შეკვეცილ“ შემადგენლობათა მომხრეების აზრით, შეკვეცილი დანაშაულია, რადგან, თუმცა კანონის დისპოზიციის მიხედვით იგი დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაუფლება ქონებას მისაკუთრების მიზნით, მაგრამ მისი ბუნებრივი დამთავრება გულისხმობს ქონების ფაქტიურ გამოყენებას ქურდის მიერ. ამიტომ ყოველგვარი მოქმედება, რომელსაც ადგილი აქვს ქონების გატაცების ფაქტის შემდეგ და რომელიც ხელს უწყობს უკვე გატაცებული ქონების გამოყენებას (დამნაშავისა და დანაშაულის კვალის დაფარვა, დანაშაულის ნაყოფით სარგებლობა, გატაცებული ქონების რეალიზაციაში მონაწილეობა და სხვ), „შეკვეცილ“ შემადგენლობათა მიმდევრების აზრით, ქონების გატაცებაში თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს. და რადგანაც „შეკვეცილ“ შემადგენლობათა მიმდევრებს ისეთი ტენდენცია ახასიათებთ, რომ ამ სახის შემადგენლობებს ისინი დანაშაულთა დიდ უმრავლესობას აკუთვნებენ, გასაგებია, თუ როდენ უნდა გაიზარდოს თანამონაწილეობის სფერო.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კრიმინალისტიკების ის წარმომადგენლები, რომლებიც „შეკვეცილ შემადგენლობათა“ თეორიას იზიარებენ, ასე შორს არ მიდიან. მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკი, რომელიც ამ თეორიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია ჩვენში, არ თვლის თანამონაწილეობად მონაწილეობას მოპარული ნივთის რეალიზაციაში ან დანაშაულის კვალის დაფარვაში<sup>1</sup>.

„შეკვეცილი შემადგენლობის“ კონსტრუქციას უფრო თანამიმდევრულად იცავს მ. კოვალიოვი. „სწორი არ არის შეხედულება – წერს იგი, – თითქოს თანამონაწილე შეიძლება მხოლოდ ის პირი იყოს, ვინც მონაწილეობდა დანაშაულში მისი შემადგენლობის დამთავრების მომენტამდე, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტიური ხანგრძლივობა ყოველთვის როდი ემთხვევა მისი შემადგენლობის დამთავრე-

<sup>1</sup> ა. პიონტკოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 595.

ბის მომენტის საკანონმდებლო აღწერას<sup>1</sup>. შემადგენლობის შექმნის დროს, მ. კოვალიოვის აზრით, კანონმდებელმა შეიძლება მხედველობაში არ მიიღოს დანაშაულის მრავალი სხვადასხვაგვარი ნიშანი. „დანაშაულის ფაქტიური დამთავრების მომენტი შეიძლება ემთხვეოდეს და შეიძლება არ ემთხვეოდეს კანონით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის დამთავრების მომენტს, ვინაიდან ეს მომენტი განისაზღვრება არა კანონმდებლის ნებით, არამედ დანაშაულის სპეციფიკით“<sup>2</sup>.

ასეთი დანაშაულობანი, მ. კოვალიოვის აზრით, არიან მყოვარი, განგრძობადი და შეკვეცილი შემადგენლობანი. ამ სამი სახის შემადგენლობებში მ. კოვალიოვი შესაძლებლად თვლის თანამონაწილეობას დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგ „... პრაქტიკულად, – ლაპარაკობს იგი, – აღნიშნული დაფარვა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დახმარება მხოლოდ მყოვარ, განგრძობად და შეკვეცილი შემადგენლობის მქონე დანაშაულებებში“<sup>3</sup>.

გფიქრობთ, რომ დანაშაულის დამთავრების ცნება განისაზღვრება არა ამ დანაშაულის სპეციფიკით, არამედ იმით, თუ როგორ აღწერს დანაშაულის შემადგენლობას კანონმდებელი. მ. კოვალიოვის შეხედულებას რომ თანამიმდევრულად გაეყვეთ, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ „შეკვეცილი“ შემადგენლობის ყველა ნიშნის შესრულება, რომელიც კანონმდებლის თვალსაზრისით, დამთავრებული დანაშაულის ცნებას მოგვცემდა, უნდა ჩაკვეთვალა არა დამთავრებულ დანაშაულად, არამედ დანაშაულის მცდელობად. მართლაც, თუ ჩვენ არ მივყევით კანონმდებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციას და ვცნობთ, რომ კანონმდებლის მიერ აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების სრულად შესრულების შემდეგ დანაშაულში თანამონაწილეობა კიდევ შესაძლებელია, ვინაიდან, ამ დანაშაულის სპეციფიკურობის ნიშნების მიხედვით, ის, რაც კანონშია აღწერილი, არსებითად წარმოადგენს არა დამთავრებულ დანაშაულს, არამედ მხოლოდ მცდელობას ან თვით მომზადებასაც კი, მაშინ საწინააღმდეგო დასკვნაც უნდა გაეაკეთოთ და ვამტკიცოთ: თუმცა

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 116-117.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 120.

კანონმდებელმა ეს დანაშაული დამთავრებულად ჩათვალა, მაგრამ არსებითად აქ არის მომზადება ან მცდელობა და სუბიექტი უნდა დაისაჯოს დაუმთავრებელი და არა დამთავრებული დანაშაულისათვის.

სინამდვილეში დანაშაულის დამთავრების ცნება პირობითი ცნებაა და იგი მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღწერა კანონმდებელმა დანაშაულის შემადგენლობა. მაგალითად, საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მიხედვით, ყაჩაღობად ითვლებოდა „სხვისი ქონების ამკარად თავდასხმით გატაცება, რასაც თან სდევდა დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობით დამუქრება“. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად კი ყაჩაღობად ითვლება „თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“. ამ ორი სხვადასხვა საკანონმდებლო კონსტრუქციის თანახმად ყაჩაღობა პირველ შემთხვევაში დამთავრებულად ითვლებოდა ქონების დაუფლების შემდეგ, ამჟამად კი იგი დამთავრებულად ითვლება ძალადობის ან მუქარის გამოყენების შემდეგ. მოსამართლისათვის ეს საკანონმდებლო კონსტრუქცია სავალდებულოა და მას უფლება არა აქვს რაიმე ცვლილება შეიტანოს მასში. არავითარი სხვაგვარი ცნება დამთავრებული დანაშაულისა, რომელსაც თითქოსდა იცნობს სასამართლო პრაქტიკა და არ იცნობს კანონმდებელი, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, თუ ჩვენ არ გვსურს მართლმსაჯულების განხორციელებაში თვითნებობა და სუბიექტივიზმი შევიტანოთ.

მ. კოვალიოვის მიერ მითითებული ეგრეთწოდებული განგრძობადი და მყოვარი დანაშაულებანი არავითარ კავშირში არ არიან „შეკვეცილ“ შემადგენლობებთან. როგორც უკვე დავინახეთ, მყოვარ დანაშაულს ახასიათებს შემადგენლობის განხორციელების უწყვეტლობა იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულებრივი მდგომარეობა არ მოისპობა და ამ მომენტამდე თანამონაწილეობა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ხოლო განგრძობად დანაშაულს ახასიათებს ის, რომ იგი შედგება რამდენიმე დამთავრებული აქტისაგან, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით (და არა ბუნებრივი თვისებების გამო) გაერთიანებულა ერთ დანა-

შაულად. აქ თანამონაწილეობა, თუ იგი წინასწარ შეპირებული არ იყო, შეიძლება მხოლოდ თითოეულ მომდევნო აქტში და არა იმ აქტში, რომელიც უკვე დასრულებულია.

როგორ უნდა გადაწყდეს თანამონაწილეობის, კერძოდ, დახმარების საკითხი საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს (რომელთაც ზოგიერთი კრიმინალისტი „შეკვეცილ“ შემადგენლობას უწოდებს)? ავიღოთ საილუსტრაციოდ ყაჩაღობა, რომელიც მოქმედი კანონის თანახმად დამთავრებულად ითვლება არა ქონების ფაქტიურად დაუფლების მომენტიდან, არამედ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ან ასეთი ძალადობის მუქარის განხორციელების მომენტიდან. აქ უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა: თუ დამხმარე წინასწარ შეუთანხმდა ამსრულებელს, რომ იგი ხელს შეუწყობს მას ქონების გატაცებაში ან გატაცებული ქონების დამალვაში, ასეთი დაპირება განხილულ უნდა იქნეს როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში. თუ წინასწარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია და მეორე პირი შემთხვევით აღმოჩნდა დანაშაულის ჩადენის ადგილას მას შემდეგ, როდესაც ძალადობის აქტი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ გატაცების დამთავრებამდე, და მან ხელი შეუწყო ამსრულებელს გატაცების აქტის განხორციელებაში, იგი დაისჯება იმ დანაშაულისათვის, რის შესრულებასაც მან ხელი შეუწყო, ე.ი. ან აშკარა გატაცებისათვის ძალადობის გარეშე ან ქურდობისათვის. დაბოლოს, თუ პირი წინასწარი შეთანხმების გარეშე დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაპოვნ საგნებს, იგი დაისჯება არა სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, არამედ დანაშაულის დაფარვისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლში.

დახმარების სუბიექტური მხარე შეიძლება მხოლოდ განზრახ ბრალში გამოიხატებოდეს. გაუფრთხილებელი დახმარება, ისევე როგორც საერთოდ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა, შეუძლებელია. მართალია, დამხმარის ცნების განსაზღვრებისას კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, რომ დამხმარე მხოლოდ ის არის, ვინც განზრახ მოქმედებს, მაგრამ ეს მომენტი აღნიშნულია თანამონაწილეობის ზოგადი ცნების განსაზღვრებისას.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, იქ არა ერთხელ ყოფილა მითითებული, რომ დამხმარედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, ვინც იცის ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ და შეგნებულად უწყობს ხელს მის ჩადენას. ასე, მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც მოქ. ბოგომოლოვმა დაუდევრობით უმეთვალყურეოდ დააგლო რევოლვერი, რომლითაც ისარგებლეს ბანდის წევრებმა ბანდიტური თავდასხმის მოსაწყობად. ბოგომოლოვის დაუდევრობა ობიექტურად მიზეზობრივ კავშირში იყო ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმასთან, მაგრამ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უარყო მის მოქმედებაში დახმარება, ვინაიდან მას არ ჰქონდა შესაბამისი განზრახვა<sup>1</sup>.

ანალოგიური დებულება გამოთქმული იყო აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 25 მაისის განჩინებაში ფ. გუსეინოვის საქმეზე. განჩინებაში ნათქვამია: „რაიმე საბუთი, იმის დამადასტურებელი, რომ ფ. გუსეინოვმა ჩაიდინა განზრახი მოქმედება, რომელიც მიმართული იყო მ. გუსეინოვის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დახმარების აღმოჩენაზე, საქმეში არ არის. ასეთ პირობებში სასამართლოს დასკვნა, რომ ფ. გუსეინოვი თანამონაწილე იყო დაზარალებულის მკვლელობისა, მხოლოდ ვარაუდზეა დამყარებული და საქმის ფაქტიურ გარემოებებს არ შეესაბამება“<sup>2</sup>.

დამხმარე უნდა ითვალისწინებდეს, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობს სხვა პირს დანაშაულის ჩადენაში, მაშასადამე უნდა ითვალისწინებდეს მიზეზობრივ კავშირს თავის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. წამქეზებლის განზრახვასთან შედარებით დამხმარის განზრახვას ერთგვარი თავისებურება ახასიათებს. სახელდობრ, თუ წამქეზებლის წარმოდგენაში განსაზღვრული უნდა იყოს არა მარტო დანაშაული, არამედ აგრეთვე ამსრულებელიც, დამხმარესათვის არ არის სავალდებულო, რომ მას ზუსტად ჰქონდეს წარმოდგენილი ამსრულებლის ფიგურა. დამხმარემ შესაძლებელია დახმარება

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, №6, стр. 32-33.

<sup>2</sup> „Бюллетень Верховного суда СССР“, 1962, №4, стр. 37.

აღმოუჩინოს დანაშაულის ჩამდენს იმ მომენტშიც, როცა ამსრულებელი ჯერ გამორკვეული არ არის. მაგალითად, პირმა შეიძლება გადასცეს საშუალება დანაშაულის ჩასადენად ორგანიზატორს, რომელსაც ჯერ კიდევ თვითონაც არ გაურკვევია, თუ ვის დაავალებს დანაშაულის უშუალოდ განხორციელებას. თვით დანაშაულებრივი ქმედობა, რომელსაც დამხმარე ხელს უწყობს, პირიქით დამხმარისათვის ცნობილი უნდა იქნეს. მაშასადამე, საკმარისი არ არის დამხმარემ იცოდეს, რომ იგი სხვებთან ერთად მოქმედებს, არამედ აუცილებელია იცოდეს, თუ რომელი დანაშაულის ჩადენას უწყობს ხელს.

დამხმარის განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური, ე.ი. მას შეიძლება სურდეს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება, მაგრამ იგი შეიძლება აგრეთვე შეგნებულად უშვებდეს ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. მ. შნეიდერს მოჰყავს ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულის ასეთი მაგალითი: ვორონმა ხათრი ვერ გაუტეხა თავის მეგობარს გლაზოვს და ათხოვა მას რევოლვერი, თუმცა იცოდა, რომ გლაზოვი აპირებდა დანილოვის მოკვლას. ვორონის არ სურდა დანილოვის მკვლელობა, პირიქით, იგი ცდილობდა დაეშალა გლაზოვისათვის დანაშაულის ჩადენა, მაგრამ, როცა ვერ გადაათქმევინა, ათხოვა რევოლვერი კაცის მოსაკლავად<sup>1</sup>. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ევენტუალურ განზრახვასთან.

არ არის საჭირო, რომ დამხმარის მოქმედების მიზანი და მოტივი იგივე იყოს, რაც ამსრულებლისა. ამსრულებელი შეიძლება ანგარების მოტივით მოქმედებდეს, ხოლო დამხმარე შეიძლება მეგობრისათვის დახმარების სურვილი ან რაიმე სხვა უანგარო მოტივი ამოძრავებდეს. ამ მხრივ საინტერესოა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ლაპტევის საქმეზე. პავლოდარის საოლქო სასამართლომ ლაპტევა დაშნაშავედ სცნო რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმის გამო, რომ კავშირგაბმულობის სახანოტექნიკური ხაზის მოლარის თანამდებობაზე მუშაობის დროს 1949 წელს მისცა ამავე ხაზის მთავარ ბულალტერს ბულაევს და კავშირგაბმულობის სატრანსპორტო კანტორის მთავარ ბულალტერს პროდუბ-

<sup>1</sup> მ. შნეიდერი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.



ნიკოს 1582 მან., ხოლო შემდეგ ბულაევის თხოვნით, შეადგინა ამ თანხაზე ფიქტიური უწყისი, ვითომდა ჩატარებული მუშაობის ანაზღაურების შესახებ და უწყისში ყალბად ხელი მოაწერა მუშების მაგიერად. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ 1951 წლის 21 თებერვლის განჩინებით ეს განაჩენი არასწორად ჩათვალა და მიუთითა: „სასამართლომ არასწორად შეაფასა ლაპტევას მოქმედება როგორც სამსახურებრივი სიყალბე, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ვინაიდან თუმცა ლაპტევამ სიყალბე ანგარების მოტივის გარეშე ჩაიდინა, მაგრამ მისი მიზანი იყო შესაძლებლობა მიეცა ბულაევისა და პროდუბნიკოვისათვის ჩაედინათ სახელმწიფო თანხის გატაცება, თანაც მისცა მათ სალაროდან ფული. ასეთ პირობებში ლაპტევამ პასუხი უნდა აგოს ფულის გატაცების დახმარებისათვის, მაგრამ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ლაპტევა ბულაევისათვის დაქვემდებარებული პირი იყო, იგი დანაშაულის ჩადენის დროს, როგორც ეს საქმის მასალებიდან ჩანს, ანგარების მოტივით არ ხელმძღვანელობდა და რომ ლაპტევას კმაყოფაზე ჰყავს ბავშვი“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1951 №6, стр. 6.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია უარყოფს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის რაიმე კავშირს ამსრულებლის პასუხისმგებლობასთან და განიხილავს ორგანიზატორის, წამქეზებელის და დამხმარის მოქმედებებს როგორც დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედობებს, რომლებიც დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობებს შეესაბამებიან. „რამდენი დანაშავეც არის, იმდენივეა დანაშაული“, – ამტკიცებდა ამ შეხედულების თანამიმდევარი დამცველი, რევოლუციამდელი კრიმინალისტი ფონინციკი. ასეთი შეხედულება, როგორც უკვე ნათქვამი იყო, წარმოადგენს თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრულ გაუქმებას და ემყარება იმ იდეას, რომ პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი არის სუბიექტის ბრალი, უფრო სწორად, მისი ანტისოციალური ფსიქიკური განწყობილება და არა, მასთან ერთად, ქმედობა და მისი ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება.

ამის საწინააღმდეგოდ, თანამონაწილეობის ძველი, ჰიპერაქცესორული თეორია მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა და ლოგიკური თანამიმდევრობით აღიარებდა არა მარტო თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განპირობებულობას ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულით, არამედ აგრეთვე თანამონაწილეთა დასჯადობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის დასჯადობაზე. ასეთი შეხედულება განიხილავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას როგორც პასუხისმგებლობას არა საკუთარი, არამედ სხვისი ბრალისათვის. იგი შეუთავსებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან, რომელიც განუხრელად ბატონობს საბჭოთა სისხლის სამართალში.

განსხვავებით ამ ორი უკიდურესი შეხედულებისაგან, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღიარებს თანამონაწილეთა აქცესორულ პასუხისმგებლობას იმდენად, რამდენადაც საქმე შეეხება თვით ამ პასუხისმგებლობის არსებობის საფუძველს. სახელდობრ, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ამსრულებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა. აქედან გამომ-

დინარეობს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულისათვის, რომელსაც ჩადის ამსრულებელი. მაგრამ ეს არ არის პასუხისმგებლობა სხვისი დანაშაულისა და სხვისი ბრალისათვის. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ყოველი თანამონაწილე პასუხს აგებს იმიტომ, რომ თვით მისი მოქმედება მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან და მას ამ შედეგის მიმართ აქვს ბრალეული დამოკიდებულება.

თანამონაწილეობის აქცესორული პასუხისმგებლობის პრინციპი გულისხმობს, ამგვარად, ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას. ეს ნიშნავს, რომ თანამონაწილეობა არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ამსრულებლის მოქმედებამ დასჯად სტადიას მიაღწია. რამდენადაც საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად უკვე დანაშაულის მოშზადება წარმოადგენს დასჯად სტადიას, ამდენად თანამონაწილის დასჯადობისათვის აუცილებელია, რომ ამსრულებელს მოსამზადებელი მოქმედება მაინც ჰქონდეს ჩადენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება აღვლით ჰქონდეს არა თანამონაწილეობას დანაშაულში, არამედ უშედეგო წაქეზებას ან დახმარებას, რომელიც არ შეიძლება დაისაჯოს როგორც თანამონაწილეობა.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი თავის გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, თანაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის კვალიფიკაციის შემთხვევაში, გარდა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სათანადო მუხლზე მითითებისა, აუცილებელია აგრეთვე მითითება კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ მუხლზე, რომელიც თანამონაწილეობას შეეხება. მაგალითად, ანგარებით მკვლელობის წაქეზების კვალიფიკაციის დროს საჭიროა მითითება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-104-ე მუხლებზე. ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში თანამონაწილეთა მოქმედებანი კოდექსის სხვადასხვა მუხლით დაკვალიფიცირდეს. ასეთ შემთხვევებზე საუბარი გვექნა პარაგრაფში, რომელიც ეხებოდა თანამონაწილეთა აქცესორულ თუ დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას<sup>1</sup>.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი აღი-

---

<sup>1</sup> დაწერილებით აღნიშნულ საკითხზე იხ. მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. მე-2, გვ. 139-144.

არებულია არა მარტო საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, არამედ აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებშიც. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ ნათქვამია: „თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯადობის მიმართ გამოიყენება დადგენილებანი დანაშაულებრივი ქმედობის ამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯადობის შესახებ, თუ ეს კანონი რაიმე სხვას არ ითვალისწინებს“ (§ 10, პ. მე-2). ანალოგიური ხასიათის ნორმა შეტანილი უნგრეთის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვით „თანამონაწილებს უნდა შეეფარდოს სასჯელის იგივე ღონისძიება, რაც ეფარდება ამსრულებელს“ (§ 14, პ. მე-3).

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი არ გამოირჩევა მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, სახელდობრ, სასჯელის ზომის კონკრეტიზაციას დანაშაულში, მათი მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის, აგრეთვე მათი ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებული მთელი რიგი განსაკუთრებული პრობლემები, რომლებზედაც მომდევნო პარაგრაფებში შეეჩერდებით.

## § 1. ამსრულებლის ექსცესი

თანამონაწილე, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, პასუხს აგებს იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, მაგრამ იბადება კითხვა: როგორია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელი გასცილდა საერთო დანაშაულებრივ განზრახვას და უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე ეს საერთო განზრახვით იყო გათვალისწინებული (ამსრულებლის ექსცესი)?

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობანი, ამ საკითხზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სპეციალურად არგ-

ულირებს ამსრულებლის ექსცესისათვის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს. ამ კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად, „თუ ამსრულებელმა ჩაიდინა უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე ის, რისთვისაც მას აგულიანებდნენ, წამქეზებელი პასუხს აგებს იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენისთვისაც იგი ამსრულებელს აქეზებდა“.

რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი აწესრიგებს მხოლოდ წამქეზებლის პასუხისმგებლობას ექსცესისათვის, მაშინ როდესაც ამ საკითხს უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს: სახელდობრ, ექსცესისათვის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე თანამსრულებლის, ორგანიზატორისა და დამხმარის მიმართაც.

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ ამსრულებლის ექსცესის ორ სახეს: რაოდენობრივ ექსცესს და თვისობრივ ექსცესს.

რაოდენობრივ ექსცესად ითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელმა ჩაიდინა იმავე გვარის დანაშაული, რომელიც მოცული იყო თანამონაწილის განზრახვით, მაგრამ უფრო მძიმე. მაგალითად, თანამონაწილენი შეთანხმდნენ ქურდობის ჩასადენად, ამსრულებელმა კი ქონება ძალადობით გაიტაცა, ან თანამონაწილენი შეთანხმდნენ სხეულის დაზიანებაზე, ამსრულებელმა კი მკვლელობა ჩაიდინა.

თვისობრივ ექსცესად ითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელმა ჩაიდინა არა ერთგვაროვანი, არამედ თვისობრივად სხვა დანაშაული: მაგალითად, წამქეზებელი აგულიანებდა ქურდობის ჩასადენად, ხოლო ამსრულებელმა ამის მაგივრად გაუპატიურება ან მკვლელობა ჩაიდინა.

ორივე შემთხვევაში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი ბრალის საერთო პრინციპების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. სახელდობრ, თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რაც მისი განზრახვით იყო მოცული. ითვალისწინებდა თუ არა თანამონაწილემ კონკრეტულ დანაშაულებრივ შედეგს, არსებითად წარმოადგენს მიზეზობრიობის კავშირის გათვალისწინების საკითხს. როგორც ცნობილია, განზრახვა სულაც არ გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის თითოეულ ცალკეულ რგოლს, საკმარისია იგი ითვალისწინებდეს ამ კავშირის ძირითად რგოლებს. ამ დებულებას მნიშ-

ენელობა აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა დამნაშავე უშუალო მონაწილეობას არ იღებს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ აქეზებს ან დახმარებას უწევს სხვას დანაშაულის ჩადენაში და ა.შ. ცხადია, მიზეზობრივი კავშირის განვითარებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასში შესამე შერაცხადი პირის ნებელობითი მოქმედება ჩართული, იმდენი კონკრეტული თავისებურება ახასიათებს, რომ სრულ დამთხვევას იმ პროცესს შორის, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა თანამონაწილეს, და მიზეზობრივი კავშირის ფაქტიურ პროცესს შორის არასდროს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ასეთი აბსოლუტური დამთხვევა არც მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც დანაშაულს ერთი პირი ჩადის. ამ შემთხვევაშიც მიზეზობრივი კავშირის განვითარების ზოგიერთი რგოლი მოქმედს შეიძლება გათვალისწინებული არ ჰქონდეს, მაგრამ განზრახ ბრალს ეს ვერ გამორიცხავს.

ბრალის ამ ზოგადი პრინციპების თანახმად თანამონაწილე პასუხს არ აგებს ამსრულებლის მიერ დაშვებული ექსცესისათვის, როდესაც თანამონაწილის წარმოდგენასა და ამსრულებლის მიერ ფაქტიურად შესრულებულ ქმედობას შორის არსებითი სხვაობა არსებობს.

ასეთი არსებითი სხვაობა არსებობს, უპირველეს ყოვლისა, თვისობრივი ექსცესის დროს, ე.ი. როდესაც ამსრულებელმა თვისობრივად სხვაგვარი დანაშაული ჩაიდინა. ამ შემთხვევაში არც კი შეიძლება ვილაპარაკოთ მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე თანამონაწილის მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის. ამსრულებელი, როგორც მ. კოვალიოვი ამტკიცებს, „გადაწყვეტს დანაშაულის ჩადენას უკვე წამქეზებლისა და დამხმარის გარეშე, საკუთარი მოსაზრებების გამო, რომლებიც მეტად დაშორებული არიან, ზოგჯერ კი სავსებით ეწინააღმდეგებიან იმ მოსაზრებებს, რასაც მას თანამონაწილენი უნერგავდნენ“<sup>1</sup>. მით უმეტეს არ შეიძლება ვილაპარაკოთ თანამონაწილეთა ბრალზე. ამიტომ თვისობრივი ექსცესის დროს აღარ არის წამქეზებელი ან დამხმარე, არსებითად აქ საქმე გვაქვს უშედეგო წაქეზებასთან და დახმარებასთან, ხოლო ის პირები, რომლებიც ცდილობდნენ წაექეზებინათ ან დახმარება აღმოეჩინათ სხვისთვის დანაშაულის ჩადენაში, პასუხს აგებენ ამ დანაშაულის მომზადებისათვის.

<sup>1</sup> მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 179.

რაც შეეხება რაოდენობრივ ექსცესს, ე.ი. ისეთ შემთხვევას, როდესაც ამსრულებელმა ერთგვაროვანი, მაგრამ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, აქ საკითხი, ბრალის პრინციპის თანახმად, შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს. თანამონაწილემ ექსცესისათვის პასუხი არ შეიძლება აგოს. თანამონაწილისათვის ექსცესის შერაცხვა ობიექტური შერაცხვა იქნებოდა. მაგრამ რამდენადაც ერთგვაროვან უფრო მძიმე დანაშაულში მოცემულია ამავე გვარის უფრო მსუბუქი დანაშაულის ნიშნები, რომლებიც თანამონაწილის მიერ გათვალისწინებული იყო, იგი პასუხს აგებს ამ უფრო მსუბუქ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. ასე, მაგალითად, თუ თანამონაწილემ წააქეზა პირი ქურდობის ჩასადენად, ამსრულებელმა კი გაძარცვა ჩაიდინა, წამქეზებელი პასუხს აგებს როგორც ქურდობის წამქეზებელი. ან თუ პირი წააქეზებს არაკვალიფიციური ყაჩაღობის ჩასადენად, მან კი კვალიფიციური ყაჩაღობა ჩაიდინა, წამქეზებელი პასუხს აგებს არაკვალიფიციური ყაჩაღობისათვის.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა ურყევად ატარებს იმ დებულებას, რომ ამსრულებლის ექსცესმა არ შეიძლება დაამძიმოს თანამონაწილის პასუხისმგებლობა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამონაწილის ექსცესს შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ვიწრო სახის თანამონაწილეობის, ისე თანამსრულებლობის დროს. თანამსრულებლის ექსცესის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ერთი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან. დოკუევი, მაგამადოვი, ფრეი და ბრაუნი შეთანხმდნენ მოეპარათ უმაროვის ბახჩიდან ნესვი. მაგამადოვი თოფით დაღვა უმაროვის მიწურთან და შეუთანხმდა დანარჩენებს, რომ თუ ბახჩის პატრონი მიწურიდან გამოვიდოდა, იგი ჰაერში თოფს გაისვრიდა და ამით მისცემდა ნიშანს. მაგრამ როდესაც უმაროვი გამოვარდა მიწურიდან და ყვირილი ატეხა, მაგამადოვმა თოფი ესროლა და ორივე ფეხში დაჭრა. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1954 წლის 30 ივნისის განჩინებაში მიუთითა, რომ რამდენადაც დამნაშავენი მხოლოდ ქურდობაზე შეთანხმდნენ, ხოლო უმაროვისათვის თოფის სროლის განზრახვა დაებადა თვითონ მაგამადოვს იმ მომენტში, როდესაც უმაროვი გამოჩნდა, და დანარჩენ

ბრალდებულებს არ მიუციათ მისთვის წინადადება უმაროვისათვის ესროლა, ამიტომ მხოლოდ მაგამადოვმა უნდა აგოს პასუხი მკვლელობის მცდელობისათვის (139-ე მუხლი მე-19 მუხლის მეშვეობით), ხოლო დანარჩენმა დამნაშავეებმა პირადი საკუთრების ქურდობის მცდელობისათვის (რსფსრ სს კოდექსის მე-19 მუხ. და „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების I მუხლის მე-2 ნაწ.).<sup>1</sup>

ამსრულებლის ექსცესის მაგალითს, როდესაც შესრულებულია მეტი, ვიდრე ამას წამქეზბელი ითვალისწინებდა, წარმოადგენს შატოხინას საქმე. შატოხინამ წააქეზა დენისიუკი გაეჭურდა კურიანოვას ბინა. დენისიუკი თავის ამხანაგებთან ერთად შეიჭრა კურიანოვას ბინაში და ფიზიკური ძალადობისა და მუქარის მეშვეობით წაართვა მას 12.000 მან. ღირებულების ნივთები. პირველი ინსტანციის სასამართლომ შატოხინა სცნო თანამონაწილედ ყაჩაღურ თავდასხმაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1947 წ. 1 ოქტომბრის განჩინებაში სავსებით მართებულად მიუთითა, რომ შატოხინა აქეზებდა დენისიუკს მხოლოდ ბინის გასაჭურდავად, „მაგრამ დენისიუკმა თავის თანამონაწილეებთან ერთად ჩაიდინა ყაჩაღობა, რისთვისაც პასუხს აგებენ უშუალოდ ამსრულებლები და არა ის თანამონაწილე, რომელიც არ ითვალისწინებდა ექსცესს და არც სურდა იგი“<sup>2</sup>.

დაბოლოს, სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ამსრულებელმა გადააჭარბა ორგანიზატორის გეგმას. ამის მაგალითია გუროვისა და ზაიცევის საქმე. გუროვი და ზაიცევი სათავეში უდგნენ არასრულწლოვან ხულიგანთა ჯგუფს. აღნიშნულმა ჯგუფმა გადაწყვიტა ეცემა მათი ტოლი არასრულწლოვანებისათვის, რომლებიც ქალაქის სხვა რაიონში ცხოვრობდნენ და მათი რაიონის კლუბში მოდიოდნენ. ამ განზრახვის შესასრულებლად ხულიგნები ორ ჯგუფად გაიყვნენ, ერთ მათგანს გუროვი მეთაურობდა, ხოლო მეორეს — ზაიცევი. გუროვის ჯგუფი თავს დაესხა ორ არასრულწლოვანს და სცემა მათ. ცემის დროს ივანიცევა და ჩერნოუსოვა მოკლეს 16 წლის ღერგუნოვი.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1954, №6, стр. 9-10.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1948, вып. II, стр. 20-21.



სასამართლოში დადგენილ იქნა, რომ თუმცა გუროვი და ზაიცევი მეთაურობდნენ ხულიგანთა ჯგუფს, მაგრამ ისინი აქეზებდნენ დანარჩენებს ხულიგნური მოქმედების ჩასადენად და არა კაცის მოსაკლავად. „მსჯავრდებულნი ივანიცევი და ჩერნოუსოვი, — ნათქვამია რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1963 წლის 8 მაისის დადგენილებაში, — რომლებმაც დერგუნოვი მოკლეს, გასცილდნენ ამგვარად საერთო განზრახვის ფარგლებს, იმ მოქმედებათ საზღვრებს, რომელთა შესახებ არსებობდა შეთანხმება დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის“<sup>1</sup>. ზემოაღნიშნულის საფუძველზე უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიუთითა: „მამსადაძე, გუროვმა და ზაიცევმა, რომლებიც ხულიგნურ მოქმედებათ ჩადენის ინიციატორები იყვნენ, არ შეიძლება პასუხი აგონ მკვლელობისათვის, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი და უფრო მძიმე დანაშაულია და რომელიც არ იყო მოცული მათი განზრახვით, არამედ ჩადენილი იყო ივანიცევის და ჩერნოუსოვის მიერ საკუთარი ინიციატივით.. გუროვმა და ზაიცევმა პასუხი უნდა აგონ მხოლოდ იმ ქმედობათათვის, რომლებიც მათ ფაქტიურად ჩაიდინეს თავიანთი განზრახვის შესაბამისად. გუროვისა და ზაიცევის დანაშაულებრივი ქმედობანი მოცულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 210-ე მუხლით“<sup>2</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ თუ თანამონაწილე ითვალისწინებდა ექსცესის შესაძლებლობას და შეგნებულად უშვებდა მას, ე.ი. თუ თანამონაწილეს შედეგის მიმართ ეკენტიუალური განზრახვა ჰქონდა, იგი პასუხს აგებს ამ შედეგისათვის, თუნდაც მას სპეციალური შეთანხმება არ ჰქონოდა.

ამსრულებლის ექსცესად არ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როდესაც წამქეზებელი ალტერნატიულად აგულიანებდა ამსრულებელს ჩაედინა ან ერთი ან მეორე დანაშაული, მაგალითად ან ქურდობა ან ყაჩაღობა და ამსრულებელმა მეორე უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა. რამდენადაც ეს მეორე, უფრო მძიმე დანაშაული მოცულია თანამონაწილის განზრახვით, ამდენად თანამონაწილე პასუხს აგებს ამ უფრო მძიმე დანაშაულში მონაწილეობისათვის.

<sup>1</sup> „Биulletень Верховного суда РСФСР“, 1963, №8, стр. 6.

<sup>2</sup> იქვე.

თანამონაწილე, კერძოდ, წამქეზებელი, პასუხს აგებს აგრეთვე ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული მძიმე შედეგისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე შეეხება მძიმე შედეგით კალფიცირებულ შემადგენლობას და წამქეზებელს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ეს მძიმე შედეგი. მაგალითად, ა.-მ წააქეზა ბ. მიაყენოს გ.-ს სხეულის მძიმე დაზიანება, თანაც ა.-ს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ამ დაშავების შედეგად გ.-ს სიკვდილის შესაძლებლობა. წამქეზებელი პასუხს აგებს, ამსრულებელთან ერთად, სხეულის მძიმე დაზიანებისათვის, რომელიც სიკვდილით დამთავრდა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის II ნაწ.)<sup>1</sup>.

თანამონაწილე არ შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც ის, რაც ამსრულებელმა შეასრულა, არსებითად არ განსხვავდება იმისაგან, რაზედაც თანამონაწილენი შეთანხმდნენ, როდესაც, მაგალითად, განსხვავება შეეხება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროსა და ადგილს, დანაშაულის ჩადენის საშუალებას, თუ ეს საშუალება დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს არ წარმოადგენს, და ა.შ. როდის არის განსხვავება არსებითი ხასიათისა, ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს არა ზოგადად, არამედ საქმის კონკრეტულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით. არარსებითი ექსცესის მაგალითია ამსრულებლის შეცდომა ობიექტში, თუ დაზიანებული ობიექტი თანასწორფასოვანია იმ ობიექტისა, რომლის დაზიანებაც სურდათ თანამონაწილეებს. მაგალითად ა.-მ წააქეზა ბ. მოეკლა გ. ბ.-მ კი შეცდომით მოკლა დ. წამქეზებელმა პასუხი უნდა აგოს დამთავრებული განზრახი მკვლელობისათვის.

## §2. უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც წამქეზებელმა სცადა დაეყოლიებინა მეორე პირი დანაშაულის ჩასადენად ან დამხმარებ სცადა ხელი შეეწყო დანაშაულის ჩადენისათვის, მაგრამ ამსრულებელმა რაიმე მიზეზის გამო დანაშაული არ ჩაიდინა. როგორ უნდა გადაწყდეს ასეთი უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების საკითხი?

<sup>1</sup> იხ. პერიშაევი, გ. კრივერი, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

უშედეგო წაქეზებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა გარემოების გამო.

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც წამქეზებელი შეეცადა დაეყოლიებინა სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ვერ მოახერხა მისი დაყოლიება. ბურჟუაზიული ავტორების ერთი ნაწილი ასეთ შემთხვევებში აღიარებს უბრალო განზრახვის გამომჟღავნებას, ან უკიდურეს შემთხვევაში, დანაშაულის მომზადებას, რომელიც არ უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას იზიარებდნენ უფრო ძველი ბურჟუაზიული კოდექსები. პირიქით, რიგი მოქმედი ბურჟუაზიული კოდექსებისა ითვალისწინებენ ასეთი წაქეზების დასჯადობას. ასე, მაგალითად, ბელგიამ 1875 წლის 7 ივლისს, გერმანიის მთავრობის მოთხოვნით, მიიღო კანონი, რომელიც სჯის იმ პირს, ვინც წინადადებას მისცემს ან წააქეზებს სხვა პირს ჩაიდინოს დანაშაული, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ან საკატორლო მუშაობას. აღნიშნული კანონის მიღება გამოწვეული იყო იმით, რომ ვინმე დიუმნესი, ბელგიელი მოქალაქე, გამოცხადდა პარიზის არქიეპისკოპოსთან და განუცხადა, რომ მზად არის იკისროს გერმანიის იმპერიის კანცლერის, ბისმარკის მოკვლა. ამიტომ ანალოგიური ხასიათის კანონებს შემდეგ შეერქვა *Duschncsparagraf*. გერმანიაში მსგავსი კანონი მიღებული იყო 1876 წლის 26 თებერვალს, ხოლო შემდეგ იგი შეივსო 1943 წლის 29 მაისის ნოველით. სახელდობრ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, „ვინც შეეცდება დაიყოლიოს სხვა ისეთი მოქმედების ჩასადენად, რომელიც ისჯება კანონით როგორც დანაშაული, დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის დადგენილი წესების თანახმად“.

ანალოგიური ნორმა შეტანილია შეეცარიის 1937 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. „მას, ვინც შეეცდება დაიყოლიოს პირი დანაშაულის ჩასადენად, შეეფარდება სასჯელი, გათვალისწინებული ამ დანაშაულის მცდელობისათვის“.

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, Н. С. Таганцев, *Лекции*, 1902, стр. 780. ამავე შეხედულებას იზიარებს იაპონელი კრიმინალისტი კინსაკუ საიტო (იხ. *Современное зарубежное уголовное право*, т. 1, М., 1957, стр. 375-376).

იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ წაქეზებული არ დაეთანხმა წამქეზებელს დანაშაულის ჩადენაზე, წამქეზებელი თუმცა არ ისჯება, მაგრამ მას შეიძლება შეეფარდოს უშიშროების ღონისძიება.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, თუ წაქეზების ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ასეთმა ქმედობამ არ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც დანაშაულში თანამონაწილეობამ, ვინაიდან თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენას ამსრულებლის მიერ. მაგრამ რამდენადაც ვინმეს შეგულიანება დანაშაულის ჩასადენად წარმოადგენს მოსამზადებელ მოქმედებას, ე.ი. დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, ამდენად წაქეზების მცდელობა უნდა დაისაჯოს როგორც დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება<sup>1</sup>. მაშასადამე, ასეთი ხასიათის მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხ. მიხედვით.

ცხოვრებაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც წამქეზებელმა შეძლო დაეყოლიებინა პირი დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ამსრულებელმა შემდეგ გადაიფიქრა და ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე.

როცა ამსრულებელი ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულზე, პირადად მისთვის იმ გარემოებას, რომ დანაშაულში მონაწილეობას იღებენ სხვა პირები, არაკითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი საერთო საფუძველზე განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ როგორია ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობა ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღების დროს? მათ ხომ ყველაფერი გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებინათ დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანეს ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 126-128; Советское уголовное право, Общая часть, Госюриздат, М., 1959, стр. 236-237; Советское уголовное право, Часть Общая, Изд. Ленингр. ун-верс., Л., 1960, стр. 416; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 71-73; П. И. Гриняев, Г. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, М., 1959, стр. 248-249; М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, стр. 181-182.

ეს საკითხი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორია საერთოდ ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის იურიდიული შედეგები.

ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობებში ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის იურიდიული შედეგების შესახებ სხვადასხვა სისტემები არსებობს. საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსის, რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების და მთელი რიგი სხვა კოდექსების მიხედვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სპობს არა მარტო ქმედობის დასჯადობას, არამედ მის დანაშაულებრივ ხასიათსაც. გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის, ფინეთის 1894 წლის სისხლის სამართლის კოდექსის და სხვ. კოდექსების მიხედვით ქმედობა დანაშაულად რჩება, ისპობა მხოლოდ მისი დასჯადობა. დაბოლოს, მესამე ჯგუფის კოდექსებით (იაპონიის, იტალიის, შვეიცარიის და სხვ.) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ სპობს მის დასჯადობასაც კი. მაგრამ მოსამართლეს შეუძლია შეუშუბუქოს პირს სასჯელი ან თუნდაც სრულიად გაათავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან თავისი შეხედულების მიხედვით.

უკანასკნელი ორი საკანონმდებლო სისტემის დროს, რამდენადაც მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი არ ისპობა, ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღება განიხილება როგორც წმინდა პირად. ხასიათის გარემოება, რომელმაც შეიძლება მხოლოდ ამსრულებელი გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან (ან შეუშუბუქოს მას პასუხისმგებლობა). ასეთი პირადი ხასიათის გარემოება, ცხადია, ზეგაველენას ვერ მოახდენს დანარჩენ თანამონაწილეებზე. ასე, მაგალითად, ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღება არ ვრცელდება იმ ამსრულებლებზე, წამქეზებლებზე და დამხმარეებზე, რომელთაც ხელი არ აუღიათ დანაშაულზე.

უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან პირველი სისტემის მიმდევრები. რამდენადაც ამ სისტემის მიხედვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სპობს არა მარტო ქმედობის დასჯადობას, არამედ მის დანაშაულებრივ ხასიათსაც, ამიტომ აქცესორული პასუხისმგებლობის პრინციპის მიხედვით მათ უნდა განსაჯონ თანამონაწილის მოქმედება

როგორც დაუმთავრებელი დანაშაული, ვინაიდან ასეთი მოქმედება, თავისთავად აღებული, წარმოადგენს პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. მოსამზადებელ მოქმედებას, ზოლო მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობას ბურჟუაზიული კანონმდებლობანი, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ.

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის აღნიშნული სიძნელე არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ იგი სცნობს ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის არა მარტო დაუსჯელობას, არამედ უდანაშაულო ხასიათსაც. თანამონაწილენი, რომელთაც თვითონ არ აუღიათ ხელი დანაშაულის ჩადენაზე, დაისჯებიან არა როგორც თანამონაწილენი, არამედ როგორც მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენი პირები.

აღნიშნულ საკითხზე სპეციალურ ნორმას ითვალისწინებს ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მე-14 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად წამქეზებელი და დამხმარე პასუხს აგებენ მოსამზადებელი მოქმედების ჩადენისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ის პირი, რომელიც წააქეზეს ან რომელსაც დახმარება აღმოუჩინეს, არ ჩაიდენს დანაშაულს. აქ იგულისხმება, უშედეგო თანამონაწილეობასთან ერთად ის შემთხვევაც, როცა ამსრულებელმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე.

სხვაგვარად წყვეტდა საკითხს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მე-7 პარაგრაფის მე-3 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ წამქეზებლის და დამხმარის დასჯადობა დამოკიდებული არ არის ამსრულებლის დასჯადობაზე. ამგვარად, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1951 წლის კოდექსი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრულ დამოუკიდებლობას აღიარებდა და ამიტომ სჯიდა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამსრულებელმა დანაშაული არ ჩაიდინა. ასეთ შემთხვევებს იგი განიხილავდა როგორც წაქეზების ან დახმარების მცდელობას და მე-7 პარაგრაფის მე-4 პუნქტში ადგენდა, რომ „დებულებანი მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გამოყენებულ უნდა იქნეს წაქეზებისა და დახმარების მცდელობის მიმართაც“.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ამ შეხედულებას იზიარებს უ. კობიაშვილი. მისი აზრით, თუ წამქეზებელმა თავის მიზანს ვერ მიაღწია იმის გამო, რომ ამსრულებელმა რაიმე მიზეზით დანაშაული არ ჩაიდინა, აქ საქმე გვაქვს დანაშაულის წაქეზების მცდელობასთან<sup>1</sup>.

პარაგრაფში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თუ დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ შეხედულების არასისწორე და მიუვითითო, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ დანაშაულის მცდელობას და არა წაქეზების ან დახმარების მცდელობას და რომ საბჭოთა სამართლის თანახმად ასეთი შემთხვევები, ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედობის არარსებობის გამო, განხილულ უნდა იქნენ არა თანამონაწილეობის შესახებ არსებული ნორმების საფუძველზე, არამედ როგორც დანაშაულის მომზადება.

საგულისხმოა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა უარყო თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სავსებით დამოუკიდებელი ხასიათი და, საბჭოთა კანონმდებლობის ანალოგიურად, აქცესორული პასუხისმგებლობის პრინციპი გაიზიარა. ამიტომ ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ჩეხოსლოვაკიის ახალი კოდექსის თანახმად, განიხილება როგორც დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება.

უშედეგო წაქეზება შეიძლება გვექონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც წაქეზება ზედმეტი აღმოჩნდა, ვინაიდან წაქეზებულს ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენა. ასეთი შემთხვევები შეიძლება დაისაჯოს როგორც დანაშაულის მომზადება, თუ წაქეზებას სრულიად არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია სხვა პირზე. თანამონაწილედ ასეთი პირი, ცხადია, ვერ ჩაითვლება თუ ამსრულებელს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენა, მაგრამ წაქეზებამ მასზე მაინც ერთგვარი ფსიქიკური ზემოქმედება მოახდინა იმ მხრივ, რომ განუმტკიცა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, გააძლიერა მისი მოტივები და შეასუსტა დანაშაულის შემაფერხებელი მოტივები,

---

<sup>1</sup> იხ. У. Л. Кобиашивили, К вопросу о приготовлении к преступлению и покушению на преступление при соучастии, „Правоведение“, 1963, №3, стр. 148-154.

შემგულიანებელი განხილულ უნდა იქნეს როგორც ფსიქიკური დამხმარე. ასეთი დახმარება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია ჩაღნო დანაშაულებრივ ქმედობასთან.

საკითხი უშედეგო დახმარების შესახებ უნდა გადაწყდეს იმგვარადვე, როგორც უშედეგო წაქეზების საკითხი. უშედეგო დახმარებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარემ შეასრულა რაიმე მოქმედება, რაც თავისთავად წარმოადგენს ხელის შეწყობას დანაშაულის ჩადენისათვის, მაგრამ დანაშაული რაიმე მიზეზის გამო ჩადენილი არ ყოფილა. რამდენადაც დამხმარის მოქმედება, თავისთავად აღებული, წარმოადგენს დანაშაულის მომზადებას, ამდენად იგი კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც დანაშაულის მომზადება. ამ გარემოებაზე პირდაპირ მიუთითებს ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი. როგორც მართებულად აღნიშნავენ საბჭოთა კრიმინალისტიკები, უშედეგო თანამონაწილეობის აღიარება დანაშაულის მომზადებად არ ნიშნავს იმას, რომ ასეთმა მომზადებამ ყველა შემთხვევაში უნდა გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუ ასეთი მოქმედება ამკარად მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას, სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებმა უნდა გამოიყენონ საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილი და პიროვნება გაათავისუფლონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან<sup>1</sup>.

### § 3. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხველი გარემოებების ზეგავლენა თანამონაწილეთა დასჯალობაზე

თანამონაწილენი პასუხს აგებენ იმ დანაშაულის შემადგენლობისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა. მაგრამ ბევრ შემთხვევაში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ასეთი თანამიმდევრული დამოკიდებულება ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე უსამართლო და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საწინააღმდეგო იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განხილვას მიათხოვს ის საკითხი, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ერთ-ერთი თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამ-

<sup>1</sup> იხ. А. Трапнтин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 128.



ამძიმებელი, შემამსუბუქებელი ან პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოება დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე.

ცხადია, ის ბურჟუაზიული კრიმინალისტები, რომელნიც თანამონაწილეობის ჰიპერაქცესორულ თეორიას იზიარებენ, ასეთ შემთხვევებშიც უნდა მოითხოვდნენ, რომ თანამონაწილეებს ბრალად შეერაცხოს ყველა ისეთი გარემოება, რაც ამსრულებელს ახასიათებს. მაგრამ უკანასკნელი დროის ბურჟუაზიული იურისპრუდენცია არ იზიარებს ასეთი მკაცრი აქცესორულობის პრინციპს, რაც ზეგავლენას ახდენს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაზე.

ზოგიერთი ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსი ამ საკითხს საკანონმდებლო წესით არეგულირებს. ასე, მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის დებულების მიხედვით, „თუ კანონი განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული პირადი თვისებები და ურთიერთობანი ამძიმებენ, ამსუბუქებენ ან გამორიცხავენ სასჯელს, ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ამსრულებლისა და თანამონაწილისათვის, ვისაც ეს ახასიათებს“ (§50, აბზ. 2).

ბურჟუაზიული კრიმინალისტების ერთ ნაწილს § 50 ესმოდა შემდეგნაირად: §50 შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე შეეხება ისეთ თვისებას ან ურთიერთობას, რომელსაც ხანგრძლივი ხასიათი აქვს (მაგალითად, რეციდივი, ფეხმძიმობა, თანამდებობრივი მდგომარეობა და ა.შ.). ასეთი თვისებებისაგან განასხვავებენ თვისებას, რომლებიც გამოვლინდნენ მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროს (მაგალითად, ანგარების მოტივი, ქვენაგრძნობა და ა.შ., რომელიც ახასიათებს მხოლოდ ამსრულებელს). უკანასკნელი გარემოებანი ზეგავლენას ახდენენ თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე, თუ თანამონაწილემ მათ შესახებ იცოდა<sup>1</sup>.

თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტები არ ეთანხმებიან ამ შეხედულებას. მათი აზრით, განსხვავება უნდა არსებობდეს არა „დროებით“ და „ხანგრძლივ“, არამედ „პიროვნებისა“ და „ქმედობისათვის“ დამახასიათებელ თვისებებს შორის. მაგრამ, როგორც თვით ბურჟუაზიული იურისტები არიან იძულებული აღიარონ, „ცალკეულ შემთხ-

<sup>1</sup> ამ შეხედულების შესახებ იხ. R. Maurach, Deutsches Strafrecht. Ein Lehrbuch, Karlsruhe, 1954, S. 576.

ვევბში, განსაკუთრებით მკვლევლობის კვალიფიკაციის განხილვის დროს, ეს დაყოფა ყოველთვის ერთგვაროვნად არ ხასიათდება<sup>1</sup>.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 50-ის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული დებულების მსგავსი ნორმები შეტანილია აგრეთვე მთელ რიგ ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის კოდექსებში. ასეთია, მაგალითად, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლში გათვალისწინებული ნორმა: „განსაკუთრებული პირადი ურთიერთობანი, თვისებები და გარემოებანი, რომელნიც აძლიერებენ, ამცირებენ ან სპობენ დასჯადობას, მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ იმ ამსრულებლის, წამქეზებლის ან დამხმარის მიმართ, ვისაც ეს ახასიათებს“. ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსში თანამონაწილეობის კარის მე-4 პარაგრაფში ნათქვამია: „უკეთუ ვინმეს მიმართ განსაკუთრებული გარემოებანი გამორიცხავენ, ამცირებენ ან აძლიერებენ განსაზღვრული ქმედობის დასჯადობას, ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ იმ ამსრულებლის, წამქეზებლის და დამხმარის მიმართ, ვისაც აღნიშნული გარემოება შეეხება“. ანალოგიური ნორმებია შეტანილი იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 118-ე), იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში (§ 65 ნ. მე-2) და სხვ.

თავისებურად წყდება საკითხი არგენტინის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, პირადი ურთიერთობანი, გარემოებანი და თვისებები, რომლებიც იწვევენ სასჯელის შემსუბუქებას ან გამორიცხვას, მოქმედებენ მხოლოდ იმ ამსრულებლის სასარგებლოდ, ვისაც ეს გარემოება ახასიათებს, ხოლო ისეთი თვისებები და გარემოებანი, რომლებიც ამძიმებენ პასუხისმგებლობას, მხედველობაში მიიღებიან ყველა იმ თანამონაწილის დასჯადობისას, რომლებმაც მათ შესახებ იცოდნენ (მუხ. მუხ. 47-ე, 48-ე).

საბჭოთა სისხლის სამართალში საკითხი პასუხისმგებლობის ინდივიდუალური გარემოების ზეგავლენის შესახებ დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე, საკანონმდებლო წესით გადაჭრილი არ არის. რაც შეეხება სისხლის სამართლის თეორიას, აქ ამ საკითხის გადაჭრაში არაა სრული ერთგვაროვნება.

საზოგადოდ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი

<sup>1</sup> რ. მაურაზი, დასახ. ნაშრ., გვ. 576.

ლი გარემოებანი შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც დამნაშაის პიროვნებასთან, ისე თვით ქმედობასთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს ობიექტური ხასიათის გარემოებებთან, რომლებიც ამძიმებენ, ან პირიქით, ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას. იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედობას ახასიათებს დამამძიმებელი გარემოებანი, რომლებიც გაძლიერებულ პასუხისმგებლობას იწვევენ, ეს გარემოებანი უნდა შეეცადოს ყველა თანამონაწილეს, თუ ისინი მოცული იყვნენ თანამონაწილის ბრალით. მაგალითად, თუ ამსრულებელმა სახელმწიფო ქონება დიდი რაოდენობით გაიტაცა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 ნაწ.) და დამხმარემ იცოდა, რომ იგი ხელს უწყობდა დიდი რაოდენობით ქონების გატაცებას, დამხმარეც პასუხს აგებს ამ დამამძიმებელი გარემოებისათვის. თავისთავად ცხადია, თუ თანამონაწილემ არ იცის ობიექტური დამამძიმებელი გარემოების არსებობის შესახებ, მან არ შეიძლება პასუხი აგოს მისთვის. ასეთი შემთხვევები განიხილება როგორც ამსრულებლის ექსცესი.

ობიექტური გარემოებებისაგან უნდა განვასხვავოთ გარემოებანი, რომლებიც ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილის პიროვნებას ან დანაშაულის ჩადენის სუბიექტურ მხარეს ან დანაშაულის სუბიექტსა და ხელყოფის ობიექტის ურთიერთობას შეეხება. როგორია ასეთი გარემოების ზეგავლენა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე? აქ უნდა განვასხვავოთ შემთხვევები, რომლებიც გამორიცხავენ, ამსუბუქებენ ან ამძიმებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი გარემოებანი, რომლებიც პიროვნებასთან არიან დაკავშირებული, არავითარ ზეგავლენას არ ახდენენ დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე. ასე, მაგალითად, თუ ამსრულებელს სასჯელი არ შეიძლება შეეფარდოს იმის გამო, რომ იგი ექსტერიტორიულობის უფლებით სარგებლობს, ეს ზეგავლენას არ მოახდენს წამქეზებლის ან დამხმარის პასუხისმგებლობაზე, რომლებიც ამ უფლებით არ სარგებლობენ, ან თუ რომელიმე თანამონაწილემ გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმის გამო, რომ „შემდგომი უმწიკვლო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებ-

ის გამო ეს პირი სასამართლოში საქმის განხილვისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი), აღნიშნული გარემოება არ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ პირებს, რომელთაც საზოგადოებრივი საშიშროება არ დაუკარგავთ.

იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელ გარემოებას ასეთი კავშირი არა აქვს კონკრეტული ამსრულებლის პიროვნებასთან, არამედ იგი პასუხისმგებლობის გამოძრიცხველ ზოგად გარემოებას წარმოადგენს (შეურაცხაობა, მცირეწლოვანობა), წამქეზებელი, როგორც უკვე დავინახეთ, პასუხს აგებს არა როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი. ხოლო თუ ასეთი გარემოება წამქეზებელს ან დამხმარეს ახასიათებს, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ მოუხსნის პასუხისმგებლობას დანარჩენ თანამონაწილეებს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც ერთ-ერთ თანამონაწილეს ახასიათებს, აგრეთვე არ ახდენს ზეგავლენას დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე. ასეთი გარემოებებია დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ ან ორსული ქალის მიერ და ა.შ. თუ, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემცირებას დედისათვის, რომელმაც მშობიარობის დროს ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ ახლადშობილი მოკლა (იხ. ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხ.). ცხადია, ეს გარემოება არ შეუმსუბუქებს პასუხისმგებლობას დანარჩენ პირებს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ მკვლელობაში, ვინაიდან პასუხისმგებლობას აქ ამსუბუქებს მშობიარეს განსაკუთრებული პირადი მდგომარეობა. კანონი მხედველობაში იღებს, რომ მშობიარობის პროცესში ქალი იმყოფება ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში, რომელიც ამცირებს მის შეურაცხვაუნარიანობას და ამიტომ უმსუბუქებს მას სასჯელს. მაგრამ, ცხადია, არავითარი საფუძველი არ არსებობს პასუხისმგებლობის შემცირებისა დანარჩენ თანამონაწილეთა მიმართ, რომელთაც მძიმე ფიზიკური ტანჯვა არ გადაუტანიათ და ასეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში არ იმყოფებიან.

ბულგარეთისა და უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსები პირდა-

პირ მიუთითებენ, რომ პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი ან მისი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის ჩამდენ ერთ-ერთ პირს ახასიათებენ, ზეგავლენას არ ახდენენ დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე (ბულგარეთის სს კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი, უნგრეთის სს კოდექსის § 15).

გაცილებით უფრო რთულია საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებასთან.

1948 წელს გამოცემული სახელმძღვანელო იმ აზრს იზიარებდა, რომ საკითხი ამსრულებლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა ზეგავლენის შესახებ დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე არ შეიძლება ყოველთვის ერთნაირად გადაწყდეს. „იმ შემთხვევაში, როდესაც თვით ამსრულებლის პიროვნების დამახასიათებელი გარემოებანი იმავე დროს მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სოციალური საშიშროების მეტსა თუ ნაკლებ ხარისხს ახასიათებენ, ისინი უნდა შეერაცხოს დანარჩენ თანამონაწილეებსაც, რამდენადაც ამ გარემოებებს ეს უკანასკნელნი ითვალისწინებდნენ... მარტო ის პირადი გარემოებანი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ უწყებული კონკრეტული დამნაშავის სოციალური საშიშროების ხარისხს ახასიათებენ და რომლებიც არავითარ ზეგავლენას არ ახდენენ ჩადენილი ქმედობის ხასიათზე და შინაარსზე, არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს დანარჩენ თანამონაწილეებს“<sup>1</sup>.

პირველი კატეგორიის გარემოებების მაგალითად სახელმძღვანელოს მოჰყავდა თანამონაწილეობა ანგარებით მკვლელობაში, როდესაც დანარჩენი თანამონაწილენი არ მოქმედებენ ანგარების მოტივით. ასეთი დამამძიმებელი გარემოება, სახელმძღვანელოს მიხედვით, უნდა შეერაცხოს დანარჩენ თანამონაწილეებსაც. ხოლო მეორე კატეგორიის მაგალითად სახელმძღვანელო თვლიდა სამოქალაქო პირის მონაწილეობას სამხედრო მსახურის მიერ ჩადენილ მკვლელობაში (რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასეთი დამამძიმებელი გარემოება, — აღნიშნულია სახელმძღვანელოში, — არ შეიძლება შეერაცხოს დანარჩენ თანამონაწილეებს.

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, Юридгат, М., 1948, стр. 421.

ამ შეხედულების წინააღმდეგ საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაილაშქრა პროფ. ა. ტრაინინმა. მისი აზრით, „არ შეიძლება არსებობდეს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დადგენის სხვადასხვა პრინციპი შემადგენლობის ელემენტების შესახებ, რომელთაც ყველანი ერთნაირად შეიცნობენ“<sup>1</sup>. ა. ტრაინინის აზრით, თუ თანამონაწილე ითვალისწინებდა შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებას, მან პასუხი უნდა აგოს მისთვის იმისდამიუხედავად, სუბიექტის პიროვნებასთან არის დაკავშირებული ეს გარემოება თუ დანაშაულებრივ ქმედობასთან. პირიქით, თუ თანამონაწილე არ ითვალისწინებდა ამ გარემოებას, იგი მისთვის პასუხს არ აგებს<sup>2</sup>.

ანალოგიური შეხედულება გატარებულია უნგრეთისა და ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსებში. უნგრეთის სს კოდექსის მე-15 პარაგრაფის მიხედვით, „გარემოება, რომლის გამო დანაშაულის ერთერთ ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა დაენიშნოს, გავრცელდება სხვა პირებზე მხოლოდ მაშინ, თუ მათ დანაშაულის ჩადენის დროს იცოდნენ ამ გარემოების შესახებ“. ბულგარეთის სს კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 აბზაცით, „თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო კანონი ზოგიერთი ამსრულებლის ან წამქეზებლის მიმართ აკვალიფიცირებს ქმედობას როგორც დანაშაულს ან როგორც უფრო მძიმე დანაშაულს, – ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დანარჩენ თანამონაწილეებსაც, თუ მათ იცოდნენ ამ გარემოების შესახებ“.

ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება მთელ რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალიზაციის მოთხოვნას. ამ შეხედულების თანახმად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით უნდა დაგვესაჯა ის, ვინც ხელი შეუწყო მკვლელობაში ისეთ პირს, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა განზრახვი მკვლელობა, ან რომელიც განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი იყო, თუნდაც დამხმარისათვის ეს დანაშაულის ჩადენის პირველი შემთხვევა ყოფილიყო. ასეთი დასკვნა უსამართლო და მიზანშეუწონელი იქნებოდა.

---

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, Госюриздат, М., 1957, стр. 285.

ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 286-287.

უკანასკნელ ხანს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მ.ა. შნიდერის მიერ გამოთქმულია შეხედულება, რომ პიროვნების დამახასიათებელი დამამძიმებელი გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციისათვის, აუცილებლად უნდა შეერაცხოს ბრალად, ამსრულებელთან ერთად, დანარჩენ თანამონაწილეებსაც, თუ მათ იცოდნენ ამ გარემოებების შესახებ. პირიქით, პირადი ხასიათის ისეთი დამამძიმებელი გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა არა აქვთ ქმედობის კვალიფიკაციისათვის, არ შეიძლება შეერაცხოს დანარჩენ თანამონაწილეებს. მაგალითად, თუ ამსრულებელმა ჩაიდინა მკვლელობა ანგარების მოტივით, წამქეზებელი და დამხმარეც პასუხს აგებენ ანგარებით მკვლელობისათვის, თუნდაც ისინი ანგარებით ან საერთოდ რაიმე ქვენაგრძნობით არ ხელმძღვანელობდნენ, ვინაიდან ასეთი დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია რსფსრ-ის სს კოდექსის 102-ე მუხლის დისპოზიციაში, ხოლო თუ ამსრულებელმა ჩაიდინა მკვლელობა შურისძიებით, ეს დამამძიმებელი გარემოება არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს დანარჩენ პირებს, ვინაიდან 102-ე მუხლი ასეთ ქვენაგრძნობას არ ითვალისწინებს. ანდა თუ ამსრულებელმა განმეორებით გაიტაცა სახელმწიფო ქონება, თანამონაწილის მოქმედებაც უნდა დაკვალიფიციროდეს როგორც გატაცება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში (განმეორებით გატაცება), თუნდაც მას პირველად ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული. მაგრამ თუ ამსრულებელმა განმეორებით ჩაიდინა სხეულის მძიმე დაზიანება, ეს დამამძიმებელი გარემოება არ შეერაცხება დანარჩენ თანამონაწილეებს, ვინაიდან განმეორებით ამ დანაშაულის ჩადენა არ არის გათვალისწინებული როგორც სხეულის დაზიანების კვალიფიციური შემადგენლობა<sup>1</sup>.

ანალოგიური შეხედულება აქვს გამოთქმული მ. ი. კოვალიოვს. მისი აზრით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი ორ ნაწილად უნდა გაყვით: გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში შედიან, და გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში არ შედიან და ამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არ ახდენენ. პირველი კატეგორიის გარემოებანი

---

<sup>1</sup> М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 75-76.

აუცილებლად უნდა შეერაცხოს ყველა თანამონაწილეს. მეორე კატეგორიის გარემოებებს მ. კოვალიოვი ორ ნაწილად ჰყოფს: ქმედობის დამახასიათებელ გარემოებებად და პიროვნების დამახასიათებელ გარემოებებად. ისეთი გარემოებები, რომლებიც ქმედობას ახასიათებენ, კოვალიოვის აზრით, უნდა შეერაცხოს ყველა თანამონაწილეს, ხოლო ისეთი გარემოებანი, რომელნიც მხოლოდ მოქმედის პიროვნებასთან არიან დაკავშირებული, დანარჩენ თანამონაწილეებს არ შეერაცხებათ<sup>1</sup>.

მ. ა. შნიდერის და მ. ი. კოვალიოვის შეხედულება, ჩვენი აზრით, მეტად ფორმალისტურია. იმ საკითხის გადაჭრისათვის, უნდა ჩაეთვალოს თუ არა ბრალად თანამონაწილეებს ამსრულებლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ამსრულებლის პიროვნებასთან არის დაკავშირებული, არ შეიძლება გადასწვევტი მნიშვნელობა აქონდეს იმას, გათვალისწინებულია ეს გარემოება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, თუ ის მხოლოდ კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული. საკითხი პრინციპულად უნდა გადაწყდეს: არის თუ არა ეს ისეთი გარემოება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამსრულებლის პიროვნების განსაკუთრებულ საშიშროებაზე დალადებს, თუ ეს ისეთი გარემოებაა, რომელიც თვით ქმედობას გადააქცევს უფრო საშიშად.

თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წმინდა პირადი ხასიათი აქვს, ე.ი. დაკავშირებულია ამსრულებლის პიროვნებასთან, ამ გარემოებამ არ უნდა დაამძიმოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა, თუნდაც იგი შეტანილი იყოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში. საკითხის სხვაგვარად გადაჭრა იქნებოდა აქცესორული პასუხისმგებლობის უკიდურესი გამოვლინება, პასუხისმგებლობა სხვისი და არა საკუთარი ბრალისა და საკუთარი საშიშროების ხარისხის მიხედვით. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ. ა. შნიდერს და მ. ი. კოვალიოვს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ წამქეზებელმა და დამხმარემ პასუხი უნდა აგონ სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ქონების განმეორებით გატაცებისათვის, თუ ამსრულებელი განმეორებით იდენს ასეთ გატაცებას, ხოლო წამქეზებელი და დამხმარენი ამ დანაშაულს პირველად იდენენ.

<sup>1</sup> М. И. Ковалев. Соучастие в преступлении, ч. 2, Св., 1962, стр. 159-164.



დანაშაულის განმეორებით ჩადენა წმინდა პირადი გარემოებაა. კანონმდებელი თვლის მას სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად იმის გამო, რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენა მოწმობს პიროვნების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას. ზოგჯერ დანაშაულის განმეორებით ჩადენა ადასტურებს იმას, რომ სუბიექტს მიდრეკილება აქვს დანაშაულისაკენ, რომ მას დანაშაულებრივი ჩვევები შეუძუმწავდა და ამიტომ მის გამოსასწორებლად საჭიროა უფრო მკაცრი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება. ასეთივე წმინდა პირადი დამამძიმებელი გარემოებაა დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიმართ კანონმდებელს მრავალი ღონისძიება აქვს შემუშავებული. ასეთი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა არა მარტო გაძლიერებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს, არამედ მას აგრეთვე სხვა ხასიათის ღონისძიებებიც მოჰყვება, მაგალითად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განსაკუთრებული რეჟიმის შექმნა, პირობით ვადამდე განთავისუფლების შეუძლებლობა და ა.შ. განა მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ეს წმინდა პირადი დამამძიმებელი გარემოებანი შეგვერაცხა ისეთი პირისათვის, ვინც ასეთ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ საშიშროებას არ ამჟღავნებს და ვის მიმართაც საკმარისია პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი წესების გამოყენება? წმინდა პირადი დამამძიმებელი გარემოებების შერაცხვა თანამონაწილეობისათვის ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, რომელიც განუხრელად ტარდება ჩვენს სისხლის სამართალში.

სულ სხვაა ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია არა უშუალოდ ამსრულებლის პიროვნებასთან, არამედ ქმედობასთან, მაგალითად დანაშაულის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით. ასეთი გარემოება ბუნებრივია თანამონაწილეცავე შეიძლება შეერაცხოს. თუ წამქეზებელი ფულის დაპირებით დაიყოლიებს სხვას მკვლელობის ჩასადენად ან თუ დამხმარე ხელს უწყობს ამსრულებელს ანგარებით მკვლელობაში, წამქეზებელი და დამხმარე პასუხს უნდა აგებდნენ კვალიფიციური მკვლელობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის „ა“ პუნქტით). თავისთავად ცხადია, თანამონაწილემ შეიძლება პასუხი აგოს დამამძიმებელი გარე-

მოებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა ასეთი გარემოების არსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ჩვენ სწორად მიგვაჩნია რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის დებულება აღნიშნულ საკითხზე: „გარემოებანი, რომელნიც შეეხებიან ერთ-ერთი თანამონაწილის პიროვნებას და რომელნიც ათავისუფლებენ სასჯელისაგან, ამძიებენ ან ამსუბუქებენ მას, არ გავრცელდება დანარჩენ თანამონაწილეებზე“.

ის საკითხი, თუ რა ზეგავლენას ახდენს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე ერთ-ერთი თანამონაწილისათვის დამახასიათებელი პირადი გარემოებანი, განხილულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესზე ათენში. კონგრესმა ამ საკითხზე შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „მკვეთრად პირადი გარემოებანი (СТРОГО ЛИЧНЫЕ ОБСТОЯТЕЛЬСТВА), რომელნიც გამორიცხავენ, ამძიებენ ან ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას ან სისხლისსამართლებრივ სასჯელს, მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ თანამონაწილის მიმართ, რომელსაც ეს გარემოება შეეხება“. სასურველია, რომ ასეთი შინაარსის ნორმა გათვალისწინებულ იქნეს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

#### §4. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეთა მიერ

ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებისაგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეთა მიერ. როგორია ასეთი ხელის აღების სისხლისსამართლებრივი შედეგები? საფუძვლები, ისევე როგორც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, გარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისა, ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევიან. რაც შეეხება სისხლის სამართლის თეორიას, იგი ერთხმად იზიარებს იმ შეხედულებას, რომ თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საბჭოთა კანონმდებლობის დებულებანი ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის შესახებ, ე.ი. თანამონაწილე, რომელმაც ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, უნდა განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის მომზადების ან

მცდელობისათვის. ასე, მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით, ყველა მოსაზრება მომზადების დასჯადობის მიზანშეუწონლობის შესახებ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, საკვებით შეიძლება გამოვიყენოთ ცალკეული თანამონაწილის მიერ დანაშაულზე ხელის აღების შემთხვევაში. თანამონაწილისათვის დაუსჯელობის დაპირებამ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ხელი შეუშალოს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას<sup>1</sup>.

თანამონაწილეთა განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში სპეციალურად ითვალისწინებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი. სახელდობრ, ამ კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარენი, რომელნიც ნებაყოფლობით მიიღებენ ზომებს დანაშაულის ასაცდენად, განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნება მიყვანილი.

ამგვარად, იმისათვის, რომ სუბიექტი განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, საჭიროა შემდეგი პირობები: 1) თანამონაწილემ ნებაყოფლობით უნდა აიღოს ხელი დანაშაულის ჩადენაზე; 2) მან უბრალოდ კი არ უნდა მიატოვოს დანაშაულის ჩადენა, არამედ უნდა მიიღოს ზომები დანაშაულის ასაცდენად; 3) ამ ღონისძიებათა შედეგად დანაშაული მართლაც არ უნდა განხორციელდეს.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობითად, მას თანამონაწილეობის შემთხვევაში რაიმე სპეციფიკურობა არ ახასიათებს. ნებაყოფლობით ხელის აღება გვექნება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილე მოქმედობს საკუთარი ნებელობითი გადაწყვეტილების საფუძველზე იმისდა მიუხედავად, თუ როგორია მისი გადაწყვეტილების მოტივები.

უფრო რთულია ის საკითხი, თუ რაში შეიძლება გამოიხატებოდეს დანაშაულზე ხელის აღება თანამონაწილის მიერ. თუ ამსრულებლისათვის დანაშაულის მომზადების ან დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე დანაშაულის მიტოვებისათვის საკმარისია უმოქმედობა, იგივე არ შეიძლება ითქვას თანამონაწილეებზე. თანამონაწილენი მიზეზობრივად უკავშირდებიან დანაშაულებრივ შედეგს ამსრულებლის მოქმედების მეშ-

<sup>1</sup> А. А. Понотковский, Учение о преступлении, 1961, стр. 588.

ვეობით: წამქეზებელი – იმით, რომ აღძრავს ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, დამხმარე – იმით, რომ ქმნის ამსრულებლისათვის პირობებს დანაშაულის ჩასადენად. მიზეზობრივი კავშირის პროცესი, რომელსაც მათ ბიძგი მისცეს, შემდგომ უკვე მათგან დამოუკიდებლად მოქმედებს. ამიტომ გასაგებია, რომ დანაშაულებრივი შედეგის არგანხორციელება მათი უბრალო უმოქმედობით არ შეიძლება იქნეს მიღწეული. თანამონაწილეებმა აქტიურად უნდა იმოქმედონ, რათა ხელი შეუშალონ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, წამქეზებელმა ან დამხმარემ უნდა დაარწმუნონ ამსრულებელი, რომ მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული ან ფიზიკურად აღუკვეთონ მას დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა საკუთარი ძალ-ღონით, სათანადო ორგანოებისათვის ან დაზარალებულისათვის შეტყობინებით და ა.შ. მხოლოდ გამონაკლისის სახით შეუძლია დამხმარეს უმოქმედობაც აიღოს ხელი დანაშაულის ჩადენაზე, სახელდობრ, იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარეს ისეთი მოქმედების შესრულება ეკისრებოდა, რომლის გარეშე დანაშაულის ჩადენა შეუძლებელი იყო, და დამხმარემ უარი განაცხადა ამ მოქმედების ჩადენაზე. მაგალითად, შინამოსამსახურე დაპირდა ქურდთა ჯგუფს, რომ ღამით ჩუმად გაუღებდა მათ ბინის კარებს, მაგრამ შემდეგ ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც ქურდები ბინაში ვერ შევიდნენ.

ამ დებულებას არ ეთანხმება მ. ი. კოვალიოვი. მისი აზრით, თუ დამხმარე წინასწარ დაპირდა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში ხელის შეწყობას (მაგალითად, მალაზიის დარაჯი დაპირდა ქურდებს მალაზიის კარის გაღებას) და შემდეგ აღარ აღმოუჩინა დახმარება (არ გაუღო კარი), აქ დამხმარის მოქმედება ინტელექტუალური დახმარების ხასიათს ატარებს. ამიტომ, თუ ქურდების მოქმედებამ მცდელობის სტადიას მიაღწია, დამხმარე უნდა დაისაჯოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მან თავისი დაპირება არ შეასრულა. „... მეტად საეჭვოა, – ლაპარაკობს იგი, – რომ თავისდათვად დაპირების შესრულებაზე ხელის აღება, როდესაც უკვე ადგილი ჰქონდა დანაშაულის მცდელობას, შეიძლება გამოდგეს საკმაო საფუძვლად იმისათვის, რომ დამხმარე განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დამხმარის მიერ ნეიტრალიზებული არ ყოფილა ის ფსიქიკური ზემოქმედება,

რომელიც მან მოახდინა ამსრულებლის შეგნებაზე დახმარების აღმოჩენის დაპირებით. ნათქვამის გამო ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე დამხმარის მიერ ასეთ შექოხნევებშიც აქტიურ მოქმედებებში უნდა გამოიხატოს<sup>1</sup>.

ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს, რომლის ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული ჩადენილი არ იქნეს. თუ დამხმარემ უკვე უმოქმედობით მიაღწია ამ ამოცანას, ე.ი. ამსრულებელმა ვერ შესძლო დანაშაულის ჩადენა, გაუგებარია, რა აქტიურ მოქმედებას მოითხოვს კიდევ დამხმარისაგან მ.ი. კოვალიოვი და რა უნდა იყოს ამ აქტიური მოქმედების ამოცანა! ამსრულებლის შეგნებაზე ზემოქმედება? — მაგრამ ეს ხომ ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის დაუსჯელობის პირობას არ წარმოადგენს.

თანამონაწილენი შეიძლება განთავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ მიღებული ღონისძიებებით დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება თავიდან იქნა აცილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი შედეგის ასაცდენად, შეიძლება გახდეს მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების საფუძველი. ასეთია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება აღნიშნულ საკითხზე<sup>2</sup>.

უფრო შორს მიდის მ. ი. კოვალიოვი. „... არ უნდა დაევიწყოთ, — ლაპარაკობს იგი, — რომ ამსრულებელი — ადამიანია, რომელიც თავის მოქმედებას მარტო სხვის ნებას კი არ უმორჩილებს, არამედ საკუთარ ნებასაც, რომელიც ხშირად პირადად დაინტერესებულია დანაშაულის ჩადენაში, მოქმედებს პირადი მოტივებისა და ზრახვების ზეგავლენით, და წამქეზებელსა და დამხმარეს ყოველთვის არ ძალუძთ შეაკავონ ის

<sup>1</sup> მ. ი. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 189.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1955, стр. 203-204; И. С. Тишкевич, Приготовление и покушение по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1958, стр. 247-255; Советское уголовное право, Часть общая, изд. ЛГУ, Л., 1959, стр. 424-425 და სხვ. თ. წერეთელი, დანაშაულის მოზადება და მცდელობა, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1961, გვ. 244-247.

ხელი, რომელიც დამნაშავემ მათი უშუალო ზეგავლენით აღმართა მსხვერპლზე<sup>1</sup>. ამიტომ, კოვალიოვის აზრით, შეუძლებელია შექანიკურად მივუდგეთ საკითხს და დავსაჯოთ თანამონაწილენი იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ ყველა ღონისძიება იხმარეს დანაშაულის ასაცილებლად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს<sup>2</sup>.

მ. ი. კოვალიოვის ასეთი შეხედულება არ ეთანხმება ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის დაუსჯელობის საფუძველებს. კანონმდებელი არ სჯის ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულზე სწორედ იმისათვის, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდეს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის ძირითადი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ხელის აღება სპობს სუბიექტის ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, უფრო სწორად, აქარწყლებს იმ საზოგადოებრივ საშიშროებას, რომელიც სუბიექტმა თავისი მოქმედებით შექმნა. მაგრამ თუ თანამონაწილემ ვერ შესძლო ამ საშიშროების გაქარწყლება და ამსრულებელმა დანაშაული მაინც ჩაიდინა, არ არსებობს ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძველი. ამიტომ თანამონაწილე, რომელმაც ვერ შესძლო დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება, არ შეიძლება განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღები.

ეს არ გამორიცხავს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობას, რომ ასეთი თანამონაწილე განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სხვა საფუძველით, მაგალითად იმის გამო, რომ მისი მოქმედება, თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას (სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) ან იმის გამო, რომ დამნაშავე სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად (მუხ. 51-ე).

სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობათგან თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს არეგულირებენ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის

<sup>1</sup> მ. ი. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 191.

კოდექსები. უნგრეთის კოდექსის თანახმად, „არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის ის პირი, ვინც ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, აგრეთვე ის პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ხელი შეუშალა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას“ (§ 10, პ. მე-3). ასეთი პირი, ვინც ნებაყოფლობით ხელი შეუშალა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას, ცხადია, შეიძლება იყოს წამქეზებული და დამხმარეც. ამავე კოდექსის მე-11 პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება ის პირი: ა) ვისი ნებაყოფლობით ხელის აღების გამოც დანაშაულის ჩადენა არ იყო დაწყებული და ბ) ვინც დანაშაულის ჩადენის აცდენის მიზნით უარს ამბობს თავის წინასწარ მოწოდებაზე, წინადადებაზე ან დანაშაულის ჩადენის ვალდებულებაზე, ან ვინც ცდილობდა დაერწმუნებინა თანამონაწილენი უარი ეთქვათ დანაშაულის ჩადენაზე, თუ რაიმე მიზეზით დანაშაულის ჩადენა არ დაწყებულა. ეს ზოგადი ფორმულაც, მოიცავს აგრეთვე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას თანამონაწილეთა მიერ.

ასეთსავე ზოგადი ხასიათის დადგენილებას, რომელიც მოიცავს დანაშაულზე ხელის აღებას თანამონაწილეთა მიერ, ითვალისწინებს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად „არ დაისჯება ის პირი, ვინც ნებაყოფლობით:

ა) ხელი აიღო შემდგომ მოქმედებებზე, რომლებიც აუცილებელი იყო დანაშაულებრივი ქმედობის ჩასადენად ან აიცილა ის საფრთხე, რომელიც შეიქმნა კანონით დაცული ინტერესისათვის ჩადენილი მცდელობის შედეგად, ან

ბ) აცნობა დანაშაულის მცდელობის შესახებ იმ მომენტში, როდესაც ჩადენილი მცდელობის შედეგად კანონით დაცული ინტერესისათვის შექმნილი საფრთხის აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო...“ (§ 8, პ. 3 „ბ“).

ანალოგიური დადგენილება არსებობს დანაშაულის მომზადებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ.

უფრო მკვეთრად თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს არეგულირებს ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით „წამქეზებული და დამხმარე არ დაისჯე-

ბიან, თუ ისინი ნებაყოფლობით ხელს აიღებენ დანაშაულში შემდგომ მონაწილეობაზე და ხელს შეუშლიან დანაშაულის დამთავრებას ან თავიდან აიცილებენ დანაშაულის შედეგების განხორციელებას“ (მუხ. მე-20).

თავისებურია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილება აღნიშნულ საკითხზე. ამ კოდექსის თანახმად, წამქეზებელი და დამხმარე არ დაისჯებიან, თუ დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის დაწყებამდე ნებაყოფლობით ხელი შეუშალეს მის ჩადენას ან შესაძლებლობა არ მისცეს დანარჩენ თანამონაწილეებს გამოეყენებინათ მოპოვებული საშუალებანი განზრახი ქმედობის შესასრულებლად ან ჩასადენად (მუხ. 123-ე. ნაწ. მე-6).

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიც აზრით, ეს მუხლი ისე უნდა იქნეს გაგებული, თითქოს თანამონაწილენი მარტო მაშინ განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, როცა ამსრულებლის მოქმედება მომზადების სტადიას არ გასცილებია. მაგალითად, ტიშკევიჩის აზრით, „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დანაშაულებრივი ქმედობის დასაწყისად რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ითვლება მხოლოდ მცდელობა (მომზადება, როგორც დანაშაულის სტადია ამ კოდექსით არ ისჯება), შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი შესაძლებლად თვლის წამქეზებლისა და დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მარტო იმ სტადიაზე, როცა ამსრულებელი მოსამზადებელ მოქმედებას ასრულებს“<sup>1</sup>.

ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს საფუძვლიანი. რუმინეთის კოდექსი დანაშაულის მომზადებას საერთოდ არ სჯის, მაშასადამე, თუ ამსრულებლის მოქმედება მომზადების სტადიას არ გასცილებია, წამქეზებელი და დამხმარე ისედაც არ დაისჯებიან. მაშ რისთვის დასჭირდებოდა რუმინეთის კოდექსს სპეციალური მითითება, რომ ამ სტადიაზე მათ შეიძლება მოეხსნათ სასჯელი (რომელიც, სულერთია, არ შეიძლება დაედოთ), თუ ისინი ხელს შეუშლიან დანაშაულის შესრულებას? აქედან ცხადია, რომ რუმინეთის კოდექსს მხედველობაში აქვს სწორედ მცდელობამდე მიღწეული დანაშაული და იგი ათავისუფლებს პასუხ-

---

<sup>1</sup> И. С. Тишкевич, Приготовление и покушение по уголовному праву, Госюриздат, М., 1958, стр. 248.



ისმგებლობისაგან თანამონაწილეს, რომელმაც ამ სტადიაზე შეუშალა ხელი ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში.

## §5. სასჯელის ინდივიდუალიზაცია თანამონაწილეობის დროს

1. ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს თანამონაწილეობის დაუსჯელობას მცირე მნიშვნელობის დანაშაულის დროს. მაგალითად, რევოლუციამდელი რუსეთის 1903 წლის დებულების თანახმად გადაცდომის თანამონაწილეთაგან ისჯებოდა მხოლოდ ამსრულებელი; წამქეზებელი და დამხმარე გადაცდომის დროს ისჯებოდნენ მარტოოდენ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში (მუხ. 51-ე). საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით თანამონაწილეობა დარღვევაში (contravention) არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (მუხ. 59-ე). დანიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად თანამონაწილენი არ დაისჯებიან, თუ დანაშაულებრივი ქმედობა არ იწვევს უფრო მძიმე სასჯელს, ვიდრე პატიმრობა (apعت), რამდენადაც სხვა რამ პირდაპირ არ არის მითითებული კანონში (§ 23, ნაწ. I). მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნის კანონმდებლობა ანალოგიურ შემთხვევებში წაქეზებას სჯის, ხოლო დახმარებას – არა. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით დარღვევისათვის (übertretung) ხელის შეწყობა დანაშაულს არ წარმოადგენს (მუხ. 49-ე, პ. I). იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისეთი დანაშაულის დამხმარე, რომელიც იწვევს პატიმრობას ან ფულად ჯარიმას, დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაკუთრებით არის გათვალისწინებული (§ 64).

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის უცხოა თანამონაწილეთა დასჯადობის ასეთი ფორმალური შეზღუდვა. მაგრამ თუ რიგ შემთხვევებში საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა გამორიცხავს თვით უშუალო ამსრულებლის პასუხისმგებლობას (საფუძვლების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი), მით უმეტეს ბუნებრივია პასუხისმგებლობის გამორიცხვა ასეთ შემთხვევებში წამქეზებლებისა და დამხმარეებისათვის.

თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნას არაავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ დანაშაულის შესრულებაში მათი მონაწი-

ილეობის ხარისხი ზეგავლენას არ ახდენდეს სასჯელის დანიშვნაზე.

ზოგიერთ ბურჟუაზიული ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს უფრო მსუბუქ სასჯელს დამხმარისათვის. მაგალითად, ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის სავალდებულო შემცირებას დამხმარისათვის (§3 თავისა თანამონაწილეობის შესახებ); იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დამხმარის სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ამსრულებლის სასჯელს, მაგრამ მასზე მსუბუქი უნდა იყოს (§13). რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების თანახმად სასჯელი უმცირდებოდა იმ დამხმარეს, რომლის ხელის შეწყობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა (მუხ. 51-ე, ნაწ. II). ინგლისის სისხლის სამართლის მიხედვით თანამონაწილე დანაშაულის ჩადენის შემდეგ ისჯება უფრო მსუბუქად, ვიდრე თანამონაწილე დანაშაულის ჩადენამდე, რომელიც ისჯება ისევე, როგორც ამსრულებელი.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის კოდექსებში უფრო გავრცელებულია დამხმარეთათვის სასჯელის არა სავალდებულო, არამედ ფაკულტატიური შემცირება. მაგალითად, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით „სასჯელი შეიძლება შეუმსუბუქდეს იმ პირს, ვინც განზრახ დახმარებას გაუწევს სხვას დანაშაულის ჩადენაში“ (მუხ. 25-ე). სასჯელის ფაკულტატიურ შემსუბუქებას დამხმარისათვის ითვალისწინებს აგრეთვე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 49-ე). იტალიისა (მუხ. 114-ე) და დანიის სისხლის სამართლის კოდექსების (§ 23, ნაწ. I) თანახმად სასჯელი ფაკულტატიურად შეიძლება შეუმცირდეს ისეთ დამხმარეს, რომელმაც უმნიშვნელო მონაწილეობა მიიღო დანაშაულის ჩადენაში.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რომელიმე კატეგორიის თანამონაწილისათვის სასჯელის სავალდებულო ან ფაკულტატიურ შემცირებას. ამიტომ პირველი შეხედვით შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი კანონმდებლობისათვის საერთოდ ზედმეტია თანამონაწილეთა დაყოფა სხვადასხვა სახეებად, რამდენადაც იგი ყველა თანამონაწილისათვის პრინციპულად სასჯელის ერთნაირ ფარგლებს აწესებს, მაგრამ ასეთი დასკვნა არ შეესაბამება არც ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის

ზოგად პრინციპებს და არც მის დადგენილებებს თანამონაწილეთათვის სასჯელის დანიშნვის შესახებ.

ჯერ კიდევ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში მითითებული იყო, რომ სასჯელის ღონისძიება თითოეულ თანამონაწილეს დაენიშნება როგორც მონაწილეობის ხარისხის, ისე დამნაშავეისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხის მიხედვით<sup>1</sup>. ამის შემდეგ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის მოწესრიგების დროს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ყოველთვის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თანამონაწილისათვის სასჯელის ღონისძიების განსაზღვრისას სასამართლომ, სხვა გარემოებებთან ერთად, აუცილებლად მიიღოს მხედველობაში მისი მონაწილეობის ხარისხი, მისი როლი საერთო დანაშაულის ჩადენაში<sup>1</sup>. მაგალითად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1924 წლის ძირითად საწყისებში მითითებული იყო, რომ „სოციალური დაცვის ღონისძიებანი გამოიყენება ყველა თანამონაწილის (წამქეზებლის, ამსრულებლის, დამხმარის) მიმართ როგორც მათი სოციალური საშიშროების მიხედვით, ისე დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხის მიხედვით. ანალოგიური ნორმები შეტანილი იყო მოკავშირე რესპუბლიკების მიერ 1924 წლის ძირითადი საწყისების საფუძველზე გამოცემულ სისხლის სამართლის კოდექსებში. დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი განსაკუთრებით ხაზგასმულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალ

---

<sup>1</sup> ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ „რსფსრ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისები“ 1919 წლისა. სახელმძღვანელო საწყისების 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებში თუმცა მოცემული იყო თანამონაწილეთა სახეების განსაზღვრა, მაგრამ ამავე დროს 21-ე მუხლში ხაზგასმული იყო, რომ „სასჯელის ზომა განისაზღვრება არა დამნაშავეის მონაწილეობის ხარისხით, არამედ დამნაშავეისა და მის მიერ ჩადენილი ქმედობის საშიშროების ხარისხით“. „მითითებით, რომ სასჯელის ზომა განისაზღვრება არა მონაწილეობის ხარისხით, არამედ დამნაშავეის და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხით, — აღნიშნავს პროფ. ა. გერცენზონი, „სახელმძღვანელო საწყისები“ ფაქტიურად უარყოფდნენ თანამონაწილეობის ინსტიტუტს: ამ თვალსაზრისით სრულიადაც არ არის საჭირო კონკრეტულ საქმეებზე დადგენილ იქნეს წამქეზებელთა, ამსრულებელთა და დამხმარეთა როლი, არამედ საქმარისთა ყველა თანამონაწილეს მიუყენოთ მათი საშიშროებისა და დანაშაულის საშიშროების კრიტერიუმი“. (А. А. Герцензон, Руководящие начала по уголовному праву РСФСР, „Проблемы социалистического права“, Сб. 3, М., 1938, стр. 19).

საფუძვლებში. საფუძვლების მე-17 მუხლის მე-7 ნაწილში (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდექსის მე-19 მუხ. მე-7 ნაწილში) ნათქვამია: „დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს“. ასეთი დადგენილების არსებობა შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, სასჯელის დანიშვნის საერთო საწყისებთან და სასჯელის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღოს თანამონაწილეთა მონაწილეობის ხარისხი დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. გაითვალისწინოს, თუ ობიექტურად რა როლს ასრულებდა საერთო დანაშაულის თითოეული მონაწილე. ამისათვის კი პირველ ყოვლისა დადგენილ უნდა იქნეს, თუ რომელი სახის თანამონაწილესთან გვაქვს საქმე.

რამდენადაც ამსრულებელი ქმნის უფრო ქმედით პირობას დანაშაულის ჩასადენად, ვიდრე დამხმარე, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში, აადვილებს მას, ხოლო თვითონ დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში უშუალო მონაწილეობას არ იღებს, ამდენად, თუ დანარჩენი პირობები თანაბარია, ამსრულებელი უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე დამხმარე.

იგივე უნდა ითქვას წამქეზებლის შესახებ, რომელიც ჩვენი აზრით, როგორც საერთო წესი, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე დამხმარე. სხვათა შორის, ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტის აზრით, წამქეზებელი და დამხმარე ერთ დონეზე უნდა იქნენ დაყენებული და უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯონ, ვიდრე ამსრულებელი. ასეთ შეხედულებას იზიარებს, მაგალითად ჰერგტი. იგი გამოდის იმ დებულებიდან, რომ „თავისუფალი ნებისყოფის მქონე ადამიანზე ინტელექტუალური ზემოქმედება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაუთანაბრდეს ბუნებრივ მიზეზობრიობას, სადაც სულ სხვა კანონები მოქმედებს“<sup>1</sup>. აქედან იგი აკეთებს დასკვნას წამქეზებლის მოქმედების ნაკლები კაუზალური მნიშვნელობის შესახებ.

ამ შეხედულების დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრს ჩვენს ლიტერატურაში გამოთქვამს მ. შნეიდერი: „... უმეტეს შემთხვევაში

<sup>1</sup> R. Hergt, Die Lehre von der Teilnahme am Verbrechen, Heidelberg, 1909, S. 96.

დანაშაულში მონაწილეობის უდიდესი ხარისხი ახასიათებს წამქეზებლის, როგორც დანაშაულებრივი განზრახვის მატარებლის, მისი ინიციატორისა და წამომწვეების, საქმიანობას. თუ დანარჩენი პირობები ერთნაირია, წამქეზებელს შეეფარდება უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე დანარჩენ თანამონაწილეებს<sup>1</sup>.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვერც იმ შეხედულებას, რომელიც წამქეზებლის მონაწილეობას ობიექტური თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლის ამსრულებლის მოქმედებასთან შედარებით, და ვერც იმ შეხედულებას, რომელიც წამქეზებელს უფრო მკაცრად აფასებს, ვიდრე ამსრულებელს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამსრულებლისა და წამქეზებლის მოქმედებანი განსხვავებიან ერთმანეთისაგან არა დანაშაულში მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხით, არამედ დანაშაულში მონაწილეობის სხვადასხვა ხასიათით. რა თქმა უნდა, წამქეზებლის როლი დანაშაულის ჩადენაში ყოველთვის ერთნაირი როდია, იგი შეიძლება მრავალ სხვადასხვა ფორმაში გამოიხატებოდეს და სხვადასხვა ინტენსიურობის იყოს. მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ზოგჯერ წამქეზებლის აქტიურობა არათუ არ ჩამოუვარდება ამსრულებლის აქტიურობას, არამედ აჭარბებს კიდევაც მას. ავიღოთ შემთხვევა, როდესაც წამქეზებელია ძლიერი ნებისყოფის პიროვნება, რომელსაც აქვს უნარი სხვისი დამორჩილებისა ან როდესაც წამქეზებელი იყენებს იმას, რომ ამსრულებელი მის მიმართ სამსახურებრივად დამორჩილებული პირია, ან როდესაც წამქეზებელი მიმართავს ისეთ საშუალებას, როგორიცაა ამსრულებლის გამაწბილებელ გარემოებათა გახმაურების მუქარა და ა.შ. ასეთი წამქეზებელი, რა თქმა უნდა, მეტად დიდ როლს ასრულებს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაში. ხშირად წამქეზებელი დანაშაულის ინიციატორი და სულის ჩამდგმელია. იგი თვით არის ავტორი დანაშაულის ჩადენის იდეისა, ზოგჯერ იგი დანაშაულის ჩადენის გეგმასაც ადგენს და ხელმძღვანელობს. განა შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წამქეზებლის მონაწილეობა დანაშაულში ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე ამსრულებლისა?

ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება შევხვდეთ ისეთ შემთხვევას, როდესაც წამქეზებელს უფრო მძიმე სასჯელი ენიშნება, ვიდრე

<sup>1</sup> მ. შნიდერი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

ამსრულებელს. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ლეშჩენკოსა და ცეპას საქმე. ცეპას სურდა თავიდან მოეცილებინა თავისი საყვარელი ნ. და ამ მიზნით წააქეზა ლეშჩენკო მოეკლა ნ. ცეპა ჩადენილი ქმედობის ინციტორი და მეტად აქტიური თანამონაწილე იყო: იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩასციებოდა და აქეზებდა თავის ახლო ნათესავს ლეშჩენკოს, რომელიც ერთხანს წინააღმდეგობას უწევდა. დაბოლოს, ცეპამ მიაღწია თავის მიზანს და მიიღო ლეშჩენკოს თანხმობა, როდესაც მას წინასწარ სპირტანიი სასმელით გაუმასპინძლდა. გარდა ამისა, ცეპამ მონაწილეობა მიიღო დანაშაულის ჩასადენად იარაღის შოვნაში და მსხვერპლისათვის ჩასაფრების მოწყობაში. კაბარდინო-ბალქარეთის უმაღლესმა სასამართლომ 1961 წლის 24 თებერვლის განაჩენით მიუსაჯა ლეშჩენკოს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 103-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, პირველი 3 წლის საპყრობილეში მოხდით, ზოლო ცეპას – ამავე კოდექსის მე-17 და 103-ე მუხლების საფუძველზე მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, პირველი ხუთი წლის საპყრობილეში მოხდით. ცეპა საკასაციო საჩივარში მოითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1961 წლის 1 აპრილის განჩინებით პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა, თანაც მიუთითა: „მსჯავრდებულთა მოქმედებანი სწორად არის კვალიფიცირებული და სასჯელის ზომა სასამართლოს მიერ შერჩეულია დანაშაულის სიმძიმისა და მის ჩადენაში თითოეული მსჯავრდებულის როლის გათვალისწინებით“<sup>1</sup>.

მაგრამ წამქეზებელი ყოველთვის როდი ასრულებს ასეთ აქტიურ როლს. ზოგჯერ სულ მცირე ზემოქმედებაც კი საკმარისია დამნაშავეში დანაშაულებრივი გადაწყვეტილების წარმოსაშობად. ეს შესაძლებელია, თუ თესლი მომზადებულ ნიადაგს დაეცა, განსაკუთრებით, თუ ამსრულებელს ადრეც ჰქონდა წარმოშობილი დანაშაულის ჩადენის იდეა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ კონკრეტიზირებული არ იყო. ამიტომ არც ისე გადაჭრით შეძლება ითქვას, რომ წამქეზებელი ყოველთვის დანაშაულის მთავარი ფიგურაა.

დანაშაულებრივი ორგანიზაციის არსებობის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ორგანიზატორი. ამიტომ სასა-

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда РСФСР“, 1961, №2, стр. 10.

მართლო პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა მითითებული, რომ ორგანიზატორები, სხვა თანამონაწილეებთან შედარებით, უფრო მკაცრად უნდა აგებდნენ პასუხს.

ყველაზე ნაკლებ როლს დანაშაულის ჩადენაში დამხმარე ასრულებს. იგი არც დანაშაულის სულისჩამდგმელია და არც მისი შესრულების უშუალო მონაწილე, არამედ მხოლოდ აადვილებს დანაშაულის ჩადენას, ხელს უწყობს ამსრულებელს დანაშაულის შემაღვენლობის განხორციელებაში. ამიტომ, როგორც წესი, თუ ყველა სხვა გარემოება თანაბარია, სასამართლო პრაქტიკა დამხმარის მოქმედებას ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას მიაწერს და, ამსრულებელთან შედარებით, უფრო მსუბუქ სასჯელს უნიშნავს. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 27 თებერვლის განჩინება ომელკოვიჩის საქმეზე.

ომელკოვიჩი ცნობილი იყო დამნაშავედ იმისათვის, რომ ორჯერ მიიღო მონაწილეობა ოლონეცკის ტყის სამრეწველო მეურნეობის მალაზიის შეიარაღებულ გაძარცვაში. სახელდობრ, მისი როლი იმაში გამოიხატებოდა, რომ დაეხმარა ტოლპოვს მალაზიიდან გაეტანა და დაემალა გატაცებული საქონელი, რისთვისაც ტოლპოვმა სამი ბამბის მარვალი და რამდენიმე მეტრი მანუფაქტურა მისცა. სასამართლომ ომელკოვიჩს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უმაღლესი სასამართლომ კოლეგიამ შემეცირა ომელკოვიჩს სასჯელის ვადა, თანაც ამ შემეცირების მთავარ საფუძვლად ჩათვალა ომელკოვიჩის მეორეხარისხოვანი როლი ჩადენილ ქმედებაში<sup>1</sup>.

დამხმარის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში შეიძლება იმდენად უმნიშვნელო იყოს, რომ სასამართლომ დააყენოს საკითხი მისი პასუხისმგებლობისაგან სრულიად განთავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიმართოს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილს (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწ.).

სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც სისხლის სა-

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, №5, стр. 35.

მართლის პასუხისმგებლობისაგან სრულიად გათავისუფლდა პირი, რომელიც დამხმარის სახით მონაწილეობას იღებდა დანაშაულის ჩადენაში. ციკლაკოვას და ჩისტიაკოვას ბრალად ედებოდათ, რომ მათ თავიანთ ქმრებს ხორცის მოსაპარავად ათხოვეს მათ საერთო სარგებლობაში მყოფი მარხილი და შეძღვე მოიხმარეს მოპარული ხორცი. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1944 წლის 6 სექტემბრის განჩინებით ციკლიაკოვა და ჩისტიაკოვა გაანთავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ მოტივით, რომ მათი მოქმედება აშკარად უმნიშვნელოა და ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად<sup>1</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ თანამონაწილეთა მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამორკვევის დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხი, არამედ სხვა გარემოებანიც. განსაკუთრებით, ხელყოფის ობიექტის ღირებულება. უკანასკნელ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის საშიშროების ხარისხის დადგენისათვის, რაც ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნის დროს.

ედებულება, რომ დამხმარის მოქმედება, დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედებასთან შედარებით, ნაკლებ სასჯელს იმსახურებს, არ შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც დოგმა. დანაშაულში დახმარება სხვადასხვაგვარი ხასიათის მოქმედებებში გამოიხატება, რომელთა შორის ზოგიერთი შეიძლება საკმაოდ აქტიურ ხასიათს ატარებდეს. ავიღოთ, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ერთმა პირმა იშოვა იარაღი დანაშაულის ჩასადენად, გაიტყუა სახლის პატრონი სახლიდან მისი ქონების გატაცების გასაადვილებლად და თანაც აღუთქვა ბოროტმოქმედებს ნაქურდული ნივთების რეალიზაცია. ასეთი დამხმარე თუმცა უშუალო მონაწილეობას არ იღებს დანაშაულის ჩადენაში და არ უქმნის ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის განზრახვას, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაში იგი მეტად მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს. ეს გარემოება არ შეიძლება არ იქნეს მიღებული მხედველობაში სასჯელის დანიშვნის დროს.

---

<sup>1</sup> იხ. „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда Союза ССР“ 1944 г., М., 1948, стр. 147.



თანამონაწილეთათვის სასჯელის ღონისძიების არჩევის დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხი, არამედ ყველა გარემოება, რომელსაც კანონის თანახმად მნიშვნელობა აქვს სასჯელის კონკრეტული ღონისძიების დანიშვნისათვის. კერძოდ, კი პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. რა თქმა უნდა, ზოგჯერ უკვე „დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი“ ნათლად მიგვიითითებს პიროვნების საზოგადოებრივ საშიშროების ხარისხზეც. მაგრამ მაინც მთელი რიგი სხვა გარემოებანიც შეიძლება მიგვიითითებდნენ პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ამა თუ იმ ხარისხზე, მაგალითად, რეციდივი, დანაშაულის განმეორებით ჩადენა და ა.შ. ზოგჯერ პიროვნების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების გამო დამხმარე შეიძლება უფრო მკაცრადაც დაისაჯოს, ვიდრე ამსრულებელი. ამ დებულების საილუსტრაციოდ პ. ი. გრიშაევს და გ.ა. კრიგერს მოჰყავთ საინტერესო მაგალითი: მოსკოვის შჩერბაკოვის რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ სცნო მ. სახელმწიფო საწარმოდან ფეხსაცმლის ლანჩას მოპარვაში, ხოლო დამხმარედ – ბ., და ორივეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მოსკოვის ქალაქის სასამართლოს განჩინებაში ამ საქმეზე მითითებულია: „სახალხო სასამართლოს განაჩენი ბ.-ს მიმართ გამოტანილია სწორად და ძალაში უნდა დარჩეს. ხოლო მ.-ს მიმართ განაჩენი უნდა შეიცვალოს. მ.-ს ბრალი საკვებით დადგენილია, მაგრამ სასჯელის ღონისძიება სასამართლომ აირჩია მსჯავრდებულის პიროვნების გაუთვალისწინებლად. მ. წინათ ნასამართლევი არ ყოფილა, მან გულწრფელად აღიარა დანაშაული, იგი სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდია, მოტაცებული ქონება კუთვნილებისამებრ დააბრუნა. ასეთ გარემოებებში სასამართლო კოლეგია შესაძლებლად თვლის შეუფარდოს მას რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი“<sup>1</sup>.

ამგვარად, საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა თანამიმდევრულად ასახავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის პოზიციას და თანამონაწილეთათვის სასჯელის კონკრეტული ღონისძიების შერჩევის დროს მხედ-

<sup>1</sup> იხ. პ. გრიშაევი და გ. კრიგერი, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

ველობაში იღებს როგორც ობიექტურ მომენტს – „მონაწილეობის ხარისხს და ხასიათს“, აგრეთვე სუბიექტურ მომენტსაც – „პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს“. ორივე ამ მომენტის ერთობლივი გათვალისწინება, ერთის მხრივ, და მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებში სასჯელის საკმაოდ ფართო ჩარჩოების დადგენა, მეორეს მხრივ, სავსებით უზრუნველყოფენ სასჯელის სამართლიანი ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას კონკრეტული შემთხვევის ყველა გარემოების შესაბამისად.

**დანაშაულის უემსებლობა**



## შესავალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალმა პროგრამამ კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების ერთ-ერთ ამოცანად დასახა დანაშაულობის საბოლოოდ აღმოფხვრა და მშრომელთა აღზრდა თავიანთ მოვალეობათა ნებაყოფლობით, კეთილსინდისიერი შესრულების სულისკვეთებით. „კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში, — მიუთითებს პარტიის პროგრამა, — არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა“<sup>1</sup>. „ჩვენი ამოცანა ის არის, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოხსენებაში სკკპ XXII ყრილობაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ“, — რომ ახალი ზნეობრივი მოთხოვნები ყველა საბჭოთა ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება გახდეს. ჩვენ ვერ კიდევ ბევრი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბოლო მოუღოთ წარსულის გადმონაშთებს“<sup>2</sup>.

დანაშაულობის აღმოსაფხვრელად და საბჭოთა ადამიანების შეგნებულობის განვითარებისათვის კომუნისტური საზოგადოება მიმართავს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი საბჭოთა სამართალს უჭირავს. საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებასთან ერთად, საბჭოთა სახელმწიფო, სოციალისტური სისხლის სამართლის ნორმებზე დაფუძნებით, უფარდებს იმ პირთ, ვინც საშიში დანაშაული ჩაიდინა, სასტიკ ზომებს სისხლის სამართლის სასჯელის სახით.

სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებენ არა მარტო ის პირები, რომლებმაც უშუალოდ ჩაიდინეს დანაშაული, არამედ აგრეთვე ისინიც, ვინც თავისი მოქმედებით დაუკავშირდა ამ დანაშაულს. ეს კავშირი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს: იგი შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე სახით მონაწილეობას დანაშაულში ან შეიძლება სხვა ფორმით გამოიხატებოდეს. ამ მხრივ საბჭოთა სისხლის სამართალი განასხვავებს ერთმანეთისაგან თანამონაწილეობას დანაშაულში და დანაშაულის შემხებლობას.

<sup>1</sup> სკკპ XXII ყრილობის მასალები. სახ. გამოც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1962, გვ. 495.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 238.

თანამონაწილეობად ითვლება ორი ან მეტი პირის განზრახი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, ხოლო შემხებლობა გულისხმობს ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც არ წარმოადგენს მონაწილეობას დანაშაულში, არ გულისხმობს მისთვის ხელის შეწყობას, მაგრამ მაინც დაკავშირებულია დანაშაულთან და არ შეიძლება ჩადენილ იქნეს მის გარეშე. ასეთია, მაგალითად, დანაშაულის დაფარვა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა მოქმედებაში გამოიხატოს: დანაშაულის დამალვა, დანაშაულის კვალის დაფარვა, დანაშაულის შემვეობით შექმნილი საგნების გადამალვა, დანაშაულის ჩადენის იარაღების და საშუალებების დაფარვა. ასეთივეა დანაშაულის განუცხადებლობა, რომელიც მდგომარეობს ან უკვე დამთავრებული დანაშაულის განუცხადებლობაში, ან ისეთი დანაშაულის განუცხადებლობაში, რომელიც მზადდება ჩასადენად. ყველა ეს მოქმედება განუყრელად დაკავშირებულია სხვა მთავარ დანაშაულთან, არ შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულის დაფარვაზე, თუ თვით დანაშაული არ არის ჩადენილი. არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის განუცხადებლობას, თუ ჩადენილი არ არის, ან არ მზადდება ძირითადი დანაშაული.

როგორც დანაშაულის დაფარვა, ისე დანაშაულის განუცხადებლობა საზოგადოებრივად საშიშ ქმედობებს წარმოადგენენ. დანაშაულთან ბრძოლისა და დანაშაულების საბოლოოდ აღმოფხვრის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის დროულად გამოვლინებას და დანაშაულის მიმართ სათანადო იძულებითი და აღმზრდელობითი ღონისძიებების შეფარდებას. ვი. ლენინი მოითხოვდა მართლმსაჯულების ორგანოებისაგან, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმყდებელი<sup>1</sup>. კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში შედის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, შეურიგებლობა უსამართლობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭელობისადმი. ეს ავალებს ყოველ საბჭოთა მოქალაქეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ასეთი ამორალური და დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინებაში და მათთან ბრძოლაში. მაგრამ იმ მოქალაქეებთან ერთად, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი ვალი და აქტიურად ებრძვიან დანაშაულობას, არიან ისეთებიც, რომლებიც პა-

<sup>1</sup> ვი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 490.

სიურობას იჩენენ და თავს არიდებენ სოციალისტური მართლწესრიგის დაცვაში მონაწილეობას. არიან პირები, რომელთაც იციან, რომ მზადდება მძიმე დანაშაული ან ასეთი დანაშაული უკვე ჩადენილია და, მიუხედავად ამისა, არ ამჟღავნებენ დანაშაულს. უფრო მეტიც, არიან ისეთი პირებიც, რომლებიც არა თუ ხელს არ უწყობენ ჩადენილ დანაშაულთა გახსნას, არამედ პირიქით აქტიურად ხელს უშლიან მართლმსაჯულების საქმიანობას ამ საქმეში, იღებენ ისეთ მოქმედებებს, რომელთაც მიზნად აქვთ დანაშაულის დაფარვა. ამით საბოლოო ანგარიშში დანაშაულის დაფარვა და დანაშაულის განუცხადებლობა ხელს უწყობს დანაშაულობის ზრდას. „რაც უფრო ნაკლებია დანაშაულის დამფარავი, მით უფრო ნაკლებია ქურდი“, – ამბობდა ძველი იურიდიული აფორიზმი. ხოლო ცხადია, რაც უფრო ეფექტურად ებრძვის საზოგადოება დანაშაულის დაფარვას და დანაშაულის განუცხადებლობას, მით უფრო ეფექტურია მისი ბრძოლა საერთოდ დანაშაულობის აღმოფხვრისათვის. გასაგებია ამიტომ, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს დანაშაულის შემხებლობის ამ ფორმებთან ბრძოლას. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ დანაშაულის დაფარვის საკითხში არა მარტო საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში, არამედ თვით კანონმდებლობაშიც დიდხანს არ არსებობდა ერთსულოვნება, რაც აფერხებდა მიზანშეწონილ და ერთგვაროვან ბრძოლას ამ დანაშაულთან. აღნიშნულ საკითხში დიდი არეუ-ღარევა გამოიწვია აგრეთვე ვიშინსკის მცდარმა პოზიციამ თანამონაწილეობის შესახებ, რომელმაც საქართველოს იურისტებზედაც მოახდინა ერთგვარი ზეგავლენა. ყოველივე ეს ცხადყოფს აღნიშნული საკითხის აქტუალობას და სერიოზულ მნიშვნელობას.

## დანაშაულის დაზარება

### §1. საკითხის ისტორია

როგორც უკვე ნათქვამი იყო, დანაშაულის დაფარვა ლოგიკურად გულისხმობს წინასწარ რაიმე დანაშაულის ჩადენას, რომელსაც შემდეგ ჰფარავენ. ასეთმა მჭიდრო კავშირმა დანაშაულის დაფარვასა და ძირითად დანაშაულს შორის პირველი შეხედვით შეიძლება შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაულის დაფარვა, განუცხადებლობა და სხვ. დამოუკიდებელ შემადგენლობას კი არ წარმოადგენენ, არამედ მთავარი დანაშაულის გამოვლინების ფორმები არიან.

და მართლაც დიდი ხნის განმავლობაში დანაშაულის დაფარვა თანამონაწილეობის სახედ ითვლებოდა.

ჯერ კიდევ რომის სამართალში მიღებული იყო დებულება *par criman est rapere et rein raptam servare* (ერთნაირი დანაშაულია ნივთის გატაცება და გატაცებული ნივთის დაფარვა).

დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების სისხლის სამართალში დანაშაულის დამფარავის მოქმედება განიხილებოდა როგორც *con-cursus post delictum*, ხოლო თვით დამფარავი (*fautur crimines*) – როგორც მონაწილე უკვე ჩადენილ დანაშაულში. „*Point de receleur, poit de volcur* (რაც ნაკლებია დამფარავი, მით ნაკლებია ქურდი) – ლაპარაკობს ძველი ფრანგული სამართლის აფორიზმი.

დაფარვის ასეთი სისტემა დღემდე დარჩენილია საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით ის პირები, რომლებიც წინასწარი შეცნობით თავშესაფარს, საცხოვრებელ ადგილს ან შესაკრებ ადგილს აძლევენ ყაჩაღებს ან იმ პირებს, რომელნიც ხელყოფენ სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ სიმშვიდეს, ცალკე პირებს ან საკუთრებას, დაისჯებიან როგორც მათი თანამონაწილეები. ამავე კოდექსის 461-ე მუხლი (1915 წლის 22 მაისის კანონის რედაქციით) ითვალისწინებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების დაფარვას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს; ამავე დროს, უკეთუ ქმედობა, რომლითაც მოპოვებულია დაფარული



ნივთი, იწვევს დამტანჯველ ან გამაწილებელ სასჯელს და დამფარავმა დაფარვის მომენტში იცოდა, თუ რა დანაშაულით და რა გარემოებაშია შექმნილი ნივთი, დამფარავს შეეფარება იგივე სასჯელი, რაც დადგენილია ამ დანაშაულისათვის, ოღონდ სიკვდილით დასჯა შეეცვლება საკატორლო სამუშაოთი.

ინგლისის სამართალიც დამფარავს თანამონაწილის სახედ თელის. სახელდობრ, ფელონიის (felony) დროს ინგლისის სამართალი განასხვავებს 4 ხარისხის თანამონაწილებს. პირველი ხარისხის თანამონაწილენი არიან დანაშაულის ამსრულებლები; მეორე ხარისხის თანამონაწილენი — დამხმარენი და წამქეზებლები დანაშაულის ჩადენის მომენტში, მესამე ხარისხის თანამონაწილენი — თანამონაწილენი, რომლებიც მოქმედებდნენ დანაშაულის ჩადენამდე, და მეოთხე ხარისხის თანამონაწილენი — თანამონაწილენი, რომელნიც მოქმედებენ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ამ უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნიან დანაშაულის კვალის დამფარავნიც. დანაშაულის კვალის დამფარავი შედარებით უფრო მსუბუქად ისჯება, გარდა მძიმე მკვლელობის დამფარავისა, რომელსაც შეიძლება მიესაჯოს სამუდამო კატორღა<sup>1</sup>.

რუსეთის რევოლუციამდელ სისხლის სამართალშიც დანაშაულის კვალის დაფარვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიხილებოდა, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახე. რუსეთის 1885 წლის სისხლისსამართლებრივ და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-14 მუხლის თანახმად, დანაშაულის დამფარავებად ითვლებოდნენ ის პირები, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ წინასწარი შეცნობით მონაწილეობა მიიღეს მისი კვალის დაფარვაში ან მოსპობაში ან თვით დამნაშავის დაფარვაში, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც წინასწარი შეცნობით შესანახად მიიღეს ან სხვას გადასცეს ან გაჰყიდეს მოტაცებული ან რაიმე სხვა კანონსაწინააღმდეგო გზით მოპოვებული ნივთი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. К. Кенни, Основы уголовного права, Перевод В. И. Каминской. Изд. иностранной литературы, М., 1949, §§ 91-98.

დაფარვის ისტორია რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართალში დაწერილებით იხ. Н. Полетаев, Прикосновенность к преступлению. „Журнал министерства юстиции“, 1862, т. XIV, ч. II, §§ 45-...10 Н. С. Таганцев, Курс русского уголовного права, Часть общая, кн. разд. 3, С. Петербург, 1880, §§ 131-150; 157-162.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან უარყო შემხებლობის, კერძოდ, დანაშაულის დაფარვის საკითხის ასეთი დაყენება და გამორიცხა შემხებლები თანამონაწილეთა წრიდან. ასე, მაგალითად, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის დებულება სრულიად არ ახსენებს დამფარავს ზოგად ნაწილში, არამედ ითვალისწინებს დაფარვის სპეციალურ შემადგენლობებს კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში (მუხ. 257-ე – 262-ე) 1871 წლის სისხლის სამართლის დებულება იცნობს დაფარვის ორ სახეს: Begünstigung და Hehleri. პირველი აღწერილია სისხლის სამართლის დებულებაში, როგორც დამნაშავეს ან დანაშაულის კვალის დაფარვა, ან დანაშაულის ნაყოფით სარგებლობაში ხელის შეწყობა, ხოლო მეორე გულისხმობს იმავე მოქმედებათა ჩადენას ანგარების მიზნით ან წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნას. დანაშაულის დაფარვისათვის გათვალისწინებული სასჯელი სრულიად არ არის დაკავშირებული იმ დანაშაულთან, რომელსაც იგი ფარავს. მამსადამე დაფარვა წარმოადგენს არა ამ უკანასკნელის გამოვლინების ფორმას, არამედ განსაკუთრებულ დელიქტს.

ასეთივე ნორმები შეტანილი იყო ავსტრიის, პოლანდიის და იტალიის სისხლის სამართლის კოდექსებში<sup>1</sup>.

არ თვლიდა დანაშაულის დაფარვას თანამონაწილეობად არც რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულება. ამ დებულების ზოგად ნაწილში მითითებული იყო, რომ თანამონაწილეობის (დახმარების) ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს დანაშაულის დაფარვის დაპირება (მუხ. 51-ე), ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში, სახელდობრ, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში გათვალისწინებული იყო სპეციალური დანაშაულებრივი შემადგენლობანი დანაშაულის დაფარვის შესახებ (მუხ. მუხ. 167-ე და 168-ე).

დანაშაულის დაფარვის იურიდიული ბუნება დავას იწვევდა აგრეთვე ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ლიტერატურაში. ამ ლიტერ-

---

<sup>1</sup> დაფარვის შესახებ დასავლეთ ევროპის კანონმდებლობაში იხ. E. Belin Begünstigung und Hehleri, „Vergleichende Darstellung des Deutschen und Ausländischen Strafrechts“, Besondere Teil, B. VII, Berlin, 1907.

ატურაში დიდხანს გავრცელებული იყო შეხედულება, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის ჩადენის მომენტში, ისევე დანაშაულის ჩადენის შემდეგაც. მიზეზობრივი კავშირის არსებობა თანამონაწილის მოქმედებასა და დანაშაულებრივ ქმედობას შორის საჭიროდ არ მიაჩნდათ. თანამონაწილეობად თვლიდნენ იმ პირებსაც, რომელნიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ უერთდებიან დანაშაულს, მაშასადამე, დანაშაულისა და დამნაშავის დამფარავსაც.

დამფარავის მოქმედებას, აღნიშნული იურისტების აზრით, არა აქვს დამოუკიდებელი ხასიათი. დაფარვა წინასწარ დანაშაულთან ერთად ერთს მთლიანობას წარმოადგენს. დამფარავი პასუხს აგებს იმ დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ფარავს. მაშასადამე, პასუხისმგებლობის ყველა მომენტი — სასჯელი, ხანდაზმულობა, ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი და სხვ., თანამონაწილეობის აქტესორული ხასიათის თანახმად, დაფარვაზეც ვრცელდება. ასეთი შეხედულება გაბატონებული იყო ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მთელი XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში. თავისი დასრულებული საკანონმდებლო გამოხატულება, როგორც დავინახეთ, მან საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში პოვა.

ამ შეხედულებას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მრავალი მოწინააღმდეგე გაუჩნდა. ბურჟუაზიული იურისტების უმრავლესობა მართებულად აღნიშნავდა, რომ დანაშაულის დამთავრების შემდეგ მონაწილეობას ამ დანაშაულში ლოგიკურად არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. დამფარავი მოქმედებს დანაშაულის დამთავრების შემდეგ და ამიტომ შეუძლებელია მან რაიმე ზეგავლენა მოახდინოს თვით დანაშაულის ჩადენაზე. „როგორ შეიძლება დამფარავი იყოს დანაშაულის მონაწილე, — ამბობდა ნ. პოლეტაევი, — როდესაც იგი არაფრით ხელს არ უწყობს დანაშაულის ჩადენას. ეს რა მონაწილეობაა? მე ვყიდულობ წინასწარი შეცნობით ნაქურდალ ნივთებს, თავშესაფარს ვაძლევ ქურდს და ა.შ.... არავინ არ იტყვის, რომ მე უდანაშაულო ვარ: ამ ქმედობისათვის მე პასუხს ვაგებ სისხლის სამართლის კანონის წინაშე. მაგრამ მე ვერ ვიქნები იმ

დანაშაულის მონაწილე, რომელსაც ხელს არ ვუწყობდი, რომლის შესახებ შესაძლებელია არც კი ვიცოდე“<sup>1</sup>.

მეორე მხრივ მიუთითებდნენ აგრეთვე, რომ დამფარავი განსხვავდება თანამონაწილისაგან სუბიექტური მხრივითაც, რომ დამფარავს და ამსრულებელს არა აქვთ საერთო განზრახვა, რომელიც დამახასიათებელია თანამონაწილეთათვის. „როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ განზრახვის ერთიანობაზე, — აღნიშნავდნენ რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების შემდგენლები, — როდესაც ერთმა ბოროტებისა და შურისძიების მოტივით გადაწვა თავისი მტრის სახლი, ხოლო მეორემ ცეცხლის წამკიდებლის სიყვარულისა და შებრალების გამო დაფარა იგი, რათა მართლმსაჯულებას ხელში არ ჩავარდნოდა“<sup>2</sup>.

აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიული იურისტების მეორე ჯგუფი განიხილავს დაფარვას როგორც დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედობას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამ შეხედულებამ თავისი სრულყოფილი საკანონმდებლო გამოხატულება 1903 წლის სისხლის სამართლის დებულებაში პოვა.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში არსებობდა აგრეთვე მესამე შეხედულებაც, რომელიც თუმცა არ თვლიდა დაფარვას თანამონაწილებად, მაგრამ მაინც ამტკიცებდა მის არა დამოუკიდებელ, აქცესორულ ხასიათს. ამ შეხედულების მთავარ წარმომადგენლად ბელინგი უნდა ჩაითვალოს.

ბელინგის აზრით, ძველი იურისტები „მართებულად“ გრძნობდნენ, რომ არსებობს კონტაქტი თანამონაწილებასა და განსაზღვრულ შემდგომ მოქმედებას (concursum improprium) შორის“<sup>3</sup>.

დაფარვის აქცესორული ხასიათის მტკიცების დროს ბელინგი იყენებს თავის მოძღვრებას დანაშაულის შემადგენლობის შესახებ. მისი აზრით არსებობს შემადგენლობის ვიწრო და ფართო ცნება. „ვიწრო შემადგენლობას“ მიეკუთვნება მხოლოდ ის მოქმედებანი, რომლებითაც

<sup>1</sup> ნ. პოლენტაევი, დასახ. შრომა, გვ. 49.

<sup>2</sup> Уголовное уложение, Проект редакционной комиссии и объяснения к нему, т.1, С. II. 1897, гв. 489.

<sup>3</sup> E. Beling, Die Lehre vom Verbrechen, 1906, S. 477.

სრულდება სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის დისპოზიციის ნიშნები. „ვიწრო შემადგენლობას“ ახორციელებს ამსრულებელი. ხოლო ის მოქმედებანი, რომელნიც მოსამზადებელ სტადიაში შედიან, და აგრეთვე დანაშაულის აღსრულების მომენტში ჩადენილი მოქმედებანი, რომლებითაც ვიწრო შემადგენლობა არ ხორციელდება (die Nebenhandlungen), შედიან „ფართო შემადგენლობის“ სფეროში. „ვიწრო შემადგენლობა“ – დანაშაულის მთავარი ტიპია. ეს მთავარი ტიპი განსაზღვრავს წაქეზებისა და დახმარების არსს, „...თანამონაწილეების დასჯადობა შინაგანი აუცილებლობით განისაზღვრება იმით, თუ რომელ ტიპს ეკუთვნის თანამონაწილის მოქმედება“<sup>1</sup>. სწორედ ამის გამო წაქეზება და დახმარება განიხილებიან არა როგორც დანაშაულის განსაკუთრებული ტიპები, არამედ როგორც ერთი ტიპის აქცესორები.

ამგვარსავე დამოკიდებულებაში არიან, ბელინგის აზრით, მთავარ ტიპთან მოქმედებანი, რომელნიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ განაგრძობენ დანაშაულით შექმნილ მართლსაწინააღმდეგო მდგომარეობას (die Nachhandlungen): ისინიც ძირითად შემადგენლობას ემორჩილებიან და ამიტომ არ შეიძლება დამოუკიდებელ ტიპებს წარმოადგენდნენ.

ამ დებულების სასარგებლოდ ბელინგს შემდეგი მოსაზრებანი მოჰყავს:

თუ თვით ამსრულებელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ასრულებს მოქმედებას, რომელიც მიმართულია დანაშაულით შექმნილი მართლსაწინააღმდეგო მდგომარეობის გასაგრძელებლად და გამოსაყენებლად, მაგალითად, სარგებლობს დანაშაულის ნაყოფით, ფარავს დანაშაულის კვალს და ა.შ. ეს მოქმედება არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი დანაშაულებრივი შემადგენლობა და ამსრულებელი პასუხს არ აგებს დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის. ხოლო თუ ეს ასეა, გაუგებარია, როგორ შეიძლება იგივე მოქმედება გამოცხადებულ იქნეს დამოუკიდებელი დანაშაულის ტიპად მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მესამე პირის მიერ არის შესრულებული<sup>2</sup>.

<sup>1</sup> E. Beling, Die Lehre vom Verbrechen, 1906, S. 473.

<sup>2</sup> ბელინგი, ციტირ. შრომა, გვ. 473.

აქედან ბელინგი აკეთებს დასკვნას: სისხლის სამართალში არსებობს ზოგადი ცნება — მოქმედების ერთიანობა რამდენიმე პირის მონაწილეობის დროს. ამ ზოგად ცნებას ორი სახესხვაობა აქვს: 1) თანამონაწილეობა და 2) შემდგომი მონაწილეობა დანაშაულში ისევე, როგორც თანამონაწილეობა, შემდგომი მონაწილეობაც დანაშაულში განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთი დანაშაულის შესრულება და მასზე უნდა გაკრცეღდეს აქცესორული თანამონაწილეობისათვის დადგენილი ყველა წესი. ამიტომ ზოგად ნაწილში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულში მონაწილეობა მისი ჩადენის შემდეგ, ხოლო განსაკუთრებული ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნენ ის მუხლები, რომლებიც ასეთ მოქმედებებს დამოუკიდებელ დანაშაულად თვლიან (Begünstigung და Hehlerei)<sup>1</sup>.

ბელინგის მოსაზრება დაფარვის აქცესორული ხასიათის შესახებ არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს.

ის გარემოება, რომ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაფარვაზე მიმართული მოქმედება დამოუკიდებელი დანაშაულის ნიშნებს არ გვაძლევს, სრულიადაც არ გამოდგება იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ იგივე მოქმედება, ჩადენილი მესამე პირის მიერ, აგრეთვე ვერ მოგვცემს დანაშაულის ახალ შემადგენლობას.

შესაძლებელია მოვიყვანოთ მრავალი სხვა შემთხვევა ანალოგიური ხასიათისა, სადაც ახალი დანაშაულის შემადგენლობის არსებობა ეჭვს არ იწვევს. მაგალითად, თუ ვინმემ მოკვლის განზრახვით კაცს საწამლავი მისცა და შემდეგ არ აღმოუჩინა მას დახმარება, — აქ ერთი შემადგენლობაა — მკვლელობა. ხოლო თუ ეს არ გააკეთა მესამე პირმა, რომელსაც დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ შემდეგ შესაძლებლობა ჰქონდა დახმარება აღმოეჩინა მოწამლულისათვის, ეს მესამე პირი პასუხს აგებს დამოუკიდებელი დანაშაულისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 164 მუხლი). დამნაშავე, რომელიც თავის საქმეზე მისცემს ყალბ ჩვენებას, არ იღენს ახალ დანაშაულს, მაგრამ იგივე მოქმედება, ჩადენილი მესამე პირის მიერ, დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს. მაშასადამე, ძირითადი დამნა-

<sup>1</sup> ბელინგი, ციტირ. შრომა, გვ. 483-484.

შავის დაუსჯელობა დანაშაულის კვალის დაფარვისათვის იმით კი არ აიხსნება, რომ ეს მოქმედება ყველა პირობაში მთავარ დანაშაულთან ერთად მთლიანობას წარმოადგენს, არამედ იმით, რომ დასჯადობა ძირითადი დანაშაულისათვის შთანთქავს დასჯადობას დაფარვისათვის.

\* \* \*

ის საკითხი, თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს დაფარვა თუ დამოუკიდებელ დანაშაულად, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ერთგვაროვნად არ წყდებოდა.

1918 წელს გამოცემულ დეკრეტებს შორის, რომლებიც დაფარვის და საერთოდ შემხებლობის ცნებას იხსენიებდნენ, უმრავლესობა დაფარვას მთავარ დანაშაულთან ათანაბრებდა. მაგალითად, რსფსრ-ის სახკომსაბჭოს 1918 წლის 3 მაისის დეკრეტი მექრთამეობის შესახებ აღნიშნავდა, რომ ქრთამის ამღებთან ერთად პასუხს აგებენ ქრთამის მიმცემი, წამქეზებელი, დამხმარე და შემხებლები. სახკომსაბჭოს 1918 წლის 22 ივლისის დეკრეტი სპეკულაციის შესახებ მიუთითებდა, რომ წამქეზებლები, დამხმარენი და შემხებლები ისჯებიან მთავარი დანაშავის თანაბრად. 1918 წლის 20 ივლისის დეკრეტი „საგანგაშო ზარის შესახებ“ აგრეთვე ითვალისწინებდა შემხებლების დასჯადობას ამსრულებლის თანაბრად. აღნიშნული დეკრეტები არ თვლიან შემხებლობას, მათ შორის დაფარვას, დამოუკიდებელ დანაშაულად და მის დასჯადობას მთავარი დანაშავის დასჯადობასთან აიგივებენ. სხვაგვარად იქცევა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1918 წლის 25 დეკემბრის დადგენილება დეზერტირობის შესახებ, რომელიც განიხილავს დეზერტირის დაფარვას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს და მისთვის განსაკუთრებულ სასჯელს აწესებს. სახელდობრ, თუ დეზერტირს მეტად მძიმე სასჯელი მოელოდა, თვით სიკვდილით დასჯაც, დამფარავს შეიძლება შეფარდებოდა მხოლოდ გამასწორებელი სამუშაო 5 წლამდე.

1919 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისების“ თანახმად შემხებლობა თანამონაწილეობის სახედ ითვლებოდა, „სახელმძღვანელო საწყისების“ 24-ე მუხლში ნათქვამი იყო: „დამხ-

მარედ ითვლება ის, ვინც უშუალო მონაწილეობას არ იღებდა დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენაში, მაგრამ ხელს უწყობდა მის შესრულებას სიტყვით ან საქმით, რჩევით, დაბრკოლების აცილებით, დამნაშავეის ან დანაშაულის კვალის დაფარვით ან მიმხრეებლობით, ე.ი. დანაშაულის ჩადენისათვის ხელის არშეშლით“.

ამ განმარტების თანახმად, დამნაშავეის ან დანაშაულის კვალის დაფარვა, იმისდა მიუხედავად, წინასწარ იყო თუ არა აღთქმული ეს დაფარვა, თანამონაწილეობად ითვლებოდა.

იმავე თვალსაზრისს დაადგა რსფს-რის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც თვლის დანაშაულის დამხმარედ იმას, „ვინც ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას რჩევით, მითითებით, დაბრკოლების აცილებით, დამნაშავეის და დანაშაულის კვალის დაფარვით“ (მუხ. 16-ე).

სახელმძღვანელო საწყისებისა და 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ზემოთდასახელებული მუხლები საფუძველს იძლეოდნენ დანაშაულის დაფარვის ცნების სხვადასხვაგვარად გაგებისათვის. რამდენადაც დაფარვამ მხოლოდ მაშინ შეიძლება შეუწყოს ხელი დანაშაულის ჩადენას, როდესაც ეს დაფარვა წინასწარ არის აღთქმული, ამდენად საფუძველს მოკლებული არ იყო ის აზრი, რომ სახელმძღვანელო საწყისები და 1922 წლის კოდექსი თანამონაწილეობად (დამხმარებად) თვლიან არა ყოველგვარ დაფარვას, არამედ მარტო ისეთს, რომელიც წინასწარ იყო შეპირებული. მეორე მხრით, თუ 1922 წლის კოდექსი წინასწარ შეუპირებელ დაფარვას არ თვლიდა თანამონაწილეობად, მაშინ მას განსაკუთრებულ ნაწილში უნდა გაეთვალისწინებინა წინასწარ აღუთქმელი დაფარვა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, მიმართული მართლმსაჯულების წინააღმდეგ. ამიტომ გასაგებია, რომ ზემოაღნიშნულმა მუხლებმა საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პირიქით, სასამართლო პრაქტიკა ერთ გარკვეულ გზას დაადგა, სახელდობრ, მან უარყო რაიმე პრინციპული განსხვავება წინასწარ აღთქმულ და წინასწარ აღუთქმელ დაფარვას შორის. ასე მაგალითად, რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1926 წლის 20 დეკემბრის დადგენილებაში მიუთითა, რომ თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს ისეთი



პირებიც, რომლებსაც თუმცა მონაწილეობა არ მიუღიათ მკვლევლობაში, მაგრამ ხელი შეუწევეს მკვლევლობის დაფარვას ძირითად დამნაშავეთა ბრალის თავის თავზე აღების მეშვეობით<sup>1</sup>.

ეს შეხედულება სავსებით გარკვევით გატარებული იყო რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად დამხმარედ ითვლებოდა ის, „ვინც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას რჩევით, მითითებით, საშუალების მიწოდებით და დაბრკოლების აცილებით ან დამნაშავესა და დანაშაულის კვალის დაფარვას“. ამგვარად, მე-17 მუხლის თანახმად დამხმარენი ორ კატეგორიად განიყოფებოდნენ: პირველ კატეგორიას ეკუთვნოდნენ ის პირები, რომელნიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, ხოლო მეორე კატეგორიას — ის პირები, რომელნიც ხელს უწყობენ დამნაშავეს ან დანაშაულის კვალის დაფარვას.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის ამ პოზიციას ადგენენ დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებიც, გარდა უზბეკეთის სსრ 1926 წლის, უკრაინის სსრ 1927 წლის და საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსებისა. აღნიშნული კოდექსები მკვეთრად განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან დაფარვას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, და დაფარვას, რომელიც დანაშაულის ჩადენას ხელს არ უწყობს. პირველი სახის დაფარვად ითვლებოდა წინასწარ შეპირებული დაფარვა. იგი განიხილებოდა, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში. მეორე სახის დაფარვად ითვლებოდა ისეთი დაფარვა, რომელიც წინასწარ შეპირებული არ იყო. ეს უკანასკნელი განიხილებოდა არა როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ, როგორც დამოუკიდებელი ქმედობა, რომელიც იწვევდა პასუხისმგებლობას მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკითხი დანაშაულის დაფარვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ დავას იწვევდა საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაშიც. საბჭოთა კრიმინალისტების ერთი ნაწილი იზიარებდა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის შეხედულებას დაფარვაზე და თვლიდა, რომ პასუხისმგებლობა წინასწარ შეპირებული და წინასწარ შეუპირებული

<sup>1</sup> „Еженедельник советской юстиции“, 1927. №6.

დაფარვისათვის ერთნაირი უნდა იყოს. სახელდობრ, ყოველმა დამფარავმა პასუხი უნდა აგოს როგორც იმ დანაშაულის თანამონაწილემ, რომელსაც იგი ჰფარავს. მაშასადამე, პირმა, ვინც დამალა მკვლელი, პასუხი უნდა აგოს, როგორც ამ მკვლელობის მონაწილემ თუნდაც მკვლელობის შესახებ მან მხოლოდ დანაშაულის დამთავრების შემდეგ შეიტყოს.

განსაკუთრებით დაჟინებით ამ შეხედულებას ა. ვიშინსკი იცავდა და აკრიტიკებდა — რა ცნობილ საბჭოთა კრიმინალისტს ა. პიონტკოვსკის. ვიშინსკი ამბობდა: „პიონტკოვსკის აზრით, დაფარვა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დახმარებად, როდესაც იგი წინასწარ შეპირებული იყო ამსრულებლისათვის, მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე. ეს სწორი არ არის. დაპირება არ არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რათა დაფარვა დახმარებად ვაღიაროთ“.

ა. ვიშინსკის ასეთი შეხედულება დაფარვაზე ლოგიკურად გამომდინარეობს მის მიერ წამოყენებული დებულებიდან, რომ თანამონაწილეობისათვის არ არის საჭირო მიზეზობრივი კავშირის არსებობა თანამონაწილის მოქმედებასა და მანვე შედეგს შორის. სახელდობრ, იგი წერდა: „თანამონაწილეობის ცნებისათვის აუცილებელია არა მიზეზობრივი კავშირი, არამედ საერთოდ პირის რაიმე კავშირი ჩადენილ დანაშაულთან“<sup>1</sup>. ამ დებულების განსამტკიცებლად ვიშინსკი მიუთითებდა ინგლისის სისხლის სამართალზე, რომელიც, მისი აზრით, სწორ დებულებებს აყალიბებს თანამონაწილეობის საკითხში.

მართლაც ინგლისის სამართალს თანამონაწილეობა მეტად ფართოდ ესმის. ინგლისის სამართლის მიხედვით, თანამონაწილეებად მძიმე დანაშაულში (felony) ითვლებიან ის პირებიც, რომლებიც მოქმედებენ დანაშაულის ჩადენის შემდეგ<sup>2</sup>. თუ რამდენად ფართოა ამ უკანასკნელი სახის თანამონაწილეობის მოცულობა, ეს აკად. ა. ვიშინსკის ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი. იგი თვით მიუთითებდა: „ინგლისის სამართლის მიხედვით, თუ ვინმემ დამალა პირი, ვისაც ჩადენილი აქვს

<sup>1</sup> А. Я. Вышинский, Вопросы теории государства и права, М., 1949, стр. 118.

<sup>2</sup> К. Кенни, Основы уголовного права, Перевод В. И. Каминской, Изд. иностр. лит-ы, М., 1949, стр. 91-88; М. Дженкс, Английское право, Перевод А.А. Лушца, Изд. мнш. юст. СССР, М., 1947, стр. 145-146.

ფელონია (ჯაშუშობა), ან აღმოუჩინა მას რაიმე დახმარება ან მხარდაჭერა, ის განიხილება როგორც ამ დანაშაულის დამატებითი მონაწილე; დამატებით მონაწილედ ითვლება ისიც, ვინც იცის, რომ სხვა პირმა ჩაიდინა ფელონია და თავს არიდებს გამოვიდეს მოწმედ მის წინააღმდეგ, არ სურს ხელი შეუწყოს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, აგრეთვე ისიც, ვინც ფელონიისათვის მსჯავრდებულ პირს მიაწოდებს იარაღს, რათა მან გატეხოს საპატიმროს კარები, ან ბოქლომი და გაიქცეს, ბოლოს ისიც, ვინც გადაცემს მსჯავრდებულს თანხას საპატიმროს დარაჯის მოსასყიდად იმ მიზნით, რომ უკანასკნელმა მისცეს მას გაქცევის შესაძლებლობა<sup>1</sup>. თვითონ ინგლისელი იურისტები უმატებენ ასეთ შემთხვევებს დანაშაულის მოწონებას მისი ჩადენის შემდეგ, დამნაშავეს შექებას და სხვ. მისთ.<sup>2</sup>

ზემოთმოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რა შორს მიდიოდა ა. ვიშინსკი, როდესაც იგი გვთავაზობდა მიზეზობრივი კავშირის უარყოფას თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის და მის მაგივრად „რაიმე კავშირის“ შემოღებას. „რაიმე კავშირის“ ცნება იმდენად ფართო და განუსაზღვრელია, რომ ამას შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში ისეთი პირების მიცემა, რომელთაც არათუ მონაწილეობა არ მიუღიათ დანაშაულის ჩადენაში, არამედ არც კი იცოდნენ მისი ჩადენის შესახებ. როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. პინჩუკი, „ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ცნება „კავშირი საერთოდ“, როგორც თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის ობიექტური პირობა, ისეთი თვალსაჩინო გაურკვეველობით გამოირჩევა, რომ მის გაზიარებას შეეძლო დიდი ზიანი მიეყენებინა (და მიაყენა კიდევაც, როგორც გამოირკვა ბერიას და სხვათა დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძღვანების შედეგად) სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის“<sup>3</sup>.

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ა. ვიშინსკი თავისი დებულების დასამტკიცებლად იმოწმებს ყველაზე უფრო ჩამორჩენილ საკანონმდებ-

<sup>1</sup> ა. ვიშინსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 119-120.

<sup>2</sup> ე. ჯენკსი, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

<sup>3</sup> В. Ц. Пинчук, Состав преступления и проблема ответственности за соучастие особого рода, „Вестник Ленинградского университета“, №17, Ленинград, 1959, გვ. 131.

ლო სისტემას დასავლეთ ევროპაში. ცნობილია, რომ ინგლისის სისხლის სამართალი არა მარტო თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში, არამედ მრავალ სხვა საკითხშიც განვითარების მეტად დაბალ დონეზე დგას. და მართლაც დანაშაულის კვალის დამფარავთა და სხვა შემხებელთა გათანაბრება დანაშაულში თანამონაწილეებთან დამახასიათებელია საშუალო საუკუნეების ფეოდალური სამართლისათვის და დიდი ხანია უარყოფილია შედარებით უფრო დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ბურჟუაზიული სისხლის სამართლისათვის. მით უფრო მიუღებელია იგი საბჭოთა სისხლის სამართლისათვის, რომელიც ჭეშმარიტად დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული და შეუძლებლად თვლის ადამიანის პასუხისმგებლობას სხვისი ბრალისათვის.

თუმცა ვიშინსკის შეხედულება თანამონაწილეობის შესახებ არ ყოფილა გაზიარებული საბჭოთა კრიმინალისტიკის უმრავლესობის მიერ, მაგრამ მას ცალკეული მიმდევრები გამოუჩნდა. ასე, მაგალითად, 1952 წელს ი. ი. ბრაინინი წერდა: „მიზეზობრივ კავშირს საერთოდ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის“<sup>1</sup>. იმავე წელს რ.ა. ხრულინსკი-ბურბო ამტკიცებდა: „მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის საქმიანობასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილ მოქმედებას შორის არ წარმოადგენს თანამონაწილეობის აუცილებელ, კონსტიტუციურ ელემენტს საბჭოთა სისხლის სამართალში“<sup>2</sup>.

მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის უარყოფდა აგრეთვე დოც. მიშუნინი. თავის წერილში შემხებლობის შესახებ იგი აღნიშნავდა:

„ჩვენ ვიცით, რომ მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეთა მოქმედებასა და ამსრულებლის მოქმედებით განხორციელებულ დანაშაულებრივ შედეგს შორის არ წარმოადგენს თეორიულ საფუძველს საბჭოთა სისხლის სამართალში თანამონაწილეობის კონსტრუქციისათვის.

თანამონაწილეობის ცნებისათვის აუცილებელია მინიმალური სუბიექტური კავშირი თანამონაწილეთა შორის. ეს მინიმალური სუბიექ-

<sup>1</sup> Юридический сборник Киевского государственного университета им. Т. Шевченко, 1952, №5, гл. 135.

<sup>2</sup> Р. А. Хрулинский-Бурбо, Против института прикосновенности в теории советского уголовного права. „Ученые записки Саратовского юридического института имени Л. И. Курского“, вып. 3, 1952, стр. 168.

ტური კავშირი იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ წამქეზებელმა და დამხმარემ უნდა იცოდნენ, რომ ისინი თავისი მოქმედებით ხელს უწყობენ ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში საქმიანობისათვის მათ ყველამ ერთად პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის წესით თანამონაწილეობისათვის<sup>1</sup>.

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, მიშენინს საკმარისად მიაჩნდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, თუ თანამონაწილენი ფიქრობენ, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობენ დანაშაულს. მაშასადამე, ობიექტური მიზეზობრივი კავშირის მაგივრად მას შემოაქვს სუბიექტური მინიმალური კავშირი და ასეთ კავშირს საკმარისად თვლის პასუხისმგებლობისათვის. ეს შეხედულება მეტად უახლოვდება ბურჟუაზიული იურისტის ბირლინგის შეხედულებას, რომელსაც აგრეთვე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველი მთლიანად სუბიექტურ სფეროში გადაჰქონდა.

ის მოსაზრება, რომ თანამონაწილეობა არ მოითხოვს მიზეზობრივი კავშირის არსებობის თანამონაწილის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით პირმა შეიძლება პასუხი აგოს დანაშაულებრივი შედეგისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შედეგი გამოწვეულია მისი მოქმედებით ან უმოქმედობით და თუ ამ დანაშაულებრივი შედეგის მიმართ მას აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. პასუხისმგებლობა ისეთი შედეგისათვის, რომლის წარმოშობაში პირს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, იქნებოდა პასუხისმგებლობა სხვისი დანაშაულისათვის, რაც უცხოა საბჭოთა სისხლის სამართლისათვის.

---

<sup>1</sup> П. Мишенин, Институт прикосновенности к преступлению в советском уголовном праве. „Социалистическая законность“, 1956, №11, стр. 10. ზემოთმოყვანილი დებულების საწინააღმდეგოდ პ. მიშენინი ამავე წერილში მოულოდნელად აყენებს სულ სხვა დებულებას: „ხოლო დადგენა მიზეზობრივი კავშირისა, როგორც თანამონაწილეობით ჩადენილი ქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველისა, სავალდებულოა ისევე, როგორც ერთი პირის მიერ ჩადენილ ყოველ სხვა დანაშაულში“ (გვ. 11). მაგრამ ამ დებულებას ეწინააღმდეგება ის, რომ პ. მიშენინი წინასწარ შეუპირებელ დაფარვას თანამონაწილეობად თვლის (იქვე, გვ. 12-13).

მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს იმ ობიექტურ საფუძველს, რომლის ფარგლებს გარეთ არ შეიძლება გავრცელდეს პასუხისმგებლობა თანამონაწილეობისათვის. მაშასადამე, თანამონაწილედ დანაშაულში შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც ჩაიდინა მოქმედება, რომელიც წინ უსწრებს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას და წარმოადგენს ამ შედეგის განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, ამ დებულების უარყოფას შეიძლება მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ისეთი გაფართოება, რომელიც მართლმსაჯულების ყოველსავე გარკვეულობას მოსპობს.

ვიშინსკის მომხრეები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ იმ საკითხის გადასაწყვეტად, დანაშაულის დაფარვის ყველა შემთხვევა უნდა ჩაითვალოს თუ არა თანამონაწილეობად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, წინასწარ იყო თუ არა შეპირებული დაფარვა დამფარავის მიერ. ასე, მაგალითად, მ. პერკუშევი ასაბუთებდა, რომ დანაშაულის დაფარვის დაყოფა ორ სახედ – წინასწარ შეპირებულად და წინასწარ შეუპირებლად, არათუ მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, არამედ ამავე დროს ეწინააღმდეგება ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას, რომ რეალურ პიროვნებათა რეალურ „ზრახვებსა და გრძნობებზე“ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ პიროვნებათა მოქმედების მიხედვით<sup>1</sup>.

„გაუგებარია თვით პრინციპი დაფარვის დაყოფისა „წინასწარ შეპირებულ“ და „წინასწარ შეუპირებელ“ დაფარვად, – წერს იგი, – ამ პრინციპის მიხედვით წინადადებას იძლევიან ვიმსჯელოთ ადამიანზე მისი სიტყვების მიხედვით (წინასწარ დაპირდა დაფარვას, თუმცა შეიძლება ეს არც შეუსრულებია) და არა მისი საქმის მიხედვით (თუმცა არ დაპირებია, მაგრამ სინამდვილეში დაფარა). პრინციპი ადამიანის განსჯისა მისი სიტყვის და არა საქმის მიხედვით ეწინააღმდეგება საბჭოთა ადამიანის მთელ წყობას, მის მორალურ და ზნეობრივ შეხედულებებს. საბჭოთა სახელმწიფოში ცალკეულ პირებზე ჩვენ ვმსჯელობთ მათი ქცევის მიხედვით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 1, გვ. 487.

<sup>2</sup> М. Меркушев, Ответственность за укрывательство, „Социалистическая законность“, 1955, №1, стр. 19.

ასეთი მსჯელობა, ჩვენის აზრით, გაუგებრობაზეა აგებული. სინამდვილეში დაფარვის დაპირება ცარიელი სიტყვა არ არის. ეს საქციელია, და იგი რომ არ ყოფილიყო, დანაშაულს, შეიძლება, ადგილიც არ ჰქონოდა. განა ყოველი ფსიქიკური თანამონაწილე სიტყვებით არ საქმიანობს? მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს საქმიანობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან. წამქეზებელიც სიტყვებს წარმოთქვამს, მაგრამ ეს ხომ ცარიელი სიტყვა არ არის, ეს წამქეზებლის „საქმეა“. ამ სიტყვების მეშვეობით ის ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის განზრახვას აღძრავს და ამით ხელს უწყობს დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობას.

პ. ი. გრიშაევი და გ. ა. კრიგერი მართებულად მიუთითებენ, რომ მერკუშევს სრულად უადგილოდ მოჰყავს ვ. ი. ლენინის ზემოთ ციტირებული დებულება. ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა მიხაილოვსკის და სხვანაროდნიკებს იმისათვის, რომ ისინი საზოგადოების განვითარების ძირითად მიზეზად ადამიანთა ცნობიერებას სახაჯდნენ და ადამიანთა აზრებსა და გრძნობებს ობიექტური რეალობიდან წყვეტდნენ. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ვ. ი. ლენინი უარყოფდა საზოგადოებრივი ცნობიერების როლს და მას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა<sup>1</sup>. თუ ვ. ი. ლენინის აღნიშნული სიტყვების მერკუშევისეულ კომენტირებას გავყვებით, მაშინ შეუძლებელია დასჯადად ვალიაროთ ანტიისაბჭოური აგიტაცია და პროპაგანდა, სადაც დანაშაულის ჩადენის ფორმას სწორედ გარკვეული შინაარსის სიტყვების გამოთქმა წარმოადგენს, ან მკვლელობის მუქარა, რომელიც აგრეთვე უმეტეს შემთხვევაში სიტყვიერი ფორმით გამოიხატება, ცხადია, ეს ქმედობანი არ შეიძლება უვნებელ ქმედობებად იქნენ აღიარებული, ისინი საზოგადოებრივად საშიშნი არიან და გარკვეულ რეალურ (თუმცა არა მატერიალურ) ზიანს აყენებენ საბჭოთა საზოგადოებას.

ყოველგვარი დაფარვის თანამონაწილეობად აღიარების მომხრენი მიუთითებენ აგრეთვე, რომ დაფარვის წინასწარ დაპირების ფაქტის დადასტურება პრაქტიკაში დაუძლეველ დაბრკოლებებთან არის დაკავ-

---

<sup>1</sup> П. И. Гришасьев, М. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, 1959, стр. 211-213.

შირებული, ვინაიდან დაფარვის წინასწარ დაპირება „არ არის ფიქსირებული რაიმე აქტის მეშვეობით ან მოწმეების თანდასწრებით გამოთქმის მეშვეობით“<sup>1</sup>.

ეს არგუმენტიც, ჩვენის აზრით, მოკლებულია საფუძველს. დაფარვის წინასწარ დაპირების ფაქტის დამტკიცების სიძნელე არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ ის პირიც, ვინც წინასწარ არ დაპირებია, თანამონაწილედ ჩავთვალოთ. საზოგადოდ, დამნაშავეთა შეთანხმების დამტკიცება შეიძლება ძნელი იყოს. ძნელია აგრეთვე წაქეზების ფაქტის დამტკიცება ან სხვა სახის ფსიქიკური თანამონაწილეობის დამტკიცება. ამ მხრივ დაფარვის დაპირების ფაქტის დამტკიცება გამონაკლისს არ წარმოადგენს. მაგრამ, ცხადია, თუ ასეთი ფაქტის დამტკიცება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელი აღმოჩნდა, პირი არც შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ.

შემდეგ ამტკიცებდნენ, რომ დაფარვის დაყოფა წინასწარ შეპირებულ და წინასწარ შეუპირებელ დაფარვად ასუსტებს ბრძოლას მძიმე დანაშაულის, კერძოდ, სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირებთან. მერკუშევს მოჰყავდა შემდეგი მაგალითი: „... სსრკ-ის საზღვრის გადმოლახვა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების შეგროვებისა და უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის მიზნით წარმოადგენს ჯაშუშობას, თუნდაც საზღვრის გადმომლახველს ჯერჯერობით არ მოესწროს რაიმე ცნობების შეგროვება. ვინაიდან ჯაშუშური მიზნით საზღვრის გადმოლახვის ფაქტი თავისთავად უკვე დამთავრებულ დანაშაულს – ჯაშუშობას წარმოადგენს, ასეთი პირის დაფარვა უნდა ჩაგვეთვალა წინასწარ შეუპირებელ დაფარვად, ხოლო თვით დაფარავს სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა ეგო არა როგორც ჯაშუშს, არამედ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დამოუკიდებელი დანაშაულისათვის“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> И. Павлиашвили, Ответственность за укрывательство хищнических социалистической собственности, „Социалистическая законность“, 1951, №5, стр. 31. ანალოგიური არგუმენტი მოჰყავს მ. მერკუშევს, რომელიც წერს: „ურთიერთობა დამნაშავეთა შორის ყოველთვის როდი ღებულობს ნივთიერ ფორმას და მისი (მაგალითად, ზეპირი შეთანხმების) ... შეუძლებელია“ (ციტ. ნაშრომი „წინააღმდეგობა მძიმე წინააღმდეგობის“ წიგნში, 1955, № 1, ნომ. 121).

<sup>2</sup> მ. მერკუშევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.



აღნიშნული მსჯელობა, ჩვენის პირით, გაუგებრობაზეა აგებული. საქმე იმაშია, რომ როგორც მართებულად აღნიშნავენ გრიშაევი და კრიგერი, მერკუშევს სწორად არ ესმის ჯაშუშობის, შემადგენლობის დამთავრების მომენტი<sup>1</sup>. კანონი განმარტავს ჯაშუშობას როგორც სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემას უცხო სახელმწიფოებისათვის., უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მისი აგენტურისათვის, ისევე, როგორც ამგვარი ცნობების გატაცებას ან შეგროვებას მათთვის გადაცემის მიზნით... ამიტომ, ცხადია, თუ ვინმე პფარავს ჯაშუშს, მისი ჯაშუშური საქმიანობის პერიოდში, ცხადია, ასეთი პირი პასუხს აგებს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და არა დაფარვისათვის. საზღვრის გადმოლახვა ჯაშუშობის მიზნით თავისთავად ჯაშუშობის დამთავრებულ დანაშაულს კი არ წარმოადგენს, არამედ ამ დანაშაულის მცდელობას.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში იყო ცდები სხვაგვარად დაესაბუთებინათ წინასწარ შეუპირებული დაფარვის დასჯადობის გათანაბრება თანამონაწილეობასთან. ასეთი ცდა ეკუთვნის ა. ევლოკიმოვს, რომელიც ამტკიცებდა, რომ წინასწარ შეუპირებული დაფარვა მიზეზობრივ კავშირში დგას დანაშაულებრივ შედეგთან და სწორედ ამიტომ უნდა იქნეს გათანაბრებული თანამონაწილეობასთან. ამ აზრის დასაბუთებისას ა. ევლოკიმოვი ემყარებოდა თავისებურ შეხედულებას დანაშაულის დამთავრების მომენტის შესახებ. მისი აზრით, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან დანაშაულის შემადგენლობის „ფორმალურად“ დამთავრება და მისი „ფაქტიურად“ დამთავრება. პირველი ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე მეორე. დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურად შეიძლება უკვე დამთავრებული იყოს, მაგრამ ფაქტიურად კი არა. დანაშაული ფაქტიურად გრძელდება დანაშაულებრივი საქმიანობის საბოლოო მიზნის მიღწევამდე. ამიტომ „რამდენიმე პირის საერთო დანაშაულებრივი მოქმედება შეიძლება... დანაშაულებრივი საქმიანობის საბოლოო მიზნის მიღწევამდე“<sup>2</sup>.

ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამს მ. მერკუშევიც. მისი

<sup>1</sup> პ. ი. გრიშაევი, გ. ა. კრიგერი, გვ. 214-215.

<sup>2</sup> Н. Н. Евдокимов, Ответственность за укрывательство по советскому уголовному праву, Автореферат диссертации, М., 1953, стр. 8.

აზრით, დანაშაულის კვალისა და დამნაშავეის დაფარვა წარმოადგენს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაგრძელებას და ამიტომ იგი უნდა დაისაჯოს როგორც თანამონაწილე ამ დანაშაულში<sup>1</sup>.

დანაშაულის „ფორმალური“ და „ფაქტიური“ დამთავრების გამიჯვნა და მათთვის სხვადასხვა შინაარსის მინიჭება ეწინააღმდეგება საბჭოთა მეცნიერების შეხედულებას დამთავრებული დანაშაულის ცნებაზე. დანაშაული ფორმალურადაც და ფაქტიურადაც დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც პირის ქმედობაში არის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, რაც კანონითაა გათვალისწინებული. დანაშაულის დამთავრების ცნების სხვაგვარად გაგება სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევამდე მიგიყვანდა. მაგალითად, თუ მკვლელის მოქმედების მიზანი იყო მოკლულისაგან მემკვიდრეობის მიღება, მკვლელობის „ფაქტიურ დამთავრებად“ უნდა ჩაგვეთვალოს ის მომენტი, როდესაც მკვლელმა ამ მიზნის განხორციელებას მიაღწია, ხოლო ყოველი მოქმედება, მიმართული იმისკენ, რომ ხელი შეუწყოს დამნაშავეს დანაშაულის ნაყოფით სარგებლობაში, ამ დანაშაულში თანამონაწილეობად უნდა ჩაგვეთვალოს. ევდოკიმოვის კონსტრუქციაში, როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. სმირნოვი, — „დანაშაულის შემადგენლობა ჰკარგავს გარკვეულობას“<sup>2</sup>.

პ. ევდოკიმოვისა და მ. მერკუშევის შეხედულებას გადმოაქვს საბჭოთა სისხლის სამართლის ნიადაგზე ცნობილი კონცეფცია „შეკვეცილი შემადგენლობებისა“, რომელიც ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ბინდინგის მიერ იყო წამოყენებული, ხოლო რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტების კრუგლევსკისა და მოკრინსკის მიერ დამუშავებული. ამ კონცეფციის თანახმად, განსხვავებით „სრული“, „ნორმალური“ შემადგენლობებისა, კანონმდებელი ჰქმნის ეგრეთწოდებულ „შეკვეცილ“ შემადგენლობებს, რომელთა „ბუნებრივი“ განვითარება ხელოვნურად შეკვეცილია. ასეთ შემთხვევებში კანონი ფორ-

---

<sup>1</sup> მ. მერკუშევი, დასახ. ნაშრ., „Социалистическая законность“, 1955, №1, стр. 4.

<sup>2</sup> В. Г. Смирнов, Понятие прикосновенности по советскому праву, Изд. Ленинградского университета, 11, 1957, гл. 45-46.

მალურად დამთავრებულად თვლის ქმედობას, რომელიც არსებითად მცდელობის ან მომზადების სტადიაზეა შეჩერებული. ამრიგად, „ფორმალურად“ დამთავრებული დანაშაულის ცნებასთან ერთად შექმნილია „მატერიალურად“ დამთავრებული დანაშაულის ცნება, რომელიც კანონით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობას თავისი მოცულობით არ ემთხვევა, სახელდობრ, უფრო ფართოა და გულისხმობს მანევრ შედეგს, რომელიც ფორმალური შემადგენლობით გათვალისწინებული არ არის. ამისდა მიხედვით, კანონის თანახმად დანაშაული ფორმალურად დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როდესაც მატერიალურად იგი ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის.

ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს ბინდინგის „ნორმათა თეორია“. „ნორმათა თეორიის“ მიხედვით, დამნაშავე არღვევს არა სისხლის სამართლის კანონს, არამედ სამართლის ნორმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის მიღმა ძვეს. ამ შეხედულების შესაბამისად ქმედობა უნდა ჩაითვალოს მატერიალურად დამთავრებულად მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მოიცავს ნორმით აკრძალული ქმედობის ყველ ნიშანს, თუნდაც სისხლის სამართლის კანონში ამ ქმედობის აღწერის დროს ეს ნიშნები მთლიანად ასახული არ იყოს.

ამ კონცეფციის ძირითადი მანკი ის არის, რომ იგი, კანონის დადგენილებათა საწინააღმდეგოდ, დანაშაულებრივი ქმედობის არსებითად დამთავრების საკითხს მთლიანად მოსამართლის თავისუფალ შეხედულებას მიანდობს და ამგვარად მოსამართლის შეხედულებას კანონზე მაღლა აყენებს. მაგრამ „ნორმათა თეორიის“ ნაკლი ამით არ ამოიწურება. რაც მთავარია, იგი იძლევა სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის განუსაზღვრელად გაფართოების შესაძლებლობას. მაგალითად, იგი შესაძლებლობას იძლევა მიცემულ იქნენ თანამონაწილეობისათვის პასუხისგებაში ისეთი პირები, რომელნიც შეუერთდნენ მთავარი დამნაშავის მოქმედებას მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა უკვე შეასრულა კანონით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა, მაშასადამე, როდესაც დანაშაული უკვე დამთავრებული იყო. ასე, ამ შეხედულების მიმდევარი გრეტენერი ამტკიცებს, რომ „შეკვეცილი“ შემადგენლობის შემთხვევაში თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის დაფარვაც, მაგალითად, ქურდობისათვის

დახმარების აღმოჩენა მის მიერ მოტაცებული ნივთის რეალიზაციაში და ა.შ.<sup>1</sup>.

პ. ველოკიმოვი და მ. მერკუშევი არსებითად კანონით დადგენილ ყოველ შემადგენლობას „შეკვეცილ“ შემადგენლობას აკუთვნებენ, სცნობენ რა თანამონაწილეობას დაფარვის სახით დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტის შესრულების შემდეგ.

საბჭოთა სისხლის სამართალმა ასეთი კონცეფცია არ შეიძლება გაიზიაროს.

საბჭოთა სისხლის სამართალში მტკიცედ მიღებულია, რომ დანაშაულის შემადგენლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა. ეს დებულება მარტო იმაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, რომ შეუძლებელია პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა და დასჯა, თუკი მისი ქმედობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით, არამედ იმაშიც, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა სასამართლომ დამთავრებულად უნდა ცნოს მაშინ, როდესაც კანონით აღწერილი დანაშაულის ყველა ნიშანი შესრულებულია.

## §2. დანაშაულის დაფარვის ცნება მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით

ის სხვადასხვაობა, რომელიც არსებობდა დანაშაულის დაფარვის საკითხის გადაწყვეტისას მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში და სისხლის სამართლის თეორიაში, უარყოფით ზეგავლენას ახდენდა საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობაზე. იგი იწვევდა მკვეთრ სხვაობას დაფარვის დანაშაულის კვალიფიკაციაში, რაც ეწინააღმდეგებოდა ერთიანი სოციალისტური კანონიერების განხორციელების პრინციპს. საჭირო იყო დადგენა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობაში დაფარვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთგვაროვანი წესისა. ეს ერთგვაროვანი წესი მართლაც შემუშავებული იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მიერ, რომელიც 1958 წლის

<sup>1</sup> იხ. А. Н. Круглевский, Имущественные преступления, СПб., 1918, гл. 48.

დეკემბერში იქნა მიღებული. ახალი საფუძვლების მიხედვით, „დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგებით, მიითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ დაჰპირდა, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგნებს“ („საფუძვლების“ მე-17 მუხლის მე-6 ნაწ.). ამასთან ერთად საფუძვლების მომდევნო (მე-18) მუხლში გათვალისწინებულია: „დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი საგნების დაფარვა, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული, იწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით“. ანალოგიური მუხლები უცვლელად იქნა გადატანილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-6 ნაწ., მე-20 მუხ.). აღნიშნულის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში შეტანილია მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისათვის.

აღნიშნულ დებულებას იზიარებენ აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები. ასე, მაგალითად, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „დამხმარენი არიან ის პირები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დანაშაულის ჩადენას რჩევით, დარიგებით, საშუალებათა მიცემით და დაბრკოლების აცილებით. ან დამნაშავისა და დანაშაულის კვალის დაფარვის დაპირებით“ (მუხ. მე-13). ამგვარადვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი დამხმარედ თვლის იმ პირს, ვინც „განზრახ აადვილებს დანაშაულის ჩადენას რჩევით, განმარტების მიცემით, დაპირებით, რომ აღმოუჩენს დახმარებას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დაბრკოლების აცილებით, საშუალების მიცემით ან სხვა გზით“ (მუხ. მე-16). დაბოლოს ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მიუთითებს, რომ დამხმარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც

„დახმარება გაუწია სხვა პირს დანაშაულის ჩადენაში... დანაშაულის ჩადენის შემდეგ დახმარების აღმოჩენის დაპირებით“ (§10).

ამგვარად დღევანდელი საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, ისევე, როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობა მკვეთრად განასხვავებს წინასწარ შეპირებულ დაფარვას, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობას, წინასწარ შეუპირებელი დაფარვისაგან, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსების ასეთი პოზიცია საკვებით დასაბუთებულია.

შეპირვლესად ყოვლისა, წინასწარ შეპირებული დაფარვა დგას მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან. ეს დებულება ისე კი არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან თვით დაფარვის ფაქტია. დანაშაულის დაფარვას ადგილი აქვს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ და ამიტომ იგი არასდროს არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში ამ დანაშაულთან, ვინაიდან მიზეზი აუცილებლად უნდა უსწრებდეს შედეგს. სინამდვილეში მიზეზობრივ კავშირში შედეგთან არის დამნაშავისა და დანაშაულის დაფარვის დაპირება: პირი თავისი დაპირებით, რომ დაჰფარავს ჩადენილ დანაშაულს, განამტკიცებს ამსრულებლის განზრახვას, ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება შინაგანად უფრო თავისუფალი და გაბედული ხდება, სუსტდება ის მოტივები, რომელნიც ხელს უშლიდნენ დამნაშავეს ჩაედინა დანაშაული. მაგალითად, დამნაშავის შიშს, რომ მოპარული ნივთების კვალზე მას მიაგნებენ და დააპატიმრებენ, ასუსტებს ამ ნივთების გადაძალვის დაპირება. ამრიგად, დაფარვის დაპირება დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს: დაპირება რომ არ ყოფილიყო, დანაშაული ჩადენილი არ იქნებოდა. სწორედ ამიტომ ის, ვინც ჰპირდება სხვას დანაშაულის დაფარვას, ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეა, მისი ფსიქიკური დამხმარეა.

სულ სხვაა დანაშაულის კვალისა და თვით დანაშაულის დაფარვა, რომელიც წინასწარ აღთქმული არ იყო. იგი ხელს არ უწყობს დანაშაულის ჩადენას, არ აადვილებს მას, არ წარმოადგენს მის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. დამფარავი მოქმედებს იმის შემდეგ, როდეს-

საც დანაშაული უკვე ჩადენილია. ობიექტურად მისი მოქმედება ხელს უწყობს იმას, რომ დანაშაული არ იქნეს გახსნილი, ან დამნაშავემ თავი აარიდოს მის მიერ დამსახურებულ სასჯელს, ან ისარგებლოს დანაშაულით მოპოვებული ნივთებით.

დანაშაულის დაფარვის წინასწარ დაპირება განსხვავდება წინასწარ შეუპირებელი დაფარვისაგან თავისი სუბიექტური შემადგენლობის მხრივაც. პირველ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს, რომ თავისი დაპირებით ხელს უწყობს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას, სურს დანაშაულებრივი შედეგი ან შეგნებულად უშვებს მას, ხოლო დამფარავის განზრახვა სულ სხვა საგანზეა მიმართული: დამფარავი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობს დამნაშავეს, რათა მან თავიდან აიცილოს დამსახურებული სასჯელი და სურს ეს გარემოება ან შეგნებულად უშვებს მას.

ამავე პოზიციაზე დგას ძირითადად უკანასკნელი წლების საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1958 წლის 29 ნოემბრის განჩინებაში მიუთითა, რომ ი. არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ ოქროს საათის მოპარვაში, ვინაიდან დანაშაულის ჩადენამდე მას არ მიუცია ხ.-სათვის დაპირება, რომ დაეხმარებოდა მოპარული 8 ცალი საათის რეალიზაციაში და ამიტომ მის მიერ საათების გაყიდვა არ არის მიზეზობრივ კავშირში ხ.-ს მიერ საათების გატაცებასთან. განჩინებაში ნათქვამია: „სათის გატაცებას ადგილი ჰქონდა ქ. ტაშენტში, მაშინ როდესაც ი. ცხოვრობდა ქ. ყაზანში, და ამიტომ მას არც შეეძლო აღმოეჩინა დახმარება ხ.-თვის მის მიერ ამ დანაშაულის ჩადენაში. იგი დანაშაულის ჩადენამდე არც დაპირებია ხ.-ს, რომ დახმარებას აღმოუჩენდა გატაცებულის რეალიზაციაში. მაშასადამე, რაიმე მიზეზობრივი კავშირი ი.-ს მოქმედებასა და ხ.-ს მიერ საათის გატაცებას შორის არ არსებობს“<sup>1</sup>.

მიუხედავად საბჭოთა კანონმდებლობის სავსებით ზუსტი მითითებისა, ზოგიერთი სასამართლო მაინც უშვებდა შეცდომებს აღნიშნულ საკითხში. ასე, მაგალითად, სომხეთის სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის 5

<sup>1</sup> „Судебная юстиция“, 1959, №8, стр.90.

იანერის განჩინებით მსჯავრი დასდო ტ. მასუმიანს ქურდობაში თანამონაწილეობისათვის. საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ ტ. მასუმიანმა გადამალა თავისი ძმის – ა. მასუმიანის მიერ გატაცებული ქონება. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში მიუთითა: „სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ტ. მასუმიანის მიერ ჩადენილი დანაშაული. საქმეში არ არის იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ ტ. მასუმიანმა იცოდა ა. მასუმიანის მიერ ჩადენილ ქურდობათა შესახებ, ხელს უწყობდა ქურდობაში ან წინასწარ დაპირდა მოტაცებული საქონლის დამალვას. ტ. მასუმიანის მიერ ჩადენილი მოქმედება კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო როგორც წინასწარ შეუპირებული დაფარვა სომხეთის სსრ ს.ს. კოდექსის 205-ე მუხლით“<sup>1</sup>.

ზოგიერთი პრაქტიკული მომუშავე დღესაც თვლის, რომ წინასწარ შეპირებული და წინასწარ შეუპირებული დაფარვის გამიჯვნა ზედმეტად ართულებს მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობას, ვინაიდან ზოგჯერ შეუძლებელია იმის დადგენა, იყო თუ არა წინასწარ მიცემული დაპირება დაფარვის შესახებ<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ეს მუშაგები იმ ძველ მცდარ შეხედულებას იზიარებენ, რომ დაფარვის ამ ორ სახეს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს.

ზოგიერთი სასამართლო, იმ მიზნით, რათა ქონების გატაცების დამფარავი დასაჯოს, როგორც ამ გატაცების თანამონაწილე, ისეთ თვალსაზრისს ატარებს, თითქოს ქონების გატაცება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს არა იმ მომენტში, როდესაც მოხდა ქონების ამოღება შესაკუთრის მფლობელობიდან და გადასვლა დამნაშავეის მფლობელობაში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდა მიტაცებული ქონების რეალიზაცია. ამ შეხედულებას დაადგა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმიც ლ-ს საქმეზე. ლ.-ძემ სხვა პირებთან ერთად მოიპარა ქ. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკიდან საქონელი (ქსოვილი).

<sup>1</sup> „Биulletень Верховного Суда СССР“, 1963, №3, стр. 31-32.

<sup>2</sup> ამ საკითხზე იხ. Г. Анашкин, Об ответственности за заранее не обещанное укрыпительство преступлений, приобретение и сбыт заведомо похищенного имущества, „Социалистическая законность“, 1962, №10, стр. 9.



ამის შემდეგ ს.-ძე და მისი ამხანაგები, საქონლის გამტაცებლებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაეხმარნენ ბოროტმოქმედთ მოპარული საქონლის გადამალვაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ ს.-ძესა და სხვა დამფარავებს მსჯავრი დასდო, როგორც სახელმწიფო ქონების გატაცების თანამონაწილეებს (დამხმარეებს). საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა სავსებით მართებულად გადააკვალიფიცირა ს.-ისა და სხვათა მოქმედება როგორც დანაშაულის დაფარვა, წინასწარ შეუპირებელი) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის შესაბამისად. მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1961 წლის მაისში გააუქმა პრეზიდიუმის დადგენილება ს.-ისა და სხვა დამფარავთა მიმართ და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. პლენუმი თავის დადგენილებას იმით ასაბუთებდა, რომ ს.-ძე და სხვ. დახმარებას უწევდნენ ქონების დამტაცებლებს იმ მომენტში, როდესაც დანაშაული ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და ბოროტმოქმედნი ცდილობდნენ მოპარული საქონლის გადამალვას. ეს დადგენილება გაუქმებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის მიერ იმავე წლის 2 ივლისს. ამ უკანასკნელმა სცნო, რომ ს.-ისა და სხვათა მოქმედება კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო როგორც წინასწარ შეუპირებელი დაფარვა. თანაც სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ სახელმწიფო ქონების გატაცება დამთავრებულია უკვე იმ მომენტში, როდესაც მოხდა მისი ამოღება სახელმწიფო ორგანოს მფლობელობიდან და გადასვლა დანაშაულის მფლობელობაში<sup>1</sup>.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები საწინააღმდეგო შეცდომას უშვებენ და გამოაქვთ დასკვნა თანამონაწილეობის არარსებობის შესახებ იმ საფუძველზე, რომ თვით დანაშაულის დაფარვის ფაქტს ადგილი აქონდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ხოლო უგულვებელყოფენ იმას, რომ დამფარავი წინასწარ დაპირდა ძირითად დანაშავეს დანაშაულის დაფარვას. „ასეთ შეცდომებს, – ნათქვამია სსრკ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის №11 დადგენილებაში „დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვი-

<sup>1</sup> იხ. „Социалистическая законность“, 1962, №10, стр. 10.

სა და გატაცებულად შეცნობილი ქონების შეძენისა და გასაღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, – შეიძლება თან მოჰყვეს პასუხისმგებლობის გაუმართლებელი შემსუბუქება იმ პირებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან სხვა საშიში დანაშაულის თანამონაწილენი არიან<sup>1</sup>.

რადგანაც მოქმედების კვალიფიკაცია თანამონაწილეობად თუ დაფარვად დამოკიდებულია იმაზე, იყო თუ არა დაფარვა წინასწარ შეპირებული, აუცილებელია დადგენილ იქნეს, თუ რა უნდა ჩაითვალოს დაფარვის წინასწარ შეპირებად. ამ საკითხზე ამომწურავ პასუხს იძლევა სსრკ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის №11 დადგენილება. აღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამია: „დანაშაულის დაფარვა... შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილეობად, თუ პირი დაპირდა დამნაშავეს ამ მოქმედების შესრულებას დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის დროს ან თუ რაიმე სხვა მიზეზით (მაგალითად, მისი სისტემატურად ჩადენის გამო) დანაშაულის ამსრულებელს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ასეთ დახმარებას მას აღმოუჩენენ“<sup>2</sup>.

ამ დადგენილებიდან ჩანს, რომ დამფარავი ან პირდაპირ უნდა შეუთანხმდეს დამნაშავეს, რომ აღმოუჩენს მას დახმარებას, ანდა მას წინასწარ ისეთი ხასიათის მოქმედებანი უნდა ჰქონდეს ჩადენილი, რომლებიც არაპირდაპირ ადასტურებენ მის თანხმობას და საფუძველს აძლევენ დამნაშავეს ივარაუდოს, რომ მას შემდეგშიც აღმოუჩენენ დახმარებას დანაშაულის დაფარვის სახით. ასეთი არაპირდაპირი თანხმობის დამამტკიცებელ საბუთს შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, ის გარემოება, რომ პირი წინათ სისტემატურად ეხმარებოდა ქონების გამტაცებლებს გატაცებული ქონების დაფარვაში.

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, №1, стр. 17.

<sup>2</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, №5, стр. 18.

### §3. დანაშაულის დაფარვის ადგილი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემაში

ის საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს დანაშაულის წინასწარ შეუპირებელ დაფარვას სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში, საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავოდ ითვლება, თანაც სადავოა არა მარტო ის, თუ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელ კარში უნდა იქნეს მოთავსებული დანაშაულის დაფარვის შემადგენლობა, არამედ ისიც კი, კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში უნდა იქნეს გათვალისწინებული დანაშაულის დაფარვა, თუ მის ზოგად ნაწილში. უკანასკნელ შეხედულებას საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში იზიარებს ვ. გ. სმირნოვი. იგი თუმცა არ თვლის, რომ წინასწარ შეუპირებელი დაფარვა თანამონაწილეობას წარმოადგენს, მაგრამ მაინც ამტკიცებს, რომ ასეთი დაფარვა ისევე, როგორც შემხებლობის სხვა სახეები, მოწესრიგებულ უნდა იქნეს კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლებით<sup>1</sup>. მისი აზრით, უნდა განვასხვავოთ თანამონაწილეობა და შემხებლობა. თანამონაწილეობი — ეს ისეთი პირები არიან, რომელთა მოქმედებაც მიზეზობრივ კავშირში დგას დანაშაულებრივ შედეგთან. ამიტომ ის პირი, ვინც წინასწარ დაჰპირდა დანაშაულის დაფარვას, ვ. სმირნოვის აზრით, თანამონაწილეთა წრეს უნდა მიეკუთვნოს.

ამ პირებისაგან ვ. სმირნოვი განასხვავებს ჩადენილი დანაშაულის დამფარავს, რომლის მოქმედება არ დგას მიზეზობრივ კავშირში შედეგთან. ასეთი დამფარავი შემხებელთა წრეს უნდა მიეკუთვნოს.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ შეუპირებელ დაფარვას ვ. სმირნოვი მართებულად გამორიცხავს თანამონაწილეობის სფეროდან, იგი მაინც არ ეთანხმება უკრაინისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების კონცეფციას დაფარვის საკითხზე. დაფარვის კავშირი წინასწარ ჩადენილ დანაშაულთან, მისი აზრით, იმდენად მჭიდროა, რომ დაფარვა გათვალისწინებული უნდა იქნეს კოდექსის ზოგად ნაწილში თანამონაწილეობასთან ერთად, როგორც

<sup>1</sup> В. Г. Смирнов, Понятие прикосновенности по советскому уголовному праву, Изд. Ленинградского университета. Л., 1957.

თანამონაწილეობის მონათესავე ცნება. თავის შეხედულებას ვ. სმირნოვი შემდეგნაირად ასაბუთებს:

წინასწარ შეპირებული დაფარვის ობიექტი იგივეა, რაც იმ დანაშაულისა, რასაც იგი ჰფარავს. მართალია, ასეთი დაფარვა სოციალისტური მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობასაც უშლის ხელს, მაგრამ „საბჭოთა სახელმწიფო, წარმართავს რა რეპრესიას დანაშაულის შემხებელთა წინააღმდეგ, ებრძვის არა დაფარვას, განუცხადებლობას და მიმნებებლობას, როგორც ასეთს, არამედ საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფას ამა თუ იმ კონკრეტულ ობიექტზე. ამიტომ დანაშაულის შემხებელ პირთა ხელყოფის განმსაზღვრელ ობიექტად უნდა ჩაითვალოს ის ობიექტი, რომელზედაც მიმართული იყო დაფარული დანაშაული...“<sup>1</sup>.

წინასწარი დანაშაულისა და ამ დანაშაულის დაფარვის ობიექტთა იგივეობის გამო ვ. სმირნოვი თვლის, რომ „დაფარვის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი განისაზღვრება პირველ რიგში დაფარული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათით და ხარისხით“<sup>2</sup>.

ამავე დროს, მისი აზრით, მიზანშეწონილი არ არის დაფარვის გათვალისწინება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში:

„დაფარვა – საზოგადოებრივად საშიში საქმიანობის ერთ-ერთი უნივერსალური ფორმაა: იგი შესაძლებელია ყოველი ჩადენილი დანაშაულის მიმართ, განზრახი იქნება ეს დანაშაული თუ გაუფრთხილებელი, დამთავრებული იქნება იგი თუ დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების დასჯად სტადიას მიღწეული.

ამასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაფარვა-შემხებლობისათვის განსაზღვრული უნდა იქნეს ზოგადი ფორმით სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მიერ გათვალისწინებულ დანაშაულებთან შეფარდებით ამ მუხლის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში“<sup>3</sup>.

ამის შესაბამისად „სასჯელის ღონისძიება დანაშაულის დამფარავს

<sup>1</sup> ვ. სმირნოვი, დასახ. შრომა, გვ. გვ. 26-27.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 86-87.

უნდა განესაზღვროს იმ მუხლის სანქციის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს დაფარული დაამაჟლისათვის. მაგრამ სასამართლოს უნდა მიენიჭოს უფლება, საქმის გარემოებათა მიხედვით, შეუმციროს დამფარავს სასჯელი დაფარული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის უმცირესი ვადის ნახევრამდე“.<sup>1</sup>

ვ. სმირნოვის შეხედულება დაფარვის შესახებ არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვ. სმირნოვი არათანმიმდევრულობას იჩენს. თუ დაფარვა თანამონაწილეობას არ წარმოადგენს, მაშასადამე, იგი დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედობაა, და მაშინ დაფარვის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილშია და არა ზოგად ნაწილში.

ვ. სმირნოვის დებულება დაფარვის უნივერსალური ხასიათის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაო არგუმენტად მის მიერ გამოთქმული შეხედულების სასარგებლოდ. ავიღოთ ისეთი დანაშაულებრივი ქმედობანი, როგორცაა მოსამართლის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით აშკარად უსამართლო განაჩენის გამოტანა ან მოწმის თუ ექსპერტის გამოუცხადებლობა სასამართლოში. ეს ქმედობანიც შეიძლება ჩადენილ იქნეს ყოველი დანაშაულის მიმართ, მაგრამ აქედან არავის არ გამოაქვს დასკვნა, რომ ისინი გადატანილ უნდა იქნენ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში.

რაც შეეხება დაფარვის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის კავშირს წინასწარი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხთან, ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მართალია, იმ დანაშაულის საშიშროება, რომელიც დაჭფარა მესამე პირმა, არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული დაფარვის კონკრეტული შემთხვევის საზოგადოებრივი საშიშროების დადგენის დროს, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გარემოება, რომელიც განსაზღვრავს დაფარვის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ჯერ კიდევ რევოლუციამდელი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი მიუთითებდა, რომ „... დაფარული დანაშაულის სიმძიმე არის მხოლოდ ერთ-ერთი, თანაც არა მთავარი პირობა, რომელიც განსაზღვრავს შემხებელთა პასუხისმგებლობას და რომ პასუხისმგებლობა მკვლელობის განუცხადებლობისათვის ზოგჯერ

<sup>1</sup> ვ. სმირნოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 87.

შესაძლებელია უფრო დაბალი იყოს, ვიდრე პასუხისმგებლობა ნაქურ-  
დალის შესყიდვისათვის<sup>1</sup>. კერძოდ, დამფარავის პასუხისმგებლობის  
განსაზღვრისას, დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივს. შედარებით მსუბუ-  
ქი დანაშაულის დაფარვა ანგარების მოტივით (მაგალითად, გარკვეუ-  
ლი გასამრჯელოს მისაღებად) ზოგჯერ შეიძლება უფრო მძიმე სასჯელს  
იმსახურებდეს. ვიდრე გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულის დაფარვა  
დამნაშავის ახლობელი პირის მიერ დამნაშავის შებრალების მოტივით.  
დაბოლოს, ვერ დავეთანხმებით ვ. სმირნოვს დაფარვის ობიექტის  
გაგებაშიც.

ობიექტად ითვლება ის, რაზედაც მიმართულია საზოგადოებრივად  
საშიში ხელყოფა, რაც განიცდის ზიანს ხელყოფის გამო. რას აზიანებს,  
მაგალითად, მკვლელის დამფარავი, – ადამიანის სიცოცხლეს? რა  
თქმა უნდა, არა. ადამიანის სიცოცხლეს დაფარვა ვერ დააზიანებს  
თუნდაც იმიტომ, რომ სიცოცხლე უკვე აღარ არის.

დაფარვა მიმართულია მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობის  
წინააღმდეგ, ხელს უშლის მათ დანაშაულის გახსნისა და ნამდვილი  
დამნაშავის აღმოჩენის საქმეში.

არ გამოდგება ვ. სმირნოვის დებულების დასამტკიცებლად არც  
მისი მითითება, რომ დანაშაულის დაფარვის დასჯით საბჭოთა სახ-  
ელმწიფო უბრძვის არა დაფარვას, არამედ იმ ქმედობას, რასაც ჰფარავენ.  
თავისთავად ცხადია, დაფარვის დასჯადობა ვერ შეაკავებს ქურდს ან  
მკვლელს გატაცების ან მკვლელობის ჩადენისაგან. ამ მოქმედების  
ჩადენისაგან პირი შეიძლება შეაკავოს მხოლოდ თვით ქურდობის ან  
თვით მკვლელობის დასჯადობამ. დაფარვის დასჯადობამ კი ადამიანს  
დანაშაულის დაფარვის საწინააღმდეგო მოტივაცია უნდა შეუქმნას.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, წინასწარ შეუპირე-  
ბელი დაფარვა თუმცა გათვალისწინებული უნდა იქნეს კოდექსის  
განსაკუთრებულ ნაწილში, მაგრამ არა მართლმსაჯულების წინააღმ-  
დეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, არამედ სხვადასხვა თავებში,  
სადაც მოთავსებული არიან ის ძირითადი დანაშაულებრივი ქმედობანი,  
რომელთა დაფარვის დასჯადობასაც საქმე შეეხება. ამ შეხედულებას  
იზიარებენ ესტონელი კრიმინალისტიკები. ასე, მაგალითად, რაალის აზრით,

<sup>1</sup> И. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, С.-П., 1902, стр. 131.

„რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს ბრძოლას დანაშაულის ლიკვიდაციისათვის სხვადასხვა საშუალებებით, ამდენად ამკარად ცალმხრივი იქნებოდა დანაშაულის შემსებლობის ობიექტად მხოლოდ სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესები ჩაგვეთვალა“<sup>1</sup>. დაფარვის მეორე ობიექტად რაალი იმავე დანაშაულის ობიექტს თვლის, რომელსაც ხელყოფს ძირითადი დანაშაული. დაფარვის საშიშროებას იგი, პირველად ყოვლისა, იმაში ხედავს, რომ „ვიდრე არსებობენ დამნაშავისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის დამფარავები, დამნაშავეებმა შეიძლება წინასწარ ივარაუდონ, რომ მათი დანაშაული, შესაძლოა, არ გამომჟღავნდეს. ასეთი მოსაზრება აქეზებს ნაკლებად შეგნებულ პირებს დანაშაულის ჩასადენად“<sup>2</sup>. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი თავდაპირველად ითვალისწინებდა დანაშაულის დაფარვას კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სხვადასხვა თავებში. მაგალითად, მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების და გაუპატიურების დაფარვა გათვალისწინებული იყო პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (მუხ. 122-ე), სოციალისტური ქონების გატაცების, ყაჩაღობის და ქურდობის დაფარვა – ქონებრივ დანაშაულთა თავში (მუხ. 149-ე) და ა.შ.

ე. რაალის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. თუ დაფარვა დამნაშავისათვის წინასწარ შეპირებული არ იყო, დამნაშავე, ცხადია, ვერ ივარაუდებდა, რომ გარკვეული პირი მას დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაჰფარავს და ეს არარსებული ვარაუდი ვერ წააქეზებდა მას დანაშაულის ჩასადენად. ასეთი დაფარვა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არ ღვას მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან. ამასთან ერთად, დამნაშავის ხელყოფა მიმართულია სწორედ მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ, ხელს უშლის მათ დანაშაულის ფაქტის გამომჟღავნებისა და დამნაშავის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საქმეში. დაბოლოს, სწორედ ასეთივე დამფარავის განზრახვის შინაარსიც, იგი იმას კი არ ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობს, ვთქვათ, მკვლელ-

<sup>1</sup> 1957, რეზიუმე რუსულ ენაზე, გვ. 60.

<sup>2</sup> ე. რაალი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

ბის დანაშაულის ჩადენას, არამედ იმას, რომ აფერხებს მკვლელობის გახსნას ან მკვლელის დაპატიმრებას და გასამართლებას.

ზემოაღნიშნულის გამო სწორად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება, რომლის თანახმად დაფარვის ადგილი საბჭოთა საკანონმდებლო სისტემაში სწორედ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია<sup>1</sup>.

ეს შეხედულება გაზიარებული იქნა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით, რომლებიც დანაშაულის წინასწარ შეუპირებელ დაფარვას ითვალისწინებენ თავში მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ. ამავე გზას დაადგა ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსიც (იხ. მუხ. 180 ამ კოდექსისა).

განსაკუთრებულად უნდა შევეხოთ სახელმწიფო დანაშაულის დაფარვის საკითხს. როგორც ცნობილია, 1958 წლის 30 დეკემბრის კანონი სახელმწიფო დანაშაულთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ 26-ე მუხლში ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ზოგიერთი სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობისათვის, მაგრამ არაფერს ამბობდა შემხებლობის მეორე, უფრო მძიმე სახეზე – ამ დანაშაულთა დაფარვაზე. ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები თავდაპირველად იძულებული იყვნენ თვით გაეთვალისწინებინათ სისხლის სამართლის კოდექსებში ეს დანაშაული. ამან, ცხადია, სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვისათვის პასუხისმგებლობის საკითხში სხვადასხვაგვარობა გამოიწვია.

რსფრ-ისა და უსსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსებმა სახ-

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, А. Н. Трайнин, Учения о соучастии, М., 1931, გვ. 131; Ш. С. Рашковская, Преступления против социалистического правосудия, М., 1950, გვ. 6; М. И. Блум, Ответственность за укрывательство и недонесение по уголовным кодексам союзных республик, „Записки Латвийского гос. университета им. П. Стучки“, Рига, 1962, стр. 81; А. А. Пинотковский, Учение о преступлении, М., 1961, გვ. 593; თ. წერეთელი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის და დანაშაულის დაფარვისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. , თბ., 19 . გვ. 209-211 და სხვ.



ელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობისა და შემხებლობის მუხლები შეიტანეს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. სისხლის სამართლის კოდექსის სისტემის თვალსაზრისით, რომელიც დანაშაულის ობიექტზე აგებული, ეს კონსტრუქცია სწორი იყო. მაგრამ საკანონმდებლო კომპეტენციის თვალსაზრისით რსფრ-ისა და უსსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსების პოზიცია ამ საკითხში ეჭვს იწვევდა. რამდენადაც სახელმწიფო დანაშაულთა განუცხადებლობა საკავშირო კანონის თანახმად მოთავსებული იყო თავში სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ, მოკავშირე რესპუბლიკის კანონს არ შეეძლო ამოეშალა იგი ამ თავიდან და სხვა თავში გადაეტანა.

მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობამ სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვის შემაღეწლობა შეიტანა თავში სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ. ესეც ჩვენის აზრით, არ იყო სწორი. საქმე ის არის, რომ სახელმწიფო დანაშაულთა წრის დადგენა წარმოადგენს საკავშირო საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციას და მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს არ ჰქონდა უფლება გაეფართოებინა სახელმწიფო დანაშაულთა წრე.

ამიტომ უფრო სწორად მოიქცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც სახელმწიფო დანაშაულთა განუცხადებლობა დატოვა სახელმწიფო დანაშაულთა თავში, ხოლო ასეთი დანაშაულის დაფარვა მოათავსა მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. მაგრამ ასეთ თვალსაზრისსაც თავისი ნაკლი ჰქონდა: სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა საკავშირო კანონმდებლობის მიერ აღიარებული იყო სახელმწიფო დანაშაულად და ამავე დროს სახელმწიფო დანაშაულად არ ითვლებოდა ასეთივე დანაშაულის დაფარვა. ამ ნაკლის გამოსწორება კი მხოლოდ საერთოსაკავშირო კანონის გამოცემით იყო შესაძლებელი. და მართლაც 1961 წლის 24 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა კანონი, რომლითაც შეავსო კანონი სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ 27-ე მუხლით, სადაც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის წინასწარ შეუპირებული დაფარვისათვის.

ამჟამად მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსები დანაშაულის დაფარვას ორ ადგილას ითვალისწინებენ: 1. სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვას – თავში სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ, ხოლო დანარჩენ დანაშაულთა დაფარვას – თავში მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ.

კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვას სისხლის სამართლის კოდექსის 90<sup>1</sup>-ე მუხლში. ისჯება დაფარვა სამშობლოს ღალატისა (მუხ. 65-ე), ჯაშუშობისა (მუხ. 66-ე), ტერორისტული აქტისა (მუხ. 67,68-ე), დივერსიისა (მუხ. 69-ე), მავნებლობისა (მუხ. 70-ე), ორგანიზებული საქმიანობისა, რაც მიმართულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად (მუხ. 73-ე), ბანდიტიზმისა (მუხ. 78-ე), კონტრაბანდისა (მუხ. 79-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღებისა (მუხ. 88-ე) და სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისა (მუხ. 89-ე).

რაც შეეხება დანარჩენ დანაშაულთა დაფარვას, რომლებიც მოთავსებული არიან მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ამ დანაშაულის შემადგენლობა სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებში სხვადასხვაგვარად არის ფორმულირებული.

მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსების უმრავლესობა იძლევა იმ დანაშაულთა ამომწურავ ჩამოთვლას, რომელთა დაფარვაც კანონით ისჯება. სახელდობრ, იმ დანაშაულთა რიცხვში, რომელთა დაფარვაც ისჯება, მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების უმრავლესობა ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას, გაუპატიურებას დამამძიმებელ პირობებში, სოციალისტური ქონების და მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვას და გაძარცვას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში, და ყაჩაღობას. ზოგიერთი რესპუბლიკის კოდექსი ამას უმატებს დეზერტირობას (უკრაინის სსრ სს კოდექსი), ქრთამის მიღების დამამძიმებელ გარემოებებში (სომხეთის სსრ სს კოდექსი), თაღლითობის დამამძიმებელ გარემოებებში (რსფსრ, ბსსრ და სხვ.) და ა.შ.

ჩამოთვლის სისტემა მნიშვნელოვნად ზღუდავს დასასჯელი და-

ფარვის წრეს და ასუსტებს ამ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან ბრძოლას. ასეთი ჩამოთვლა შეუძლებელია იყოს ამომწურავი. ყოველივე ამის შედეგად მეტად მძიმე დანაშაულთა დამფარავები შეიძლება დაუსჯელნი დარჩნენ, რაც აფერხებს საბჭოთა სახელმწიფოს ეფექტურ ბრძოლას დანაშაულობის აღმოფხვრისათვის. „არ არსებობს არავითარი საფუძველი, — წერს მ.ი. ბლუმი, — რათა მეტისმეტად შევზღუდოთ ამ დანაშაულთა წრე, დაკვერდით — რა მხოლოდ სახელმწიფო დანაშაულის, მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურების, ყაჩაღობისა და დიდი რაოდენობის ქონების გატაცების დაფარვის დასჯადობას. ყველა მძიმე დანაშაულის დასჯადობა ობიექტურად მეტად საშიშია, ამიტომ დასასჯელი დაფარვის წრე იმდენად ფართო უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს წარმატებითი ბრძოლა ყველა მძიმე დანაშაულთან“<sup>1</sup>.

ამიტომ, ჩვენის აზრით, უფრო სწორად იქცევიან ლატვიის სსრ, ყაზახეთის სსრ და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც დანაშაულის წინასწარ დაუპირებელი დაფარვის უფრო ფართო ფორმულას იძლევიან. სახელდობრ, ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად წინასწარ შეუპირებელი დაფარვა ისჯება იმ შემთხვევაში, თუ იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ჰფარავენ, კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით (ყაზახეთის სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად — ხუთი წლიდან).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი კიდევ უფრო აფართოვებს იმ დანაშაულთა წრეს, რომელთა დაფარვაც კანონით დასჯადად არის გამოცხადებული. სახელდობრ, ამ კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა ისჯება იმ შემთხვევაში, როდესაც დაფარული დანაშაულისათვის კანონით შეიძლება დანიშნულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია აღნიშნულ საკითხში ყვე-

---

<sup>1</sup> М. Блум, Ответственность за укрывательство и недонесение по уголовным кодексам союзных республик, Ученые записки Латвийского гос. университета им. П. Стучки, вып. 4, Рига, 1962, с. 85.

ლაზე სწორია. იმ დანაშაულთა შორის, რომლებსთვისაც კანონის თანახმად შეიძლება დანიშნულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა, არიან ისეთებიც, რომელთა დაფარვა მეტად საშიშია, განსაკუთრებით, თუ იგი ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენა მოტივით, ამიტომ ასეთ ქმედობათა დაუსჯელობის გარანტირება არ შეიძლება მიზანშეწონილად მივიჩნიოთ.

ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსმა მიბაძოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს<sup>1</sup>.

#### §4. დაფარვა და ძირითადი დანაშაული

90<sup>1</sup>-ე და 205-ე მუხლით გათვალისწინებული დაფარვის შემადგენლობანი გულისხმობენ, რომ დამფარავი მოქმედობს დანაშაულის ჩადენის შემდეგ. თუ ვინმემ დანაშაულის ჩადენამდე წინასწარ იხმარა გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, რათა ამით ხელი შეეშალა შემდგომ დანაშაულის ან დამნაშავის გამოძიებასათვის, მაგალითად, წინასწარ მოამარაგა დამნაშავე ყალბი პირადობის მოწმობით და ა.შ., ეს იქნება თანამონაწილეობა დანაშაულში და არა დაფარვა.

არ შეიძლება ჩაითვალოს დამფარავად და პასუხი აგოს ამ დანაშაულისათვის იმ პირმა, ვინც რაიმე სახით (როგორც ამსრულებელმა, ორგანიზატორმა, წამქეზებელმა ან დამხმარემ) მონაწილეობა მიიღო დანაშაულის ჩადენაში და შემდეგ თვით ჰფარავს ამავე დანაშაულს. მაგალითად, თუ ვინმემ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ქონების გატაცებაში და შემდეგ გადამალა გატაცებული ქონება, ის პასუხს არ აგებს დაფარვისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლით, არამედ მარტოოდენ სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის. წინასწარი დანაშაულის ჩადენა შთანთქავს იმ მოქმედებებს, რაც ამ დანაშაულის დასაფარავად იქნება ჩადენილი დანაშაულის მონაწილეობა მიერ.

---

<sup>1</sup> М. Блум, Ответственность за укрывательство и недонесение по уголовным кодексам союзных республик, Ученые записки Латвийского гос. университета им. П. Стучки, вып. 4, Рига, 1962, гл. 87-88.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, წინასწარ შეუპირებული დაფარვა არ არის მიზეზობრივ კავშირში მთავარი დანაშაულის ჩადენასთან. მაგრამ ეს ისე როდი უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ჩადენილ დანაშაულსა და დამფარავის მოქმედებას შორის საერთოდ არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს. დამფარავის მოქმედება მიმართულია ჩადენილი დანაშაულის დაფარვაზე. მაშასადამე, დაფარვას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ წინასწარ ჩადენილი არ იყო დანაშაულებრივი ქმედობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1941 წლის 25 მარტის განჩინება რ. შათირიშვილის საქმეზე. ამ უკანასკნელის ძმისშვილი ეჭვმიტანილი იყო მძიმე დანაშაულთა ჩადენაში. ამის გამო იგი ერთი წლის განმავლობაში ემალებოდა ძიების ორგანოებს. საბოლოოდ დადასტურდა, რომ მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. პირველი ინსტანციის სასამართლომ რ. შათირიშვილს მსჯავრი დასდო თავისი ძმისშვილის დანაშაულის დაფარვაში იმ მოტივით, რომ ეჭვმიტანილი ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე იყო თავის ბიძასთან, ივანეშმა და ღამეც გაათია მასთან. უმაღლეს სასამართლოს კოლეგიამ არ სცნო რ. შათირიშვილის მოქმედებაში დანაშაულის დაფარვის შემადგენლობა. ეს გასაგებიცაა. რ. შათირიშვილის ძმისწულს არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი, ხოლო თუ დანაშაულს არა აქვს ადგილი, ცხადია, არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი არც დანაშაულის დაფარვას<sup>1</sup>.

იმ დებულებიდან, რომ დანაშაულის დაფარვის შემადგენლობა გულისხმობს, როგორც თავის აუცილებელ პირობას, წინასწარი დანაშაულის არსებობას, სხვა დასკვნაც გამომდინარეობს. სახელდობრ, თუ ვინმე ფიქრობს, რომ იგი ფარავს დამნაშავეს, ხოლო სინამდვილეში ამ პირს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, დაფარვის შემადგენლობას ადგილი არა აქვს. ვთქვათ, რ. შათირიშვილი ნამდვილად დარ-

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определенний коллегий Верховного Суда СССР 1944 г., Москва, 1948, стр. 128-129. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 1943 წლის 23 სექტემბრის განჩინება აგრანოვსკის საქმეზე („Сборник постановлений Пленума и определенний коллегий Верховного Суда СССР 1943 г.“, М., 1948, стр. 18).

წმუნებული ყოფილიყო, რომ მისმა ძმისწულმა დანაშაული ჩაიდინა, და მიეცა მისთვის თავშესაფარი, რათა ხელი შეეშალა მართლმსაჯულების ორგანოებისათვის თავისი ძმისწულის მხილებაში. რ. შათირიშვილის მოქმედებაში მაინც არ იქნებოდა დაფარვის დანაშაულის შემადგენლობა, ვინაიდან მის ძმისწულს არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს მხოლოდ მოჩვენებით დანაშაულს (ე.ი. მხოლოდ პირის წარმოდგენაში და არა რეალურ სინამდვილეში არსებულ დანაშაულს), რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, საქართველოს სსრ სს კოდექსის 90<sup>1</sup>-ე და 205-ე მუხლების თანახმად ყოველი დანაშაულის დაფარვა როდი იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ იმ დანაშაულთა დაფარვა, რომლებიც ამ მუხლებშია აღნიშნული.

ამიტომ, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ფარავს ისეთ დანაშაულს, რომლის დაფარვაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, ხოლო სინამდვილეში ამ დანაშაულის დაფარვის დასჯადობას კანონი არ ითვალისწინებს, დაფარვის შემადგენლობა არ გვექნება. ასეთი შემთხვევებიც უნდა ჩაითვალოს მოჩვენებით დანაშაულად.

არ არის საკმარისი, რომ წინასწარი ქმედობა, რომელსაც პირი ფარავს, ობიექტურად საზოგადოებრივად საშიში იყოს. აუცილებელია, იგი იყოს ბრალეული და დასჯადი. ამიტომ არ დაისჯება ისეთი ქმედობის დაფარვა, რომელიც ჩადენილია შეურაცხველი პირის ან მცირეწლოვანის მიერ.

არ დაისჯება აგრეთვე ისეთი ქმედობის დაფარვა, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას მისი მცირემნიშვნელოვანობის გამო (სისხ. სამ. კოდექსის მე-8 მუხლის მე-2-ე ნაწ.) ან იმის გამო, რომ ქმედობამ საქმის განხილვის მომენტში ვითარების შეცვლის გამო საზოგადოებრივად საშიში ხასიათი დაკარგა (მუხ. 51-ე, ნაწ. I). მაგრამ თუ წინასწარი დანაშაულის ჩამდენი განთავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ მოტივით, რომ მომდევნო უმწიკვლო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო იგი (პიროვნება) სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არის საზოგადოებრივად საშიში და ამიტომ

სასჯელის შეფარდება მისთვის მიზანშეუწონელია (მუხ. 51, ნაწ. მე-2), ჩვენის აზრით, ეს ფაქტი თავისთავად ვერ გაანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან დამფარავს.

როგორც ღვეინახეთ, დაფარვად მხოლოდ ისეთი მოქმედება ითვლება, რომელიც წინასწარი დანაშაულის შემდეგ არის ჩადენილი. მაგრამ ეს დებულება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს წინასწარი დანაშაულის შემადგენლობა აუცილებლად დამთავრებული უნდა იქნეს. შეიძლება ისეთი დანაშაულის დაფარვა, რომელიც მცდელობის ან მოსამზადებელი მოქმედების სტადიაზე შეწყდა.

შედარებით ძნელი გასარკვევია, დაფარვასთან გვაქვს ადგილი თუ თანამონაწილეობასთან, ეგრეთ წოდებულ დენად და განგრძობად დანაშაულთა დროს. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა დავადგინოთ აღნიშნულ ცნებათა შინაარსი. დენად დანაშაულთა განსაზღვრება მოცემულია სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 14 მარტის №1 დადგენილებაში „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის მიერ გამოტანილ ზოგიერთ დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის ან შეცვლის შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად, დენად დანაშაულს ახასიათებს განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედობის შემადგენლობის განუწყვეტელი განხორციელება. ეს დანაშაულებრივი მდგომარეობა იწყება რაიმე მოქმედების (მაგალითად, სამხედრო სამსახურის თვითნებურად დატოვების) შედეგად ან დანაშაულებრივი უმოქმედობის აქტის (მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობის) შედეგად. „მაშასადამე, — ნათქვამია აღნიშნულ დადგენილებაში, — დენადი დანაშაული შეიძლება განისაზღვროს როგორც მოქმედება ან უმოქმედობა, რასაც თან სდევს ხანგრძლივი შეუსრულებლობა მოვალეობისა, რომელიც დაკისრებული აქვს დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი დევნის მუქარით“<sup>1</sup>.

დენადი დანაშაული იწყება დანაშაულებრივი მოქმედების (უმოქმედობის) ჩადენის მომენტიდან და გრძელდება დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ეს პერიოდი ზოგჯერ შესაძლებელია საკმაოდ ხანგრძლივი იყოს. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება დენა-

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1963, №3, стр. 22.

დი დანაშაულის დროს წყდება ან თვით დამნაშავის ისეთი მოქმედებით, რომელიც მიმართულია დანაშაულის შეწყვეტაზე (მაგალითად, დამნაშავის გამოცხადება ბრალის აღიარებით) ან ისეთი გარემოების განხორციელებით, რომელიც აფერხებს დანაშაულის გაგრძელებას (მაგალითად, დამნაშავის დაკავება ხელისუფლების ორგანოთა მიერ).

რადგანაც დენადი დანაშაულის შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობა გარკვეული ხნის განმავლობაში განუწყვეტლად ხორციელდება, ამიტომ ყოველგვარი დახმარება, რომელსაც მესამე პირი აღმოუჩენს დამნაშავეს ამ პერიოდში, ე.ი. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შეწყვეტამდე, უნდა ჩაითვალოს თანამონაწილეობად და არა დანაშაულის დაფარვად.

განგრძობადი დანაშაულის ცნების განსაზღვრება მოცემულია სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილებაში „დენად და განგრძობად დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობისა და ამნისტიის გამოყენების პირობათა შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად, განგრძობად დანაშაულად ითვლება დანაშაული, შედგენილი „რამდენიმე ერთგვაროვანი დანაშაულებრივი ქმედობისაგან, რომელნიც მიმართული არიან ერთი მიზნისაკენ და ერთობლივად ერთ დანაშაულს წარმოადგენდნენ“<sup>1</sup>. ამ დანაშაულთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, წამება, რომელიც გამოიხატება სისტემატურ ცემაში. განგრძობადი დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ თვითოეული აქტი, ცალკე აღებული, უკვე ქმნის დამთავრებულ დანაშაულს, მაგრამ, დენადი დანაშაულისაგან განსხვავებით, აქ ადგილი არა აქვს დანაშაულის შემადგენლობის განუწყვეტლივ განხორციელებას. ყოველი ახალი დანაშაულებრივი ქმედობა წარმოადგენს დამთავრებული დანაშაულის განხორციელების განმეორებას.

გასაგებია ამიტომ, რომ დაფარვის საკითხი აქ სხვაგვარად წყდება, ვიდრე დენადი დანაშაულის დროს. სახელდობრ, თუ პირის მოქმედება შეეხება ისეთ დანაშაულებრივ აქტს, რომელიც თავისთავად უკვე დამთავრებულია, აქ ადგილი ექნება დანაშაულის კვალისა და დამნაშავის დაფარვას. ხოლო თუ პირის დახმარება შეეხება ისეთ დანაშაულებრივ

---

<sup>1</sup> „Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР“ 1924-1957, М., 1958, стр. 75.



აქტს, რომელიც თავისთავად ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, ამ შემთხვევაში ადგილი ექნება არა დაფარვის შემადგენლობას, არამედ თანამონაწილეობას ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულში.

## §5. წინასწარ შეუპირებული დაფარვის ობიექტური მხარე

რა მოქმედებებში შეიძლება გამოიხატებოდეს დაფარვა?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს თვით კანონი. სახელდობრ, როგორც მე-20, ისე 205-ე მუხლებში მითითებულია, რომ დანაშაულის დაფარვა შეიძლება გამოიხატებოდეს დამნაშავის, დანაშაულის ჩასადენად ნახმარი იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოენი საგნების დაფარვაში.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, დანაშაულის დაფარვა აქტიური მოქმედების ჩადენას გულისხმობს. სწორედ ამ ნიშნით დაფარვა განსხვავდება განუცხადებლობისაგან, რომელიც ყოველთვის პასიური ფორმით ანუ უმოქმედობით გამოიხატება. ეს დებულება არა ერთხელ ყოფილა ხაზგასმული საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში.

მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1943 წლის 1 დეკემბრის განჩინებაში თავებრიძის საქმეზე მითითებული იყო: „ზორგუაშვილი და გოგოლაძე ცნობილი არიან დამნაშავეებად კილაძის დანაშაულის განუცხადებლობაში, თანაც მათი მოქმედება კვალიფიცირებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლით\*, რომელიც სჯის დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავისა და დანაშაულის კვალის დაფარვისათვის. დაფარვა სისხლის სამართლის კოდექსის მე-მე-80 მუხლით გულისხმობს გარკვეულ აქტიურ მოქმედებას, ჩადენილს დამფარავის მიერ დამნაშავის ინტერესებში. მაგრამ განუცხადებლობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც დაფარვა სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლით, ვინაიდან განუცხადებლობა გამორიცხავს რაიმე აქტიურ მოქმედებას არგანმცხადებლის მხრივ და გამოიხატება უმოქმედობის პასიურ ფორმაში“<sup>1</sup>.

\* ნავულისხმევა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. თ. წ. „Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда СССР 1943 г.“, М., 1948, стр. 128.

იგივე დებულება გამოთქმულია სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1944 წლის 25 მარტის განჩინებაში შათირიშვილის საქმეზე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, — ნათქვამია ამ განჩინებაში — ახასიათებს პირველად ყოველსა ის, რომ „დამფარავის მოქმედებას აქტიური ხასიათი აქვს და არა პასიური. მისი მოქმედება არ ამოიწურება იმით, რომ იგი არ აცნობებს დამნაშავისა და დანაშაულის კვალის შესახებ ხელისუფლების სათანადო ორგანოებს. ეს იქნებოდა განუცხადებლობა, რომელზედაც ლაპარაკობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი. აუცილებელია მოქმედება, მიმართული დამნაშავისა და დანაშაულის კვალის დაფარვაზე“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასამართლოები აკვალიფიცირებენ დანაშაულის კვალის დაფარვას არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ამ დანაშაულს შეეხება, არამედ იმავედროულად, დანაშაულთა ერთობლიობის წესების თანახმად, იმ მუხლითაც, რომელიც განუცხადებლობის დასჯადობას ითვალისწინებს. მაგალითად, სტოვეი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მან მიიღო შესანახად ოდესის არტელ „რაზნოპრომიდან“ ოფჩარენკოს მიერ მოპარული ნივთები და არათუ არ აცნობა ხელისუფლების ორგანოებს ჩადენილი გატაცების შესახებ, არამედ პირიქით, როდესაც შეიტყო, რომ ოფჩარენკო დააპატიმრეს, ნაქურდული ქონება სხვა ადგილას გადაძალა. ოდესის საოლქო სასამართლომ სტოვეის მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც ორი დანაშაული: დანაშაულის დაფარვა და დანაშაულის განუცხადებლობა.

უკრაინის სსრ უმაღლესმა სასამართლომ მართებულად შეცვალა განაჩენი სტოვეის მიმართ, თანაც მიუთითა, რომ მისი მოქმედება არასწორად იყო კვალიფიცირებული, როგორც დანაშაულის განუცხადებლობა, ვინაიდან მან არ განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს მის მიერვე ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რომელიც გატაცებულის

---

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1944 г.“. М., 1948, стр. 129.

დაფარვაში გამოიხატებოდა<sup>1</sup>. ასეთი ხასიათის შეცდომებზე მიუთითა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის N 11 დადგენილებამაც. ამ დადგენილების მე-5 პუნქტში ნათქვამია: „განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც დანაშაულის თანამონაწილე იყო ან ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის წინასწარ შეუპირებელ დაფარვაში, არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებით, რომლებიც განუცხადებლობას ითვალისწინებენ, რამდენადაც ასეთ შემთხვევებში განუცხადებლობა ნაწილია უფრო მძიმე დანაშაულისა და მოცულია მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას აღნიშნულ უფრო მძიმე დანაშაულთათვის“<sup>2</sup>.

დაფარვა შეიძლება გამოიხატებოდეს ან დამნაშავის დაფარვაში ან დანაშაულის დაფარვაში.

დამნაშავის დაფარვა სხვადასხვაგვარი საშუალებებით შეიძლება: დამნაშავისათვის თავშესაფარის მიცემით, მისი გაქცევისათვის ხელის შეწყობით, პასპორტის ან სხვა დოკუმენტის მიცემით, დამნაშავის გარეგნული შეხედულების შეცვლით, რათა მისი ცნობა შეუძლებელი გახდეს, და ა.შ. დამნაშავის დაფარვა შეიძლება გამოიხატებოდეს აგრეთვე დამნაშავის ბრალის თავის თავზე აღებაში. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: კრილოვმა, ვერებიცკიმ და სხვ., რომლებმაც მკვლელობა ჩაიდინეს, სთხოვეს პუმპეს და ნეკრასოვს თავიანთ თავზე აეღოთ ეს მკვლელობა. პუმპერმა და ნეკრასოვმა ძიების ორგანოებში მართლაც შეიტანეს განცხადება, რომ მკვლელობა ჩადენილია მათ მიერ. მათი განცხადების საფუძველზე კრილოვი, ვერებიცკი და სხვ. განთავისუფლდნენ პატიმრობისაგან და მიიძღნენ. მხოლოდ მათი დამალვის შემდეგ პუმპერი და ვერებიცკი გამოტყდნენ რომ მკვლელობა მათ არ ჩაუდენიათ. რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა ამ საქმეზე აღიარა, რომ რამდენადაც პუმპერმა და ნეკრასოვმა მკვლელობა იმიტომ დაიბრალებს, რათა საშუალება მიეცათ ნამდვილ დამნაშავეთათვის მიმალულიყვნენ, ამდე-

<sup>1</sup> იხ. „Социалистическая законность“, 1962, №10, стр. 12-13.

<sup>2</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“ 1962, №5, стр. 19.

ნად მათი მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც დამნაშავეის დაფარვა<sup>1</sup>.

პირიქით, არ შეიძლება ჩაითვალოს დაფარვად და კვალიფიცირებული იქნეს 90-ე ან 205-ე მუხლებით შეგნებულად ცრუ დასმენა ან შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა, რომელნიც მიზნად ისახავენ უჭვი არიდონ ნამდვილ დამნაშავეს და ხელი შეუწყონ მის გამართლებას. თავისთავად ასეთი ხასიათის მოქმედებანიც არსებითად დანაშაულის დაფარვას წარმოადგენენ, რადგან მიმართულნი არიან ნამდვილი დამნაშავეის დაფარვაზე. მაგრამ რამდენადაც დაფარვის ასეთ სახეებს პირდაპირ მოიცავენ სპეციალური შემადგენლობანი, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე და 197-ე მუხლებში, მათი კვალიფიკაცია ამ მუხლების მიხედვით უნდა მოხდეს. ამ შეხედულებას მტკიცედ ადგია საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა. რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის განჩინებაში ტოკუნოვას საქმეზე მითითებული იყო, რომ ტოკუნოვა, რომელმაც მისცა ყალბი ჩვენება ნამდვილი დამნაშავეის დაფარვის მიზნით, უნდა იქნეს მიცემული პასუხისგებაში არა როგორც დანაშაულის დამფარავი, არამედ როგორც ყალბი ჩვენების მიმცემი<sup>2</sup>.

ანალოგიურად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე, ნამდვილი დამნაშავეის დაფარვის მიზნით, წააქეზებს სხვას ყალბი ჩვენებისათვის. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მსჯავრი დასდო რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსისი 95-ე მუხლით ხარლამოვას, რომელმაც თავისი ქმრის გუბინისათვის ალიბის შექმნის მიზნით დაიყოლია ორი ნაცნობი მიეცათ სასამართლოში ყალბი ჩვენება<sup>3</sup>.

დანაშაულის დაფარვაც შეიძლება სხვადასხვა მოქმედებაში გამოიხატოს.

უპირველესად ყოვლისა, დანაშაულის დაფარვა შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ პირი გადაძალავს ან სრულიად მოსპობს

<sup>1</sup> „Судебная практика РСФСР“, 1927, №1, стр. 7-8.

<sup>2</sup> „Судебная практика РСФСР“, 1927, №23, стр. 18-19.

<sup>3</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, №11, стр. 27-28. იხ. აგრეთვე „Социалистическая законность“, 1951, №3, стр. 91 (კარლოვის საქმე).

იარაღს ან საშუალებას, რომლითაც ჩაღწეულია დანაშაული: მაგალითად, გადაძალავს ცეცხლმსროლელ იარაღს, რომლითაც მოკლულია კაცი, ან გაანადგურებს ხელსაწყოს, რომლის მეშვეობითაც მოჭრილია ყალბი ფული ან რომელიც ნახმარია არყის გამოსახდელად და ა.შ.

შემდეგ, დანაშაულის დაფარვა შეიძლება გამოიხატებოდეს დანაშაულის კვალის დაფარვაში. ასეთი მოქმედება იქნება, მაგალითად, სისხლის ლაქების მოსპობა დამნაშავეის ტანსაცმელზე, დანაზე და სხვა ნივთზე, თითის ანაბეჭდის ან ფეხის ნაკვალევის წაშლა, დანაშაულის ადგილზე დატოვებული მამხილებელი საბუთის გადაძალკა ან განადგურება და ა.შ.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1945 წლის 24 თებერვლის განჩინებაში სიმბირცევის საქმეზე მიუთითა, რომ დანაშაულის კვალის დაფარვა გაგებული უნდა იქნეს როგორც „დაფარვა და მოსპობა ისეთი საგნებისა და მტკიცებულებებისა (მაგალითად, ლაქის, კვალის, სისხლის, დანაშაულის იარაღის და ა.შ.), რომლებიც შეიძლება გამოდგნენ დანაშაული ან დამნაშავეის გამოსამჟღავნებლად. ყველა ამ შემთხვევაში... იგულისხმებ განზრახი აქტიური მოქმედება, მიმართული იმისაკენ, რომ შეუძლებელ გახადოს ან გააძნელოს დამნაშავეის მხილება“<sup>1</sup>.

საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლი ითვალისწინებდა „დანაშაულის კვალის“ დაფარვას და სრულიად არ ახსენებდა დანაშაულით მოპოვებული საგნების დაფარვას. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა მართებულად თვლიდა დანაშაულის დაფარვად ასეთ შემთხვევებსაც. ასე მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს რკინიგზის სამხედრო კოლეგიის 1944 წლის 18 იანვრის განჩინებით საკინა მიცემულ იქნა პასუხისგებაში როგორც ქურდობის დამფარავი, იმისათვის, რომ მიიღო სოკოლოვისაგან შესანახად მის მიერ გატაცებული ქონება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1945, вып. III, стр. 10.

<sup>2</sup> „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР“ 1944 г., М., 1948, стр. 148. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1947 წ. 4 ივნისის განჩინება ფომინას, ბუტინას და ბოლშაკოვას საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“, 1948, вып. II, стр. 14).

ახალმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ შეავსო აღნიშნული ხარევი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ დანაშაულით მოპოვებული საგნების დაფარვაც დანაშაულის დაფარვად უნდა ჩაითვალოს.

დანაშაულის გზით მოპოვებული საგნების დაფარვა შესაძლებელია არა მარტო ამ საგნების შენახვის მეშვეობით, არამედ მათი მოსპობის, სახის შეცვლის და სხვ. მისთანის მეშვეობითაც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 90<sup>1</sup>-ე და 205-ე მუხლები გულისხმობენ ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც მიმართულია დანაშაულის ან დაძნალების დაფარვაზე, ე.ი. მოქმედებისა, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს დანაშაულის გამოძიება ან დაძნალების მხილება. ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის დაფარვად მოქმედება, რომელიც თუმცა ჩადენილია დანაშაულის ჩადენის შემდეგ და დაკავშირებულია ამ დანაშაულთან, მაგრამ მიმართული არ არის დაძნალების ან დანაშაულის დაფარვაზე. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს კოლეგიამ 1944 წ. 4 ოქტომბრის განჩინებაში მიუთითა, რომ ზენალოვის მოქმედებაში, რომელმაც ხელ-პირი დააბანინა კაცის მკვლელს პასანოვს და მისცა მას სუფთა პერანგი, არ არის დაფარვის ნიშნები, ვინაიდან ამ მოქმედებებს მიზნად არ ჰქონდათ დაძნალების ან დანაშაულის კვალის დაფარვა<sup>1</sup>.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა არ თვლის დანაშაულის კვალის დაფარვად აგრეთვე დანაშაულის ნაყოფის გამოყენებას. ეს დებულება ჯერ კიდევ 1926 წელს ჩამოყალიბებულ იქნა რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს მიერ, რომელმაც მიუთითა: „დანაშაულის ნაყოფით სარგებლობა არ ჩაითვლება დანაშაულებრივ ქმედებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვით სარგებლობა გამოიხატება ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს“<sup>2</sup>.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 2 სექტემბრის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ სხვის მიერ გატაცებული ნივთების დროებით გამოყენება მეორე პირის მიერ, თუ იგი არ

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1945, вып. 1, стр. 10.

<sup>2</sup> „Еженедельник советской юстиции“, 1926, №39, стр. 1140.

ფარავდა გატაცებულ ნივთებს, საერთოდ არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს<sup>1</sup>.

ანალოგიური აზრია გატარებული სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1945 წლის 24 თებერვლის განჩინებაში სიმბირცევის საქმეზე. სიმბირცევის ბრალად ედებოდა, რომ ფარავდა თავისი ცოლის დანაშაულს და საჭმელში ხმარობდა მის მიერ მოპარული თხების ზორცს. კოლეგიის განჩინებაში მითითებული იყო, რომ ნაქურდლად შეცნობილი საგნების გამოყენება თავისდათავად არ წარმოადგენს დანაშაულს, რამდენადაც იგი არ ფარავს ჩადენილ დანაშაულს ან დამნაშავეს<sup>2</sup>.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირი სარგებლობს ისეთი დანაშაულის ნაყოფით, რომლის განუცხადებლობაც კანონით დასჯადად ითვლება, პირი შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული დანაშაულის განუცხადებლობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხ.).

დანაშაულის დაფარვისაგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლით, ე.ი. როდესაც პირმა დანამდვილებით იცის, რომ ქონება ნაშოვნია დანაშაულებრივი საშუალებით და მიუხედავად ამისა მაინც იძენს მას ან მაინც მონაწილეობას იღებს ასეთი ქონების გასაღებაში. აღნიშნული ქმედობა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, რომელიც არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს დანაშაულის დაფარვასთან. ამავე დროს ადვილი შესაძრწევია, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობა მეტად ენათესავება დანაშაულის დაფარვის შემადგენლობას. ცნობილი რუსი კრიმინალისტი ს., პოზნიშევი მართებულად აღნიშნავდა: „თუ პირმა რაიმე ნივთის ყიდვის დროს იცის, რომ ეს ნივთი დანაშაულებრივი გზით არის შეძენილი, ასეთი პირი არა მარტო დახმარებას უწევს დამნაშავეს, რათა მან ჩადენილი დანაშაული გამორჩინის მიღებისათვის გამოიყენოს, არამედ ამავე დროს ეხმარება მას

---

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1943“. М., 1943, стр. 18 (დოლოკოვას საქმე).

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1945, вып. III, стр. 10.

დანაშაულის დაფარვაში, ვინაიდან დანაშაულის გზით შექმნილი საგანი არის ღამნაშაულის მამხილებელი ერთ-ერთი ნივთიერი მტკიცე-ბულება<sup>1</sup>.

ისევე, როგორც დანაშაულის დაფარვის დროს, აქაც უნდა განვასხვავოთ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების შექმნა და რეალიზაცია დანაშაულის ჩადენის შემდეგ, წინასწარი დაპირების გარეშე, და წინასწარი შეპირება, რომ შეიძენს და გაასაღებს დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ნივთებს. პირველ შემთხვევაში მოქმედება კვალიფიცირდება სპეციალური მუხლით, რომელიც ითვალისწინებს წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნას და გასაღებას (მუხ. 222-ე), ხოლო მეორე შემთხვევაში – როგორც თანამონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში.

ზოგჯერ სასამართლოები გულდასმით არ არკვევენ იმ ფაქტს, იყო თუ არა დანაშაულის შორის წინასწარი შეთანხმება და აკვალიფიცირებენ ქონების გატაცების ნამდვილი თანამონაწილის მოქმედებას, როგორც წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნას და გასაღებას ან როგორც რომელიმე სხვა დანაშაულს. მაგალითად, ნ. სულეიმანოვი, რომელიც არსად არ მუშაობდა, ორი წლის განმავლობაში ყიდულობდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისაგან გატაცებულ საქონელს შემდგომი გასაღების მიზნით. ამგვარად მან შეიძინა 19 ტონა ბენზინი, 15 ტონა ავტოლი და დიდი რაოდენობის საშენი მასალა. ასტრახანის საოლქო სასამართლომ მისი მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც სპეკულაცია<sup>2</sup>. სინამდვილეში სულეიმანოვის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო, როგორც თანამონაწილეობა სახელმწიფო ქონების გატაცებაში, ვინაიდან გატაცებული ქონების სისტემატურად შესყიდვა სულეიმანოვის მიერ სრულ საფუძველს აძლევდა სოციალისტური ქონების დამტაცებელთ ვერაუ-დათ, რომ სულეიმანოვი მომავალშიც გაუწევდა მათ ასეთ დაზმარე-ბას, რაც ხელს უწყობდა სისტემატურად გატაცებას. როგორც ზემო-თაც იყო აღნიშნული, სისტემატური დაფარვა ან სისტემატური შესყ-

<sup>1</sup> С. В. Познышев, Очерк основных начал науки уголовного права, Особенная часть, М., 1923, стр. 216.

<sup>2</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“ 1962, №5, стр. 17-18.



იღვა თუ რეალიზაცია სხვის მიერ გატაცებული ქონებისა ერთი და იმავე პირის მიერ მოასწავებს ამ პირის ჩუმ თანხმობას, ე.ი. არსებითად, დახმარების წინასწარ შეპირებას, რაც ჩვენი კანონმდებლობით თანამონაწილეობად ითვლება. ამიტომ სავსებით სწორად მოიქცა რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმი, როდესაც გააუქმა ზემოთნახსენები განაჩენი.

ზოგჯერ სასამართლოები საწინააღმდეგო ხასიათის შეცდომებს უშვებენ, სახელდობრ, აკვალიფიცირებენ როგორც თანამონაწილეობას ქონების გატაცებაში დანაშაულებრივი გზით შექნილი ქონების წინასწარ შეუპირებელ რეალიზაციას ან შესყიდვას. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სრულიად უსაფუძვლოდ გააუქმა ქ. როსტოვის პროლეტარის რაიონის განაჩენი ნაგორნის საქმეზე, თანაც მიუთითა, რომ რამდენადაც ნაგორნიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო მოპარული მაგნიტოფონის რეალიზაციაში და გამოიყენა მისი გაყიდვით მიღებული თანხა, იმდენად იგი გატაცების დანაშაულის „უშუალო თანამონაწილედ უნდა ჩაითვალოს“. ამავე დროს ნაგორნის ნივთის გატაცებაში მონაწილეობა არ მიუღია, ნივთის გასაღების დაპირება წინასწარ არ მიუცია და საერთოდ გატაცების ფაქტის შესახებ გაიგო მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ. უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წლის 31 ივლისის №11 დადგენილებაში მიუთითა ასეთი პრაქტიკის არასისწორის შესახებ და აღნიშნა, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების შესყიდვა ან გასაღება, მსგავსად დანაშაულის დაფარვისა, მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს თანამონაწილეობად დანაშაულში, როდესაც ეს მოქმედება წინასწარ იყო შეპირებული ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენამდე ან მისი ჩადენის დროს, ან როდესაც რაიმე სხვა მიზეზის გამო (მაგალითად, ამ მოქმედებათა სისტემატური ხასიათის გამო) ამსრულებელს საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ ასეთი თანხმობა არსებობს<sup>1</sup>.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლის მიხედვით კვალიფიცირდება როგორც წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით შექნილი საგნების შესყიდვა, ისე ასეთი საგნების

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962 г., № 5, стр. 18.

გასაღება. აღსანიშნავია, რომ წინათ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (1928 წლისა) არ ითვალისწინებდა ასეთი ნივთების გასაღებას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს, ამიტომ დანაშაულის გზით მოპოვებული საგნების რეალიზაციას სასამართლო პრაქტიკა განიხილავდა როგორც დანაშაულის დაფარვას.

### §6. წინასწარ შეუპირებელი დაფარვის სუბიექტური მხარე

დანაშაულის დაფარვის შემადგენლობისათვის სუბიექტური მხრივ აუცილებელია, რომ პირი განზრახ მოქმედებდეს, მაშასადამე, აუცილებელია პირმა იცოდეს, რომ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედობა და რომ იგი ჰფარავს ამ დანაშაულს ან მის ჩამდენს.

შესაძლებელია პირი ისეთ მოქმედებას ასრულებდეს, რომელიც ობიექტურად დამნაშავის ან დანაშაულის დაფარვას წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს არ ითვალისწინებდეს თავისი მოქმედების ამგვარ ხასიათს. ასეთი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის დაფარვად, ვინაიდან პირის მოქმედებაში არ არის დაფარვის განზრახვა. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1950 წლის 13 თებერვლის განჩინებაში მითითებული იყო, რომ თუმცა სმოლიანეცისა და კრუტოვას მოქმედებანი ობიექტურად ხელს უწყობდნენ კოროშევას მიერ ჩადენილი ქონების გატაცების დაფარვას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი მოქმედებანი არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნენ როგორც ქონების გატაცების დაფარვა, ვინაიდან მათ არაფერი იცოდნენ კოროშევას მიერ ჩადენილ გაფლანგვაზე და ამიტომ არ შეიძლებოდა ჰქონოდათ მისი დაფარვის განზრახვა<sup>1</sup>.

დაფარვის დანაშაულის არსებობისათვის საკმარისი არ არის დამნაშავემ ზოგადად იცოდეს, რომ იგი ჰფარავს დამნაშავეს ან დანაშაულს, არამედ საჭიროა იცოდეს, თუ სახელდობრ რა დანაშაულს ჰფარავს იგი. ეს დებულება მკაფიოდ არის გატარებული სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასა-

<sup>1</sup> იხ. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1950, №4, стр. 12.

მართლო კოლეგიის უკვე მოხსენებულ განჩინებაში შათირიშვილის საქმეზე.

„დამფარავს, — ნათქვამია განჩინებაში, — უნდა ჰქონდეს განზრახვა დაფაროს დამნაშავე ან დანაშაულის კვალი, თანაც, მან უნდა იცოდეს, რომ ჰფარავს პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, და უნდა იცოდეს, სახელდობრ, რა დანაშაული ჩაიდინა ამ პირმა“<sup>1</sup>.

დამფარავის განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ანუ ევენტუალური, ე.ი. დამფარავს შეიძლება სურდეს დანაშაულის დაფარვა ანდა იგი შეიძლება შეგნებულად უშვებდეს, რომ თავისი მოქმედებით ჰფარავს დანაშაულს. თუ ასეთი სურვილი პირს არა აქვს ან იგი შეგნებულად არ უშვებს დანაშაულის დაფარვას, მაშინ ამ დანაშაულის შემადგენლობას ადგილი არ ექნება. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო-სატრანსპორტო კოლეგიის 1949 წლის 19 მარტის განჩინება ზუევის საქმეზე. სინცოვმა გადასცა შესანახად ზუევს ლეპხინისათვის მოპარული ფული. ზუევმა გამოართვა მას ეს ფული, მაგრამ იმ მიზნით, რომ დაებრუნებინა ლეპხინისათვის. უმაღლეს სასამართლოს კოლეგიამ სინცოვის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ სცნო<sup>2</sup>.

დაფარვა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შესრულებულია მოქმედება, რომელიც მიმართულია დამნაშავის ან დანაშაულის დაფარვაზე. დაფარვის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ნამდვილად მიაღწია თუ არა დამფარავმა მიზანს, ე.ი. ნამდვილად შესძლო თუ არა მან ხელი შეეშალა მართლმსაჯულებისათვის და აეცდინა დამნაშავისათვის მის მიერ დამსახურებული სასჯელი.

სადავოდ ითვლება საკითხი, შესაძლებელია თუ არა მცდელობა დაფარვის დროს. ჩვენი აზრით, რამდენადაც დაფარვად უნდა ჩაითვალოს ყოველი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების ორგანოებს გახსნან დანაშაული ან ააცდინონ დამ-

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда СССР 1944 г., М., 1948, стр. 129.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, №6, стр. 30; იხ. აგრეთვე ჩერნოვას საქმე „Судебная практика Верховного Суда СССР“. 1949, №9, стр. 18.

ნაშავეს სასჯელი, ხოლო ამ მიზნის ნამდვილად მიღწევა საჭირო არ არის, მცდელობა დაფარვის დროს შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს.

თანამონაწილეობა დაფარვაში შესაძლებელია. მაგალითად, ვინმე შეაგულიანებს მეორე პირს თავშესაფარი მისცეს მკვლელს ან ვინმე მისცემს მეორე პირს საშუალებას დანაშაულის კვალის წასაშლელად.

## §7. დაფარვა და თანამდებობის დანაშაული

სასამართლო პრაქტიკაში არ იყო დამყარებული ერთიანი პრაქტიკა იმ საკითხის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაულის დამფარავის როლში გამოდის თანამდებობის პირი ან როდესაც თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით იძენს ან ასაღებს დანაშაულებრივი გზით ნაშონ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ ქონებას. ზოგჯერ ასეთ მოქმედებას აკვალიფიცირებდნენ, როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ზოგჯერ – როგორც ქონების გატაცებაში თანამონაწილეობას. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ასეთ პირებს სრულიად ათავისუფლებდნენ პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, იაროსლავის საოლქო სასამართლომ გაანთავისუფლა პასუხისმგებლობისაგან მუშათა მომარაგების განყოფილების გამგე სტრაზოვი, რომელმაც მიიღო მაღაზიაში გასაყიდად მტვირთავ სპირიდონოვის მიერ მეორე მაღაზიიდან გატაცებული საქონელი. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას სასამართლო იმით ასაბუთებდა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ასეთი ქონების რეალიზაციისათვის. მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს გ. ანაშკინი, „სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ სტრაზოვმა ჩაიდინა თანამდებობის დანაშაული, რომლისთვისაც უნდა აგოს პასუხი“<sup>1</sup>.

აღნიშნული შეცდომების თავიდან ასაცილებლად სსრკ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1962 წლის 31 ივლისის N 11 დადგენილებაში მიუთითა: „დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა, აგრეთვე

<sup>1</sup> გ. ანაშკინის დასახ. ნაშრ., „Социалистическая законность“, 1962, №10, стр. 12.

გატაცებულად შეცნობილი ქონების შექენა ან გასაღება, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებით, რომლებიც ამ დანაშაულთ ითვალისწინებენ, და აგრეთვე ერთობლიობის მიხედვით — როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება<sup>1</sup>. ამავე დადგენილებაში მითითებულია, რომ თუ თანამდებობის პირმა წინასწარ აღუთქვა ქონების გამტაცებელს გატაცებული ქონების რეალიზაცია ან თუ იგი სისტემატურად იღებდა გასასაღებლად გატაცებულ ქონებას, რის გამოც გამტაცებელს საფუძველი ჰქონდა ეკარაუდნა, რომ თანამდებობის პირი ნამდვილად აღმოუჩენდა მას დახმარებას, ასეთი თანამდებობის პირი პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული ერთობლივად ქონების გატაცებაში თანამონაწილეობისათვის და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის<sup>2</sup>.

### §8. წინასწარ შეუპირებელი დაფარვის დასჯადობა

როგორც უკვე აღნიშნული იყო, წინასწარ შეუპირებელი დაფარვის შემადგენლობა შეტანილია, ჯერ ერთი, სახელმწიფო დანაშაულთა თავში (მუხ. 90<sup>1</sup>-ე) და, მეორე მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (მუხ. 205-ე). აღნიშნული მუხლები სხვადასხვა სასჯელებს ითვალისწინებენ. ეს გასაგებიცაა, დაფარვის დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დაფარული დანაშაულის საშიშროებაზე. ყველაზე უფრო მძიმე სასჯელი გათვალისწინებულია სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვისათვის, რომელთა ზუსტი ჩამოთვლა მოცემულია 90<sup>2</sup>-ე მუხლში. სახელდობრ, კანონით დადგენილია შემდეგი სასჯელი: ან თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან ხუთ წლამდე, რასაც შეიძლება დაემატოს დამატებითი სასჯელის სახით გადასახლება ორიდან ხუთ წლამდე, ანდა გადასახლება ხუთ წლამდე.

დანარჩენ დანაშაულთა დაფარვის შემადგენლობა გათვალისწინებ-

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“ 1962, №5, стр. 18-19.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 19.

ულია 205-ე მუხლში. 205-ე მუხლის თანახმად დასჯადია არა ყოველი დანაშაულის დაფარვა, არამედ ისეთისა, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დანიშნულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით. მაშასადამე, თუ ძირითადი დანაშაული, რომელსაც პირი ფარავს, უფრო მსუბუქი სასჯელით ისჯება, ასეთი დანაშაულის დაფარვა არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

205-ე მუხლი ითვალისწინებს დამფარავის ღიფერენციურებულ პასუხისმგებლობას დაფარული დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. სახელდობრ, თუ დაფარული დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, ასეთი დანაშაულის წინასწარ შეუპირებული დაფარვა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოს ერთ წლამდე, ხოლო თუ დაფარული დანაშაულისათვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათი წლით ან უფრო მკაცრ სასჯელს, ასეთი დანაშაულის დაფარვა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე.

ღიფერენციურებული პასუხისმგებლობას ითვალისწინებს აგრეთვე ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი. სახელდობრ, თუ იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ფარავს მეორე პირი, კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით, მისი დაფარვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან ჯარიმით 100 მანეთამდე. ხოლო თუ დასაფარი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით ან სასჯელის უმაღლესი ღონისძიება, დამფარავი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე<sup>1</sup>.

დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსების უმრავლესობა არ აწესებს ღიფერენციურებულ პასუხისმგებლობას დაფარვისათვის და ითვალისწინებს ერთნაირ პასუხისმგებლობას დაფარვის ყველა შემთხ-

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ამავე პოზიციას ადგია ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსიც. ამ დანაშაულთა დაფარვისათვის, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, სამუდამო დატუსაღება ან თავისუფლების აღკვეთა არანაკლები ათი წლისა, დადგენილია თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან ხუთ წლამდე, ხოლო ყველა სხვა დანაშაულისთვის – თავისუფლების აღკვეთა სამი თვიდან სამ წლამდე (იხ. §163).

ვევისათვის მიუხედავად დაფარული დანაშაულის სიმძიმისა. მაგალითად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსი სჯის წინასწარ შეუპირებელ დაფარვას თავისუფლების აღკვეთით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ან იძულებით მუშაობით ერთ წლამდე.

ჩვენის აზრით, საქართველოს და ლატვიის სს რესპუბლიკების პოზიცია ამ საკითხში უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული დანაშაულის სიმძიმისათვის, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია სიმძიმე დაფარული დანაშაულისა<sup>1</sup>.

წინასწარ შეუპირებელი დაფარვის საზოგადოებრივ საშიშროებაზე გარდა დაფარული დანაშაულის სიმძიმისა, შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ კიდევ სხვა გარემოებებმა. კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში არ გამოყოფს ამ გარემოებებს, როგორც დანაშაულის დამაკვალიფიცირებელ ან პირიქით შემამსუბუქებელ გარემოებად. მაგრამ მოსამართლე ვალდებულია კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით დადგენილი სანქციის ფარგლებში მხედველობაში მიიღოს კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლებში გათვალისწინებული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი – მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მიღწეულ იქნეს პასუხისმგებლობისა და სასჯელის სამართლიანი ინდივიდუალიზაცია.

იმ გარემოებათა შორის, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დაფარვის დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებად, შეიძლება აღინიშნოს დაფარვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. მაგალითად, თუ ორგანიზებულია სპეციალური ჯგუფი, რომელსაც მიზნად აქვს დასაზული მძიმე სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვა, ასეთი დაფარვა უჭველად ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად. ასევე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად უნდა ჩაითვალოს დაფარვა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა. მაგალითად, დაფარვის წყალობით საშიში დამნაშავე გადაურჩა დაპატიმრებას, რამაც შესაძლებლობა მისცა კიდევ ჩადენა მძიმე დანაშაული. დაფარვის დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს ქვენა მოტივი, გან-

---

<sup>1</sup> ამავე შეხედულებას იზიარებს მ. ბლუმი, დასახ. წერილი, გვ. 89-90.

საკუთრებით, ანგარებითი მოტივი<sup>1</sup>. დანაშაულის დაფარვა, ჩადენილი ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით, ხშირად სისტემატურ ხასიათს იღებს. ამიტომ იგი მომეტებულ საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს ატარებს და მოითხოვს დამნაშავის მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

დაფარვის შემამსუბუქებელ გარემოებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენას ნათესაური დამოკიდებულების გამო. შეუძლებელია, მაგალითად, სასამართლო ერთგვარი საზომით მიუდგეს გარეშე პირს, რომელმაც დაჰფარა კაცის მკვლელი, რადგან უკანასკნელი მას გასამრჯელოს დაჰირდა, და მკვლელის დედას, რომელმაც იგივე დანაშაული ჩაიდინა შვილის უანგარო სიყვარულის გამო. სხვათა შორის, გამოჩენილმა იურისტმა კონიმ, როდესაც იგი რევოლუციამდელ სასამართლოში გამოდიოდა, როგორც ბრალდებული მკვლელობის ერთ-ერთ საქმეზე, მოითხოვა პასუხისმგებლობის შემსუბუქება ბრალდებულის დედისათვის, რომელსაც თავისი დამნაშავე შვილის დაფარვა ბრალდებოდა. „შვილის დანაშაულის უნებლიე მოწმე... – თქვა კონიმ, – იგი გახდა დამფარავი მისი მოქმედებისა იმიტომ, რომ არ ჰქონდა ძალა საკუთარი შვილი ემხილებინა. დედის მორთოლავი, უძღური ხელები იძულებულნი იყვნენ დაეფარათ შვილის დანაშაულის კვალი იმიტომ, რომ დედის გული, ბუნებით მინიჭებული უფლების გამო, ჰფარავდა თვით დამნაშავეს. ამიტომ თქვენ, ბ-ნო ნაფიცნო მსაჯულებო, გამოიჩინეთ არა მარტო მოწყალება, არამედ სამართლიანობასაც, თუ იტყვიან, რომ იგი ღირსია შეწყნარებისა“ (სიტყვა, წარმოთქმული ფილიპე შტრამის მკვლელობის საქმეზე)<sup>2</sup>.

ამავე დროს არ შეიძლება მეორე უკიდურესობაში ჩავარდეთ და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გავანთავისუფლოთ ყოველი პირი, ვინც თავისი ახლო ნათესავის მიერ ჩადენილ დანაშაულს დაფარავს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს საგამომიებო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები გვხვდება: კოპჩაკის ცოლი, რომელმაც

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კოდექსი თვით კანონში მიუთითებს ანგარებაზე, როგორც დანაშაულის დაფარვის დამამძიმებელ გარემოებაზე (მუხ. 226, ნაწ. 2).



იცოდა თავისი ქმრის დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ, არა მარტო სარგებლობდა მის მიერ გატაცებული ქონებით, არამედ ფარავდა მის დანაშაულს. ნაწილი ფულისა მან თავის საშემნახველო საღაროს წიგნაკზე შეიტანა, ნაწილი ღუმელში დამალა, ხოლო ოქრო მიწაში ჩაფლა. მიუხედავად ამისა, პროკურატურის ორგანობმა მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა არ აღძრეს. უკრაინის სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გამოასწორა ეს შეცდომა და განჩინების გამოტანის დროს პასუხისმგებაში მისცა კოპჩაკის ცოლი დანაშაულის დაფარვისათვის<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა მძიმე დანაშაულის დაფარვა, აგრეთვე დანაშაულის დაფარვა, ჩადენილი ქვენა გრძნობით, კერძოდ, ანგარებით ვერ გაანთავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან თუნდაც მისი უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვისათვის, მაგრამ სხვა შემთხვევაში, როგორც მართებულად აღნიშნავს გ. ანაშკინი, „როდესაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში დანაშაულის განუცხადებლობისა და დაფარვისათვის მიცემულია პირი, რომელმაც ეს დანაშაული ნათესაური გრძნობის გამო ჩაიდინა, უეჭველად საჭიროა გარკვეული სიფრთხილე და წინდახედულობა“<sup>2</sup>.

პასუხისმგებლობისა და სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს, გარდა ამისა, მატერიალური ან სამსახურებრივი დამოკიდებულება დამფარავისა მთავარი დანაშაულის ჩამდენისაგან. მაგალითად, ქარხნის დირექტორს, რომელიც სისტემატურად იტაცებს საქონელს, ფარავს მისი ხელქვეითი, რომელსაც ეშინია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოხსნილი იქნება სამსახურიდან. შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მუქარა ან ძალადობა, დამფარავის მიმართ.

სასამართლომ, ცხადია, მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დამფარავის პიროვნება, პასუხისმგებლობის ყველა დამამძიმებელი და შემამსუბუ-

---

<sup>1</sup> იხ. Г. Анашкин, Об ответственности за зареши не общаинное укрьвателство преступленин, приобретение и сбыт заведомо похищенного имущества, „Социалистическая законность“, 1962, N 10, стр. 13.

ქებული გარემოებანი და დაუნიშნოს დამნაშავეს შესაფერისი სასჯელი საქმის ამ გარემოებათა გათვალისწინებით.

ამჟამად, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს. მართალია, წინასწარ შეუპირებული დაფარვის საქმე არ შეიძლება გადაეცეს განსახილველად საამხანაგო სასამართლოს, ვინაიდან, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით საქმე შეიძლება გადაეცეს განსახილველად საამხანაგო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია მცირე მნიშვნელოვანი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. მაგრამ სასამართლოს შეუძლია ის პირი, რომელმაც ჩაიდინა 205-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაფარვა, გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და გადასცეს იგი თავდებობის ქვეშ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთა კოლექტივს, თუკი, რა თქმა უნდა, არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები: სახელდობრ, თუ დანაშაულს მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, თვით პიროვნება არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მან გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული. გარდა ამისა, მშრომელთა კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას სასამართლომ შეიძლება დაავალოს პირობით მსჯავრდებულის აღზრდა-გამოსწორების მოვალეობა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გამოიტანს დადგენილებას დამნაშავეს მიმართ სასჯელის პირობით არშეფარდების შესახებ (მუხ. 46-ე).

განსაკუთრებულ შემთხვევებში დაფარვის დანაშაულის ჩამდენი შეიძლება სრულიად განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სასამართლო ცნობს, რომ ეს პირი შემდეგში უმწიკვლო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო აღარ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი).

## დანაშაულის განუცხადებლობა

### §1. დანაშაულის განუცხადებლობის არსი

დანაშაულის შემხებლობის მეორე სახეს, რომლის დასჯადობაც გათვალისწინებულია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, დანაშაულის განუცხადებლობა წარმოადგენს.

დანაშაულის განუცხადებლობა წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს და არა თანამონაწილეობას დანაშაულში.

საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლში გათვალისწინებული იყო, რომ „ჩადენილი ან ჩასადენად გამზადებული დანაშაულის განუცხადებლობას სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, რაც სისხლის სამართლის კოდექსით სპეციალურადაა გათვალისწინებული“, ხოლო საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებდა დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობას შემდეგ შემთხვევებში: სამხედრო მსახურის მიერ განუცხადებლობა, რომ მზადდება ან ჩადენილია სამშობლოს ღალატი (საქ. სსრ სისხლის სამ., კოდ. 58<sup>1</sup>-ე მუხლი); კონტრრევოლუციურ დანაშაულთა განუცხადებლობა (58<sup>21</sup>-ე მუხ.); განმეორებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან დიდი რაოდენობით სოციალისტური ქონების გატაცების განუცხადებლობა (მუხ. მე-5 და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებისა „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“; პირადი ქონების ყაჩაღური გზით გატაცების განუცხადებლობა (მუხ. მე-3 სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებისა „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“).

დანაშაულის განუცხადებლობის კონსტრუქციაში ახალ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას პრინციპული ცვლილება არ შეუტანია. საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-19 მუხლში ნათქვამია: „დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად

იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში<sup>1</sup>. აღნიშნულის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებენ განსაკუთრებულ ნაწილში ზოგიერთი, განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულებრივი ქმედობის განუცხადებლობის დასჯალობას.

საბჭოთა ლიტერატურაში დავას იწვევს ის საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს განსჯილი დამნაშავეისათვის წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა: როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში თუ როგორც განუცხადებლობის დამოუკიდებელი დანაშაული, როგორც დანაშაული sui generis. საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობა აღნიშნულ საკითხს წინასწარ შეპირებული დაფარვის ანალოგიურად წყვეტს. მაგალითად, პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი წერს: „მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც განუცხადებლობა წინასწარ იყო აღთქმული ამსრულებლისათვის, იგი ებმება მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობასთან და განხილულ უნდა იქნეს როგორც თანამონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში ინტელექტუალური დახმარების სახით“<sup>1</sup>.

ამ შეხედულების წინააღმდეგ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაილაშქრეს პ. ი. გრიშაევმა და გ. ა. კრიგერმა. მათი აზრით, განუცხადებლობა, თუნდაც წინასწარ შეპირებული, არასოდეს არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილეობად, ვინაიდან იგი არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. მათი აზრით, განუცხადებლობის დაპირება, რომელიც არსებითად

---

<sup>1</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, гл. 600; იხ. აგრეთვე, В. Г. Смирнов, Понятие прикосновенности по советскому уголовному праву, Л., 1957, гл. 18-19; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 86; ბ. ფურცხვანიძე, პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 1956, გვ. 24, 65; М. Блум, Ответственность за укрывательство и недонесение по уголовным кодексам союзных республик, Ученые записки Латвийского государственного университета им. П. Стучки, Рига, 1962, стр. 78; В. Солпарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической республики, перевод М. К. Гельфера, М., 1962, стр. 170-171 და სხვ.

ნიშნავს მხოლოდ დანაშაულისადმი ლოიალური დამოკიდებულების დაპირებას, არ შეიძლება ჩაითვალოს დახმარებად დანაშაულში. არგანმცხადებელი არ იღებს მონაწილეობას ერთობლივ საქმიანობაში დანაშაულის ამსრულებელთან ერთად, არამედ მარტო იმას პირდება ამსრულებელს, რომ ამა თუ იმ მოსაზრებით გულგრილობას გამოიჩინოს იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც ამსრულებელი იდენს და არ განუცხადებს მის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს. „მაშასადამე, – დაასკვნინან გრიშავეი და კრიგერი, – აქ არ არის თანამონაწილეობის აუცილებელი ობიექტური ნიშნები. წინადადება რათა თანამონაწილეებად ჩაითვალოს ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ საერთო აზრით არიან გაერთიანებულნი, მიუღებელია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის. თანამონაწილეებად საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ერთობლივი საქმიანობა, რომელსაც სუბიექტურ ნიშნებთან ერთად ობიექტური ნიშნებიც ახასიათებს!“.

აღნიშნული შეხედულება, ჩვენი აზრით, სწორად ვერ აფასებს განუცხადებლობის წინასწარ შეპირების ობიექტურ მნიშვნელობას. მართალია, ასეთი პირის მოქმედება მხოლოდ განუცხადებლობის დაპირებაში გამოიხატება, მაგრამ დაპირება ობიექტური ფაქტია და იგი შეიძლება გახდეს ერთ-ერთ გარემოებად, რომელიც განამტკიცებს ამსრულებლის დანაშაულებრივ განზრახვას. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა. ვინმეს სურს გაქურდოს ბინა, მაგრამ ეშინია, რომ იგი არ გასცეს მეზობელმა, რომელიც აუცილებლად გაიგებს ქურდის საერთო ბინაში შემოსვლას. მაშინ ქურდი შეუთანხმდება ამ მეზობელს (შეიძლება ამისათვის სათანადო გასამრჯელოც კი მისცეს) და თხოვს, ნუ განაცხადებს ქურდობის შესახებ სათანადო ორგანოებთან. მეზობელი აღუთქვამს, რომ არ გასცემს მას. ასეთი დაპირება უეჭველად ღვას მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულთან. ამსრულებელი, რომელიც მერყეობდა, ეშინოდა რა მეზობლის გათქმისა, უფრო გაბედულად მიდის დანაშაულის ჩასადენად, ვინაიდან მოსპობილია დაბრკოლება, რომელიც მას წინ ეღობებოდა. თავისთავად ცხადია, წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს თანა-

<sup>1</sup> პ. ი. გრიშავეი, გ. ა. კრიგერი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

მონაწილეობად (დახმარებად) დანაშაულში, როდესაც დამტკიცებული იქნება, რომ გაუთქმელობის დაპირება ნამდვილად იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენისა, რომ, მამასადამე, ასეთი დაპირების გარეშე ამსრულებელი ამ მომენტში ხელს აიღებდა აღნიშნული კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე. განუცხადებლობის დაპირება, ისევე, როგორც დაფარვის დაპირება, ინტელექტუალურ დახმარებას წარმოადგენს.

ანალოგიურ შეხედულებას იზიარებს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაც. მოლოტოვის საოლქო სასამართლომ მსჯავრი დასდო კამალტინოვს ქონების გატაცების მიზნით მოწყობილ ბანდიტურ თავდასხმაში თანამონაწილეობისათვის. როგორც საქმის მასალებიდან დადასტურდა, კამალტინოვმა იცოდა, რომ მზადდებოდა თავდასხმა მოქალაქე კ.-ს გასაძარცვავად და იგი დაპირდა იმანოვს, რომ არავის არ შეატყობინებდა ამის შესახებ, რსფრს-ის უმაღლესმა სასამართლომ მოლოტოვის საოლქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა<sup>1</sup>.

იბადება კითხვა: თუ წინასწარ აღთქმული განუცხადებლობა თანამონაწილეობად ჩაეთვალით, რა შემთხვევებში უნდა დაისაჯოს იგი: საზოგადოდ ყველა შემთხვევაში, როდესაც ისჯება თანამონაწილეობა, თუ მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც კანონი სპეციალურად ითვალისწინებს განუცხადებლობის დასჯადობას? ამ საკითხს ეხება ვ. გ. სმირნოვი. იგი მიუთითებს: „განუცხადებლობა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ისჯება მხოლოდ განსაზღვრულ დანაშაულებრივ ქმედობებთან კავშირში, ამიტომ ინტელექტუალური დახმარება, რომელიც გამოიხატება დაპირებაში, რომ არ განუცხადებენ სათანადო ორგანოებს გამზადებული დანაშაულის შესახებ, დაისჯება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი შეეხება კანონმდებლობაში სპეციალურად მითითებულ შემთხვევებს. თუ პირი პირდება, რომ გათქვამს ისეთ დანაშაულს, რომლის განუცხადებლობა დასჯადი არ არის, იგი არ იდენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1942, №2, გვ. 42. სსრკ-ის უმაღლესმა სასამართლომ შემდგომ ეს საქმე წარმოებით მოსაო ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

ვ. გ. სმირნოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

ასეთი შეხედულება, ჩვენის აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, თუ წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა თანამონაწილეობას, კერძოდ, დახმარებას წარმოადგენს, მაშინ იგი უნდა დაეკავშირებოდეს კანონის მითითებებს თანამონაწილეობის შესახებ. ხოლო ნორმები თანამონაწილეობის შესახებ არ ითვალისწინებენ დამხმარეთა დასჯადობის რაიმე ფორმალური ნიშნებით შეზღუდვას. მეორე მხრით, თუ წინასწარ შეუპირებელი განუცხადებლობა მეტად მცირე დანაშაულს შეეხებოდა, ან თუნდაც მძიმე დანაშაულს შეეხებოდა, მაგრამ დაპირების მიმცემის როლი საერთო დანაშაულებრივ ქმედებაში აშკარად უმნიშვნელო იყო, და ამიტომ მისი მოქმედება საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა, სასამართლო ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. მე-8 მუხლის მეორე ნაწილი) და არ დააკისროს ასეთი დაპირების მიმცემ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა<sup>1</sup>.

თუ წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა შეიძლება იდგეს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან, იგივე არ შეიძლება ითქვას წინასწარ შეუპირებელ განუცხადებლობაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხიც საბჭოთა ლიტერატურაში ნაწილობრივ სადავოდ ითვლება. როგორც ცნობილია, საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს უკვე ჩადენილი დანაშაულის განუცხადებლობას და ისეთი დანაშაულის განუცხადებლობას, რომელიც მხოლოდ მზადდება. რაც შეეხება უკვე ჩადენილ დანაშაულის განუცხადებლობას, არავის არ ეპარება ეჭვი, რომ იგი არ ღვას მიზეზობრივ კავშირში ძირითად დანაშაულთან. ჩასადენად გამზადებული დანაშაულის განუცხადებლობა კი, ზოგიერთი ავტორის აზრით, მიზეზობრივ კავშირშია ძირითადი დანაშაულის ჩადენასთან. ასეთი შეხედულება აქვს გამოთქმული, მაგალითად, სმირონოვს. იგი თვლის, რომ მზადების პროცესში მყოფი დანაშაულის განუცხადებლობა საბჭოთა კანონმდებლისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ არ არის აღიარებული დანაშაულის ჩადენის თანამონაწილეობად, მაგრამ იგი „თავისი ხასიათის მიხედვით თანამონაწილეობას წარმოადგენს“, ვი-

<sup>1</sup> ა. ა. პიონტოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 600.

ნაიდან დანაშაულის არგანმცხადებლის „უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია სხვა პირთა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგთან“<sup>1</sup>.

გ. გ. სმირნოვის აღნიშნული შეხედულების წინააღმდეგ გაილაშქრა მ. ი. კოვალიოვმა. ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ „განუცხადებლობას ან მიმნებებლობას, რომლის შესახებ ამსრულებელმა არაფერი იცის, არ შეუძლია რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მის ცნობიერებაზე, იგი მოქმედებს თავისი თავის იმედით და თავისი რისკით და არ მოელის ვინმეს დახმარებას. ამიტომ არგამხელა ჩადენილი დანაშაულის შესახებ არ შეიძლება იყოს ამსრულებლის მოქმედებისა და დანაშაულებრივი შედეგის მიზეზი“<sup>2</sup>.

მ. კოვალიოვის მოსაზრებას შემდეგი უნდა დავუმატოთ. არც დანაშაულის განუცხადებლობა და არც დანაშაულის მიმნებებლობა არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის სპეციფიკურობის გამო. უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი დადასტურება, რომ მოქმედების შესრულების შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდებოდა, არამედ საჭიროა აგრეთვე იმის გამორკვევა, იყო თუ არა პირი თავისი წინამორბედი საქმიანობით ჩართული გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში, იყო თუ არა ეს საქმიანობა აუცილებელი რგოლი ამ ურთიერთობათა განვითარებისა. ინდივიდის კონკრეტული მდგომარეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში აკისრებს მას განსაზღვრული ფუნქციების და ამოცანების შესრულებას, რის გამოც სოციალისტური საზოგადოება სრულიად დასაბუთებულად მოელის მისგან, რომ ეს პირი წარმართავს მისთვის დაქვემდებარებულ ძალებს სწორედ ამ ურთიერთობათა დაცვისა და განვითარების მიმართულებით. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების ეს დასაბუთებული ვარაუდი არ მართლდება, როდესაც პირი, გამორიცხავს რა — თავის

<sup>1</sup> იხ. გ. გ. სმირნოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

<sup>2</sup> М. И. Ковалев, К вопросу о понятии соучастия в советском уголовном праве, „Правоведение“, 1959, N 4, стр. 104. იხ. აგრეთვე, М. Блум, Ответственность за укрывательство и недонесение по уголовным кодексам союзных республик, „Ученые записки Латвийского государственного университета“, Рига, 1962, стр. 78-79.



საქმიანობას ამ კანონზომიერებიდან, ათავისუფლებს მანვე შედეგის გამოწვევად აქტიურ ძალებს, მისი უმოქმედობა ხდება საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების აუცილებელ პირობად<sup>1</sup>.

საზოგადოებრივი ფუნქციები, რასაც სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეები ასრულებენ, თავის იურიდიულ გამოხატულებას პოულობენ მართლწესრიგის მიერ მათზე დაკისრებულ სპეციალურ მოვალეობებში. ამიტომ საზოგადოება მოქალაქისაგან დასაბუთებულად სწორედ ისეთი მოქმედების შესრულებას მოელის, რომლის სპეციალური მოვალეობაც ჰქონდა მას დაკისრებული კანონით, ხელშეკრულებით ან სხვა სამართლებრივი საფუძვლით. როგორც მართებულად აღნიშნავს ი. რენებერგი, „ეს მოვალეობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების შესრულება, რასაც შეეძლო აეცდინა ვნება ან საშიშროება, იმ სპეციფიკურ საზოგადოებრივ ამოცანათა და ფუნქციათა წრეს ეკუთვნის, რომლის განხორციელება აუცილებელია მოქალაქისათვის მისი კონკრეტული საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო... დანაშაულის ობიექტთან კონკრეტული კავშირის გამო“<sup>2</sup>. ზემოაღნიშნულის გამო, მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

---

<sup>1</sup> უფრო შორს მიდის გ. კ. მატევევი, რომელიც თვლის, რომ პირის ყოველივე უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში შედგება, თუკი პირს თავისი მოქმედებით შეეძლო აეცდინა დანაშაულებრივი შედეგი. ამ შეხედულების თანახმად, მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან არის არა მარტო სპეციალური მოვალეობის მქონე პირი, არამედ ყოველი მიზნებუელი ან ყოველი არგანმცხადებელი, რომელსაც თავისი მოქმედებით შეეძლოთ აეცდინათ მანვე შედეგი. ასეთი „უბრალო უმოქმედობაც“ – მატევევის გამოთქმა რომ ვიხმაროთ – კაუზალური ძალის მქონეა (იხ. Г. К. Матвеев, „Теоретические вопросы причинности бездействия, Сов.гос. и право“, 1962, №10, стр. 64-65).

ჩვენის აზრით, გ. კ. მატევევი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ უმოქმედობის მიზეზობრივი ძალა მხოლოდ საზოგადოებრივ კანონზომიერებას, ეყარება. უმოქმედობა, რომელიც სოციალური ცხოვრების ობიექტური ფაქტია, მხოლოდ იმიტომ იღებს კაუზალურ ძალას, რომ პირი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო გარკვეულ დამოკიდებულებაშია განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან. მხოლოდ ეს გარემოება ააქტივებს პირის პასიურ ქცევას უმოქმედობის დროს, ანიჭებს მას ქველით ძალას და უფლებას გვაძლევს განვიხილოთ უმოქმედობა, როგორც დამდგარი მანვე შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

<sup>2</sup> Y. Renneberg, Die objective Seite des Verbrechens, Berlin, 1955, S. 31.

იმ მოქმედების შესრულება, რომელსაც შეეძლო აეცდინა შედეგის განხორციელება, სუბიექტის სპეციალურ იურიდიულ მოვალეობას წარმოადგენდა. აღნიშნულ შეხედულებას მრავალი მომხრე ჰყავს. ასე, მაგალითად, პროფ. ა. ა. პიონტკოვსკის აზრით, „დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის შემთხვევაში თვით პირის დანაშაულებრივი ქცევა მის მიერ სპეციალური მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება. მხოლოდ აქტიური მოქმედების შესრულების ასეთი მოვალეობის არსებობის დროს შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულებრივ უმოქმედობაზე და, კერძოდ, უმოქმედობის მეშვეობით მატერიალური დანაშაულის ჩადენაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის უმოქმედობასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის“<sup>1</sup>. ამავე აზრის არის ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი ვ. სოლნარი<sup>2</sup>.

აქედან თანამიმდევრულად გამომდინარეობს, რომ დანაშაულის განუცხადებლობა ან დანაშაულის მიმნებებლობა თავისდათვად არ შეიძლება განხილულ იქნენ, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში, ვინაიდან ასეთი უმოქმედობა არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში შედეგთან. რა დიდ საშიშროებასაც არ უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური სახელმწიფოსათვის ისეთი დანაშაულის განუცხადებლობა, რომელიც მზადდება ჩასადენად, ან დანაშაულის ჩადენისათვის ხელის არშეშლა, ასეთი მოქმედებანი არ შეიძლება გაეუთანაბროთ დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევას. ზიანის განხორციელება არ არის დაკავშირებული სუბიექტის ნებელობით მოქმედებასთან, ზიანი წარმოიშევა მისი საქმიანობის სფეროს გარეშე. პირი, რომელიც არ აცხადებს, რომ მზადდება დანაშაული, ან ხელს არ უშლის დანაშაულის ჩადენას, თუმცა შეეძლო ეს გაეკეთებინა, არ იყო წინასწარ ისეთ დამოკიდებულებაში საფრთხეში მყოფ ობიექტებთან, რომ თავისი უმოქმედობით შეძლებოდა ზეგავლენა მოეხდინა მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობაზე. თავისი უმოქმედობით ასეთი პირი არ ქმნის საშიშ მდგომარეობას და არ ათავისუფლებს ბუნებრივ, ფიზიკურ

<sup>1</sup> ა. ა. პიონტკოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 228.

<sup>2</sup> В. Сольнарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики, М., 1962, стр. 175.

და სხვ. ძალებს, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებას. მისი საქციელი არ სპობს ვნების განხორციელებისათვის ხელშემშლელ პირობას, რასაც ადგილი ექნებოდა, ის რომ ყოფილიყო გარანტი განსაზღვრული შედეგის განუხორციელებლობისა. საშიშროება ჩნდება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს გარეშე, რომლებშიც თავისი მდგომარეობით ჩართულია პირი. დანაშაულის არგანმცხადებელი ან მიმნებებელი მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ ეძლევა შესაძლებლობა ხელი შეუშალოს დანაშაულებრივ ქმედობას.

სხვაგვარად არის საქმე, როდესაც უმოქმედობას იჩენს ისეთი პირი, ვისაც გარკვეული მდგომარეობა უჭირავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამა თუ იმ სფეროში, და ვისაც, ამის გამო, სპეციალური მოვალეობა ეკისრება ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას ან დახმარება აღმოუჩინოს საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს. მილიციონერი, რომელსაც დაკისრებული აქვს ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების დაცვისა ან ის პირი, ვისაც სპეციალურად აქვს დავალებული სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა, თუ განზრახ, დამნაშავესთან შეთანხმებით ხელს არ შეუშლის ბოროტმოქმედს სახელმწიფო ქონების გატაცებაში, თუმცა ამისი სრული შესაძლებლობა ჰქონდა, პასუხს აგებს, როგორც თანამონაწილე ქონების გატაცებაში და არა როგორც არგანმცხადებელი.<sup>1</sup> ამ შეხედულებას თანამიმდევრულად იზიარებს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა.

ს. დამნაშავედ იყო ცნობილი იმაში, რომ როდესაც იგი გუშაგად იდგა და მარილს დარაჯობდა, ნება დართო ბოროტმოქმედთ ა.-სა და ბ.-ს, გაეტაცებიათ მარილი. სსრკ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის 1948 წლის 19 ნოემბრის დადგენილებაში მიუთითა, რომ ს. არ შეიძლება ჩაითვალოს სხვების მიერ სახელმწიფო ქონების გატაცების არგანმცხადებლად (ასეთ შემთხვევაში ს.-ს საერთოდ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, ვინაიდან ა.-სა და ბ.-ს მიერ მარილის გატაცება არ წარმოადგენდა დამამძიმებელ

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე დაწერილებით იხ. Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, Тб., 1957, стр. 186-205.

გარემოებებში ჩადენილ ქმედობას, რომლის განუცხადებლობაც ისჯებოდა 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით). დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ თავისი ქცევით ს.-მ თავიდან ააცილა ამსრულებელთ დანაშაულის ჩადენის დაბრკოლება, რომელიც დახმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, და ამიტომ მან პასუხი უნდა აგოს, როგორც თანამონაწილემ სახელმწიფო ქონების გატაცებაში<sup>1</sup>.

## §2. დანაშაულის განუცხადებლობის ადგილი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემაში

ის გარემოება, რომ დანაშაულის განუცხადებლობა არ არის მიზეზობრივ კავშირში მთავარი დანაშაულის ჩადენასთან, არამედ წარმოადგენს განსაკუთრებულ დანაშაულს, რომელიც ისჯება, როგორც დელიქტი sui generis, განსაზღვრავს იმას, რომ დანაშაულის განუცხადებლობა არ არის დაკავშირებული იმ დანაშაულის დელიქტთან, რომელსაც პირი არ აცხადებს. ამ საკითხშიც ვ. გ. სმირნოვი განსაკუთრებულ შეხედულებას იზიარებს. მისი აზრით, ნორმები დანაშაულის განუცხადებლობის შესახებ გაბნეული უნდა იყოს იმავე თავებში, სადაც მოთავსებული არიან ის დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა შესახებაც პირი არ განაცხადებს სათანადო ორგანოებში. ვ. გ. სმირნოვი იმ დებულებას ემყარება, რომ განუცხადებლობისთვისაც (ისე როგორც დაფარვისათვისაც) განმსაზღვრელი ობიექტი იმ დანაშაულის ობიექტი უნდა იყოს, რომლის თაობაზეც პირმა თავის დროზე არ აცნობა ხელისუფლების ორგანოებს<sup>2</sup>.

ვ. გ. სმირნოვის შეხედულება უკვე გაკრიტიკებული იყო ჩვენს მიერ თავში დანაშაულის დაფარვის შესახებ. იგივე, რაც ითქვა დანაშაულის დაფარვის შესახებ, უნდა ითქვას დანაშაულის განუცხადებლობაზე. დანაშაულის განუცხადებლობა მიმართულია მართლმსაჯულების შეუფერხებლად აღსრულების წინააღმდეგ, პირი, რომელიც არ აცნობებს სათანადო ორგანოებს, რომ ჩადენილია ან მზადდება დანაშაული, აფერხებს დანაშაულის გახსნას და დამნაშავის გამოვლინებას

<sup>1</sup> იხ. „Практика Верховного Суда СССР“, 1948 №. , стр.

<sup>2</sup> ვ. გ. სმირნოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 26-27.

და ამით „ხელყოფს მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების სწორ საქმიანობას, რომელიც მიმართულია დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისა და აგრეთვე მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად“<sup>1</sup>.

აქედან გასაგებია, რომ დანაშაულის განუცხადებლობის ადგილი წართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია. ასეც იქცევიან მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც სწორედ აქ ითვალისწინებენ დანაშაულის განუცხადებლობას. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო დანაშაულთა განუცხადებლობა, რომელიც გათვალისწინებულია თავში სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ამგვარად ითვალისწინებს დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობას ორ მუხლში:

90-ე მუხლის თანახმად ისჯება განუცხადებლობა სამშობლოს ღალატისა (მუხ. 65-ე), ჯაშუშობისა (მუხ. 66-ე), ტერორისტული აქტისა (მუხ. მუხ. 67-ე და 68-ე), დივერსიისა (69-ე), მანებლობისა (70), ორგანიზაციული საქმიანობისა, რაც მიმართულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად (მუხ. 73-ე), ბანდიტიზმისა (მუხ. 88-ე) და ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღებისა (მუხ. 88-ე).

206-ე მუხლის თანახმად ისჯება განუცხადებლობა სახელმწიფო ან საზოგადო ქონების მოპარვისა დიდი რაოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ (მუხ. 91-ე, ნაწ. მე-3), იმავე ქონების გატაცებისა და გაძარცვის გზით, თუ იგი ჩადენილია დიდი რაოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ (მუხ. 92-ე, ნაწ. მე-3), იმავე ქონების თაღლითური გზით გატაცებისა დიდი რაოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ (მუხ. 93-ე, ნაწ. მე-3), იმავე ქონების გაფლანგვის, მითვისების ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გატაცებისა, თუ იგი ჩადენილია დიდი რაოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ (მუხ. 94-ე, ნაწ. მე-3), ყაჩაღობისა (მუხ. მუხ. 96-ე და 152-ე), განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სახელმწიფო ან საზოგადო ქონებ-

<sup>1</sup> მ. ბლუმი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ის გატაცებისა (მუხ. 96<sup>1</sup>-ე), განზრახი მკვლელობისა (მუხ. 105-ე), დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისა (მუხ. 104-ე), სამხედრო უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწვევისა ან მისი იძულებისა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისათვის, თუ იგი დაკავშირებული იყო უფროსის ან სამხედრო სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი სხვა პირის განზრახ მკვლელობასთან (მუხ. 258-ე, პ. „გ“).

დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები აგრეთვე ითვალისწინებენ აღნიშნულ დანაშაულთა განუცხადებლობას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ამ დანაშაულთა რიცხვს ერთგვარად აფართოებს.

მაგალითად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დამატებით შემდეგ დანაშაულთა განუცხადებლობის დასჯადობას: დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი გაუპატიურებისა (მუხ. 117-ე, ნაწ. მეორე და მესამე), დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი პირადი საკუთრების მოპარვის (მუხ. 144-ე, ნაწ. მესამე), გაძარცვისა (მუხ. 145-ე ნაწ. მესამე) ან თაღლითობისა (მუხ. 147-ე ნაწ. მესამე), დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისა, მექრთამეობაში შუამავლობისა ან ქრთამის მიცემისა (მუხ. 173-ე, ნაწ. მეორე, მუხ. 174-ე, ნაწ. მეორე, მუხ. 175-ე ნაწ. მეორე), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისა (მუხ. 191<sup>2</sup>-ე). ამავე დანაშაულთა განუცხადებლობას სჯის აზერბაიჯანის სისხლის სამ. კოდექსი (მუხ. 186-ე).

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხ. ითვალისწინებს ყველა იმ დანაშაულის განუცხადებლობას, რასაც ითვალისწინებს რსფსრ-ის კოდექსი, და დამატებით: სხეულის განზრახი მძიმე დაზიანებისა (მუხ. 101-ე) და დამამძიმებელ გარემოებებში იარაღის და აფეთქებადი ნივთიერების გატაცებისა.

ბელორუსიის სისხლის სამართლის კოდექსი სჯის იმავე დანაშაულთა განუცხადებლობას, რასაც რსფსრ-ის კოდექსი, გარდა მექრთამეობაში შუამავლობის და ქრთამის მიცემის განუცხადებლობისა.

მოლდავეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები საქართველოს სსრ კოდექსში ჩამოთვ-

ლილ დანაშაულთა სიას უმატებენ პირადი საკუთრების ქურდობას და გაძარცვას დამამძიმებელ გარემოებებში და კვალიფიციურ გაუპატიურებას; ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – იარადისა და აფეთქებადი ნივთიერების გატაცებას დამამძიმებელ გარემოებებში; ყირგიზეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – პირადი საკუთრების მოპარვას და გაძარცვას დამამძიმებელ გარემოებებში; ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქრთამის აღებას და ამავე გარემოებებში ჩადენილ გაუპატიურებას; ლიტვის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – კვალიფიციურ გარემოებებში ჩადენილ პირადი ქონების გაძარცვას, ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – კვალიფიციურ გარემოებებში ჩადენილ გაუპატიურებას.

ყველაზე ვიწროა განუცხადებლობის შემადგენლობა უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის 170-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ განზრახი მკვლელობის, ყაჩაღობისა და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სოციალისტური ქონების გატაცების განუცხადებლობის დასჯადობას.

როგორც ამ ჩამოთვლიდან ჩანს, მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ დანაშაულთა წრით, რომელთა განუცხადებლობაც დასჯადია.

საბჭოთა ლიტერატურაში გამოთქმული იყო შეხედულება, რომ განუცხადებლობის დასჯადობის მეტისმეტად გაფართოება არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად. ასე, მაგალითად, პ. მიშუნინი აღნიშნავდა: „ბრძოლა არგანმცხადებლებთან უნდა ვაწარმოოთ არა სისხლის სამართლის რეპრესიის გაძლიერებისა და ახალი შემადგენლობების შექმნის მეშვეობით, არამედ მოსახლეობაში საორგანიზაციო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მეშვეობით. იმ პირთა გარშემო, ვინც დროულად არ აცნობა ხელისუფლების ორგანოებს, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, უფრო ეფექტური და ძლიერი საშუალებაა შეურიგებლობის, საზოგადოებრივი აღშფოთებისა და ზიზღის ატმოსფეროს შექმნა, ვიდრე განუცხადებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაფართოება და გაძლიერება. საზოგადოებრივი ზემოქმედება და კოლექტივის ძალა განუცხადებლობასთან

ბრძოლაში გაცილებით აღემატება სისხლისსამართლებრივი რეპრესიის ღონისძიებებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნენ მხოლოდ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა ჩამდენი პირების წინააღმდეგ, ე.ი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს ჩვენი სისხლის სამართლის კანონი, დაფუძნებული სოციალისტურ მართლშეგნებაზე<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას იზიარებს მ. ბლუმი, რომელიც თვლის რომ „განუცხადებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის დროს სათვალავში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ამა თუ იმ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, არამედ ისიც, თუ რამდენად ძნელია განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულთა გახსნა. ამ მოსაზრების გამო საჭიროდ არ უნდა ჩაითვალოს სხეულის მძიმე დაზიანების განუცხადებლობა, ვინაიდან ამ დანაშაულს ჩვეულებრივად აშკარად იდენენ ხოლმე და მისი გახსნა განსაკუთრებულ სიმძნელეს არ წარმოადგენს“<sup>2</sup>.

აღნიშნული შეხედულება, ჩვენის აზრით, მართებულად უნდა ჩაითვალოს. დღევანდელ პირობებში, როდესაც ფართო საზოგადოებრიობაა ჩაბმული დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ იმ პირებს, რომლებიც ხელს აფარებენ დამნაშავეებს, აქტიურად არ ეხმარებიან მართლმსაჯულების ორგანოებს დანაშაულის გახსნაში, ვებრძოლოთ, როგორც წესი, არა სისხლისსამართლებრივი სასჯელის, არამედ საზოგადოებრივი ღონისძიებების მეშვეობით. ამიტომ იმ დანაშაულთა წრე, რომელთა განუცხადებლობისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე და 206-ე მუხლებით სასჯელია გათვალისწინებული, საკმარისად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, 206-ე მუხლს ახასიათებს ერთი ხარვეზი, რომელიც შევსებულ უნდა იქნეს. ეს მუხლი ითვალისწინებს განზრახი მკვლელობის განუცხადებლობის დასჯადობას. ამავე დროს მასში გათვალისწინებული არ არის მილიციის მუშაკისა და სახალხო რაზმელის განზრახი მკვლელობის (მუხ. 209<sup>1</sup>-ე) განუცხადებლობის დასჯადობა. თუ შევადარებთ ამ მუხლით გათვალ-

<sup>1</sup> П. Пинцунин, Институт прикосновенности к преступлению в советском уголовном праве, „Социалистическая законность“, 1956, №11, стр. 14.

<sup>2</sup> მ. ბლუმი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.



ისწინებულ სანქციას (თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში – სიკვდილით დასჯა) და იმ სასჯელს, რომელიც გათვალისწინებულია დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი განზრახვი მკვლელობისათვის (თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან თორმეტ წლამდე გადასახლებით ხუთ წლამდე ან უამისოდ), დავინახავთ, რომ პირველი სახის მკვლელობას კანონმდებელი უფრო მძიმედ თვლის და მისთვის უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს.

ამიტომ უმართებულოა, რომ ორი ერთგვაროვანი დანაშაულიდან უფრო მსუბუქი დანაშაულის განუცხადებლობა ისჯებოდეს, ხოლო უფრო მძიმესი – არა.

#### §4. დანაშაულის განუცხადებლობის შემადგენლობა

დანაშაულის განუცხადებლობა, ისევე როგორც დანაშაულის დაფარვა, დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედობას წარმოადგენს. დანაშაულის განუცხადებლობისათვის პასუხი შეიძლება აგოს მხოლოდ იმ პირმა, ვინც არ არის დანაშაულში თანამონაწილე ან დანაშაულის დამფარავი. ის პირი, ვინც მონაწილეობას იღებდა დანაშაულის ჩადენაში ან ვინც დაჰფარა დანაშაული ან დამნაშავე, შესაბამისად პასუხს აგებენ მხოლოდ ძირითადი დანაშაულის ჩადენისათვის ან დაფარვისათვის, რადგანაც სასამართლო პრაქტიკაში აღვილი ჰქონდა შეცდომებს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წლის 31 ივლისის №11 დადგენილებაში „დანაშაულთა წინასწარ შეუპირებული დაფარვისა და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენისა და გასაღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ განმარტა: „განუცხადებლობა იმ პირის მიერ, რომელიც დანაშაულის თანამონაწილე იყო ან რომელიც დამნაშავეა დანაშაულის წინასწარ შეუპირებელ დაფარვაში, ან მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით განუცხადებლობის შესახებ, ვინაიდან განუცხადებლობა ასეთ შემთხვევაში ნაწილია უფრო მძიმე დანაშაულისა და მოცულია იმ მუხლებით,

რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას აღნიშნულ დანაშაულ-  
თათვის“<sup>1</sup>.

განუცხადებლობა უმოქმედობაში გამოიხატება. პირი არ ასრულებს  
სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ მასზე დაკისრებულ მოვ-  
ალეობას და არ ატყობინებს სათანადო ორგანოს, რომ მზადდება ან  
ჩადენილია დანაშაული.

ამგვარად განუცხადებლობის შემადგენლობა შეიძლება ორ ნაწი-  
ლად გავყოთ: 1) განუცხადებლობა, რომ მზადდება დანაშაული, ე.ი.  
დაუმთავრებელი დანაშაულის განუცხადებლობა და 2) განუცხადე-  
ბლობა, რომ ჩადენილია დანაშაული, ე.ი. დამთავრებული დანაშაულის  
განუცხადებლობა<sup>2</sup>. პირველი სახის განუცხადებლობისათვის დამახას-  
იათებელია ის, რომ დანაშაულებრივი შეუსრულებლობა მოვალეობისა  
ხდება იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაული იქნებოდა ჩადენილი და  
ვიდრე, მაშასადამე, არსებობდა შესაძლებლობა დანაშაულის თავიდან  
აციდნისა, ხოლო მეორე სახის განუცხადებლობის დროს პირის განცხ-  
ადებას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია ააციდნოს დანაშაულის ჩადენა,  
ვინაიდან იგი უკვე დამთავრებულია. მაგრამ ორივე შემთხვევაში გა-  
ნუცხადებლობის ობიექტური მხარე უმოქმედობაში გამოიხატება. ამ  
ნიშნით დანაშაულის განუცხადებლობა განსხვავდება მისი დაფარვის-  
აგან. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა ურყევად ატარებს ამ შეხედ-

---

<sup>1</sup> „Юстиция Верховного Суда СССР“, 1962, №5, стр. 19.

<sup>2</sup> ეს გარეშობა არ ნიშნავს იმას, რომ განუცხადებლობა შენადგენ დანაშაულს  
წარმოადგენს, როგორც ამას ვ. გ. სმირნოვი ფიქრობს (იხ. ვ. გ. სმირნოვი, დასახ. ნაშრ.  
გვ. 88). „შენადგენი დანაშაული“ — როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ა. ა.  
პიონტოვსკი, — რამდენიმე სხვადასხვაგვაროვანი მოქმედებისაგან შემდგარი დანა-  
შაულია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ცალ-ცალკე აღებული, დამოუკიდებელი  
დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს, მაგრამ რომლებიც, მათთვის თანაბარი შინაგანი  
ერთიანობის გამო განიხილება როგორც ერთ-ერთი დანაშაული“ (А. А. ПИОНТОВСКИЙ,  
Учение о преступлении, М., 1961, стр. 646). ასეთი შენადგენი დანაშაულია, მა-  
გალითად ყაჩაღობა, რომელიც მოიცავს ორი დანაშაულის შემადგენლობას (ქონების  
გატაცებას და პიროვნების ძალადობას). განუცხადებლობის დანაშაული შენადგენი  
დანაშაული კი არ არის, არამედ ალტერნატიული შემადგენლობა, ე.ი. როგორც დაუმთავრე-  
ბელი დანაშაულის განუცხადებლობა, ისე დამთავრებული დანაშაულის განუცხადე-  
ბლობა, ცალ-ცალკე აღებული, დაკვალიფიცირდება იმ მუხლით, რომელიც განუცხადე-  
ბლობას ითვალისწინებს.

ულებას. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს 1925 წლის №2 საინსტრუქციო წერილში მითითებული იყო: დამფარავმა რაიმე უნდა გააკეთოს, რათა დაფაროს დამნაშავე ან დანაშაულის კვალი სახელმწიფოებრივი ორგანოებისაგან... ხოლო განუცხადებლობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვინემ იცის რაიმე დანაშაულის შესახებ და არ აცნობებს მის შესახებ სათანადო სახელმწიფოებრივ ორგანოებს. სხვა სიტყვებით: დაფარვა გულისხმობს განსახდევრულ აქტიურობას დამფარავის მხრივ ჩადენილი დანაშაულის მიმართ; ხოლო განუცხადებლობას ახსნათებს პირის პასიური დამოკიდებულება დანაშაულთან<sup>1</sup>.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლო ხშირად ასწორებს ხოლმე შეცდომებს, რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლოები უშვებენ აღნიშნულ საკითხში. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1951 წლის 1 დეკემბრის დადგენილებაში ტ.-ს საქმეებზე მიუთითა, რომ „იმ პირის მოქმედება, რომელმაც დამნაშავისაგან შეიტყო, რომ დამნაშავეს, მისი თანხმობისა და გაფრთხილების გარეშე, მისთვის კუთვნილ სივის ძნაში დაუმაღავს გატაცებული საგნები, არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც თანამონაწილეობა გატაცებაში, ვინაიდან მას არაერთარი აქტიური მოქმედება არ შეუსრულებია გატაცებული ქონების დასაფარავად, არამედ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც განუცხადებლობა, ვინაიდან მან არ შეატყობინა ხელისუფლების ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ“<sup>2</sup>.

დებულება, რომ განუცხადებლობის არსი უმოქმედობაში გამოიხატება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს — თუ არგანმცხადებელმა განუცხადებლობაში გასამრჯელო აიღო, ე.ი. რაღაც დამატებითი აქტიური მოქმედება შესრულა, იგი მაშინვე გადაიქცევა დანაშაულის დამფარავად ან დანაშაულში თანამონაწილედ. ასეთი შეხედულება საბჭოთა ლიტერატურაში გამოთქვა გ. ნ. ალექსანდროვმა. „ჩვენის აზრით, — წერს იგი, — საზოგადოდ იმ შემთხვევებში, როცა პირი, რომელმაც არ აცნობა ხელისუფლების ორგანოებს

---

<sup>1</sup> „Сборник постановлений и определений коллегий Верховного Суда СССР“, 1940, стр. 142.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1951 г., №2, стр. 28.

დანაშაულის შესახებ, ამისთვის გასამრჯელოს მიიღებს, იგი მიცემული უნდა იქნეს პასუხისგებაში არა განუცხადებლობისათვის, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. ეს დებულება იმითი უნდა დასაბუთდეს, რომ, როდესაც არგანმცხადებელი დამნაშავისაგან გასამრჯელოს მიიღებს, იგი პასიური მდგომარეობიდან, რომელშიც აქამდე იმყოფებოდა, გადადის აქტიურ მოქმედებებზე, რაც გამოიხატება დანაშაულთან უშუალო ურთიერთობაში, მასთან შეთანხმებაში და, ბოლოს, მისგან გასამრჯელოს მიღებაში. თუ ჩვენ თანამიმდევრულად გავატარებთ ერთადერთ სწორ შეხედულებას, რომელიც გამოყოფს განუცხადებლობას თანამონაწილეობისაგან იმით, რომ იგი პასიურ ქცევაში გამოიხატება, წინააღმდეგ დანაშაულში თანამონაწილის აქტიური მოქმედებისა, — იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ პირი, რომელიც განუცხადებლობისათვის დამნაშავისაგან გასამრჯელოს მიიღებს, ე.ი. ამგვარად განსაზღვრულ აქტიურ მოქმედებას ჩაიდენს, ამ მომენტიდან დანაშაულის თანამონაწილე ხდება<sup>1</sup>.

ეს შეხედულება არ შეიძლება იქნეს გაზიარებული. ჯერ ერთი, განუცხადებლობა თანამონაწილეობისაგან იმით კი არ განსხვავდება, რომ პირველი პასიურ ქცევაში გამოიხატება, ხოლო მეორე აქტიურში, არამედ იმით, რომ პირველი არ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, ხოლო მეორე კი — არის. აღსანიშნავია, რომ თანამონაწილეობა შეიძლება უმოქმედობითაც, თუ ასეთი უმოქმედობა ხელს უწყობს ერთობლივი დანაშაულის ჩადენას, და პირს, ვინც უმოქმედობას იჩენს, სურს ამით დაეხმაროს ამსრულებელს დანაშაულებრივი შედეგის მიღწევაში. მეორე, გასამრჯელოს მიღება არ გადააქცევს განუცხადებლობას უმოქმედობიდან მოქმედებად. გასამრჯელოს მიღება მხოლოდ მიუთითებს დანაშაულის ჩადენის ანგარებით მოტივზე, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სასჯელის ზომის არჩევაზე, მაგრამ არ შეიძლება შეცვალოს დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაცია<sup>2</sup>.

როგორი ცნობების შეუტყობინებლობა ჩაითვლება განუცხადებლობად საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით? სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე და 206-ე მუხლები გულისხმობენ, რომ პირმა,

<sup>1</sup> Г. И. Александров, Ответственность за неопосредованное по указам Президиума Верховного Совета СССР от 4 июня 1944 г., М., 1951, стр. 28.  
იხ. ბ. ფურცხვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71-72.

რომელმაც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაუ-  
ლი, უნდა აცნობოს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს ყველა ის  
ფაქტი, რაც მისთვის ცნობილია ამ დანაშაულის შესახებ, სახელდო-  
ბრ ყველაფერი, რაც მან იცის დანაშაულის ობიექტზე, მის სუბ-  
იექტზე, ხელყოფის ხასიათზე და სხვ. გარემოებებზე, რომლებიც  
დანაშაულის შემადგენლობას ეკუთვნის. თუ საქმე შეეხება ისეთ  
დანაშაულს, რომელიც მომავალში უნდა იქნეს ჩადენილი, — საჭიროა  
შეატყობინოს დანაშაულის ჩადენი დრო, ადგილი და სხვ. მისთ., თუკი  
ეს გარემოებანი მისთვის ცნობილია. პირი არ განთავისუფლდება პა-  
სუხისმგებლობისაგან განუცხადებლობისათვის, თუ მან აცნობა ხე-  
ლისუფლების ორგანოებს დანაშაულის ფაქტის შესახებ, მაგრამ დაუ-  
მალა ბოროტმოქმედთა ვინაობა. ასეთი ნაწილობრივი შეტყობინება  
შეიძლება გახდეს საფუძველი მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებისა და  
არა სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლებისა. სასამართლო პრაქ-  
ტიკაში მოყვანილია ასეთი შემთხვევა: სიდორენკო, როდესაც იგი  
ქალაქის კინოთეატრიდან დაბაში ბრუნდებოდა, შემთხვევით მოწმე  
გახდა კ.-სა და ლ.-ს ყაჩაღური თავდასხმისა ფ.-ზე. დამნაშავეები  
დაემუქრნენ ს.-ს, რომ გამხელის შემთხვევაში გაუსწორდებოდნენ, და  
მიიმალნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ შემთხვევის ადგილას გამოცხად-  
ნენ მილიციის მუშაკები. სიდორენკომ თავისი ინიციატივით უამბო მათ,  
თუ რა მოხდა, მაგრამ დაუმალა ბოროტმოქმედთა ვინაობა. სახალხო  
სასამართლომ მსჯავრი დასდო სიდორენკოს დანაშაულის განუცხადე-  
ბლობისათვის (სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 4 ივნისის  
ბრძანებულებით (მუხ.3), „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის  
გაძლიერების შესახებ“<sup>1</sup>.

ზოგიერთი კრიმინალისტი კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკი-  
ცებს, რომ განუცხადებლობისათვის უნდა დაისჯოს ის პირიც, ვინც  
არ შეატყობინებს სათანადო ორგანოებს აგრეთვე ისეთი გარემოებების  
შესახებ, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობას არ ეკუთვნის.

მაგალითად, მ. იაკუბოვიჩს და დ. მარიუპოლსკის მოჰყავთ ასეთი  
მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: პროკურატურის ორგანოები  
ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეძებდნენ პირს, რომელმაც მონაწი-

<sup>1</sup> მოყვანილია ვ. გ. სპირნოვით, დასახ. ნაშრ., გვ. 89-90.

ილგობა მიიღო სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენობით გატაცებაში. მამამისმა იცოდა შვილის ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ არ შეატყობინა ეს ფაქტი პროკურატურის ორგანოებს. ასეთი პირი, მ. იაკუბოვიჩისა და ლ. მარიუპოლსკის აზრით, უნდა დაისაჯოს დანაშაულის განუცხადებლობისათვის<sup>1</sup>.

ეს შეხედულება არამართებულად აფართოებს კანონის აზრს, რომელიც ლაპარაკობს დანაშაულის განუცხადებლობაზე, მაშასადამე გულისხმობს ისეთი ფაქტების განუცხადებლობას, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობას შეეხებიან. ამ შემთხვევაში კი ხელისუფლების ორგანოებისათვის ცნობილია როგორც თვით დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ისე ამ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების ვინაობა. ხოლო დამნაშავეს ადგილსამყოფელი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს გარემოებას, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში შედის. ერთადერთი, რისთვისაც ბრალდებულის მამა შეიძლება მიცემული ყოფილიყო პასუხისგებაში, ეს ცრუ ჩვენებისათვის, თუკი მან ასეთი ჩვენება მისცა სათანადო ორგანოებს<sup>2</sup>.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები არაფერს არ ამბობენ იმის თაობაზე, თუ ვის უნდა აცნობოს მოქალაქემ დანაშაულის შესახებ, რომ განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის განუცხადებლობისათვის. პირიქით, უზბეკეთის სსრ სისხლ.სამ. კოდ. (მუხ. 170-ე), აზერბაიჯანის სსრ სისხლ. სამ. კოდ. (მუხ. 186-ე), მოლდავეთის სსრ სისხლ. სამ. კოდ. (მუხ. მე-2...3) ლაპარაკობენ განუცხადებლობაზე ხელისუფლების სათანადო ორგანოებისათვის, ხოლო ლიტვის სსრ სისხლ. სამ. კოდ. (მუხ. 197-ე) — განუცხადებლობაზე ხელისუფლების ორგანოებისათვის.

იმ ორგანოდ, ვისაც უნდა აცნობოს პირმა, რომ მზადდება ან

---

<sup>1</sup> М. Якубович. Л. Мариупольский, Ответственность недопосителей по Указам Президиума Верховного Совета СССР от 4 июня 1947 г., „Социалистическая законность“, 1951, №5, стр. 40-41. ანალოგიურ შეხედულებას იზიარებს ვ. გ. სმირნოვი.

<sup>2</sup> სწორი პოზიცია ამ საკითხში უჭირავს მ. ა. შნიდერს, იხ. მისი: Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, გვ. 90, შენიშვნა 1.

ჩადენილია დანაშაული, იგულისხმება, პირველად ყოვლისა ხელისუფლების ორგანოები ვიწრო მნიშვნელობით, ე.ი. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, პროკურატურა, მილიცია, სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვ. მისთ. მათთან გათანაბრებული უნდა იქნენ აგრეთვე ის საზოგადოებრივი ორგანოებიც, რომელნიც დანაშაულის წინასწარ აცდენის და დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანებს საზოგადოებრივი დატვირთვის სახით ასრულებენ – სახალხო რაზმელები და სხვ. მისთ... საბჭოთა ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ ეს სია მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს და იმ პირთა წრეს, ვისაც შეიძლება აცნობოს პირმა დანაშაულის შესახებ, შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებათა უფროსები, კოლმეურნობათა თავმჯდომარეები, საწარმოთა დირექტორები და სხვ. პირები და ორგანოები, რომლებიც განმკარგულებელ-სამეურნეო ფუნქციებს ასრულებენ. ერთის სიტყვით ეს უნდა იყვნენ ისეთი ორგანოები ან პირები, „რომლებისთვისაც შეტყობინება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დანაშაული ცნობილი გახდება ხელისუფლების ორგანოებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი და აღძრან სისხლისსამართლებრივი დევნა“<sup>2</sup>.

ამ შეხედულებას თანამიმდევრულად ადგია საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა. ასე, მაგალითად, უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის ერთ-ერთ განჩინებაში მითითებული იყო, რომ „ნავჭურჭლის კომანდის ერთ-ერთი წევრის მიერ ვახტის უფროსისათვის იმის შეტყობინება, რომ კომანდის მეორე წევრმა გემის ქონება გაიტაცა, გამორიცხავს კომანდის პირველი წევრის პასუხისმგებლობას განუცხადებლობისათვის“<sup>3</sup>.

საბჭოთა ლიტერატურაში მითითებული იყო, რომ ზოგჯერ დანაშაულის შესახებ შეტყობინება არა იმ ორგანოსათვის, ვისაც ევალება დანაშაულთან ბრძოლა, არამედ იმ ორგანოსათვის, ვისაც უშუალოდ მინდობილი აქვს მატერიალური ფასეულობანი, შეიძლება უფრო ეფექ-

<sup>1</sup> იხ. ვ. გ. სმირნოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 91-93; პ. ი. გრიშაევი, გ. ა. კრივერი, დასახ. ნაშრ., გვ. 225-226; გ. ნ. ალექსანდროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 23-24; ბ. ფურცხვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28-30 და სხვ.

<sup>2</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 602.

<sup>3</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“ 1949, №3, стр. 26.

ტური აღმოჩნდეს დანაშაულის აცდენისათვის. თავისთავად ცხადია, ის თანამდებობის პირი, რომელსაც განუცხადებენ დანაშაულის შესახებ, ასეთ შემთხვევაში არა მარტო ვალდებულია მიიღოს ზომები დანაშაულის ასაცდენად, არამედ აგრეთვე თავისი მხრით აცნობოს დანაშაულის ფაქტი სათანადო ორგანოებს, რომელნიც უფლებამოსილი არიან აღძრას სისხლის სამართლის საქმე<sup>1</sup>.

სუბიექტური მხრით დანაშაულის განუცხადებლობა განზრახ ბრალს გულისხმობს. პირმა იცის, რომ მზადდება ჩასადენად ან ჩადენილია დანაშაული და, მიუხედავად ამისა, განზრახ არ აცნობებს სათანადო პირებს მისთვის ცნობილი ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ან მისი მზადების შესახებ. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის განუცხადებლობის სუბიექტური მხარე გამოხატულია ჩვეულებრივად სიტყვებით: „დანამდვილებით იცოდა“. ამ სიტყვებით იყო დახასიათებული, მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობის სუბიექტური მხარე სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს 1947 წლის 4 ივნისის დადგენილებებში სოციალისტური და პირადი ქონების გატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 21-ე მუხლი განუცხადებლობის შესახებ მიუთითებს — „დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული“. განსაკუთრებული ნაწილის 30-ე მუხლში ეს ნიშანი — „ნამდვილად“ — გამოტოვებულია. აქ უბრალოდ წერია — „ვინც იცის“. 206-ე მუხლში, პირიქით, ეს ნიშანი შეტანილია დანაშაულის შემადგენლობაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ 206-ე მუხლის ქართული რედაქცია, რუსულ რედაქციასთან შედარებით, ნაკლებად ზუსტია. სახელდობრ, რუსული რედაქცია ასეთია: „Недопущение о достоверно известном готовящемся или совершаемом преступлении, ხოლო ქართულში — „განუცხადებლობა იმისა, რომ ნამდვილად მზადდება ან ჩადენილია დანაშაული“.

---

<sup>1</sup> И. Горелик. Ответственность недоносителей по Указам Президиума Верховного Совета СССР от 4 июня 1947 г. „Социалистическая законность“, 1950, N .



ამგვარად, სუბიექტური ფაქტი – „достовѣрно известно“ („ნამდვილად იცის“) ქართულ რედაქციაში შეცვლილია ობიექტური ფაქტით („ნამდვილად მზადდება“). სწორია, რა თქმა უნდა, რუსული ტექსტი, რომელიც ზუსტად შეესაბამება ზოგადი ნაწილის 21-ე მუხლს). სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლში აღნიშნული ნიშნის – „ნამდვილად ცოდნის“ – გამოტოვება არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს კანონმდებელი სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობას მაშინაც სჯის, როცა პირმა დანამდვილებით არ იცოდა, რომ ჩადენილია ასეთი სახის დანაშაული და ამიტომ არ განუცხადა არაფერი ხელისუფლების ორგანოს. ეს ნიშანი შევსებული უნდა იქნეს ზოგადი ნაწილის 21-ე მუხლის (საფუძვლების მე-19) მოშველიებით. უაზრობა იქნებოდა დაგვესაჯა პირი მხოლოდ იმის გამო, რომ მან არ აცნობა ხელისუფლების ორგანოს ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც მას მხოლოდ მონაჭორად მიაჩნდა და რომლის ჭეშმარიტებაში ეჭვი ეპარებოდა. ამგვარად, ეს ნიშანი – „ნამდვილად ცოდნა“ – დანაშაულის განუცხადებლობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარეობს, რომ თუ პირს მხოლოდ ეჭვი აქვს, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, მაგრამ ეს ეჭვი არავითარ სარწმუნო მონაცემებზე არ არის დაფუძნებული, ასეთი პირი არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული დანაშაულის განუცხადებლობისათვის. ამგვარად, ნამდვილად ცოდნა დანაშაულის შესახებ ნიშნავს იმას, რომ პირის ცოდნა სანდო წყაროზეა დაფუძნებული და იგი სუბიექტურადაც დარწმუნებულია მისთვის ცნობილი ფაქტების ჭეშმარიტებაში. ასეთი „ნამდვილი ცოდნის“ წყარო შეიძლება იყოს ის, რომ პირი თვით აღმოჩნდა მოწმე დანაშაულის ჩადენისა ან დანაშაულის მომავალში ჩადენის შესახებ მხარეთა შეთანხმებისა; ან მან უშუალოდ დანაშაულის მონაწილეებისაგან გაიგო დანაშაულის შესახებ, ან ხელში ჩაუვარდა წერილობითი ან რაიმე ნივთიერი მტკიცებულება, რომელმაც წარმოშვა მისი რწმენა, რომ დანაშაული მართლაც მზადდება ან ჩადენილია და ა.შ. ამ შეხედულებას საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა თანამიმდევრულად ახორციელებს.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ არ სცნო ლაპიკოვის მოქმედებაში განუცხა-

დებლობის შემადგენლობა, გათვალისწინებული 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ (მუხ. 5) პოროშინმა წინადადება მისცა ლაპიკოვს მასთან ერთად გაექურდა რკინიგზის საწყობი. ლაპიკოვმა უარი უთხრა ამ წინადადებაზე და გაკიცხა კიდევაც პოროშინი. ეს ამბავი მას არავისთვის არ გაუმხელია და დარწმუნებული იყო, რომ პოროშინმაც ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე. რამდენიმე დღის შემდეგ უცნობმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს სწორედ ის საწყობი, რომლის გაქურდვაც მას პოროშინმა შესთავზა. ლაპიკოვმა ეჭვი მიიტანა პოროშინზე და მის ამხანაგზე კაზაკოვზე და იგი შეეკითხა კაზაკოვს. კაზაკოვმა დაუდასტურა, რომ საწყობი მათ გაქურდეს, მაგრამ ლაპიკოვმა ვერ მოასწრო ამ ფაქტის შეტყობინება ხელისუფლების ორგანოებისათვის, ვინაიდან იქვე დააკავა დაცვის უფროსმა, რომელსაც მაშინვე ყველაფერი უამბობო. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის კოლეგიამ აღნიშნულ საქმეზე მიუთითა, რომ სახალხო სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი მსჯავრი დაედო ლაპიკოვისათვის დანაშაულის განუცხადებლობისათვის, ვინაიდან ლაპიკოვი ფიქრობდა, რომ მისი უარის შემდეგ პოროშინიც უარს იტყოდა ქურდობაზე, ზოლო მას შემდეგ, რაც ლაპიკოვმა დანამდვილებით გაიგო ქურდების ვინაობა, მას უკვე ფაქტიური შესაძლებლობა არ ჰქონდა ეცნობებია ამის შესახებ ხელისუფლების ორგანოებისათვის“<sup>1</sup>.

რამდენადაც ზოგიერთი სახის დანაშაულის განუცხადებლობისათვის პირი მხოლოდ მაშინ დაისჯება, თუ ეს დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში იყო ჩადენილი, ამდენად პირი შეიძლება დაისაჯოს განუცხადებლობისათვის მარტო მაშინ, თუ მან იცოდა ამ დამამძიმებელი გარემოების შესახებ. ამიტომ თუ პირმა იცის, რომ მოპარულია სახელმწიფო ქონება, მაგრამ არ იცის, რომ გატაცებულია დიდი რაოდენობის ქონება ან არ იცის, რომ ქონების გამტაცებელი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია, ასეთი განუცხადებლობისათვის პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, №9, стр. 19.

შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი ფიქრობს, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, რომლის განუცხადებლობაც სისხლის სამართლის წესით ისჯება, სინამდვილეში კი ამ დანაშაულის განუცხადებლობა კანონით დასჯადი არ არის. მაგალითად, პირმა შეიტყო, რომ მზადდება ან ჩადენილია მექრთამეობა დამამძიმებელ გარემოებებში, თანაც დარწმუნებულია, რომ ასეთი დანაშაულის განუცხადებლობა ისჯება. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს იურიდიულ შეცდომას, რომელიც გამოიხატება ეგრეთწოდებულ „მოჩვენებით დანაშაულში“ (delictum putativum). ჩვენი სისხლის სამართლის თანახმად, მოჩვენებითი დანაშაული, ე.ი. დანაშაული, რომელიც არსებობს მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში და არა სინამდვილეში, არ შეიძლება იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინაიდან იგი ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს.

სუბიექტი არ მიიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მაშინაც, როდესაც იგი შეცდომით ფიქრობს, რომ არსებობს გარემოება, რომლის დროსაც დანაშაულის განუცხადებლობა დასჯადია, მაგალითად, რომ სახელმწიფო ქონების გატაცება ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, სინამდვილეში კი სახელმწიფო ქონების გამტაცებელი არ არის განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი. ამ შემთხვევაში პირის უმოქმედობა დასჯადია მხოლოდ მის წარმოდგენაში და არა რეალურ სინამდვილეში.

მოტივი, რომლითაც ხელმძღვანელობდა არგანმცხადებელი, არ ახდენს არავითარ გავლენას დანაშაულის განუცხადებლობის კვალიფიკაციაზე. მაგრამ ცხადია, ის გარემოება, ქვენა მოტივით იყო თუ არა გამოწვეული განუცხადებლობა (მაგალითად, ანგარებით) თუ პირმა დამნაშავის მიმართ სიბრალულის გრძნობის ან ნათესაური დამოკიდებულების გამო ჩაიდინა ეს დანაშაული, მხედველობაში მიიღება, საქმის სხვა გარემოებებთან ერთად, სასჯელის კონკრეტული ღონისძიების დანიშვნის დროს.

პირი, რომელმაც დანამდვილებით იცოდა, რომ ჩადენილია ან ჩასადენად მზადდება დანაშაული, დაისჯება იმ შემთხვევაში, თუ მან თავის დროზე არ განაცხადა მისთვის ცნობილი ფაქტების შესახებ.

პირი, ვინც დანამდვილებით იცის, რომ ჩასადენად მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, რომლის განუცხადებლობა კანონით დასჯადად არის გამოცხადებული, ვალდებულია თავის დროზე აცნობოს ამ ფაქტის შესახებ სათანადო ორგანოებს.

სახელდობრ, როდის შეიძლება ითქვას, რომ პირმა დროულად შეასრულა თავისი მოვალეობა? საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ დროულად შეტყობინება მაშინ უნდა ჩაითვალოს, როდესაც პირმა რეალურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში განუცხადა დანაშაულის შესახებ სათანადო ორგანოებს. დაუყოვნებლივ შეტყობინებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი დანაშაულის მიმართ, რომელიც მზადდება. ასეთი დანაშაულის დაყოვნებით შეტყობინების შემთხვევაში დანაშაულის აცდენა შეიძლება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდეს.

როგორც მართებულად აღნიშნავს ბ. ფურცხვანიძე, „ასეთი სახის განუცხადებლობისათვის პირი შეიძლება განსაკისრულდეს პასუხისმგებლობისაგან მარტოდენ მაშინ, უკეთუ მან, გაიგო რა დანაშაულის მზადების შესახებ, — პირადად თვით მიიღო ზომები მისი ჩადენის აღსაკვეთად, დაარწმუნა მომზადების მონაწილენი ხელი აელო განზრახვის განხორციელებაზე“<sup>1</sup>.

ასეთ შემთხვევაში თვით არგანმცხადებლის აქტიური მოქმედების წყალობით მიღწეულია დანაშაულის წინასწარ აცდენის შედეგი, მაშასადამე, დანაშაულის განუცხადებლობა ობიექტურად საზოგადოებრივად საშიში აღარ არის და თვით არგანმცხადებელიც, რა თქმა უნდა, თავისი მოქმედებით ადასტურებს, რომ იგი არათუ მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ, პირიქით, საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებაა.

მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი არგანმცხადებლის აქტიური მოქმედების გარეშე? აქ, ჩვენის აზრით, უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა:

პირველი, როდესაც დანაშაული ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი იმის გამო, რომ დამნაშავემ მასზე ნებაყოფლობით აიღო ხელი. როგორც

<sup>1</sup> ბ. ფურცხვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

ცნობილია, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხავს პასუხისმგებლობას დანაშაულის მოშადების ან მცდელობისათვის, ვინაიდან აბათილებს მოქმედების ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას და მოქმედის ბრალს. რამდენადაც განუცხადებლობა შემხებლობის ერთერთ ფორმას წარმოადგენს, იმდენად მისი შემადგენლობა ლოგიკურად გულისხმობს ძირითადი დანაშაულის არსებობას. ხოლო თუ ძირითადი დანაშაული არ არსებობს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მის განუცხადებლობას. მაგრამ თუ იმ პირმა, ვინც არ განაცხადა, რომ მზადდება დანაშაული, არ იცის დამნაშავეის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ და ამიტომ ფიქრობს, რომ მის მიერ ამ დანაშაულის განუცხადებლობა დასჯადია, ამ შემთხვევაში გვეჩვენა ევროეწოდებული *delictum putativum* (მოჩვენებითი დანაშაული), რომლისთვისაც ჩვენი სისხლის სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

მეორე შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ბოლომდე მიყვანას ხელი შეუშალეს მესამე პირებმა ან სხვა ობიექტურმა გარემოებებმა, ე.ი. როდესაც ადგილი აქვს დასასჯელის მოშადებას ან მცდელობას. ასეთი დაუმთავრებელი დანაშაულის განუცხადებლობა პრინციპულად დასჯადია და საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ სასჯელის ღონისძიების შემცირების შესახებ ან სათანადო პირობებში, სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენების შესახებ.

როდესაც საქმე შეეხება უკვე ჩადენილი დანაშაულის განცხადების მოვალეობას, აქ მოქმედებს შემდეგი წესი: პირი ვალდებულია განაცხადოს ასეთი დანაშაულის შესახებ უმოკლეს ვადაში, რომელიც რეალურად მისაწვდომი იყო მისთვის.

განუცხადებლობა როგორც ისეთი დანაშაული, რომელიც უმოქმედობაში გამოიხატება, აუცილებლობით გულისხმობს სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. ამიტომ თუ პირი მოკლებული იყო შესაძლებლობას თავისი მოვალეობა შეესრულებინა, ე.ი. დროულად განეცხადებინა ჩადენილი დანაშაულის შესახებ, იგი არ შეიძლება მიცემული იქნეს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში. სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას: ყაზახეთის სსრ-ში ჩადენილი დანაშაულის განუცხადებლობისათვის პასუხ-

ისგებაში იყო მოცემული კოლმეურნეობის მწყემსი. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ მან დროულად ვერ შესძლო შეეტყობინებინა ხელისუფლების ორგანოებისათვის ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რადგან მოულოდნელად გაგზავნეს გადასარეკ საძოვრებზე, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა<sup>1</sup>, ასეთი განუცხადებლობა, რა თქმა უნდა, არ იძლევა საფუძველს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დაყენებული იყო საკითხი იმის თაობაზე, განთავისუფლდება თუ არა პირი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის განუცხადებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული უკვე გახსნილია და გამოძიება წარმოებს, ხოლო პირი, რომელმაც იცოდა დანაშაულის შესახებ და თავის დროზე არ განაცხადა, გამოძახებულია მართლმსაჯულების ორგანოების მიერ, როგორც მოწმე და იქ იძლევა სრულ და გულმართალ ჩვენებას. გ. ნ. ალექსანდროვის აზრით ასეთ შემთხვევებში თუმცა არსებობს ფორმალური საფუძველი ასეთი პირის პასუხისგებაში მიცემისა, მაგრამ მაინც მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია. ჩვენის აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი, რომელმაც დროულად არ განაცხადა დანაშაულის შესახებ, შემდეგ იძლევა სწორ ჩვენებას, თავისთავად, იზოლირებულად აღებული, არ უნდა წარმოადგენდეს საფუძველს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის. აქ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებანი, მაგალითად, რამდენად პატივსადებია მიზეზი, რის გამოც პირმა დროულად არ განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რამდენად შეაფერხა ამ გარემოებამ საქმის დროული გახსნა და ნამდვილ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა და ა.შ. საქმის მთელი გარემოებებისა და სუბიექტის ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით ასეთი პირი შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ან განთავისუ-

<sup>1</sup> ციტირებულია გ. ნ. ალექსანდროვის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 11.

ფლდეს პასუხისმგებლობისაგან და საქმე განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს (მუხ. 52-ე) ან პირი გადაეცეს აღსაზრდელად თავდებობის ქვეშ (მუხ. 53-ე) ან ასეთ პირს შეიძლება შესაბამისად შეუქმნებულად კონკრეტული სასჯელი.

## §5. დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობა

სახელმწიფო დანაშაულთა განუცხადებლობისათვის სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან სამ წლამდე ან იძულებითი მუშაობა ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

დანარჩენ დანაშაულთა განუცხადებლობისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსები სხვადასხვა სასჯელებს ითვალისწინებენ.

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლით დანაშაულის განუცხადებლობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით. დაახლოებით ასეთსავე სასჯელს ითვალისწინებს ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდექსისაგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ განსაზღვრავს ჯარიმის მაქსიმუმს – ჯარიმას 50 მანეთამდე.

ლატვიის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის და ბელორუსიის კოდექსები აწესებენ განუცხადებლობისათვის თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოს იმავე ვადით.

ყველაზე უფრო მსუბუქი სასჯელი დადგენილია ყაზახეთის სსრ კოდექსით – გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე; ყველაზე მძიმე – რსფსრ-ის კოდექსით (თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაო ექვსი თვიდან ერთ წლამდე), სომხეთის სსრ-ის და მოლდავეთის სსრ-ის კოდექსებით (თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაო ერთ წლამდე).

ტაჯიკეთის და თურქმენეთის სსრ კოდექსებით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაო ერთ წლამდე. უზბეკეთის სსრ კოდექსი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვე-

თას ერთ წლამდე, გამასწორებელ სამუშაოს ექვს თვემდე ან საზოგადოებრივ გაკიცხვას.

უკრაინის სსრ და ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსები ლიფერენციულ პასუხისმგებლობას ადგენენ განუცხადებლობისათვის იმ დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, რომელსაც არ განაცხადებს პირი. სახელდობრ, უფრო მძიმე დანაშაულთა განუცხადებლობისათვის უკრაინის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე, ხოლო სხვა დანაშაულთათვის – თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე; ესტონეთის სსრ კოდექსით მკვლელობისა და გატაცების განუცხადებლობისათვის დადგენილია თავისუფლების აღკვეთა წელიწადნახევრამდე ან გამასწორებელი სამუშაო ერთ წლამდე, ხოლო ყაჩაღობის განუცხადებლობისათვის – თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაო ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ჩვენის აზრით, დანაშაულის განუცხადებლობისათვის ისეთი მძიმე სასჯელების გათვალისწინება, როგორც არის, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე, არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად. საქართველოს სსრ და მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობის მიერ დადგენილი შედარებით მსუბუქი სასჯელები სავსებით საკმარისია აღნიშნულ დანაშაულთან საბრძოლველად, თუკი დამნაშავენი ნამდვილად იქნებიან მიცემული პასუხისგებაში. „დიდი ხანია ნათქვამია, – აღნიშნავდა ვ.ი. ლენინი, – რომ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სასჯელისა გაპირობებულია სრულიადაც არა მისი სისასტიკით, არამედ მისი აუცილებლობით. მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დანაშაული სასტიკად დაისაჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმუღავნებელი“<sup>1</sup>. ამავე დროს, როგორც აღნიშნავენ ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში, სასამართლო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები დანაშაულის განუცხადებლობისათვის პასუხისგებაში მიცემისა, რაც, რა თქმა უნდა, ასუსტებს სისხლის სამართლის სასჯელის პრევენციულ მნიშ-

<sup>1</sup> ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 490.



ვენლობას და მოწმობს იმას, რომ მართლმსაჯულების ორგანოები ჯეროვნად ვერ აფასებენ დანაშაულის განუცხადებლობის საზოგადოებრივ საშიშროებას.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის უნდა იქნეს დიფერენცირებული იმისდა მიხედვით, დამთავრებულ დანაშაულს შეეხება განუცხადებლობა, თუ დაუმთავრებელ დანაშაულს. ასე, მაგალითად, პროფ. ა. ტრაინინი წერდა: „... განუცხადებლობის ამ ორი სახის რეალური საზოგადოებრივი საშიშროება სხვადასხვაგვარია. თუ განუცხადებლობას ადგილი აქვს იმის შემდეგ, როდესაც მძიმე დანაშაული უკვე ჩადენილია, რა თქმა უნდა, ასეთი განუცხადებლობაც შეუწყნარებელია, მაგრამ შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ დანაშაული უკვე მომხდარია და უფრო ხშირად საქმე ეხება დამნაშავეთა დასჯას. ხოლო თუ პირი არ განაცხადებს ისეთი დანაშაულის შესახებ, რომელიც მზადდება, ასეთი განუცხადებლობა თუნდაც იმ პირის მხრით, ვინც დაინტერესებული არ იყო დანაშაულის ჩადენით და არ მოქმედებდა დამნაშავესთან შეთანხმებით, მაინც ობიექტურად მეტად უახლოვდება თანამონაწილეობას. აღნიშნული მოსაზრებების გამო აუცილებლად მიგვაჩნია, რათა განუცხადებლობა ისეთი დანაშაულისა, რომელიც მზადდება ჩასადენად, უფრო მკაცრად დაისაჯოს, ვიდრე განუცხადებლობა უკვე ჩადენილი დანაშაულისა“<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულება გატარებული იყო ნაწილობრივ სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1939 წლის პროექტში სახელდობრ, მკვლელობის განუცხადებლობა, თუკი საქმე დაუმთავრებელ მკვლელობას შეეხებოდა, უფრო მძიმედ ისჯებოდა, ვიდრე დამთავრებული მკვლელობის განუცხადებლობა (მუხ. 149-ე).

კიდევ უფრო შორს მიდიოდა ი., იაბლონოვსკი, რომელიც თვლიდა, რომ დამთავრებული დანაშაულის განუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხოლო

---

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 144; ანალოგიურ შეხედულებას იზიარებენ: პ. ი. გრიშავეი, გ. ა. კრივერი, დასახ. ნაშრ., გვ. 220-221; ბ. ფურცხვანიძე, გვ. 75.

დაუმთავრებელი დანაშაულისა – უნდა დაისაჯოს დაუმდგარი შედეგის სიმძიმის შესაბამისად<sup>1</sup>.

ჩვენის აზრით, ერთგვარი სხვაობა განუცხადებლობის აღნიშნულ ორ სახეს შორის მათი საზოგადოებრივი საშიშროების მხრით, მართალია არსებობს, მაგრამ ეს განსხვავება ისეთ ხარისხს ვერ აღწევს, რომ პირველი სახის განუცხადებლობა თანამონაწილეობად ჩათვალით ან იგი დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედობად გამოვყოთ, თანაც ალტერნატიული სანქციები, რომლებიც გათვალისწინებულია ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის განუცხადებლობისათვის (90-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ხოლო 206-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვა), საეხებით უზრუნველყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ დანაშაულის განუცხადებლობის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით მოხდეს სასჯელის სათანადო დიფერენციაცია.

ჩვენ სპეციალურად არ ვჩერდებით ბრალის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე, აგრეთვე სასჯელის დანიშვნის სხვა ზოგად დებულებებზე განუცხადებლობისათვის სასჯელის შერჩევის დროს, ვინაიდან ეს დებულებები არაფრით არ განსხვავდებიან დანაშაულის დაფარვისათვის სასჯელის დანიშვნის დებულებებისაგან.

---

<sup>1</sup> Я. Е. Яблоновский, Недонесение о грядущем преступлении, „Вестник советской юстиции“, 1926, №11, გვ. 440-441.

აღნიშნულ საკითხში არათანმიმდევრობას იჩენს ვ. გ. სპირნოვი. ერთი მხრით, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დაუმთავრებელი დანაშაულის განუცხადებლობას იგი თანამონაწილეობას აკუთვნებს და ამგვარად განასხვავებს განუცხადებლობა-თანამონაწილეობას განუცხადებლობა-შემხებლობისაგან. ხოლო, მეორე მხრით, იგი არ მოითხოვს განუცხადებლობა-თანამონაწილეობის დასჯადობას თანამონაწილეობის სხვა სახეების თანაბრად, რაც ლოგიკურად გამოზღინარეობს მისი კონცეფციიდან, არამედ თელის, რომ იგი უნდა დაისაჯოს იმგვარადვე, როგორც ისჯება განუცხადებლობა-შემხებლობა (იხ. ვ. გ. სპირნოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 110-112).

## დანაშაულის მიმნებლობა

დანაშაულის შემხებლობის მესამე სახეს დანაშაულის მიმნებე-  
ბლობა წარმოადგენს. მიმნებებლად ითვლებს ის პირი, რომელიც ხე-  
დავს, რომ ვინმე იდენს დანაშაულს, აქვს შესაძლებლობა ხელი  
შეუშალოს და, მიუხედავად ამისა, არ მოქმედებს.

დანაშაულის მიმნებებლობის პრობლემა, როგორც დამოუკიდებე-  
ლი მეცნიერული პრობლემა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში  
შედარებით გვიან დაისახა. საშუალო საუკუნეების სისხლისსამართ-  
ლებრივი მეცნიერება არ განიხილავდა დანაშაულის მიმნებებლობას,  
როგორც განსაკუთრებული სახის უმოქმედობის შემთხვევას. საერთოდ  
ამ პერიოდის დოქტრინა ეხებოდა უმოქმედობის საკითხს მხოლოდ  
პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებით, ხოლო  
აქ არ განასხვავებდნენ დანაშაულებრივი უმოქმედობით ზიანის მიყ-  
ენებას და სხვისი დანაშაულისათვის ხელის შეშლას. კანონიკური  
სამართლის ზეგავლენით, რომელიც დანაშაულს ცოდვასთან აიგივებ-  
და, პირი, რომელმაც ხელი არ შეუშალა სხვა პირის მოკვლას და  
ამით ქრისტიანული ზნეობის ნორმა დაარღვია, ისჯებოდა, როგორც  
თვით მკვლელი.

ხელისუფლების საჭესთან მისული ახალი ბურჟუაზიული კლასის  
სისხლისსამართლებრივი დოქტრინა, რომელიც ებრძვის ფეოდალური  
მართლმსაჯულების თვითნებობას და ცდილობს გამოიწიოს სამართ-  
ლებრივი პასუხისმგებლობა ზნეობრივი, რელიგიური პასუხისმგებლო-  
ბისაგან, უკვე მოითხოვს უმოქმედობის დასჯადობის შემცირებას, მა-  
გრამ მაინც თავდაპირველად ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი  
მეცნიერებაც ვერ მიჯნავს ერთმანეთისაგან უმოქმედობით მავნე შედე-  
გის გამოწვევას და მიმნებებლობას. პასუხისმგებლობის შეზღუდვას  
სხვა პოზიციებიდან აღწევენ. სახელდობრ, უპირისპირებენ ერთმანეთს  
მოკეთისათვის დახმარების ზოგად მოვალეობას და სპეციალურ მოვა-  
ლეობას, რომელიც რაიმე განსაზღვრულ იურიდიულ საფუძველს ემ-  
ყარება. ზოგადი მოვალეობის დარღვევა იწვევდა მხოლოდ ზნეობრივ

სანქციას, ხოლო სპეციალური მოვალებების დარღვევისათვის შეიძლება გადასახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასე, მაგალითად, ანსელმ ფოიერბახის აზრით, დანაშაულებრივი შედეგისათვის ხელის არშეშლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ პირს კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე პქონდა მოვალეობა დანაშაულებრივი შედეგის აცდენისა. ამგვარად, საკითხი შეეხებოდა არა იმას, თუ როდის შეიძლება უმოქმედობა იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, არამედ იმას, თუ როდის არის უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო, საკითხს უმოქმედობის მიზეზობრიობის შესახებ ფოიერბახი სრულიად არ აყენებდა.

უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველად ლუდენმა დააყენა და ამის შემდეგ იგი განუწყვეტელი დავის საგანს წარმოადგენს. სადავოდ ითვლება არა მარტო ის საკითხი, თუ რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს უმოქმედობა დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევად, არამედ ისიც, შეიძლება თუ არა უმოქმედობას მიეწეროს საერთოდ მიზეზობრივი მნიშვნელობა. ის ბურჟუაზიული მეცნიერები, რომლებიც უარყოფენ უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს, იძულებული არიან გამოძებნონ სხვა კრიტერიუმი იმის დასადგენად, თუ როდის უნდა იქნეს უმოქმედობა გაიგივებული დასჯადობის მხრივ დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევასთან და როდის უნდა დაისაჯოს იგი, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, კერძოდ, როგორც დანაშაულის მიმნებლობა.

\* \* \*

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის პირველ დეკრეტებში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შემხებლები დასჯადობის მხრივ გაიგივებული იყვნენ თანამონაწილეებთან. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1919 წლის სახელმძღვანელო საწყისების 24-ე მუხლში პირდაპირ იყო მითითებული, რომ დამხმარედ უნდა ჩაითვალოს ის პირიც, ვინც ხელი არ შეუშალა დანაშაულის ჩადენას, ე.ი. მიზნებელი. მიზნებელთა გათანაბრება დანაშაულის თანამონაწილეებთან

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გამოწვეული იყო იმით, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას საჭიროდ მიაჩნდა საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა დანაშაულობასთან ბრძოლაში. საზოგადოებრიობის აქტიურმა საქმიანობამ, მიმართულმა დანაშაულის ჩადენის წინასწარ ასაცდენად, სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციის პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დანაშაულობის შემცირების საქმეში. შემდგომ კანონმდებლობაში ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვხვდებით მითითებას მიმნებლების დასჯადობის თაობაზე. სახელდობრ, რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 114<sup>ა</sup>-ე მუხლი ითვალისწინებდა იმ პირის პასუხისმგებლობას, ვინც არ მიიღო ზომები მექრთამეობისათვის ხელის შესაშლელად. არც რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კოდექსები და არც ახალი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არათუ არ თვლიან მიმნებებლობას თანამონაწილეობად, არამედ არ სჯიან მას აგრეთვე, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს.

დანაშაულის მიმნებებლობა ნიშნავს დანაშაულისათვის ხელის არშეშლას. პირის თვალწინ ვინმე იდენს დანაშაულს, ამის მნახველს აქვს ფაქტიური შესაძლებლობა ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ იგი არ მოქმედებს, რითაც ბოროტმოქმედთ შესაძლებლობა ეძლევათ დანაშაული განახორციელონ. მაშასადამე, მიმნებებლობა აუცილებლად უმოქმედობას გულისხმობს. ამიტომ სწორი არ არის ჩვენს ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, თითქოს თანამდებობის პირის მიმნებებლობა შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც უმოქმედობაში, ისე თანამდებობის პირის აქტიურ მოქმედებაში, მაგალითად, გ. ალექსანდროვი, რომელიც მიმნებებლობას თანამდებობრივ დანაშაულად თვლის, განსაზღვრავს თანამდებობრივ მიმნებებლობას, როგორც „... თანამდებობის პირის მიერ ისეთი პირობების შექმნას, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ქონების გატაცებას“<sup>1</sup>. ა. ვასილევს ამატკიცებს, რომ „მიმნებებლობის ცნებაში შედის

---

<sup>1</sup> Г. Александров, Ответственность недопосителей по Указам Президиума Верховного Совета СССР, от 14 июня 1947 г. „Социалистическая законность“, 1950 г., N , стр. 32.

თანამდებობის პირის მიერ ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს უწყობს გატაცებას<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს უწყობს სოციალისტური ქონების გატაცებას, წარმოადგენს აქტიურ მოქმედებას და იმისდა მიხედვით, აქონდა თუ არა სუბიექტს გატაცების განზრახვა, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში ან როგორც სამსახურებრივი დაუღვერობა. მაგრამ აქტიური მოქმედება არასოდეს არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულისათვის ხელის არშეშლად. დანაშაულისათვის ხელის არშეშლა, რომ აუცილებლად უმოქმედობას გულისხმობს, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს და საწინააღმდეგოს მტკიცება გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

უმოქმედობა ზოგჯერ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში შედეგთან და თუ იგი დანაშაულისათვის განზრახ ხელის შეწყობას წარმოადგენს, განიხილება, როგორც თანამონაწილეობა. ამიტომ აუცილებელია მიმნებლობა განვასხვავოთ თანამონაწილეობისაგან.

პირველად ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირი წინასწარ დაპირდა დანაშაულის ამსრულებელს, რომ ხელს არ შეუშლის დანაშაულის ჩადენას, ასეთი პირი უკვე შემხებელი კი არ არის, არამედ დანაშაულის თანამონაწილე, თუკი დამტკიცებული იქნება, რომ ხელის არშეშლის დაპირებამ განამტკიცა ამსრულებლის განზრახვა, შეასუსტა მისი შიში დანაშაულის ჩადენის წინაშე, მისცა მას მეტი გაბედულება დანაშაულის ჩასადენად, ასეთი დაპირება, მსგავსად დანაშაულის დაფარვის და დანაშაულის განუცხადებლობის დაპირებისა, ინტელექტუალურ დახმარებად ჩაითვლება. რამდენადაც დახმარების აღმოჩენა დაპირებაში მდგომარეობს, ამდენად თანამონაწილის საქციელი ამ შემთხვევაში გამოიხატება დადებითი მოქმედებით და არა უმოქმედობით.

შეიძლება თუ არა დანაშაულის ჩადენისათვის ხელის არშეშლა იყოს მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულთან და წარმოადგენდეს ამგვარად თანამონაწილეობას დანაშაულში?

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული იყო

<sup>1</sup> ვ. ვასილევი, დასახ. წერილი, გვ. 18.

შეხედულება, რომ დანაშაულისათვის ხელის არშეშლა ყოველთვის მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ ქმედობასთან. ასეთ შეხედულებას იზიარებს, როგორც უკვე დავინახეთ, გ.კ. მატკევი<sup>1</sup>. ამავე შეხედულებიდან გამომდინარეობს აგრეთვე ვ. გ. სმირნოვი<sup>2</sup>, რომელიც თვლის, რომ ხელის არშეშლა დანაშაულის ჩადენისათვის უნდა ჩაითვალოს თანამონაწილეობად ამ დანაშაულში<sup>3</sup>.

ზემოთ ჩვენ უკვე განვმარტეთ ასეთი შეხედულების უსწორობა, სახელდობრ, აღნიშნული იყო, რომ უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანამონაწილეობა, როდესაც პირი თავისი წინასწარი საქმიანობით ჩართული იყო გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში და ამიტომ საზოგადოება საფუძვლიანად ელოდა მისგან განსაზღვრული, მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას<sup>4</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მიმნებებლობას. ასეთი შეხედულება მტკიცედ ტარდება ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში კოუეტოვის, ტოკბაევის და სხვ. საქმეზე ნათქვამია: „რაც შეეხება ტაშშულინს და ტოკბაევს, მათ მოქმედებაში საერთოდ არ არის დანაშაულის შემადგენლობა. ისინი ჩხუბში არაკითარ მონაწილეობას არ იღებდნენ. მათი ჩათვლა დანაშაულის თანამონაწილეებად მხოლოდ იმის გამო, რომ მათ მოჩხუბარნი არ გააშველეს, მარტო იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაშვები, მათ რომ კადიკოვის მიმართ ზრუნვის განსაკუთრებული მოვალეობა ჰქონოდათ დაკისრებული. მაგრამ კადიკოვი მათთვის გარეშე პირი იყო და ისინი სულაც არ იყვნენ მოვალენი მასზე ეზრუნათ“<sup>4</sup>.

ამ დადგენილებაში მშვენივრად არის დასაბუთებული მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა თანამონაწილის (დამხმარის) მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. მსჯავრდებულ ტაშშულინს და

<sup>1</sup> იხ. Г. К. Матвеев, Теоретические вопросы причинения вреда „Советское государство и право“, 1962, №10.

<sup>2</sup> ვ. გ. სმირნოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116-128.

<sup>3</sup> იხ. ამ ნაშრომის მეორე თავი.

<sup>4</sup> იხ. „Советская юстиция“, 1939, №1, გვ. 71.

ტოკბაევს რომ კადიკოვის დაცვის სპეციალური მოვალეობა ჰქონოდათ დაკისრებული და მათ ხელი არ შეეშალათ დანაშაულის ჩადენისათვის, მაშინ მათი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში იქნებოდა დანაშაულებრივ შედეგთან და ისინი პასუხს აგებდნენ, როგორც დამხმარენი. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული პირები შემთხვევით დაესწრნენ დანაშაულის ჩადენას და მის გარეშე მაყურებლები იყვნენ, მათი მოქმედება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დანაშაულის დახმარება, არამედ მხოლოდ, როგორც მიმნებებლობა, რომელიც ჩვენი კანონმდებლობით არ ისჯება.

ანალოგიური დადგენილება იყო გამოტანილი სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ღუბროვინის და სხვათა საქმეზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ, მსჯავრი დასდო მალაშინას, სხვა პირებთან ერთად, პოლუშკოს გაძარცვაში. საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ მალაშინას დანაშაულის ჩადენაში არ მიუღია მონაწილეობა. იგი მხოლოდ დაესწრო ღუბროვინისა და ლოგინოვის მიერ დანაშაულის ჩადენას და ხელი არ შეუშლია მათი დანაშაულისათვის. უმაღლესმა სასამართლომ არ ჩათვალა მალაშინა დანაშაულის თანამონაწილედ, ვინაიდან მას არ ეკისრებოდა სპეციალური მოვალეობა დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეშლისა<sup>1</sup>.

პირიქით, თუ პირს აკისრია სპეციალური მოვალეობა გარკვეული ობიექტის მიმართ დანაშაულისათვის ხელის შეშლისა და თუ ამჟამად დროს იგი განზრახ არ უშლის ხელს დანაშაულის ჩადენას, რათა ამით შესაძლებლობა მისცეს ბოროტმოქმედთა განახორციელონ თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა, ასეთ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, ადგილი აქვს თანამონაწილეობას დანაშაულში, ვინაიდან პირი თავისი უმოქმედობით განზრახ სპობს დანაშაულის ჩადენის დაბრკოლებას, რომელსაც თვით იგი წარმოადგენდა. ასეთი შეხედულება თანამომდევრულად ხორციელდება საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში.

სინეგუბოვამ და მინკინამ, რომლებიც კოლმეურნეობის საწყობს ყარაულობდნენ, ნება დართეს პროკოფიევს შესულიყო საწყობში და გაეჭურდა იგი. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ რამდენადაც სინეგუბოვა და მინკინა „ვალდებული

<sup>1</sup> იხ. „Судебная практика Верховного суда СССР“ 1955, т. N 1, стр. 5-7.



იყვნენ არ დაეშვათ პროკოფიევი საწყობში, მათ კი პროკოფიევს ამის ნებართვა მისცეს, ამით მათ ხელი შეუწყვეს პროკოფიევს ჩამოცილებინა დანაშაულის ჩადენის დაბრკოლება“<sup>1</sup>.

ასევე საფუძვლიანად არის დასაბუთებული იგივე აზრი სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში სემიონოვისა და სხვ. საქმეზე. დადგენილებაში ნათქვამია: „სემიონოვისათვის ინკრიმინირებული მოქმედებანი საერთოდ არასწორად არის კვალიფიცირებული, როგორც განუცხადებლობა. სემიონოვს ბრალად ედება, რომ მან არ შეასრულა თავისი მოვალეობა ტვირთის დაცვისა და საგუშაგოზე ყოფნის დროს, ნება დართო ანიკოვიჩს და ბრევერსს გაეტაცებინათ ტვირთი. ამით სემიონოვმა, რომელსაც სამსახურით ვვალეობდა ხელის შეშლა გატაცებისათვის, ფაქტიურად ჩამოაცილა ეს დაბრკოლება და იგი რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირდაპირი აზრის მიხედვით განხილულ უნდა იქნეს, როგორც ანიკოვიჩისა და ბრევერსის დამხმარე“<sup>2</sup>.

ამგვარად, ის საკითხი, იყო თუ არა უმოქმედობა დანაშაულის თანამონაწილეობა, შეიძლება დაისვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში იყო დანაშაულებრივ შედეგთან, ე.ი. თუ პირი თავისი წინამორბედი საქმიანობით უშუალოდ ჩართული იყო გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში და სპეციალური ვალდებულება ჰქონდა იმ ობიექტის დაცვისა, რომელსაც ზიანი ებუქებოდა, ხოლო მან არ შეასრულა ეს სპეციალური მოვალეობა, თუმცა ამისი სრული ფაქტიური შესაძლებლობა ჰქონდა. პირიქით, მიმნებებლობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი შემთხვევით განხდა მოწმე დანაშაულის ჩადენისა, რაიმე წინასწარი სპეციალური მოვალეობა დაცვის მას არ ჰქონია და ფაქტიურ გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევის გამო შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას ისე, რომ არ ჩაიგდოს საფრთხეში არც თავი და არც სხვა პირი.

მიმნებებლობა გულისხმობს შეგნებულ უმოქმედობას. არ შეიძლება ვინმეს ვუსაყვედუროთ, რომ მან ხელი არ შეუშალა დანაშაულის ჩადენას, თუკი ამ პირმა არც იცოდა, რომ ვინმე დანაშაულს ჩადიოდა.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1945 г. вып. III, стр. 7-9.

<sup>2</sup> „Судебная практика“, 1948, вып. №1, стр. 10-11.

მაგალითად, ვინმე ხედავს, რომ მის თვალწინ მომვლელი რაღაც ფეხნილს აძლევს ავადმყოფს, ფიქრობს, რომ ეს ფეხნილი წამალია, სინამდვილეში კი იგი საწამლაეი აღმოჩნდა. ამ დანაშაულის მხილველი არ ჩაითვლება მიმნებებლად, ვინაიდან მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს მის თვალწინ ჩადენილი ქმედობის დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ.

ზოგიერთ საბჭოთა კრიმინალისტს ავიწყდება ეს უდავო დებულება, როდესაც ისინი თანამდებობრივ მიმნებებლობაზე მსჯელობენ. ასე, მაგალითად, გ. ნ. ალექსანდროვის აზრით, თუ თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება სოციალისტური ქონების დაცვა, თავისი უმოქმედობით ან დაუდევრობით ქმნის ისეთ პირობებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ბოროტმოქმედთ გაიტაცონ სახელმწიფო ქონება, ასეთი თანამდებობის პირი უნდა ჩაითვალოს მიმნებებლად იმ შემთხვევაში, როდესაც მან არაფერი არ იცის მესამე პირთა დანაშაულის შესახებ. ხოლო თუ თანამდებობის პირი შეგნებულად მოქმედებს, ე.ი. იმ განზრახვით, რომ ხელი შეუწყოს სხვა პირებს დანაშაულის ჩადენაში, ასეთი თანამდებობის პირი უნდა დაისაჯოს, როგორც თანამონაწილე<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას იზიარებენ ა. ვასილიევი<sup>2</sup>, პ. მიშენინი<sup>3</sup>, ბ. ფურცხვანიძე<sup>4</sup>, ს.ი. ტიხენკო<sup>5</sup>, ა.ა. პიონტკოვსკი<sup>6</sup> და სხვ. ამგვარად, ამ შეხედულების თანახმად, თანამდებობრივი მიმნებებლობა შეიძლება გამოიხატებოდეს გაუფრთხილებლობით ბრალში, ე.ი. იგი უნდა მოიცავდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც თანამდებობის პირი გაუფრთხილებლად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას.

---

<sup>1</sup> Г. Н. Александров, Ответственность за недонесение по указам Президиума Верховного Совета СССР от 4 июля 1947 г., 1951, стр. 17-22.

<sup>2</sup> А. Васильев, Ответственность недоносителей по указам Президиума Верховного Совета СССР от 4.VI, 1947 г. „Социалистическая законность“, 1950, №11, стр. 17-19; მისვე უголовная ответственность за хищение государственного и общественного имущества. Диссертация, М., 1952, стр. 198.

<sup>3</sup> П. Мишурин, Иститут прикосновенности к преступлению в советском уголовном праве, „Социалистическая законность“, 1956, №11, стр. 15.

<sup>4</sup> ბ. ფურცხვანიძე, პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, 1956, გვ. 78-79.

<sup>5</sup> С. И. Тихенко, Советское уголовное право, Часть особенная, вып.1, Киев, 1950, стр. 53-54.

<sup>6</sup> А. А. Понотковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 604-605.

ზემოთმოტანილი შეხედულებიდან სწორია ის დებულება, რომ თუ თანამდებობის პირი თავისი საშასხურებრივი უმოქმედობით ობიექტურად ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ მის უმოქმედობასთან არ არის დაკავშირებული დანაშაულისათვის ხელის შეწყობის განზრახვა, ასეთი პირი არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის თანამონაწილედ, არამედ მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ შესაბამისი თანამდებობრივი დანაშაულისათვის, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ ავტორებს იმაში, თითქოს თანამდებობის პირების გაუფრთხილებელ დანაშაულებრივ უმოქმედობას შეიძლება მიმნებლობა ეწოდოს. როგორც მართებულად აღნიშნავს ვ.გ. სმირნოვი, „თუ ასეთ ქმედობებს ვუწოდეთ მიმნებლობა, ეს გამოიწვევს მიმნებლობის ცნებაში არეუ-დარევის შეტანას. ასეთ შემთხვევაში მიმნებლობის ცნება ჰკარგავს თავის სპეციფიკურ ხასიათს“<sup>1</sup>.

მიმნებლობა, ე.ი. სხვისი დანაშაულისათვის ხელშეუშლელია ყოველთვის განზრახ ბრალს გულისხმობს. პირი ხედავს, რომ მის თვალწინ ძარცვავენ ადამიანს, მაგრამ არ უშლის ხელს დანაშაულის ჩადენას. დანაშაულისათვის ხელის არშემლა შეიძლება მოხდეს – და უფრო ზშირად ხდება – იმის გამო, რომ სუბიექტი უსულგულოდ ეკიდება სხვა პირის ან საზოგადოების ინტერესებს. იგი არ ერევა „სხვის“ საქმეში, არ სურს თავი შეიწუხოს სხვის გამო. მიმნებლის ფსიქიკური განწყობილება შეიძლება სხვაგვარიც იყოს. მაგალითად, დანაშაულის ხელის არშემშლელს უხარია კიდევაც, რომ ძარცვავენ მესამე პირს, რადგანაც ეს უკანასკნელი მისი მტერია. მიმნებლობას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც პირმა დანამდვილებით არ იცის, რომ დანაშაული სრულდება. ტაგანცევის მოჰყავს ამ აზრის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი: ვინმე ხედავს, რომ ბინიდან წამსვლელი იცვამს ქურქს. მას ებადება ეჭვი, სხვისი ხომ არ არის ეს ქურქი. ასეთი პირი, – მიუთითებს ტაგანცევი, – „არ გახდება ქურდობის მიმნებელი, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ წამსვლელი ნამდვილად ქურდი იყო“<sup>2</sup>. გარდა ამისა მიმნებლობის სუბიექტური

<sup>1</sup> В. Г. Смирнов, Понятие прикосновенности... 1957, стр. 122.

<sup>2</sup> Н. С. Таганцев, Курс русского уголовного права, т. 1-ая, С.-П. 1880, стр. 159.

მხარისათვის აუცილებელია პირს შეგნებული ჰქონდეს, რომ მას ობიექტური შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას. თუ პირი ფიქრობს, რომ მისი ძალღონე საკმარისი არ არის დანაშაულის ასაცდენად, იგი არ ჩაითვლება მიმნებებლად, თუნდაც იგი სცდებოდეს და შემდგომ დადასტურებულ იქნეს, რომ მისი ჩარევა ხელს შეუშლიდა დანაშაულის განხორციელებას.

დანაშაულის მიმნებებლობის განზრახი ხასიათი ხაზგასმულია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე პარაგრაფში, რომელიც ითვალისწინებს ამ დანაშაულის დასჯადობას. აღნიშნული პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად მიმნებებლად ითვლება ის პირი, „ვინც განზრახ ხელს არ შეუშლის ისეთი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც კანონით დადგენილია სიკვდილით დასჯა, სამუდამო ტუსალობა ან თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე ერთი წლით“.

მეორე უკიდურესობაში ვარდება მ.ა. შნეიდერი. მისი აზრით, მიმნებებლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. „დანაშაულისათვის ხელის არშეშლა, — წერს იგი — გულზრახვითი საქმიანობაა (преднамеренная деятельность). მიმნებებელს ესმის, რომ იგი ხელს არ უშლის დანაშაულის ჩადენას და არ სურს არც პირადად შეუშალოს მას ხელი და არც სხვა ზომები მიიღოს დანაშაულის ასაცდენად, თუმცა ამის შესაძლებლობა აქვს“.<sup>1</sup>

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მიმნებებელს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი განზრახვაც, მაგრამ ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათია. როგორც წესი, მიმნებებელი ევენტუალური განზრახვით მოქმედებს, გულგრილად ეკიდება დანაშაულის ჩადენას.<sup>2</sup>

მიმნებებლობა უნდა განვასხვავოთ დანაშაულის დაფარვისაგან და დანაშაულის განუცხადებლობისაგან, წინააღმდეგ ზოგიერთი კრიმინალისტიის მტკიცებისა, თითქოს განსხვავება ამ დანაშაულთა შორის

<sup>1</sup> Н. С. Таганцев, Курс русского уголовного права, кн. 1-ая, С.-П. 1880, стр. 152.

<sup>2</sup> М. М. Шнайдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 93.

„ძირითადად მდგომარეობს შედგენილობის სუბიექტურ მხარეში“<sup>1</sup>, უდაოდ უნდა ჩაითვალოს, რომ მიმნებებლობა შემსებლობის სხვა სახეებისაგან შემადგენლობის ობიექტური ნიშნებით განსხვავდება.

განვასხვავოთ, უპირველეს ყოვლისა, მიმნებებლობა დანაშაულის დაფარვისაგან.

პირველი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის დაფარვას ყოველთვის ადგილი აქვს ძირითადი დანაშაულის შეწყვეტის შემდეგ, ხოლო დანაშაულისათვის ხელის არშეშლა ლოგიკურად და ფაქტიურად შეიძლება მხოლოდ იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულებრივი ქმედობის შესრულება შეწყდებოდეს.

შემდეგ, დანაშაულის დაფარვა შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში, მაში, როდესაც დანაშაულისათვის ხელშეუშლელია წმინდა უმოქმედობაა.

უფრო ძნელია მიმნებებლობის განსხვავება დანაშაულის განუცხადებლობისაგან, ვინაიდან ორივე ეს დანაშაული უმოქმედობაში გამოიხატება.

პირველი განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულისათვის ხელშეუშლელია, როგორც დავინახეთ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში, მაშინ როდესაც განუცხადებლობა შეიძლება შეეხებოდეს უკვე ჩადენილ დანაშაულსაც.

ამავე დროს მიმნებებლობა განსხვავდება განუცხადებლობისაგან იმ ვალდებულების შინაარსითაც, რომელიც მათ აკისრიათ.

ა. ნ. ტრანინის აზრით მიმნებებლობა „საკსებით ემთხვევა ისეთი დანაშაულის განუცხადებლობას, რომელიც მზადდება ჩასადენად, ასეთი სახის განუცხადებლობა (ე.ი. განუცხადებლობა მომზადების პროცესში მყოფი და არა დამთავრებული დანაშაულისა) ყოველთვის არის იმავე დროს დანაშაულის ჩადენისათვის ხელშეუშლელია“<sup>2</sup>.

ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით. მართალია დანაშაულის განუცხადებლობა და მისთვის ხელშეუშლელია – ორივე უმოქმედობაა, მაგრამ იმ მოქმედებათა არსი, რომელიც უნდა ყოფილიყო

<sup>1</sup> ბ. ფურცხვანიძე, ციტ. ნაშრ., გვ. 78.

<sup>2</sup> А.Н. Трайнин, Учение о соучастии, 1941, стр. 132-133.

შესრულებული, განუცხადებლობის დროს სხვაა, ვიდრე ხელშეუშლელი დროს. განუცხადებლობის დასჯადობის დროს პირს ეკისრება მოვალეობა განუცხადოს ხელისუფლების სათანადო ორგანოს, რომ მზადდება დანაშაული. განუცხადებლობის არსი ამიტომ ამ მოვალეობის შეუსრულებლობაა. სუბიექტს შეიძლება ჰქონდა ფაქტიური შესაძლებლობა ხელი შეეშალა თავისი უშუალო ჩარევით დანაშაულისათვის და ამავე დროს არ ჰქონოდა შესაძლებლობა დროულად ეცნობებია ხელისუფლების ორგანოსათვის. ასეთი პირი პასუხს არ აგებს განუცხადებლობისათვის, რომ მზადდება დანაშაული, ვინაიდან განცხადების მოვალეობის შესაძლებლობა მას არ ჰქონდა, ამავე დროს იგი არ შეიძლება დაისაჯოს არც იმისათვის, რომ პირადად არ შეუშალა ხელი დანაშაულის ჩადენას, ვინაიდან მიმნებებლობა ჩვენი კანონმდებლობით არ ისჯება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დანაშაულის მიმნებებლობის დასჯადობას. მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში არის ერთი მუხლი, რომლის შემადგენლობა მოიცავს, სხვათა შორის, მიმნებებლობის განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევას. ეს არის „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობა, თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე“ (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხ.).

130-ე მუხლი მოიცავს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობას იმისდა მიუხედავად, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი მდგომარეობა, ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე ემუქრებოდეს იმის გამო, რომ იგი წყალში ჩავარდა და ცურვა არ იცის ან იმის გამო, რომ იგი ხანძრის დროს ცეცხლმოდებულ სახლში დარჩა და ა.შ. სხვა მიზეზებს შორის, ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე ემუქრებოდეს იმის გამო, რომ მას თავს დაესხნენ დამნაშავენი. თუ მესამე პირს ობიექტური შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს დანაშაულს და ამით გადაარჩინოს დაზარალებულის სიცოცხლე და, მიუხედავად ამისა, იგი არ

მოქმედობს, მიმნებებლობის ეს კერძო შემთხვევა დაისჯება, როგორც დახმარების აღმოუჩენლობა<sup>1</sup>.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს ის საკითხი, საჭიროა თუ არა მომავალ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში შეტანილი იქნეს სპეციალური მუხლი, რომელიც გაითვალისწინებს საერთოდ დანაშაულის მიმნებებლობის დასჯადობას.

პროფ. ა.ნ. ტრანინის საჭიროდ არ მიაჩნდა მიმნებებლობის დასჯადობა. მისი აზრით, „არ არის აუცილებელი ამხანაგური სოლიდარობის გრძნობა სისხლის სამართლის კანონის ღონისძიებებით დავნერგოთ და დავსაჯოთ მოქალაქენი, რომელნიც პასიურად გვერდს აუვლიან იმ ხულიგანს, ვინც ბაღში სკამს ამტვრევს ან მთვრალს, როდესაც იგი მილიციონერს წინააღმდეგობას უწევს“<sup>2</sup>.

ამავე შეხედულებას იზიარებს პ. მიშენინი. მისი აზრით, „ამჟამად, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა ცვლილებები ეკონომიკასა და საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა მოქალაქეების შეგნებულობა და დანაშაულთან მებრძოლმა ორგანოებმა დიდი გამოცდილება დააგროვეს, არ არის აუცილებელი დავაკისროთ მოქალაქეებს სამართლებრივი მოვალეობა ხელი შეუშალონ დანაშაულის ჩადენას. ეს მოვალეობა მორალური უნდა იყოს და არა სამართლებრივი. დანაშაულთან ბრძოლა უნდა აწარმოონ სასამართლომ, პროკურატურამ, მილიციამ და ზოგიერთმა სხვა ორგანომ. ამგვარად ამჟამად არ არსებობს აუცილებლობა მიმნებებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისა“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> ბ. ფურცხვანიძის აზრით, მიმნებებლობის სახედ უნდა ჩაითვალოს ავადმყოფისათვის არაპატივსაღები მიზეზით დახმარების აღმოუჩენლობა ან აღმოჩენაზე უარის თქმა იმ პირის მიერ, ვინც კანონით ან დადგენილი წესით მოვალე იყო დახმარება აღმოეჩინა (ბ. ფურცხვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 76). ასეთი დებულება ჩვენთვის გაუგებარია. დანაშაულის მიმნებებლობა, როგორც ეს თვით ტერმინიდან ჩანს, აუცილებლად გულისხმობს არა საერთოდ დახმარების აღმოუჩენლობას საფრთხეში მყოფი ადამიანისათვის, არამედ დანაშაულის ჩადენისათვის ხელის არშეშლას.

А.Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 133.

<sup>3</sup> პ. მიშენინი, დასახ. წერ., გვ. 15; ამავე შეხედულებას იზიარებენ პ. კრივერი და გ. გრიშავეი, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

კრიმინალისტების მეორე ჯგუფი საჭიროდ თვლის მომავალ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნეს თანამდებობრივი მიმნებებლობა, როგორც სპეციალური თანამდებობრივი დანაშაული. ამ შეხედულებას იზიარებდა, მაგალითად, პროფ. მ.მ. ისაევი. მისი აზრით, თანამდებობრივი მიმნებებლობისათვის უნდა დაისაჯოს ის პირი, ვინც იცის, რომ მზადდება ან უკვე სრულდება დანაშაული და არავითარ ზომებს არ იღებს დანაშაულის ასაცილებლად, თუმცა ვალდებული იყო ეს გაეკეთებინა თავისი თანამდებობის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. ამავე დროს პროფ. მ.ნ. ისაევი მიუთითებდა, რომ თუ ასეთი თანამდებობის პირი მოქმედებდა დამნაშავეებთან შეთანხმებით ან თუ მას პირდაპირი განზრახვა ჰქონდა დანაშაულის ჩადენისა უმოქმედობის მეშვეობით, მაშინ იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც დანაშაულის ამსრულებელი (?). ხოლო „მიმნებებელი უშვებს დანაშაულის ჩადენას...“<sup>1</sup>. პროფ. მ.მ. ისაევის აზრით, თანამდებობის პირის მიმნებებლობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან. იგი წერს: „ამავე დროს მიმნებებლობა მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან, რამდენადაც მიზეზობრივ კავშირს შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მარტო მოქმედების, არამედ აგრეთვე უმოქმედობის დროსაც“.<sup>2</sup>

პროფ. მ.მ. ისაევი მართებულად აღნიშნავს, რომ თუ თანამდებობის პირს სპეციალურად ჰქონდა დავალდებული დანაშაულის თავიდან აცილება და მან ეს ვადებულება არ შეასრულა, თუმცა მისი შესრულების მოვალეობა ჰქონდა, ასეთი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან. მაგრამ, ჩვენის აზრით, იგი მეტად ზღუდავს თანამონაწილეობის ცნებას, ვინაიდან მოითხოვს თანამონაწილეობისათვის ან შეთანხმებას ან, ყოველ შემთხვევაში პირდაპირ განზრახვას. თუ, მაგალითად, თანამდებობის პირი, რომელსაც მინდობილი აქვს მატერიალურ ფასეულობათა დაცვა, ხედავს, რომ მისი ხელქვეითი თანამშრომლები ანიაყებენ სახელმწიფო ქონებას, მაგრამ ხელს არ უშლის მათ დანაშაულს, ვინაიდან რაიმე მოსაზრებით სურს სახელმ-

---

<sup>1</sup> იხ. Советское право в период отечественной войны, М., 1948, გვ. 23, ხაზგასმულია ჩვენს მიერ — თ. წერეთლი.  
იქვე, გვ. 24.



წიფო ქონების განთავსება, იგი თანამონაწილედ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ თუ იგივე თანამდებობის პირი ხელს არ უშლის სახელმწიფო ქონების განთავსებას იმის გამო, რომ გულგრილად ეკიდება ამ ქონებას, ე.ი. თუ თანამდებობის პირი მოქმედობს ევენტუალური განზრახვით, ასეთი პირი, პროფ. მ.მ. ისაევის აზრით, უკვე არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ.

ნაშრომში თანამონაწილეობის შესახებ ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, რომ შეთანხმება თანამონაწილეობის აუცილებელ ნიშანს არ წარმოადგენს და რომ თანამონაწილეობა არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ თანამონაწილეს აქვს განზრახვა დანაშაულის ჩადენისა და ობიექტურადაც იგი ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, თუნდაც ამ ხელისშეწყობის შესახებ ამსრულებელმა არა იცოდეს. ამავე დროს იგულისხმება, რომ თანამონაწილენი განზრახ მოქმედებდნენ. მაგრამ როგორია ეს განზრახვა, პირდაპირი თუ ევენტუალური, ამას თანამონაწილეობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ მიგვაჩნია აუცილებლად თანამდებობრივი მიმნებებლობის სპეციალურად გათვალისწინება სისხლის სამართლის კოდექსში.

ამგვარად, თუ თანამდებობის პირი, რომლის სპეციალურ იურიდიულ მოვალეობას დანაშაულის თავიდან აცდენა წარმოადგენდა, განზრახ ხელს არ უშლის დანაშაულის ჩადენას, იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც იმ დანაშაულის თანამონაწილე, რომელსაც მან განზრახ ხელი არ შეუშალა.

თუ იგივე თანამდებობის პირი დანაშაულისათვის ხელის არშემშლის დროს გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, ასეთ შემთხვევაში იგი უნდა დაისჯოს სათანადო თანამდებობრივი დანაშაულისათვის, მაგრამ მის უმოქმედობას არ შეიძლება ეწოდოს მიმნებებლობა.

თუ დანაშაულის ჩადენას ხელს არ უშლის თანამდებობის პირი, რომლის სპეციალურ მოვალეობასაც არ წარმოადგენს ამ დანაშაულის თავიდან არიდება, ასეთი თანამდებობის პირი გათანაბრებული უნდა იქნეს ჩვეულებრივ მოქალაქესთან, ე.ი. მისი მიმნებებლობა უნდა დარჩეს დაუსჯელი, თუკი იგი რაიმე სხვა დანაშაულის შემადგენლობით არ არის მოცული (მაგალითად, განუცხადებლობით ან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობით).

იბადება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია დღევანდელ პირობებში სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნეს სპეციალური მუხლი, რომელიც გაითვალისწინებს მოქალაქეთა მიერ დანაშაულის მიმნებებლობის განუცხადებლობას?

შეიძლება დავეთანხმოთ იმ კრიმინალისტებს, რომ ამჟამად ჩვენს იუსტიციის ორგანოებს დიდი გამოცდილება აქვთ დანაშაულთან ბრძოლისა და ისინი წარმატებით ახორციელებენ ამ ამოცანას. მაგრამ, მეორე მხრით, დღევანდელ პირობებში, როდესაც საბჭოთა მოსახლეობის ფართო მასები აქტიურად არიან ჩაბმული დანაშაულთან ბრძოლის საქმეში და საბჭოთა იუსტიციის ორგანოებს ქმედით დახმარებას უწევენ, ურიგო არ იქნებოდა, რომ მოქალაქეთა მორალური მოვალეობა ებრძოლონ მძიმე დანაშაულს იურიდიულ მოვალეობად გვექცია, თუკი ასეთი ბრძოლა მათ საკუთარ ინტერესებს არ შელახავდა. ჩვენი კანონმდებლობა აკისრებს მოქალაქეებს პასუხისმგებლობას ზოგიერთი მძიმე დანაშაულის განუცხადებლობისათვის, მაგრამ არ აკისრებს მოქალაქეებს პასუხისმგებლობას დანაშაულის მიმნებებლობისათვის. ამავე დროს მიმნებებლობა, ჩვენის აზრით, უფრო მძიმე, ყოველ შემთხვევაში მორალურად უფრო საძრახისი დანაშაულია, ვიდრე განუცხადებლობა. განუცხადებლობის მოტივი ხშირად არის ნათესავური ან მეგობრული დამოკიდებულება დამნაშავესთან და ამიტომ მისი მხილების შიში, მაშინ, როდესაც მიმნებებლობას, როგორც საერთო წესი, თან ახლავს უსულგულობა, გულგრილობა, ეგოიზმი, რომელიც შეუთავსებელია სოციალისტური ყოფაცხოვრების წესებთან, შეუთავსებელია კომუნისტურ ზნეობასთან. ამასთან ერთად დანაშაულის მიმნებებლობის დასჯადობა მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობდა დანაშაულის წინასწარ აღდგენას და ამგვარად უფრო აქტიურად ჩააბამდა საზოგადოებრიობას დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

როგორი დანაშაულის მიმნებებლობის დასჯადობა უნდა იყოს აღიარებული მიზანშეწონილად? ასეთ დანაშაულთა მეტად ფართო წრეს ითვალისწინებდა, ჩვენის აზრით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 1950 წლის კოდექსი. ამ კოდექსის 164-ე პარაგრაფის მიხედვით ისჯებოდა მიმნებებლობა ისეთი დანაშაულებრივი ქმედობებისა, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, სამ-

უდამო ტუსალობა, ან თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე ერთი წლის ვადით. შემდგომმა კანონმდებლობამ დასასჯელი მიმნებებლობის მოცულობა მცირედ შეზღუდა.

პროფ. ა.ა. გერცენზონი თავის მოხსენებაში – „სოციალისტური სისხლის სამართლის და სამხედრო სისხლის სამართლის ზოგიერთი საკითხი“, – რომელიც მან წაიკითხა სამხედრო-იურადიული აკადემიის სამეცნიერო სესიაზე 1942 წლის მაისში, მოითხოვდა დანაშაულის მიმნებებლობის დასჯადობას კონტრრევოლუციური დანაშაულის, სოციალისტური ქონების გატაცებისა და ზოგიერთი განსაკუთრებით მძიმე სამხედრო დანაშაულის დროს.

ჩვენის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა დანაშაულის მიმნებებლობის დასჯადობა შემდეგ დანაშაულთა დროს: განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ბანდიტიზმი, მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, სოციალისტური ქონების გატაცება.

ზემოთნათქვამის მიხედვით, მუხლი დანაშაულის მიმნებებლობის შესახებ მოთავსებული უნდა იქნეს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და ფორმულირებული შემდეგნაირად:

#### *დანაშაულის მიმნებებლობა*

„მიმნებებლობა, ე.ი. განზრახ ხელშეუშლელი სახელმწიფო დანაშაულის (მუხ. მუხ. 65-70-ე, 73,78-ე), ბანდიტიზმის (78-ე), სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი რაოდენობით გატაცების (მუხ. მუხ. 91-ე, ნაწ. მე-3, 92, ნაწ. მე-3; 93-ე, ნაწ. მე-3; 94-ე, ნაწ. მე-4) ყაჩაღობის (მუხ. 96-ე და 152-ე), განზრახ მკვლელობის (მუხ. 104-ე, 105-ე, 258-ე პ. “გ“) სხეულის მძიმე დაზიანების, (მუხ. 110-ე) და გაუპატიურების (მუხ. 117-ე) ჩადენისათვის, თუ ამ დანაშაულისათვის ხელის შეშლა დაშნაშავეს შეეძლო თავისი თავისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საფრთხის გარეშე“.



**დანაშაულებრივი ქმედება  
და მისი შედეგი**

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს დანაშაულებრივი ქმედობისა და დანაშაულის შედეგის ცნებანი და მათი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, ნაჩვენებია, რომ მაკენე შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება ასაბუთებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან იწვევდეს უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას, როდესაც არსებობს ბრალეული ფსიქიკური დამოკიდებულება ამ მაკენე შედეგის მიმართ. ამავე დროს გაკრიტიკებულია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ფართოდ გავრცელებული შეხედულება პასუხისმგებლობის „ობიექტური პირობებისა“ და მძიმე შედეგის ობიექტური შერაცხვის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დაასაბუთოს, რა მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედობის ცნებას დანაშაულის ზოგადი ცნების აგებისათვის და რა როლს ასრულებს დანაშაულებრივი ქმედობა საზოგადოებრივი საშიშროების არსებობისა და მისი ხარისხის დადგენისათვის.

მაშინ, როცა სოციალისტური სისხლის სამართლისათვის არ არსებობს პასუხისმგებლობა ლიტონი განზრახვისათვის და ადამიანი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ნების გარეგანი გამოვლინებისათვის, რაც ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ბურჟუაზიული სამართლის თეორეტიკოსები დრო და დრო აყენებენ ახალ-ახალ თეორიებს, რომელთა მიზანია ამ დემოკრატიული პრინციპის გათელვა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროში აშკარა თუ ფარული ფორმით სუბიექტივიზმის დანერგვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონდა ეგრეთწოდებული „ფინალური მოძღვრება მოქმედების შესახებ“, რომელიც უკანასკნელ წლებში დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაშიც დაიწერა. ამ „მოძღვრების“ ავტორები ამტკიცებენ, რომ მათ გადატრიალება შეიტანეს სისხლის სამართლის ძირითად ცნებათა განსაზღვრებაში და რომ ისინი სრულიად ახალ საფუძველზე აგებენ დანაშაულის სისტემას. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ფინალური მოძღვრება დანაშაულის შესახებ, რომელსაც განზრახვის ცნება მოქმედების ცნებაში გადააქვს, ამით იმას აღწევს, რომ უგულვებელყოფს ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას და პასუხისმგებლობის საყრდენად მარტოოდენ პიროვნების სუბიექტურ მიზნებსა და ზრახვებს აცხადებს.

ნაშრომში გარკვეულია აგრეთვე დანაშაულის შედეგის ცნება, დადგენილია დანაშაულის შემადგენლობათა სახეები იმისდა მიხედვით, არის თუ არა მათში გათვალისწინებული შედეგი და, ბოლოს, გამოკვლეულია შედეგის როლი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისა და სასჯელის ზომის დადგენისათვის. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მკენე შედეგი, იმისდა მიუხედავად, დანაშაუ-

ლის შემაღენლობის ელემენტია იგი თუ მისი დამაკვალიფიცირებელი გარემოება, მხოლოდ მაშინ შეიძლება იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც იგი სუბიექტის ბრალითაა მოცული. ამის საწინააღმდეგოდ, ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, ისევე როგორც კაპიტალისტური ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში, უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი დამცველები გაუჩნდა პასუხისმგებლობის „ობიექტური პირობებისა“ და მძიმე შედეგის ობიექტური შერაცხვის იდეას, რაც თვით ბურჟუაზიულ კრიმინალისტებს აიძულებს დაადასტუროს „ბრალის პრინციპის კრიზისი“. ნაშრომში ნაჩვენებია ამ ტენდენციის განსაკუთრებული გაძლიერება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში.



**ქმედობა, როგორც ადამიანის ნაპოვობითი ქცევა**

**§1. ქმედობა, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი და პასუხისმგებლობის საფუძველი**

დანაშაულის შემადგენლობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს მოქმედება ან უმოქმედობა, ზუსტად განსაზღვრული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში. დანაშაულის შემადგენლობის ამ ძირითადი ელემენტის გარშემო თავმოყრილია მისი დანარჩენი ნიშნები, მაგალითად, ნიშნები, რომლებიც დანაშაულის სუბიექტს, სუბიექტურ მხარეს და ა.შ. ახასიათებენ.

სსრკ-ის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობი საფუძვლების მე-7 მუხლის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის) თანახმად „დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა)...“.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა უკავშირებს სასჯელის მუქარას მხოლოდ განსაზღვრულ კონკრეტულ გარეგან ქმედობას, რომელიც ხელყოფს სოციალისტურ საზოგადოებაში დამყარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ენებას აყენებს სოციალისტური მართლწესრიგით დაცულ ობიექტებს ან პქმნის მათი დაზიანების საფრთხეს. საბჭოთა სისხლის სამართალი არ ცნობს პასუხისმგებლობას „ლიტონი განზრახვისთვის“, „პირის ანტისოციალური“ ან „ანტისახელმწიფოებრივი განწყობისათვის“, თუკი იგი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენით არ გამოვლინდა. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობა ქმედობისათვის და არა სუბიექტის პირადი საშიშროებისათვის.

ამ დემოკრატიული დებულების საწინააღმდეგოდ, ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე, რომელსაც ტეზარი და კოლმანი ასაბუთებდნენ, ხოლო განსაკუთრებით თავგამოდებით სოციოლოგიური სკოლის მიმდევრები იცავდნენ. სიმპტომატური შეხედულების თანახ-

მად, ქმედობა, ადამიანის ნების გარეგანი გამოვლინება, წარმოადგენს მხოლოდ სიმპტომს, მხოლოდ საბაბს მოქმედის პიროვნების შეფასებისათვის. ისჯება მოქმედის განწყობა, ქმედობაში გამოვლინებული, და არა თვით ქმედობა!<sup>1</sup>

რეაქციული შეხედულება, რომელიც სჯის არა ქმედობას, არამედ პიროვნების ფსიქიკურ განწყობას, სასტიკად გააკრიტიკეს თავის დროზე მარქსიზმის კლასიკოსებმა. 1843 წელს, პროგრესული ბურჟუაზიული გაზეთის „Leipziger Allgemeine Zeitung“-ის აკრძალვასთან დაკავშირებით, კ. მარქსი წერდა: „...არავინ არ შეიძლება დაატუსაღონ, ან არავის არ შეიძლება წაართვან თავისი საკუთრება ან სხვა იურიდიული უფლება თავისი მორალური ხასიათის საფუძველზე თავისი პოლიტიკური და რელიგიური რწმენის საფუძველზე... ჩვენ მოვითხოვთ ხელშეუხებელ სამართლებრივ მდგომარეობას ყოველი უვარგისი არსებისათვის არა იმიტომ, რომ იგი უვარგისია, არამედ იმდენად, რამდენადაც მისი მანკიერება რჩება მის აზრთა წყობის ფარგლებში, რომლისთვისაც არ არსებობს არც ტრიბუნალი, არც კოლექსი. ამრიგად აზრთა ცულ წყობას, რომლისთვისაც არ არსებობს ტრიბუნალი, ჩვენ ვუპირისპირებთ ცულ ქმედობებს, რომელთათვისაც, თუ ისინი კანონსაწინააღმდეგონი არიან, არსებობს ტრიბუნალი და სასჯელთა დებულება“<sup>2</sup>.

აღნიშნული დემოკრატიული პრინციპი საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში განუხრელად ხორციელდება. ჯერ კიდევ 1925 წ. რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის ერთერთ განჩინებაში მითითებული იყო, რომ „არც აზრი, არც სურვილი სისხლისსამართლებრივი წესით არ დაისჯება, არამედ მხოლოდ ქმედობა, უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე...“<sup>3</sup>. იმავე იდეამ თავისი გამოხატულება ჰპოვა რსფსრ-ის იუსტსახკომისა და უმაღლეს სასამართლოს სადირექტივო წერილ-

<sup>1</sup> იხ. O. Tesaz, Die symptomatische Bedeutung der verbrecherischen Verhaltens. Abhandlungen des kriminalistischen seminars an der Universität Berlin. Neue Folge. 5. Band. 3. Heft, Berlin. 1907; Kollmann, Die Stellung des Handlungsbegriffs im Strafrechtssystem, Strafr. Abh. H. 91. 1908.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, стр. 182-183.

<sup>3</sup> „Сборник определений уголовной кассационной коллегии Верховного Суда РСФСР 1925 г.“. выш. I, М., 1925, стр. 154.

ში 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენების შესახებ: „მარტოოდენ ლიტონი განზრახვა, დანაშაულის ჩადენის ლიტონი სურვილი, რომელიც კონკრეტულ მოქმედებაში არ გამოვლინებულა, დანაშაულს არ წარმოადგენს და სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენებას არ იწვევს“<sup>1</sup>. იგივე დებულება უფრო საფუძვლიანადაა დასაბუთებული სსრკ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1946 წლის 12 ივლისის დადგენილებაში. „სასჯელი, – ნათქვამია ამ დადგენილებაში, – შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ განზრახვი ან გაუფრთხილებელი ბრალის არსებობისას იმ პირის მიმართ, ვინც განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ან უმოქმედობა ჩაიდინა“<sup>2</sup>.

ამგვარად, ადამიანის კონკრეტული ქმედობა წარმოადგენს იმ ძირითად ნიშანს, რომლის გარეშე სოციალისტურ სისხლის სამართალში არ არსებობს დანაშაულის ცნება და, მაშასადამე, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადამიანი ისჯება ქმედობისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, და ამის შესაბამისად ქმედობა წარმოადგენს არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და არსებით პირობას, არამედ აგრეთვე იმ პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ კონსტიტუციურ ნიშანს.

## §2. დანაშაულებრივი ქმედობა, როგორც ადამიანის ნებელობითი აქტი. ნებელობითი ქცევის არსი

რამდენადაც დანაშაულებრივ ქმედობას ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, სოციალისტურმა სისხლის სამართალმა უნდა შექმნას დანაშაულებრივი ქმედობის ისეთი ცნება, რომელიც გამოსადეგი იქნება დანაშაულის ყველა სახისა და ყველა გამოვლინებისათვის. სახელდობრ, დანაშაულებრივი ქმედობის ცნება უნდა მოიცავდეს, როგორც დადებით მოქმედებას, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებას, როგორც განზრახ

<sup>1</sup> См. „Еженедельник советской юстиции“, 1927 г., №2, стр. 44.

<sup>2</sup> „Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР“, М., 1958, стр. 55.

დანაშაულებრივ ქმედობას, ისე გაუფრთხილებელს, როგორც დამთავრებულ დანაშაულს, ისე მომზადებას და მცდელობას და ა.შ.

დანაშაულებრივი ქმედობის ასეთი საერთო ცნება არის ქმედობა, როგორც ადამიანის ნებისყოფის აქტი.

დებულება, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებული იქნეს მხოლოდ ადამიანის შეგნებულ და მიზანდასახულ მოქმედებასთან, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიული პროდუქტია.

სამართალი, საერთოდ, და სისხლის სამართალი, კერძოდ, არეგულირებს მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამართლებრივი ნორმები ადამიანებს მიმართავენ და მათგან მოითხოვენ ნორმის შესაბამის ქცევას. სოციალისტური სამართლის ნორმის აღრესატად ითვლება ადამიანი, როგორც ცნობიერი არსება, რომელსაც შეიძლება მოეთხოვოს, რომ მან თავისი ქცევა საზოგადოების ინტერესების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების შესაბამისად წარმართოს. ამიტომ გასაგებია, რომ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას, არამედ მხოლოდ სპეციფიკურ ადამიანურ მოქმედებას, ე.ი. შეგნებულ მიზანდასახულ საქციელს, რომლის ჩადენის დროსაც ადამიანი გამოდის როგორც გონიერი არსება, რომელსაც უნარი აქვს გაიგოს და შეასრულოს მართლწესრიგის მოთხოვნანი. ამიტომ საჭაროა უპირველესად ყოვლისა დადგინდეს ნებულობითი ქცევის არსი და მისი შემადგენელი ელემენტები.

ნებულობითი ქცევის უნარი ადამიანს შეუძუშავდა შრომის პროცესში, ე.ი. პროცესში, „რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მოსაშუალებს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის“<sup>1</sup>. თავისი ნებულობითი ქცევით ადამიანი ზემოქმედებას ახდენს გარემო სამყაროზე და ცვლის მას. მარქსიზმი არ უარყოფს, რომ ბუნებაზე ზემოქმედებას მართლ ადამიანი როდი ახდენს, პირიქით, იგი თვლის, რომ გეგმაზომიერი მოქმედების უნარი ცხოველსაც აქვს. „მაგრამ ვერც ერთი ცხოველის ვერავითარმა გეგმაზომიერმა მოქმედებამ ვერ შეძლო ბუნებაზე თავისი ნებისყოფის დაღი დაეჩნია. ეს მხოლოდ ადამიანმა შეძლო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, სახელგამი, 1954, გვ. 227.

<sup>2</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1964, გვ. 99.

ადამიანის არსებითი განსხვავება ცხოველისაგან იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს აქვს უნარი შეგნებულნი, მიზანსწრაფიერი მოქმედებისა, რისი მეშვეობითაც იგი ცვლის გარეშე სამყაროს წინასწარ დასახული მიზნისა და შედეგნილი გეგმის შესაბამისად. კ. მარქსი წერდა: „ობობა ასრულებს ისეთ ოპერაციებს, რომელნიც ფეიქრის ოპერაციებს მოგვაგონებენ, და ფუტკარი თავისი ფიჭის უჯრედების აშენებით ბევრ ხუროთმოძღვარს გააწილებს. მაგრამ რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკრისაგან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიჭის უჯრედს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი“<sup>1</sup>.

შეგნების მომენტის გამო კავშირი გარეშე სიტუაციის იმპულსებასა და ადამიანის ნებელობით მოქმედებას შორის უშუალო და ერთმნიშვნელო კი არ არის, არამედ გაშუალებულია შეგნების მომენტით. ადამიანში წარმოშობილი აქტუალური მოთხოვნილება ნებელობით აქტის დროს უშუალოდ როდი გადადის მოძრაობაში<sup>2</sup>. ნებისყოფა მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას სხვა წყაროებში ნახულობს და არა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უშუალო იმპულსში. ნებელობით აქტის ჩადენის დროს ადამიანი ჯერ შეიგნებს ამ მოთხოვნილებას, განსაზღვრავს თავისი მოქმედების მიზანს, დასახავს სხვადასხვა გზებს მის მისაღწევად, შეაფასებს ამ გზებს და ბოლოს მოქმედებს ამ შეფასების შედეგების შესაბამისად. გარეშე სამყაროს მოვლენები ადამიანზე უშუალოდ კი არ მოქმედებენ, არამედ მოტივად გარდაქმნილ წარმოდგენათა მეშვეობით. ადამიანი აფასებს ამ მოტივებს, შეგნებულად აწონ-დაწონის მათ და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს. თანაც მოტივების აწონ-დაწონის დროს ადამიანს შეუძლია დაუსხლტეს ზოგიერთი მოტივის ზეგავლენას და თავისი ქცევა სხვა მოტივებს დაუმორჩილოს. მას შეუძლია ჩაიკლას ერთი სურვილი და აღიძრას სხვა, თუნდაც უფრო შორეული და უშუალო იმპულსთან კავშირში არმყოფი.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 228.

<sup>2</sup> ეს მომენტი იმდენად მნიშვნელოვანია ნებელობითი ქცევის ცნებისათვის, რომ აკად. დ. უზნაძის აზრით, ნებისყოფის პრობლემა ნების სწორედ ამ თავისებურებაში მდგომარეობს და ამიტომ ფსიქოლოგიამ განსაკუთრებით უნდა გამოარკვიოს იმ საეციფიკური წყაროს ბუნება, საიდანაც ნება მოქმედების ენერგიას იღებს (იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 145).

მაშინ, როდესაც იმპულსურ აქტში მოქმედებს თვით იმპულსი, რომელიც მთელ მოძრაობას იმორჩილებს, ნებელობით აქტში მოქმედებს სუბიექტი, რომელიც შეგნებულად და გეგმაზომიერად არეგულირებს თავის მოქმედებას წინასწარ დასახული მიზნის შესაბამისად<sup>1</sup>.

ნებელობითი აქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ერთგვარად გამოჰყოფს თავის თავს ობიექტური გარეშე სამყაროსაგან, უპირისპირებს მას თავის თავს, გააობიექტურებს თავის მომავალ ქცევას მანამდე, ვიდრე მოქმედებას დაიწყებდეს, თავის გონებაში შეცვლის ობიექტს, რომელიც საჭიროა მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სუბიექტსა და ობიექტურ გარეშე სამყაროს შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც ნებელობის პროცესში გამოვლინდება, როგორც წინააღმდეგობა მოქმედების მიზანსა და ამ მიზნის დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილ ობიექტს შორის, მოისპობა (დაიძლევა) ქმედობის მომენტში, ე.ი. მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მომენტში. „შრომის პროცესის დასასრულს ვლენულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა“<sup>2</sup>.

ამრიგად, ადამიანის ნებელობითი მოქმედება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანის შეგნებული მიზანსწრაფული ზემოქმედება მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, ნებელობით მოქმედებაში ორი მხარეა – ობიექტური და სუბიექტური. მოქმედების სუბიექტური ანუ ფსიქოლოგიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედება განსაზღვრულ მიზანს ისახავს და განსაზღვრული მოტივებით არის წარმართული. მოქმედების შეგნებული მიზანი, – წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ი. ლექმასი, – „პიროვნების იმ შინაგან განწყობას წარმოადგენს, რომელმაც წარმართა იგი ამ მოქმედებისაკენ, რომელიც ამგვარად შესაბამის ობიექტურ პროცესში

---

<sup>1</sup> უშუალო სიტუაციის იმპულსებისაგან გათავისუფლება და საკუთარ თავზე ბატონობის უნარი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის მოქმედება აბსოლუტურად არ არის დეტერმინირებული. ადამიანის ნებელობითი მოქმედება, ისევეა მიზეზობრივად განპირობებული, როგორც მისი სხვაგვარი მოქმედება, მაგრამ ამ მიზეზობრიობას განსაკუთრებული, სპეციფიკური ხასიათი აქვს, ვინაიდან იგი გაშუალებულია ცნობიერების მომენტით.

<sup>2</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 228.

გადავიდა და მოქმედების შინაარსად გადაიქცა<sup>1</sup>. მოქმედების ობიექტური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი ზემოქმედებას ახდენს ობიექტურ გარეშე სამყაროზე ნებისყოფის გარეგანი გამოვლინებით, ე.ი. დადებითი მოქმედებით ან მოქმედებისაგან თავის შეკავებით. მაშასადამე, მოქმედება არ ამოიწურება არც მარტო შინაგანი მხარით, არც მარტო სხეულის მოძრაობით. იგი ობიექტური და სუბიექტური მოქმედების დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს.

ნებელობითი მოქმედების არსი შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ადამიანის დამოკიდებულება გარეშე სამყაროსთან, საზოგადოებასთან, სხვა ადამიანთან, ვინაიდან თავისი ნებელობითი მოქმედებით ადამიანი ურთიერთობას ამყარებს სხვა პირებთან, საზოგადოებასთან. „როდესაც თვით მოქმედი სუბიექტი შეიცნობს მოქმედებას თავის ამ თვისებაში, მაშინ მოქმედება ქცევად გადაიქცევა. ქცევა – ისეთი მოქმედებაა, რომელსაც თვით მოქმედი სუბიექტი აღიქვამს და შეიცნობს, როგორც საზოგადოებრივ აქტს, როგორც სუბიექტის გამოვლინებას, რომელიც გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან“<sup>2</sup>.

როგორც ღავეინახეთ, ნებელობითი მოქმედების ობიექტური მხარე გულისხმობს ქცევას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც ზემოქმედებას ახდენს ობიექტური გარეშე სამყაროს განსაზღვრულ ობიექტზე დასაზღული მიზნის რეალიზაციისათვის. თავისთავად ცხადია, ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება შეძლოს ზემოქმედება ობიექტურ გარეშე სამყაროში არსებულ ობიექტზე, თუ იგი გამოიყენებს განსაზღვრულ საშუალებებს, რომლებიც ამ გარესამყაროს ეკუთვნიან და გარეშე კანონზომიერებას ემორჩილებიან. ადამიანი „სარგებლობს ნივთთა მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, რათა, თავისი მიზნის შესაბამისად, გამოიყენოს ისინი როგორც ძალა-საშუალებანი სხვა ნივთებზე ზემოქმედებისათვის“<sup>3</sup>. შრომის პროცესის გამოკვლევისას კ. მარქსი იძლევა შრომის საშუალებათა

<sup>1</sup> J. Lekschas, Die Lehre von der Handlung unter besonderer Berücksichtigung strafrechtlicher Probleme, Berlin, 1953, S. 39.

<sup>2</sup> С.Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 543.

<sup>3</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ.1, 1954, გვ. 229.

კლასიკურ განსაზღვრებას, რომელიც საზოგადოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის შეგნებული მიზანდასახული საქმიანობის ახსნისათვის. შრომის საშუალება, კ. მარქსის აზრით, — ეს არის „ნივთი ანუ კომპლექსი ნივთებისა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ“<sup>1</sup>. შრომის უმარტივეს, ყველაზე უფრო პრიმიტიულ საშუალებებად კ. მარქსი თვლის ბუნებრივ ორგანოებს, რომლებიც ადამიანის სხეულს ეკუთვნიან, — ე.ი. ხელს, ფეხს, თავსა და თითებს. ადამიანს შრომის საშუალებად შეუძლია გამოიყენოს ისეთი საგნებიც, რომელნიც თვით ბუნებაში ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. ეს, ბუნებაში მოცემული საგნები, თავისდათავად როდი წარმოადგენენ საშუალებას; თვით ადამიანი გადააქცევს მათ საშუალებად, რამდენადაც თავისი მიზნებისათვის იყენებს. „ამრიგად, საგანი, მოცემული თვით ბუნების მიერ, იქცევა მისი მოქმედების ორგანოდ, რომელსაც იგი თავისი საკუთარი სხეულის ორგანოებს უმატებს და ამით, წინააღმდეგ ბიბლიისა, თავის ბუნებრივ სხეულს აგრძელებს“<sup>2</sup>. დაბოლოს, ადამიანმა დასახული მიზნის განხორციელებისათვის შეიძლება გამოიყენოს მის მიერ სპეციალურად შექმნილი საშუალებანიც, რომელნიც ამგვარად თვით არიან პროდუქტი მისი მიზანშეწონილი, შრომითი საქმიანობისა, თანაც ადამიანს ძალუძს ისე გამოიყენოს ეს საშუალებანი გარეშე ობიექტურ სამყაროზე ზემოქმედებისათვის, რომ თვით უშუალოდ არ ჩაერიოს ამ ზემოქმედების პროცესში. ამ საკითხზე კ. მარქსს ჰეგელის შეძვედი სიტყვები მოყავს: „გონება ისევე ზერხიანია, როგორც ძაღვანი. ზერხიანობა საერთოდ მდგომარეობს იმ მეშვეობითი სახის მოქმედებაში, რომელიც, აიძულებს რა ობიექტებს მათი ბუნების შესაბამისად ზემოქმედება მოახდინონ ერთმანეთზე და ურთიერთდამუშავება განიცადონ, ისე რომ თვითონ უშუალოდ ამ პროცესში არ ერევა, — მაინც მხოლოდ თავის მიზანს ახორციელებს“<sup>3</sup>.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სადავოა ის საკითხი, ეკუთვნის თუ არა ადამიანის მოქმედების საშუალება

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 229.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 229-230.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 229.



თვით მოქმედების ცნებას, თუ იგი მოქმედების ცნებაში არ შედის. დადებით პასუხს ამ კითხვაზე პროფ. ნ. ღურმანოვი იძლევა. მისი აზრით, რამდენადაც ადამიანის მიერ გამოყენებული საშუალებანი, „მისი გაგრძელებული ორგანოები“ არიან, ამდენად ისინი „არ უპირისპირდებიან მას, როგორც დამოუკიდებელი ძალები, არ წარმოადგენენ შედეგის წარმოქმნის პირობებს მის საქმიანობასთან ერთად, ისინი მხოლოდ და მხოლოდ თვით ადამიანისა და მისი საქმიანობის ნაწილი არიან“<sup>1</sup>. აქედან პროფ. ნ. ღურმანოვი იმ დასკვნას აკეთებს, რომ დანაშაულებრივი ქმედობის ცნება „მოიცავს არა მარტო ადამიანის სხეულებრივ მოძრაობას, არამედ აგრეთვე იმ ძალებსაც, რომელთაც იგი იყენებს და იმ კანონზომიერებებს, რომლებითაც იგი სარგებლობს“<sup>2</sup>.

ამ შეხედულებას ბოლო დროს პროფ. ა. პიონტკოვსკიც მიემხრო. მისი აზრითაც, მოქმედება არ ამოიწურება სხეულის მოძრაობით. სხეულებრივი მოძრაობა, თავისთავად აღებული, იმ კონკრეტული პირობების გარეშე, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა, იმ საშუალებებისაგან მოწყვეტით, რომელნიც პიროვნებამ გამოიყენა, და იმ ცვლილებების მხედველობაში მიუღებლად, რაც მას მოჰყვა, ლიტონ აბსტრაქციას წარმოადგენს<sup>3</sup>.

საბჭოთა კრიმინალისტების მეორე ნაწილი, ერთი მხრით, უდავოდ აღიარებს იმ დებულებას, რომ რამდენადაც ადამიანის ქცევა გამოიხატება ადამიანის ზემოქმედებაში ობიექტურ გარეშე სამყაროზე, ამდენად ადამიანს არ შეუძლია იმოქმედოს ისე, რომ მხედველობაში არ მიიღოს ამ გარეგანი პროცესის კანონზომიერებანი და არ გამოიყენოს ბუნების კანონები, მაგრამ, მეორე მხრით ამ კრიმინალისტებს სწორად არ მიაჩნიათ გარე სამყაროს კანონზომიერებათა და, მამასადამე, მოქმედების საშუალებათა თვით მოქმედების ცნებაში შეტანა. „ადამიანის მოქმედება მის ნებაზეა დამოკიდებული, — წერს ნ. კუზნეცოვა, — ხოლო გარეშე სამყაროს კანონზომიერებანი დამოუკიდებელია ადამი-

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Общие основания причинной связи в уголовном праве, „Вопросы уголовного права“. Сборник I. М., 1945, стр. 49.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, стр. 54.

<sup>3</sup> об. А. А. Понотковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 173.

ანის შეგნებისა და ნებისაგან“<sup>1</sup>. ასე, მაგალითად, მკვლელობის დროს ადამიანს შეუძლია გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, მიიღოს რა მხედველობაში მისი ზემოქმედება და ისარგებლოს რა ამ ზემოქმედების კანონზომიერებით. მაგრამ ყველა ეს გარეგანი პროცესი — თოფის წამლის აფეთქება, ტყვიის გავარდნა და ა.შ. ადამიანის მოქმედების ნაწილად ვერ გადაიქცევა. მით უფრო უმართებულო იქნებოდა ადამიანის მოქმედებისათვის მიგვეკუთვნებია სხვა ადამიანთა მოქმედება, რომელსაც პირველი მოქმედი მხედველობაში იღებდა თავისი ნებელობითი ქცევის დროს, როგორც ამას მ. კოვალიოვი და პ. ვასკოვი აკეთებენ. ეს უკანასკნელნი არა მარტო განზრახი, არამედ აგრეთვე გაუფრთხილებელი ქმედობის შემადგენელ ნაწილად თვლიან ყველა ძალას და გარემობას, რომელნიც სუბიექტმა თავისი განზრახი თუ გაუფრთხილებელი მოქმედებით მოძრაობაში მოიყვანა და რომლებმაც პირველი სუბიექტის მოქმედებასთან ერთად ერთობლივად გამოიწვიეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა<sup>2</sup>. როგორც ვ. კუდრიავეცივი მიუთითებს, მოქმედების ცნების ასეთი გაფართოება არა მარტო თეორიულად არ არის სწორი, არამედ პრაქტიკულადაც მიუღებელია, სახელდობრ, მან შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მეტი გაფართოება გამოიწვიოს<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კ. მარქსის დებულებანი შრომის პროცესის შესახებ. კ. მარქსი წერდა: „შრომის პროცესის მარტივი მომენტებია: მიზანშეწონილი მოქმედება, ანუ თვით შრომა, შრომის საგანი და შრომის საშუალებანი“<sup>4</sup>.

ამგვარად, კ. მარქსი შრომის პროცესში სამ მომენტს განასხვავებს: ა) ადამიანის მიზანშეწონილ მოქმედებას, ან თვით შრომას, რომელშიც მას შეაქვს, ერთის მხრივ სუბიექტური მომენტები — ე.ი. მიზნის დასახვა და ნებისყოფის სხვა ელემენტები, ხოლო, მეორე მხრივ — ობიექტური მომენტები, ე.ი. იმ ორგანოების დაძაბვა, რომელ-

<sup>1</sup> Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, стр. 11.

<sup>2</sup> М. И. Ковалев, П. Т. Васильков, Причинная связь в уголовном праве, М., 1958, стр. 42-44.

<sup>3</sup> В. П. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 79-80.

<sup>4</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 228.

თა მეშვეობით ადამიანი მოქმედებს; ბ) შრომის საგანს, ე.ი. იმ მასალას, რომელზედაც ზემოქმედებას ახდენს ადამიანი შრომის პროცესში და გ) შრომის საშუალებებს, ე.ი. იმ ნივთებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ზემოქმედებას ახდენს შრომის საგანზე და რომელთა რიცხვს კ. მარქსი შრომის პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელ ყველა მატერიალურ პირობას აკუთვნებს (ამ უკანასკნელთ კი მარქსი უწოდებს შრომის პროცესის საშუალებებს უფრო ფართო მნიშვნელობით). როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, კ. მარქსი შრომის პროცესიდან გამოჰყოფს თვით შრომას თავისთავად და ამ უკანასკნელში შრომის საშუალებანი და საგანი არ შეაქვს.

კ. მარქსის ეს დებულება შრომის პროცესის შესახებ შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოდ ადამიანის ყოველი მიზანდასახული მოქმედების ასახსნელად. თუ ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედების მთელ პროცესს ავიღებთ, იგი შეიძლება შემდეგ შემაღგენელ ელემენტებად დავყოთ: ადამიანის შეგნებული მოქმედება, გარე სამყაროს ობიექტი, რომელზედაც მიმართულია ეს მოქმედება და მოქმედების საშუალებანი. როგორც ჩანს, ასევე უნდა იქნეს აგებული დანაშაულებრივი ქმედობის ცნებაც.

ამ კონცეფციას, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს კ. მარქსის დებულებიდან შრომის პროცესის შესახებ, სავსებით შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოურისტიის ი. ლექშასის შეხედულება, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან მოქმედებას და მოქმედების მთელ პროცესს. მოქმედების პროცესს, ლექშასის აზრით, ეკუთვნის თვით სუბიექტი, მოქმედება, როგორც ადამიანის შეგნებული მიზანწარმართული ზემოქმედება გარეშე სამყაროზე, მოქმედების საშუალებანი და ობიექტი, რომელზედაც მიმართულია მოქმედება და რომელშიც უნდა მოხდეს სასურველი ცვლილება, ე.ი. ის შედეგი, რისთვისაც ადამიანი იღწვის. რაც შეეხება მოქმედებას, ი. ლექშასი მას სავსებით სწორად აკუთვნებს ადამიანის შეგნებულ მიზანს, შინაგან განწყობას, რომელმაც გამოიწვია მასში მოქმედების სურვილი, და ამ საქმიანობის

---

<sup>1</sup> J. Lekschas, Die Lehre von der Handlung unter besonderer Berücksichtigung strafrechtlicher Probleme, Berlin, 1953, S. 39.

ობიექტურ გამოვლინებას, ე.ი. ადამიანის გარეგან მოქმედებას ან უმოქმედებას<sup>1</sup>.

აქედან თანამიმდევრულად გამომდინარეობს, რომ დანაშაულებრივი ქმედობის საშუალებანი თუმცა დანაშაულის განხორციელების მთელი პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ თავისთავად მოქმედების ცნებაში არ შედიან და ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მათზე სპეციალურად არ შეეჩერდებით.

რამდენადაც ნებელობითი ქცევის უნარის წყალობით ადამიანს შეუძლია დაუსხლტეს უშუალო სიტუაციის იმპულსთა ზეგავლენას და თავისი მოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმათა მოთხოვნებს დაუპირჩილოს, ამდენად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებულ იქნეს სწორედ ადამიანის ნებელობით ქცევასთან. პირიქით, სისხლის სამართალმა არ შეიძლება მხედველობაში მიიღოს ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის ნებისყოფის გამოვლინებას არ წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაკავშირებულ იქნეს რეფლექტორულ მოქმედებასთან, რომელიც ავტომატურად, უშუალო ფიზიოლოგიური გაღიზიანების შედეგად, ადამიანის შეგნებული კონტროლის გარეშე ხორციელდება. თუ, მაგალითად, ტრამვაის ძლიერი და უეცარი მოძრაობის შედეგად ა., რომელიც ტრამვაის ბაქანზე იდგა, ტრამვიიდან ჩამოვარდნის დროს, თანდაყოლილი რეფლექსის გამო, ავტომატურად ხელს წაავლებს მოქალაქე ბ.-ს და იმასაც გადმოიყოლებს, ასეთი მოძრაობით გამოწვეული მანვნი შედეგისათვის ა. სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს, ვინაიდან მას ნებელობითი მოქმედება არ ჩაუდენია.

ნებელობითი მოქმედება გამორიცხულია აგრეთვე დაუძლეველი ძალის დროს (ეგრეთწოდებული vis absoluta), ე.ი. ისეთი სხეულებრივი მოძრაობის დროს, როდესაც სუბიექტი გარეგანი ძალის უნებისყოფი იარაღს წარმოადგენს. მაგალითად, ვინმე ხელს მოუჭერს მეორე პირს ხელზე და ფიზიკურად აიძულებს მას ხელი მოაწეროს ყალბ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს არა ის, ვინც ფიზიკური ძალდატანების გამო იძულებული იყო ხელი მოეწერა ყალბ დოკუმენტზე, არამედ ის, ვინც ამ მიზნით ძალა გამოიყენა.

სხვაგვარად წყდება საკითხი ფსიქიკური ძალადობის დროს (*vis compulsiva*) როდესაც მაიბულებელი უშუალო ფიზიკურ ზემოქმედებას კი არ ახდენს სუბიექტზე, არამედ მის ნებისყოფაზე ზეგავლენის (მუქარის) მეშვეობით განსაზღვრავს სუბიექტის მოქმედებას თავისთვის სასურველი მიმართულებით.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, ფსიქიკური ძალადობა ისევე გამოირიცხავს ნებელობის აქტს, როგორც ფიზიკური ძალადობა. ამ შეხედულებას იზიარებდა პროფ. ა. ტრანინი. მისი აზრით, „ქმედობის სისხლისსამართლებრივი თვისება უარყოფილ უნდა იქნეს ისეთი მოქმედების დროსაც, რომელიც ჩადენილი იყო ნებისყოფის დამთრგუნველი ფსიქიკური ძალადობის ზეგავლენით. პირი, რომელიც სიკვდილის უშუალო და აშკარა მუქარის ზეგავლენით მოქმედებს, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სხვისი ნების მექანიკური ამსრულებელი“<sup>1</sup>. აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად ა. ტრანინს შემდეგი მაგალითი მოყავდა: მოლარემ სიკვდილის მუქარის ზეგავლენით გადასცა თავდამსხმელს სალაროს ნაღდი; ასეთ შემთხვევაში პროფ. ა. ტრანინის აზრით, მოლარე გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არა იმიტომ, რომ იგი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იმყოფება, არამედ „იმიტომ, რომ არ არსებობს „მოქმედება“ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით: პირი ემორჩილება ბაროტმოქმედს სიკვდილის მუქარის ზეგავლენით, იგი სხვისი ნებისყოფის ბრმა შემსრულებელია. იარაღია სხვის ხელში, და სწორედ ამიტომ შეიძლება წარმოიშვას საკითხი სასჯელის გამოყენების შეუძლებლობის შესახებ“<sup>2</sup>.

აღნიშნული შეხედულება, ჩვენის აზრით, სწორად ვერ აფასებს ფსიქიკური ძალადობის (მუქარის) ზეგავლენით ჩადენილი ქმედობის ფსიქოლოგიურ ბუნებას და ვერ იძლევა მის ზუსტ იურიდიულ კვალიფიკაციას.

ფსიქიკური ძალადობა არ გამოირიცხავს მოქმედების ნებელობით ხასიათს, არამედ იგი კქმნის უძლიერეს მოტივს გარკვეული მიმართულებით მოქმედების სასარგებლოდ. ამავ დროს პირს მაინც რჩება

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 329 შენიშვნა I.

შესაძლებლობა უძლიერეს მოტივს (ამ შემთხვევაში – შიშს) სხვა მოტივი (მაგალითად, მოვალეობის გრძნობა) დაუპირისპიროს და მოქმედება არ ჩაიდინოს. ამგვარად ფსიქიკური ძალადობის ზეგავლენით ჩადენილი მოქმედების დროს ნებისყოფის მომენტი არ არის აბსოლუტურად გამორიცხული, არამედ მოტივაციის პროცესია შეზღუდული. იმიტომ თუ ფსიქიკური ძალადობით ჩადენილმა მოქმედებამ უფრო მნიშვნელოვანი სიკეთე დააზიანა, ვიდრე ის სიკეთეა, რომელსაც მოძალადე ემუქრებოდა, ასეთ შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობის არარსებობის გამო, პირი არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, თუ ვინმე მოკვლის მუქარით გასცემს მტერს სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას, რომლის გაცემამ სახელმწიფოს შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, საიდუმლოს გამცემი, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, არ იმყოფება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში და არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაშასადამე, ფსიქიკური ძალადობის დროს მოქმედი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან არა იმიტომ, რომ იგი არ მოქმედობს, არამედ მარტოოდენ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის საფუძველზე (თუ ამ უკანასკნელისათვის საჭირო პირობები არსებობს).

ნებელობითი ქცევა არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი სხეულებრივი მოძრაობის ან უმოქმედობის დროს, რამაც მანვე შედეგი გამოიწვია, იმყოფებოდა უგონობის მდგომარეობაში, როდესაც გამორიცხულია თავის ტვინის მაკონტროლებელი საქმიანობა. მაგალითად, ბოროტმოქმედებმა რკინიგზის დარაჯის დასაძინებელი წამალი დააღვინეს, რის გამოც ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება და ვერ აცნობა მემანქანეს მატარებლის მარცხის საფრთხის შესახებ. რკინიგზის დარაჯის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია, ვინაიდან მის მიერ მოვალეობის შესრულებლობა არ წარმოადგენს ნებელობით ქცევას.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში „გადამწყვეტია არა ამ პროცესების შემთხვევითი გარეგანი ფორმა, არამედ ის, რომ აღნიშნული პროცესების შედეგად ადამიანის გარეგანი მოძრაობა გაპირობებული არ არის მისი საზრიანი საქმიანობით ან, სპეციალური გამოთქმა რომ

ვისმართო, გარეგანი ქცევა გაპირობებული არ არის ადამიანის ნებით<sup>1</sup>.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მოქმედება იმპულსური მოქმედებაა, რომელსაც შეგნებული კონტროლის შედარებით სუსტი ხარისხი ახასიათებს<sup>2</sup>. აფექტი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოირიცხავს, თუმცა იგი ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება<sup>3</sup>. იბადება კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აფექტში ჩადენილი ქმედობისათვის იმ დებულებას, რომ ეს პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ ნებლობით ქცევას, რომლის დროსაც სუბიექტი თავისუფალია უშუალო სიტუაციის იმპულსებისაგან და მას უნარი აქვს შეგნებულად წარმართოს თავისი მოქმედება დასახული მიზნის შესაბამისად? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

უპირველესად ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ საერთო წესით აფექტი სავსებით როდი გამოირიცხავს ადამიანის შეგნებულ კონტროლს, არამედ მხოლოდ ასუსტებს მას. როგორც საბჭოთა ფსიქოლოგები მიუთითებენ, „სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს აფექტის მდგომარეობაში ადამიანი სრულიად არ შეიგნებს იმას, რასაც იგი აკეთებს და თითქოს ამიტომ იმპულსური მოქმედებანი სავსებით მოკლებული არიან შეგნებულობას... იმპულსურ მოქმედებათა თავისებურებას მათი სრული შეუცნობლობა კი არ წარმოადგენს, არამედ მხ-

<sup>1</sup> J. Lekschas, op. cit., p. 8.

<sup>2</sup> Б. М. Теплов, Психология, М., 1948, стр. 156.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს აფექტს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ზოგად გარემოებას (დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გაყენებით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით), ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებულია, როგორც სპეციალური შემაღენლობანი, განზრახი მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხ. 106) და სხეულის განზრახი მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი ამავე მდგომარეობაში (მუხ. 113). ამ მუხლებით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული იყოს დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ.

ოლოდ ის, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს მოქმედების მიზნის ნათელი შეგნება და, მეორე, გაძნელებულია საკუთარი მოქმედების შეგნებული კონტროლი<sup>1</sup>. იმპულსურ მოქმედებასაც თავისი დასაბამი ფსიქიკურ (შეგნებულ) პროცესში აქვს, მაგრამ იმპულსი გადადის მოქმედებაში საწინააღმდეგო წარმოდგენათა არარსებობის პირობებში, რის გამოც იმპულსურ მოქმედებაში არ გადადის მთელი პიროვნება, მისი ყველა პიროვნული თვისებებითა და მიზანდასახულობით, არამედ მხოლოდ ერთი უძლიერესი იმპულსი<sup>2</sup>. იმპულსური მოქმედება, რამდენადაც მასში, თუმცა პრიმიტიულად, მაგრამ მაინც მოცემულია ნებელობის ელემენტი, არ გამორიცხავს ამიტომ მოქმედებას. საბჭოთა ფსიქოლოგები აფექტში ჩაღწილ მოქმედებას მიაკუთვნებენ ნებელობით მოქმედებათა სფეროს ფართო მნიშვნელობით.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ აფექტური მოქმედება, საბჭოთა ფსიქოლოგების აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ მოქმედებად, რომელიც არ შეიძლება იქნეს დაძლეული. მართალია, თვით აფექტური აფეთქების მომენტში ადამიანს ეკარგება თავისი მოქმედების წარმართვის უნარი და იგი მთლიანად აფექტის ბრჭყალებშია მოქცეული, მაგრამ მას აქვს უნარი არ დაუშვას თავისი თავი აფექტურ აფეთქებამდე, არ მისცეს აფექტს განვითარების შესაძლებლობა. „ამიტომ, – წერს საბჭოთა ფსიქოლოგი ს. რუბინშტეინი, – საკითხი ასე კი არ უნდა დავაყენოთ: დასძლიეთ – როგორც გსურთ, – აფექტი, რომელმაც თქვენ უკვე შეგიპყროთ და თქვენ არ დაუშვებთ უპასუხისმგებლო აფექტურ ქცევას, როგორც დამთავრებული სახით უკვე გაფორმებული აფექტის გარეგან გამოხატულებას, არამედ ამგვარად: ნუ დაუშვებთ, რომ აღძრული აფექტი მოქმედების სფეროში შეიჭრას, და ამით თქვენ დასძლევთ აფექტს, მოაცილებთ თქვენში აღძრულ ემოციურ მდგომარეობას მის აფექტურ ხასიათს“<sup>3</sup>.

მაგრამ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში აფექტის მდგომარეობამ შეიძლება ცნობიერების ისეთი სრული დაკარგვა გამოიწვიოს, რომელიც საკვებით გამორიცხავს აზროვნების უნარს და შეგ-

<sup>1</sup> ბ. ტელოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

<sup>2</sup> გერმანულ ფსიქოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში აფექტურ მოქმედებებს ამის გამო „Kurzschlusshandlungcn“-ს უწოდებენ.

<sup>3</sup> С. И. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 506.



ნებული კონტროლის რაიმე ნიშან-წყალს. ასეთ აფექტს პათოლოგიური აფექტი ეწოდება. პათოლოგიური აფექტის დროს არ არსებობს ნებულობითი მოქმედება, ვინაიდან ადამიანის თავის ტვინი პარგავს თავის მაკონტროლებელ უნარს და ამის გამო სუბიექტს არ შეუძლია უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. მაშასადამე პათოლოგიური აფექტის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სავსებით გამორიცხებულია, მაშინ როდესაც ფიზიოლოგიური აფექტი შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში, მხოლოდ როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება.

ნებელობითი მოქმედება გამორიცხული არ არის იმ შემთხვევებში, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია *actio libera in causa*-ს სახელწოდებით. ამ უკანასკნელთა არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუშკა მანვე შედეგის გამოწვევის მომენტში პირი უგონობის მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ეს უგონო მდგომარეობა ბრალეულად არის გამოწვეული თვით მოქმედის მიერ. მაგალითად, მატარებლის მარცხის გამოწვევის მიზნით რკინიგზის მეისრე დათერება ისე, რომ მატარებლის მოსვლის მომენტში შესაძლებლობა არა აქვს გადაიყვანოს ისარი ან დედა, ძუძუმწოვარა ბავშვისათვის ვნების მიყენების მიზნით, საწოლში ჩაიწვენს მას, რომ მოეუღოს ძილში. ასეთ შემთხვევებს შეიძლება ადვილი ჰქონდეს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ქმედობის დროს. „თუ დედა ძილში გასრესს ბავშვს, — წერს მ. ისაევი, — საკითხი ბავშვის სიკვდილისათვის მისი პასუხისმგებლობის შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი ძილის წინ, იმაზე, იცოდა თუ არა, რომ ძილი ძალიან მშფოთვარე აქვს, ჰქონდა თუ არა შეგნებული ძილში ბავშვის გასრესის შესაძლებლობა და ა.შ. ყველა გარემოებისდა მიხედვით შეიძლება დადგინდეს იქნეს მისი ბრალის ფორმაც: ბრალი შეიძლება იყოს გაუფრთხილებლობითი, თუ მან არ იცოდა, როგორი ძილი აქვს, მაგრამ უნდა სცოდნოდა ამის შესახებ; ბრალი შეიძლება იყოს განზრახვითი, თუ ძილის წინ ბავშვი ლოგინში ჩაიწვინა სწორედ იმ განზრახვით, რომ ძილში იგი გაესრისა“<sup>1</sup>.

აღნიშნული მოსაზრებებიდან ნათლად ჩანს, რომ ქცევა (რომელთ-

<sup>1</sup> М. М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948, стр. 76.

ანაც დაკავშირებულია ბრალეულობის მომენტი) იმ დროს ეკუთვნის, როდესაც დედა ბავშვს ლოგინში იწვევს, ე.ი. როდესაც იგი შეგნებულად, ნებისმიერად მოქმედებს. ამ შეგნებული მოქმედების დროს მას იქნებ წარმოდგენილიც არ ჰქონდეს ვნება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მისი მოქმედების შედეგად, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ეს ვნება. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს შეუცნობელ გაუფრთხილებლობას ანუ დანაშაულებრივ დაუდევრობას, რომელიც ბრალად ურაცხება სუბიექტს. „საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა, — წერს პროფ. მ. ისაევი, — ყოველგვარი მერყეობის გარეშე ბრალად ურაცხავს ტრანსპორტის მომუშავეს — მემანქანეს მატარებლის მარცხს. თუ მარცხი იმის გამო მოხდა, რომ მემანქანემ შეგნებულად დაიძინა თავისი მორიგეობის წინ და არ მიიღო არავითარი ზომები, რომ გაეღვიძებინათ, ის საკითხი, შეურაცხ მდგომარეობაში იყო თუ არა იგი ძილის დროს, არც კი აღიძერის“<sup>1</sup>.

### §3. უმოქმედობა, როგორც ნებელობითი ქცევა

ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება ის საკითხი, ეკუთვნის თუ არა ნებელობით აქტს, დადებით მოქმედებასთან ერთად, მოქმედებისაგან თავის შეკავება (უმოქმედობა), თუ ნებელობითი აქტი ადამიანის მხოლოდ დადებით მოქმედებას გულისხმობს.

ამ საკითხს ბურჟუაზიული კრიმინალისტების დიდი ნაწილი უარყოფითად წყვეტს. მაგალითად, გ. რადბრუხი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა მოქმედების პრობლემას სისხლის სამართალში, ამტკიცებდა, რომ დადებითი მოქმედება და მოქმედებისაგან თავის შეკავება არ შეიძლება გაერთიანდეს ნებისყოფის აქტის ერთ საერთო გვარეობით ცნებაში და ამიტომ დანაშაულის ცნება არ შეიძლება აიგოს მონისტურად, არამედ მხოლოდ დუალისტურად. „ისევე, როგორც ცნება და მისი კონტრადიქტორული წინააღმდეგობა, A და არა A შეიძლება მოთავსდნენ ერთი უმაღლესი ცნების ფარგლებში, სწორედ ასევე მოქმედება და უმოქმედება არსებობენ ერთმანეთის გვერდით,

<sup>1</sup> М. М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948, стр. 76.

როგორც დაუკავშირებელი ცნებანი<sup>1</sup>. ამ დებულებას გ. რადბრუხი იმით ასაბუთებდა, რომ უმოქმედებას არ ახასიათებს მოქმედებისათვის თანაარსი არც ერთი ნიშანი: უმოქმედობის დროს არ არის ნება, არც სხეულებრივი მოძრაობა და არც მიზეზობრივი კავშირი მათ შორის.

ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. სინამდვილეში განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავება, მოძრაობის სტიმულის ჩახშობა ისევე შეიძლება იყოს ნებელობითი იძულების გამოვლინება, როგორც დადებითი მოქმედება. ხშირად რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება ნებელობითი ენერგიის გაცილებით უფრო დიდ დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე დადებითი ქმედობის ჩადენა.

როდესაც სისხლის სამართალში უმოქმედობაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ არა სუბიექტის აბსოლუტური პასივობა, არამედ თავის შეკავება განსაზღვრული მოქმედებისაგან, რომელსაც ამ სუბიექტისაგან მოელოდნენ. ასეთ უმოქმედობაში შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილება, არამედ განსაზღვრულ პირობებში იგი შეიძლება წარმოადგენდეს ისეთსავე ზემოქმედებას ობიექტურ გარეშე სამყაროზე, ისეთსავე პირობების შექმნას განსაზღვრული შედეგის განხორციელებისათვის, როგორც ადამიანის დადებითი მოქმედება. უმოქმედობის დროსაც ადამიანმა შეიძლება გამოავლინოს განსაზღვრული დამოკიდებულება გარეშე სამყაროსადმი. როგორც სწორად შენიშნავს საბჭოთა ფსიქოლოგი პროფ. ს. რუბინშტეინი, „ქცევა იმდენად არ შეიძლება დავიყვანოთ გარეშე მოძრაობამდე, რომ ზოგჯერ თავის შეკავება რაიმე მოქმედებაში მონაწილეობისაგან თვით შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვანი რეზონანსის მქონე ქცევას, თუკი მასში გამოვლინდა ადამიანის პოზიცია, მისი დამოკიდებულება გარეშე სამყაროსადმი“<sup>2</sup>.

სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ტერმინი „მოქმედება“ ხშირად ნახმარია ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს არა მარტო დადებით მოქმედებას, არამედ აგრეთვე მოქმედებისაგან თავის შეკავებასაც, ე.ი. უმოქმედობას. სსრ კავშირის და

<sup>1</sup> G. Radbruch, Der Handlungsbegriff in seiner Bedeutung für das Strafrechtssystem, Berlin, 1904, S.S. 141-142.

<sup>2</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 537.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ნებელობითი აქტის ზოგადი ცნების გამოსახატავად ხმარობენ ტერმინს „ქმედობას“, რომელიც მოიცავს როგორც დადებით მოქმედებას, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებას. საფუძვლების მე-7 მუხლში (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში) ნათქვამია: „დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა)“.

ამგვარად, სოციალისტური სისხლისსამართლებრივი ლიტერატურა და კანონმდებლობა აერთიანებენ დადებით მოქმედებას და უმოქმედობას ერთ უმაღლეს ცნებაში და ამით უარყოფენ იმ შეხედულებას, თითქოს ეს ცნებანი გეტეროგენულნი არიან და მათ გვარეობითი საერთო ცნება არა აქვთ.

იმ საერთო წესიდან, რომ ადამიანს შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ ნებელობითი მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, სისხლის სამართალი მინც სცნობს ერთ გამონაკლისს, რომელიც გაუფრთხილებელი დანაშაულის სფეროს ეკუთვნის. ეს არის ისეთი დანაშაულებრივი უმოქმედობა, რომლის დროსაც ადამიანს შეგნებული არა აქვს არა მარტო თავისი ქცევის შედეგი, არამედ თვით ქცევაც. მაგალითად, თუ სუბიექტმა გულმავიწყობის გამო არ დაკეტა შლაგბაუმი იმ მომენტში, როცა ეს საჭირო იყო, ან თუ მას დაავიწყდა გაზის ონკანის გადაკეტვა, იგი არ ითვალისწინებს არა მარტო თავისი გულმავიწყობის შედეგებს, არამედ საზოგადოდ თავის ქცევას; არ ითვალისწინებს, რომ არ ასრულებს ქმედობას, რომელიც მისგან მოსალოდნელი და სავალდებულოც იყო. ასეთ შემთხვევებში ძნელია ვილაპარაკოთ ნებელობით ქცევაზე რა თქმა უნდა, იმ მომენტში, როდესაც იგი არ ასრულებს მისთვის სავალდებულო მოქმედებას, იგი შეიძლება არც იყო აბსოლუტურად პასიურ მდგომარეობაში, არამედ რაიმე სხვა ნებელობით მოქმედებას ასრულებდეს. მაგალითად, რკინიგზის თანამშრომელი იმ მომენტში, როცა მან შლაგბაუმი უნდა ჩაკეტოს, შეიძლება ჭადრაკს თამაშობდეს, ან თავის ბოსტანში მუშაობდეს, მაგრამ სისხლის სამართლისათვის მისი ეს ნებელობითი მოქმედება არაერთარ ინტერესს არ წარმოადგენს. მთავარი აქ ის არის, რომ მოქმედებისაგან თავის შეკავება არ არის

პირის ნებელობითი გადაწყვეტილების პროლუქტი: იგი არ მოქმედებს, ვინაიდან დაავიწყდა, რომ უნდა ემოქმედნა.

მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ასეთი უმოქმედობაც არ გამორიცხავს სუბიექტის განსაზღვრულ პოტენციურ დამოკიდებულებას თავისი ქმედობისადმი. ეს დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტის მიერ შეუსრულებელი მოქმედება მისი შესაძლებლობის სფეროში იყო. ნამდვილი ნებელობითი აქტის ადგილს აქ, ამგვარად, შესაძლებელი ნებელობითი აქტი იჭერს. მაგრამ შესაძლებელი ნებელობითი აქტის მიღმა კი პასუხისმგებლობა შეუძლებელია. პირიქით, იქ, სადაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ადამიანის ქცევაზე, რამდენადაც მოქმედების ჩადენა ნებისყოფის ბატონობის სფეროში იყო და უმოქმედობა ნებისყოფის არასაკმარისად დაძაბვის პროლუქტს წარმოადგენს<sup>1</sup>.

#### §4. ქმედობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა

ნებელობითი ქცევის ცნების დადგენა მეტად მნიშვნელოვანია დანაშაულის ცნების აგებისათვის, ვინაიდან ნებელობითი ქცევა („ქმედობა“) ის ლოგიკური ცენტრია, რომელსაც უნდა დაუკავშირდეს შემდგომი ელემენტების სახით საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა, რათა ვიმსჯელოთ დანაშაულებრივი ქმედობის არსებობაზე და ამ ქმედობის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაზე. ნებელობითი აქტის ცნება გამოსადეგია ამ მიზნისათვის იმის გამო, რომ ქცევას მოქმედება მხოლოდ იმდენად წარმოადგენს, რამდენადაც „იგი გამოზატავს ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისადმი, რაც ნივთების მეშვეობით ხორციელდება“<sup>2</sup>. მაგრამ აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გაკეთება, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის და ბრალეულობის ცნებანი თვით ნებელობითი აქტის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენდნენ. ეს იქნებოდა შექმნა მოქმედების საკვალური სისხლისსამართლებრივი ცნებისა, რომელიც

<sup>1</sup> ანალოგიურად წვევტს აღნიშნულ საკითხს ვ. ნ. კუდრიაცევი. იხ. В. Н. Кудрявцев, *Объективная сторона преступления*, М., 1960, стр. 13-14.

<sup>2</sup> С. Л. Рубинштейн, *Бытие и сознание*, М., 1957, стр. 252.

სამართლებრივი შეფასების შემცველი და მოქმედების ზოგადი ფსიქოლოგიური ცნებისაგან განსხვავებული ცნება იქნებოდა. ამავე დროს მოქმედების ფსიქოლოგიური ცნება არ შეიცავს სამართლებრივი შეფასების მომენტს; მოქმედება ფსიქოლოგიური მნიშვნელობით შეიძლება იყოს იურიდიული თვალსაზრისით მართლზომიერიც და მართლსაწინააღმდეგოც, ბრალულოც და უბრალოც. ამიტომ მოქმედების ცნების განსაზღვრებაში არ შეიძლება შეტანილ იქნეს პირის წარმოდგენათა ხასიათი და შინაარსი, რომელთაც პირიქით არსებითი მნიშვნელობა აქვთ ბრალისათვის. ითვალისწინებდა თუ არა სუბიექტი განსაზღვრულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა ეს შედეგი, — ყოველივე ეს არ შედის მოძღვრებაში მოქმედების შესახებ. თუ ვინმე დაბურულ ტყეში ნადირობდა და სრულიად შემთხვევით, ყოველგვარი ბრალის გარეშე კაცი დაჭრა, იგი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ეს ხდება არა იმიტომ, რომ პირი არ მოქმედებდა, არამედ იმიტომ, რომ მას ბრალი არ ჰქონდა: მას არ უნდა გაეთვალისწინებინა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ კაცს დაჭრიდა.

ადამიანის ქცევის შედეგების მოცულობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს პირის შეგნებითაა მოცული. პირი, რომელიც მიზანდასახულად მოქმედებს, მიიღტვის გამოიწვიოს განსაზღვრული ცვლილება გარესამყაროში. ეს განსაზღვრული ცვლილება ობიექტში — მისი ნებელობითი ქცევის მიზანია. მაგრამ ნებელობით ქცევას შეიძლება მოჰყვეს მრავალი სხვა შედეგი, რომელთაგან ზოგიერთი დასახულ მიზანს არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, რომელიც არასასურველია მოქმედისათვის. დაბოლოს, ნებელობით ქცევას შეიძლება ისეთი შედეგიც მოჰყვეს, რომელსაც მოქმედი არც კი ითვალისწინებდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ფენგელსმა, რომელიც წერდა: „მოქმედთა მიზნები სურვილითაა დასახული, მაგრამ შედეგები, რომელნიც მოქმედებთაგან ნამდვილად გამომდინარეობენ, სრულიადაც არასასურველია, ან თუმცა შეიძლება თავდაპირველად თითქოს დასახულ მიზნებს შეეფერებოდნენ, ბოლოს მაინც არასასურველ შედეგებს იწვევენ“<sup>1</sup> და შემდეგ: „ისტორიაში მოქმედი

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 477.

მრავალი ცალკე მისწრაფება უმეტეს ნაწილად წინასწარ დასახულს კი არა, პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგს იწვევს<sup>1</sup>.

იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგი შედიოდა სუბიექტის მიზანში და რა შედეგი იყო მოცული მისი შეგნებით, როგორც ნებელობითი ქცევის თანამდევი შედეგი, ე.ი. სუბიექტის ნების შინაარსის მიხედვით, ჩვენ სხვადასხვაგვარად ვაფასებთ მის ქცევას ზნეობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. მაგრამ ის გარემოება, რომ ნებელობითი ქცევის ზოგიერთი შედეგი მოცული არ იყო პირის შეგნებით, რომ მაშასადამე ამ შედეგის მიმართ პირი გაუფრთხილებლად მოქმედებდა, არ გამორიცხავს მთლიანად ქმედობის ნებელობით ხასიათს. აღნიშნავენ რა, რომ ნებელობით ქცევას უნებლიედ და განუსაზღვრელად მრავალი სხვადასხვა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, საბჭოთა ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ რამდენადაც თვით ადამიანის მოქმედება შეგნებული იყო, ამდენად რომელიმე ამ შედეგთაგანი მაინც უშუალოდ უნდა შედიოდეს მოქმედი სუბიექტის შეგნებულ მიზანში<sup>2</sup>.

ამიტომ ზემოთ მოტანილ მაგალითში მონადირის ქცევა (თოფის გასროლა ნადირის მოკვლის მიზნით) რჩება შეგნებულ ნებელობით ქცევად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქცევის განსაზღვრულ კონკრეტულ შედეგს (ადამიანის დაჭრას) მოქმედი სუბიექტი არ ითვალისწინებდა. ასეთ ქმედობებს, რომლებშიც შეგნებული არ არის რაიმე, ჩვენთვის საინტერესო შედეგი, შეუცნობელი ქცევა ეწოდება. „... როდესაც ამბობენ, — წერს პროფ. ს. რუბინშტიინი, — რომ ადამიანი შეუცნობლად მოქმედებს, ... ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შეცნობილი არა აქვს არა თავისი ქცევა, არამედ შედეგები, რომლებიც უნდა მოყვეს ამ ქცევას, ან უფრო ზუსტად, მას შეცნობილი არა აქვს თავისი ქცევა, რამდენადაც შეცნობილი არა აქვს მისგან გამომდინარე შედეგები; მას შეგნებული არა აქვს, თუ რა გააკეთა, ვიდრე არ შეუგნია, თუ რას ნიშნავს მისი ქცევა იმ რეალურ ვითარებაში, რომელშიც იგი იყო ჩადენილი“<sup>3</sup>

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 477.

<sup>2</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 541-542. იხ. აგრეთვე შ. ჩხარტიშვილი, ნებელობითი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1958, გვ. 323.

С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 9-10.

ამრიგად, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი ადამიანის ნებელობით ქცევას, საკმარისია, რომ გამოვლინებული იყოს ნებისყოფა, და სულაც არ არის საჭირო, რომ ეს ნებისყოფა სწორედ ჩვენთვის საინტერესო შედეგს ეხებოდეს. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვაღიაროთ ნებელობითი ქცევის არსებობა არა მარტო განზრახვი, არამედ გაუფრთხილებელი მოქმედების დროსაც. კერძოდ, ნებელობითი ქცევა გვაქვს დანაშაულებრივი დაუდევრობის (შეუცნობელი გაუფრთხილებლობის) დროსაც, რამდენადაც პირს შეგნებული აქვს თვით ქცევა და რაიმე, თუნდაც სრულიად სხვა შედეგი. უფრო მეტიც, ნებელობით ქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შედეგის არაბრალეულად გამოწვევის დროსაც. ამაზე სწორად მიუთითებდა პროფ. ნ. დ. ღურმანოვი. „უნდა აღინიშნოს, — წერს იგი, — რომ დანაშაულად ადამიანის ქცევის მხოლოდ შეგნებული ნებელობითი აქტის აღიარება, სრულიადაც არ ნიშნავს წინასწარ ბრალეულობისა და ბრალის ფორმის საკითხის გადაჭრასაც. იმისათვის, რათა ქმედობა ადამიანის ქცევის აქტად ჩაითვალოს, საკმარისია, რომ ქცევა ნებისყოფით იყოს წარმართული, ხოლო მნიშვნელობა არა აქვს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას შედეგებისადმი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, стр. 39.

ვ. სმირნოვი ილაშქრებს იმ დებულების წინააღმდეგ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს ადამიანის შეგნებულ ნებელობით მოქმედებას, რომელიც მიზანდასახულ ხასიათს ატარებს. ვ. სმირნოვის აზრით, „მიზნის ნათლად დასახვა, ქმედობის აშკარა მიზანდასახულობა არსებობს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს. უკვე არაპირდაპირი განზრახვის დროსაც კი შეუძლებელია ვამტკიცოთ „წმინდა სახით“ მიზანდასახული, ნებელობითი აქტის არსებობა“ (იხ. „Правоведение“, 1957, 1, გვ. 155). როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ვ. სმირნოვს შედეგელობაში აქვს ნებისყოფის დამოკიდებულება თვით დანაშაულებრივი შედეგისადმი, მისი „ნდობა“ სუბიექტის მიერ, რაც „წმინდა სახით“ მართლაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს არსებობს. ჩვენ კი სულ სხვა გეანტერესებს, სახელდობრ: რა ნიშნები ახასიათებს ქმედობას როგორც იმ მიზეზობრივი ვაკვივის პირველ რგოლს, რამაც სამართლით დაცული ობიექტის დაზიანება გამოიწვია? ამ კითხვაზე ჩვენ უპასუხებთ: ქმედობას შეგნებული, მიზანდასახული ხასიათი უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი შედეგი ყოველთვის სუბიექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს. დანაშაულებრივი შედეგი შეიძლება იყოს თანამდევრი იმ მიზნის მიმართ, რასაც სუბიექტი ისახავს; ეს შედეგი შეიძლება სუბიექტის მიზნის მიღმა იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტი შეიძლება მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში არ უშვებდეს შედეგის განხორციელების შესაძლებლობას ან არ ითვალისწინებდეს მისი განხორციელების განყენებულ შესაძლებლობასაც კი.



## §5. ბურჟუაზიული თეორიები მოქმედების შესახებ

მოდერნებამ ქმედობის შესახებ ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში განვითარების გრძელი გზა განვლო. მე-XIX საუკუნის დამლევს და მე-XX საუკუნის დამდეგს ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში გაბატონებული იყო ე.წ. „ბუნებრივი“ ანუ „კაუზალური“ სწავლება მოქმედებაზე, რომელიც ცივილისტმა ე. ციტელმანმა დაასაბუთა, ხოლო სისხლის სამართალში განსაკუთრებით ფ. ლისტმა და ე. ბელინგმა განავითარეს.

ციტელმანს ქმედობა ესმოდა, როგორც სხეულებრივი მოძრაობა, რომლის მიზეზსაც ნებისყოფის გამოვლინება წარმოადგენს, ხოლო ნება – როგორც ისეთი ფენომენი, რომლის თაობაზე არაფერი არ არის ცნობილი გარდა იმისა, რომ თვით იგი სხეულებრივი სამყაროს მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ სხეულებრივ მოძრაობას იწვევს. თანაც ციტელმანი განიხილავდა ნებისყოფას და სხეულის მოძრაობას არა როგორც მთლიანობას, არამედ როგორც პროცესებს, რომლებიც მიზეზისა და შედეგის ცალმხრივ მიმართებაში იმყოფებიან. ციტელმანის აზრით, ნებისყოფის აქტი – ფსიქიკური პროცესია, რომელიც გარედან წარმართავს ადამიანის საქმიანობას მოტორული ნერვების ადმერის მეშვეობით. რაც შეეხება სხეულებრივ მოძრაობას, ეს უკანასკნელი, წარმოიშვება-რა როგორც ნებისყოფის შედეგი, თავის მხრივ ხდება მიზეზი ცვლილებისა გარეშე სამყაროში<sup>1</sup>. სწორედ ამგვარადვე ლისტისათვის „ნებისყოფა, რომელიც მისი განხორციელების დროს გამოქვდავდება, მდგომარეობს... მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფის იმპულსში. უკანასკნელი ფიზიოლოგიურად შეიძლება განისაზღვროს როგორც ინერვაცია, ხოლო ფსიქოლოგიურად – როგორც ის ფსიქიკური პროცესი, რომლის მეშვეობით ვაღვენთ მიზეზს“.<sup>2</sup>

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, „ბუნებრივი“ მოძღვრება მოქმედების შესახებ განმარტავს ნებისყოფის აქტს, როგორც პროცესს, რომელიც მთლიანად გარეგანი, მექანიკური მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება. შინაგანი, ფსიქოლოგიური პროცესები სავსებით გაძვეებულია მოქმედების ცნებიდან, რომელიც წარმოგვიდგება როგორც

<sup>1</sup> იხ. E. Zittelmann, *Jurium und Rechtsgeschäft*, Leipzig, S. 29, ff.

<sup>2</sup> Ф. Лист, *Учение о уголовном праве, Общая часть*, М., 1903, стр. 126.

წმინდა ფიზიკური მოვლენა, როგორც ლიტონი მიზეზობრივი საწყისი. ნებისყოფის აქტის ასეთი გაგება ცალმხრივია და მის ნამდვილ არსს არ გამოჰხატავს. თუ ნებისყოფა განმარტებული იქნება როგორც მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობის მიზეზი, მაშინ აქედან გამოტანილ უნდა იქნეს დასკვნა, თითქოს ნებისყოფის საგანი შეიძლება იყოს მარტოდან სინამდვილეში განხორციელებული სხეულებრივი მოძრაობა, ვინაიდან მიზეზი მხოლოდ იმდენადაა მიზეზი, რამდენადაც მან შედეგი წარმოშვა. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ისეთი შინაგანი ნებელობითი პროცესების არსებობის ფაქტი, რომელნიც სხეულებრივ მოძრაობაში არ გამოვლინებულან. ეს მაშინ ხდება, როდესაც დასახული მიზნის განხორციელების საშუალება სხეულებრივ მოძრაობაში კი არ მდგომარეობს, არამედ წმინდა შინაგან პროცესში, რომლის დროსაც მოტორული ნერვების აღზნებას ადგილი არა აქვს. ასეთ შემთხვევებს, როდესაც ნებისყოფის პროცესი გარეგნულად არ გამოვლინდება, „შინაგანი“ მოქმედება ეწოდება. შინაგანი ნებელობითი აქტის მაგალითს წარმოადგენს ნებისმიერი მოგონება რაიმე ამბისა. „რამდენადაც ადამიანის შინაგანი ფსიქიკური პროცესები იმავე სტრუქტურას ამჟღავნებენ, რასაც გარეგანი მოქმედება, სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ არა მარტო გარეგან, არამედ აგრეთვე შინაგან მოქმედებაზეც“<sup>1</sup>

მოქმედების ციტელმანისებური გაგების მეორე თანამიმდევარ დასკვნას წარმოადგენს ნებელობითი ქცევის უარყოფა მოქმედებისაგან თავის შეკავების დროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში სხეულებრივ მოძრაობას ადგილი არა აქვს. მართლაც, ამ შეხედულების მიმდევრები უარყოფენ უმოქმედობის დროს როგორც ნებელობითი აქტის არსებობას, ისე მის კაუზალურ ხასიათს შემდგომი გარეშე მოვლენის განხორციელების მიმართ. უმოქმედობის ნებელობითი ხასიათის უარყოფის უსწორობა უკვე აღვნიშნეთ.

ეს „კაუზალური“ ანუ „ბუნებრივი“ სწავლება ქმედობის შესახებ შემდგომ გაკრიტიკებული იყო „ნორმატივისტული“ შეხედულების მომხრეთა მიერ, რომლებიც თვლიდნენ, რომ „ბუნებრივი“ სწავლება მოქმედებაზე არ შეესაბამება სისხლის სამართლის სპეციფიკურ მოთხ-

<sup>1</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 542.

ოვნილებებს და ამიტომ სისხლის სამართალში უნდა შეიქმნას სპეცი-  
ფიკური სწავლება მოქმედების შესახებ.

„ნორმატიული“ სწავლების ფესვები საკმაოდ ღრმად მიდის. ჯერ კიდევ ჰეგელის მიმდევრები სისხლის სამართლის სფეროში – კესტლინი, ბერნერი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერე-  
ბამ უნდა შეიმუშავოს ქმედობის განსაკუთრებული ცნება, რომელიც განსხვავდება ფსიქოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში მიღებული ცნებ-  
ისაგან. მოქმედების ცნება, ამ კრიმინალისტიკების აზრით, შერაცხვის ცნებას ემთხვევა, მაშასადამე იგი მოიცავს მართლწინააღმდეგობასა და ბრალსაც. აღნიშნული შეხედულების თანახმად, მოქმედებად სისხ-  
ლისსამართლებრივი მნიშვნელობით უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ბრალეუ-  
ლი, მართლსაწინააღმდეგო ქმედობა.

მოქმედების ასეთ გაგებას უერთდება შემდგომ კ. ბინდინგი, რომელიც ამტკიცებს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით მოქმედება „განხორ-  
ციელებულ იურიდიულად რელევანტურ ნებას წარმოადგენს“<sup>1</sup>. მაშას-  
ადამე, მისი აზრით, ნებისყოფის აქტის ცნება იმ მნიშვნელობით, როგორც იგი ფსიქოლოგიას ესმის, სისხლის სამართლის მეცნიერე-  
ბისათვის ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია.

მოქმედების წმინდა იურიდიული, ნორმატივისტული გაგება დამ-  
ახსიათებელია განსაკუთრებით იმპერიალისტური პერიოდის სისხლის  
სამართლისათვის. ნეოკანტიანელი კრიმინალისტიკები, რომლებიც პრინ-  
ციპულად თიშავენ ყოფიერების და ჯერარსობის სფეროს და, ამის  
შესაბამისად, აღწერილობითსა და შეფასებით მეცნიერებათა სფერ-  
ოებს, ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის თვალსაზრისით რელე-  
ვანტური ცნება მოქმედებისა, ისევე, როგორც სხვა სისხლის-  
სამართლებრივი ცნებანი, წმინდა ნორმატიულ ხასიათს ატარებს. ასე,  
ვ. ზაუერის აზრით, „მართლწესრიგის ამოცანა იმაში კი არ მდგომარ-  
ეობს, რომ ახსნას და აღწეროს ადამიანის მოქმედება როგორც ბუნე-  
ბრივი მოვლენა, არამედ იმაში, რომ შეაფასოს იგი, როგორც სო-  
ციალური მოვლენა“<sup>2</sup>. ნორმატიული თეორიის მიხედვით მოქმედება  
სისხლის სამართლის აზრით გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც

<sup>1</sup> K. Binding, Die Normen und ihre Übertretung, B. 2, Leipzig, 1916, S. 92.

<sup>2</sup> W. Sauer, Grundlagen des Strafrechts, Berlin und Leipzig, 1921, S. 35.

ობიექტურ სამყაროში მიმდინარე რეალური პროცესი, რომელშიც ადამიანი შეგნებულად და მიზანდასახულად ახდენს ზემოქმედებას გარე სამყაროზე, არამედ როგორც შეფასებითი მსჯელობა, რომლისთვისაც ის, რაც ნებისყოფამ გამოიწვია, მნიშვნელოვანია მარტოოდენ როგორც საბაზისის ხლის სამართლებრივი სასჯელი შეფარდებისათვის.

ამრიგად, ნებლობითი ქცევის მეცნიერულად დასაბუთებული ცნების მაგივრად ნორმატივისტები გვთავაზობენ ყოველგვარი ობიექტურისგან დაცლილ სუბიექტურ ცნებას, რომლის არსს თითოეულ ცალკე შემთხვევაში ადგენს ბურჟუაზიული მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა.

ქმედობის სუბიექტური გაგება თავის კულმინაციურ პუნქტს აღწევს ახალ თეორიაში ქმედობის შესახებ, რომელსაც „ფინალური მოძღვრება“ ეწოდება. ეს თეორია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში წარმოიშვა და ფედერაციული გერმანიის სისხლის სამართლის თეორიაში მეტად გავრცელდა. მისი მამამთავარია პ. ველცელი, ხოლო ძირითადი წარმომადგენლები — მაურახი, ნიზე, გალასი და სხვ.

ფინალურ თეორიას საფუძვლად უდევს ბურჟუაზიული ფილოსოფოსის ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიური მოძღვრება ყოფიერების შესახებ, სახელდობრ, ჰარტმანის თეზისი ადამიანის ქმედობის ფინალური ბუნების შესახებ.

ფინალური თეორია პრეტენზიას აცხადებს მოქმედების ისეთი ცნების შექმნაზე, რომელიც წინ უსწრებს ამ ცნების სამართლებრივ გაგებას და საერთოა დანაშაულის გამოვლინების ყველა ფორმისათვის, ე.ი. როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მოქმედებისათვის, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ბრალისათვის. ამ მოთხოვნას, ფინალური თეორიის აზრით, ძველი „კაუზალური თეორია“ ვერ აკმაყოფილებდა.

მოქმედების „კაუზალური თეორიის“ ძირითად ნაკლად „ფინალური მოძღვრების“ წარმომადგენლები იმას თვლიან, რომ მას ქმედობის არსად მიაჩნდა მისი კაუზალური ხასიათი შედეგის მიმართ. ქმედობის „კაუზალური“ თეორიისათვის მოქმედება, როგორც ნებისყოფის აქტი იმით ხასიათდება, რომ „სხეულებრივი მოძრაობა გამოწვეული იყო ნებით“, რომ მაშასადამე, რაღაც იყო ნასურვები. მაგრამ ეს თეორია

საჭიროდ არ თვლიდა დაეყენებინა ის საკითხი, თუ რა იყო ნასურვები, რისკენ მიისწრაფოდა ნება. ნებისყოფის შინაარსს კაუზალური თეორიის მიხედვით, მნიშვნელობა არა აქვს მოქმედების ცნებისათვის; ნებისყოფის შინაარსი მიეკუთვნება მოძღვრებას ბრალის შესახებ, თანაც ბრალად „კაუზალური“ თეორია განზრახვას და გაუფრთხილებლობას თვლის.

ფინალურ თეორიას ქმედობის ძირითად ელემენტად მიაჩნია არა მისი კაუზალური ხასიათი, არამედ მისი სუბიექტური შინაარსი, მისი მიზანსწრაფულობა. „ადამიანის მოქმედება მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებას წარმოადგენს. ქმედობა ამიტომ „ფინალური“ და არა მხოლოდ კაუზალური მოვლენაა“<sup>1</sup>, აცხადებს ფინალური მოძღვრების მამამთავარი ჰ. ველცელი. მაგრამ რას ნიშნავს ქმედობის „ფინალურობა“? ამ კითხვაზე ფინალური მოძღვრება ქმედობის შესახებ ასე უპასუხებს: „ქმედობის ფინალურობა ანუ მიზანსწრაფულობა იმას ემყარება, რომ ადამიანს თავისი კაუზალური ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვრული მოცულობით გაითვალისწინოს თავისი საქმიანობის შესაძლებელი შედეგები, დასაზოგადოს სხვადასხვა მიზნები და გეგმავს მათი მიზნობრივად წარმართოს თავისი საქმიანობა ამ მიზნების მიღწევისაკენ“<sup>2</sup>. ფინალური თეორიის წარმომადგენლები ცდილობენ მკვეთრად გამოყოფონ ფინალური მოქმედება კაუზალურისაგან. „ფინალური საქმიანობა – ეს არის მიზნისაკენ შეგნებულად მიმართული მოქმედება, მაშინ, როდესაც წმინდა კაუზალური მოვლენა მიზნით წარმართული კი არ არის, არამედ რაიმე მიზნობრივი კომპონენტების არსებობის შემთხვევითი შედეგია. ამიტომ – სახოვანი გამოთქმა რომ ვინმართ – ფინალურობა თვალხილულაია, ხოლო კაუზალობა – ბრმა“<sup>3</sup>.

ფინალური მოქმედების ძირითად ელემენტად ამ შეხედულების წარმომადგენლები ნებას თვლიან. იგი ობიექტურად აფორმებს და

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems. Eine Einführung in die finale Handlungslehre, Göttingen, 1957, S. 3; იხ. აგრეთვე ჰისივე, Das deutsche Strafrecht, Berlin, 1960, S. 28.

<sup>2</sup> R. Maurach, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, Karlsruhe, 1954, S. 130.

<sup>3</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, 1957, S. 3; იხ. აგრეთვე ჰისივე, Das deutsche Strafrecht, 1960, S. 28.

გარდაქმნის გარეგან კაუზალურ მოვლენას, რომელიც ნებისყოფით წარმართვის გარეშე, სწორედ რომ ბრმა პროცესი იქნებოდა.

მოქმედების ფინალური სტრუქტურა ორი ძირითადი საფეხურისაგან შედგება. პირველი საფეხური მთლიანად აზროვნების სფეროში მიმდინარეობს და შემდეგ მომენტებს მოიცავს: ა) მოქმედებისათვის დასახული მიზნის წინასწარ განჭვრეტა (Vorwegnahme); ბ) შერჩევა საშუალებისა ანუ კაუზალური ფაქტორისა, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება მიზნის მიღწევა; გ) იმ თანამდევი შედეგების გათვალისწინება, რომლებიც მიზნის განხორციელებასთან არიან დაკავშირებული. ფინალური მართვის მეორე საფეხური რეალურ სამყაროში მიმდინარეობს და გულისხმობს მოქმედის მიერ წინასწარ დასახული მიზნის, არჩეული საშუალებებისა და თანამდევი შედეგების გათვალისწინების საფუძველზე კაუზალური პროცესის წარმართვას.<sup>1</sup>

ფინალურად განხორციელებული, ამ თეორიის თანახმად, მხოლოდ ის შედეგი იქნება, რომელიც წინასწარ გათვალისწინებული იყო სუბიექტის მიერ, როგორც მოქმედების მიზანი ან საშუალება ან თანამდევი შედეგი და ამგვარად მის განხორციელებაზე მიმართული იყო ფინალური ნებისყოფა.

ის, რომ ადამიანის მოქმედება მიზანდასახული ქცევაა, რომ ადამიანს უნარი აქვს წინასწარ წარმოიდგინოს თავისი მომავალი მოქმედების შედეგი და თავის თავში ააგოს ის, რაც შემდეგ ობიექტურ სინამდვილეში უნდა განახორციელოს, რომ ადამიანს უნარი აქვს შეარჩიოს სათანადო საშუალებანი და გამოიყენოს შესაბამისი მექანიკური, ფიზიკური თუ ფსიქიკური კანონზომიერებანი დასახული მიზნის მისაღწევად — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სწორია და ამაში არაფერია ახალი და ორიგინალური. ფინალური თეორიის არსი რომ ამით ამოიწურებოდეს, ჩვენ მის წინააღმდეგ არაფერი გვექნებოდა სათქმელი. მაგრამ ფინალური თეორიის ძირითადი არსი ამ დებულებით არ ამოიწურება. მთავარი ამ თეორიისათვის ის არის, რომ ის აიგივებს ქმედობის ფინალურობას და განზრახულობას და განზრახვა მოქმედების ცნებაში შეაქვს. განზრახვა, ამ თეორიის აზრით, ბრალის ელემენტს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი თვით მოქმედე-

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild... S. 3-4.

ბის არსებითი შემადგენელი ნაწილია. წინააღმდეგ მოქმედების „კაუზალური“ თეორიისა, რომელიც მოქმედებას განიხილავდა წმინდა ნატურალისტურად როგორც გარე სამყაროს ცვლილებას, რომელიც შეიძლება გრძნობელობით აღიქვას, ფინალური მოძღვრება მოქმედებაზე განიხილავს მას როგორც არსებითად სუბიექტური შინაარსის მქონე ცნებას. „არაფინალურ მოძღვრებად ქმედობის შესახებ, — წერს რ. მაურახი, — უნდა ჩაითვალოს ყველა შეხედულება, რომელიც განზრახვას ბრალის შემადგენელ ელემენტად თვლის. თანამიმდევარი ფინალისტი მხოლოდ ის არის, ვინც განზრახვას განიხილავს, როგორც ბუნებრივ განზრახვას, ე.ი. როგორც ისეთ ფენომენს, რომელიც მხოლოდ ქმედობის შემადგენლობას ეკუთვნის, ხოლო არაფინალისტი ის, ვისაც განზრახვა ესმის ტრადიციულად როგორც *dolus malus*, შერაცხვის უნარი — როგორც განზრახვის წარმოშობის წანამძღვარი, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება — როგორც განზრახვის შემადგენელი ნაწილი“<sup>1</sup>.

ამგვარად, ფინალისტები ილაშქრებენ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული დებულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით განზრახვა — ბრალის გამოვლინების ერთერთი ფორმაა, „ბოროტი“ განზრახვაა და არა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტული მოვლენის გათვალისწინება და სურვილი ან დაშვება.

ამით ფინალისტები განზრახვის შინაარსს მნიშვნელოვნად ცვლიან. ეს უკვე აღარ არის „ბოროტი განზრახვა“, *dolus malus*, ე.ი. პირის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედობისადმი, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც ზნობრივად გასაკიცხი, არამედ იგი წარმოადგენს ყოველგვარ შეფასებას მოკლებულ ბუნებრივ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც არსებითად ნიშნავს პირის ნებისყოფას იმოქმედოს განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად. ცხადია, რომ ასეთი განზრახვის აუცილებელ წანამძღვარს არ შეიძლება წარმოადგენდეს შერაცხვაუნარიანობა. მაშინ, როდესაც გაბატონებული შეხედულების თანახმად, განზრახვი მოქმედება შეიძლება მხოლოდ შერაცხადმა პირმა ჩაიდინოს, ფი-

<sup>1</sup> R. Maurach, Deutsches Strafrecht, AT, 1954, S. 131.

ნალური მოძღვრება მოქმედების შესახებ თვლის, რომ განზრახი მოქმედების უნარი შეურაცხ პირებსაც აქვთ<sup>1</sup>.

ვინაიდან განზრახვა ფინალურ თეორიას მოქმედების ცნებაში შეაქვს, ამიტომ იგი, როგორც „უმართლობის“ სუბიექტური ელემენტი, მართლწინააღმდეგობის აუცილებელ საფუძველად იქცევა. მართლაც, ფინალური თეორიის წარმომადგენლები ილაშქრებენ მართლწინააღმდეგობის ცნების ობიექტური გაგების წინააღმდეგ და განიხილავენ მას როგორც სუბიექტურ ცნებას. როგორც მარსებულად აღნიშნავს პროფ. მ. შარგოროდსკი, განზრახვის შეტანით მოქმედების ცნებაში არსებითად „უარყოფილია მართლწინააღმდეგობის ობიექტური განსაზღვრების შესაძლებლობა და ამას უპირისპირდება მართლწინააღმდეგობის წმინდა სუბიექტური ელემენტები, რომლებიც სხვადასხვაგვარია განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის“<sup>2</sup>.

მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც ფინალური თეორიიდან გამომდინარეობს, ბრალის ცნებას შეეხება. თუ ბრალის ცნებიდან განზრახვა და გაუფრთხილებლობა გავაძევებთ, მაშინ რაღაა ბრალი? ამ კითხვაზე ფინალური თეორიის წარმომადგენლები ასე გვიპასუხებენ: ბრალი არ შედის დანაშაულის შემადგენლობაში, იგი შემადგენლობის გარეშეა. ბრალი არის მსჯელობა ნებისყოფის დასაგმობი ხასიათის შესახებ, პერსონალური გაკიცხვა, მიმართული პიროვნების წინააღმდეგ, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირი არასწორედ მოქმედებდა, თუმცა მას შეეძლო ჰქონოდა ნორმის შესაბამისად მოქმედების ნებისყოფა. „ბრალის კონსტიტუციურ ელემენტს, ... — წერს ჰ. ველცელი, — მხოლოდ გასაკიცხაობა (Vorwerfbarkeit) წარმოადგენს. იგი გადამწვევტი ახალი მომენტია, რომელიც მოქმედებას ემატება და მას ბრალეულობის თვისებას ანიჭებს. მხოლოდ გასაკიცხაობაზეა ლაპარაკი მოძღვრებაში ბრალის შესახებ, მაშინ როდესაც საგანი, რომელიც ფასდება როგორც ბრალეული — მოქმედება და მოქმედების ჩადენის ნებისყოფა — განიხილება უკვე მოძღვრებაში მოქმედებისა და უმართლობის შესახებ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> R. Maurach, op. cit. S. 143.

<sup>2</sup> М. Л. Шаргородский, Современное буржуазное уголовное законодательство и право. М., 1961, стр. 43.

<sup>3</sup> H. Welzel, Das neue Bild, S. 39-40.



ფინალურმა თეორიამ განავითარა და თავის ლოგიკურ დაბოლოებაზე მიიყვანა ის დებულებანი ბრალის შესახებ, რომელნიც თავდაპირველად ბრალის ნორმატიულმა თეორიებმა წამოაყენეს. უკვე ნორმატიული თეორიის წარმომადგენლები (ფრანკი ძ., ე. მაიერი, პ. მერკელი, ო. ბერგი და სხვ.) განიხილავდნენ ბრალს, როგორც შეფასებით კატეგორიას, როგორც მსჯელობას გასაკიცხაობის შესახებ. ამავ დროს თუმცა ნორმატივისტები განზრახვას და გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმებად არ თვლიდნენ, მაგრამ სულ კი არ აძეგებდნენ ამ ცნებებს ბრალის სფეროდან, არამედ განიხილავდნენ მათ, როგორც ბრალის აუცილებელ პირობებს ან ელემენტებს<sup>1</sup>.

შემდგომი ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ გაენთავისუფლებინა ბრალის ცნება ფსიქიკური დამოკიდებულებისაგან შედეგისადმი, ე.ი. განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან, ა. დონამ გადადგა. დონა უპირისპირებს ერთმანეთს დანაშაულის შეფასებითსა და ფაქტიურ მხარეს. მართლწინააღმდეგობა და ბრალი დონას სისტემაში მკვეთრად უპირისპირდება დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც განიხილება როგორც ლიტონი ფაქტიურობა. დონას აზრით, „ბრალზე მსჯელობის დროს, ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის დადგენისას, საქმე გვაქვს შეფასების შედეგთან. თანაც მართლწინააღმდეგობის დადგენის დროს ვაფასებთ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, ხოლო ბრალის დადგენის დროს მის სუბიექტურ მხარეს“<sup>2</sup>. ამავ დროს ა. დონა არ მიუთითებდა, რა ადგილი უნდა დაეჭირა დანაშაულის შემადგენლობაში ქმედობისადმი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, რომელიც მოწყვეტილია ბრალის ცნებას. მოქმედების ფინალური თეორიის წარმომადგენლები თავიანთ დიდ დამსახურებად თვლიან, რომ მათ განზრახვის ცნებას დანაშაულის შემადგენლობის ცნებაში სათანადო ადგილი მიუჩინეს. „დონას ინიციატივა, — წერს პ. ველცელი, — განავითარა შემდგომ ფინალურმა მოძღვრებამ მოქმედების შესახებ,

---

<sup>1</sup> ასე, მაგალითად, ო. ბერგი მიუთითებდა: „ის, რომ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებანი გაგებულ უნდა იქნენ არა როგორც ბრალის სახეები, არამედ მხოლოდ როგორც ბრალზე მსჯელობის წინამძღვრები, ახლა უკვე დადგენილია (იხ. O. Berg, Der gegenwärtige Stand der Schuldlehre im Strafrecht. Breslau, 1937, S. 72.

<sup>2</sup> A. Dohna, Der Aufbau des Verbrechenslehre, Bonn, 1936, S. 31.

რომელმაც უთავშესაფროდ დარჩენილ განზრახვას დანაშაულის შემაღდგენლობის შესაბამის მოქმედებაში ჯეროვანი ადგილი მოუნახა<sup>1</sup>.

ასეთია ფინალური თეორიის არსი და ის ძირითადი დასკვნები, რომლებიც ამ თეორიიდან გამომდინარეობენ.

როგორც ფინალური თეორიის გადმოცემიდან ჩანს, ფინალისტები მიზნად ისახავენ შექმნან მოქმედების ისეთი ცნება, რომელსაც მნიშვნელობა ექნება მთელი მოძღვრებისათვის დანაშაულის შესახებ, გვარობითი ცნება (*genus proximi*) რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მისგან დელუქციურად დანაშაულებრივი ქმედობის ყველა სახეობანი (*differentia specifica*) გამოიყვანოთ. მაშასადამე, ფინალური თეორია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მის მიერ შექმნილი ფინალური მოქმედების ცნება უმაღლეს ცნებას წარმოადგენს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის. სინამდვილეში, როგორც ამას თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტებიც მიუთითებენ, ფინალური მოძღვრება მოქმედების შესახებ ვერ ასაბუთებს გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალურ ხასიათს<sup>2</sup>. თვით ფინალისტების მტკიცებით „მხოლოდ ის შედეგა ფინალურად გამოწვეული, რომლის განხორციელებაზე მიზნის, საშუალების ან თანამდევი შედეგის სახით ფინალურად არის წარმართული ადამიანის ნება. ყველა დანარჩენი (თანამდევი) შედეგი, რომელიც ნების ფინალური განხორციელებით მოცული არ არის, წმინდა კაუზალურ შედეგად უნდა ჩაითვალოს“<sup>3</sup>.

იბადება კითხვა: მაშ, რაში გამოიხატება გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი ქმედობის ფინალურობა? გაუფრთხილებლობის არსი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტს შეგნებული არა აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი და მაშასადამე, მთელი კაუზალური პროცესი, ე.ი. არ იცის, რომ ის ძალები, რომელთაც იგი მიმართავს, ასეთ შედეგს გამოიწვევენ. მაშასადამე, კაუზალურ მოვლენათა შეგნებული დეტერმინირება აქ გამორიცხულია.

ფინალისტები, რომლებიც ცდილობენ გაუფრთხილებელი დანა-

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild..., S. 40.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Th. Rittler, Lehrbuch des österreichischen Strafrechts, Allgemeiner Teil, Wien, 1954, S. 61.

<sup>3</sup> H. Welzel, Das neue Bild..., 1957, 4-5.

შაულებრივი ქმედობაც როგორმე ფინალური მოქმედების პროკრუსტეს სარეცელში მოათავსონ, გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალური ბუნების დასაბუთების რამდენიმე ცდას იძლევიან.

თავდაპირველად ველცელი მიუთითებდა, რომ წინააღმდეგ განზრახი დანაშაულისა, რომელიც აქტუალურ ფინალურობას წარმოადგენს, გაუფრთხილებელ დანაშაულს პოტენციური ფინალურობა ახასიათებს. გაუფრთხილებლობა, მისი აზრით, პოტენციურად ასაცდენი ქმედობაა. „... ფინალური მოქმედება სამართალში ორი ასპექტით გამოდის: როგორც მოქმედება გასაკიცხი ფინალობით – განზრახი ქმედობა და, როგორც მოქმედება სოციალურად ინდიფერენტული ფინალობით, მაგრამ სოციალურად არასასურველი არაფინალური შედეგებით, რომლებიც არ განხორციელდებოდნენ, სწორი ფინალური მიმართულება რომ ყოფილიყო არჩეული – გაუფრთხილებელი ქმედობა“<sup>1</sup>.

ეს დასაბუთება მიზანს ვერ აღწევდა. იმის მაგივრად, რომ დაესაბუთებინათ გაუფრთხილებლობის ფინალური ხასიათი, ფინალისტიკები სწორედ მის არაფინალურობაზე მიუთითებდნენ და ასაბუთებდნენ არაფინალური მოქმედების გასაკიცხ ხასიათს, სახელდობრ იმას, რომ სუბიექტს ნების სოციალური თვალსაზრისით სწორად წარმართვის შემთხვევაში შეეძლო აეცდინა საზოგადოებისათვის არასასურველი შედეგი. მაგრამ ის გარემოება, შეეძლო თუ არა მოქმედს სწორად ემოქმედნა, ე.ი. თავისი მოქმედების საზოგადოებრივად არასასურველი შედეგები წინასწარ გაეთვალისწინებინა და აეცდინა, შედის არა მოძღვრებაში მოქმედების შესახებ, არამედ მოძღვრებაში ბრალის შესახებ და უნდა გადაწყდეს მას შემდეგ, რაც მოქმედებისა და მიზეზობრივი კავშირის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ცხადია, ბრალის საკითხზე მსჯელობის დროს სულ სხვა მომენტებია მხედველობაში მისაღები, ვიდრე ზიანის გამომწვევი მოქმედების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის დროს.

უკანასკნელ ხანს ფინალური თეორიის წარმომადგენლები სხვა ხერხს მიმართავენ იმისათვის, რომ დაასაბუთონ გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალური ხასიათი. ისინი ამტკიცებენ, რომ თუცა „განზრახ

---

<sup>1</sup> H. Welzel, Aktuelle Strafrechtsprobleme im Rahmen der finalen Handlungslehre, Karlsruhe, 1953, S. 6.

ქმედობებში ფინალურობა უფრო მკვეთრად ჩანს: აქ მოქმედების ნებელობა და განზრახვა ერთმანეთს ემთხვევა<sup>1</sup>, მაგრამ გაუფრთხილებელი ქმედობანიც არ არიან მოკლებული ფინალურობას<sup>2</sup>. ფინალურობა შეიძლება ვრცელდებოდეს მხოლოდ ზოგიერთ შედეგზე და არ ვრცელდებოდეს სხვა შედეგებზე, რომელნიც თუმცა კაუზალურად დაკავშირებული არიან მოქმედებასთან, მაგრამ არც შეგნებით და არც ნებით მოცული არ არიან. არ არსებობს „თავისდა თავად“ და „აბსოლუტურად“ ფინალური მოქმედება. მოქმედება ფინალურია ნების განხორციელებით გამოწვეული წინასწარ გათვალისწინებული შედეგის მიმართ. ექთანნი, რომელმაც ავადმყოფს შეცდომით მორფიუმის სასიკვდილო დოზა შეუშხაპუნა, მოქმედებს ფინალურად ინექციის (შეშხაპუნების) მიმართ და არა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის მიმართ<sup>3</sup>. განსხვავება განზრახ და გაუფრთხილებელ მოქმედებას შორის, ფინალისტების აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ „თუ განზრახნი ქმედობის დროს ფინალურობა მიმართულია შემადგენლობის შესაბამის შედეგზე, განზრახველ დელიქტებს სწორედ ის ახასიათებს, რომ აქ ფინალურობა მიმართულია არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის, არამედ, როგორც საერთო წესი, სამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტულ შედეგზე“<sup>3</sup>.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, მოქმედების „კაუზალური“ თეორიის ძირითად ნაკლად ფინალისტები იმას თვლიან, რომ ეს თეორია მნიშვნელობას არ ანიჭებს ნებისყოფის შინაარსს. და მოქმედების არსებობისათვის საკმარისად თვლის იმ ფაქტს, რომ პიროვნებამ ჩაიღინა ნებელობითი მოქმედება, რომელიც შედეგის მიმართ კაუზალური იყო. ველცელის მაგალითი რომ ავიღოთ, ექთანნი, რომელმაც ავადმყოფს შეცდომით მორფიუმის სასიკვდილო დოზა შეუშხაპუნა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, მკვლელობას ჩადის. მართალია, მისი მიზანი ავადმყოფის მკურნალობა იყო, მაგრამ, თუ მის მოქმედებას კაუზალური თვალსაზრისით განვიხილავთ, ე.ი. იმ თვალსაზრისით, რომ შედეგი ობიექტურად მის ავტორს დავუკავშიროთ,

<sup>1</sup> R. Maurach, Deutsches Strafrecht, AT, 1954, S. 140.

<sup>2</sup> H. Welzel, Das neue Bild..., 1954, S. 5.

<sup>3</sup> R. Maurach, Deutsches Strafrecht, 1954, S. 140.

მაშინ ეს მოქმედება ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის ანუ მკვლელობის მოქმედებად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედობას ეწოდება გაუფრთხილებლობითი მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი სუბიექტის მოქმედების მიზანს არ წარმოადგენს, ე.ი. ფინალური არ არის. ფინალური თეორიის მიხედვით კი ამ შემთხვევაში მკვლელობის მოქმედებას ადგილი არა აქვს, ვინაიდან ფინალურობა მხოლოდ ინექციის გაკეთებას შეეხება. ამიტომ, ამ თეორიის აზრით, მოქმედებად საკუთრივი მნიშვნელობით, ე.ი. მოქმედებად, რომელშიც ნების შინაარსი მის განხორციელებას ემთხვევა, მხოლოდ ინექცია უნდა ჩაითვალოს. ფინალურია მარტოოდენ ინექცია, ხოლო პაციენტის სიკვდილი კაუზალურად არის მიყენებული. და თუ ფინალური თეორია მაინც ცდილობს გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალურობა დაასაბუთოს, ამას იგი მხოლოდ იმით აღწევს, რომ თავის ძირითად პრინციპზე ხელს იღებს, ვინაიდან გაუფრთხილებელი მოქმედება სწორედ იმით ხასიათდება, რომ ნებისყოფის შინაარსი და ფაქტიური კაუზალური პროცესი ერთმანეთს არ ემთხვევა. გაუფრთხილებელი დელიქტების დროს ფინალური თეორია მოქმედების ცნებას ისევე ახასიათებს, როგორც ტრადიციული მოძღვრება ბრალის შესახებ. სახელდობრ, გაუფრთხილებელი დელიქტებისათვის იგი მოითხოვს, რომ თავისთავად მოქმედება იყოს ნებელობითი და რომ ეს ნებელობითი მოქმედება კაუზალურ დამოკიდებულებაში იყოს საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან. მაშასადამე, აქ იგი ნებელობითი მოქმედების მხოლოდ კაუზალობას სჯერდება, ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის ი. ბაუმანის მითითება, რომ „ფინალური მოძღვრება ბრალის შესახებ მხოლოდ განზრახი დელიქტების დროს მოითხოვს მოქმედებისათვის, რომ ნება ფინალურად წარიმართებოდეს საბოლოო შედეგისაკენ, ხოლო გაუფრთხილებელი ქმედობების დროს იგი უფრო ნაკლებით კმაყოფილდება“<sup>1</sup>. მაგრამ ფინალური თეორიის გადახვევა თავისი ძირითადი დებულებიდან და გაუფრთხილებელი ქმედობის ახსნისას ტრადიციულ მოძღვრებაზე

<sup>1</sup> Y. Baumann, Strafrecht. Allgemeiner Teil, 2. Aufl. Bielefeld, 1961. S. 158.

გადასვლა ისეთ ბუნდოვან ფორმაში ხდება, რომ მკითხველისათვის ამის ნათლად გაგება ზოგჯერ მეტად ძნელია<sup>1</sup>.

ფინალური თეორიის მეორე არსებითი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედების ცნებაში განზრახვის შეტანით, ხოლო მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საფუძველად მოქმედების სუბიექტური შინაარსის, ე.ი. განზრახვის აღიარებით მან მართლწინააღმდეგობა წმინდა სუბიექტურ ცნებად გამოაცხადა, რითაც წაშალა ნათელი და მკვეთრი ზღვარი, რომელიც საკითხის ხანგრძლივი მეცნიერული დამუშავების შედეგად დაიდო მართლწინააღმდეგობის ობიექტური შინაარსის ცნებასა და ბრალის სუბიექტური შინაარსის ცნებას შორის.

სოციალისტურ სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედობის ობიექტურ წინააღმდეგობას სამართლებრივი ნორმისადმი. მართლწესრიგი აფასებს მოქმედებას, როგორც უარყოფითს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ჰქმნის ასეთი ზიანის მიყენების შესაძლებლობას, ე.ი. მაშინ, როდესაც მოქმედება საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს წარმოადგენს. ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ეს მოთხოვნა მოქალაქის თავისუფლების გარანტიას წარმოადგენს: სოციალისტური სახელმწიფო მხოლოდ მაშინ აძლევს თავის თავს უფლებას დასაჯოს ქმედობა, როდესაც იგი ნამდვილად ობიექტურად ემუქრება სისხლის სამართლის კანონით დაცულ ინტერესებს.

ფინალურ მოძღვრებას მოქმედებაზე მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრის მთელი სიმძიმე მოქმედების სუბიექტურ მხარეზე გადააქვს. მართლწინააღმდეგობა, ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, არის არა შედეგის გასაკიცხაობა, არამედ მოქმედების გასაკიცხაობა.

---

<sup>1</sup> საესებით მართებულად აღნიშნავს ამიტომ ა. ვეგნერი, რომ ფინალური თეორია მოქმედების შესახებ იურიდიულ კუბიზმს წარმოადგენს და მისი გაგება, მით უმეტეს მისი პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია (A. Wegner, Strafrecht, Allgemeiner Teil, Göttingen, 1951, S. 105).

და რამდენადაც მოქმედების ცნების ცენტრს მისი ფინალურობა წარმოადგენს, ამდენად მართლწინააღმდეგობის ცნების საფუძველსაც მოქმედების სუბიექტური შინაარსი განსაზღვრავს. აქედან დასკვნა: მოქმედება შეიძლება არ შეიცავდეს არაერთარ საშიშროებას სამართლით დაცული ინტერესებისათვის, მაგრამ თუ იგი ფინალური თვალსაზრისით გასაკიცხია, — მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს.

სუბიექტური მომენტის — კერძოდ განზრახვის შეტანას მოქმედებისა და მართლწინააღმდეგობის ცნებებში განსაზღვრული კლასობრივი აზრი აქვს. ბურჟუაზიული მოსამართლე ბუნებრივად გამოიყენებს ფინალური თეორიით შექმნილ შესაძლებლობას და დამნაშავეის დასჯადობისათვის გადამწყვეტ მომენტად ჩათვლის არა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირის ქმედობას ობიექტურ სინამდვილეში და როგორია ამ მოქმედებით შექმნილი საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ იმას, თუ როგორი იყო სუბიექტის მოქმედების მიზანი, მისი ფინალურობა. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ბ. მანკოვსკი, „ფინალური სისხლის სამართლის თეორიაში კანონით ზუსტად გათვალისწინებული და დასჯადი ქმედობის ადგილს იჭერს პასუხისმგებლობა პირის განწყობისათვის, მისი ისეთი აზრთა წყობისათვის, რაც მიუღებელია გაბატონებული ბურჟუაზიისათვის<sup>1</sup>. და მართლაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ კრიმინალისტს ლეჟმასს თავის ერთ-ერთ შრომაში მოჰყავს დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან მაგალითები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ იყენებენ „ფინალურ მოძღვრებას მოქმედების შესახებ“, ერთი მხრივ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი გერმანელი პატრიოტების დასასჯელად, ზოლო, მეორე მხრივ, მძიმე დანაშაულთა ჩამდენი ფაშისტი დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასანთავისუფლებლად<sup>2</sup>.

ასეთივე ყალბია ფინალური თეორიის მოძღვრება ბრალის შესახებ. როგორც დავინახეთ, ფინალური თეორიისათვის განზრახვა და გაუფრთხ-

<sup>1</sup> Б. С. Мапьяковский, Реакционная псокаптинпская теория фишалного уголовного права, „Советское государство и право“, 1959, №4, стр. 102.

<sup>2</sup> И. Лекшас, Вина как субъективная сторона преступного деяния, М., 1954, стр. 40-41.

იღებლობა არათუ ბრალის ფორმები, არამედ მის აუცილებელი ელემენტები და პირობებიც კი აღარ არიან. ამავე დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენენ საფუძველს, საგანს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობისათვის. ბრალიც, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა, შეფასებითი მსჯელობაა. მაგრამ ყოველი შეფასებითი მსჯელობა გულისხმობს საგანს, რომლის საბაზეც იგი გამოითქმება. თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საგანს წარმოადგენენ, რაღა ბრალის შესახებ მსჯელობის საგანი? ბრალის შესახებ შეფასებითი მსჯელობის საგანს ფინალური თეორიის აზრით, წარმოადგენს სუბიექტის ნების დამოკიდებულება მართლწესრიგისადმი. ნება გასაკიცხია მაშინ, როდესაც იგი ნორმას არ შეესაბამება, თუმცა იგი უნდა ყოფილიყო და შეიძლებოდა ყოფილიყო ნორმის შესაბამისი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბრალის შესახებ მსჯელობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ სუბიექტს შესაძლებლობა ჰქონდა შეეცნო თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ამგვარად, მართლწინააღმდეგობის შეკნება ამოღებულია განზრახვის ცნებიდან, რომელიც ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებულია, და გადატანილია ბრალის სფეროში როგორც „გასაკიცხაობის“ (Worwerfbarkeit) ელემენტი.

მანკიერია, პირველად ყოვლის, ფინალისტების მტკიცება, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა გადატანილ უნდა იქნენ მოქმედების სფეროში და გამოძევებული ბრალის სფეროდან. თუ განზრახვაზე კიდევ შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად აღებული, იგი მოკლებულია შეფასების მომენტს და ამიტომ შეიძლება გათანაბრებულ იქნეს ფინალურობასთან, ამასვე ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობის ცნება თავის თავში უკვე შეიცავს შეფასების მომენტს. განზრახვ შეიძლება გააკეთო კარგი საქმეც და ცუდიც, შეიძლება იყოს კეთილი და ბოროტი განზრახვაც, მაგრამ არ შეიძლება იყოს კარგი გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს უარყოფით მსჯელობას, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტმა დაარღვია ჯეროვანი, სწორი მოქმედების ნორმა. ამიტომ როგორ შეიძლება ეს ცნება მიეკუთვნოს მოქმედების ცნებას, ე.ი. ისეთ ცნებას, რომელიც თვით ფინალისტების მითითებით, მოკლებულია სამართლებრივი



შეფასების, ნორმატიულობის მომენტს და წინ უსწრებს სამართლებრივ შეფასებას როგორც ონტოლოგიური ცნება.

მეორე, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, განზრახვაც არ არის ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებული. განზრახვა არის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი. სწორედ ამიტომ იგი ყოველთვის ბოროტი განზრახვაა. ჩვენ უარყოფითად ვაფასებთ სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგთან და ვუწოდებთ მას ბრალეულს იმის გამო, რომ სუბიექტს გათვალისწინებული ჰქონდა და სურდა (ან უშეებდა) ისეთი ქმედობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება. ამავე დროს ის, ვინც ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით იღენს ისეთ ქმედობას, რომელიც ფაქტიურად დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილ ნიშნებს შეესაბამება, იმავე დროს, როგორც წესი, იმასაც ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია. გასაგებია ამიტომ, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება შეტანილ უნდა იქნეს არა ბრალის ზოგად ცნებაში, არამედ განზრახვის ცნებაში. მაგალითად, საბჭოთა მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის თანახმად (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი), „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშეებდა მათ დადგომას“.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ფინალურმა თეორიამ სრული არეგდარევა შეიტანა დანაშაულის ცნების სისტემაში. დანაშაულის ცნება, ისე, როგორც იგი თანამედროვე სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტია. საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, დანაშაული ორი ძირითადი მხარისაგან შედგება: ერთი – ეს არის დანაშაულის ობიექტური მხარე, ე.ი. ადამიანის ქცევა, როგორც ადამიანის ნებისყოფის გარეგანი გამოვლინება, ამ ქცევის საზოგადოებრივად საშიში შედეგი და მიზეზობრივი კავშირი მათ შორის; მეორე – დანაშაულის სუბიექტური მხარე, ბრალი, ე.ი. პიროვნების გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან და მის შედეგთან,

რაც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით ვლინდება. დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა ხორციელდება არა იზოლირებულად აღებული ქმედობის ცნებაში, რომელიც ფინალისტების აზრით, ონტოლოგიურ ცნებას წარმოადგენს და ყოველგვარ სამართლებრივ მსჯელობას წინ უსწრებს, არამედ დანაშაულის საერთო ცნებაში<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ამ შრომაში, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ ნებელობითი ცნების არსისა და დანაშაულის სისტემაში მისი ადგილის გარკვევას, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ფართოდ შევეხოთ დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარის ურთიერთდამოკიდებულებას. ამ საკითხზე დაწერილებით იხ. ჩვენი ნაშრომი Причинная связь в уголовном праве, М., 1963, стр. 283-318.

დანაშაულებრივი შედეგის ცნება

§1. დანაშაულებრივი მოქმედება და დანაშაულის შედეგი

ნებელობითი ქცევის ცნებისაგან უნდა განვასხვავოთ ამ ქცევის შედეგის ცნება. როგორც დავინახეთ, ადამიანის ნებელობითი ქცევა წარმოადგენს ზემოქმედებას მის გარემომცველ ობიექტურ გარესამყაროზე. მოქმედება სრულდება განსაზღვრული ცვლილების შეტანის მიზნით ობიექტში, რომელიც ამ გარესამყაროს განეკუთვნება. შედეგი წარმოადგენს ცვლილებას ობიექტში, ე.ი. ადამიანის მოქმედებით გამოწვეულ ცვლილებას გარესამყაროში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ბურჟუაზიული კრიმინალისტი მკეთრად ანსხვავებს მოქმედებისა და შედეგის ცნებებს. ასე მაგალითად, ფ. ლისტის აზრით, შედეგი თვით მოქმედების განუყოფელი ნაწილია. „მოქმედების ცნება, — ამბობდა ის, — მოითხოვს შემდგომ ცვლილებას გარესამყაროში (ე.ი. ადამიანებში და საგნებში). ამ ცვლილებას ჩვენ შედეგს ვუწოდებთ. ამგვარად, შედეგი მოქმედების ცნების შემადგენელი ნაწილია<sup>1</sup>.“ ამ შეხედულებას ემხრობოდა ე. მეცგერიც. ეს უკანასკნელი აკუთვნებდა შედეგს არა მარტო ე.წ. „გარე შედეგს“, არამედ ადამიანის სხეულებრივ მოძრაობასაც, ე.ი. ყოველივე იმას, რაც პირის შინაგან ნებას არ წარმოადგენს. ასე მაგალითად, მისი აზრით, მკვლელობის შემთხვევისას შედეგს მიეკუთვნება არა მარტო ის ობიექტური ფაქტი, რომ ადამიანი მოკვდა, არამედ თოფის დამიზნება და ჩახმაზის გამოკერაც, ე.ი. ადამიანის „სხეულებრივი ქცევაც“<sup>2</sup>.

სწორია, რომ ადამიანის მოქმედებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული ცვლილებები გარესამყაროში, რამდენადაც მოქმედება გარესამყაროზე ადამიანის ზემოქმედებაა. აქედან გამომდინარე, იგი ამ გარესამყაროს შეცვლის მიზეზების შექმნაში მდგომარეობს, ამდენად იგი აუცილებლობით შედეგსაც გულისხმობს. მაგრამ, როგორც ცნებანი,

<sup>1</sup> Ф. Лист, Учебник уголовного права, Общая часть, М., 1903.

<sup>2</sup> E. Mezger, Strafrecht, Ein Lehrbuch, München und Leipzig, 1931, S. 95.

მოქმედება და შედეგი ისე უნდა იქნან ერთმანეთისაგან განსხვავებული, როგორც მიზეზი და შედეგი. ერთი შეიძლება განხილულ იქნას არა როგორც მეორის ნაწილი, არამედ მხოლოდ, როგორც მისი დიალექტურად საწინააღმდეგო ცნება.

არ შეიძლება დავეთანხმოთ მეცხერის იმ აზრსაც, რომ სხეულებრივი მოძრაობაც შედეგია. როდესაც ადამიანის ნებელობით ქცევაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მასში მისი შინაგანი და გარეგანი მხარის ერთიანობას ანუ არა მხოლოდ ადამიანის მამოძრავებელ ნებას, მისი მოქმედების მოტივსა და მიზანს, არამედ იმ გარეგან, ობიექტურ ფორმასაც, რომელშიც გამოვლინდა პირის ზემოქმედება ობიექტზე. ხოლო, როცა ლაპარაკობენ დანაშაულის შედეგზე, აქ უკვე მხედველობაში აქვთ ისეთი რამ, რაც გარეგანია მოქმედების მიმართ, სახელდობრ: სისხლის სამართლით დაცულ ობიექტში საზოგადოებრივად საშიში ცვლილების შეტანა.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. ბ. ნიკიფოროვს გამოთქმული აქვს აზრი, რომ დანაშაულებრივი ქმედობის შედეგი წარმოადგენს შემაერთებელ რგოლს მოქმედებასა, როგორც ადამიანის გარეგანი ქცევის შეგნებულ აქტსა და დანაშაულის ობიექტს შორის<sup>1</sup>. თუ ამ დებულებას ისე გავიგებთ, რომ ერთი მხრივ, შედეგის ცნება მოქმედების ცნების თანაფარდობითი ცნებაა, ხოლო მეორე მხრით, დანაშაულის შედეგის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული დანაშაულის ობიექტის ცნებასთან, რადგან ცვლილებას სწორედ ობიექტი განიცდის, მაშინ ორივე ეს დებულება საკვებით სწორია. მაგრამ ამ სწორი დებულებიდან პროფ. ბ. ნიკიფოროვი აკეთებს, ჩვენი აზრით, მეტად ფართო დასკვნას. კერძოდ, ის აყენებს დებულებას, რომ „ამგვარად, შედეგი ერთსა და იმავე დროს მოქმედებასაც მიეკუთვნება და ობიექტსაც“<sup>2</sup>.

აქ უადგილო არ იქნებოდა მოგვეტანა ა. მიხლინის აზრი, რომ თუმცა მოქმედება და შედეგი ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ შედეგი არ მიეკუთვნება მოქმედებას და არც შეიძლება მას მიეკუთვნებოდეს. „მოქმედება წარმოადგენს გარკვეულ პროცესს, რომ-

<sup>1</sup> Б. С. Никифоров, Объект преступления, М., 1960, стр. 141-142.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 141.

ლის შინაარსია ობიექტზე ზემოქმედება, შედეგი კი – ამ მოქმედების რეზულტატი, რომელიც ობიექტში ძვეს<sup>1</sup>.

მოქმედებისა და შედეგის ცნებათა გარკვეულ აღრევას პროფ. დურმანოვის შრომებშიც ეხედებით. სახელდობრ, პროფ. ნ. დურმანოვი წერდა, რომ „ყოველგვარი ზემოქმედება ობიექტზე, თუნდაც იგი ობიექტში ზოგიერთ არაარსებით ცვლილებას იწვევდეს, მოქმედებას უნდა განეკუთვნოს. თვისობრივი ცვლილებები (რომლებიც კანონის დისპოზიციაშია აღწერილი) შედეგს შეადგენენ<sup>2</sup>.“ აღნიშნული დებულება პროფ. ნ. დურმანოვმა შედეგის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით წამოაყენა.

როგორც ჩანს, პროფ. ნ. დურმანოვის ის უდავო აზრი უნდოდა გამოეთქვა, რომ თუ დამნაშავის განზრახვა დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგზე იყო მიმართული (მაგ. „სიცოცხლის მოსპობაზე“), მაგრამ ეს შედეგი არ დადგა, მაშინ მოქმედება დამიჯრებულად არ შეიძლება ჩაითვლოს, თუნდაც ხელყოფის ობიექტში სხვა რაიმე ცვლილებანი მოხდეს (მაგ., სხეულის დაზიანება). მაგრამ ეს აზრი არასაკმაო სიზუსტით არის გამოხატული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არც თუ იშვიათად ქცევას სხვა შედეგები მოსდევს და ის არა, რისი გამოწვევაც პირს ჰქონდა განზრახული. ის, რომ ადამიანის მოქმედებამ ნაკლებად მნიშვნელოვანი შედეგები გამოიწვია, არ ართმევს ამ შედეგებს გარესამყაროში ცვლილების ხასიათს და არ გადააქცევს ცვლილებებს თვით მოქმედების ნაწილად. ამიტომ, ჩვენ სწორედ მიგვაჩნია ნ. კუზნეცოვას შედაება მოყვანილი დებულების მიმართ: „გარკვეული პირის მხრივ დანაშაულებრივი შედეგების ბედზე ზემოქმედება შეგნებულ მოქმედებათა შესრულებით განისაზღვრება. მოვლენათა შემდგომი ობიექტური განვითარება მასზე დამოკიდებული აღარ არის... სწორედ იმიტომ, რომ დანაშაულებრივი შედეგის დადგომა მოქმედების ელემენტს არ წარმოადგენს, არამედ გარესამყაროს სფეროს განეკუთვნება, შესაძლებელია მოშადაება და მცდელობა, აგრეთვე გაუფრთხილებელი დანაშაულიც<sup>3</sup>“.

<sup>1</sup> А. С. Михлин, Понятие и виды последствий преступлений, „Вопросы уголовного права и процесса“, ВИЮН, М., 1958, стр. 41.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М.Л., 1948, стр. 57.

<sup>3</sup> Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, стр. 15.

## §2 დანაშაულის შედეგი ფართო მნიშვნელობით

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, ყველა დანაშაული გულისხმობს თუ არა დანაშაულებრივი შედეგის დადგომას, თუ არსებობს ისეთი დანაშაულიც, რომელსაც ეს მოქმეტი არ ახასიათებს.

საბჭოთა კრიმინალისტიკების ერთი ჯგუფის აზრით, ყველა დანაშაულებრივი ქმელობა როდი გულისხმობს აუცილებლობით მაგნე შედეგის განხორციელებას. არსებობენ ისეთი დანაშაულობანი, რომელთა დასჯადობა, კანონის თანახმად, დაკავშირებულია გარკვეული მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენასთან, იმისდა დამოუკიდებლად, მოჰყვა თუ არა ამ ქმელობას რაიმე მაგნე შედეგი. ასეთი შეხედულება გატარებული იყო მაგ. 1943 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში. „უნდა განვასხვაოთ, – ნათქვამი იყო ამ სახელმძღვანელოში, – ჯერ ერთი, დანაშაული, რომლის შემადგენლობის ობიექტურ მხარედ კანონი თვლის ადამიანის მიერ მოქმედების შესრულების ან უმოქმედობის თვით ფაქტს, მის მიერ გარესამყაროში გამოწვეული შემდგომი შედეგების მიუხედავად (ე.წ. ფორმალური დანაშაული)...; და მეორე, დანაშაული, რომლის შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის სისხლის სამართლის კანონი მოითხოვს არა მარტო ადამიანის მოქმედებას ან უმოქმედობას, არამედ მოქმედებით ან უმოქმედობით მაგნე შედეგების განხორციელებასაც (ე.წ. მატერიალური დანაშაული)“<sup>1</sup>. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ პროფ. ნ. ღურმანოვი<sup>2</sup>, ვ. კურლიანდსკი<sup>3</sup> და სხვ.

ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ პროფ. ა. ტრანინმა პირველმა წამოაყენა დებულება, რომ რამდენადაც ყოველი დანაშაული ხელ-

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, М., 1943, стр. 116-117.

აგრეთვე 1948 წ. გამოცემული სისხლის სამართლის სახელმძღვანელო (გვ. 299), 1952 წ. გამოცემა (გვ. 184-185) და 1959 წ. გამოცემა (გვ. 127-128).

<sup>2</sup> იხ. Н. Д. Дурманов, Сталин совершил преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 35. ნ. ღურმანოვი უსწოროდ თვლის ტერმინებს „ფორმალური დანაშაული“ და „მატერიალური დანაშაული“, რომლებიც მისი აზრით, ვერ გამოხატავენ ზუსტად მათ ცნებებში მოცემულ აზრს.

<sup>3</sup> იხ. В. И. Курляндский, Рецензия на работу А. Т. Трайнина, „Состав преступления по советскому уголовному праву“, 1952 г., N 8, стр. 74-79.

ყოფს რაიმე ობიექტს, ამდენად ყოველი დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელება აუცილებლად გულისხმობს ამ ობიექტისათვის ზიანის მიყენებას. ისევე, როგორც არ არსებობს უობიექტო დანაშაული, არ არსებობს არც უშედეგო დანაშაული. ხელყოფის ობიექტისათვის მიყენებული ვნება, როგორც არ უნდა იყოს ამ ვნების ფორმა და ოდენობა, წარმოადგენს შედეგს, რომელიც ყოველი დანაშაულის აუცილებელი ელემენტია<sup>1</sup>. „ხელყოფის უვნებადი ობიექტი – არის წინააღმდეგობა თავის თავთან. უვნებელი ობიექტი – მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საფუძველია“<sup>2</sup>.

დებულება, რომ ყოველი დანაშაული აუცილებლობით გულისხმობს შედეგს, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დავის საგანი გახდა. ამ დებულების გასაბათილებლად პროფ. ნ. დურმანოვს შემდეგი საბუთები მოჰყავს: არა ყოველი დანაშაულის დამთავრება გულისხმობს ობიექტისათვის ზიანის მიყენებას; არიან შემადგენლობანი, რომელნიც დამთავრებულად ითვლებიან თვით მოქმედების მომენტში, მიუხედავად მანვე შედეგის არარსებობისას. მაგალითად, თუ ბოროტმოქმედი პროკურორთან შეგნებულად ტყუილად ასმენს მეორე პირს, მაგრამ პროკურორისათვის დასმენის ცრუ ხასიათი იმთავითვე ნათელია და იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში თვით ცრუ დასმენის ავტორს მისცემს, ამ შემთხვევაში არსებობს ცრუ დასმენის დამთავრებული შემადგენლობა, თუმცა ამ დანაშაულს ვნება არ მიუყენებია არც იმ პირისათვის, ვინც პროკურორთან დაასმინეს, და არც სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესებისათვის. ასევე აღიმენტის ბოროტად არგადახდის შემადგენლობისათვის სულაც არ არის საჭირო, რომ აღიმენტის მიუცემლობამ ბავშვს რაიმე ავნოს. ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბავშვი, მისი ნათესავების მზრუნველობის წყალობით რიგიან პირობებში

---

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления по советскому уголовному праву, М., 1951, стр. 188-195; მისევე Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 138-144. პროფ. ა. ტრაინინის თვალსაზრისს იზიარებენ ლენინგრადის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს ავტორები (იხ. Советское уголовное право, часть общая, II., 1960, стр. 261-262).

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления... 1951, стр. 195; მისევე Общее учение о составе преступления, 1957, стр. 144.

იმყოფებოდა და ამიტომ მშობლის უღირს საქციელს მისთვის არავითარი ვნება არ მოუტანია. ასევე წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ორგანოებს არ შეატყობინებენ დიდი რაოდენობით ქონების გატაცების შესახებ, თუ საგამომძიებლო ორგანომ მაინც შეძლო დატაცების ღრთული გახსნა და ა.შ.<sup>1</sup>

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე პროფ. ნ. დურმანოვი ასკვნის, რომ დანაშაულებრივი ქმედობის შედეგი ყველა დანაშაულის აუცილებელ ელემენტს კი არ წარმოადგენს, არამედ დანაშაულის მხოლოდ ზოგიერთ სახეს ახასიათებს, სახელდობრ, იმ დანაშაულს, რომლის შემადგენლობაში იგი პირდაპირ არის მოხსენებული.

შეხედულება, რომელიც თვლის, რომ დანაშაულებრივი შედეგი ყველა დანაშაულის ელემენტს არ წარმოადგენს, პროფ. ა. ტრანინის აზრით, იმით არის განპირობებული, რომ შედეგი ესმით არასწორად, სახელდობრ, როგორც ობიექტისათვის მატერიალური ზიანის მიყენება. ვინაიდან მატერიალური შედეგის დადგენა მეტად ადვილია, ხოლო ის ზიანი, რაც პოლიტიკურ, ფსიქიკურ, მორალურ სფეროში ხორციელდება, ძნელი დასადგენია, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იმ დანაშაულთა შემადგენლობაში, რომლითაც ზიანს მაგალითად, პოლიტიკური ან მორალური ღირებულება განიცდის, სისხლის სამართლის კანონი არ ითვალისწინებს შედეგს, როგორც დანაშაულის აუცილებელ ელემენტს.

ჩვენი აზრით, დანაშაულის შედეგის შესახებ წარმოშობილი დავა იმით არის გამოწვეული, რომ სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შედეგის ცნებას ორი მნიშვნელობით ხმარობს: ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. თუ მხედველობაში მივიღებთ დანაშაულის შედეგის ცნებას ფართო მნიშვნელობით, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ შედეგი ყოველი დანაშაულის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს. ხოლო შედეგი ვიწრო მნიშვნელობით ყველა დანაშაულს როდი ახასიათებს, არამედ მხოლოდ ზოგიერთს, რომელსაც სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში ჩვეულებრივად „მატერიალური“ დელიქტი ან უფრო სწორად, შედეგიანი დანაშაული ეწოდება. დანაშაულის შედე-

---

<sup>1</sup> იხ. Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 40-41.



გის ეს ორივე ცნება საჭიროა სისხლის სამართლის ამოცანებისათვის და ორივეს აქვს არსებობის უფლება. ამიტომ საჭიროა განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

რა არის დანაშაულის შედეგი ფართო მნიშვნელობით?

ადამიანის მოქმედების ყოველგვარი გამოვლინება მიზეზის შექმნაა, ხოლო იქ, სადაც მიზეზია, აუცილებლად არსებობს შედეგიც. დანაშაული, სოციალისტური სამართლის მიხედვით, გულისხმობს ადამიანის მოქმედების გარე გამოვლინებას, ე.ი. ნებელობით ქცევის განხორციელებას. მასასადამე, ყოველი დანაშაული იწვევს გარკვეულ ცვლილებას გარესამყაროში. ეს ცვლილებები ზოგჯერ ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება აღქმულ იქნენ ადამიანის გრძნობების მეშვეობით. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა ამ ურთიერთობის საგანზე ზემოქმედებით ირღვევა და ამიტომ შედეგი მატერიალურ ხასიათს ატარებს. ასე, მაგალითად, ხელყოფა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე გულისხმობს ზემოქმედებას ადამიანის სხეულზე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შეიძლება გამოიხატებოდეს ნივთის დაზიანებაში ან განადგურებაში ან მის გადანაცვლებაში ერთი პირის მფლობელობიდან მეორე პირის მფლობელობაში და ა.შ. მაგრამ ამასთან ერთად არიან დანაშაულის ისეთი შედეგებიც, რომლებიც მატერიალური ზიანის მიყენებაში არ გამოიხატებიან და ამიტომ ადამიანის გრძნობების მეშვეობით არ შეიძლება იქნენ აღქმულნი. ასეთი არამატერიალური ხასიათის შედეგებს საბჭოთა კრიმინალისტიკები ორ კატეგორიად ყოფენ: ეს არის — არამატერიალური ზიანი, მიყენებული მოქალაქის პიროვნების, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის, და ზიანი, რომელიც სახელმწიფო აპარატის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სფეროში დადგა<sup>1</sup>. არამატერიალური შედეგების პირველ სახეს მიეკუთვნება მაგალითად: პიროვნების პატივისა და ღირსების დამკირება (შეურაცხყოფისა და ცილისწამებისას), პიროვნებისათვის ნების განსაზღვრის თავისუფლების წართმევა (იძულებისას) და ა.შ. არამა-

<sup>1</sup> См. А. С. Михлин, Понятие и виды последствий преступления, „Вопросы уголовного права и процесса“, ВИЮН, М., 1958, стр. 44-60. В. И. Кудряшнев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 131-134.

ტერიალური შედეგების მეორე სახის მაგალითებს წარმოადგენენ: საბჭოთა საფინანსო სისტემისა და ფულის ბრუნვის სისტემის დარღვევა (ყალბი ფულის დამზადებისას), მართლმსაჯულების სწორად და დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობის შეფერხება (მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემთხვევებში) და ა.შ.

ამრიგად, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: ყოველ დანაშაულს აქვს შედეგი, რომელიც ობიექტური გარესამყაროს განსაზღვრულ ცვლილებას გულისხმობს. ასეთი შედეგი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ შედეგს სიტყვის ფართო გაგებით, არსებობს იმისდა მიუხედავად, შეაქვს თუ არა კანონმდებელს სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში მითითება ზიანის ფაქტიურ დადგომაზე, ანდა მისი დადგომისათვის პირობების შექმნაზე. აქედან ცხადია, რომ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ობიექტური ნიშნის შესრულება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში, ყოველთვის გულისხმობს დანაშაულის შედეგის განხორციელებას ჩვენ მიერ აღნიშნული ფართო გაგებით.

აქედან გამომდინარეობს, რომ სპეციალური დადგენა შედეგისა ამ სიტყვის ფართო გაგებით სასამართლოს არ მოეთხოვება. დანაშაული დამთავრებულად ითვლება, უკეთუ შემადგენლობის ყველა ნიშანი განხორციელდა. ასე, მაგალითად, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ პირის მოქმედებაში არის დანაშაულის შემადგენლობის ნიშები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 197-ე მუხლით (შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა), ამით დამტკიცებულია აგრეთვე შედეგის არსებობაც სოციალისტური მართლმსაჯულებისათვის ზიანის დადგომის შესაძლებლობის შექმნის აზრით. თვითონ მოწმის მხრივ ცრუ ჩვენების ფაქტი არაჩელსაყრელ პირობებს უქმნის სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს ჭეშმარიტების გამორკვევისათვის. ამიტომაც მოცემული დანაშაულის შემადგენლობის დადგენისათვის სასამართლომ საერთოდ არც უნდა განიხილოს საკითხი, შეცდომაში იყვნენ თუ არა შეყვანილი სასამართლო ან საგამომძიებლო ორგანოები და არასწორად იყო თუ არა გასამართლებული მართალი კაცი, ანდა, პირიქით, არასწორად განთავისუფლდა თუ არა პასუხისმგებლობისა-

გან დამნაშავე პირი. სწორედ ასევე, თუ დადგინდა, რომ ვინმე ბოროტი ზრახვით არ იხდის სასამართლოს მიერ მიხჯილ სახსრებს ბავშვის აღზრდისა და შენახვისათვის, ამით უკვე დადასტურებულად ითვლება, რომ ამ პირის ქცევამ შექმნა არახელსაყრელი პირობები ბავშვის აღზრდისა და რჩენისათვის, რომ მამასადაძე, ადგილი ჰქონდა კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარღვევას, და ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის სრულიადაც არაა საჭირო კიდევ რაიმე დამატებითი შედეგების დამტკიცება.

სპეციალური დადგენა შედეგისა ფართო მნიშვნელობით შეიძლება საჭირო გახდეს მხოლოდ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ხელყოფის ობიექტის მიხედვით საჭიროა გაიმეჯნოს ერთი დანაშაული მეორისაგან ან კიდევ როცა დანაშაულებრივი ქმედობა არღვევს რამდენიმე ობიექტს და ამიტომ საჭიროა სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის წესების მიხედვით. ხოლო, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ი. რენებერგი, „იმისათვის, რომ მივიღეთ დასკვნაძე განსაზღვრული დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობის შესახებ, უმეტეს შემთხვევაში საჭირო არ არის დამატებითი განსაკუთრებული შემოწმება, ვინაიდან ობიექტისათვის ზიანის მიყენების ფაქტი ჩვეულებრივად დგინდება იმ მომენტში, როდესაც დადგინდა და შემოწმდა, რომ პირის მოქმედება განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ნიშნებს შეესაბამება“<sup>1</sup>.

სწორედ ასე ფართოდ ესმოდა შედეგის ცნება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსს, რომელშიც ნათქვამი იყო: „კანონით გათვალისწინებულ შედეგად ითვლება განსაკუთრებულ ნაწილში მოცემული დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნების ერთობლიობა, ბრალის გამოკლებით“. მამასადაძე შედეგი ფართო მნიშვნელობით არ არსებობს მაშინ, როცა არ არსებობს თვით დანაშაულის შემადგენლობა, ხოლო თუ დანაშაულის შემადგენლობა დადგენილია, ამით დადგენილია დანაშაულის შედეგიც.

ასევე ფართოდ ესმის დანაშაულის შედეგის ცნება საბჭოთა კავ-

---

<sup>1</sup> Иoaхим Реннеберг, Объективная сторона преступления, Госюриздат, М., 1957, стр. 33.

შირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებების მე-8 მუხლს (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლს). ამ მუხლის თანახმად, განზრახ მოქმედების, ვისაც „შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს...“ ... აქ შედეგად კანონი თვლის ობიექტის ყოველგვარ ხელყოფას, თუნდაც იგი დანაშაულის საგნისათვის მატერიალური ზიანის მიყენებაში არ გამოიხატებოდეს და სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში სპეციალურად შეტანილი არ იყოს.

### §3. დანაშაულის შედეგი ვიწრო მნიშვნელობით

გარდა დანაშაულის შედეგის ცნებისა ფართო მნიშვნელობით, სისხლის სამართალში გამოიყენება აგრეთვე ვიწრო მნიშვნელობის შედეგის ცნება. დანაშაულის შედეგი ვიწრო მნიშვნელობით არის ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი.

ასეთი შედეგია, მაგალითად, კაცის სიკვდილი მკვლელობის დანაშაულის დროს (მუხ. 104-ე-108-ე), ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა ან დასახინჩრება სხეულის დაზიანების დროს (მუხ. 110-ე-115-ე), ქონების დაზიანება ან განადგურება ქონების დაზიანების დანაშაულის დროს (მუხ. 157-ე) და ა.შ. — ყველა ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ვნების მიყენება ხდება ამ ურთიერთობის სუბიექტის მოსაობით ან დაზიანებით ან იმ საგნის განადგურებით თუ დაზიანებით, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს. დანაშაულბრივი შედეგი შეიძლება აგრეთვე იმაში გამოიხატებოდეს, რომ ხელყოფის საგანი ამოღებულ იქნეს იმ პირის მფლობელობიდან, ვის ხელშიც იგი იყო და ამგვარად შეიცვალოს მისი საზოგადოებრივი ფუნქცია ან მიზნობრივი დანიშნულება.<sup>1</sup> ასეთი შედეგი ახასიათებს მაგალითად, ქონების გატაცების დანაშაულს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის შედეგი პირდაპირ შეტ-

<sup>1</sup> იხ. И. Реннеберг, Объективная сторона преступления, М., 1957, стр. 35.

ანილია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგენილია ამ შედეგის განხორციელება. თუ ეს შედეგი არ განხორციელებულა, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დანაშაულის მცდელობაზე ან მომზადებაზე (განზრახვი დანაშაულის დროს).

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ცდილობს მოგვეცეს დანაშაულის შედეგის ვიწრო ცნების უფრო გაშლილი განსაზღვრება. ასე, მაგალითად, პროფ. ნ. ღურმანოვის აზრით, დანაშაულის შედეგად უნდა ჩაითვალოს „ის თვისობრივი ცვლილებანი, რომლებიც მიყენებული აქვს ხელყოფის ობიექტს სუბიექტის მოქმედებით ან უმოქმედობით“<sup>1</sup>. თანაც „თვისობრივი ცვლილება“ პროფ. ნ. ღურმანოვს ესმის როგორც ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემაღენლობის ნიშნებისადმი<sup>2</sup>. ავითარებს რა თავის თვალსაზრისს, პროფ. ნ. ღურმანოვი ამტკიცებს, რომ „თვისობრივ“ ცვლილებებში იგულისხმება არა მეორეხარისხოვანი ცვლილებანი ხელყოფის ობიექტში, არამედ მხოლოდ არსებითი ხასიათის ცვლილებანი. „ამიტომაც თუ იმ მოქმედების შედეგად, რომელიც მიმართული იყო ადამიანის მოსაკლავად, კაცი მხოლოდ დაიჭრა, თუნდაც მძიმედ, ლაპარაკია მცდელობაზე და არა დამთავრებულ დანაშაულზე. აქ ობიექტის ერთგვარ ცვლილებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მას თვისობრივი ხასიათი არ ჰქონია. ამიტომაც ვლაპარაკობთ, რომ მოქმედებას ადგილი ჰქონდა, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა სუბიექტისათვის დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

დანაშაულის შედეგის ცნების განსაზღვრებაში, რომელსაც პროფ. ნ. ღურმანოვი იძლევა, სწორია ის, რომ შედეგად (ვიწრო გაგებით) უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ის ცვლილება ხელყოფის ობიექტში, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, და არა ყოველი, თუნდაც მეტად არსებითი ცვლილება ობიექტურ გარესამყაროში, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დანაშაულს. მაგრამ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ განსაზღვრებაში ამ ცვლილების „თვისობრივ“

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, МЛ. 1948, стр. 57.

<sup>2</sup> იქვე  
<sup>3</sup> იქვე

ხასიათზე მითითება. აღნიშნული მომენტი არათუ ხელს არ უწყობს დანაშაულებრივი შედეგის ცნების დაზუსტებას, არამედ, პირიქით, აბუნდოვანებს მას. თუ ვინმე მკვლელობის მცდელობის შედეგად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინვალიდად დარჩება, ეს, რა თქმა უნდა, მეტად არსებითი და „თვისობრივი“ ცვლილებაა ხელყოფის ობიექტში, ე.ი. დაზარალებულის პიროვნებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა დამნაშავე დაისჯება არა დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის, რადგან არ განხორციელებულა სწორედ ის შედეგი, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციის თანახმად აუცილებელია მკვლელობის შემადგენლობისათვის.

ვცნობთ რა დანაშაულის შედეგად (ვიწრო გაგებით) მხოლოდ ისეთ ცვლილებას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია აღნიშნული, ჩვენ ამით ვალიარებთ შედეგის ცნების შეფარდებით ხასიათს. შედეგის ცნების ეს შეფარდებითი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ ხელყოფის ობიექტის ამა თუ იმ ცვლილების აღიარება დანაშაულის შედეგად შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასა და დამოკიდებული.

მაშინ, როცა მეტაფიზიკოსისათვის, რომელიც მოვლენათა ურთიერთშემოქმედებასა და ურთიერთკავშირს ვერ ამჩნევს, რაიმე ხლომილება ან მხოლოდ მიზეზია. ან მხოლოდ შედეგი, დიალექტიკური მატერიალიზმისათვის „მიზეზი და შედეგი წარმოდგენება, რომელთაც ძალა აქვთ, როგორც ასეთებს, მხოლოდ ცალკე შემთხვევაზე გამოყენების დროს, მაგრამ როგორც კი ცალკე შემთხვევას განვიხილავთ მის ზოგად კავშირში მსოფლიო მთლიანობასთან, ეს წარმოდგენანი ერთდებიან და უნივერსალური ურთიერთმოქმედების წარმოდგენაში გადადიან, სადაც მიზეზები და შედეგები მუდამ თავიანთ ადგილებს იკვლიან და ის, რაც ახლა ან აქ შედეგი იყო, იქ ან მაშინ მიზეზი იქნება და პირიქით“.

მიზეზისა და შედეგის ეს შეფარდებითი ხასიათი პოულობს თავის გამოვლინებას აგრეთვე მოძღვრებაში დანაშაულებრივი მოქმედების შედეგის შესახებ. რადგან ყოველი მოვლენა რომელიმე სხვა მოვლენითაა გამოწვეული და ამავე დროს თვითონაა მიზეზი სხვა მოვლენისა, ამიტომ ამა თუ

<sup>1</sup> ფ. ენგელის, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 28.

იმ მოვლენის მიზეზად ან შედეგად გამოცხადება შეფარდებითი ხასიათისაა. „ასე, გასროლა „შედგია“ ჩაზმახის დაცემისა, გულის ქსოვილის გარღვევა – შედეგია გულში ტყვიის მოხვედრისა, მსხვერპლის სიკვდილი – გულის ქსოვილის ტყვიით გარღვევისა, დედის თვითმკვლელობა – ერთადერთი შვილის სიკვდილისა და ა.შ.“ მაგრამ ყველა ამ უთვალავი შედეგებიდან მკვლელობის შემადგენლობის შედეგად სისხლის სამართალი თვლის მხოლოდ იმ ცვლილებას გარეკსამყაროში, რომელიც კაცის სიკვდილში მდგომარეობს, რადგანაც სწორედ კაცის სიკვდილია აღნიშნული სისხლის სამართლის კანონის მიერ, როგორც მკვლელობის დანაშაულის აუცილებელი ელემენტი. და სწორედ შედეგის ასეთი შეფარდებითი ხასიათის გამო სხეულის დაზიანება, როცა იგი ისეთი მოქმედებითაა მიყენებული, რომელიც მკვლელობაზე იყო მიმართული, იძლევა მცდელობის შემადგენლობას და არა დამთავრებულ დანაშაულს. პირიქით, სხეულის ასეთივე დაზიანება დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას იძლევა, თუ მოქმედება მიმართული იყო სხეულის დაზიანების მიყენებაზე. მაშასადამე შედეგის არსებობა (ვიწრო აზრით) დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელდობრ როგორ ცვლილებას მიაკუთვნებს კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

#### §4. დანაშაულის დაყოფა შედეგგარეშე და შედეგიან დანაშაულად

იმისდა მიხედვით, გათვალისწინებულა თუ არა დანაშაულებრივი შედეგი დანაშაულის შემადგენლობაში, დანაშაულობანი ორ ნაწილად განიყოფებიან: შედეგგარეშე და შედეგიან<sup>2</sup> დანაშაულად.

<sup>1</sup> იხ. А. Н. Трайнин, Общие вопросы о составе преступления, М., 1957, стр. 144.

<sup>2</sup> ამ ცნებათა შესაბამისად საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია ტერმინები: „ფორმალური“ და „მატერიალური“ დანაშაული. ეს ტერმინები ვერ გამოხატავენ საქმის არსს, ვინაიდან ყოველ დანაშაულს აქვს ორი მხარე – მატერიალური (ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება) და ფორმალური (ქმედობის მართლწინააღმდეგობა). გერმანულ ლიტერატურაში შედეგიან დანაშაულთა გამოსახატავად ხმარობენ ტერმინს Erfolgsverbrechen, ხოლო შედეგგარეშე დანაშაულთა გამოსახატავად – Beghungsvorbrechen.

შედევგარეშე დანაშაული ეწოდება ისეთ დანაშაულს, რომლის შემადგენლობაშიც კანონი აღწერს დამთავრებული დანაშაულის სახით ქმედობას თავისთავად (მოქმედებას ან უმოქმედობას) და არ მიუთითებს შემდგომ შედეგებზე, როგორც მის აუცილებელ ელემენტზე. შედეგგარეშე დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შესრულებულია აკრძალული მოქმედება, ხოლო რაიმე შედეგის განხორციელება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის საჭირო არ არის.

შედევგარეშე დანაშაულნი თავის მხრივ ორი სახისაა: შედეგგარეშე მოქმედებითი დანაშაული და შედეგგარეშე უმოქმედობითი დანაშაული. შედეგგარეშე მოქმედებითი დანაშაული შეიძლება შესრულდეს მხოლოდ კანონში მითითებული განსაზღვრული პოზიტიური მოქმედების მეშვეობით. შედეგგარეშე უმოქმედობითი დანაშაულის შემადგენლობა არის ისეთი შემადგენლობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს პირისათვის სავალდებულო გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებით.

შედევგარეშე მოქმედებითი დანაშაულის მაგალითებია: შეგნებულად ცრუ დასმენა (საქ. სსრ სისხლის სამ. კოდექსის 196-ე მუხ.), შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (მუხ. 197-ე), მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება (მუხ. 201-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (მუხ. 88-ე) და ა.შ.

შედევგარეშე უმოქმედობითი დანაშაულის მაგალითებია: გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება (მუხ. 83-ე), დანაშაულის განუცხადებლობა (მუხ. 206-ე), ალიმენტის გადახდისათვის თავის არიდება (მუხ. 124-ე) და ა.შ.

შედევგარეშე დანაშაულის შემადგენლობებს კანონმდებელი შემდეგ შემთხვევებში აყალიბებს:

ა) როცა შედეგი გარდუვალად დგება განსაზღვრული მოქმედების შესრულებასთან ერთად და ამიტომაც მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა ფაქტიურად შეუძლებელია (ასეთებია, თავისუფლების აღკვეთა, ღებერთირობა და სხვ.);

ბ) როცა განსაზღვრულმა ქმედობამ სხვადასხვაგვარი დანაშაუ-



ლებრივი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს და ამიტომაც მათი კონკრეტ-იზაცია ძნელი ხდება. ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი მოქმედების შედეგი იმდენად ძნელად ხელშესახებია, რომ მისი დადგენა პრაქტიკაში განსაზღვრულ სიმძნელებთანაა დაკავშირებული<sup>1</sup>.

გ) როცა დასაცავი საზოგადოებრივი ურთიერთობანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი შესაძლებლად არ თვლის მოქმედების დამთავრება ნამდვილი ზიანის დადგენას დაუკავშიროს და ამიტომ დასჯადად აცხადებს თვით მოქმედებას, თუნდაც ის ზიანის დადგომის სულ მცირე შესაძლებლობას შეიცავდეს. ასეთია, მაგალითად, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა (მუხ. 71-ე), ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნა (მუხ. 73-ე), შეიარაღებული ბანდის შექმნა (მუხ. 78-ე) და ა.შ.

შედეგგარეშე შემადგენლობათა შექმნისას კანონმდებელი ზოგადად გულისხმობს მოქმედების ან უმოქმედობის აბსტრაქტულ საფრთხეს და იგი ათავისუფლებს მოსამართლეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ საფრთხის რეალურად არსებობის დამტკიცების მოვალეობისაგან. სწორედ ამიტომაც, რომ შედეგგარეშე დანაშაული დამთავრებულად ითვლება უკვე აკრძალული მოქმედების ჩადენის მომენტში ან, პირიქით, სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობის მომენტში.

ნათქვამი არ გამორიცხავს იმას, რომ ასეთ დანაშაულს ფაქტიურად შეიძლება მოყვეს რაიმე მანე შედეგი. მართალია, მანე შედეგის არსებობას მნიშვნელობა არა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისას, მაგრამ იმ ფაქტს, რომ მოქმედებამ ან უმოქმედებამ ფაქტიურად რაიმე განსაზღვრული მანე შედეგი გამოიწვია, შეუძლია გავლენა მოახდინოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე და, მაშასადამე, პასუხისმგებლობის მოცულობაზე. სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფლებას აძლევს მოსამართლეს მხედველობაში მიიღოს ეს მანე

---

<sup>1</sup> იხ. Н. Ф. Кузнецова. Значение преступных последствий, М., 1958, стр. 43-44; В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 1957; А. С. Михлин, Понятие и виды последствий преступления, „Вопросы уголовного права и процесса“, ВИЮН, М., 1958, стр. 68; его же, Значение последствий преступления для квалификации содеянного, „Ученые записки ВИЮН“, вып. 12, М., 1961, стр. 77.

შედეგი სასჯელის დანიშვნის დროს. კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი (საქ. სსრ სისხლის სამ. კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი) სპეციალურად ითვალისწინებს „დანაშაულით მძიმე შედეგების გამოწვევას“, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას.

“შედეგგარეშე“ დანაშაულის შემადგენლობიდან ე.წ. „შედეგიანი“ დანაშაულის შემადგენლობა იმით განსხვავდება, რომ აქ კანონის დისპოზიციაში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობაში პირდაპირ არის გათვალისწინებული განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელება.

კანონმდებელი შედეგიანი დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციას ჩვეულებრივ მიმართავს მაშინ, როდესაც დანაშაულის ობიექტისათვის ზიანის მიყენება დაკავშირებულია დანაშაულის საგანზე ზემოქმედებასთან და შეიძლება აღქმულ იქნეს ადამიანის გრძნობების მემკვიდრით ასეთია მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების დაზიანება ან განადგურება, ქონების გატაცება და სხვ. შედეგიანი დანაშაული დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა გარესამყაროში განხორციელდა ის გარკვეული ცვლილება, რომელიც შედეგის სახით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი, თუ რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის შემადგენლობა, რომლის აუცილებელ ელემენტად კანონის დისპოზიცია სამართლით დაცული ობიექტისათვის ზიანის მიყენების საფრთხის შექმნას ითვალისწინებს. ასეთია მაგალითად, რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა, თუ მას არ მოჰყოლია მძიმე შედეგები, მაგრამ თუ ის აშკარად ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს (მუხ. 86-ე), მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების დანგრევა და დაზიანება, თუ მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობის დარღვევა (მუხ. 87-ე), ტელეგრაფის საზღვაო

კაბელის გაუფრთხილებლობით დაზიანება, თუ მან გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტა (მუხ. 227-ე), შეგნებულად ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში პირისა, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად (მუხ. 128-ე) და სხვ. ასეთ დანაშაულს სხვაგვარად საფრთხის შემქმნელი დანაშაული ეწოდება.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, შემადგენლობათა აღნიშნული კატეგორია არ შეიძლება მივაკუთვნოთ შედეგიან შემადგენლობათა კატეგორიას, რადგან კანონი მათი დამთავრებისათვის თხოულობს არა მკვნე შედეგის რეალურად დადგომას, არამედ მისი დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას. რამდენადაც ზემოთ მოყვანილ შემადგენლობებში არ არსებობს შედეგიანი შემადგენლობებისათვის აუცილებელი ნიშანი — მკვნე შედეგის რეალიზაცია, ამდენად ეს შემადგენლობები შედეგგარეშე შემადგენლობებს მიეკუთვნება<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, შედეგიან დანაშაულს უნდა მიეკუთვნოს არა მარტო ის დანაშაული, რომლის საკანონმდებლო კონსტრუქცია მოითხოვს სისხლის სამართლის კანონის მუხლის დისპოზიციაში მითითებული რეალური ზიანის მიყენებას, არამედ ისიც, რომლის დისპოზიცია ზიანის განხორციელების საფრთხეზე მიუთითებს. შედეგის დადგომის საფრთხეც, სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით, დანაშაულის შედეგს წარმოადგენს. საფრთხე, ე.ი. მკვნე შედეგის განხორციელების რეალური საშიშროება არ წარმოადგენს „ჩვენი ფრაგმენტალური ცოდნის, მოვლენათა განვითარების პროცესში ჩვენი შეზღუდული ჩაწვდომის შედეგს“, — როგორც ამას ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები ამტკიცებენ<sup>2</sup>. პირიქით, იგი გულისხმობს გარკვეულ პროცესებს ობიექტურ გარესამყაროში, ე.ი. ისეთი პირობების შექმნას, რომელთაც გარკვეუ-

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 40; А. С. Михлин, Понятие и виды последствия преступления, „Вопросы уголовного права и процесса“, ВИОН, М., 1958, стр. 69-71; сго же, Значение последствий преступления для квалификации содеянного виновным, „Учебные записки ВИОН“, вып. 12, М., 1961, стр. 77-78.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Th. Rittler, Lehrbuch des osterreichischen Strafrechts Allg. Teil, Wien, 1954, S. 84.

ლი მდგომარეობის განვითარების საერთო კანონზომიერებათა შესაბამისად შეიძლება მავნე შედეგი გამოიწვიონ. რამდენადაც ეს პირობები უკვე შექმნილია, მაშასადამე, რამდენადაც გარკვეული ცვლილებები ობიექტურ გარესამყაროში უკვე მოხდა, იმდენად საფრთხე ობიექტური კატეგორიაა და ამიტომ დანაშაულებრივი შედეგის განსაზღვრულ სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს<sup>1</sup>.

აქედან ცხადია, რომ თუ მითითება მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია შეტანილი, დანაშაულის ასეთი შემადგენლობა „შედეგიან“ შემადგენლობას უნდა მიეკუთვნოს. ამიტომ იმ შემადგენლობების არსებობისას, რომელნიც თავის აუცილებელ ელემენტად მავნე შედეგის განხორციელებას ითვალისწინებენ, მოსამართლე არ უნდა დაჯერდეს მხოლოდ მოქმედების ან უმოქმედობის კონსტატაციას, არამედ უნდა დაადგინოს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად არსებობდა ზიანის დადგომის რეალური შესაძლებლობა, ანუ ადამიანის ნებელობითმა ქცევამ შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც შემადგენლობაში გათვალისწინებული შედეგის რეალიზაციის პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავენ. სწორედ ეს აუცილებლობა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დამტკიცებულ იქნეს მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და შექმნილი საფრთხის მდგომარეობას შორის, იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული შემადგენლობანი შედეგიან შემადგენლობათა რიცხვს მივაკუთვნოთ.

---

<sup>1</sup> ამ შეხედულებას თანმიმდევრულად იზიარებს ნ. კუზნეცოვა. მისი აზრით, საფრთხე — „ეს არის ობიექტის განსაზღვრული მდგომარეობა იმ საზოგადოებრივად მავნე ცვლილებების შედეგად, რომლებიც მასში სუბიექტის დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია... საფრთხე ქმედობითაა შექმნილი, მაგრამ ქმედობის ფარგლებს გარეთ არსებობს“ (იხ. Н. Ф. Кузнецова, *Значение преступных последствий*, М., 1958, стр. 25).

ანალოგიურ შეხედულებას იზიარებენ ვ. კუდრიავცევი და ფ., პოლიაჩეკი (იხ. В. И. Кудрявцев, *Объективная сторона преступления*, 1960, стр. 156-157; 172; Ф. Полищек, *Состав преступления по чехословацкому уголовному делу*, М., 1960, стр. 130).

უკანასკნელ ხანს ამ შეხედულებას ნაწილობრივ პროფ. ა. პიონტკოვსკიც მიემხრო. მისი აზრით „გამორიცხული არ არის, რომ განსაზღვრულ შემთხვევაში მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა სისხლის სამართლის კანონშიც განხილულ იქნეს როგორც თავისებური დანაშაულებრივი შედეგი“ (А. А. Понотковский, *Учение о преступлении*, М., 1961, стр. 176).

თავის მხრივ შედეგადად შემაღენლობანი შეიძლება განხორციელდნენ როგორც დადებითი მოქმედებით (delicta commissiva), ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებით (delicta commissiva perommissionem). ორივე შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა მოქმედებასა ან მოქმედებისაგან თავის შეკავებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის.

ისევე, როგორც შედეგარეშე დანაშაულთა დროს, შედეგადად დანაშაულთა შემთხვევაშიც შეიძლება წარმოიშვას შემდგომი შედეგები, რომლებიც კანონით დადგენილ დანაშაულის შემაღენლობას არ მიეკუთვნებიან. ამ შემდგომ შედეგებს არა აქვთ მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის, მაგრამ მათ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე და ამიტომ მხედველობაში იქნან მიღებული სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრისას.

## დანაშაულის შედეგის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის

§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ისეთი დანაშაულისათვის, რომლის დასჯადობის აუცილებელ პირობას მძიმე შედეგის განხორციელება წარმოადგენს

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ზოგჯერ შედეგი პირდაპირ გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობაში როგორც მისი აუცილებელი ელემენტი. თუ ასეთი, ე.წ. შედეგიანი დანაშაულის დროს შედეგი არ დადგა, არ არსებობს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა, არამედ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ დაუმთავრებელ დანაშაულს. ასე, მაგალითად, თუ ვინმემ მოკვლის განზრახვით კაცს ესროლა, მაგრამ მხოლოდ დაჭრა იგი, გვექნება მკვლელობის მცდელობა. მაგრამ იგივე შედეგი გვაძლევს სხვა დამთავრებული დანაშაულის (სხეულის დაზიანების) შემადგენლობას, თუ დანაშაულის განზრახვა მიმართული იყო არა კაცის მოსაკლავად, არამედ მისთვის სხეულებრივი დაზიანების მისაყენებლად.

ასეთ შემადგენლობებთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსში არიან შემადგენლობანი რომელნიც ითვალისწინებენ მძიმე შედეგის განხორციელებას, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას. თუ ეს შედეგი რეალურად არ განხორციელდა, პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით სრულიად არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ასეთი შემადგენლობებია, მაგალითად, სავეტერინარო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი (მუხ. 183), მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (მუხ. 184-ე), ხელისუფლების ან საშსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ან უფლებამოსილების გადაცილება, თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს (მუხ. 186-ე, 187-ე), წესრიგის დაცვისა და მოძრაობის უშიშროების

ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა, რასაც ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა (მუხ. 242-ე), სამშენებლო ან სამთო სამუშაოთა უშიშროების წესების დარღვევა, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა (მუხ. 244-ე, 245-ე) და ა.შ.

ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში, თუ მძიმე შედეგი არ განხორციელდა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი და საკითხი შეიძლება შეეხოს პასუხისმგებლობას მხოლოდ დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით.

მაგრამ იბადება კითხვა: საკმარისია თუ არა ასეთი დანაშაულის დროს პასუხისმგებლობისათვის აღნიშნული შედეგის განხორციელების ფაქტი, თუ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც ეს შედეგი სუბიექტის ბრალით, კერძოდ გაუფრთხილებლობით არის მოცული?

აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი თეორია და სასამართლო პრაქტიკა არ მოითხოვენ ბრალს ასეთი შედეგის მიმართ. შედეგი მოქმედს ობიექტურად შეერაცხება. თვით ამ შედეგს, რომელიც პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, დანაშაულის შემადგენლობას არ აკუთვნებენ. ეს მათი სახელწოდებიდანაც კი ჩანს — „დასჯადობის ობიექტური პირობები“. „გაბატონებული შეხედულება, ლაპარაკობს ბურჟუაზიული კრიმინალისტი ი. ბაუმანი, — არ თვლის მათ შემადგენლობის ნამდვილ ნიშნებად. ამას ის შედეგი ახლავს, რომ პირის განზრახვა, რომელიც მხოლოდ შემადგენლობის ნიშნებზე უნდა ვრცელდებოდეს, ამ ნიშნებს არ შეეხება. ისინი უნდა არსებობდნენ მხოლოდ ობიექტურად და არა სუბიექტურად, ამიტომ მათ დასჯადობის ობიექტური პირობები ეწოდებათ“<sup>1</sup>. ამგვარად, ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ჯერ კიდევ შემონახულია ობიექტური შერაცხვა, პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე<sup>2</sup>.

თუ ბურჟუაზიული კრიმინალისტების ერთი ნაწილი აშკარად აღიარებს ზემოთმოტანილ შემთხვევებში ობიექტურ შერაცხვას, მეორე

<sup>1</sup> J. Baumann, Strafrecht, Allgemeiner Teil, Biellefeld, 1961, S. 383.

<sup>2</sup> ამ შეხედულებას ატარებდა ერთ ხანს დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის პრაქტიკა.

ნაწილი ცდილობს დაასაბუთოს, რომ დასჯადობის ობიექტური პირობების აღიარება არ ნიშნავს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, რამდენადაც ასეთ შემადგენლობებში გათვალისწინებული შედეგი ჩვეულებრივი ანუ ტიპური რისკის სფეროში ძვეს და რამდენადაც თვით მოქმედება (წესის დარღვევა) ბრალეულად არის ჩადენილი. ამ შეხედულებას იზიარებს ამჟამად დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლო. მის ერთ-ერთ განჩინებაში მითითებულია, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი არ გულისხმობს აუცილებლობით განზრახვას ან გაუფრთხილებლობას ისეთი შედეგის მიმართ, რომელიც საფრთხიანი, სარისკო მოქმედებით არის შექმნილი, არამედ არსებობს კიდევ ბრალის მესამე სახე, რომელიც განსხვავდება განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან. ბრალის ამ მესამე სახის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეს შეუძლია გასაკიცხად ჩათვალოს მანვე შედეგის განზორციელება ისეთი მოქმედების მეშვეობით, რომლის აბსტრაქტული საშიშროება სუბიექტს შეგნებული ჰქონდა<sup>1</sup>.

ეს შეხედულება ფაქტიურად ბრალის პრინციპის უარყოფაზეა დაფუძნებული. თავისი პოზიციის დასაბუთებისათვის იგი აფართოებს ბრალის ცნებას განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფარგლებს გარეთ და უმატებს მათ რაღაც მესამე ფორმას, რომელიც არ გულისხმობს თავის შემადგენელ ნაწილად პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგთან.

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის თანამიმდევრულად გატარება ნიშნავს, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას ისეთი შედეგისათვის, რომლის მიმართ პირს აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. დასჯადობის ობიექტური პირობების მიმართ ბრალის უარყოფით ბურჟუაზიული იურისტები უბრუნდებიან საშუალო საუკუნეების ლოქტრინას — *versanti in re illicita imputatur omnia, quae sequuntur ex delicto*. ამ ლოქტრინის თანახმად, ვინც უკანონო საქციელი ჩაიდინა, მან პასუხი უნდა აგოს ყველა იმ შედეგისათვის, რაც ამ უკანონო საქციელს შეიძლება მოჰყვეს.

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე. D. Lang-Hinrichsen, Zur Krise des Schuldgedankens im Strafrecht. „Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft“, B. 73, 1961, S. 216.



როგორც თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტები მიუთითებენ, ეს დოქტრინა იმაზე იყო აგებული, რომ ვინც უკანონო მიზანს ისახავს და მართლსაწინააღმდეგო ქმედობას ჩადის, ამით თავზე იღებს რისკს შედეგობი შედეგებისათვის, ვინაიდან ასეთი უკანონო მოქმედების შედეგების გათვალისწინება დასაწყისში ყოველთვის როდი შეიძლება<sup>1</sup>. დამახასიათებელია, რომ საშუალო საუკუნეების იურისტებიც, რომელნიც ამ ფორმულას მიმართავდნენ, არ თვლიდნენ შედეგისათვის პასუხისმგებლობას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობად. „იმდროინდელი კულტურული შეხედულებების შესაბამისად ბრალს უკვე იმაში ხედავდნენ, რომ პირმა განახორციელა შედეგი, რომელიც სასჯელის ღირსი იყო. შედეგისათვის პასუხისმგებლობა ამ ასპექტში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ბრალად შერაცხვის პრიმიტიული სახე“<sup>2</sup>. მაგრამ როდესაც ასეთ შეხედულებას თანამედროვე კრიმინალისტი იმეორებს — ეს უკვე ბრალეული პრინციპის შეგნებულ დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს. სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველასათვის ნათელია, რომ თუ შედეგი პიროვნების შინაგან ცხოვრებასთან, მის ფსიქიკურ პროცესებთან არ არის დაკავშირებული, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი ბრალეულად არის გამოწვეული.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანმიმდევრულად ახორციელებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, თანაც ბრალად იგი თვლის არა ლიტონ შეფასებით მსჯელობას, არამედ ფსიქიკურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებების მე-3 მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“.

ამიტომ პასუხისმგებლობას შედეგისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ პირს შეეძლო მაინც გაეთვალისწინებინა

<sup>1</sup> იხ. დ. ლანგ-ჰინრიქსენი, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 216.

თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი. ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში გათვალისწინებული მძიმე შედეგები პასუხისმგებლობის ობიექტურ პირობებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იყვნენ მოცული სუბიექტის ბრალით. ასე, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ხელისუფლების ან სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ თანამდებობის პირს გაუფრთხილებლობის სახით მაინც ჰქონდა ფსიქიკური დამოკიდებულება 186-ე და 187-ე მუხლებში ჩამოთვლილ შედეგებთან, ე.ი. თუ მას უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა, რომ თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით შესაძლებელია ზიანი მიაყენოს სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ასევე პირს, რომელმაც წესრიგის დაცვის და მოძრაობის უშიშროების ტრანსპორტზე მოქმედი წესები დაარღვია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ამ დარღვევას შეიძლება მოჰყვეს ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი და ა.შ. ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართალი აქაც ბრალეულ პასუხისმგებლობას თანამიმდევრულად და ბოლომდე ატარებს.

## §2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის

ზოგჯერ საზოგადოებრივად საშიში შედეგი შეტანილია კანონმდებლობის მიერ დანაშაულის შემადგენლობაში როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. ასეთ შემადგენლობებს მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები ეწოდება. მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულთა შემადგენლობანი კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს აგებული. ზოგჯერ კვალიფიცირებული გარემოების სახით მიმითებულია კონკრეტულად განსაზღვრული შედეგი. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლში ლაპარაკია დაზარალებულის სიკვდილზე. ზოგჯერ კანონმდებელი მიუთითებს ზოგადი ფორმით მძიმე შედეგზე (მუხ. 248,

ნაწ. მე-2) ან განსაკუთრებით მძიმე შედეგზე (მუხ. 117-ე, ნაწ. მე-3). არის შემთხვევები, როცა კანონში განსაზღვრულ კონკრეტულ შედეგთან ერთად აღნიშნულია სხვა მძიმე შედეგებიც. მაგალითად, 247-ე მუხლის მე-2 ნაწ. ითვალისწინებს აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და სამაქრობებში უშიშროების წესების დარღვევას, თუ მას აფეთქება, ზანძარი ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა. ზოგჯერ დამამძიმებელ გარემოებას მხოლოდ ზიანის ნამდვილად განხორციელება წარმოადგენს, ზოგჯერ კი, ზიანის ნამდვილად განხორციელებასთან ერთად, მისი შესაძლებლობაც.

ამგვარად, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ძირითად შედეგზე უფრო მძიმე შედეგი კანონის თანახმად უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორი უნდა იყოს პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მძიმე შედეგისადმი? სახელდობრ, აუცილებელია თუ არა, რომ პირს ბრალეული დამოკიდებულება ჰქონდეს არა მარტო ძირითადი შედეგის, არამედ, მძიმე შედეგის მიმართაც, თუ საკმარისია, რომ სუბიექტს ბრალეული დამოკიდებულება ჰქონდეს ძირითადი შედეგისადმი, ხოლო უფრო მძიმე შედეგის განხორციელება სასჯელის გადიდების ობიექტურ პირობას წარმოადგენს?

ბურჟუაზიული იურისტების უმრავლესობა იმ შეხედულებას იზიარებდა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ობიექტურ შერაცხვას. სასჯელის გადიდება გაპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ მაენე შედეგის განხორციელების ფაქტით, იმისდა მიუხედავად, ჰქონდა თუ არა პირს ბრალეული დამოკიდებულება ამ მაენე შედეგისადმი.

მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოების უმრავლესობაში გვხვდება, მაგრამ ისინი განსაკუთრებით გავრცელებული იყვნენ გერმანიის სისხლის სამართალში. ამ შემადგენლობათა ჩამოყალიბებას თავის დროზე ხელი შეუწყო საშუალო საუკუნეების კანონიკური სამართლის ზემოთ ნახსენებმა პრინციპმა – *versanti in re illicita*. მაგრამ ამ პრინციპის საფუძველი უფრო შორეულ წარსულში მიდის. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი საზოგადოების პრიმიტიული შეხედულებით პასუხისმგებლობის ერთადერთ პირობას მაენე შედეგი წარმოადგენდა და პასუხისმგე-

ბლობა ობიექტურ შერაცხვაზე იყო აგებული. სწორედ ამ ძველი, რუდიმენტული შეხედულების გადმონაშთს წარმოადგენს ბურჟუაზიული კანონმდებლობათა მიერ გათვალისწინებული გაძლიერებული პასუხისმგებლობა მკენე შედეგისათვის.

თუ რაოდენ აფართოებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების ასეთი კონსტრუქცია, ეს ნათლად ჩანს გერმანიის საიმპერიო სასამართლოს (რაიხსგერიხტის) შემდეგი განჩინებებიდან: პირი, რომელმაც მსუბუქად ხელი ჩაარტყდა თვალში დაზარალებულს, ცნობილი იყო დამნაშავედ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე პარაგრაფით<sup>1</sup>, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის ორივე თვალით დაბრმავებას ხელი შეუწყო თვალის სურავანდით დაავადებამ, რომლის გათვალისწინება მოქმედისათვის შეუძლებელი იყო. ამავე მუხლით პასუხისმგებაში მიცემული იყო პირი, რომელმაც სილა გარტყა მეორე პირს, ხოლო ეს უკანასკნელი სულიერად დაავადდა, ასეთი დაავადებისადმი მემკვიდრეობითი მიდრეკილების გამო. პირი, რომელმაც ავი ძალღი მიუსიანა დაზარალებულს, დამნაშავედ იქნა ცნობილი ამავე კოდექსის 226-ე<sup>2</sup> მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული გარდაიცვალა ინფექციისაგან, რომელიც თვით მან საკუთარი გაუფრთხილებლობის წყალობით ჭრილობაში შეიტანა<sup>3</sup>.

სწორედ ასეთი უსამართლო დასკვნების თავიდან აცილების მომიზეზებით ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი უარყოფდა მიზეზობრივი კავშირის ეკვივალენტურ თეორიას და მოითხოვდა სისხლის სამართლის სფეროში ადეკვატური თეორიის შემოღებას. ასე, მაგალითად, ფ. ალფელდი პირდაპირ მიუთითებს, რომ მიზეზობრივი კავშირის ცნების განხილვის დროს „უნდა გამოვიდეთ იმ შედეგებიდან, რომლებიც ბრალით მოცული არ არიან“, ვინაიდან „მიზეზობრივი კავშირის სწორი ფარგლების დადგენას უმთავრესად მათთვის აქვს

<sup>1</sup> ეს მუხლი ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას, რასაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის მძიმე დასახიზრება.

<sup>2</sup> ეს მუხლი ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას, რომელსაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა.

<sup>3</sup> მაგალითები მოტანილია მეცგერის სახელმძღვანელოებიდან იხ. E. Mezger, Deutsches Strafrecht, 1931, S. 113-114.

მნიშვნელობა<sup>1</sup>. მიზეზობრივი კავშირის ადეკვატური თეორიის მიხედვით, კანონმდებელს მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების შექმნის დროს მხედველობაში აქვს მიზეზის განსაკუთრებული იურიდიული ცნება, უფრო ვიწრო და შეზღუდული, ვიდრე ცნება *conditio sine qua non*. მძიმე შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეერაცხოს პირს, როდესაც მან ისეთი ქმედობა ჩაიდინა, რომელსაც საზოგადოდ აქვს ასეთი შედეგის გამოწვევის უნარი (ფ. ალფელდი), ან როდესაც იგი არაუმნიშვნელოდ ზრდის ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას (ლ. ტრეგერი), ან როდესაც იგი ისეთ კავშირშია შედგება, რომ ობიექტურად ასეთი კავშირი სათვალავში შეიძლება იქნეს მიღებული (მ. ლიპმანი). თავისი აზრის დასაბუთებისათვის ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები მიუთითებენ თვით იმ დანაშაულთა ბუნებაზე, რომელნიც ითვალისწინებენ მძიმე შედეგს, როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას. დაზარალებულის სიკვდილი, როგორც დამამძიმებელი გარემოება, გათვალისწინებულია ისეთ დანაშაულთა დროს, როგორიცაა: სხეულის დაზიანება, მუცლის მოშლა, ცეცხლის გაჩენა და ა.შ., ე.ი. სწორედ ისეთ დანაშაულთა დროს, რომელნიც თავისთავად, თავისი ბუნებით დაკავშირებულნი არიან დაზარალებულის სიცოცხლისათვის განსაკუთრებულ საშიშროებასთან. შემთხვევითი როდია, რომ ასეთი შედეგი არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, როგორც ქურდობის ან თაღლითობის დამამძიმებელი გარემოება, თუმცა გარემოებათა უცნაური დამთხვევის გამო იგი ამ ქმედობებსაც შეიძლება მოჰყვეს.

„მართლაც რომ ეს ისეთივე უცნაური უსამართლობა იქნება, — აღნიშნავდა ადეკვატური თეორიის მამამთავარი კრისი, — თუ ჩვენ იმ პირს, ვინც მსუბუქად დაჭრა დაზარალებული, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დავაკისრებდით მისი სიკვდილისათვის, რაც ექიმთან წასვლის დროს გზაში უბედური შემთხვევის გამო მოხდა, როგორც იქნებოდა მაგალითად პასუხისმგებლობის დაკისრება ქურდისათვის მის მიერ გაქურდული პირის სიკვდილისათვის, რაც ასეთივე უბედური შემთხვევის გამო პოლიციაში ქურდობის გასაცხადებლად წასვლის დროს მოხდა<sup>1</sup>“. ამ საფუძვლით ადეკვატური თეორიის წარმომადგენ-

<sup>1</sup> Ph. Alfeld, Lehrbuch des Deutschen Strafrecht, Berlin, 1934, S. 105, N 8.

ლები ამტკიცებენ არა მარტო იმას, რომ მიზეზობრივი კავშირი მძიმე შედეგით კვალიფიციურებული დელიქტების დროს უფრო ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული, არამედ იმასაც, რომ საერთოდ სისხლის სამართლის დარგში მიზეზობრივი კავშირის განსაკუთრებული ცნება უნდა შეიქმნას. სახელდობრ, მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართლის მნიშვნელობით უნდა ნიშნავდეს არა იმას, რომ ადამიანის მოქმედება არის დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, არამედ იმას, რომ ეს არის ისეთი აუცილებელი პირობა, რომელიც საერთოდ, ტიპიურად, ცხოვრების გამოცდილების თანახმად, იწვევს ასეთი ხასიათის შედეგს.

ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის მეორე ჯგუფი, რომელიც ეკვივალენტურ თეორიას მიზეზობრივი კავშირის ერთადერთ სწორ თეორიად თვლის და ამტკიცებს მიზეზობრივი კავშირის არსებობას ადამიანის ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის ყველა შემთხვევაში, როცა ადამიანის მოქმედება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო შედეგისა, ცდილობს სხვაგვარად შეზღუდოს პასუხისმგებლობა მძიმე შედეგით კვალიფიციური დელიქტებისათვის. სახელდობრ, ეკვივალენტური თეორიის მომხრეთა ერთი ნაწილი მოითხოვს, რომ მხოლოდ ამ დანაშაულთა სფეროში მოქმედებდეს ადეკვატური მიზეზობრივი თეორია<sup>2</sup>, ხოლო მეორე ნაწილი მოითხოვს, რომ ბრალის ორი ფორმის — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარდა შემოღებულ იქნეს ბრალის მესამე, ახალი ფორმა, რაღაც მსგავსი სამოქალაქო სამართლის culpa lewissima-სი, რაც არსებითად ადეკვატურ თეორიას ემთხვევა<sup>3</sup>.

ეკვივალენტური თეორიის უფრო თანმიმდევარი წარმომადგენლები პირიქით მიუთითებდნენ, რომ ეკვივალენტური თეორიიდან არავითარი გამონაკლისების გაკეთება არ შეიძლება; მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც, როცა მძიმე შედეგი მიზეზობრივი ჯაჭვის არაჩვეულებრივად განვითარების გამო განხორციელდა და მისი ობიექტურად გათვალისწინება შეუძლებელი იყო, იგი მოქმედს უნდა შეერაცხოს. ადეკვა-

<sup>1</sup> Y. Kries, Über den Begriff der objectiven Möglichkeit und einige Anwendungen desselben, Leipzig, 188. S.51.

<sup>2</sup> G. Radbruch, Die lehre von der adäquaten Verursachung, Berlin, 1902, S. 64.

<sup>3</sup> E. Hartmann, Das Kausalproblem im Strafrecht, Breslau, 1900, S. 88 ff.

ტური მიზეზობრიობის შემოღება საერთოდ ან თუნდაც მხოლოდ მძიმე შედეგით კვალიფიციური დელიქტებისათვის, ფ. ლისტის აზრით, ნიშნავს „კანონის შეცვლას, ხოლო ამის უფლება მხოლოდ კანონმდებელს აქვს“<sup>1</sup>. ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლებს შეგნებულნი ჰქონდათ, რომ ეს თეორია მეტად აფართოებს პასუხისმგებლობას მძიმე შედეგებით კვალიფიცირებული დელიქტების დროს. მაგრამ, მათი აზრით, „აქედან გამომდინარე უსამართლობას შეიძლება შევებროლოთ მხოლოდ მოქმედი კანონის შეცვლის, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკვებით გამორიცხვის მეშვეობით“<sup>2</sup>.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგს, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წინააღმდეგ მრავალი ბურჟუაზიული იურისტი ილაშქრებდა. ასე, მაგალითად, ბინდინგი აღნიშნავდა, რომ კულტურულმა ხალხმა XX საუკუნეში თავი შეირცხვინა, როდესაც 58-ე პარაგრაფში<sup>3</sup> დაადგინა: „თუ კანონში სხვა რამ არ არის მითითებული, დაისჯება მხოლოდ ის, ვინც ბრალეულად მოქმედებდა“<sup>4</sup>. ამგვარადვე ცნობილი ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი მირეჩიკა წერდა: მოქმედი სამართალი ეს *partie honteuse* ბოლოს და ბოლოს უნდა იქნენ გაძევებულნი<sup>5</sup>.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა კანონმდებლობამ უარი თქვა მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაზე. ასე, მაგალითად, რუსეთის 1903 წლის დებულებაში შეტანილი იყო მუხ. 42-ე შემდეგი შინაარსისა: „არ შეიძლება მოქმედს ბრალად შერაცხოს დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა და

<sup>1</sup> F. Liszt, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1911. S. 136.

<sup>2</sup> P. Pomp, Die sogenannte Unterbrechung des Kausalzusammenhanges, Breslau, 1911, S. 75.

<sup>3</sup> საქმე შეეხება გერმანიის სისხლის სამართლის დებულების 1909 წლის პროექტს, შედგენილს მთავრობის კომისიის მიერ.

<sup>4</sup> ბინდინგის სიტყვები ციტირებულია ა. ტრაინინის წერილის მიხედვით. იხ. А. Трайнин, Кризис буржуазной демократии и развитие учения о составе преступления, „Советское государство и право“, 1941. N 1, стр. 89.

<sup>5</sup> А. Miřička, Die Formen der Strafschuld und ihre gesetzliche Regelung, Tübingen, 1903, S. 206.

თავიდან აეცლინა“. და შემდეგ, მუხ. 43-ე „იმ გარემოების არცოდნა, რომელიც განაპირობებს ქმედობის დანაშაულებრიობას ან აძლიერებს პასუხისმგებლობას, გამორიცხავს თვით ქმედობის ან პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების ბრალად შერაცხვას“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამია: გაუფრთხილებელი ქმედობის დროს ეს წესი არ გამოიყენება, თუ თვით არცოდნა ბრალეულის დაუდევრობის შედეგი იყო“.

კიდევ უფრო ნათლად იგივე დებულება ჩამოყალიბებულია ნორვეგიის 1902 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლში: „თუ კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც დანაშაულებრივმა ქმედობამ განუზრახველი შედეგი გამოიწვია, ასეთი უფრო დიდი სასჯელი დაინიშნება მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როცა მოქმედს შეეძლო გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა, ან თუ მას შემდეგ, რაც მოქმედის ყურადღება მისი განზორციელების საფრთხეზე მიაქცევს, მან არ მიიღო მასზე დამოკლებული ზომები შედეგის ასაცდენად“.

უარყო შემთხვევითი შედეგების შერაცხვა შვეიცარიის 1937 წლის კოდექსმაც. მართალია, ამ კოდექსის ზოგად ნაწილში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება მძიმე შედეგისადმი, მაგრამ განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში პირდაპირაა მითითებული, რომ სასჯელის გადიდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს შეეძლო ამ შედეგის გათვალისწინება.

დაბოლოს დასავლეთ გერმანიის კანონმდებლობამაც 1953 წ. 4 აგვისტოს ნოველით 1871 წ. სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა 56-ე მუხლი შემდეგი შინაარსისა: „თუ კანონი ქმედობის განსაკუთრებულ შედეგებს უფრო მკაცრ სასჯელს უკავშირებს, პირს ეს სასჯელი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეეფარდოს, როდესაც მან შედეგი გაუფრთხილებლად მაინც განაზორციელა“.

დამახასიათებელია, რომ ლიტონი მკვნე შედეგისათვის პასუხისმგებლობის იდეა, რომლის წინააღმდეგ ასე თავგამოდებით ილაშქრებს ბურჟუაზიული კრიმინალისტების უფრო პროგრესული ნაწილი, უკანასკნელ წლებში პოპულარს დამცველებს ბონის რესპუბლიკის თან-



ამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტებს შორის. ამაზე თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტებიც მიუთითებენ., ასე დ. ლანგ-ჰინრიქსენი წერს: „მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული წლების მანძილზე თვით უკანასკნელ დრომდე მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს თითქმის ერთსულვნად აკრიტიკებდნენ... დღეს სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომ მათი გაუქმება სწორი არ იყო!.“ ასე, მაგალითად, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დამკვევლებად დასავლეთ გერმანიაში დღეს გამოდიან ვეგნერი<sup>2</sup>, ი. ბაუმანი<sup>1</sup> და სხვ.: ამგვარად თანამედროვე იმპერიალისტური ქვეყნების კრიმინალისტები ამკარად იცავენ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის იდეას, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დემოკრატიული პრინციპების უარყოფას წარმოადგენს.

საბჭოთა სისხლის სასამართლოში მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტებისათვის პასუხისმგებლობის საკითხმა განვითარების განსაზღვრული გზა განვლო. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაშიც არსებობდა შეხედულება, რომ მძიმე შედეგი პასუხისმგებლობის გადიდების ობიექტურ პირობას წარმოადგენს და ბრალი მის მიმართ საჭირო არ არის. ასე, მაგალითად, პროფ. მ. გროზდინსკი წერდა: „მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა შემთხვევაში, როცა დაზარალებულის სიკვდილი დამნაშავეს მიერ მიყენებული მძიმე სხეულებრივი დაზიანების წმინდა ობიექტური შედეგი იყო. ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსი ე.წ. ობიექტურ შერაცხვას ითვალისწინებს<sup>4</sup>. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამდნენ პროფ. ნემიროვსკი<sup>1</sup>, პროფ. ტრაინინი<sup>2</sup>, ფრანკი<sup>3</sup>. თანაც

<sup>1</sup> დ. ლანგ-ჰინრიქსენი, დასახ. ნაშრ., გვ.224.

<sup>2</sup> A. Wegner. Strafrecht, Allgemeiner Teil, Göttingen. 1951. S. 107, 135 ff.

<sup>3</sup> J. Baumann., Kritische Gedanken zur Beseitigung des Erfolgsqualifizierten. Delikte, „Zeitshft für die gesamte Strafrechtswissenschaft, Bd. 70, S. 227 ff. მისივე, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1961, S. 558.

<sup>4</sup> М. Горюдицкий, Преступления против личности, М., 1924, стр. 28; см. также стр. 20

ფრანკი თვლიდა, რომ ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ბრალს მოითხოვენ, ეწინააღმდეგებიან სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები, რომლებიც ობიექტურ შერაცხვას ითვალისწინებენ. იმისათვის, რომ ეს წინააღმდეგობა შეერბილებინა და ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან გამომდინარე უსამართლობა თავიდან აეცდინა, ფრანკი წინადადებას იძლეოდა, რათა პირის ქმედობასა და განხორციელებულ მძიმე შედეგს შორის დადგენილი ყოფილიყო ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი. მაშასადამე, ფრანკს სურდა თავიდან აეცილებინა ეს უსამართლობა არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპად ბრალის იღვის გამოცხადებით, არამედ მიზეზობრივი კავშირის ხელოვნური, წმინდა სამართლებრივი, ვიწრო ცნების შემოღებით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პირველი წლების სასამართლო პრაქტიკაც ყოველთვის როდი მოითხოვდა ბრალს მძიმე შედეგის მიმართ. ასე, მაგალითად, უკრაინის უმაღლეს სასამართლოს განჩინებაში კრეკოვიჩის საქმეზე პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ პასუხისმგებლობა სხეულის განზრახვი მძიმე დაზიანებით გამოწვეული სიკვდილისათვის არ მოითხოვს ბრალის არსებობას სიკვდილის მიმართ, არამედ საკმარისია მიზეზობრივი კავშირი სხეულის დაზიანებასა

---

<sup>1</sup> Э. Я. Немировский, Советское уголовное право, Одесса, 1924, стр. 70, 87-88, 272.

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Уголовное право, Часть общая, М., стр. 263, прим. 1. შემდგომ პროფ. ა. ტრაინინმა შეცვალა შეხედულება და აღიარა, რომ ბრალეული დამოკიდებულება აუცილებლად უნდა არსებობდეს მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროსაც.

<sup>3</sup> Франк, Десятина с квалифицированными последствиями, „Вестник советской юстиции“, 1928, N 2, стр. 37-38.

<sup>4</sup> „კასატორის მითობა, — ნათქვამია ამ განჩინებაში, — რომ 149-ე მუხლის მე-2 ნაწილის შეფარდებისათვის აუცილებელია, რათა სიკვდილი მოჰყვეს სხეულის მძიმე დაზიანებას და არა სისხლის შემთხვევით მოწამელას ოპერაციის შემდეგ, სწორი არ არის, ვინაიდან, თუმცა დაზარალებული ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ ოპერაცია მას ჭრილობის გამო გაუკეთეს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი კავშირი ჭრილობასა და დაზარალებულის სიკვდილს შორის“ (იხ. Вроблеский и Утевский, Уголовный кодекс, Комментарии, М., 1927, стр. 39).

და სიკვდილს შორის<sup>1</sup>. ასევე რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს განჩინებაში ილინიხის საქმეზე მითითებული იყო, რომ განზრახი მძიმე სხეულებრივი დაზიანებით გამოწვეული სიკვდილისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ბრალდებულს აქვს დაზარალებულისათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების განზრახვა“ და თუ ამავე დროს სხეულის მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის „უშუალო მიზეზობრივი კავშირია“<sup>2</sup>.

მაგრამ შემდგომი წლების განმავლობაში როგორც სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა ის შეხედულება, რომ მძიმე შედეგი შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ იმ პირს, ვისაც სწორედ ამ მძიმე შედეგის მიმართ ჰქონდა ბრალეული დამოკიდებულება. ამ შეხედულებას ჯერ კიდევ 1927 წელს პროფ. ა. ჟიჟილენკო იცავდა. „რამდენადაც, – წერდა იგი, – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ბრალეულობის აუცილებელი მოთხოვნაა დადგენილი და ამით ეგრეთ წოდებული ობიექტური შერაცხვის, ე.ი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობა გამორიცხულია, ამდენად პასუხისმგებლობა დაზარალებულის სიკვდილისათვის მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ბრალეულს შეეძლო გაეთვალისწინებინა დაზარალებულის სიკვდილი“<sup>2</sup>. ასევე პროფ. ა. პიონტკოვსკი წერდა: „ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსით ობიექტური შერაცხვის ყოველივე შესაძლებლობა გამორიცხულია, რაიმე სპეციალური მითითების გარეშეც ისეთი დასკვნა უნდა გააკეთოთ, რომ სოციალური დაცვის ღონისძიების გადიდება ჩადენილი ქმედობის ობიექტურ შედეგთან დაკავშირებთ მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა დადგენილ იქნება დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის

---

<sup>1</sup> „Сборник определений Уголовно-кассационной коллегии Верховного Суда РСФСР“ 1924 г. М., 1925, стр. 62-63. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება აუიჩიკის საქმეზე. „Советская юстиция“, 1939, N 1, стр. 73.

<sup>2</sup> А. А. Жижиленко, Преступления против личности, м., 1927, стр. 45-46, 69, 117.

დამაკვალიფიცირებელ ობიექტურ შედეგთან გაუფრთხილებლობის სახით<sup>1</sup>.

სასამართლო პრაქტიკა დიდი ხანია თანამიმდევრულად ატარებს იმ შეხედულებას, რომ პასუხისმგებლობა მძიმე შედეგისათვის გულისხმობს ბრალეულ დამოკიდებულებას ამ შედეგის მიმართ. ეს შეხედულება ნათლად არის გამოთქმული სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში პლატოვის საქმეზე: „იმისათვის, რათა იმ პირმა, ვისაც ბრალი მიუძღვის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში, პასუხი აგოს 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აუცილებელია, ჯერ, — ერთი, რომ დაზარალებულის სიკვდილსა და ბრალეულის მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობდეს და, მეორე, ამ შედეგის — სიკვდილის — მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებელი ბრალი ჰქონდეს, ე.ი. გათვალისწინებული ჰქონდეს სიკვდილის შესაძლებლობა, მაგრამ იმედოვნებდეს მის აცდენას, ან თუმცა გათვალისწინებული არ ჰქონდეს, მაგრამ შეეძლოს და ვალდებული იყოს გაითვალისწინოს ასეთი შედეგი“<sup>2</sup>.

დაბოლოს, იგივე შეხედულება გამოთქმულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მიღების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს 1960 წლის 4 ივლისის დადგენილებაში „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია: „სასამართლოებმა მკვეთრად უნდა განასხვავონ განზრახი მკვლელობა, რომელიც გულისხმობს, რომ ბრალეულს აქვს დაზარალებულის მოკვლის პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვა, და სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი (რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები), როდესაც დამნაშავეს დამოკიდებულება ამ შედეგის მიმართ გაუფრთხილებელი ბრალის სახით გამოიხატება“.

---

<sup>1</sup> А. А. Пшонтковский, Советское уголовное право, Общая часть, М., 1929, стр. 248.

<sup>2</sup> „Сборник постановлений Пленума и определений коллегии Верховного Суда СССР“, 1943 г М., 1948. стр. 133.

მიუხედავად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ნათელი პოზიციისა და მიუხედავად საბჭოთა ლიტერატურაში წამოყენებული კატეგორიული მოთხოვნისა, რომ მძიმე შედეგისათვის სასჯელის გადიდება დასაშვებია მხოლოდ ამ შედეგისადმი ბრალეული დამოკიდებულების შემთხვევაში, სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში მაინც იყო შემთხვევები, როცა სასამართლოები სჯერდებოდნენ ბრალის დადგენას მხოლოდ ძირითადი შედეგის მიმართ და მექანიკურად აღივსებდნენ სასჯელს დამაკვალიფიცირებელი მძიმე შედეგისათვის, ისე რომ არ იკვლევდნენ დამნაშავეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგის მიმართ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ საკითხის სავსებით გასარკვევად საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსში შემოღებულ იქნეს სპეციალური ნორმა, რომელშიც პირდაპირ იქნება გათვალისწინებული, რომ მძიმე შედეგისათვის სასჯელის გადიდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მძიმე შედეგი მოცული იყო პირის ბრალით<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლში, როგორც უკვე ნათქვამი იყო, ნათლად არის მითითებული, რომ სისხლის სამართლის წესით მხოლოდ მან შეიძლება აგოს პასუხი, ვინც ბრალეულად, ე.ი. განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში, სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედობა. ბრალეული პასუხისმგებლობის ამ პრინციპის გასავითარებლად და მისი კონკრეტიზაციისათვის საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია მუხ. 11 შემდეგი სათაურით: „პასუხისმგებლობა იმ შედეგისათვის, რომელიც კანონით გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება“. მუხლის ტექსტში ნათქვამია: „თუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს

<sup>1</sup> В. Г. Макашвили, Некоторые вопросы вины в советском уголовном законодательстве, „Советское государство и право“, 1952, N 1, стр. 40; ამ შეხედულებას მიემხრნენ: Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, стр. 141; Б. С. Никифоров, Проекты республиканских уголовных кодексов, „Советское государство и право“, 1959, N 8, стр. 9.

უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლმა დადებითი გამოხმაურება ჰპოვა იურიდიულ ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი პროფ. ა. პიონტკოვსკი მიუთითებს, რომ „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის დადგენილებამ ხელი უნდა შეუწყოს ბრალის პრინციპის თანმიმდევრულად გატარებას და დახმარება გაუწიოს სასამართლო პრაქტიკას, რათა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში არ მიეცეს ის პირი, ვისაც დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ ბრალი არ ჰქონია“<sup>1</sup>.

მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროს ცალ-ცალკე უნდა იქნეს გამოჩვენებული ბრალის საკითხი ძირითადი დანაშაულებრივი შედეგისა და მძიმე შედეგის მიმართ.

მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების უმრავლესობა ისეა აგებული, რომ დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებს განზრახ ბრალს ძირითადი შედეგის მიმართ მაგალითად, 110-ე მუხლის მე-2 ნაწ. (სხეულის განზრახვი მძიმე დაზიანება, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი) მოითხოვს განზრახ ბრალს მძიმე დაზიანების მიმართ; 131-ე მუხლის მეორე ნაწილი (ავადმყოფისათვის საპატიო მიზეზის გარეშე დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ, რომელიც ვალდებული იყო აღმოეჩინა ეს დახმარება, თუ ამას ავადმყოფისათვის მძიმე შედეგი მოჰყვა) გულისხმობს დახმარების აღმოჩენაზე შეგნებულად უარის თქმას, რაც არსებითად განზრახ ბრალს წარმოადგენს. 117-ე მუხლის მე-3 ნაწ. (გაუპატიურება, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა) მოითხოვს განზრახ ბრალს ძირითადი დანაშაულის მიმართ (გაუპატიურება შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახვით); განზრახვას ძირითადი დანაშაულებრივი შედეგის მიმართ მოითხოვს აგრეთვე მე-100 მუხლის მე-2 ნაწ. (სახ-

<sup>1</sup> А. А. Понотковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 397.

ამგვარადვე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლში გამოთქმულ დებულებას „დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს“ (იხ. Советское уголовное право, Часть, общая, 1962, стр. 156).

ელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, თუ ამას ადამიანთა მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა). ასეთი მაგალითი სხვა მრავალი შეიძლება მოვიტანოთ.

მაგრამ მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს შორის ვხვდებით ისეთებსაც, რომლებშიც კანონმდებელი ძირითადი დანაშაულის მიმართ გაუფრთხილებლობით ბრალს სჯერდება. ასე, მაგალითად, 102<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული შემადგენლობის დროს (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება, რასაც დიდი ზარალი მოჰყვა) თვით მანქანის გაფუჭება ან დამტკრევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით.

როგორი უნდა იყოს პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დამაკვალიფიცირებელი მძიმე შედეგისადმი? როგორც მე-11 მუხლის განმარტებიდან გამომდინარეობს, თუ კანონმდებელი დამაკვალიფიცირებელი მძიმე შედეგის მიმართ ბრალის მომენტზე არ მიუთითებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასჯელის გადიდება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როცა ეს შედეგი მოცული არ არის ბრალით. მძიმე შედეგი გამოიწვევს პასუხისმგებლობის გაძლიერებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შედეგის მიმართ პირს ჰქონდა ბრალეული დამოკიდებულება გაუფრთხილებლობის ფორმით მაინც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა საბჭოთა სისხლის სამართალში შეუძლებელია.

როგორც წესი, ბრალეული დამოკიდებულება დამაკვალიფიცირებელი მძიმე შედეგის მიმართ გაუფრთხილებელი ბრალის ხასიათს ატარებს. მაგალითად, სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, რასაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა (მუხ. 110-ე, ნაწ. მე-2) გულისხმობს გაუფრთხილებლობას დაზარალებულის სიკვდილის მიმართ. ქონების განზრახი დაზიანება, ან განადგურება, რამაც ადამიანთა სიკვდილი გამოიწვია (მუხ. მე-100 და 157-ე), გულისხმობს გაუფრთხილებელ ბრალს ადამიანის სიკვდილის მიმართ. თუ დამნაშავეს ადამიანის სიკვდილის მიმართ განზრახი ბრალი ჰქონდა, მაშინ სუბიექტის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული, არამედ როგორც განზრახი მკვლელობა.

ამავე დროს გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მძიმე შედეგის მიმართ განზრახი ბრალის

სახითაც იყოს მოცემული. ამ დებულების დასამტკიცებლად მივმართოთ 117-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს გაუპატიურებისათვის სასჯელის გადიდებას, თუ ამას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. ვთქვათ, გაუპატიურებას შედეგად მოჰყვა სხეულის მძიმე დაზიანება, მაგალითად ქალის ფსიქიკურად დაავადება. თუ დამნაშავეს ასეთი შედეგის მიმართ გაუფრთხილებელი ბრალი ჰქონდა, მაშინ იგი დაისჯება 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით. მაგრამ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს დამნაშავეს მოქმედება, თუ დამნაშავეს სხეულის მძიმე დაზიანების მიმართ განზრახი ბრალი ჰქონდა? მაგალითად დამნაშავემ იცის, რომ ქალი წინათ ფსიქიკურად იყო დაავადებული, ითვალისწინებს, რომ ძლიერმა ტრავმამ, რომელსაც მას სქესობრივი ძალადობა მიყენებს, შეიძლება განაახლოს ფსიქიკური დაავადება, და იგი შეგნებულად უშვებს ასეთ შედეგს. თუ ჩვენ უარვეყოფთ განზრახი ბრალის შესაძლებლობას მძიმე შედეგის მიმართ და ამ ქმედობას დავაკვალიფიცირებთ როგორც გაუპატიურებას (მუხ. 117-ე ნაწ.1) და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას (მუხ. 110-ე, ნაწ.1) ერთობლიობის წესით, მაშინ გაუპატიურება, დაკავშირებული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასთან, უფრო მსუბუქად დაისჯება, ვიდრე იგივე დანაშაული, დაკავშირებული სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანებასთან. გაუპატიურების ძირითადი შემადგენლობისათვის (მუხ. 117-ე, ნაწ.1) კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე, სხეულის განზრახი მძიმე დაზიანებისათვის – თავისუფლების აღკვეთას – ერთი წლიდან რვა წლამდე. მაშასადამე სასამართლოს უფლება არ ექნება დაუნიშნოს დამნაშავეს რვა წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამავე დროს 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა რვიდან თხუთმეტ წლამდე გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ან გადასახლების გარეშე, ან სიკვდილით დასჯა. მაშასადამე ამ დამამძიმებელი გარემოების მიმართ ბრალი შეიძლება იყოს როგორც გაუფრთხილებლობის, ისე განზრახვის სახით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ზემოაღნიშნულის გამო ჩვენ სწორად არ მიგვაჩინა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში გამოთქმული აზრი. თითქოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი (სახელმძღვანელოში შეცდომით მითითებულია მე-12 მუხლი – თწ.) აუცილებლად გულისხმობს შერეულ ბრალს: განზრახვას ძირითადი შემადგენლობის მიმართ და გაუფრთხილებლობას



### §3. მძიმე შედეგი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება

როგორც უკვე ღავენახეთ, მავნე შედეგის განხორციელება ზოგჯერ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სისხლის სამართლის კანონში როგორც პასუხისმგებლობის დამაკვალიფიცირებელი გარემოება. მაგრამ დანაშაულის ჩადენას შეიძლება მოჰყვეს მავნე შედეგი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობით არ არის გათვალისწინებული არც როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, და არც როგორც კვალიფიცირებული შემადგენლობის ნიშანი, რომელიც ამძიმებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის. ასეთი მავნე შედეგი შეიძლება მოჰყვეს როგორც ე.წ. შედეგგარეშე, ისე შედეგადანი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას. შედეგგარეშე დანაშაულის დროს ასეთი მავნე შედეგი იქნება მაგალითად: არაბრალეული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ცრუ დასმენის საფუძველზე ან პირიქით ბრალეული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მოწმის ცრუ ჩვენების ან ექსპერტის ცრუ დასკვნის შედეგად და ა.შ. შედეგადანი დანაშაულის დროს შემადგენლობის გარეშე მდებარე შედეგის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ დედის თვითმკვლელობა შვილის მოკვლის შედეგად, მრავალშვილიანი ოჯახის უსახსროდ დატოვება მარჩენალის მოკვლის შედეგად<sup>1</sup> და ა.შ.

მავნე შედეგი, თუნდაც იგი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში გათვალისწინებული არ იყოს როგორც სასჯელის დამაფუძნებელი ან დამამძიმებელი გარემოება, მაინც მიიღება მხედველობაში სასჯელის დანიშენისას, როგორც მისი დამამძ-

---

მძიმე შედეგის მიმართ (იხ. Советское уголовное право, Часть общая, М., 1962, стр. 156). როგორც უკვე ნათქვამი იყო, მე-11 მუხლი ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ თუ კანონი მძიმე შედეგის მიმართ განზრახ ბრალს არ მოითხოვს, იგი გაუფრთხილებლობით მაინც უნდა იყოს ჩადენილი. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს მძიმე შედეგის მიმართაც განზრახი ბრალის შესაძლებლობას, თანაც მითითება განზრახ ბრალზე მძიმე შედეგის მიმართ კანონში შეიძლება პირდაპირ არ იყოს მოცემული, მაგრამ კანონის განმარტების საფუძველზე იგი იგულისხმებოდეს.

<sup>2</sup> ასე, მაგალითად, მოსკოვის საქალაქო სახალხო სასამართლოს ერთერთ განჩინებაში ნათქვამი იყო: „გადაღის რა სასჯელის ზომის არჩევაზე, — სასამართლო კოლეგია თელის, რომ ზ.-მ ჩაიდინა ცოლის მკვლელობა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში, ვინაიდან ოთხ მცირეწლოვან ბავშვს დედა წაართვა (ციტირებულია ნ. კუხნეცოვას ნაშრომის მიხედვით — Значение преступных последствий, 1958, стр. 197.

იმებელი ზოგადი გარემოება. სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება დანაშაულით მძიმე შედეგების გამოწვევა.

რაც უფრო მძიმეა დანაშაულებრივი ქმედობით გამოწვეული შედეგები, მით უფრო დიდია ამ ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება, მით უფრო დიდ ზიანს აყენებს ქმედობა სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

მძიმე შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტში, შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს. იგი შეიძლება მატერიალურ, მორალურ, პოლიტიკურ და სხვ. სფეროს შეეხებოდეს. მისი მოცულობაც შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული სისხლის სამართლისა, რომელიც შესაძლებლად თვლის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას მძიმე შედეგის განხორციელების შემთხვევაში, თუნდაც ამ მძიმე შედეგზე სუბიექტის ბრალი არ ვრცელდებოდეს<sup>1</sup>, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიას და სასამართლო პრაქტიკას მძიმე შედეგის განხორციელება მხოლოდ მაშინ მიაჩნიათ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, როცა პირს დანაშაულის ჩადენის დროს გათვალისწინებული პქონდა ან შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მის მოქმედებას ასეთი შედეგი მოჰყვება. ამრიგად საბჭოთა სისხლის სამართალი თანმიმდევრულად ახორციელებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც ორი დებულებით შეიძლება ჩამოეყალიბოთ: 1) ბრალის გარეშე არ არსებობს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა; 2) უფრო მძიმე ბრალის გარეშე არ არსებობს უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა.

---

<sup>1</sup> დ. ლანგ-ჰინრიქსენი უკვე დასახელებულ ნაშრომში მიუთითებს, რომ ობიექტური შერაცხვის ტენდენცია „შესამჩნევია სასჯელის ოდენობის განსაზღვრის სფეროშიც. აქაც სულ უფრო და უფრო მეტად გაიხშის ხმები ქმედობის არაბრალეული შედეგების შერაცხვის სასარგებლოდ...“ ლანგ-ჰინრიქსენს მოჰყავს ასეთი შეხედულების ავტორის – შპენდელის მონოგრაფიიდან ერთი მაგალითი: ქურდს განზრახული აქვს მოიპაროს სურათების გალერეიდან ერთი სურათი, რომელიც, მისი აზრით, დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში ეს სურათი მეტად ძვირი აღმოჩნდება. შპენდელის აზრით, ქურდი უნდა დაისაჯოს დიდი ღირებულების ქონების გატაცებისათვის (იხ. ლანგ-ჰინრიქსენი, დასახ. ნაშრ., გვ. 226-227).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მძიმე შედეგის განხორციელება ისევე, როგორც ყოველი სხვა დამამძიმებელი გარემოება, მხედველობაში მიიღება მოსამართლის მიერ არა იზოლირებულად, არამედ საქმის ყველა სხვა გარემოებასთან ურთიერთკავშირში. საერთოდ მოსამართლე სასჯელის განსაზღვრის დროს ერთობლივად იღებს მხედველობაში იმ გარემოებებს, რომლებიც ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას, სუბიექტის ბრალს და მისი პიროვნების საზოგადოებრივ საშიშროებას ახასიათებენ. მაგრამ ყველა სხვა გარემოებასთან ერთად, მძიმე შედეგის განხორციელებამაც შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა სასჯელის ოდენობაზე. ჩვენი უმაღლესი სასამართლო ორგანოების პრაქტიკა განუზრელად მიდის ამ მიმართულებით და ხშირად ასწორებს ქვედა ინსტანციის განაჩენებს აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ტ-ს საქმეზე ნათქვამი იყო: „ისეთი მძიმე შედეგების არსებობისას, რაც მოჰყვა მსჯავრდებულ ტ-ს მიერ უშიშროების ტექნიკის წესების დარღვევას, მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა თავისი სიმსუბუქით ქმედობას არ შეესაბამება“.

#### §4. მავნე შედეგის არარსებობის ზეგავლენა ქმედობის დასჯადობაზე

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საბჭოთა სისხლის სამართალი სასჯელის ზომის განსაზღვრისას მოითხოვს იმის დადგენას, განხორციელდა თუ არა მავნე შედეგი და როგორია დანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობა, იმისდა მიუხედავად, გათვალისწინებულია თუ არა მავნე შედეგი როგორც შემადგენლობის ნიშანი, თუ ამ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისათვის მავნე შედეგის არსებობას მნიშვნელობა არა აქვს.

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ამ დებულებას ეწინააღმდეგება ის, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმ-

<sup>1</sup> „Социалистическая законность“, 1939, №12, стр. 84. იხ. აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება ს.-ს საქმეზე („Советская юстиция“, 1940 г., N 23-24, стр. 36).

დებლობა არ ითვალისწინებს სასჯელის აუცილებელ შემცირებას დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. მაგრამ დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ არსებული საკანონმდებლო აქტებისა და საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის მასალების ანალიზი გვარწმუნებს, რომ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მავნე შედეგის არდადგომა როგორც ერთ-ერთი გარემოება, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის ზომას. ამ საკითხის ნათლად გასარკვევად აუცილებელია შევჩერდეთ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის საკითხზე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტებში ცალკეული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მითითებული იყო, რომ მომზადება და მცდელობა ისევე ისჯება, როგორც დამთავრებული დანაშაული. რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კოდექსში აღნიშნული იყო, რომ „დანაშაულის მცდელობა ისჯება როგორც ჩადენილი დანაშაული, თანაც მცდელობის მავნე შედეგების არარსებობა ან უმნიშვნელობა შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მოსამართლის მიერ სასჯელის ღონისძიების განსაზღვრის დროს...“ 1924 წლის „ძირითად საწყისებში“ ეს ნორმა ცოტა სხვაგვარად იყო გადმოცემული: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ე.ი. უკეთუ დანაშაულებრივი შედეგი რაიმე მიზეზის გამო არ განხორციელდა, სასამართლო სოციალური დაცვის იმ ღონისძიების არჩევის დროს, რაც დანიშნულია სისხლის სამართლის კანონით ამ სახის დანაშაულისათვის, ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩამდენი პირის საშიშროების ხარისხით და დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხით“ (მუხ. მე-11). ასევე იყო გადმოცემული საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი. ცოტაოდნად განსხვავდებოდა ამ რედაქციისაგან რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის რედაქცია. ამ მუხლში ნათქვამი იყო: „რაიმე დანაშაულის მცდელობა, აგრეთვე დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება... იღვენება ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული, თანაც სასამართლო სასამართლო-გამასწორებელი სოციალური დაცვის ღონისძიების არჩევის დროს ხელმძღვანელობს მცდელობის ან მომზადების ჩამდენი პირის საშიშროების ხარისხით, დანა-

შაულის მომზადებით და მისი შედეგების განხორციელების სიახლოვეთ. აგრეთვე იმ მიზეზების განხილვით, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

დაბოლოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლის თანახმად, „სასჯელი დანაშაულის მომზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის დაინიშნება იმ კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის“.

ერთ ზანს საბჭოთა ლიტერატურაში გაისმოდა ხმები, რომ თვით კანონში უნდა იქნეს გათვალისწინებული სასჯელის სავალდებულო შემცირება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. ასე, მაგალითად, ჟურნალ „Советская юстиция“-ს სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო: „სადავოდ შეიძლება აღმოჩნდეს ის საკითხიც, ხომ არ უნდა იწვევდეს სასჯელის სავალდებულო შემცირებას იმ პირის მოქმედება, რომელსაც ბრალი მიუძღვის მომზადებასა და მცდელობაში?“.

ჩვენი აზრით, მოსამართლის შეზღუდვა ასეთი ფორმალური კრიტერიუმით არ შეესაბამება სოციალისტური სისხლის სამართლის საერთო პრინციპებს. ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც შემცირებული პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის გამართლებული არ იქნებოდა არც ზოგადი და სპეციალური პრევენციის ამოცანებით, არც სოციალისტური მართლშეგნებით. ასეთია, პირველად ყოვლისა, ის შემთხვევები, როდესაც დამნაშავის მოქმედებას თუმცა მის მიერ ნასურვები შედეგი არ მოჰყვა, მაგრამ სამაგიეროდ მოჰყვა სხვა მძიმე შედეგები, როდესაც მამასადამე, ფორმალურად ადგილი აქვს მცდელობას, მაგრამ არსებითად მძიმე ვნება განხორციელდა. შემდეგ, ცალკეულ შემთხვევებში უკვე მცდელობის სტადიაზე სუბიექტმა შეიძლება გამოამყდევნოს ისეთი მძიმე ბრალი, ისეთი დიდი საზოგადოებრივი საშიშროება, რომ მისთვის შემსუბუქებული სასჯელის დაინიშნა მიზანშეწონილად. უნდა ჩაითვალოს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

ს-ს ბრალად დაედო, რომ გააუპატიურა მრავალშვილიანი დედა, წაართვა მას 732 მან. ფული და ხუთი მეტრი ტილო, რის შემდეგ

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1939, N 2, стр. 74.

ჩადენილ დანაშაულთა დასაფარავად გადაწყვიტა მისი მოკვლა. ამ მიზნით პირში ჩასჩარა ჭინჭემომხვეული ჯოხი, გაუჭრა მუცელი, მკერდში დანა ჩაარტყა და, როდესაც დარწმუნდა, რომ ქალი უკვე მკვდარია, მიიძალა. სინამდვილეში ქალი მკვდარი არ იყო. მიუხედავად სიცოცხლისათვის საშიში მძიმე სხეულბრთვი დაშავებისა, იგი სიკვდილს გადაარჩინეს საავადმყოფოში, სადაც შემთხვევითმა გამელელებმა მიიყვანეს. მკვლელობის მცდელობისათვის ს-ს რსფსრ კოდექსის მე-19-136-ე მუხლებით და 1954 წლის 30 აპრილის დადგენილებით სიკვდილი მიუსაჯეს. განაჩენი რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა, მაგრამ რსფსრ-ის პროკურორმა რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში პროტესტი შეიტანა. პროტესტში პროკურორი მოითხოვდა სიკვდილით დასჯის შეცვლას თავისუფლების აღკვეთით იმ მოტივით, რომ მკვლელობა ბოლომდე არ იყო მიყვანილი. უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა 1957 წლის 21 მაისის დადგენილებაში აღნიშნა:

„პროტესტის მითითება, რომ მკვლელობის მცდელობის დროს სასჯელად დახვეტა არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, კანონს არ ემყარება.

რსფსრ-ის სს კოდექსის არც ერთი მუხლის სანქცია არ ითვალისწინებს სპეციალურ სასჯელს დანაშაულის მცდელობისათვის, არ არსებობს აგრეთვე სპეციალური სანქცია მკვლელობის მცდელობისათვის.

კანონი ასეთ შემთხვევებში მიუთითებს რსფსრ სს კოდექსის მე-19 მუხლზე, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის ჩადენის მცდელობა იღვენება როგორც დამთავრებული დანაშაული, თანაც კანონი მოითხოვს სასამართლოსაგან, სასჯელის ღონისძიების დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს დანაშაულის მცდელობის საშიშროების ხარისხი; დანაშაულის მოშაადება; შედეგების განხორციელების სიახლოვე; მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

შემდეგ, გადმოსცემს რა ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს და დამნაშავის განსაკუთრებულ სოციალურ საშიშროებას, პრეზიდიუმი დასძენს: „ასეთ ვითარებაში სასამართლოს სრული უფლება ჰქონდა მიეყენებინა მსჯავრდებულ ს-თვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წ. 30 აპრილის დადგენილება განზრახვი

მკვლევარისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ<sup>2</sup>.”

ანალოგიური ხასიათისაა რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 1 აგვისტოს განჩინება ტ-ს საქმეზე. ტ-მ შეიტყუა 6 წლის გოგონა სასაფლაოზე, გააუპატიურა იგი და დანაშაულის დაფარვის მიზნით გადაწყვიტა მოეკლა, რისთვისაც რამდენჯერმე თავში ჩაარტყა პასატიყი. დარწმუნდა, რა რომ ბავშვი მკვდარია, ტ. მიიმალა. ბავშვი შემთხვევით ცოცხალი აღმოჩნდა. სასწრაფო ქირურგიული დახმარებისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენების შედეგად იგი სიკვდილს გადაარჩინეს. კოლეგიამ თავის განჩინებაში მიუთითა: „ტ-ს მიმართ სიკვდილით დასჯის შეფარდება სწორია, ვინაიდან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმე – მცირეწლოვანის გაუპატიურება და, ამ დანაშაულის დაფარვის მიზნით, მისი მოკვლის მცდელობა, აგრეთვე ტ.-ს პიროვნება: იგი არაერთხელ ყოფილა პასუხისმგებაში მიცემული, თანაც დანაშაული მან ჩაიდინა პატიმრობიდან ვადამდე განთავისუფლების შემდეგ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ აღნიშნულ გარემოებას ამ შემთხვევაში მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმას, რომ ბავშვი სიკვდილს გადაარჩა, რაც დამნაშაულის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა.“<sup>3</sup>

ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად იქცევა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც არ ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებას, არამედ ავალებს მოსამართლეს სასჯელის კონკრეტული ღონისძიების არჩევის დროს მხედველობაში მიიღოს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა მთელი ერთობლიობა. მაგრამ აქედან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, თითქოს საბჭოთა კანონმდებლობა მხედველობაში არ იღებს მოქმედების ობიექტურ თვისებებს და არ იძლევა სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას შედეგის განუხორციელებლობის შემთხვევაში. საბჭოთა კანონმდებლობის

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного суда СССР“, 1957, N 4, стр. 42.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „Советская юстиция“, 1960. N 14, стр. 29.

ნორმები, რომელნიც მიუთითებენ, რომ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს „დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი“, „შედეგის განხორციელების სახელოვე“ და ა.შ., ნათლად ადასტურებს, რომ შედეგის განხორციელებლობა და მოქმედების შეჩერება მცდელობის და, მით უმეტეს, მომზადების სტადიაზე აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. ამ მომენტზე განსაკუთრებით ნათლად მიუთითებს „საფუძვლების“ მე-15 მუხლი, რომლის მიხედვით მომზადებისა და მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს „დამნაშავის მიერ ჩადენილი მოქმედების ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების ხარისხი და მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“ (ხაზგასმულია ჩვენს მიერ – თ.წ.).

დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების ხარისხი არსებითად ერთ-ერთი პირობაა, რომელიც მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს განსაზღვრავს. მაგრამ კანონმდებელმა ეს მომენტი სპეციალურად იმიტომ გამოაჰყო, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს. ეს მომენტი მიგვიითითებს, რომ მოსამართლემ სხვა თანაბარ პირობებში უფრო რბილად უნდა განსაჯოს დაუმთავრებელი დანაშაული, ვიდრე დამთავრებული დანაშაული.

ჩვენი სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის მხედველობაში იღებს აღნიშნულ მომენტს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში მითითებულია: „ვინაიდან სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას წარმოადგენს და ისეთ პირებს შეეფარდება, ვინც განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩაიდინა, იგი როგორც წესი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახი მკვლელობის მცდელობის დროს. ასეთ შემთხვევებში სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლისის სახით, როდესაც დადგენილ იქნება საქმის განსაკუთრებით მძიმე გარემოებანი, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის და დამნაშავის მომეტე-



ბულ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომელთაც უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე იმ ფაქტს, რომ დაზარალებული ცოცხალი გადარჩა, თანაც დამნაშავეზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო!“.

კანონით მითითებულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიმართოს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლს (სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლს). ამ მუხლის თანახმად, „თუ სასამართლო, გაითვალისწინებს რა საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს და დამნაშავეს პიროვნებას, საჭიროდ მიიჩნევს დაუნიშნოს მას ამ დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი ან გადავიდეს სხვა, უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელზე, მას შეუძლია დაუშვას ამგვარი შემსუბუქება, ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი მოტივები“.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი მოითხოვდა ჩვენს კანონმდებლობაში შეტანილი ყოფილიყო სპეციალური მუხლი, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სასამართლოს უფლება შეამციროს სასჯელი დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. ასე, მაგალითად, პროფ. ნ. ღურმანოვის აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს უფლება ექნება შეამციროს სასჯელი ამ დანაშაულისათვის დადგენილი სანქციის უმდაბლესი საზღვრის ნახევრამდე, ხოლო მოსამზადებელი მოქმედებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს – ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, რამდენადაც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს ზოგადი ნორმა უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესახებ, ანალოგიური ნორმის გათვალისწინება სპეციალურად დაუმთავრებელი დანაშაულისათვის ზედმეტია<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „Изюллетень Верховного суда СССР“, 1960, N 4, стр. 52.

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

<sup>3</sup> ნ. ღურმანოვის შეხვედრების კრიტიკისათვის იხ. ნ. კუნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

# შინაარსი

## თანამონაწილეობა დანაშაულში

შისავალი .....	5
<b>თავი პირველი. თანამონაწილეობის ცნება</b> .....	<b>10</b>
§1. მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა თანამონაწილეობისათვის .....	12
§2. ბრალი თანამონაწილეობის დროს .....	34
§3. დანაშაულის ერთიანობა თანამონაწილეობის დროს .....	48
§4. თანამონაწილეობა და დანაშაულის შემადგენლობა .....	64
§5. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თუ დამოუკიდებელი ხასიათი .....	72
<b>თავი მეორე. თანამონაწილეთა სხეულები</b> .....	<b>86</b>
§1. თანამონაწილეთა კლასიფიკაცია .....	86
§2. ამსრულებელი .....	91
§3. ორგანიზატორი .....	146
§4. წამქეზებელი .....	156
§5. დამხმარე .....	174
<b>თავი მესამე. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა</b> .....	<b>202</b>
§1. ამსრულებლის ექსცესი .....	204
§2. უშედეგო წაქეზება და უშედეგო დამხმარება .....	210
§3. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხველი გარემოებების ზეგაუქმებელი თანამონაწილეთა დასჯადობაზე .....	216
§4. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეთა მიერ .....	226
§5. სასჯელის ინდივიდუალიზაცია თანამონაწილეობის დროს .....	233

## დანაშაულის უმჯობელობა

შისავალი .....	245
<b>თავი პირველი. დანაშაულის დაფარვა</b> .....	<b>248</b>
§1. საკითხის ისტორია .....	248
§2. დანაშაულის დაფარვის ცნება მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით .....	268
§3. დანაშაულის დაფარვის ადგილი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემაში .....	275
§4. დაფარვა და ძირითადი დანაშაული .....	284
§5. წინასწარ შეუპირებული დაფარვის ობიექტური მხარე .....	289
§6. წინასწარ შეუპირებული დაფარვის სუბიექტური მხარე .....	298
§7. დაფარვა და თანამდებობის დანაშაული .....	300
§8. წინასწარ შეუპირებული დაფარვის დასჯადობა .....	301

**თავი მეორე**

**დანაშაულის განუცხადებლობა** ..... 307

§1. დანაშაულის განუცხადებლობის არსი ..... 307

§2. დანაშაულის განუცხადებლობის ადგილი სპჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემაში ..... 316

§4. დანაშაულის განუცხადებლობის შემაღგენლობა ..... 321

§5. დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობა ..... 335

**თავი მესამე** ..... 339

**დანაშაულის მიჩნევაბლობა** ..... 339

**დანაშაულებრივი ქმედობა და მისი უპიძევი**

**წინასიტყვაობა** ..... 359

**თავი პირველი**

**ქმედობა, როგორც ადამიანის ნებელოზითი ქცევა** ..... 361

§1. ქმედობა, როგორც დანაშაულის შემაღგენლობის აუცილებელი ელემენტი და პასუხისმგებლობის საფუძეველი ..... 361

§2. დანაშაულებრივი ქმედობა, როგორც ადამიანის ნებელობითი აქტი. ნებელობითი ქცევის არსი ..... 363

§3. უმოქმედობა, როგორც ნებელობითი ქცევა ..... 378

§4. ქმედობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა ..... 381

§5. ბურჟუაზიული თეორიები მოქმედების შესახებ ..... 385

**თავი მეორე**

**დანაშაულებრივი უპიძევის ცნება** ..... 403

§1. დანაშაულებრივი მოქმედება და დანაშაულის შედეგი ..... 403

§2. დანაშაულის შედეგი ფართო მნიშენელობით ..... 406

§3. დანაშაულის შედეგი ვიწრო მნიშენელობით ..... 412

§4. დანაშაულის დაყოფა შედეგარეშე და შედეგიან დანაშაულად ..... 415

**თავი მესამე**

**დანაშაულის უპიძევის მნიშენელობა**

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის** ..... 422

§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ისეთი დანაშაულისათვის, რომლის დასჯადობის აუცილებელ პირობას მძიმე შედეგის განხორციელება წარმოადგენს ..... 422

§2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის ..... 426

§3. მძიმე შედეგი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ..... 441

§4. მავნე შედეგის არარსებობის ზეგავლენა ქმედობის დასჯადობაზე ..... 443

გამომცემლობის რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი  
ტექრედაქტორი ინგა ნავროზაშვილი  
კორექტორი მანანა კრავეიშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 112.